საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ავთანდილ იოსელიანი

ილია ჭავჭავაძე
და
საქართველოს ისტორიის საკითხები

(ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან)

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის გამომცემლობა

19 * თბილისი * 51

ვუძღვნი
ძვირფასი მასწავლებლის
აკად. ივანე ჯავახიშვილის
ნათელ ხსოვნას

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ფეოდალური ფორმაციის დაშლასთან და კაპიტალიზმის განვითარებასთან დაკავშირებული სოციალ-ეკონომიური მოვლენები ქართულ საზოგადოებრივ აზრს სავსებით ახალი ამოცანების წინაშე აყენებენ და სრულიად განსხვავებული გზით წარმართავენ.

გარდამავალი პერიოდისათვის დამახასიათებელმა წინააღმდეგობებმა და ახალი წარმოებითი ურთიერთობის საფუძველზე აღმოცენებულმა იდეებმა ამ დროს გარკვეული გამოხატულება ჰპოვეს ქართულ პრესაში. ისინი რელიეფურად გამოვლინდნენ საზოგადოებრივ დასების აზროვნებასა და მსოფლმხედველობაში.

ამხანაგ ლ. ბ ე რ ი ა ს ბრწყინვალე ნაშრომში „აბიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის" პირველადაა მოცემული ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარების ღრმა მეცნიერული კლასიფიკაცია და ცალკეულ დასთა და მიმდინარეობათა სოციალ-პოლიტიკური სწორი განსაზღვრა. ამხანაგმა ლ. ბ ე რ ი ა მ ილია ჭავჭავაძეს ქართველი ხალხის ნაციონალურ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე უწოდა[1].

ი. ჭავჭავაძის, როგორც მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ნაციონალურ-რევოლუციური

---

[1] ლ. პ. ბ ე რ ი ა, „ლენინ-სტალინის დიადი დროშით", სტატიები და სიტყვები, სახელგამი, 1941 წ., გვ. 184.

მოძრაობის ყველაზე უფრო პოპულარული საზოგადო მოღვაწის და მწერლის („პრავდა") დამსახურება ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარებისა და ეროვნული კულტურის აღორძინების საქმეში განუსაზღვრელად დიდია. და არაჩვეულებრივად მრავალმხრივი. ილია ჭავჭავაძემ და მისმა უახლოესმა თანამებრძოლებმა ა. წერეთელმა და ი. გოგებაშვილმა გადამწყვეტი როლი შეასრულეს ახალი ქართული ლიტერატურული ენის დამკვიდრების დიდ ეროვნულ საქმეში (კ. ჩ ა რ კ ვ ი ა ნ ი) ასევე დიდი ღვაწლი მიუძღვით ი. ჭავჭავაძესა და მის თანამებრძოლებს ქართული ეროვნული კულტურის აღორძინების ყველა სფეროში.

წინამდებარე ნაშრომი შეეხება მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული საზოგადოებრივი აზრის აქტუალურ პრობლემებს — ერისა და ისტორიის ძირითად საკითხებს. უკანასკნელი გააზრებულია ცარიზმის კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ მიმართული, გლეხურ დემოკრატიულ საფუძვლებზე აღმოცენებული, ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის საკვანძო საკითხებთან განუყრელ მთლიანობაში; მასში გამოხატულებას პოულობენ მშობლიური ენის, ისტორიისა და მწერლობის დასაცავად ი. ჭავჭავაძის თაოსნობით წარმოებული ბრძოლები ცარიზმის და ბურჟუაზიის კალმოსნების წინააღმდეგ, რომლებიც თავხედურად ეწეოდნენ საქართველოს ისტორიის ფალსიფიკაციას.

ამ პრობლემების გარკვევისას ავტორი ემყარება ნაციონალურ საკითხზე ლენინურ-სტალინური თეორიის დიად საფუძვლებს — კერძოდ ქართველობის ერად ჩამოყალიბების სტალინური მოძღვრების გენიალურ დებულებებს.

ი. ჭავჭავაძის და მის თანამებრძოლ ქართველ განმანათლებელთა შეხედულებანი საქართველოს ისტორიისა და ქართული ეროვნული კულტურის საკითხებზე ხასიათდებიან პროგრესული და ჰუმანური იდეებით, ხალხთა თანასწორობისა და ინტერნაციონალური სოლიდარობის შეგნებით. ილია. ქადაგებდა რა ხალხთა მეგობრობას, თავგამოდებით იბრძოდა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის და შოვინიზმის წინააღმდეგ, ესარჩლებოდა ჩაგრულ პატარა ერებს და იცავდა მათ იმპერიალისტურ დამონებისაგან. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ი. ჭავჭავაძის წერილები, სადაც იგი ილაშქრებს ოსმალ დამპყრობელთა მიერ სომეხი ხალხის განუკითხავი ხოცვა-ჟლეტის წინააღმდეგ და სხვ.

ნაშრომში მოცემულია ცდა სომეხი და ქართველი ხალხის ისტორიული მეგობრობის ზოგიერთი საკითხის ახლებურად გააზრებისა. ცნობილია, რომ ამ მეგობრობის ძირის გამოთხრას ყოველმხრივ ლამობდნენ ცარიზმის წაქეზებით აღვირახსნილი ბურჟუაზიული კალმოსნები. წიგნში მოტანილია ფაქტები და ცალკეული ეპიზოდები ქართველ და სომეხ გამანათლებელთა გაბედული ბრძოლისა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის და შოვინიზმის წინააღმდეგ, სომეხ-ქართველთა ტრადიციული მეგობრობის დაცვის მიზნით.

ი. ჭავჭავაძის შეხედულებანი საქართველოს ისტორიის საკითხებზე განუყრელადაა დაკავშირებული მის მსოფლმხედველობასთან; ამიტომ ი. ჭავჭავაძის ისტორიული ნააზრევი განიხილება მის მსოფლმხედველობასთან ორგანულ მთლიანობაში. ეს საკითხები ეხმაურებიან საბჭოთა თანადროულობის მიერ დასმულ მთელ რიგ აქტუალურ პრობლემებს, მათი სწორი შე-

ფასება ხელს შეუწყობს საბჭოთა პატრიოტიზმის კიდევ უფრო ღრმად დანერგვის დიად ამოცანებს. ი. ს ტ ა ლ ი ნ ი ს გენიალური განსაზღვრით კი „საბჭოთა პატრიოტიზმში ჰარმონიულად არის შეთავსებული ხალხთა ეროვნული ტრადიციები და საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელის საერთო სასიცოცხლო ინტერესები“.

ი. ჭავჭავაძეს მოეპოება გარკვეული შეხედულება საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციებზე, მსოფლიო ისტორიისა და კერძოდ ძველი აღმოსავლეთის ისტორიაზე, ქართველური ტომების წარმოშობის, ეთნიკურ შედგენილობის, მათი კულტურის, მეურნეობის და სახელმწიფოებრივი განვითარების უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. საქართველოს ისტორიის კვლევის მაგალითზე ილია ამჟღავნებს ისტორიის დამხმარე და მონათესავე დისციპლინების—ენათმეცნიერების, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ფოლკლორის, მითოლოგიის და სხვათა ღრმა მეცნიერულ ცოდნას და, შესანიშნავად წარმოგვიდგენს ისტორიულ-შედარებით მეთოდზე დაყრდნობით მათი გამოყენების შემოქმედებითს გზებსა და ხერხებს. ილიამ თავის დროზე წინ წასწია და გაამდიდრა მეცნიერების ეს დარგები, მტკიცე ნიადაგი შეუქმნა საქართველოს ისტორიის და ქართული ყოფის სინამდვილის ამსახველ უამრავი მაგალითების მეცნიერულად დამუშავებასა და გააზრებას.

ი. ჭავჭავაძის შეხედულებანი საქართველოს ისტორიის საკითხებზე ხასიათდებიან მეცნიერული შემოქმედებით და მებრძოლი პრინციპულობით. იგი მკაცრად დაუპირისპირდა ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდ-

რებული წარსულის რომანტიულ იდეალიზაციას, ისტორიის გამოთიშვას ხალხის აწმყო და მომავალ ცხოვრებისაგან, ე. ი. ისტორიის უსაგნობას, ისევე, როგორც რელიგიურ-იდეალისტურ და მონარქიულ-თავადაზნაურულ ყალბ ისტორიულ კონცეფციებს. ილიამ გაუსწრო თანამედროვეებს,—საქართველოს მეცნიერული ისტორიის შესამუშავებლად ჩვენს სინამდვილეში მან პირველმა აღიარა ხალხი ისტორიის შემოქმედად და ნამდვილ მეცნიერულ ისტორიად ხალხთა ისტორია გამოაცხადა; ისტორიული კვლევის საფუძვლად კი ქვეყნის ეკონომიური ძალების ისტორიის კვლევა-ძიება — საქართველოს ეკონომიური ისტორიის მეცნიერულად შესწავლა მიიჩნია. ამ დიდმნიშვნელოვანი დებულების წამოყენებით, ი. ჭავჭავაძემ მანამდე უცნობი თვალსაზრისი განავითარა საქართველოს ისტორიაზე და ქართულ ისტორიოგრაფიულ აზროვნებაში იმ დროს ახალი ეტაპის შემქმნელად მოგვევლინა.

ნაშრომის უკანასკნელი თავი შეეხება ი. ჭავჭავაძის შეხედულებებს საქართველოს ეკონომიური ისტორიის საკითხებზე. ამ თავში გადმოცემულია, თუ როგორ ჰქონდა ი. ჭავჭავაძეს წარმოდგენილი ძველი საქართველოს ეკონომიური წყობა, როგორ და რა საფუძველზე ფიქრობდა დიდი ქართველი მოაზროვნე ძველი საქართველოს ისტორიულ გამოცდილებათა მომარჯვებით ძირითადი სოციალური წინააღმდეგობების გადაჭრას 80-იან წლებში, რა გზებს სახავდა იგი საამისოდ და რამდენად მცდარი იყო ეს გზები. აქ ისევე, როგორც წინა თავებში, ავტორი კრიტიკულად განიხილავს ი. ჭავჭავაძის შეხედულებებს და არკვევს ჩვენი

ქვეყნის მაშინდელი რეალური მდგომარეობის წინააღმ-
დეგობათა ნამდვილ საფუძვლებს.

წინამდებარე ნაშრომი განსვენებული აკადემიკოსის
ივ. ჯავახიშვილის მიერ თავის დროზე განხილული იყო
და დასაბეჭდათაც რეკომენდირებული; რადგან ნაშრომის
გამოცემა დაგვიანდა, ამ ხნის განმავლობაში მასზე მუშა-
ობა არ შეწყვეტილა და რიგი თავები და ცალკე საკითხე-
ბი გადამუშავდა, დაზუსტდა, ზოგიც ახლად დაი-
წერა; მიუხედავად ამისა ნაშრომმა თავისი პირვანდე-
ლი სახე ძირითადად შეინარჩუნა. მონოგრაფიულ ნარ-
კვევში აღძრული პრობლემები ქართული ისტორიოგრა-
ფიის მრავალ აქტუალურ საკითხს შეეხება. წინამდებარე
ნაშრომი ამ პრობლემების დაყენებისა და გარკვევის
ცდას წარმოადგენს.

თავი პირველი

ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია

„ვფიქრობ და დარწმუნებული ვარ მბოლოდ, რომ ვინც მომავალში ქართული ისტორიოგრაფიის თავგადასავალის მე-19 ს. ამბების შესწავლას და აღწერას შეუდგება, ის ვალდებული იქნება ისიც აღნიშნოს, რომ ილია ჭავჭავაძე დიდებული იყო მარტო პოეზიასა და პუბლიცისტიკაში კი არა, არამედ რომ საქართველოს ისტორიოგრაფიაშიაც მას ისეთი ღვაწლი ჰქონდა, რომლის დავიწყების უფლება არც ერთს ქართველს არა აქვს“ [1].

აკად. ივ. ჯავახიშვილი

ილია ჭავჭავაძეს, მართალია, არ დაუწერია საქართველოს ისტორიის სისტემატური კურსი, ისევე როგორც მას არასოდეს არ გაუხდია საქართველოს ისტორიის რომელიმე პერიოდი თავისი სპეციალური კვლევა-ძიების საგნად [2], მაგრამ ილიას მოეპოვება რიგი წერილებისა და

---

[1] ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია. თბილისი, 1938 წ., გვ. 16.

[2] მრავალმხრივი და მგზნებარე მოღვაწეობა ილია ჭავჭავაძეს ამის საშუალებას არასოდეს არ აძლევდა. მეორეც ის, რომ ილია თავის მოწოდებას და დანიშნულებას უფრო სავა დარგში ხედავდა. ცნობილია, რომ ილია არ სთვლიდა თავს ისტორიკოსად. საფიქრებელია, რომ ილიას მისი დარბაისლური სიდინჯე და თავმდაბლობა უკარნახებდა ამ.ს. ჩვენ ქვემოთ დაერწმუნდებით, რომ ილია არა მარტო დიდი სპეციალისტია საქართველოს ისტორიისა, არამედ დიდი როლიც ითამაშა საქართველოში ისტორიული აზროვნების განვითარების საქმეში.

აგრეთვე პოლემიკური ხასიათის ცალკე შრომები საქართველოს ისტორიის საკითხებზე, სადაც მოცემულია საფუძვლიანი ანალიზი ჩვენი ისტორიის საკვანძო პრობლემებისა; ილიას ნააზრევს ამ მიმართულებით დღესაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ისტორიის მრავალსაუკუნოვანი გმირული ისტორიის შესწავლისა და საბჭოთა პატრიოტიზმის განმტკიცებისათვის.

ილია მისთვის დამახასიათებელი სიღრმითა და მეცნიერული მრავალმხრივობით აყალიბებს თავის მოსაზრებებს საქართველოს ისტორიის როგორც ცალკე პერიოდების დამახასიათებელ ისტორიულ მოვლენებზე, ისე ჩვენი ქვეყნის ისტორიული განვითარების საერთო გზებზე; იგი ასევე ღრმა ცოდნას იჩენს საქართველოს ისტორიული პიროვნებების ნაღვაწთა დახასიათებისა და ისტორიული წყაროებისადმი მეცნიერულ-კრიტიკული დამოკიდებულების დროს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მებრძოლი შემოქმედებითი ხასიათი და ზედმიწევნით გეგმიანი ინიციატივა, რასაც ილია ამჟღავნებს საქართველოს ისტორიის როგორც ძირითადი პრობლემების შესწავლისას, ასევე საქართველოს ისტორიის წყაროების—დოკუმენტური წერილობითი ძეგლების, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალების—მეცნიერული მკაცრი მეთოდური პრინციპებით შეგროვება-დამუშავების ორგანიზაციისა და მათი კრიტიკული გამოყენების საქმეში.

უდავოა, რომ ილია ჭავჭავაძეს თავისი დროის კვალობაზე მრავალი ახალი მოსაზრება აქვს გამოთქმული საქართველოს ისტორიის მეტად აქტუალურ პრობლემებზე.

იგი ასევე დაუღალავი ინიციატორია ჩვენი ისტორიის წყაროების გამოვლინებისა და დაცვის საქმეში. ეს გარემოება უაღრესად საყურადღებო და ანგარიშგასაწევია დიდი მოაზროვნის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ლიტერატურული მემკვიდრეობის მეცნიერული შესწავლის დროს; იგი მეტად საინტერესოა საქართველოს ისტორიული აზროვნების განვითარების ისტორიის მეცნიერულად შესწავლის თვალსაზრისითაც.

1. ხალხი—ისტორიის შემოქმედი

(ისტორიული წყაროებისადმი კრიტიკული დამოკიდებულების გამო)

ილიას შეხედულებით ისტორიის შემოქმედი ხალხია; იგი მონდომებით ეძებს ხალხს ისტორიაში და, კერძოდ, საქართველოს ისტორიულ წყაროებში. ამას ადასტურებს ილიას პირადი წერილი დავით ერისთავისადმი, სადაც კრიტიკულად განწყობილი ილია, სხვათა შორის, გულისტკივილით წერს: „ჩ ვ ე ნ ი ი ს ტ ო რ ი ა ... მ ა რ ტ ო ო მ ე ბ ი ს ა დ ა მ ე ფ ე ე ბ ი ს ი ს ტ ო რ ი ა ა, ე რ ი ა რ ს ა- დ ა ს ჩ ა ნ ს. მ ე კ ი ი ს ე თ ი ა გ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ა დ ა მ ი ა ნ ი ვ ა რ, რ ო მ მ ე ფ ე ე ბ ი ს ა დ ა ო მ ე ბ ი ს ს ა ხ ე ა რ მ ი- ზ ი დ ა ვ ს ხ ო ლ მ ე. ს ა ქ მ ე ხ ა ლ ხ ი ა, დ ა ხ ა ლ ხ ი კ ი ჩ ვ ე ნ ს ი ს ტ ო რ ი ა შ ი ა რ ა ს ჩ ა ნ ს[1]“ (კურსივი ჩვენია. ა. ი.).

1880 წ. დაწერილ წერილში „ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ“ ილია განმეორებით შეეხო ამ საკითხს და უფრო მკვეთრად გამოთქვა თავისი შეხედულება. იგი წერს: „ჩვენის ხალხისა და ქვეყნის ისტო-

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ნაწერების სრ. კრებული, ტ. I, გვ. 372. პ. ინგოროყვას და ალ. აბაშელის რედაქციით. თბილისი, „ქართული წიგნის“ გამომცემლობა.

რია მეტად ბნელია და შეუმუშავებელი. ჩვენს ისტორიაში ან სულ არ არის ფაქტები, და თუ არის კანტი-კუნტად სადმე, ისიც მეტად საეჭვოა. ჩვენ ვამბობთ მარტო იმისთანა ფაქტების თაობაზე, რომელშიაც ერთობ ხალხი იჩენს თავის-თავს, თავის თვისებასა, თავის მონაწილეობასა ისტორიაში. ერთი სიტყვით, ჩვენის შიდა-ცხოვრების ისტორია ჯერ ფარდა-აუხდელია და უცნობია ჩვენგან.

ჩ ვ ე ნ ი „ქ ა რ თ ლ ი ს-ც ხ ო ვ რ ე ბ ა“ ხ ა ლ ხ ი ს ის ტ ო რ ი ა კ ი ა რ ა რ ი ს, მ ე ფ ე თ ა ის ტ ო რ ი ა ა, ხ ა ლ ხ ი კ ი, რ ო გ ო რ ც მ ო მ ქ მ ე დ ი პ ი რ ი ის ტ ო რ ი ი ს ა, ჩ რ დ ი ლ შ ი ა მ ი ყ უ ნ ებ უ ლ ი... თ ი თ ო ნ მ ე ფ ე თ ა მ ო ქ მ ე დ ებ ა ც ნ ა ჩ ვ ე ნ ებ ი ა ს ა გ ა რ ე ო ს ა ქ მ ე თ ა შ ე ს ა ხ ებ დ ა ა რ ა შ ე ს ა ხ ებ შ ი დ ა-ს ა ქ მ ე თ ა“[1]. ამ განმარტებიდან ნათლად ჩანს ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულება საქართველოს ისტორიის და საერთოდ ისტორიის უაღრესად პრინციპული საკითხისადმი,—ხალხის, მასების, როგორც „მომქმედი პირის“ ჩვენებისადმი ისტორიულ წყაროებში. საქართველოს ისტორიის წყაროებისადმი ილიას კრიტიკული მიდგომა არსებითად ესოდენ სწორი თვალსაზრისითაა შემუშავებული[2].

---

[1] გაზეთი „დროება“, 1880 წლის № 25, მეთაური წერილი.

[2] გარკვევისათვის უნდა აღინიშნოს, რომ ეს შეხედულება კერძოდ „ქართლის ცხოვრებაზე“, როგორც საქართველოს ისტორიის ღირსშესანიშნავ წყაროზე, ილიას შემდეგომ უნდა შეცვლოდა; პატკანოვის წინააღმდეგ, მაგალითად, იგი იმოწმებს ევროპის ცნობილ მეცნიერ ორიენტალისტებს და წერს: „ჟან-სენ-მარტენი, დიუბუა-დე-მონპერე ცხად-დ და გარკვევით არ ამბობენ, რომ ქართული ისტორიული მოთხრობანი (უმთავრესად „ქართლის ცხოვრება“. ა. ი.) ღირსშესანიშნავი წყარონი არიან არა მარტო კავკასიისა, არამედ

ამრიგად, ილია ჭავჭავაძის მოსაზრებით, ხალხია ისტორიის შემოქმედი, ამიტომ ჭეშმარიტი ისტორია და ისტორიული წყაროები ხალხის რეალურ ცხოვრებას, ხალხის მოქმედებას, ხალხის ზრახვას, განცდებსა და მისწრაფებებს უნდა ასახავდნენ. აი ისტორიული მეცნიერების დანიშნულება, მისი საგანი და ისტორიული წყაროების ილიასებური გაგება-გააზრება.

ილია ჭავჭავაძის ამგვარი შეხედულება საქართველოს ისტორიაზე არსებითად დაპირისპირებულია ისტორიული პროცესის ისეთს გაგებასთან, რომელსაც იზიარებდნენ ჩვენში ილია ჭავჭავაძემდე და ილიას თანამედროვე ისტორიკოსები. ილია იძლევა ისტორიული წყაროებისა და ისტორიული რეალური პროცესის პრინციპულად ახლებურ გაგებას; მან იცის, რომ ისტორიული პროცესის სწორად გაგებისათვის ისეთი წყაროებით, რომლებშიაც მეფეების ისტორიაა მხოლოდ გადმოცემული, შორს ვერ წავალთ. ილიას რწმენით საჭიროა ფაქტები, „რომელშიაც ერთობ ხალხი იჩენს თავის თავს, თავის თვისებასა, თავის მონაწილეობასა ისტორიაში". „ქართლის ცხოვრებას" ილია პირდაპირ უსაყვედურებს, რომ იქ „ხ ა ლ ხ ი კ ი, რ ო გ ო რ ც მ ო მ ქ მ ე დ ი პ ი რ ი ი ს ტ ო რ ი ი ს ა, ჩ რ დ ი ლ შ ი ა მ ი ყ ე ნ ებ უ ლ ი". განა ცხადი არ არის, რომ ილია ამ მითითებით კარდინალურ გადატრიალებას ახდენს საქართველოს ისტო-

---

აზიის ისტორიისათვისაცო" (იხ. ილია ჭავჭავაძე. „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი", „ივერიის" რედაქციის გამოცემა, 1899 წ. გვ. 8). ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ილია ჭავჭავაძემ „ქართლის ცხოვრებაზე" თავისი ადრინდელი რამდენამდე ნეგაციური, შეხედულება შემდგომ შეიცვალა.

რიის წყაროებისადმი ტრადიციულ დამოკიდებულება-გაგებაში და ჩვენი ისტორიოგრაფიული აზროვნების მაშინდელ ეტაპზე გვეევლინება საქართველოს ისტორიული პროცესის გაგებისა და მისი მეცნიერული კვლევის ახალ მესიტყვედ? აქ ორი აზრი შეუძლებელია.

2. საქართველოს ისტორიისათვის საჭირო წყაროების მოპოვებისა და სამეცნიერო მიზნებით მათი გამოყენების მეთოდები.

I

ილია ჭავჭავაძის მკაცრი კრიტიკული დამოკიდებულება „ქართლის ცხოვრებისა“ და მსგავსი სხვა ისტორიული წყაროებისადმი, როგორც დავრწმუნდით, იმითაა გამოწვეული, რომ ხალხი, ერი, რომელიც უმთავრესი „მომქმედი პირია ისტორიისა“, ამ წყაროებში ნაკლებ ან სრულებით არ ჩანს და „ჩრდილშია მიყენებული“.

ილია, იჩენდა რა ასეთ დამოკიდებულებას „ქართლის ცხოვრებისა“ და მსგავსი ოფიციალური ისტორიოგრაფიული წყაროებისადმი, უიმედობას ერთი წუთითაც კი არ ეძლეოდა და საქართველოს ისტორიისათვის უფრო საჭირო და სანდო წყაროების მიკვლევის ღრმა რწმენას გამოთქვამდა. იგი უშუალოდ თაოსნობდა ეროვნული მნიშვნელობის ყველა იმ სამეცნიერო ახალ წამოწყებას, რომელიც მოწოდებული იყო შეეკრიბა ხალხში, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ისტორიული მნიშვნელობის სხვადასხვა მასალა—ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის დარგებიდან; შეეგროვებინა ქართული ხელნაწერი ძეგლები—სიგელ-გუჯრები, ხელნაწერი წიგნები და არქეოლოგიური მნიშვნელობის საგნები როგორც

დაწესებულებებისა და ეკლესია-მონასტრებისაგან, ასევე კერძო პირთაგან.

ილიამ შესანიშნავად იცოდა და ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი, თუ რა ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს სოციალ-ეკონომიური ვითარების ამსახველ სწორედ ამგვარი ხასიათის მასალებს, წერილობით წყაროებს—ძეგლებს და დოკუმენტებს—საქართველოს ისტორიის მეცნიერულად აღდგენისათვის, ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ნათლად გააზრებისათვის.

ასეთ გადაუდებელ და ფრიად საჭირო სამუშაოთა უახლოეს პერიოდში განსახორციელებლად ილია ჭავჭავაძე სამ გზას სახავდა: 1. ისტორიულ-წერილობითი ძეგლების შეგროვებას, 2. ფოლკლორული, ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მასალების მოპოვება-შეგროვებას და 3. ისტორიული მუზეუმის დაარსებით ამ მასალათა დაცვა-გამოყენებას. ამ შესანიშნავი პროგრამის პირველი მუხლის განხორციელებას ისახავდა მიზნად ილია ჭავჭავაძის მიერ 1886 წ. დაწერილი სტატია—„ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ძ ვ ე ლ ი ი ს ტ ო რ ი ი ს ა და მ წ ე რ ლ ო ბ ი ს გ ა ნ ძ ი“. (ძველ-ქართულ ხელნაწერთა და სიგელ-გუჯართა აღწერის საჭიროებაზე)[1]. შევჩერდეთ ამ წერილის მნიშვნელობაზე.

ილია ამ წერილში უაღრესად აქტუალურ, გადაუდებელ ამოცანად მიიჩნევს საისტორიო მნიშვნელობის ყოველგვარი წერილობითი ძეგლების, დოკუმენტებისა და სიგელ-გუჯრების გამოვლინებას, შეგროვებას, აღრიცხვას და იმათ საიმედოდ დაცვას. ამ საშუალებით „ჩვენი ის-

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. თხზულებანი, ტ. II, გვ. 505—506. პ. ინგოროყვას რედაქციით. საბჭოთა წიგნი გამომცემლობა, 1941 წ.

ტორია ჯერ კრიტიკის ცეცხლში არ გატარებული და არ გადახალისებული,—წერს ილია,—ბევრს საბუთს და მოწმობას მოიპოვებდა მრავლის ბნელი ადგილების შუქ-მოსაფენად"[1].

იმის საილუსტრაციოდ, თუ რა დიდი შესაძლებლობანი არსებობდა ამ მიმართულებით მაშინ საქართველოში, ილიას მოჰყავს დავით გარეჯის მონასტრის მაგალითი და წერს: „ჯერ მარტო დავით-გარეჯის მონასტერში ასზედ მეტი წიგნი აღმოჩენილა, და მათ შორის ზოგი იმისთანაა თავისის სიძველით, რომ ფასდაუდებელია. რამდენი სხვა ამისთანა მონასტერია ჩვენს ქვეყანაში და რამდენი წიგნი უნდა აღმოჩნდეს ამ მონასტრებში, ვინ მოსთვლის"[2].

ილია აქვე, ამ წერილში სახავს მეთოდებს და ძირითად სახელმძღვანელო პრინციპებს, რომელთა საფუძველზედაც უნდა მომბდარიყო ამ ხელნაწერ-წიგნთა და სიგელ-გუჯართა კატალოგების შედგენა და რეგისტრირება. ილიას მითითებით, აუცილებლად საჭიროა, რომ „ამ ძვირფასის განძის სიები, კატალოგები შესდგეს, თვითეულად აღნუსხულ იქმნას, რა წიგნია, ვისგან არის შედგენილი, რა დროს ეკუთვნის, რა ზედწარწერანი აქვს და მებრვე სხვა"[3].

ილია ყველა იმათ, ვისაც კი მაშინ შეეძლო რაიმე წვლილი შეეტანა ამ უაღრესად კეთილშობილურ პატრიოტულ წამოწყებაში, გულმხურვალედ მიმართავს დახმარებისათვის და წერს: „გვერწმუნონ, რომ ეს დიდი და სასახელო საქმეა, დიდს და სასახელო სამსახურს

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. II, გვ. 505.
[2] იქვე.
[3] იქვე.

გაუწევენ ამით ჩვენს ქვეყანას და თვით მეცნიერებასაც"[1].

ილიას ამასთანავე საჭიროდ მიაჩნია აღრიცხვა ყველა იმ ისტორიული მნიშვნელობის საბუთებისა და საოჯახო წიგნებისა, რომლებიც მაშინ საკმაოდ მოიპოვებოდა ზოგიერთ ფეოდალურ ოჯახში და სხვა კერძო პირების ხელში; ამ ისტორიული მნიშვნელობის ყოველგვარი დოკუმენტის აღრიცხვას, მათი სიის შედგენასა და გაზეთებში დაბეჭდვას მიზანშეწონილ, ერთადერთ მისაწვდომ ღონისძიებად თვლიდა ილია იმ ეტაპზე. „გამოარკვიონ სად და ვისთან ეგულებათ ქართული ხელნაწერი წიგნები, გუჯრები, სიგელები, და თუ ხელი მიუწვდებათ, ყოველივე ამის სიას შეადგენენ... ჩვენი გაზეთი ყოველთვის მზად იქნება დაბეჭდოს ყოველივე, რასაც ამ საგანზედ ვინმე მოაწვდის რასმე"[2].

ამას წერდა ილია 1886 წელს, იმ პერიოდში, როცა ცარიზმი სდევნიდა და ხელაღებით სპობდა ყოველივე ქართულ, ეროვნული მნიშვნელობის ისტორიულ ძეგლსა და საგანმანათლებლო ნაციონალურ წამოწყებას, როცა ილუპებოდა უამრავი ისტორიული საბუთი და სხვ.

ილიას ეს წერილი ახალი ეტაპის შემქმნელი ძვირფასი დოკუმენტია არა მარტო ქართული ისტორიული საბუთების დაღუპვისაგან გადარჩენისა და შეგროვება-დაცვის საქმეში, არაშედ ამ საბუთების სავსებით სწორი და ღრმა მეცნიერული თვალსაზრისით შეფასებისა და გამოყენების საქმეშიც დასტურდება, რომ ილიას კარგად ჰქონდა შეგნებული ამგვარი ხასიათის დოკუმენტების დიდი და ფასდაუდებელი მნიშვნელობა ერის, ხალ-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. II, გვ. 505.

[2] იქვე.

ხის—როგორც ისტორიის უმთავრესი მოქმედი პირის—დამსახურების, დიდი ისტორიული როლის და ჭეშმარიტ საქმიანობათა გამოსაძიებლად.

იმ მიზნით, რომ გამრავლებულიყო ქართული ისტორიული ხასიათის მასალები და წყაროები, სადაც ხალხი და „ხალხის შიდა ცხოვრება“ იქნებოდა მოცემული, ილია ზემოაღნიშნული მოწოდება-მითითებებით არ შემოიფარგლა.

II

ერთი წლის შემდეგ, დღიდან ზემოთ განხილული სტატიის გამოსვლისა (იგულისხმება „საქართველოს ძველი ისტორიისა და მწერლობის განძი“), ილია მოგვევლინა მეორე ასევე საპროგრამო წერილით—„ხალხის ზნეჩვეულების შესწავლის შესახებ“. ამ წერილში ილიამ დასახა ფართო და ნათელი გზები, ვრცელი და დიადი ამოცანები, რომლის საფუძველზედაც მეცნიერული ყოველმხრივობით უნდა წარმართულიყო შესწავლა ქართველი ხალხის ზნე-ჩვეულებათა, ადათების და სოციალ-ეკონომიური, იურიდიული და სხვა ყოფითი მოვლენებისა[1].

ილია დიდი სიფრთხილით შემუშავებული, გეგმაშეზომილი, ვრცელი პროგრამითა და პასუხისმგებლობით უდგება ხალხის ზნე-ჩვეულების შესწავლის საქმეს. იგი წუნს სდებს და ნაკლულად მიიჩნევს მიმართულებას მაშინდელი ჩვენი ინტელიგენციისას, რომელმაც „ხელი მოჰკიდა ნარტოდ მარტო სახალხო პოეზიის შეკრებას“. „ეს საკმაო არ არის“,—ამბობს ილია,—რადგან „მარტო პოეზიის მიხედვით დასკვნა და მსჯელობა ხალხის ცხოვრების საჭიროებაზედ...

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. II, გვ. 502—504.

შეცდომა იქნება... ხალხის ცხოვრება ყოველმხრივ და ჰარმონიულად უნდა შევისწავლოთ"[1],—მიუთითებს იგი.

ილია ჭავჭავაძის აზრით ხალხურ პოეზიასთან ერთად საჭიროა შევისწავლოთ „ხალხის ჩვეულებანი, რომელნიც შეეხებიან ეკონომიურსა და იურიდიულს ცხოვრებას"[2].

ილიას შეხედულებით ხალხს „თავისი საკუთარი—ეკონომიური წესწყობილება და იურიდიული ჩვეულებანი აქვს, რომლითაც ხელმძღვანელობს, როცა საჭიროება ამას მოითხოვს. მამულის გაყიდვა და დაგირავება, საქონლის გაბარება მოსაშენებლად, ურთიერთშორის აღებ-მიცემობა, სხვადასხვა მცირე დანაშაულობის გასამართლება და ათასი ამგვარი მოვლენა—სულ ხალხის ჩვეულების ძალით სწარმოებს, ხალხის ადათზეა დაფუძნებული და ამ ადათს ემორჩილება"[3].

ამრიგად, მოტანილი ადგილებიდან ნათლად ჩანს ილიას დამოკიდებულება ხალხური პოეზიის შესწავლისადმი და, გარდა ამისა, საჭიროება ხალხური ზნე-ჩვეულებებიდან იმგვარი ხასიათის მასალების საგანგებოდ შესწავლა-შეგროვებისა, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია ხალხის იურიდიულ, ეკონომიურ, ადათობრივ ჩვევებთან.

წინამდებარე ნაშრომის მესამე თავში ჩვენ დავრწმუნდებით, რომ ილია უდიდესი გულისხმიერებით თვით ახდენდა უშუალო დაკვირვება-შესწავლას ხალხის იურიდიულ-ეკონომიურ ადათობრივ ჩვეულებისას, ვინაიდან ამ ადათობრივ ჩვეულებებში ილია უმეტესად ხედავდა ეროვნული მთლიანობის დამახასიათებელ ყოფით ნიშნებს. ამიტომ ამისი ცოდნა ილიას განსაკუთრებით ესაჭიროე-

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. II, გვ. 503.
[2] იქვე, გვ. 502.
[3] იქვე, გვ. 502.

ბოდა საკუთარ შეხედულებათა პრაქტიკულად განხორციელებისათვის, ეროვნული მთლიანობის აღსადგენად; ეს უკანასკნელი კი შესაძლებლად მიაჩნდა ხალხის ზნე-ჩვეულებებში შემონახულ კარგი ჩვევების აღდგენით, ცალკეული რეფორმების შემოღება-განხორციელებით. ამ გზითაც მიაჩნდა ილიას შესაძლებლ დ გამწვავებულ წოდებრივ წინააღმდეგობათა გადაწყვეტა და ეროვნული მთლიანობის აღდგენა.

მაგრამ ილია ხალხის ზნე-ჩვეულებებზე დაკვირვებას და მათ საფუძვლიან შესწავლას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა საქართველოს ისტორიის მეცნიერულად შესწავლისათვის, ძველ-ქართული სიგელ-გუჯრებისა და სხვა სახის წერილობითი დოკუმენტური მასალის გვერდით; ვინაიდან, როგორც ითქვა, საქართველოს მეცნიერული ისტორია ილია ჭავჭავაძეს წარმოდგენილი ჰქონდა არა როგორც მეფეთა ისტორია, დიპლომატიურ საგარეო ურთიერთობათა და ომების ისტორია, არამედ როგორც ჩვენი ქვეყნის „შიდა ცხოვრების" ისტორია,— ერის, ხალხის ისტორია, ხალხისა, რომელიც ისტორიის ნამდვილად შემოქმედი ძალაა.

ილია გარკვევით მიუთითებს, რომ იქ, „სადაც მდაბიო ხალხის ცხოვრების შესწავლა ნამდვილ გზაზედ არის დაყენებული, სადაც შეგნებული აქვთ, თუ რა საუნჯეა დარჩენილი სხვადასხვა ჩვეულებებში, იქ მდაბიო ხალხის ყოველგვარ ჩვეულებას, ცხოვრების ყოველგვარ საგანს ჯეროვანს ყურადღებას აქცევენ და გამოუკვლეველს არაფერს არ სტოვებენ"[1].

ასეთია მოკლედ ილია ჭავჭავაძის საპროგრამო გეგმა, რომლის მიხედვითაც ხალხის ზნე-ჩვეულების შესწავლას

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. II გვ. 503.

უნდა ჩაჰყროდა საფუძველი საქართველოში. ამით არსებითად ილიამ დასახა ის გეზი, რომელსაც უნდა გაჰყოლოდა საქართველოში ეთნოგრაფიულ და ფოლკლორულ მეცნიერებათა განვითარება; ვიწრო შემზღუდველი ჩარჩოები, რომელიც მანამდე გაბატონებული იყო ამ დარგში, ილიამ დაარღვია და ფართო გზა გაუხსნა ზემოხსენებულ მეცნიერებათა განვითარებას.

ამრიგად, ილია ჭავჭავაძე უაღრესად დაინტერესებულია ხალხური შემოქმედების ყველა დარგით და მათ საფუძვლიან შესწავლას და ყოველმხრივ გაძოვლინებას მოითხოვს. ქართველი ხალხის ადათ-ჩვეულებში, ხალხური შემოქმედების ყველა დარგში, ხალხურ პოეზიაში, გადმოცემებში, თქმულებებში, ანდაზებსა და გამოცანებში ილია ამჩნევს, გრძნობს და განიცდის ძველ საქართველოში რეალურად არსებულ ხალხური ყოფითი მოვლენების გადმონაშთს, ხალხურ სიბრძნეს, საუკუნეების მანძილზე შემუშავებულს, გამოწრთობილს და ცხოვრებით შემოწმებულს. ილია თავისი ყურადღების სფეროდან ამ მიმართულებით ქართული ხალხური მუსიკის საკითხებსაც კი არ უშვებს. 1886 წ. დაწერილ სპეციალურ წერილში— „ქართული ხალხური მუსიკა“, იგი ხალხური მუსიკის მნიშვნელობის, მისი შესწავლის და რაობის კარდინალურ პრობლემებს ეხება[1].

ილია უაღრესად დაინტერესებული იყო არქეოლოგიური მეცნიერებით. 18 1 წ. სექტემბერში თბილისში შემდგარ სრულიად რუსეთის მე-5 არქეოლოგიურ ყრილობას ილია აღფრთოვანებით მიესალმა და სპეციალური წერილი მიუძღვნა მას, სადაც წერს: „დღეს ჩვენს დედაქალაქში არქეოლოგიური კრებაა გამართული. რვას ამ თვეს პირვე-

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. II, გვ. 130—134.

ლი სხდომა იყო. ეს პირველი მაგალითია ჩვენს ისტორიაში, რომ ჩვენი დედაქალაქი ტფილისი ღირსი გახდა მეცნიერთა კრებისა. განსაკუთრებით შესანიშნავი ეს არის, რომ არც სხვა ქალაქში რუსეთში, საცა-კი ამგვარი კრება ყოფილა, ამოდენა ხალხი არ შეყრილა კრებაზე, როგორც აქ. ტფილისში, შეიყარა. შვიდასი კაცი მეტი დაესწრო, მაშინ როდესაც ამისთანა კრებაზედვე ყაზანში და კიევში ორასზედ მეტი არ დასწრებულა. ეს მით უფრო საკვირველია, რომ ყაზანსა და კიევში უნივერსიტეტებია და, მაშასადამე, უფრო დიდძალი ხალხი უნდა დასწრებოდა"[1].

ილია საფუძვლიანად იცნობდა არქეოლოგიურ მეცნიერების უკანასკნელ მიღწევებს. მას შესანიშნავად ეხერხებოდა არქეოლოგიურ მონაპოვართა მეცნიერულად გამოყენება და გააზრება. ამ უკანასკნელის შესახებ ნათელ წარმოდგენას იძლევა ილიას გალაშქრების ერთი მომენტი ივ. ჯაბადარის წინააღმდეგ. ცნობილია, რომ ბაიერნმა მცხეთაში წარმოებულ არქეოლოგიური გათხრების შედეგებზე ზერელე და მეცნიერებისათვის ყოვლად შეუწყნარებელი კონცეფცია შეიმუშავა. ივ. ჯაბადარმა კი ხელაღებით გაიზიარა ბაიერნის ეს ანტიმეცნიერული დასკვნები. ამ საკითხს სპეციალურად ქვემოთ შევეხებით.

III

ილიას ამ საპროგრამო სახელმძღვანელო მითითებებმა საქართველოს ისტორიის, წერილობითი და ნივთიერი წყაროების, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ შემოქმედებითი სხვა მასალების შეგროვების შესახებ მოსახლეობაში გარკვეული გამოხმაურება გამოიწვია. ამიერიდან ხალხ-

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. VI, გვ. 152—153.

ში შეუდარებლად გაიზარდა შეგნება და პასუხისმგებლობა ამ ბიმართულებით. აღმოცენდნენ საქართველოს სიძველეთმოყვარულთა მცირე პატრიოტული ჯგუფები, გაჩნდნენ ცალკეული ენთუზიასტები ხალხის ქვედა ფენებიდან. შემთხვევით მოვლენად არ ჩაითვლება ის ფაქტი, რომ სულ მალე ილიას ამ წერილების გამოქვეყნებიდან მომწიფდა საზოგადოებრივი აზრი მუზეუმის დაარსების შესახებ და 1889 წელს ეს მუზეუმი დაარსდა კიდეც.

ილია ჭავჭავაძე აღტაცებით აღსავსე სპეციალურ წერილს მიუძღვნის ჩვენი ხალხის ცხოვრებაში მომხდარ ამ შესანიშნავ ფაქტს, სათაურით: „საისტორიო მუზეუმის დაარსების შესახებ"[1], სადაც წერს: „ვინ არ იცის... რა დიდძალი გუჯრები, სიგელები და სხვა წერილები უადგილო ადგილს ყრია აქა-იქ უპატრონოდ, მოუვლელად; რამდენი ამისთანა განძი ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და არქეოლოგიისა გამოუყენებლად არის მიმალული და დროთა განმავლობაში რამდენი იკარგება, ფუჭდება და იღუპება. ეხლა კი, რაკი მუზეუმი არის, ყოველი ის ერთს ადგილას თავს მოიყრის და ვინ იცის, ამ კაი ადგილას... ერთად თავმოყრილმა ძველმა ნაშთმა რამდენი ახალი საბუთი მისცეს ჩვენს ისტორიასა და ჩვენის ისტორიის მაძიებელთა და მკვლევართა"[2].

საეკლესიო მუზეუმის დაარსება ქართველ მოღვაწეთა დიდ გამარჯვებასა და სამაგალითო მიღწევას წარმოადგენდა ცარიზმის პირობებში. ზემოდასახელებული სამი ღირსშესანიშნავი ღონისძიება, ისევე როგორც

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. II, გვ. 507—508.
[2] იქვე, გვ. 507.

ქართული სკოლების გახსნა, წერა-კითხვის ხალხში შეტანა, ფაქტიურად ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მცდელობით ტარდებოდა ჩვენს ცხოვრებაში, რასაც უშუალოდ აგრეთვე ილია ჭავჭავაძე მეთაურობდა. ილია იყო ყველა ამ ეროვნულ-პროგრესულ და სამეცნიერო წამოწყებათა იდეური და ორგანიზაციული სულისჩამდგმელი.

„ჩვენი ქვეყანა,—წერს ილია,—სავსეა ყოველგვარის ძველის ნაშთითა, და თუ დღეს ამას არა ვხედავთ, იმისი ბრალია, რომ არ ვიცით სად რა არის და ვის რა აქვს“[1].

ილია ამასთან დაკავშირებით ნათლად და გარკვევით განსაზღვრავს საისტორიო მუზეუმის ამოცანებს, მიზნებს და როლს, რომელიც ეკისრებოდა მას ჩვენი საისტორიო მეცნიერების აღორძინება-დაწინაურების საქმეში.

ილიას თაოსნობით საძირკველჩაყრილი ეს ეროვნული სამეცნიერო წამოწყებანი მიზნად ისახავდნენ საქართველოს ისტორიის, ქართული ეროვნული კულტურის ისტორიის შესწავლას, მის განახლებულ სამეცნიერო-საკვლევაძიებო ფართო გზაზე გამოყვანას, საქართველოს საისტორიო მეცნიერებისათვის იმგვარი ხასიათის წერილობითი წყაროების, დოკუმენტების და მასალების დაძებნა-შეგროვებას, რომელშიაც ერის, ხალხის ისტორია იქნებოდა ასახული. ამიერიდან მოხდებოდა ამ წყაროების თავმოყრა, მათი აღწერა, დამუშავება ახლად დაარსებულ საისტორიო მუზეუმში და ამ გზით უკანასკნელი იქცეოდა ძირითად სამეცნიერო ბაზად ქართველი ხალხის ჭეშმარიტ-მეცნიერული ისტორიის შესამუშავებლად[2].

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. II, გვ. 508.

[2] ი. ჭავჭავაძემ იმიტომ შეძლო წარმატებით გადაწყვეტა ყველა ამ ამოცანისა, რომ მას გვერდში უდგნენ ღირსეული თანამებრძოლები; ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ისტორიკოსი დ. ბაქრაძის ღვაწლი.

ილია ჭავჭავაძის ამ მოქმედებას დიდი შედეგები მოყვა: ილიას ნაამაგარი ამ დარგში საფუძვლად დაედო საქართველოს სამეცნიერო-კულტურულ წინსვლას და ანდერძად გადმოეცა მადლიერ შთამომავლობას, როგორც მოქმედების სახელმძღვანელო.

3. ისტორიის მნიშვნელობა ერისათვის

ილია ჭავჭავაძის შეხედულებანი საქართველოს ისტორიის საკითხებზე ორგანულად დაკავშირებულია მის ფთლიან მსოფლმხედველობასთან, იდეოლოგიასთან და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ერთიან პროგრამასთან; ილიას ისტორიული შეხედულებანი საქართველოს ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობას ეხმაურება და მუდამ ეროვნულ საკითხთან დაკავშირებითაა განხილული. ილიას ისტორიულ შეხედულებათა ქვაკუთხედი, მისი ამოსავალი წერტილი ერის აწმყო და მისი უკეთესი მომავალია.

„რა არის ისტორია?—კითხულობს ილია ჭავჭავაძე,—იგია მთხრობელი იმისი თუ—რანი ვიყავით, რანი ვართ და რად ხესაძლოა ვიყვნეთ კვლავადაც. ისტორია თავის გულის-ფიცარსედ იჭდევს მარტო სულისა და გულის მოძრაობას ერისას და ამ დაჭდევითა, როგორც სარკე, გვაჩვენებს იმ ღონეს და საგზალს, რომელიც მომადლებული აქვს ამა თუ იმ ერსა დღეგრძელობისათვის და გაძლიერებისათვის[1]“ —უპასუხებს იგი. ილიას ამ განმარტებიდან აშკარად ჩანს, თუ რა არის ისტორია, რომ ერი აქ არათუ წინა პლანზეა წამოყენებული, არამედ მიჩნეულია ისტორიის საგნად. ილია კიდევ უფრო აღრმავებს

[1] გაზეთი „ივერია“, 1888 წელი, № 17, მეთაური წერილი; ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრ. კრებ., ტ. V, გვ. 207.

ამ აზრს, როცა წერს: „ისტორია იგი დიდებული ტაძარია, საცა უწირავს ერთიან სულსა ერისასა"[1], „ისტორია ყველას ღვაწლია საერთოდ, მთელი ერის ნამოქმედარია"[2].

ილიას აზრი ისტორიის მნიშვნელობაზე, ერისა და ისტორიის ურთიერთობაზე, არსებითად განსაზღვრა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელმა ბრძოლამ ცარიზმის წინააღმდეგ: ილიასათვის მშობლიური ერის გმირულ ისტორიას პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა, იგი უშუალოდ აწმყოს ეხმაურებოდა; თავისუფლებისათვის თავდადებული ბრძოლის ისტორიული მაგალითებით ილია აძლიერებდა ეროვნულ თვითშემეცნებას, აღაგზნებდა მასებს ცარიზმის კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში. მაშასადამე, ილიას აზრით ისტორიის ცოდნა ერისათვის თვითმიზანი კი არაა, არამედ უაღრესად სერიოზული საშუალება უკეთესი მომავლისათვის ბრძოლაში.

1888 წელს გაზ. „ივერიაში" მეთაურის სახით ილია ათავსებს წერილს „ერი და ისტორია", რომელიც „ივერიაშივე" დაბეჭდილი იმ პროგრამის გამოძახილი იყო, რომლის მიხედვითაც საქართველოს ისტორია უნდა დაწერილიყო. პროგრამის ავტორი ცნობილი ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე იყო. საქართველოს ისტორიის დაწერას გამოქვეყნებული პროგრამის მიხედვით თვით დ. ბაქრაძე კისრულობდა. ილია ჭავჭავაძე დიდად კმაყოფილია ამ ამბით და წერს: „ჩვენს დაუღალავ მოღვაწეს ბ-ს დ. ბაქრაძეს განუზრახავს ჩვენის დავიწყებულის ის-

[1] გაზ. „ივერია", 1888 წელი, № 23, მეთაური წერილი; ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრ. კრებ., ტ. V, გვ. 242.

[2] „სანღალას წიგნის გამო", გაზ. „ივერია", 1888 წ., № 193.

ტორიის აღდგენა და გახსენება. „ივერია“-ში დაბეჭდილის პროგრამისაგან სჩანს, რომ ბ-ნ ბაქრაძეს სანატრელის სიდიდით შემოუფარგლავს თავისი საგანი, ასე რომ თუ პროგრამა შესრულდა, ჩვენ, ქართველებს, ხელთ გვექნება მთელი დიდი და ვრცელი სურათი ჩვენის აწ დავიწყებული წარსულისა. ვისაც კი გაეგება რამ, სიხარულით აღტაცებულნი მოუთმენლად მოელიან იმ დღეს, როცა დაიბეჭდება ეს ისტორია, ვითარცა დიდს დღესასწაულს რასმე“[1]. ასეთი დიდი აღფრთოვანებით შეეგება ილია დ. ბაქრაძის განზრახვას საქართველოს ისტორიის დაწერის შესახებ და წარმოდგენილ პროგრამას.

ამ პატარა, მაგრამ უაღრესად დიდი მნიშვნელობის მქონე წერილში ილია არა მარტო მიესალმა და დიდად წაახალისა დ. ბაქრაძე, არამედ მან მოგვცა საკუთარი შეხედულება ამ საკითხზე სრულად და დალაგებით. ილია ამ წერილში შეეხო ისტორიის მნიშვნელობას საერთოდ და კერძოდ მის მნიშვნელობას ერისათვის. ილია სწორედ ამ წერილში გვაძლევს მეტად ძვირფას მოსაზრებებს საქართველოს ისტორიის ცალკეულ საკითხებზე და საქართველოს ისტორიის დასაწერად იძლევა სრულყოფილს ხელახალ პროგრამას, ისე კი, რომ ამით იოტის ოდენადაც არ შეურაცხყოფს დ. ბაქრაძის ავტორიტეტს, პირიქით, უაღრესი პატივისცემით იხსენიებს მას.

თვით დ. ბაქრაძეს და საქართველოს ისტორიის დანარჩენ მკვლევართ იმ დროისათვის, რასაკვირველია, შეეძლოთ მნიშვნელოვანი საპროგრამო დასკვნები გაეკეთებინათ ილიას დასახელებული წერილის საფუძველზე; ერისათვის ისტორიის მნიშვნელობის საკითხებზე ილია შემდეგს

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ნაწერების სრული კრებ., ტ. V, გვ. 244.

წერს: „ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდამ დაიწყება, როცა იგი თავის ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავის წარსულისა... დავიწყება ისტორიისა მომასწავებელია ერის სულით და ხორცით მოშლისა, დარღვევისა და მთლად წაწყმედისაცა. წარსული მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო—მომაკლისა. ეს სამი სხვადასხვა ხანა, სხვადასხვა ჟამი ერის ცხოვრებისა ისეა ერთმანეთზედ გადაბმული, რომ ერთი უმეოროდ წარმოუდგენელია, გაუგებარი და გამოუცნობია... ეს სამთა ჟამთა ერთმანეთზედ დამოკიდებულება კანონია ისეთივე შეურყეველი და გარდუვალი, როგორც ყოველივე ბუნებური კანონი“[1].

ილია, ამრიგად, აქ მშობლიური ისტორიის შესწავლას აწმყოსა და მომავალს უკავშირებს, მათი კავშირი ბუნებრივ გარდუვალ კანონად აქვს წარმოდგენილი. ისტორიას ილია უყურებს არა როგორც მკვდარ საგანს, ზედმეტ ტვირთს, არამედ როგორც მძლე იარაღს ხალხისათვის აწმყო ცხოვრების მოსაწყობად და უკეთესი მომავლის შესაქმნელად. აწმყო და მომავალიც, ილიას აზრით, შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ წარსულზე დაშენდეს, ამიტომ საჭიროა წარსულის კარგად ცოდნა, ხოლო ვინც არ იცის თავისი მშობლიური ერის ისტორია, მას არ შეუძლია შეგნებული და სასურველი აწმყოს დანერგვა და უკეთესი მომავლის შექმნა. „ისტორია,—ილიას აზრით,—იმისთანა ცნობიერი ცხოვრებაა, რომელიც გამოსახავს ხოლმე სულიერს და ხორციელს ვინაობას ერთია ...ს კრებულისას, მის მიზიდულობას, მის აზრს და საგა' არსე-

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტომი V, გვ. 239.

ბობისას, მის წმინდათა წმინდას, და რომელიც მკის თავის დროებისათვის და ამასთანავე სთესს მერმისისათვის"[1].

ილიას აზრით, მაშასადამე, ისტორია, პირველ ყოვლისა, ცნობიერი ცხოვრებაა, რომელიც ერის სულიერ და ხორციელ ვინაობას გვაჩვენებს, ამასთან ერთად იგი გაგვიმარტავს ერის არსებობის დანიშნულებასაც აწმყოსა და მომავლის თვალსაზრისით. ისტორია ერს ერთიან მიმზიდველ კრებულად აქცევს. ილიას აზრით, „ბევრს ერს ქვეყანაზედ სულაც არ ჰქონია წარსული, სულაც არ ჰქონია ისტორია... ამისთანა ხალხი უბინო კაცსა ჰგავს, რომელმაც არ იცის ვინ არის, რისთვის არის, საიდამ მოდის და სად მიდის. ამიტომაც ესეთი ხალხი ბევრით არ განირჩევა პირუტყვთაგან და იქნება ბევრში უკანაც ჩამორჩება. ულმობელი კანონი ისტორიისა ამისთანა ხალხს ვეღარ დაინდობს ეხლანდელ დროში და, სხვა უფრო ძლიერის ისტორიის მქონე ერი დაეძგერება თუ არა, თანაც გაიტანს და შეიწირავს ხოლმე ამისთანა ხალხსა"[2].

ამრიგად, ილიას აზრით, იმ ერს, რომელმაც არ იცის თავისი ისტორია, ადრე თუ მალე აღგვა მოელის პირისაგან მიწისა უფრო ძლიერი ისტორიის მქონე ერისაგან, რადგან, ილიას აზრით, უისტორიო ერს არ ამჭიდროებს ერთიანი ეროვნული ისტორია, ამ ისტორიის ცოდნა, ისტორიული გამოცდილება სამშობლოს მტრებთან ბრძოლაში, რაც უძლეველი იარაღია კარზე მომდგარი მტრის დასამარცხებლად.

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებ., ტომი V, გვ. 239—240.
[2] იქვე, გვ. 240.

ილია ფიქრობს, რომ „თუ ესეთი არა, ბევრით მეტი აღარ არის იგი ერი, რომელსაც ისტორია ჰქონია და იგი ისტორია დაუვიწყნია; აღარც ამისთანა ერსა აქვს მკვიდრათ მოკიდებული ფეხი არსებობისათვის საჭიდაოთ იმიტომ, რომ რაც იყო, ის დავიწყებული აქვს და, მაშასადამე, რაც არის, არც ის იცის... ფეხ-ქვეშიდან გამოცლილი აქვს მაგარი მიწა, რომელსაც ისტორია შეადუღებს ხოლმე მამა-პაპათა ნაღვაწ-ნამოქმედარისაგან, საშვილისშვილოდ ფეხმოსაკიდებლად და მოსამაგრებლად"[1].

მშობლიური ერის ისტორიის ცოდნის საჭიროებას და აუცილებლობას ილია ერის ინტერესებით, ერის ზრახვებითა და ბისწრაფებებით ხსნის; მან იცის, რომ საკუთარი ისტორიის ცოდნა ერს ამჭიდროვებს, აკავშირებს მტერთან ბრძოლაში, ხდის მას უძლეველს და უნარჩუნებს ეროვნულ კულტურასა და ეროვნულ სახეს. ვაი იმ ერის ბრალი, რომელსაც საკუთარი ისტორია არ აქვს, ან ოდესმე ჰქონია და შემდეგ დაუვიწყნია: მას, ილიას აზრით, განადგურება არ ასცდება.

ამ ზოგადი კონცეფციიდან გამომდინარე ილია ეხება საქართველოს ისტორიას და გამოთქვამს მეტად ორიგინალურ მოსაზრებებს. ილია წერს: „ჩვენ ერს ორი ათასი წელიწადი უცხოვრია ისტორიულის ცხოვრებით. ბევრი მაგარი და ბევრიც უვარგისი ქვა ჩაუდვია იმ საძირკველში, რომელზედაც დღეს ჩვენი აწმყოა დამყარებული მერმისის ამოსაგებად"[2].

აი როგორ აქვს ილიას წარმოდგენილი ქართველი ხალხის ხანგრძლივი ისტორია, აი მრწამსი ილიასი, მისი კრედო საქართველოს ისტორიის შესახებ. ილიას საქარ-

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტომი V, გვ. 241.
[2] იქვე.

თველოს ხანგრძლივი ისტორიული ცხოვრება არ წარმოუდგენია ია-ვარდით მოფენილ წალკოტად და არც ამ წარსულის იდეალიზაციას ეწევა ის; ილია წარსულში ხედავს ორ მხარეს, ავსაც და კარგსაც; ილია ჭავჭავაძე დიდი რეალისტი იყო და არა მარტო აწმყოს უყურებდა რეალისტურად, არამედ შორეულ წარსულსაც. ამრიგად, ილია კრიტიკულად და რეალისტურად არის განწყობილი საქართველოს ისტორიისადმი და არ ეწევა მის რომანტიკულ იდეალიზაციას[1].

---

[1] თუ რაოდენ კრიტიკულ დამოკიდებულებას იჩენდა ილია ჭავჭავაძე ქართული საისტორიო წყაროებისადმი, ამაზე დამაჯერებლად მიუთითებს აკად. ივანე ჯავახიშვილი. იგი წერს: „უპირველესად საგულისხმოა, რომ იმ დროს, როდესაც საქართველოს ისტორიის მაშინდელ მკვლევართ „ქართლის ცხოვრების" ყოველივე ცნობა სჯეროდათ და იქ ნაამბობს იმეორებდნენ ხოლმე, ილ. ჭავჭავაძე „ქართლის ცხოვრებას" კრიტიკულად ეპყრობოდა და ყველაფერი, რაც იქ მოთხრობილია, ჭეშმარიტებად კი არ მიაჩნდა, არავინ არა ერთხელ მას იქ ჩართული ზოგი ცნობის მცდარობა აღუნიშნავს. მაგალითად, იგი ამბობს: „ქართლის ცხოვრების" ცნობა დარუბანდის ფრიდონისაგან აგების შესახებ ხლაპარია, რადგან სხვაგან ასეთი ცნობა არსად მოიპოვებაო (ტ. V, 52, 53). უეჭველია, რომ „ქართლის ცხოვრებას" „აურევია სახელები" (V, 53). ივ. ჯაბადარს ფარნავაზ მეფე, „ქართლის ცხოვრების" თანახმად, საქართველოს უდიდეს და ცენტრალურ პიროვნებად ჰყავდა გამოყვანილი, ილია კი ამბობდა: „არა გვგონია, „ქართლის ცხოვრების" გარეთ ჩვენმა ავტორმა გვიპოვნოს რაიმე ხსენება ფარნავაზისა ჩვენს ხალხში" (V, 60—61), ხოლო შემდეგ პირდაპირ ნათქვამია აქვს: „ძალიან შესაძლოა არის, რომ ყოველივე ის, რაც „ქართლის ცხოვრებას" ფარნავაზზე მოთხრობილი აქვს, ტყვილიც იყოს" (V, 62). (იხ. „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია", თბილისი, 1938 წ.).

ილია ჭავჭავაძის ამგვარმა დამოკიდებულებამ ისტორიული წყაროებისადმი გარკვეული გავლენა მოახდინა საქართველოს ისტორიის მკვლევართა მომდევნო თაობაზე. „ქართლის ცხოვრებისადმი“ მეცნიერულ-კრიტიკულ (არსებითად ახლებურ) დამოკიდებულებას დასაბამი ილია ჭავჭავაძემ მისცა, რასაც შემდგომ საქართველოს ისტორიის ყველა მკვლევარი მეტ-ნაკლებად იზიარებდა.

ამრიგად, ჩვენი აწმყოს საძირკველში, ილიას აზრით, „ბევრი მაგარი“ და ზოგიც „უვარგისი“ ქვა ჩაუდვიათ. ილია ეხება ამ დებულებას და აყენებს ზოგიერთ მოსაზრებას. იგი წერს: „რომ მართლა ესეა, ამის საბუთი თვალწინ გვაქვს. რა შეგვინახავდა ამ ერთ მუჭა ხალხს ამ ორი-ათას წელიწადს ამოდენა დაუძინებელ მტრებ შორის, რათ და როგორ შეგვარჩენდა ხარბობა უცხო თემთა ამ მშვენივრად შემკულს წალკოტსა, რომელსაც საქართველოს ეძახიან, თუ ჩვენს წარსულს ჩვენის ცხოვრების საძირკველში მაგარი ქვა არ ჩაედგა“[1]. ილია ქართველი ხალხის დიდ ძლიერებას იმაში ხედავს, რომ საუკუნეთა მანძილზე სისხლისმღვრელ ბრძოლებში ამ ერთმა მუჭა ხალხმა მტრებისაგან დაიცვა და შეინარჩუნა წალკოტისებური საქართველოს მიწა-წყალი, შეინარჩუნა ეროვნული სახე, ეროვნული კულტურა. ილიას ბევრჯერ უფიქრია ამ მართლაცდა დამაფიქრებელ საკითხზე, თუ რა ძალა იყო ეს, საიდან მომდინარეობდა იგი და სად უნდა ვეძებოთ მისი ისტორიული საფუძვლები[2]. მაგრამ ეს საკითხის ერთი მხარეა. მეორე მხა-

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ნაწერების სრული კრებ., ტომი V, გვ. 241—242.

[2] ამ საკითხთან დაკავშირებით საყურადღებოა ილიას წერილი: „ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ“, რომელსაც ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ.

რეს რომ არ მივაქციოთ ყურადღება და ჩვენი ისტორიის მარტო ამ მხარეს გავყვეთ, უეჭველია, მცდარ გზას დავადგებით, ჩვენი წარსულის რომანტიკული იდეალიზაციის გზით ვივლით,—ილიამ ეს იცის.

ილია კარგად იცნობდა საქართველოს ისტორიულ წარსულს და არ შეიძლება მას ჩვენი ისტორიული ცხოვრების მეორე მხარეც არ შეენიშნა. „რა ჩამოგვირჩენდა ასე უწყალოდ სხვა ქვეყნებს ან განათლებასა ან გამდიდრებაში, რომ საძირკველში მაგარ ქვასთან ერთად უვარგისი ფხვნილი ქვა არ ჩაეყოლებინა ჩვენს ისტორიას“,—კითხულობს ილია. იგი ცდილობს წინათ აღორძინებული საქართველოს მე-13—17 საუკუნის მანძილზე აღმოსავლეთის დამპყრობთა შეუნელებელი შემოსევების შედეგად მომხდარი დაქვეითების ნამდვილი მიზეზ-შედეგების ახსნას, მაგრამ ეს ცალკე საკითხია და ქვემოთ ვეხებით.

ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ განუყრელ კავშირში აქვს ილიას წარმოდგენილი წარსული, აწმყო და მომავალი, ისევე, როგორც საქართველოს ისტორიის ავი და კარგი მხარე. ილიას ღრმა რწმენით ეს ორი მხარე ჩვენი ისტორიისა ასე მომდინარეობდა, მაგრამ თუ „რ ო მ ე ლ ი ა ს ი მ ა გ რ ე ჩ ვ ე ნ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს ა დ ა რ ო მ ე ლ ი ს ი ფ უ ყ ე დ ა ს ი ს უ ს ტ ე, ა მ ა ს ხ ს ნ ი ს დ ა გ ვ ი თ ა რ გ მ ნ ი ს ხ ო ლ მ ე მ ა რ ტ ო ი ს ტ ო რ ი ა“[1]. აი რა არის ისტორია, რა ამოცანები დგას ისტორიკოსის წინაშე, იგი პირუთვნელი და მიუდგომელი მსაჯია ისტორიული პროცესის ყოველმხრივი და ჭეშმარიტი ახსნისათვის.

აკად. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ილია ჭავჭავაძის ამგვარ წარმოდგენას ჩვენს ისტორიაზე ასე აფასებდა: „ჩვენ

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ნაწერების სრული კრებული, ტომი V, გვ. 242.

დაუვიწყარს მოამაგეს საქართველოს ისტორია ეროვნულის თავმომწონეობის თვალსაზრისითა და ეროვნული სიამაყის გრძნობის ჩასანერგავათ კი არ უნდოდა და სჭირდებოდა, არამედ მას წარსულის ნბოლოდ უტყუარი და დაუნდობელი, მაგრამ პირუთვნელი შეფასება აინტერესებდა"[1].

ილია ჭავჭავაძემ ლიტერატურულ ფრონტზე სქოლასტიკურ ფსევდოკლასიციზმთან ბრძოლაში ჯერ კიდევ 1861 წელს, სხვათა შორის, ისტორიის საკითხზედაც განავითარა მეტად ორიგინალური კრიტიკულ რეალისტური შეხედულება: „იქნება ფიქრობენ, რომ ჩვენი ლიტერატურა არ აღსდგება, თუ არ განიმეორა თავის განვითარებაში წარსულ დროთა სიცრუვე და ცდომილება? თუ ამას ფიქრობენ, მაშინ ისტორიას აღარ აქვს თავისი დიდი მნიშვნელობა. ისტორია იმითია დიდი, რომ გვაჩვენებს ჩვენ წინაპართა ცდომილებას. მასთანვე გვასწავლის ჭკუას, როგორ უნდა მოვიქცეთ. წინა კაცსა უკან მომდევარი იმისათვის უყურებს, რომ ვინცობაა წინამ ფეხი წამოკრას და ყირაზე გადაიაროს, უკანამ ნახოს და იმ გზას შორს მოუაროს. მთელი კაცობრიობის უწინდელი ცხოვრება სულ უსარგებლო იქნება, თუ იმათ ცხოვრებიდამ ჩვენ სარგებელს არას გამოვიტანთ. რაც მამა-პაპას უქმნია, ის ჩვენ უნდა ვქნათო, — ეგ ჩინეთის ფილოსოფია არის; თუ მაგას მივყევით, ჩვენც ჩინელებსავით შევდგებით ერთ ალაგზე და წინ

[1] ივ. ჯავახიშვილი, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია, თბილისი, 1938 წ., გვ. 4.

ფეხს ვეღარ წავსდგამთ“,—წერს ილია თავის ცნობილ წერილში „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას-ძის ერისთავის კოზლოვიდან „შეშლილის“ თარგმანზედა“[1] (კურსივი ჩვენია. ა. ი.).

აღნიშნულიდან ნათლად ჩანს, თუ რა ამოცანებს აკისრებდა ილია ჭავჭავაძე ისტორიას და რა როლს ანიჭებდა მას საერთოდ კაცობრიობის პროგრესის დიად საქმეში; ილია მტერია კონსერვატიზმის, ერთფეროვნების, უძრაობისა და უხასიათობის; იგი პროგრესულობისა და დაუცხრომელი სიახლისაკენ მიისწრაფის. ილია აღიზარდა რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული აზროვნების მკვიდრ ნიადაგზე. მან ღრმად განიცადა ჩერნიშევსკის, ბელინსკის, პისარევისა და დობროლუბოვის მოწინავე იდეები.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ილიას ისტორია ეროვნული თავმომწონეობისა და მამაპაპური, მამულიშვილური ტრადიციების სამკაულად კი არ აქვს წარმოდგენილი. ისტორიას იგი აკისრებს სრულიად გარკვეულ და კონკრეტულ ამოცანებს მშობლიური ხალხის სამსახურისათვის, მისი აწმყოსა და უკეთესი მომავლისათვის ბრძოლაში.

ისტორიის დავიწყება მიუტევებელ ცოდვად მიაჩნია ილიას. თუ იგი დავივიწყეთ, ამით დაგვივიწყნია ცხოვრების სათავეც, „ცხოვრების ფესვი“, „ცხოვრების საძირკველი“, და თუ ეს ესეა,—ამბობს ილია,—„რაღაზე უნდა დავამყაროთ ჩვენი აწმყო, ჩვენი მერმისი?“[2]. ილია ჭავჭავაძის უაღრესად მახვილ აზროვნებას და მზრუნველ

---

[1] 1861 წლის „ცისკარი“, № 4 (აპრილის თვისა), გვ. 567.

[2] ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებ., ტ. V, გვ. 242.

თვალს, ღრმად ჩახედულს საქართველოს მრავალსაუკუ-ნოვან ისტორიაში, იმდროინდელი სავალალო მდგომა-რეობა აიძულებდა გულისტკივილით აღენიშნა, რომ „დღეს ჩვენ... დავიწყებული გვაქვს წარსულის ამხსნელი და განმმარტებელი ისტორია"[1].

ივ. ჯავახიშვილი ამის შესახებ წერს: „ჩვენში წარსული საუკუნის 90 წლების დამლევამდე და შემდეგაც არსებითად უგეგმო, შემთხვევითი ხასიათის ისტორიოგრაფია ბატონობდა, რომელიც, რასაკვირველია, ილია ჭავჭავაძეს ვერც მოეწონებოდა და ვერც დააკმაყოფილებდა"[2].

ცარიზმის კოლონიური ჩაგვრის შედეგად საქართველოში ქვეითდებოდა საისტორიო მეცნიერების უმდიდრესი ტრადიციები. თანდათან დავიწყებას ეძლეოდა ქართველი ერის ისტორია. ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ საქართველოში ილია ჭავჭავაძის მეთაურობით ერთ-ერთ საბრძოლო ამოცანად მიიჩნია საქართველოს გმირული ისტორიის მეცნიერულად შესწავლის აუცილებლობა. ილია ჭავჭავაძე პირველი იყო, რომელმაც იმ დროს ასეთი ცხოველმყოფელი ინტერესი აღძრა ხალხში მშობლიური ისტორიის შესასწავლად და დასახა კიდეც კონკრეტული გზები ამ დიადი მიზნის განსახორციელებლად. ილია ჭავჭავაძის დამსახურება ამ დარგში დაუფასებელია.

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებ., ტ. V, გვ. 242.
[2] ივ. ჯავახიშვილი, ილია ჭავჭავაძე და საქ. ისტორია, თბილისი, 1938 წ., გვ. 5.

ამ დიდ პროგრესულ ეროვნულ საქმეს ილია უალრესად ძნელ პირობებში თაოსნობდა და აკეთებდა. ცარიზმი და მისი მსახურნი თავიანთი დიდმპყრობელური შოვინისტური ისტორიოგრაფიით სდევნიდნენ და აბუჩად იგდებდნენ კოლონიურ ხალხებს, მათ ისტორიასა და კულტურას, თვლიდნენ რა ამ ხალხებს უისტორიო და უკულტურო ველურებად. ასეთ ვითარებაში ილია ჭავჭავაძე მოწოდებით გამოდის და ჩაგრულ ერებს განუმარტავს საკუთარი ქვეყნის ისტორიის შესწავლის საჭიროებას, ისტორიის ცოდნის დიდ მნიშვნელობას. ამიტომ ილიას ზემომოტანილ მოსაზრებებს ერისა და ისტორიის საკითხებზე მნიშვნელობა მარტო საქართველოსათვის როდი ენიჭებოდა, არამედ სხვა ჩაგრულ კოლონიურ ხალხთათვისაც ასევე დაუფასებელი იყო იგი.

ასეთია მოკლედ ილია ჭავჭავაძის შეხედულებანი ერისათვის ისტორიის დანიშნულებაზე, ერისათვის საკუთარი ისტორიის ცოდნის მნიშვნელობის ძირითად საკითხებზე საერთოდ და კერძოდ ქართველი ერისა და მისი ისტორიის შესახებ.

4. ილია ჭავჭავაძე ისტორიაში პიროვნების როლისა და ქართველ ისტორიულ პიროვნებათა შესახებ

ილია ჭავჭავაძის ზემოთ მოყვანილი მოსაზრებანი, რომლებიც ადასტურებენ, რომ იგი საქართველოს ისტორიაში ხალხს ეძებს და ხალხის მასებითაა დაინტერესებული, არ უნდა იქნეს გაგებული ცალმხრივად, ე. ი. იმგვარად, თითქოს ილიას საქართველოს ისტორიაში მხოლოდ ხალხი იტაცებდა, ხალხზე ფიქრობდა და ვერ ამჩნევდა დიდ ისტორიულ პიროვნებებს, რომელთაც ყოველთვის

და ყველგან მოითხოვს ყოველგვარი ხალხური მოძრაობა; ასეთები (ე. ი. გამოჩენილი ისტორიული ადამიანები) შეუძლებელია არ ჰყოლოდა საქართველოს მისი ხანგრძლივი და სახელოვანი ისტორიის მანძილზე. ილია, რასაკვირველია, ამას კარგად ამჩნევს და არა შემთხვევით, არამედ გულდასმით და დასაბუთებულად გამოთქვამს თავის მოსაზრებებს დიდ პიროვნებათა როლზე ისტორიაში საერთოდ, ხოლო კონკრეტულად ჩერდება საქართველოს ისტორიულ გამოჩენილ პიროვნებათა ღირსშესანიშნავ ღვაწლზე, როლზე და ამ ისტორიულ პირთა მნიშვნელობაზე მთლიანად ერის წარსულის, აწმყოსა და მომავლისათვის.

ილია ასხვავებს „ჩვეულებრივი კაცის“ ადგილს ისტორიაში დიდი ადამიანის ადგილისაგან და მაღალ შეფასებას აძლევს უკანასკნელის როლს; ამასთანავე მას სწორად აქვს გაგებული, რომ თვით დიდი ადამიანი მთელი თავისი საქმეებით ხალხის ცხოვრების ნაყოფია. იგი წერს: „ცხოვრების ტალღა მეტად ძლიერია და ჩვეულებრივი კაცი მეტად სუსტი, რომ თან არ წაიყოლიოს იმ ტალღამ. მარტო გენიოსის მკერდი თუ გააპობს და შემუსრავს მას, თორემ სხვისთვის ძნელია. შორსმხედველობა, დროებაზე უფლობა მარტო გენიოსის საქმეა. ის თავის თამამ სვლაში შემოიბერტყავს ხოლმე დროების მტვერსა, რომელიც ჩვენისთანა კაცსა უფარავს საგნის მნიშვნელობასა, გულუშიშრად მიდის წინ, როგორც ბელადი წინ მიუძღვის ხალხსა და უნათებს თავის ჭკუის სხივებით გზასა. ნურავინ ნუ იფიქრებს, რომ ჩვენ ამითი ვამბობდეთ, ვითომც გენიოსი ციდამ იყოს ჩამოსული. ისიც ისეთივე ნაყოფია თავის დროებისა, როგორც სხვანი, მხოლოდ ეგ ნაყოფი სრულია, დამწიფებულია. ის თავის

ძლიერი მხრეებით ამოიტანს, ამოზიდავს ხოლმე მას, რაც თითონ ცხოვრებაშია, ე. ი. ცხოვრების შიგ მდებარესა. მასში არის მთელი აწმყო თავის დროებისა და თესლიც მომავლისა"[1]. რამდენადაც მდიდარია ერის წარსული, იმდენად მდიდარია იგი დიდი ადამიანებით და ერი მთლიანად სწავლობს მათგან და მიისწრაფის წინ. სხვა, ადგილზე ილია წერს: „ერი თავის გმირებში ჰპოულობს თავის სულსა და გულსა... თავის ხატსა და მაგალითს"[2] ისტორიული დიდი პიროვნებები „ერის გულის-ნადების და წყურვილის გამომეტყველნი და გამაბორციელებელნია, რომელნიც ამის გამო თითქოს შემოქმედობენ, თითქო ჰქმნიან ისტორიასა"[3].

მეორე ადგილას ილია ამბობს: „მძლედ მობურთალნი ქვეყნიერების მოედანზედ მარტო დიდებასიათის კაცნი არიან. ქვეყნის ღერძს მარტო ის ატრიალებს, ვისაც მიჰმადლებია გულთასრულობა, დიდებასიათობა, იმისდამიუხედავად,—ტრიალი ემარჯვებათ, თუ ემარცხებათ"[4]. (ხაზი ჩვენია. ა. ი.)

ილიამ, ამრიგად, შესანიშნავად იცის, რომ ისტორიის შემოქმედი ხალხია, მაგრამ ხალხთან ერთად ილია ისტორიულ პიროვნებებსაც არ ივიწყებს, რომლებიც, ილიას აზრით, „ქვეყნის ღერძს" ატრიალებენ და „თითქო ქმნიან ისტორიას"[5].

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტომი II, გვ. 39—40.

[2] ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტომი V, გვ. 208.

[3] იქვე, გვ. 207.

[4] იქვე, ტომი VII, გვ. 107.

[5] ი. ჭავჭავაძეს ისტორიის შემოქმედად, მართალია, ხალხი მიაჩნია, მაგრამ ხალხის მასებისა და ისტორიული პიროვნებების ურთი-

მაშასადამე, შეგვიძლია დავრწმუნდეთ, თუ რა როლს ანიჭებს ილია დიდ პიროვნებას ისტორიაში, როგორი სიღრმითა და გამჭრიახობით სწვდება მასებისა და ისტორიულ პიროვნებათა ურთიერთდამოკიდებულებას, მასისა და ისტორიული პიროვნების როლს ისტორიის შექმნაში. ილია ჭავჭავაძე პირველი იყო ქართული ისტორიოგრაფიის ასპარეზზე, რომელიც ასეთი სიღრმით ჩაწვდა და შეაფასა მასებისა და პიროვნების როლი, მათი ურთიერთდამოკიდებულება საქართველოს ისტორიის მაგალითებზე.

ილია ჭავჭავაძე საქართველოს ისტორიაში დიდ პიროვნებად დავით აღმაშენებელს მიიჩნევს სხვების გვერდით. რაში ხედავს, კერძოდ, ილია დავითის დამსახურებას? ამ „დიდებულმა მეფემ ერთად მოუყარა თავი ქართველობას. აოხრებული ქვეყანა ააშენა, მტერი გაუფრთხო და გაუფანტა, და დღეს ჩვენ თუ ჩვენს ბინაზედ ვართ,—ეს იქნება იმისი ღვაწლი, იმისი სამსახურიც უფრო იყოს"[1]. მაგრამ, ილიას აზრით, განა მარტო ამაშია დავით აღმაშენებლის ღვაწლი, როგორც დიდი ადამიანისა? დავით აღმაშენებელი იყო მამობრივ მხრუნველი არა მარტო ქართველი ერისა და სარწმუნოების, არამედ იგი

ერთ მიმართებისა და დამოკიდებულების საკითხში ილია არსებითად მხოლოდ დაუახლოვდა მარქსიზმს. ილიას არ გააჩნია სავსებით სწორი შეხედულება ისტორიული პროცესის გასაგებად, რამდენადაც მას საზოგადოების განვითარების ისტორია არა აქვს წარმოდგენილი, როგორც საწარმოო ძალთა და საწარმოო ურთიერთობათა ისტორია, როგორც კლასთა ბრძოლის ისტორია. სწორედ ამიტომ ხალხის მასების და პიროვნების ურთიერთდამოკიდებულების საკითხში ი. ჭავჭავაძეს არ შეეძლო ამაღლებულიყო მარქსისტულ გაგებამდე,—თუმცა იგი ამ საკითხში მეტად ახლო მივიდა მარქსიზმთან.

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ნაწერების სრული კრებული, ტომი V, გვ. 209,

იყო მოსარჩლე და მამობრივი მოამაგე სხვა, უცხო ერების და უცხო სარწმუნოებისა[1].

ილია აღიარებს ხალხის შემოქმედებითი ძალის დიდ მნიშვნელობას. მისი აზრით „გმირებს, სახელოვანს კაცებს, დიდებულ მოღვაწეებს ქვეყნისას — ეგ შემოქმედებითი ძალი ცხოვრებისა ჰბადავს". ილია წერს: „რაკი ადამიანის ცხოვრებაში ერთხელ დაიძრა შემოქმედებითი ძალი, ერთს ნაშოქმედს სხვა სამოქმედო საგანი ზედ მოჰყვება, ერთი მეორეს ჰშობს, მეორე მესამეს და ეგრე გაებმის ხოლმე ის ფერადი გრეხილი ცხოვრების მოძრაობისა, რომელსაც ისტორიას ეძახიან. ეგ შემოქმედებითი ძალი ცხოვრებისა შექმნის ისტორიას. უმაგისოდ ნურა ერი ნუ დაიქადებს, ისტორიის ღირსი ერი ვარო. უწინ, როცა ჩვენში ეგ შემოქმედებითი ძალი ცხოვრებისა ფეხადგმული იყო, აკი ისტორიაც გვქონდა, აკი გმირებიცა გვყკანდა, აკი დიდი მწერლებიც და პოეტებიც აღმოგვიჩნდნენ, აკი იმ აღმატებულ ყოფა-ცხოვრებამდინაც მივაღწიეთ, რომლის დიდებულებამაც თამარ მეფე საუკუნოდ სახსოვარი გახადა ჩვენთვის..."[2]. „მადლიანი ძალა შემოქმედებისა" ისტორიის ჩარხია; ისტორია მხოლოდ მის საფუძველზე შენდება. ეს შემოქმედებითი ძალა ქმნის ისტორიას, ისტორიულ გმირებს, დიდ მწერლებს და „ოქროს საუკუნეს". აი რაოდენ დიდია მნიშვნელობა ამ შემოქმედებითი ძალისა ისტორიაში.

ილია ისტორიას დიდებულ ტაძარს ადარებს, რომელშიც ერს აღუმართავს თავის დიდებულ „და დიდბუნებოვან კაცთა უწმინდესნი ხატნი და ზედ წარუწერია დიდ-

[1] დავით აღმაშენებლის დიდბუნებოვნებაზე ილია ჭავჭავაძის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს ჩვენ ვეხებით ქვემოთ.

[2] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ნაწერების სრული კრებ., ტ. VI, გვ. 205 („შინაური მიმოხილვა", 1882 წ. აპრილი-მაისი).

თა საქმეთა მოთხრობა, ვითა საშვილისშვილო ანდერძი"[1]. ილიას დიდ ისტორიულ პიროვნებათა დავიწყება ერის დაცემა-გადაგვარებად, ერის ისტორიის დავიწყებად მიაჩნია. ის მოითხოვს, რომ ხალხი, ახალი თაობა იზრდებოდეს ამ შესანიშნავ პირთა და გმირთა წარმტაც მაგალითებზე. აი რას წერს ილია: „დიდ-ბუნებოვან კაცთა და სახელოვან გმირთა მაგალითებით ისტორია სწურთნის ერსა, ზრდის, და დიდებულნი საქმენი კიდევ გულს უკეთებენ მოქმედებისათვის, აქეზებენ, ამხნევებენ, თუ ნამეტნავად ის მაგალითები ერის საკუთარი ისტორიისანი არიან. ერი თავის გმირების ცხოვრებითა და მაგალითებით უნდა ჰსულდგმულობდეს"[2]. მოტანილ ამონაწერში ყურადღება უნდა მიექცეს ორ გარემოებას: ილია, უპირველეს ყოვლისა, არ იზღუდება ეროვნული ნაჭუჭით ისტორიულ პიროვნებათა განსაზღვრისას, რომლების ცხოვრებისა და ბრძოლის მაგალითებზედაც უნდა იზრდებოდეს და იწრთობოდეს ერი. ილია ერს მოუწოდებს მსოფლიოს დიდი ისტორიული პიროვნებების პატივისცემისაკენ, მათი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლისაკენ, ამ მაგალითებზე გაწრთვნა-აღზრდისაკენ, სულერთია, რომელი ერის შვილიც გინდა იყოს ეს დიდბუნებოვანი ისტორიული პიროვნება. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ რომელიმე ერმა დაივიწყოს საკუთარი გმირები, თავისი მიწაწყლის დიდბუნებოვანი ადამიანები, პირიქით, ერი თავისი გმირების ცხოვრებითა და მაგალითებით უნდა სულდგმულობდეს, იწრთობოდეს და ძლიერდებოდეს, „უდგამდეს ძეგლს, რომ დიდმა თუ პატა-

---

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებ., ტომი V, გვ. 242.
[2] იქვე, გვ. 243.

რამ დაიხსომოს თავისი სახელოვანი კაცი, სულ მუდამ თვალწინ იყოლიოს და მის მიბაძვას ეცადოს"[1].

დიდბუნებოვანი ადამიანები რწმენასა და ძლიერებას მატებენ ერს, „იგი გულგაუტეხელად იბრძვის, იღწვის, გამხნევებული თავის მამა-პაპის მაგალითითა და ანდერძითა, და მარტო გულგაუტეხელი მებრძოლი დაინარჩუნებს ხოლმე ბურთსა და მოედანს ამ წუთისოფელში"[2]. ისტორიის ასეთი დიდი გამაცოცხლებელი მნიშვნელობა, მოწინავე ქვეყნებში ადრე შეიგნეს გულშემატკივარმა შვილებმა და ეს „სახელოვანნი მამულიშვილნი, ყველაზედ უწინარეს, ერის გამოკეთებისთვის დავიწყებულის ისტორიის აღდგენას შეეცადნენ... აღდგენა ისტორიისა—ერის გამოცოცხლებაა, გამომხნევებაა, აწმყოს გაგება და წარმართვაა, მერმისის გამორკვევაა სიბნელისაგან"[3]. აქედან ჩანს, თუ რა პრაქტიკულ ამოცანებს უყენებს ილია ჭავჭავაძე ისტორიას ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის თვალსაზრისით,—რომ ისტორია ერს გამოაცოცხლებს, თვალს აუხელს და ბრძოლის სულს შთაბერავს, ისტორია ერს დარაზმავს ყოველგვარი ეროვნული ჩაგვრისა და დამონებისაგან განსათავისუფლებლად და დიადი მიზნების განსახორციელებლად. ისტორიულ-ეროვნული გმირები კი ბრძოლაში შეიარაღებული ერის, ხალხის წინამძღოლებად იქცევიან კარზე მომდგარი მტრებისა და ყველა მჩაგვრელის წინააღმდეგ.

ილიას აზრით, „ყველა დროს თავისი ტკივილი აქვს და გაგება ამ ტკივილისა ხვედრია მარტო ჩინებულ კა-

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებ., ტომი V, გვ. 243.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 243—244

ცებისა და ჭეშმარიტი მეისტორიე, ვითარცა გამკითხველი, ჯერ ამ დროების ქერქში უნდა ჩაჯდეს და მერე განიკითხოს თვით დროების შვილნიცა"[1]. ასეთი ზოგადი ისტორიოგრაფიულ-მეთოდოლოგიური პრინციპების დაცვისაკენ მოუწოდებდა ილია ჭავჭავაძე საქართველოს ისტორიის მკვლევართ.

ახლა გავარკვიოთ, თუ რა განსაკუთრებული თვისებებით უნდა ყოფილიყო დაჯილდოებული დიდბუნებოვანი ადამიანი, ისტორიული პიროვნება. ილია წერს: „დიდ-ბუნებოვანი კაცი... იმისთანა კაცია, რომელსაც ყველა—დიდი და პატარა, თავისიანად ჰხადის, თავისიანსავით შეჰხარის,... რომ ამისთანა კაცი მზესა ჰგავს, რომელსაც ბრმაც „კი გრძნობს, თუმცა არა ჰხედავს"[2]. როცა ქვეყანას უბედურება დაატყდება,—„როცა ამისთანა კაცი საშუდამოდ ბიდის, თითქო ჩემი და თქვენი წილადხდომილი სინათლე მზისა თან მიაქვსო... რომ ამისთანა კაცთან ერთად ჩვენს საკუთარს ბედნიერებასაც ვკარგავთ"[3]. ილიას აზრით, „ყოველივე დიდებული საქმე, რითაც „კი კაცობრიობა ჰქადულობს და თავს იწონებს, ქმნილია ხასიათიან კაცთა მიერ და არა ვისმე სხვისაგან, ამიტომაც ხასიათიან კაცის წინაშე ყველა უნებლიეთ თავს იხრის მოწიწებით და სასოებით[4]". დიდ ადამიანებს აქვს სხვა განსაკუთრებული მომხიბვლელი თვისებანიც,—მათი თვისებაა „ერთხელ რწმენილი და აღიარებული გაიხადონ თავის სიცოცხლის საგნად და მას ქვეშ დაუგონ თავისი ცხოვრება და, თუ საჭიროება მოითხოვს... საკუთარი სიცოცხლეც"[5]. დიდბუნებოვნება არც ადამიანის საზოგადოებრივ-პირადი მდგომარეობით და არც წოდე-

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. II, გვ. 346.
[2] იქვე, გვ. 518.
[3] იქვე.
[4] იქვე, გვ. 516.
[5] ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. V, გვ. 219.

ბრივი თუ სამსახურებრივი პირობებით არ შემოიფარგლება, რადგან „არიან ბევრნი დიდ-ხარისხოვანნიცა, მეცნიერნიცა, ჭოღვაწენიცა, მწერალნიცა და არ არიან მხოლოდ ხასიათის კაცნი, კაცნი გულითა-სრულნი“[1]. ასეთია ილიას პასუხი იმაზე, თუ ვინ შეიძლება იწოდოს დიდბუნებოვან ადამიანად, ისტორიულ პიროვნებად.

ილია ჭავჭავაძე დარწმუნებულია, რომ დიდბუნებოვან ადამიანს, დიდ ისტორიულ პიროვნებას ქვეყანას მხოლოდ და მხოლოდ გაბატონებული წოდება ან კლასი კი არ მოუვლენს ხოლმე, არამედ ხშირად შეიძლება დაჩაგრული წოდებიდანაც წარმოდგეს იგი; ამიტომ ილია პიროვნებას არა გვარიშვილობის, მოდგმის თუ შთამომავლობის მიხედვით აფასებს, არამედ პირადი ღირსებებით, ნიჭით. ილიას დასკვნით, „დიდკაცობა შთამომავლობითი... შემთხვევის საქმეა... და ამიტომაც ადამიანს, როგორც კაცს, ეგ საკუთარ ღირსებად არ ჩაეთვლება. დიდი ხანია თქმული, რომ „თუ კაცი თვითონ არ ვარგა, ცუდია გვარიშვილობა“[2]. ილია ჭავჭავაძის ამ დებულებისა და რწმენის საილუსტრაციოდ ჩვენ შეგვიძლია მოვიყვანოთ მისივე მოსაზრება გიორგი საავაძის პიროვნების შესახებ. ილია წერს: „დიდი მოურავი თუმცა ყოვლად ნიჭიერი კაცი

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. II, გვ. 526 და ნაწერების სრული კრებ., ტ. VIII, გვ. 348—349.

[2] „დიდი წამება დიდბუნებოვანობის ნიშანია. როგორც დიდი ძლევამოსილობა, დიდი წამება იგივ დიდი გამარჯვებაა, რომელიც წილად ხვდება ხოლმე დიდბუნებოვან კაცსა, ბოლო გამარჯვებულ ბედნიერია იმიტომ, რომ თვითონაც ტკბება მით, რაც გამარჯვებას მოაქვს და წამებული კი იწვის სანთელივით და სხვას კი უნათებს“, — ამბობს ილია.

იყო, ყოვლად მხნე სახელმწიფო კაცი და წარჩინებული მეომარი და სარდალი, მაგრამ ყოველივე ეს ვერ იპატიებდა მას მდაბალ-ბუნებიანთა კაცთა შურისაგან. ეს ნაძირალი გრძნობა ადამიანის ავ-ზნეობისა ბევრს მეტოქეს და მოშურნეს მოუპოვებდა მაშინდელ დიდებულთა შორის, რომელთაც მოდგმა უფრო დიდ ღირსებად მიაჩნდათ, ვიდრე ნიჭიერი დიდ-ბუნებიანობა. ამით თუ აიხსნება ის გარემოება, რომ ამ სახელოვანს დიდ მოურავსა მრავალი მტერი აუჩნდა"[1].

ცნობილია, რომ გიორგი სააკაძე არ ეკუთვნოდა დიდებულთა მოდგმას და ამ დიდბუნებოვანი ადამიანის ბედის უკუღმართობას ამით ხსნის ილია, ხოლო ეს გარემოება მას სამწუხარო მოვლენად მიაჩნია საქართველოს ისტორიისათვის. ილია გულისტკივილით ამბობს: „სახელოვანი დიდი მოურავი გიორგი სააკაძე, რომლის მოქმედება და ქცევა დღესაც აუხსნელია ჩვენთა ისტორიკოსთაგან და რომელიც, იყო რა უხვად შემკული ყოვლისა საშამაცო და საგმირო ღირსებითა, დღეს—აქამომდე არც ავად არის ჩვენს მიერ დაფასებული და არც კარგად. მისი... განსაცდელიანი ცხოვრება და საოცარნი მოქმედებანი... ჯერ შიგნეულად გამოძიებულნი არ არიან და ელიან პირუთვნელს გამკითხველსა. ეს კი გულდაჯერებით საღიარებელია, რომ მისი მოუსვენარი და მღელვარებისაგან დაუცხრომელი ცხოვრება ერთი დიდი ტრაგედიაა"[2].

---

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტომი V, გვ. 215.
[2] იქვე, გვ. 216.

ილია ჭავჭავაძე ყველაზე უფრო ადრე ქართულ ისტორიოგრაფიაში ჩასწვდა გ. სააკაძის პიროვნებას, მოღვაწეობას და მისი ეპოქის მღელვარე არსს. ი. ჭავჭავაძემ დასაბამი მისცა გიორგი სააკაძის სამხედრო და პოლიტიკური განმაოავისუფლებელი ბრძოლების მეცნიერულ შეფასებას. მანვე ამოცანად დაუსახა ჩვენი ისტორიის მკვლევართა მომდევნო თაობებს, რათა ახალი საბუთებით გაემტკიცებინათ შემდგომ გიორგი სააკაძის შესახებ შემუშავებული ეს სწორი თვალსაზრისი.

წოდებრიობისა და გვარიშვილობის უპირატესობისათვის ბრძოლის ნიადაგზე, ილიას აზრით, ბევრი შური და მტრობა აღმოცენებულა საქართველოში. ამის ნიადაგზე ბევრ შესანიშნავ ნიჭს, დაბალი წოდებიდან გამოსულს, ვერ უპოვია გასაქანი. საილუსტრაციოდ ილიას შემთხვევით არ მოჰყავს ქართველი ხალხის საამაყო გმირის გიორგი სააკაძის ცხოვრება და მოღვაწეობა.

ილია განსაკუთრებული პატივისცემითაა განწყობილი იმ გმირებისადმი, რომლებმაც სამშობლო მიწა-წყლისათვის გაწირეს თავი. ის შარავანდედით მოსავს მათ. ილიას ისტორიული პოემა „დ ი მ ი ტ რ ი თ ა ვ დ ა დ ე ბ უ ლ ი“ და ისტორიული სტატია: „ლუარსაბ წამებული“[1] სწორედ ასეთი ხასიათისაა.

გარდა აღნიშნულისა, ილია ასევე დაწვრილებით ჩერდება მეფე ერეკლე II-ის მოღვაწეობაზე, მის დიდ პოლიტიკურ და სამხედრო გამჭრიახობაზე (ცალკე წერილები: „ასი წლის წინად“[2] და „ასი წლის თავი ერეკლე მეფის გარდაცვალებიდან“[3]). ილია მიუთითებს ერეკლეს დიდ

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ნაწერები სრული კრებ., ტომი V, გვ. 215—219,
[2] იქვე, გვ. 223—235.
[3] იქვე, ტ. VII, გვ. 175—182.

ღვაწლზე, რომელიც მან უდავოდ დასდო ქართველ ხალხს; აღა-მაჰმად-ხანის თავდასხმა საქართველოზე 1795 წელს, ილიას აზრით, „რუსეთთან საუბრის გამართვამ გამოიწვია და ოსმალიც ამ მიზეზმავე თავს წამოგვაყენა, და ერთიც და მეორეც, თუმცა ცალ-ცალკე-კი, უფრო მეტის მძინვარებით მოგვასია"[1]. უკანასკნელ ქართველ მეფეს გიორგი XII ილია ახასიათებს „გულ-კეთილ, მაგრამ სუსტ მეფედ". ილია ამართლებს ერეკლე მეორის ორიენტაციას და გადაწყვეტილებას საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ. ამ აქტს სთვლის მისი დიდი პოლიტიკური გამჭრიახობის ნაყოფად. ილია წერს: „მეფე გიორგიმ, რა თქმა უნდა, ერთმორწმუნე რუსეთი ირჩია. ამას ეუბნებოდა წინაპართა ანდერძიცა"[2]. ის უდიდესი პატივისცემით იხსენიებს ერეკლე მეფის ღვაწლს; „ერეკლე ბრწყინვალე მეფე იყო საქართველოსი"[3], ვინაიდან იგი ძლევამოსილებით იცავდა სამშობლოს მოზღვავებული მტრებისაგან, რომ „მეფე ერეკლე რკინის კარი იყო საქართველოსი"[4]. მაგრამ მეფე ერეკლეს ყველაზე უდიდესი დამსახურება, ილიას აზრით, მასში მდგომარეობს, რომ მან საქართველო ერთმორწმუნე დიდ რუსეთს დაუკავშირა და ამით ქვეყანა იხსნა დაღუპვისაგან.

ილია ჭავჭავაძე საქართველოს ისტორიის გულდასმით შესწავლის საფუძველზე ერთ მეტად საგულისხმო შორსმჭვრეტელურ დასკვნამდე მიდის. ილიას რწმენით, ვინაიდან ქართველი ხალხი ისტორიულად ბადებდა გმირებს, ასეთს იგი ახლო მომავალშიაც შობდა. „თუ გუშინ იყ-

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტომი V, გვ 225.
[2] ი. ჭავჭავაძე. თხზულებანი, ტომი V, გვ. 226—227.
[3] იქვე, გვ. 179.

ვნენ ჩემის სისხლისადა ხორცის დიდებულნი და სახელოვანნი კაცნი, რა მიზეზია, რომ ხვალაც არ გამოჩნდნენ"[1],—კითხულობს ილია. ეს არ იყო მარტო მოსაზრება ილია ჭავჭავაძისა საქართველოს წარსულისა და აწმყოს ღრმად შესწავლის საფუძველზე შემუშავებული, ამასთანავე ეს იყო ღრმა და წრფელი რწმენა, ურყევი შეხედულება ქართველი ხალხის დიდი მომავლისა. ილიას ღრმა რწმენით „დიდს წარსულს დიდი მომავალი ექნება"[2]; ილია დარწმუნებული იყო ქართველი ხალხის დიად მომავალში, მის განთავისუფლებაში ცარიზმის მძიმე კოლონიური უღლისაგან და სჯეროდა— დადგება დრო, როდესაც ქართული ეროვნული კულტურა ელირსება გაფურჩქვნას და აყვავებას სხვა ჩაგრულ-დამონებულ ერებთან ერთად, რომელთა დიდი მოსარჩლე და მესაიდუმლეც თვითონ ილია იყო.

საინტერესო ისაა, რომ უფრო მოგვიანებით, 1911 წელს, თითქმის იგივე აზრი და რწმენა გამოთქვა აკაკი წერეთელმა. თელავში გამართულ შეხვედრისას ხალხმა აკაკის გმირი უწოდა. ამაზე აკაკის უპასუხნია: „ჩვენ მხოლოდ აჩრდილი ვართ იმ გმირებისა, რომელსაც თქვენ მოელით და თქვენ გეკადრებათ... შემიძლია გიმახარობლოთ, რომ ის გმირი მოგეევლინებათ... მე ვერ მოვესწრები იმ მომავალი გმირის მირქმას, მაგრამ გულში იმედებით კი ჩავალ საფლავში"[3]. დიდი ილიას და აკაკის ეს სანატრელი ოცნება ცხოვრებამ სინამდვილედ აქცია.

---

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებ., ტ. V, გვ. 208

[2] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. II, გვ. 106.

[3] აკაკის ამ სიტყვის ავტოგრაფი დაცულია თელავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, საიდანაც ამოიწერე 1937 წ. სამეცნიერო მიზნებით კახეთში მოგზაურობის დროს.

5. პოემა „დიმიტრი თავდადებული“ და ისტორიული სინამდვილის რეალისტურად გააზრება

ილია ჭავჭავაძე პოემის „მეფე დიმიტრი თავდადებულის“ სიუჟეტს მთლიანად რაკი საქართველოს ისტორიული სინამდვილიდან იღებს, ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოკლედ მაინც შევჩერდეთ ამ პოემაზე. ისტორიული სინამდვილის საყურადღებო დეტალების მხატვრულად გააზრება ილიამ შესანიშნავად მოახერხა. პოემიდან ჩანს, რომ ილიას მისთვის ჩვეული გულშემაჯერებელი, წინასწარი მუშაობა ჩაუტარებია საისტორიო პირველწყაროებზე, რომ ხალხისათვის თავდადებული მეფის (დემეტრეს) დიდსულოვანი პიროვნება და ვაჟკაცური სახე სინამდვილის მხატვრულ ასპექტში მოხდენილად წარმოედგინა[1].

[1] ი. ჭავჭავაძე თავისი მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობიდან ხუთ პოემას გვიანდერძებს. ესენია: „აჩრდილი“, „ქართვლის დედა“, „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“, „განდეგილი“ და „მეფე დიმიტრი თავდადებული“. ილიამ ეს პოემები თავისი მოღვაწეობის სხვადასხვა პერიოდში დაწერა. ისინი ერთმანეთისაგან დიდად განსხვავდებიან არა მარტო თემატიკით და ჟანრით, არამედ მხატვრული ღირებულების თვალსაზრისითაც.

ილიას „მეფე დიმიტრი თავდადებული“ ნამდვილი ისტორიული პოემაა. როგორ ვითარებაში დაიწერა ეს პოემა, ვისგან და როდის იყო მწერალი შთაგონებული „დიმიტრი თავდადებულის“ დაწერისათვის და სხვა, ილია საკუთარ ავტობიოგრაფიაში გვაძლევს ამის პასუხს. ავტობიოგრაფიიდან ჩანს, რომ ილიას ბავშვობაშივე აღბეჭდვია ნორჩ ცნობიერებაში დიმიტრი თავდადებულის სახე, მაშინ, როცა ის სოფლის სკოლაში სწავლობდა. აი როგორ მოგვითხრობს იგი ამ ამბავს: „სკოლა გამართული ჰქონდა სოფლის მთავარს, ამ შინაურულ სკოლაში 5—6 სოფლის ბიჭი ვსწავლობდით. სკოლის მთავრის კარგი ღირსება ის იყო, რომ ამბების მომხიბვლელად მოყოლა იცოდა; გვიამბობდა ბავშვებისათვის გასაგებ ენით სამშობლო ქვეყნის ისტორიას და

„დიმიტრი თავდადებულის“ დასაწყისი, ბრმა მეფანტურის თხრობა, ამ პოემის დაწერამდე 17 წლით ადრე, 1860 წლის სექტემბერში, რუსეთში დაუწერია ილიას[1]. „აჩრდილში“, რომელიც სტუდენტობის დროს დაწერა ილიამ, პირველად შეეხო დიმიტრი თავდადებულის პიროვნებას. იქ სხვათა შორის ნათქვამია:

სისხლი, სულ სისხლი ჰფარავს და ჰფარავს
შენს წარსულს ჟამსა, შენს ბედის ვარსკლავს:
თვით მეფენიც კი თვის ცხებულ თავსა
მსხვერპლად აძლევდნენ მშობლიურ ხალხსა.
განა დიმიტრი თავდადებული
იქნება როსმე დავიწყებული?

ჩვენც ალტაცებით ვუსმენდით მის მოთხრობილს“. ილია ამასთანავე გვაუწყებს, რომ ბევრი ნაამბობი მთავრისა ბავშვობიდანვე ღრმად ჩარჩენია გულში და ერთი იმათგანი გამოუყენებია პოემა „დიმიტრი თავდადებულის“ დაწერისას (ამავე მთავრის მონათხრობის გავლენა ამჩნევია, ილიას ცნობითვე, „გლახის ნაამბობს“ და „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილს“).

პოემის გმირისადმი, დიმიტრი თავდადებულისადმი, ინტერესი ილიასათვის უკანასკნელად მის მეგობარს პეტრე ნაკაშიძეს გაუღვიეებია. პ. ნაკაშიძესთან მეგობრული საუბრის უშუალო შთაბეჭდილებით შესდგომია ილია პოემის წერას. პოემის ავტოგრაფი დაბეჭდვამდე ილიას გაუგზავნია პეტრესთვის წარწერით: „ძმაო პეტრე, შენგან ჩაგონებულს შენვე გიძღვნი“ (დაბეჭდილს აწერია: „ვუძღვნი თ. პეტრე ნაკაშიძეს“).

[1] საერთოდ კი ილია ჭავჭავაძე საქართველოს ისტორიის პრობლემებისადმი განსაკუთრებულ ინტერესს, როგორც დავრწმუნდებით, გასული საუკუნის 80—90 წლებში ამჟღავნებს; 1877 წ. მან დაწერა „ოსმალოს საქართველო“, 1880 წელს—„ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ“, 1886 წ.—„ლუარსაბ წამებული“, „საქართველოს ძველი ისტორიისა და მწერლობის განძი“, 1888 წ.—„ერი და ისტორია“, „დავით აღმაშენებელი“, „სანდალას წიგნის გამო“. 1889 წ.—„აი ისტორია“ და სხვა მრავალი. 1899 წელს „ასის წლის წინათ“ „სომეხთა მეცნიერნი და ჰვათა ღაღადი“ და სხვა პუბლიცისტური და ისტორიული ხასიათის თხზულებები.

ირკვევა, რომ დემეტრე თავდადებულის პიროვნება და თავდადება სამშობლოსათვის იმთავითვე იპყრობდა ილია ჭავჭავაძის ყურადღებას; ოდნავ მოგვიანებით ილიას დამოკიდებულება ამ ისტორიული ფაქტისადმი ნათლად გამოვლინდა მის პოემაში „დიმიტრი თავდადებული“.

II

პოემის ისტორიულ-სიუჟეტური ჩონჩხის გამო

ილია „მეფე დიმიტრი თავდადებულში“ საქართველოს ისტორიის მეტად მნიშვნელოვან პერიოდს ეხება; პოემის გმირი, დიმიტრი თავდადებული, XIII საუკუნის მეორე ნახევარში მეფობდა. ამ დროს საქართველოში მონგოლები ბატონობდნენ. საქართველო დამპყობელს ხარკს უხდიდა და ყმადნაფიც ქვეყნად ითვლებოდა.

მონგოლები ისტორიის ასპარეზზე გვიან გამოჩნდნენ. მათი თავდაპირველი სამშობლო, აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთი, ციმბირის სანახები იყო. მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ, თავს ირჩენდნენ პრიმიტიული მეჯოგეობითა და მონადირეობით. მათი სოციალური ცხოვრების ორგანიზაცია გვაროვნული იყო. კლასობრივი ურთიერთობა ეს-ეს იყო ფეხს იდგამდა. გვაროვნული წყობა რღვევის გზას ადგა. გვარების გაერთიანება ტომებს ქმნიდა და ცალკე დაქსაქსულ ტომურ ცხოვრებას ეწეოდნენ. ამ დაქსაქსული მრავალი სატომოს გაერთიანება და დარაზმვა მოახერხა ერთ-ერთი მონგოლური სატომოს გაბედულმა შვილმა ჩინგიზმა. იგი შემდგომ ყაენი გახდა და ჩინგიზ-ყაანად იწოდა. ამ დაქსაქსულ განსხვავებულ თათართა სატომოებს თავისი მეთაურ-გამაერთიანებლის (ჩინგიზ-ყაანის) ტომური წარმოშობა—მონგოლობა—საყოველთაო სახელად ეჭცა.

ჩინგიზ ყაანმა და მისმა მემკვიდრეებმა სულ მოკლე ხნის განმავლობაში დაიპყრეს ცენტრალური აზია, ჩინეთი, ინდოეთი, კიევის სახელმწიფოც კი. მონგოლები მცირე აზიისაკენაც დაიძრნენ, დაამარცხეს ხვარაზმის სასულტნო, დაიპყრეს ირანი 1231 წელს და ჯერი საქართველოზედაც მიდგა. მონგოლებმა საქართველო პირველად 1220 წელს დაზვერეს, ხოლო 1235 წლიდან მის დაპყრობას შეუდგნენ. მათ მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობა მოახერხეს. უკანასკნელი აღწერეს, მძიმედ დახარკეს და შეეცადნენ დაეშონებინათ.

1245 წელს გარდაიცვალა საქართველოს მეფე რუსუდანი. ამიერიდან საქართველოში ვიდრე 1247 წლამდე უმეფობის ხანა მკვიდრდება; საქართველოს მეფობის კანდიდატი, დავით IV, რუსუდანის ძე, ყაანის ურდოში გაწვეული, დიდხანს ელოდებოდა სამეფო გვირგვინს. შემდგომ 1247 წლისა სრულიად საქართველოში ყაანი ორ მეფეს ამტკიცებს: დავით IV და დავით V, გიორგი ლაშას ძეს. ორთა მეფობით მონგოლებმა შეამზადეს ნიადაგი მთლიანი საქართველოს სახელმწიფოებრივად დანაწილებისათვის.

მოძალადე მონგოლთაგან პოლიტიკურად და ეკონომიურად შევიწროებული საქართველო აჯანყდა 1259 წ., დავით IV მეთაურობით. დავითმა და მისმა მომხრე ერთგულმა თანამებრძოლებმა გაიმარჯვეს, მტერი დაამარცხეს, მაგრამ საბოლოოდ მეფე დავით IV ამალითურთ იძულებული გახდა იმერეთში გადახვეწილიყო და იქიდან დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოებას შესდგომოდა. გაჩნდნენ მოღალატეებიც, დიდებულებიდან ბევრნი მიემხრნენ მონგოლებს, როგორც, მაგალითად, სუმბათ ორბელი და სხვა გარეწარნი,

აღმოსავლეთ საქართველოში დარჩენილი მეფე დავით V (მამა დემეტრე თავდადებულისა) ერთი წლის შემდეგ მონგოლთა საწინააღმდეგო მეორე აჯანყებას უდგას სათავეში. დავით V დამარცხდა, იმერეთში გაიქცა, მაგრამ შემდგომ ისარგებლა მონგოლთა შინაგანი არეულობით, მოახერხა ხელსაყრელ პირობებში მონგოლებთან დაზავება და ისევ აღმოსავლეთ საქართველოში გადმოვიდა.

ამ აჯანყებებისა და რბევის დროს აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა დიდ გასაჭირში ჩავარდა. ხალხის დიდი ნაწილი ამოწყდა, ზოგი შიმშილმა და მოარულმა სენმა იმსხვერპლა. დროებით უმეფოდ დატოვებული აღმოსავლეთ საქართველოს ბედი მედროვეებსა და მონგოლთა ხარკის ამკრეფ ყაჩაღებს ჩაუვარდათ ხელში. გაპარტახებული სოფლები დაუმუშავებელი დარჩა. ხალხი იყრებოდა და ოავშესაფრებში გარბოდა.

მაგრამ თვითონ მონგოლთა ბატონობას ამ პერიოდში წყალი შეუდგა, მონგოლთა საყაანო ურდოებად დანაწილდა. ერთმანეთს წაეკიდნენ ბატონობისათვის. მონგოლთა დიდი საყაანო პირველად ორ დიდ ნაწილად გაიყო: ჩრდილოეთის ოქროს ურდოდ და სამხრეთის ილხნებად. 1256 წლამდე საქართველო ჩრდილოეთის ულუსს, ანუ ოქროს ურდოს, ექვემდებარებოდა, ამიერიდან კი ერანის საილხნოს. ოქროს ურდოსა და ერანის ილხნებს შორის წინააღმდეგობა ისახება. 1260 წლებში იმდენადაა გამწვავებული მათი ურთიერთობა, რომ ერანის ილხანთა ყაანი ჰულაგუ შირვანის სანახებში, თეთრი წყლის სანაპიროებზე,—აშენებს სანგრებს—ს ი ბ ა ს—და იქ მუდმივად ჯარს ბყენებს, ეშინია, ოქროს ურდომ საზღვრები არ გადმოლახოსო. ასეთ ვითარებაში დაუ-

ზავდნენ ერანის ილხნები საქართველოს მეფეს დავით V და „მოკავშირედ“ გაიხადეს ოქროს ურდოს წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში.

სიბას სიმაგრეების მშენებლობა და ჯარით იქ ყარაულობა საქართველოს მეფეს დავით V-ს დააკისრეს მონგოლებმა. საქართველოს ძვირად უჯდებოდა ეს დავალება. მეფე მუდამ მრავალრიცხოვანი ქართველი ლაშქრით სიბაზე იდგა. ოქროს ურდოს ყაანი ბერქა მოსისხლე მტერი იყო ერანის ილხნებისა. თბილისზე გამოლაშქრებისას, 1265 წ., ბერქა გზაში მოულოდნელად მოკვდა; ამავე წელს, უფრო ადრე, ერანის ილხანთა ყაანი, ბერქას დაუძინებელი მტერი, ჰულაგუც მოკვდა. მაგრამ ამით საფრთხე არ შენელებულ• და ჰულაგუს ძემ, ახლად გაყაანებულმა აბაღამ სიბაზე ჯარის მოშლა არ ინება. შემდგომ სიბაზე მუცლის მოარული სენი გაჩენილა, ჯარი ბევრი ამოუწყვეტია. ამ სენისაგან თავი ვერც მეფე დავით V-ს და მის შვილს, გიორგის, დაუცავთ. 1268 წელს უფლისწული გიორგი მოუკლავს ამ სენს, ხოლო 1270 წელს—მეფე დავით V, ულუდ წოდებული. ტახტზე დავით V-ის ძე, დემეტრე II ადის.

III

დემეტრე მეორე, თავდადებულად წოდებული, დაიბადა 1259 წელს. მცირეწლოვანი იყო, როცა იგი მამის სიკვდილის შემდეგ ყაანმა საქართველოს მეფედ დაამტკიცა. მამა დემეტრესი, მეფე დავით V, მეფე გიორგი ლაშას ძე იყო; დედა, გვანცა დედოფალი—ასული რაჭის ერისთავის კახაბერიძისა; გვანცა წინათ ავაგ ათაბაგზე იყო გათხოვილი და დაქვრივდა 1249 წელს. იგი მეფე დავით V-ის მეორე ცოლი იყო; შეირთო 1251 წელს.

დემეტრე დედით ადრე დაობლდა. გვანცა დედოფალი, მისი ქმრის მეფე დავით V აჯანყების გამო, მონგოლებმა შეიპყრეს და 1262 წელს სიკვდილით დასაჯეს. 1263 წ. მეფე დავით V-მ მონგოლთა ქალი—უფლისწული ესუქი შეირთო, ხოლო მცირეწლოვანი დემეტრე ტარსაიჭ ორბელს მიაბარეს აღსაზრდელად.

1271 წელს ელხანთა ურდოში გაწვეული და ყაანის მიერ მეფედ დამტკიცებული დემეტრე 12 წლის ბავშვი იყო. ყაანის კარზე დემეტრეს მზრუნველი დაუნიშნეს, მონგოლების მომხრე სადუნ მანკაბერდელი. იგი ითვლებოდა უგავლენიანეს პირად და ათაბაგ-ამირსპასალარად. სადუნი მედროვე იყო. მონგოლებს ემსახურებოდა და მცირეწლოვან მეფე დემეტრეს ანგარიშს როდი უწევდა. მან შექმნილი მდგომარეობით ისარგებლა და გასაოცრად დიდი ქონება შეიძინა. ამრიგად, აღმოსავლეთი საქართველო მე-13 საუკუნის 70-იან წლებში მცირეწლოვანი მეფისა და გაქნილი მედროვის ხელში აღმოჩნდა.

1278 წლის ახლო ხანებში დემეტრე სრულწლოვანია. იგი უკვე უკმაყოფილოა სადუნის თვითნებობით. ასევე უკმაყოფილონი არიან მეფესთან ახლოს მდგარი სხვა დიდებულები. ამ გამწვავებულ მდგომარეობას მხოლოდ ის გარემოება ანელებდა, რომ უკვე სრულწლოვანი მეფე ვალდებული იყო მონაწილეობა მიეღო შორეულ ომებში, რომლებსაც 1275-იან წლებიდან ერანის ილხნები ეგვიპტის წინააღმდეგ აწარმოებდნენ. მეფე დემეტრე უნებლიედ მოწყვეტილი იყო სამეფოს და საშუალება არ ჰქონდა მის შინაურ ცხოვრებაში აქტიურად ჩარეულიყო. ბევრი ქართველი დაიღუპა ამ ომებში (1277 წ., 1280 წ., 1281 წ.). თვით მეფე დემეტრე II ძლივს გადურჩა

სიკვდილს. ამრიგად, ნაცვლად იმისა, რომ მეფე დემეტრეს თავისი ნიჭი და უნარი სამშობლოს სამსახურისათვის შეეწირა, მონგოლთა ბრძანებით იძულებული იყო თავისი ძალღონე სამშობლოსგან განშორებულს, მონგოლთა სასარგებლოდ, ურიცხვისა და უმიზნო ბრძოლებისათვის შეელია.

1281 წელს სადუნ მანკაბერდელი გარდაიცვალა. მეფე დემეტრე მეორემ ამის შემდეგ ათაბაგობა თავის აღმზრდელს, ტარსაიჭ ორბელს უწყალობა, ხოლო ამირსპასალარობა სადუნის ძეს ხუტლუბუღას შეუნარჩუნა. ხუტლუბუღა ამით უკმაყოფილო დარჩა, რადგან მას უნდოდა მამის თანამდებობა მთლიანად დარჩენოდა. ხუტლუბუღა ამიერიდან შურისძიებით აღივსო მეფისადმი.

დიდ საგვარეულოთა თავგასულობა და მეფისადმი მეტოქეობა ხელისუფლების გამო ამ ეტაპზე ხშირი იყო. ამრიგად, მონგოლ დამპყრობელთა თარეშს საქართველოში დიდგვარიან აზნაურთა თავგასულობაც მიემატა. სამეფო ხელისუფლება ყოველივე ამის შედეგად დასუსტდა. ქვეყანა ძლიერმა ეკონომიურმა კრიზისმა მოიცვა. მონგოლთა მძიმე ხარკმა და ხშირმა ლაშქრობამ მწარმოებელი ძალების მოცდენა და საყოველთაო ქონებრივი სიღატაკე გამოიწვია. ამას სტიქიური უბედურებაც დაერთო: ძლიერმა მიწისძვრამ სამცხე-საათაბაგოს ქალაქები და სოფლები გაანადგურა, ხალხიც ბევრი დაიღუპა. საკუთრივ ქართლშიაც დიდი ზარალი მოხდა. მაგალითად, ამ დროს დაინგრა მცხეთის საყდარი. მძიმე ეკონომიური კრიზისიდან თავის დაღწევის მიზნით მეფე დემეტრე II ეკლესიისათვის შეწირული მამულები „გამოსწირა“ და განოიყენა.

მონგოლებმა მე-13 საუკუნის ოთხმოციან წლებში თავიანთი საბრძანებლის ხალხისა და ქონების აღწერა მოახდინეს. აღწერეს საქართველოც. გამოირკვა, რომ „უმრავლესნი მოოჯრებული იყო“[1]. ეკონომიურ დაქვეითებას სარწმუნოებისა და მორალის შერყევაც მოჰყვა. მაღალი ფენების ყოფაცხოვრებასა და ოჯახურ ტრადიციებში ფეხი მოიკიდა მონგოლურმა ადათ-ჩვევებმა. მაგალითად, მრავალი ცოლი ჰყავდათ სადუნ მანკაბერდელსა და თვით მეფე დემეტრე II-საც. საქართველოს ეკლესიის მესაჭემ, ნიკოლოზ კათალიკოზმა, არა ერთხელ ამხილა მეფე და სადუნიც მრავალცოლიანობისა გამო, მაგრამ „ვერ არწმუნა“ და უკმაყოფილომ „დაუტევა კათალიკოზობა“[2]. მთავრები და აზნაურები საყდრისა და მონასტრის ქონების მიტაცებას შეუდგნენ. კიდევ მეტი: ზოგი სასულიერო პირი „მღვდელთ მთავარი და მღვდელი, ლაღ-ამპარტავანი, ანგარ-ბოროტის მყოფელი“ გახდენო,—გვაუწყებს ჟამთაღმწერელი[3]. ამის შემდეგ ადვილად წარმოსადგენია, ქონებრივად გალატაკებულ ერისკაცთა ზედაფენების მორალური დონე და მშრომელი ხალხის აუტანელი ცხოვრების პირობები.

1282 წელს აბაღა ყაანი გარდაიცვალა; ერანის საილხნო შინაგანმა არეულობამ მოიცვა. ტახტისმაძიებელი უფლისწულები ერთმანეთს დაერივნენ, მკვლელობა გახშირდა. ბოლოს, 1284 წელს, არღუნი (აბაღას ძე) გაყაან-

---

[1] „ქ-ს ც-ბა“, მარიამ დედოფლისეული ვარიანტი, ე. თაყაიშვილის გამოცემა, გვ. 719. („ქ-ს ც-ბის“ ქვემოთ მითითებული გვერდები ემყარება აქ დასახელებულ გამოცემას).

[2] იქვე, „ქ-ს ც-ბა“, გვ. 723.

[3] „ქ-ს ც-ბა“, გვ. 713.

და. ამიერიდან ალმოსავლეთ საქართველოში მეფე დემეტრე II-ის მდგომარეობა განმტკიცდა, ვინაიდან არღუნის უგავლენიანესი მოხელე, ბ უ ღ ა, დემეტრე II-თან დიდად დაახლოებული პირი იყო, ბუღამ არღუნისაგან 1286 წელს ჩ ი ნ გ ს ა ნ გ ო ბ ა ც (მონგოლური უმაღლესი სამოხელეო წოდება) მიიღო.

მაგრამ ჩინგსანგის ბედიც მალე უკუღმა დატრიალდა. აბაღა ყაანის წინააღმდეგ მიმართული აჯანყება მას დაბრალდა და ამით ბოლო მოეღო როგორც მის (ბუღას) ბატონობას, ასევე სიცოცხლესაც. 1289 წლის 12 იანვარს ბუღა სიკვდილით დასაჯეს. მონგოლური სამართლით იგივე ბედი ეწვია ბუღას ოჯახის წევრებს, ნათესავებს და ახლო მეგობრებსაც, რასაკვირველია, შეთქმულების გამომჟღავნების გამო მეფე დემეტრე II-ც განსაცდელში ჩავარდა. იგი ამასთანავე შეთქმულების თანამონაწილედაც კი აღიარეს. მალემსრბოლის საშუალებით ყაანმა ურდოში დაიბარა მეფე დემეტრე II. დემეტრემ სახელმწიფო დარბაზი მოიწვია. დარბაზმა მთაში გახიზვნა და გამაგრება ურჩია. შექმნილი ვითარებით საგონებელში ჩავარდნილ მეფეს დარბაზისათვის ამაზე უპასუხნია: „თუ არ წავიდე ურდოსა და წავიდე მთიულეთს სიმაგრეთა შინა და დავიცვა თავი ჩემი... რამდენი სული ქრისტიანე სიკვდილსა მიეცემის და ტყვე იქმნების... თუ რომ წავალ, დასტურობით უწყი მომკლავს“ [1]. მეფემ წასვლა არ დაიშალა, დარბაზის წევრებიც დაითანხმა. მეფე დემეტრე II ყაანის ურდოში გაემგზავრა. გზაში შეპყრობილ და ურდოში წარ-

[1] „ქ-ს ც-ბა“, გვ. 737.

დგენილ დემეტრე II-ს მონგოლმა ხელისუფლებმა თა-ვისივე ხელით ააწერინეს პირადი ქონება. მეფემ აწერა „ყოველი სიმდიდრე მისი, საჭურჭლე, ზროხა და ცხვარი და ყოველი საქონელი მისი"[1]. ამ აღწერის საფუძველზე მონგოლებმა მთელი ეს ქონება ჩამოართვეს და მიითვი-ისეს. დემეტრეს გასამართლებას ურდოში ხუტლუბუღა და მეფის სხვა პირადი მტრები და ქვეყნის მოღალატენი დაესწრნენ. მათ მიზანს მიაღწიეს: 1289 წელს, 12 მარტს, მუღანში (მოვაკანში) მტკვრის პირად დემეტრე II მონგოლებმა სიკვდილით დასაჯეს. მეფის ერთგულებ-მა დიდის ცდით მოახერხეს და მეფის ნეშტი მცხეთაში სვეტიცხოველში დაკრძალეს.

მეფე დემეტრე II-ის ცხოვრება და მეფობა პირველად XIII-14 საუკუნეში აღწერა უცნობმა ქართველმა მემატი-ანემ—ჟამთაღმწერელმა. იგი „ქართლის ცხოვრების" კრებულშია შეტანილი. ჟამთაღმწერელი ძვირფას ცნო-ბებს გვაწვდის დემეტრე II პიროვნების დასახასიათებ-ლად. იყო „ესე დემეტრე ტანითა ახოვან, ფერითა ჰა-ეროვან, შესახედავად ტურფა... უხვი, მოწყალე გლახაკ-თა და მდაბალთა, რომელ არა სმენილ არს ნათესავი მე-ფეთა, გინა სხვათა კაცთა"[2]. და აქვე ეხება მის ჩვეუ-ლებას: ღამით ქალაქს ჩამოივლიდა და სადაც კი იხი-ლავდა გლახაკს, დავრდომილს და ობოლს, ყველას წყა-ლობას მიუვლენდაო.

ეს საქციელი არ შეიძლება აიხსნას ღვთის შიშით, ვინაიდან დემეტრე II სარწმუნოებისადმი პირად ცხოვ-რებაში მეტად თავისუფალ დამოკიდებულებას იჩენდა.

---

[1] „ქ-ს ც-ბა", გვ. 733.

[2] იქვე, გვ. 716.

იმ ძნელსა და არეულ დროში დემეტრე II „აღაშენა ქვეყანანი მოოვრებულნი“—გვაუწყებს ჟამთაღმწერელი. დემეტრე II ბევრი სოფელი გაუშენებია, გაქცეული ხალხი დაუბრუნებია; ასევე დემეტრეს, ჟამთაღმწერელისავე ცნობით, თბილისში მეტეხი აუშენებია და ღირსეულადაც შეუმკია იგი.

ქართული კლასიკური მწერლობის გამოჩენილი წარმომადგენლები, საქართველოს გმირული წარსულით უსაზღვროდ მოხიბლულნი, ხალხის ამ სახელოვანი წარსულის დიდი მეხოტბენი არიან, მაგრამ ჩვენი კლასიკოსები არასოდეს არ იფარგლებიან ამ გმირული წარსულის მხოლოდ რომანტიკული იდეალიზაციით. ისინი ისტორიული მასალის მხატვრულად გააზრებისას ყოველთვის საშშობლოს აწმყოსადმი ერთგულ სამსახურს და მისი უკეთესი მომავალის დიად საქმეს ემსახურებოდნენ.

მე-19 საუკუნის ჩვენს მწერლობაში საქართველოს ისტორიული მასალა ამ თვალსაზრისით ილია ჭავჭავაძემ ოსტატურად გამოამზევა. მისი „დიმიტრი თავდადებული“ როდი წარმოადგენს მარტოოდენ საქართველოს გმირული წარსულის მხატვრულ თხრობას. ილიას აქ, პირველ ყოვლისა, საქართველოს აწმყო და მისი მომავალი აქვს მხედველობაში. ილია მიზნად ისახავს წარსულის მაგალითზე აღაგზნოს მისი თანამედროვე თანამემამულენი საშშობლოსადმი თავდადებისა და უსაზღვრო სიყვარულის გრძნობით, მტკიცედ ჩაუნერგოს მომავალ თაობას თავდადება დედა საშშობლოსადმი. ამ შემთხვევაში საყურადღებოა ისტორიული ფაქტის ილიასებურად გადმოცემის მხატვრული ხერხები, მისი რეალიზმი და დამაჯერებლობა.

უქმე დღეს საყდრის ეზოში შეკრებილი ხალხი ძველი ამბების ცოდნით სახელმოხვეჭილ ბრმა მეფანტურეს მიმართავს:

გვითხარი რამე, ბერო კაცო, ნასმენ-ნახული,
ეგებ გულს ჟანგი მოაშორო კარგი ამბითა...

ხალხის თხოვნას თავაზიანად ასრულებს ბრმა მეფანტურე. პოეტი ასე გადმოგვცემს ამ განწყობას:

ბრმა მეფანტურე გაიმართა მაშინვე წელში,
სახე ღრუბლვილი გაუნათდა რაღაც მადლითა,
მისწვდა, აიღო თვის უბრალო ფანტური ხელში,
დაჰკრა ფანტურსა და დამღერა ნელისა ხმითა.

ამრიგად, ფანტურზე ტკბილი დამღერებით ბრმა მეფანტურე გარშემორტყმულ მსმენელთ მხატვრული ფერებითა და შეუნელებელი ინტერესით მოუთხრობს მონგოლთა ბატონობის სისხლიან დღეებზე, მეფე დიმიტრი თავდადებულის ბრძოლას, მის თავგანწირვას სამშობლოსათვის. თხრობისას გზადაგზა ბრმა მეფანტურეს ილია მოსწრებულად ათქმევინებს ღრმა პატრიოტული განცდებით აღსავსე ჩანაფიქრს, რომელიც უშუალოდ ეხმაურებოდა აწმყოს. მრავალთაგან შევჩერდეთ რამდენიმეზე:

უწინ ქართველს უხაროდა
მამულისთვის მტერთან ომი,
ან მოჰკლავდა, ან თავის თავს
შეაკლავდა როგორც ლომი?
ამით იყო საქართველო
უძლეველი და ძლიერი,
ამით ედგა მტერს გულდაგულ
ეს პატარა ქართვლის ერი.

ამის შემდეგ ილია პოემაში მხატვრული დამაჯერებლობით გადმოგვცემს მონგოლთა ბატონობას, ვერაგობას,

უხეშობას და ველურ ძალადობას, ქართველი ხალხის ბრძოლას და მეფის თავდადებას ერისათვის.

ურდოში ნებით მიმავალ თავდადებულ მეფეს ხალხი ეეედრება:

გულს რად გვიკლავ, რად მიდიხარ?
ნუთუ, მეფევ, ხსნა არ არის!..
ქუდზე კაცი დაუძახე,
მოაგროვე სპა და ჯარი.

მეტად მიმზიდველია სცენა, როცა ასეთ ვითარებაში ღრმად მოხუცი გლეხი წარუდგება მეფეს თავისი დავაჟკაცებული შვილებით და უმდაბლესად ემუდარება:

მიირთვი და ინაცვალე,
ჩემს ქვეყანას მტლად დაუდე,
ომში, მეფევ გაჩვენებენ,
რა ლომებს ჰზრდის საქართველო.

მეფე თავისას არ იშლის, რადგან მისი წაუსვლელობა საქარველოს სამეფოს მონგოლთაგან მოსრვას უქადდა. ურდოში მისული მეფე სიკვდილით დასჯის წინ მონგოლთა მბრძანებელ ყაანს ამაყად მიმართავს:

შენ წინ მოთქმა რას მიქვიან,
რას მიქვიან შენანება,
ჩემი გამკითხველი არი
ნამუსი და ჩემი ნება.
ჰქმენ რაც გინდა... მე არ გკითხავ,
რად გწადს მომკვეთო თავიო...
სვავს ვინ ჰკითხავს—სისხლს რადა სვამ,
სვავო, რადა ხარ სვავიო...

გაუტეხელმა და უშიშარმა მეფემ გმირულად დასდო თავი სამშობლოსათვის.

ამრიგად, მეფე დემეტრე II-მ თავი სამსხვერპლოზე მიიტანა, რითაც ხალხი იხსნა განადგურებისაგან. ამიტომ ქართველმა ხალხმა უკვდავი გმირის მარად სახსოვარი სახელით შემოსა იგი. ხალხმა და საქართველოს მატიანემ დემეტრეს თავდადებულის სახელი დაუმკვიდრა.

პოემის მიხედვით გმირი, რომელიც ხალხისთვის თავდადებულია, მარად უკვდავია, გმირები სიკვდილზე იმარჯვებენ. ილია წერს:

არ არის მკვდარი, ვინც მოჰკვდეს
და ხალხს შესწიროს დღენია,
მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ
სახელი არ დარჩენია.

პოეტის ეს სიტყვები ხალხის აზრისა და შეგნების გამომხატველია. ასე აქვს გააზრებული ილიას ჩვენი ისტორიის ეს რთული პერიოდი.

დასასრულ, მეფე დენეტრე II პიროვნებისა და მოღვაწეობის შესაფასებლად საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ აკად. ივ. ჯავახიშვილის საყურადღებო დახასიათება. იგი წერს: „ადამიანის ნამდვილი სულიერი და ზნეობრივი თვისებები ყველაზე მკაფიოდ, უეჭველია, განსაცდელის დროს გამომჟღავნდება; სწორედ მაშინ ირკვევა უცილობლად კაცის ბუნებაში პატიოსნება და გმირული. თავგანწირულება სჭარბობს, თუ ცხოველურ-მხეცური მიდრეკილება მას თავის თავის გარდა ყველაფერს ავიწყებს და პირადი უშიშროება-სიმრთელის გადასარჩენად მზად არის ყველა სხვები და ყველაფერი ინაცვალოს

და ეს დაკვირვება საშუალებას აძლევს მკვლევარს დემეტრე მეორის პიროვნება საბოლოოდ უფრო შეუმცდარად შეაფასოს"[1].

დემეტრე თავდადებულის ეს შესანიშნავი დიდსულოვანი მოქმედება და შეგნება, სამშობლოსა და ხალხისათვის მისი თავდადება იყო ის შემოქმედებითი შთამაგონებელი ძალა, რომელმაც აღაგზნო ილია პოემის სწორედ იმ სახით გააზრებისას, როგორადაც იგი „დიმიტრი თავდადებულში" გამოვლინდება.

6. ილია საქართველოს გაერთიანების ისტორიული მნიშვნელობის შესახებ

ილია ჭავჭავაძის შეხედულებით საქართველოს ეროვნული და საზოგადოებრივი მთლიანობა მას შემდეგ შეირყა და დაირღვა, რაც საქართველო დანაწილდა სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ. საქართველოს მოწინავე ადამიანებმა მაშინვე იგრძნეს მოახლოებული უბედურება. მათ თავი დასდეს ერთობისათვის, მაგრამ ამაოდ. ილია წერს: „ჩვენი უბედურება მაშინ დაიწყო, როცა ჩვენი ქვეყანა დაირღვა და განაწილდა სამს სამეფოდ და ხუთს სამთავროდ. ამ დარღვევამ არამც თუ მარტო ერთობის კავშირი გასწყვიტა ჩვენის სამეფოისა, არამედ საზოგადოებრივიცა. თვითეული ჩვენგანი ერთმანეთს დაგვაშორა, ერთმანეთის გულისტკივილისათვის გული აგვიცრუა, მოგვიკლა; მას დღეს აქეთ გაითხარა ჩვენის ბედ-

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი III, გვ. 119.

ნიერების სამარე, მას დღეს აქეთ თვიოეული დღე თი-
თოს რასმე სიკეთეს ხელიდან გვაცლიდა. ეს საზარო
უბედურება, რომელიც თანდათან უფრო გვიჯდებოდა
სულსა და ხორცში და გვხრწნიდა თავიდამ ფეხამდე,
იგრძნეს მაშინვე ჩვენმა მამა-პაპებმა და მათგან უკეთე-
სებმა ზედ შეაკლეს თავი ჩვენს ქვეყანასა, რომ ერთობა
ხელ-ახლად ჩამოეგდოთ. ბევრმა სახელოვანმა მეფემ და-
ლია ამაზედ თავისი სიცოცხლე, ბევრმა თავგამოდებულ-
მა მამულის-შვილმა დაანთხია ამისათვის სისხლი, მაგრამ
გარედამ მტერმა და შიგნით უკეთურთა ბზარვამ და
ლალვამ იმოდენა ჯაფა, სისხლის ღვრა, თავგაწირვა,—ამა-
ოდ ჩაუტარეს დარღვეულობით დაუძლურებულს ქვეყა-
ნასა და ერთხელ ზურგშემოქცეულს ბედს პირი ჩვეხკენ
ველარ აქნევინეს. ეგ შეერთების ყოვლად-მხსნელი
სურვილი თუმცა ველარ განახორციელეს, მაგრამ ან-
დერძად კი მაინც შერჩათ გულში ზოგიერთს ძველთაგან
შთომილსა"[1]. ასე რომ, ილიას აზრით, ეროვნული და სა-
ზოგადოებრივი მთლიანობა საქართველოში საკმაოდ დი-
დი ხანია რაც შერყეული და დარღვეული ყოფილა, რად-
გან საქართველოს დანაწილება სამ სამეფოდ და ხუთ
სამთავროდ XV საუკუნის მეორე ნახევარშივე უკვე და-
წყებულ პროცესად უნდა მივიჩნიოთ, თუ სავსებით და-
სრულებულად არა.

ილია ჭავჭავაძე პროგრესულ ისტორიულ მოვლენად
მართებულად თვლის საქართველოს ისტორიის იმ პე-
რიოდს, როცა არსებობდა საქართველოს ერთიანი სამე-
ფოს ცენტრალისტური ხელისუფლება. ილიასთვის მაინც
ბუნდოვანი დარჩა ის ფაქტი, რომ „სამთავროთა ეფემე-

---

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. VI, გვ. 93.

რული და შემთხვევითი გაერთიანება, რასაც ზოგჯერ ესა თუ ის ილბლიანი მეფე ახერხებდა, უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ ზედაპირულ ადმინისტრაციულ სფეროს ეხებოდა და მალე ინგრეოდა მთავრების ჟინიანობით და გლეხების გულგრილობით“ [1]. როგორც ვხედავთ, ისტორიულად „ილბლიანი მეფეების“ მოხერხებით საქართველოს „ეფემერულ, შემთხვევით“ და მხოლოდ „ზედაპირული, ადმინისტრაციული“ ხასიათის გაერთიანებას ჰქონდა ადგილი. ილია ვერ ხედავდა, რომ ასეთი შემთხვევითი გაერთიანების რღვევა მაშინდელი ფეოდალური საქართველოს ეკონომიური და პოლიტიკური წყობით იყო გამოწვეული.

ფეოდალური საქართველო, მისთვის დამახასიათებელი წარმოების წესით და მეურნეობის ნატურალური ხასიათით, როგორც ამხანაგი ს ტ ა ლ ი ნ ი გვასწავლის, „ნაწილდებოდა რა ერთმანეთისაგან მოწყვეტილ მთელ რიგ სამთავროებად, მათ არ შეეძლოთ საერთო ეკონომიური ცხოვრებით ეცხოვრათ“ [2].

შემთხვევით და „ეფემერულ-ზედაპირულად“ გაერთიანებულ საქართველოს სამეფო-სამთავროებად დანაწილების პროცესს კიდევ უფრო აჩქარებდა გარეშე მტრების შემოსევები და შინაფეოდალური ქიშპი.

ამ ნიადაგზე საქართველოს ერთიანი სამეფოს ნანგრევებზე აღმოცენდა ცალკე სამეფო-სამთავროები, რომლებიც „საუკუნეების განმავლობაში ომობდნენ და ანადგურებდნენ ერთმანეთს, ერთი-მეორეს უსისიანებდნენ სპარსელებსა და თურქებს“ [1] და სხვ. საქართველოს ისტორიის ესოდენ ღრმა სტალინური გაგებისაგან ილია, რასაკვირველია, შორს იდგა, მაგრამ ილიას შეუმჩნეველი არ რჩება ის ფაქტი, რასაც ამავე ნიადაგზე ადგილი ჰქონდა საქარ-

[1] ი. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. II, გვ. 318.

[2] იქვე, გვ. 317—318.

თველოს ისტორიაში მე-15 საუკუნეში,—საქართველოს სამეფო-სამთავროებად დანაწილების სახით. სწორედ ჩვენი ისტორიის ამ უაღრესად მძიმე პერიოდზე უნდა ამბობდეს ილია, რომ „ჩვენი უბედობაც მაშინ დაიწყო“-ო.

ილია ჭავჭავაძე ვინაიდან განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ერთიანი საქართველოს სამეფოს ცალკე სამეფო-სამთავროებად დაშლა-დანაწილების საკითხს, საჭიროა მოკლედ შევჩერდეთ ჩვენი ისტორიის ამ დიდმნიშვნელოვან საკითხზე.

გადაწყვეტით ჯერ კიდევ შეუძლებელია ითქვას, თუ როდის უნდა დანაწილებულიყო საქართველო სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ. ამ საკითხის ირგვლივ ჯერ-ჯერობით, სანამ ახალი საბუთები აღმოჩნდებოდეს, მხოლოდ შეხედულებებზე და სხვადასხვა თეორიაზე შეიძლება ლაპარაკი. ამ თეორიების სრულყოფილ გადმოცემას და კრიტიკულ გარჩევას იძლევა ივ. ჯავახიშვილი თავის შრომაში „ქართველი ერის ისტორია“ (წიგნი მეოთხე). ამ ნაშრომში ივ. ჯავახიშვილი საგანგებოდ გამოყოფს თავს: „სხვადასხვა თეორიები საქართველოს დანაწილების შესახებ“[2], მაგრამ ავტორი არ კმაყოფილდება არსებული თეორიების გადმოცემითა და კრიტიკით. იგი მისთვის ჩვეული ურყევი საბუთიანობით მიდის დასკვნამდე: „დაახლოებით უკვე 1410 წ. მოყოლებული დროგამოშვებით მეფე-მთავართა შორის ბრძოლა უნდა ყოფილიყო. ირკვევა, რომ საქართველოს დაყოფა სამეფოებად და სამთავროებად ხანგრძლივი პროცესისა და ბრძო-

[1] ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. II, გვ. 317—318.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, მეოთხე წიგნი, 1 ნაწილი, პირველი გამოცემა, თბილისი, 1924 წ., გვ. 94—99.

ლის შემდგომ მომხდარა, ამასთანავე ერთ-ბაშად კი არა, არამედ თანდათანობით. პირველად სამცხე-საათაბაგო ჩამოშორდა, შემდეგ სამეგრელო, აფხაზეთი და გურია, მერმე კახეთის სამეფოც დაარსდა. მალე ქართლი და იმერეთიც ცალკე სამეფოებად გაიყვნენ. მაგრამ ეს მდგომარეობა საბოლოო არ ყოფილა: ბრძოლა საქართველოს მთლიანობისაღსადგენად შემდეგშიაც არ შეწყვეტილა. ამიტომ საქართველოს პოლიტიკური სურათი ცვალებადი იყო და ახალშექმნილი ერთეულების სივრცე-საზღვრებიც მრავალჯერ შეცვლილა"[1] (კურსივი ავტორისაა. ა. ი.). ივ. ჯავახიშვილს აქვე, სხვათა შორის, მოყავს ვახუშტი ბატონიშვილის მოსაზრება, სადაც ავტორი წერს: „განსქდა ჟამსა ამისა (გიორგი მეფისა. ა. ი.) სამეფო სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ"[2]. ვახუშტის აზრით, გიორგი მეფე 1469 წ. უნდა გარდაცვლილიყო, ხოლო სამეფოში განხეთქილება გიორგის მეფობის დროს უნდა მომხდარიყო, გიორგი მეფის სურვილის საწინააღმდეგოდ. საქართველოს დაყოფა სამეფოებად და სამთავროებად არ უნდა მომხდარიყო ერთი ხელის დარტყმით, არამედ, როგორც ივ. ჯავახიშვილი ფიქრობს, იგი ისტორიული ხანგრძლივი ბრძოლის პროცესის შედეგია. ამ აქტის მიზეზების დაძებნისას ანგარიში უნდა გაეწიოს იმ გარემოებას, რომ მონგოლების შემოსევის შედეგად მე-13 საუკუნის პირველი მეოთხედიდანვე საქართველოს სახელმწიფოებრიობა დიდად შეირყა. ცნობილია,

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, მეოთხე წიგნი, გვ. 98—99.

[2] იქვე, გვ. 95.

რომ ამავე საუკუნის 60-იან წლებში იმერეთი გამოეყო ქართლს და ცალკე სამეფოდ მოგვეელინა. XV საუკუნის მიწურულში კი საქართველო უკვე საბოლოოდ დანაწილებულია[1]. ილია ჭავჭავაძის აზრით, „საქართველოს უბედურება" სწორედ ამ პერიოდიდან უნდა დაწყებულიყო, რადგან საქართველოს ამ დანაწილება-დარღვევამ სამეფო-სამთავროებად გამოიწვია არა მარტო ცენტრალისტური ხელისუფლების რღვევა, არამედ ერთსულოვანი ეროვნული შეგნების მოშლაც. ილიას თავის მსჯელობის გამოსავალ პუნქტად ამ შემთხვევაში, როგორც ირკვევა, აღებული აქვს საქართველოს სახელმწიფოებრივი და ეროვნული თუ საზოგადოებრივი ძლიერების ე. წ. „ოქროს ხანა". „დიდებული, მთლიანი ეროვნული და საზოგადოებრივად ერთიანი" საქართველო, რომელიც „ოქროს ხანადაა" წოდებული საქართველოს ისტორიაში (იგულისხმება მე-12 საუკუნე), წარმოიშვა გარეშე მტრების დამარცხებით და ცალკე სამთავროებისა თუ სამეფოების ლიკვიდაციის გზით, ხოლო, როგორც ცნობილია, მას წინ უძღოდა არანაკლები „დარღვევა და დანაწილება", ვიდრე ამას ჰქონდა ადგილი მე-15 საუკუნეში. ბუნებრივია, რომ ილია იცნობდა საქართველოს ისტორიის ამ პერიოდს (ლაპარაკია მე-7—10 საუკუნეებზე), მაგრამ, მიუხედავად ამისა, ილია „საქართველოს უბედურებად" მიიჩნევს მე-15 საუკუნიდან დაწყებულ დაქუცმაცების პროცესს,

[1] მე-15 საუკუნის მიწურულს საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბებული იყო ქართლის სამეფო თბილისითურთ, სადაც მეფობდა კონსტანტინე (1478—1504 წ.); კახეთის სამეფო, სადაც მეფობდა ალექსანდრე I (1476—1511); იმერეთის სამეფო, რომელიც ალექსანდრე II-ს ემორჩილებოდა (1484—1510) და სამცხე-საათაბაგო, სადაც ათაბეგად იჯდა ყვარყვარე II (1451—1498 წ.).

და, მართლაც, საქართველოს ეს ორი ეპოქა, ზოგიერთი უმნიშვნელო მსგავსების გარდა, არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სოციალურ-ეკონომიური წყობით და პოლიტიკური მდგომარეობით. მე-8—10 საუკუნეებში საქართველო ახალ გამაცხოველებელ ძალებს იძენს; იგი თანდათან მიდის ძლიერი სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და შექმნის გზით. მე-13 საუკუნიდან ხელახლა დაიწყო საქართველოს ეკონომიური დაᲜუსტებისა და პოლიტიკური რღვევის პროცესი უცხოელ დამპყრობელთა სისტემატური მძაფრი და მორიგეობითი გამანადგურებელი შემოსევების გამო. ეს პროცესი დიდხანს გრძელდებოდა, ვიდრე ქართველმა ხალხმა მთელი თავᲘᲡი ძალების დაძაბვითა და თავგანწირული გმირული ბრძოლებით უკანასკნელად არ დააღწია თავი ერანოსმალეთის მძლავრობას და, დამოუკიდებლობის ფართო გზაზე გამოსული, მე-19 საუკუნის დასაწყისიდანვე განუყრელად არ დაუკავშირდა დიდ რუსეთს.

ჩვენ აქ არ გამოვუდგებით იმის გარკვევას, თუ რა უარყოფითი გავლენა იქონია ქართველი ხალხის სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრებაზე საქართველოს ამ ფეოდალურმა დაქუცმაცებამ, რომელზედაც ილია ჭავჭავაძე ჩერდება, ვინაიდან იგი განმარტების გარეშეც ცხადია; განსაკუთრებით საყურადღებოა ილიას ის მოსაზრება, რომ საქართველოს ერთობისათვის ბრძოლაში მრავალმა „თავგამოდებულმა მამულის-შვილმა დაანთხია ამისთვის სისხლი, მაგრამ გარედამ მტერმა და შიგნით უკეთურმა ბზარვამ და ლალვამ ამოდენა ჯაფა, სისხლის ღვრა, თავგანწირვა,—ამაოდ ჩაუტარეს დარღვეულობით დაუძლურებულ ქვეყანასა“[1]. ილიას აზრით, მართალია, სა-

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ნაწერების სრული კრებული, ტ. VI, გვ. 93—94.

ქართველოს გაერთიანება ვერ განხორციელდა ამდენი ხნის განმავლობაში, მაგრამ „ანდერძობრივად“ იგი თაობიდან თაობაში ჩვენ გადმოგვეცემოდა, გულის სიღრმეში ვატარებდით მას, ვინახავდით და თვალისჩინივით ვუფრთხილდებოდით ძველთაგანვე, დღეს კი—მე-19 საუკუნისა და მე-20 ს. მიჯნაზე მოახლოვდა ჟამი ამ ეროვნული მთლიანობის მკვდრეთით აღდგენისა, „ერთობის ხელახლა ჩამოგდებისა“; ილია ჭავჭავაძე მიესალმება ეროვნულ-განმათავისუფლებელი გრძნობებით და განცდებით აღფრთოვანებულ „თერგდალეულ“ თანამებრძოლებს დამიულოცავს, რომ, მართალია, ჯერ მამა-პაპისაგან ნაანდერძევი ამოცანა არ გადაგვიწყვეტია, მაგრამ გზა, რომელსაც ესთაობადაადგა, ერთადერთი სწორი გზაა ამ „ანდერძის“ დასაუკუნებრივ „დარღვეული“ ეროვნული მთლიანობის აღსადგენად“[1]. ამგვარ კონცეფციას აყალიბებს ილია 1879 წ. მიმოხილვაში — „ვისს ნათესსა ვმკით“, და მრავალ სხვა სტატიაშიც.

მაშასადამე, დასტურდება, რომ ილია ჭავჭავაძე მე-19 ს. მეორე ნახევარში გარკვევით ამჩნევს საქართველოს სოციალ-ეკონომიურ ცხოვრებაში სავსებით ახალ მოვლენებს, რომლებიც ბატონყმური ურთიერთობის მოსპობისა და კაპიტალისტური ელემენტების ზრდა-განვითარების შედეგს წარმოადგენდნენ. ეს უკანასკნელნი თავის გამოხატულებას პოულობდნენ საქართველოს საერთო ეკონომიური ცხოვრების გააქტიურებაში, მის სრულ გაერთიანებაში, რასაც შედეგად მიჰყვა ქართველობის ერად ჩამოყალიბება. ქართველების ერად ჩამოყალიბების პროცესს, მართალია, გარკვევით ამჩნევს ილია, მაგრამ ის ვერ ხედავს ამ ფაქტის ისტორიულ სიახლეს. ილიას აზრით, ეს პროცე-

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. VI, გვ. 394.

სი, ქართველების ერად ჩამოყალიბება, არის ოდესღაც არსებული გაერთიანებული საქართველოს „ერთობის ხელახლა“ განმეორება, მისი აღდგენა. ამრიგად, ილიას არსებითად მაინც შეუმჩნეველი დარჩა, რომ „საქართველო, როგორც ერი, მხოლოდ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში გაჩნდა“[1].

ამგვარ მოვლენას ადგილი მარტო საქართველოში როდი ჰქონდა. ამხანაგი ს ტ ა ლ ი ნ ი გვასწავლის, რომ: „ერები არ ყოფილან და არც შეიძლება ყოფილიყვნენ წინაკაპიტალისტურ პერიოდში, ვინაიდან ჯერ კიდევ არ იყო ნაციონალური ბაზრები, არ იყო ეკონომიური და არც კულტურული ნაციონალური ცენტრები, არ იყო, მაშასადამე, ის ფაქტორები, რომელნიც სპობენ ამა თუ იმ ხალხის სამეურნეო დაქუცმაცებას და ერთ ეროვნულ მთელად ამჭიდროებენ ამ ხალხის მანამდე გათიშულ ნაწილებს“[2].

ამრიგად, ილია ჭავჭავაძე, გარდა იმისა, რომ „ეფემერული“ და „შემთხვევით გაერთიანებული“ საქართველოს ერთგვარ იდეალიზაციას ახდენს, ამასთანავე ვერ ხედავს განსხვავებას „ზედაპირულად“ გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოსა და რეფორმის შემდგომ აღმოცენებულ ახალ ურთიერთობათა შედეგად ნამდვილი გაერთიანების გზაზე დამდგარ საქართველოს შორის,— „როცა ბატონყმობის გაუქმებამ და ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების ზრდამ, გზების განვითარებამ და კაპიტალიზმის წარმოშობამ დაამყარა შრომის განაწილება საქართველოს ოლქებს შორის, საბოლოოდ შეარყია სამთავროების სამეურნეო კარჩაკეტილობა და ერთ მთელად შეაკავშირა ისინი“[3].

[1] ი. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 2, გვ. 318.
[2] იქვე, გვ. 372.
[3] იქვე, გვ. 318.

ამასთანავე საგულისხმოა ის ფაქტი, რომ საქართველოს ერად ჩამოყალიბების პროცესი, მისი ეროვნული ცხოვრების გააქტიურება ისტორიულად ცარიზმის კოლონიური ჩაგვრის მძიმე უღელქვეშ მიმდინარეობდა; ილია შეჰხარის ფორმირების ამ პროცესს, მაგრამ მას გულს უკლავს ცარიზმის მიერ საქართველოს ნაციონალურ-კოლონიური ჩაგვრა. ამდენად ილიი ამოცანას გადაწყვეტილად არ თვლის და საჭიროდ მიიჩნევს შეუნელებელ ბრძოლას საქართველოს ეროვნული განთავისუფლებისათვის ცარიზმის კოლონიური ჩაგვრისაგან. სწორედ ამიტომ განმათავისუფლებელი მოძრაობის ამ ფონზე ილია ჭავჭავაძე „საქართველოს XIX საუკუნის მეორე ნახევარში ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის უაღრესად პოპულარულ საზოგადო მოღვაწედ გვევლინება“[1].

7. ილია სამხრეთ საქართველოსა და ოსმალ დამპყრობელთაგან მისი გამოხსნის პირობების შესახებ

„რუსეთი... იყო ის ერთადერთი პროგრესული ძალა, რომელსაც შეეძლო საქართველოს მიწა-წყლის გაერთიანება და ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებისათვის საჭირო პირობების უზრუნველყოფა“[2].

საქართველოს გაერთიანებისა და მისი ერად ჩამოყალიბების პროცესი უშუალოდ დაკავშირებული იყო საქართველოს ტერიტორიული ერთიანობის აღდგენასთან. პირველ ყოვლისა ეს შეეხებოდა ოსმალთაგან მიტაცებულ

---

[1] გაზ. „Правда“, 1937 წ. 29 მაისის № 146, ასევე იხ. ა/წ. 12 სექტემბრის „Правда“.

[2] ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია საქართველოს ისტორია, ნაწილი I, ს. ჯანაშიას რედაქციით, 1950 წ., გვ. 424,

საქართველოს მიწა-წყალს. ცარიზმის ბატონობის პერიოდში ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. მართალია, 1829 წელს ახალციხის მხარის გამოხსნის შედეგად საქართველოს დაუბრუნდა მესხეთის მიწა-წყლის ნაწილი, მაგრამ ისევ რჩებოდა ოსმალთა მფლობელობაში ბევრად მეტი ნაწილი საქართველოს მიწა-წყლისა, არტაანისა და აჭარა-ქობულეთიდან დაწყებული, ვიდრე ტრაპეზუნტისა და გურჯი-ბოლაზის სანახების ჩათვლით.

1877—78 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომი მიზნად ისახავდა ამ მხარის ოსმალთა მონობისაგან გამოხსნას. რასაკვირველია, ცარიზმი ამას აკეთებდა არა იმ მიზნით, რომ შეეკრიბა საქართველოს ოდითვე კუთვნილი მიწა-წყალი და გაერთიანებული საქართველო შეექმნა,—სრულებითაც არა. ცარიზმს ამ შემთხვევაშიაც საკუთარი მიზნები ამოქმედებდა, მაგრამ ობიექტური შედეგები ამ მიზნების განხორციელებისა, სხვათა შორის, ხელს უწყობდა საქართველოში ეროვნული შემეცნების ზრდას, საქართველოს ერად ჩამოყალიბების ღრმა სოციალ-ეკონომიურ პროცესებს, რამდენადაც იგი საქართველოს ტერიტორიული ერთიანობის აღდგენასთან იყო დაკავშირებული.

ამიტომ შემთხვევითი არაა ის ფაქტი, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და მისი მესვეურები, ილია ჭავჭავაძის თაოსნობით, რუსეთ-ოსმალეთის ამ ომთან დაკავშირებით დიდ მიზნებს ისახავდნენ.

სამხრეთ საქართველოს საკითხები ქართულ პრესაში განსაკუთრებით გააქტიურდა 70-იან წლებში, რუსეთ-ოსმალეთის 1877—78 წწ. ომის დაწყებამდე და ომთან დაკავშირებით. თავისთავად კი ოსმალ დამპყრობთაგან სამხრეთ საქართველოს გამოხსნის საკითხი დიდი ხნის მანძილზე წარმოადგენდა ქართველი ხალხის მეტად მწვავე და დიდად საზრუნავ საქმეს.

70-ანი წლების მიწურულს, როცა სამხრეთ საქართველოს გამოხსნისა და შემოერთების საკითხი, რუსეთ-ოსმალეთის ომთან დაკავშირებით, სავსებით რეალური და პრაქტიკული გახდა, ქართულმა პრესა მ, ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, ცხოველმყოფელი საზოგადოებრივი მსჯელობის საგნად აქცია იგი.

ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე ილია ჭავჭავაძე გულისტკივილით წერდა: „ოსმალეთს უჭირავს გურიის სამთავროს და საათაბაგოს ნაწილები: ქობულეთი, აჭარა, შავშეთ-ერუშეთი, ლაზისტანი და ჭანეთი"[1].

ილია ჭავჭავაძე სპეციალური წერილით გამოეხმაურა 1877 წ. 12 აპრილის ცნობას რუსეთ-ოსმალეთს შორის საომარი მოქმედების დაწყების შესახებ; ამ წერილში შესანიშნავადაა შეფასებული მაშინდელი საერთაშორისო ვითარება და განსაკუთრებით ნათლადაა გარკვეული ის გზები და მიზნები, რომელსაც ქართველი ხალხი უნდა ისახავდეს მიმდინარე ომში[2].

ილია ჭავჭავაძის იმდროინდელი პუბლიცისტური წერილებიდან ირკვევა, რომ იგი დიდ იმედებს ამყარებდა რუსეთ-ოსმალეთის ომზე. ილია ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ეს ომი შეასრულებდა დიდმნიშვნელოვან როლს სამხრეთ საქართველოს ოსმალ დამპყრობთა მძიმე უღლისაგან გამოხსნის საქმეში. ამ საქმეში ილიამ ფართოდ გამოიყენა ქართული პრესა და მტკიცედ შემოიკრიბა თავის ირგვლივ ისეთი უახლოესი თანამებრძოლები, როგორიც იყვნენ: აკაკი წერეთელი, ი. გოგებაშვილი, ს. მესხი, გ. წერეთელი, დ. ბაქრაძე[3], პ. უმი-

[1] კრებული „სამაჰმადიანო საქართველო", 1915 წ. გამოცემა, გვ. 16.

[2] გაზ. „ივერია", 1877 წ. № 8.

[3] ისტორიკოსმა დ. ბ ა ქ რ ა ძ ე მ გაზ. „ივერიის" 1877 წ. № 10 და 11-ში გამოაქვეყნა საყურადღებო წერილები სათაურით: „ოსმა-

კაშვილი, გ. ყაზბეგი, დ. ჩუბინაშვილი, მ. ჯანაშვილი და სხვა.

1877 წელს რუსეთ-ოსმალეთის ომთან დაკავშირებით გაზ. „ივერიაში" საზოგადოდ სისტემატურად იბეჭდებოდა წერილების სერია საერთო სათაურით: „ოსმალოს საქართველო"[1].

გაზ. „ივერიაში" გამოქვეყნებულ წერილების სერიას, „ოსმალოს საქართველოზე" უაღრესად დიდი სამეცნიერო აღმზრდელობითი ხასიათის გარდა, სააგიტაციო-საპროპაგანდო მნიშვნელობა ენიჭებოდა. გაზეთ „ივერიის" მიბაძვით იმდროინდელი ქართული სხვა ჟურნალ-გაზეთები,—„დროება", „კრებული", „სასოფლო გაზეთი" და სხვა,—ვრცლად აშუქებენ სამხრეთ საქართველოს საკითხებს. ეს გაზეთები მგზნებარედ მოუწოდებდნენ ქართველობას რუსი მეომრების მხარდამხარ თავგანწირვით ებრძოლათ სამხრეთ საქართველოს გამოხსნისათვის.

რუსეთ-ოსმალეთის 1877—78 წწ. ომი რუსეთის გამარჯვებით დაგვირგვინდა. ილია ჭავჭავაძისა და სხვა ქართველ პატრიოტთა ოცნებას ფრთები შეესხა, რადგან

ლოს საქართველო, ანუ მესხეთი"; ამავე პერიოდს ეკუთვნის მისი კაპიტალური ისტორიულ-არქეოლოგიური ნაშრომი: „Археолог. путешествия по Гурии и Ачаре". ლ. ისარლიშვილი ამაზე შენიშნავს, სხვათა შორის, რომ: „Д. Бакрадзе во время турецкого владычества проехал по реке Чорохи—от Артвина до Борчхи по Чорохи" (იხ. ისარლიშვილის „Письма о Грузии", ზ. ჭიჭინაძის გამოცემა. თბილისი, 1899 წ., გვ. 280).

[1] მეტად საყურადღებოა დ. ჩუბინაშვილის სტატიები: „ეთნოგრაფიული განხილვა ძველთა და ახალთა კაპადოკიის ანუ ჭანეთის მკვიდრთა მოსახლეთა" (იხ. „ივერია", 1877 წ., № 14, 15, 16, 17); ასევე სხვა წერილები „ივერიისა" ოსმალოს საქართველოზე 1877 წ. №№ 8, 9, 12, 18, 44. და სხვ.; ამავე საკითხებზე მაშინდელ პერიოდიკაში დაიბეჭდა მ. ჯანაშვილის წერილები და ბევრიც სხვ.

მშობლიურ საქართველოს დაუბრუნდა ოსმალთაგან მიტაცებული ქართული მიწა-წყლის დიდი ნაწილი.

ახლად გამოხსნილ თანამემამულეებს, რომლებიც დაბეჩავებულნი და გაღატაკებულნი იყვნენ ოსმალთა ბარბაროსული საუკუნოვანი ძალმომრეობით და დაბრმავებულნი მაჰმადიანური სარწმუნოებრივი ფანატიზმით, დახმარება ესაჭიროებოდა.

ცარიზმის მოხელეები საომარი მოქმედების პერიოდში თითქო ხელს არ უშლიდნენ ქართველობაში პატრიოტიზმის გაღვივებას ოსმალთა ბატონობისაგან განაწამებ თანამემამულეთა გამოხსნის მიზნით. მაგალითად, დიდი მთავარი მიხეილი 1877 წ. ქართველ მხედრობას მიმართავდა: თქვენს უკან კავკასიის მხედრობის სახელოვანი წარსულია, „თქვენს წინ—მინდორნი და სიმაგრენია, სადაც თქვენს მამებს და ძმებს თავისი სისხლი დაუთხევიათ“ [1]. ცარიზმი ამით, უამისოდაც მგზნებარედ დარაზმულ ქართველობას კიდევ უფრო აქეზებდა ომში მასობრივად მონაწილეობისათვის[2].

მაგრამ როცა ომი სრული გამარჯვებით დაგვირგვინდა, გაღატაკებული და დაჩაგრული მუსულმანი ქართველობის მდგომარეობაზე ზრუნვა ცარიზმს აზრადაც არ მოსვლია და იგი მხოლოდ მაშინდელი მოწინავე ქართველი საზოგადოების საგანი გახდა. ამასთანავე განსაკუთრებით აღსანიშნავია ოსმალეთის აგენტების, ბეგების, მოლებისა და აღების გამხრწნელი ქადაგება გამუსულმანებული ახლად გამოხსნილი ქართველობის გზა-კვალის აბნევის საქმეში, რაც გამოხატულებას პოულობდა ე. წ. „მუხაჯირობაში“, ე. ი. მშობლიური მიწა-

[1] გაზ. „ივერია“, 1877 წლისა, № 4. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივში დაცულია დედანი ამ საბუთისა.

[2] ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრ. კრებ., ტ. IV, გვ. 17—22.

წყლიდან მკვიდრი მოსახლეობის აყრასა და თურქეთში მათ იძულებით გადასახლებაში.

„მუხაჯირობა“ მასობრივ მოვლენად იქცა. მაჰმადიანური ფანატიზმით მოწამლული ათასობით ქართველი მოსახლეობა ოსმალეთის აგენტებმა სამხედრო ღონისძიებებით აიძულეს და „წმინდა ადგილებისაკენ“ გარეკეს.

მკვიდრი მოსახლეობის იძულებით აყრამ და თურქეთში გადასახლებამ ამასთანავე მძაფრი ხასიათი მიიღო აფხაზეთში; აქედან თურქი დამპყრობლები იძულებით გამაჰმადიანებულ ხალხთან ერთად თურქეთში ძალმომრეობით ერეკებოდნენ ათასობით ადგილობრივ ქრისტიან მოსახლეობას. თუ აქამდე თურქი დამპყრობლები საქართველოდან გაყვანილ ტყვეებში ფულს არ შურავდნენ და ასე იტაცებდნენ,—ახლა მოხერხებულად სარგებლობდნენ რა საომარ ვითარებით, ისინი ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რათა ქართველი ხალხი დაუზოგავად აჰყარონ თავიანთ მამა-პაპურ საცხოვრებელ ადგილებიდან და თურქეთში გარეკონ. მაგ., თურქეთში იძულებით გარეკილი ათეულ-ათასობით აფხაზი ქრისტიანი მოსახლეობის ერთი ნაწილი აუწერელი გაჭირვება-ტანჯვის გამოვლით ახერხებს და სამშობლოში ბრუნდება. მაგ., 1880 წ. 10.6 შედგენილ დოკუმენტებში აფხაზეთის, ბათუმისა და სამურზაყანოს უფროსი დეკანოზი დ. მაჭავარიანი იმერეთის ეპისკოპოსს გაბრიელს წერდა: „Из переселенных Абхазцев в Турцию в минувшую войну более 15-ти тысяч душ жителей, с Высочайшего разрешения, возвращены на родину, они исповедуют православную веру и постоянно нуждаются в духовных требах“[1]. რადგან სხვა საბუთებიდან ვტყობილობთ, რომ თურქებს გაუ-

[1] აფხაზეთის ასსრ ცენტ. სახ. არქივი, ფონდი 1, საქ. 471, ფურც. 3.

ნადგურებია აფხაზეთის 34 ქრისტიანული საყდარი[1]. ვინ დასთვლის რამდენი ოჯახი განადგურდა, რამდენი უდანაშაულო ქართველობა გაწყდა დამპყრობ თურქეთის ძალმომრეობის შედეგად?

ცარიზმი თურქების მიერ იძულებით აყრილ ქართველობის შესაკავებლად ზომებს არ მიმართავდა[2], პირიქით, წლობით გრძელდებოდა ომის დამთავრების შემდეგაც გადასახლების ეს მავნე პროცესი, რის შემდეგაც ბევრი სოფელი დაცარიელდა, ხოლო ამ დაცარიელებულ ადგილებში ამჯერადაც კოლონიზატორული ელემენტები იქნა ჩასახლებული. ცარიზმის ამგვარი საქციელი შეუწყნარებელი იყო იმ თვალსაზრისითაც, რომ ქართველი მოსახლეობა მიწის დიდ სივიწროვეს განიცდიდა. ამ უკანასკნელ ფაქტს უამრავ საბუთებთან ერთად ადასტურებს თვით ცარიზმის უგავლენესი მოხელეებიც კი[3].

ზ. ჭიჭინაძის ცნობით, თურქი დამპყრობელების ძალმომრეობის შედეგად მარტო „ქობულეთ-აჭარიდან 40.000 კაცი გადასახლდა ოსმალეთში, რომელთა უმეტესნი გზაში დაიხოცნენ. ვინც ოსმალეთში მიაღწია, ჩაასახლეს მწირ რაიონებში, სადაც ისინი ისეთ გასაჭირში ჩავარდნენ, რომ შვილებს ოსმალებზე გაყიდვა დაუწყეს და იქიდან ანაღები ფულებით აქეთ საქართველოში კაცებს გზავნიდნენ და სიმინდს ყიდულობდნენ"[4].

ზ. ჭიჭინაძის ამ გადმოცემას ადასტურებს რუსეთის კონსულის ბელოცერკოვეცის ზუსტი ცნობები. იგი თავის აღ-

[1] აფხაზეთის ასსრ ცენტრ. სახ. არქივი, ფ. 1, საქ. 32, ფურ. 41, 50.
[2] С. Эсадзе, Историческая записка об управлении Кавказом, ტ. II, стр. 252.
[3] Акты, Т. VII стр. 774.
[4] ზ. ჭიჭინაძე, ქართველი მაჰმადიანები კინტრიშის ხეობაში, გვ. 27—28.

წერაში 80-ან წ. მიუთითებს, რომ აჭარა-ქობულეთიდან ოსმალეთში თურქებს გაურეკიათ დაახლოებით 40.000 კაცი. კონსული ბელოცერკოვეცი ამასთანავე ასახელებს იმ ადგილებს, სადაც თურქებმა ჩასახლების ნება დართეს იძულებით გარეკილ „მუხაჯირებს“. ასეთ ადგილებად მითითებულია: ორდუ, უნიე, ფატცა, ჩარშამბე, სამსუნი და სხვა[1]. მსგავს ბოროტმოქმედებათა დამახასიათებელი ცნობების მოტანას აქ ჩვენ აღარ გამოვუდგებით, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ დაახლოებით მსგავს მდგომარეობას ჰქონდა ადგილი 1829 წლის რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს; მაშინაც ბევრი მაჰმადიანი ქართველი გადაასახლეს სამცხე-ჯავახეთიდან თურქებმა იძულებით და მოტყუებით ოსმალეთში[2].

ილია იბრძვის სამხრეთ საქართველოს ახლად გამოხსნილი მიწა-წყლიდან ქართველი მოსახლეობის თურქეთში იძულებით გარეკვის წინააღმდეგ; ამასთანავე ყველა ღონისძიებით ცდილობს დახმარება გაუწიოს ოსმალთა ხანგრძლივი ჩაგვრით, ომითა და მოუსავლიანობით მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილ სამშობლოში დარჩენილ, თურქეთის მონობიდან გამოხსნილ, ღვიძლ ძმებს. ილია გაზ. „ივერიაში“ ამაზე წერს: „ჩვენი მოძმენი, აჭარლები და ქობულეთლები, ძალიან ცუდ მდგომარეობაში არიან... ნამეტნავად კინტრიშის ბაზრა თურმე საშინელ ყოფაში და გაჭირვებაშია“[3].

---

[1] საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 61, საქმე 63.

[2] მაგ. ივ. გვარამაძის ცნობით, ზუსტად ირკვევა, რომ 1829 წ. მარტო ახალციხის საფაშოდან ოსმალეთში ამ წესით გადაასახლეს 12000 ოჯახი ქართველი მაჰმადიანებისა (იხ. ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელნაწერების № 27 ტექსტი). თუ თითოეულ ოჯახში საშუალოდ 5 სულს მაინც ვიანგარიშებთ, გამოდის, რომ 60.000 სული ქართველი მაჰმადიანი ასევე იძულებით აჰყარეს და გადაასახლეს ამ ომის დროს ოსმალეთში.

[3] გაზ. „ივერია“, 1879. წ. № 9; ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ნაწ. სრულ. კრებ., ტ. VI, გვ. 17-23, 31—38.

ილია ჭავჭავაძე როდი კმაყოფილდება მარტო მდგომარეობის აღწერით, იგი ღონისძიებებს სახავს და ატარებს თანამოძმეთა დასახმარებლად, ერთ-ერთ ასეთ ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს ფულადი სახსრების შეგროვება, რომელიც ილია ჭავჭავაძის ინიციატივით იქნა დაწყებული. „დამშეული ქობულეთლების“ ფონდში ილიას შეაქვს 20 მანეთი და მგზნებარე სიტყვებით მიმართავს ქართველობას: „აბა, ქართველობავ, ასლა შენ იცი, როგორ დაანახებ თავს შენს ახლად შემოერთებულ ძმებს, ახლა შენ იცი, როგორ დაუმტკიცებ ქვეყანას მამა-პაპათ ანდერძს: „ძმა ძმისთვისა და შავი დღისთვისაო“[1]. ასეთია ის მოქალაქეობრივი პატრიოტული ვალი, რომელიც ესოდენ სასახელოდ შეასრულა ილიამ სამხრეთ საქართველოს ოსმალთა ბატონობისაგან გამოხსნის საკითხებთან დაკავშირებით 1877—78 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომის პერიოდში.

II

ილია ჭავჭავაძე, როგორც დავრწმუნდით, უშუალოდ მონაწილეობს, იდეურად თაოსნობს და პრაქტიკულად ხელმძღვანელობს რუსეთ-ოსმალეთის 1877—1878 წწ. ომთან დაკავშირებით ქართულ საზოგადოებრივ აზრს და იმ ღონისძიებებს, რაც კი სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის და მიწა-წყლის გამოხსნის საკითხებთან ასე თუ ისე იყო დაკავშირებული. ამასთანავე საგანგებოდ აღსანიშნავია ილიას სპეციალური წერილი „ოსმალოს საქართველო“, რომელზედაც საჭიროა ჩვენი ყურადღების შეჩერება, რადგან ამ პატარა წერილში ილიამ მისთვის დამახასიათებელი ღრმა აზროვნებითა და უსაზღვრო პატრიოტული განცდებით ჩამოაყალიბა საკუთარი შეხედულებანი სამხრეთ საქართველოს საკითხებზე.

[1] იხ. ჯ ახ. „ივერია“, 1879 წ., № 9.

ილია, ეხება რა სამხრეთ საქართველოს ისტორიას, მის როლს და მნიშვნელობას ქართული სახელმწიფოებრიობისა და კულტურის აღორძინების დიად საქმეში, დასძენს: „საკვირველს მედიდურს სანახაობას წარმოადგენდა იგი (სამხრეთ საქრთველო. ა. ი.) საქართველოს ისტორიაში"; თუ რაში ჰპოვა გამოხატულება კონკრეტულად სამხრეთ საქართველოს დიადმა და საკვირველმა ღვაწლმოსილებამ, მოკლე ისტორიული მიმოხილვის შემდეგ ილია დაასკვნის: „ჩვენი ყოფილი ცხოვრება იქ აყვავებულა, ჩვენს სიცოცხლეს იქ უჩქეფნია, ჩვენის სულის ძლიერებას იქ აღუმართავს თავისი სახელგანთქმული დროშა. თითქმის იგივეა ჩვენი სულის აღმატებულების აკვანი და იგია სამარეც ჩვენის ყოფილის ადამიანობისა; სწავლა, განათლება, მამულისათვის თავგამეტებული სიყვარული თითქმის იქიდან ეფინებოდა ჩვენს ქვეყანასა ერთ დროს". ასევე „ქრისტიანობამ იქ, სამცხე-კლარჯეთში, მოიკიდა ფეხი" და იქიდან იწყო მან გავრცელება დანარჩენ საქართველოში; „უწარჩინებულესნი მამანი, საღმრთო-საერო თხზულებათა მწერალნი ჩვენნი... ჩვენი სასიქადულო „ვეფხის-ტყაოსანის" მთქმელი, შოთა რუსთაველი, იმ მხარის კაცი იყო"[1].

მაგრამ არ დაგვინდო ველურმა ძალამ და სამხრეთ საქართველო, ქართული დიადი ეროვნული კულტურის ეს ჭეშმარიტი აკვანი, ეს წმინდათა-წმინდა ადგილი შეგვიგინა, შებილწა, დაიპყრო, უსამართლოდ მიიტაცა და მხეცურად გათელა, მიწასთან გაასწორა საუკუნეების მანძილზე დიდი სიყვარულით და დაუღალავი შრომით ქართველი

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, სრული კრებული, ტომი II, გვ. 310, თბილისი, 1941 წ. გამოც.

ხალხისმიერ შექმნილი ყოველგვარი ღირებულებანი, მანამდე სისხლისმღვრელ ბრძოლებში გმირულად გამოტარებული და უმწიკლოდ მოვლილ-ნაპატრონები.

ილია ჭავჭავაძე ეხება თურქეთის უსამართლო ბრძოლებს სამხრეთ საქართველოს დაპყრობისათვის და ქართველი ხალხის თავგანწირულ წინააღმდეგობას მშობლიური ქვეყნის გადასარჩენად; მაგრამ ეს საუკუნოვანი და სისხლისმღვრელი უთანასწორო ომები, ცნობილია, ოსმალთა ურიცხვი ურდოების სასარგებლოდ დამთავრდა და ყოველივე ამის შედეგად „ეგრეთ მძლავრობამ, მუხთლობამ, ღალატმა,—გვაუწყებს ილია,—შავით მოსილმა საქართველოს ბედმა განგვაშორა ჩვენი ძმები, ერთად სისხლის მღვრელნი, ერთად ღვაწლის დამდებნი, ერთად ტანჯულნი და ერთად მოლხინენი[1]“.

ილია ჭავჭავაძეს ღრმად სწამს, რომ „ერი, ერთის ღვაწლის დამდები, ერთს ისტორიულ უღელში ბმული, ერთად მებრძოლი, ერთსა და იმავე ჭირსა და ლხინში გამოტარებული ერთსულობით, ერთგულობით,—ძლიერია, თუნდ დროთა ბრუნვას ერი განეყოს, დაერღვიოს“. ილია თავის მოსაზრებას სამხრეთ საქართველოს შესახებ უშუალოდ უკავშირებს მიმდინარე მომენტს, შექმნილს 1877—78 წწ. და ამბობს, რომ „სამყოფია ხოლმე ერთი რაიმე შემთხვევა, რათა იფეთქოს, იჭექოს დაძინებულმა ისტორიამ და ერთსულობამ, ერთგულობამ თავისი ძლიერი ფრთა გაშალოს. ამ დღეში ვართ დღეს ჩვენ და ოსმალეთის საქართველო“[2] (ხაზგასმა ჩვენია. ა. ი.).

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, სრული კრებული, ტ. II, გვ. 311.
[2] იქვე.

ილია ჭავჭავაძეს სრულებით არ აშინებს ის გარემოება, რომ ოსმალობამ მიტაცებული სამხრეთ საქართველოს მკვიდრი ქართველი მოსახლეობა იძულებით გაამაჰმადიანა და დროებით ჩამოაშორა თავის ღვიძლ ქრისტიან თანამემამულეებს; ილიას ღრმადა სწამს, რომ სარწმუნოებრივი სხვადასხვაობა ერთი ეროვნების შვილებისა ხელს ვერ შეუშლის და იოტის ოდნადაც კი ვერ შელახავს მათს ღვიძლსა და ნამდვილ მშობლიურ ურთიერთ გულწრფელ სიყვარულს, ვინაიდან „ქართველმა, თავის სარწმუნოებისათვის ჯვარცმულმა,—წერს ილია,— იცის პატივი სხვის სარწმუნოებისაც. ამიტომაც ჩვენს ისტორიაში არ არის მაგალითი, რომ ქართველს სურვებიყოს ოდესმე სხვისა სარწმუნოებისა დაჩაგვრა და დევნა. სომეხნი, ებრაელნი, თვით მაჰმადიანიცა ჩვენს შორის მცხოვრებნი, ამაში ჩვენ ვერაფერს ვერ წაგვაყვედრებენ. სხვა ქვეყნებში სარწმუნოებისათვის დევნილნი, დაჩაგრულნი, აქ ჩვენში, პოულობდნენ მშვიდობიანობის-მყოფელს სავანესა და სინდისის თავისუფლებასა“[1].

ილია ამასთანავე უშუალოდ ეხება ძალად გამაჰმადიანებულ და ქრისტიან ქართველთა მომავალი ურთიერთობის საკითხს და გამოთქვამს უაღრესად საყურადღებო მოსაზრებას. ის წერს: „სარწმუნოებრივი სხვადასხვაობა ჩვენ არ გვაშინებს... არ გვაშინებს-მეთქი ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენს ძმებს, ოსმალოს საქართველოში მცხოვრებთა, დღეს მაჰმადიანობის სარწმუნოება უჭირავთ. ოღონდ მოვიდეს ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ კვლავ შევუერთდეთ, ერთმანეთი ვიძმოთ და... დიდი ხნის განშორებულს ძმას ძმურადვე შეითვისებს, თვის პატიოსანს და ლმობიერს გულზედ ძმას ძმურადვე მიიყრდენს თვალში

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, სრული კრებ., ტ.II, გვ. 311—312.

სიხარულის ცრემლმორეული ქართველი და თუ ამისათვის საჭიროა, რომ სიხარულის ცრემლის უწინარეს ჯერ ჩვენი სისხლი დაიღვაროს, ნუ თუ ქართველი უკუდრკება და თავს არ შესწირავს მას, რისთვისაც ორი ათასი წელიწადი თავი უწირავთ ჩვენთა დიდებულთა მამა-პაპათა"[1]. ასეთია ილიას ამ საპროგრამო წერილის არსი და მისი პრაქტიკული დანიშნულება.

ი. ჭავჭავაძე ღრმად იყო დარწმუნებული მასში, რომ ოსმალთა ბარბაროსული ბატონობის მძიმე უღლიდან გამოხსნილ ქართველობაში მალე აღდგებოდა ეროვნული შეგნება; ილიას თანამებრძოლი ი. გოგებაშვილი წერს: „მამულის სიყვარული, მხურვალე ეროვნული გრძნობა, არის უპირველესი თანხა ქვეყნის ბედნიერებისათვის... მამულის ჭეშმარიტი სიყვარული იმისთანა მაღალი გრძნობაა, რომლის აზრდა ადვილი როდია... ეროვნულ-პატრიოტულ გრძნობასაც დიდი ხნის ზრუნვა, მოვლა, ყურის გდება და ერთგულება ესაჭიროება"[2]. მიტაცებულ სამხრეთ საქართველოს მიწა-წყლის მკვიდრ მოსახლეობაში თურქები საუკუნეების მანძილზე ველური მეთოდებით ახშობდნენ ქართულ ეროვნულ შეგნებას და იძულებით ამუსულმანებდნენ მათ. ქართველი გამანათლებლები პირველი იყვნენ, რომლებიც უღვიძებდნენ ეროვნულ შეგნებას ოსმალთა მონობაში მყოფთ და მათგან გამოხსნილ თანამემამულე ქართველ მოსახლეობას.

ილია, მართალია, დიდი მგზნებარებით მოუწოდებდა ქართველობას ბრძოლისაკენ სამხრეთ საქართველოს მიწა-წყლისა და მოსახლეობის გამოსახსნელად, მაგრამ თვით ილიამ შესანიშნავად იცოდა, რომ ეს ბრძოლა სა-

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, სრული კრებული. ტ. II, გვ. 312

[2] იაკობ გოგებაშვილი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 111.

მართლიანობისათვის ბევრად აღემატებოდა პატარა და კოლონიური საქართველოს მაშინდელ რეალურ შესაძლებლობას.

ისმის საკითხი: რა ძირითადი დასაყრდენი ძალა მიაჩნია ილია ჭავჭავაძეს ისეთად, რომლის წყალობითაც ბოლო მოეღება ისტორიულ უსამართლობას და სამხრეთ საქართველო დამპყრობ ოსმალთა საუკუნოვან მძლავრობას დააღწევს თავს?

ასეთ უძლეველ ძალად ილია ჭავჭავაძეს მიაჩნია დიდი რუსეთი და მისი უძლეველი მხედრობა, რომლის გვერდითაც ყოველი ქართველი გაათმაგებულ გმირულ თავგანწირვით იბრძოლებს მშობლიური მიწა-წყლის და თანამემამულეთა მტარვალ ოსმალთაგან გამოსახსნელად.

ილიას ღრმა რწმენით სამხრეთ საქართველოს გამოხსნის საკითხი, არსებითად, დიდი რუსეთის მეთაურობით და ქართველთა აქტიური მონაწილეობით უნდა გადაწყვეტილიყო. გარკვევით უნდა ითქვას, რომ ეს საკითხი (სამხრეთ საქართველოს გამოხსნა) საქართველოს პოლიტიკურ მოღვაწეებს საქართველოს რუსეთთან შეერთებამდეც სწორედ ასე წარმოედგინათ. საქართველოს რუსეთთან დაკავშირების ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენდა ოსმალთა ბატონობისაგან სამხრეთ საქართველოს მიწა-წყლის და მოსახლეობის გამოხსნის საკითხიც; ქართველი ხალხის ეს მიზანდასახულება ნათელ გამოხატულებას პოულობს რუსეთ-საქართველოს მფარველობით ტრაქტატში, რომელიც მეფე ერეკლეს მეცადინეობით და ხელმოწერით დადებულ იქნა 1783 წელს ქალაქ გეორგიევსკში.

იმისათვის, რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ აქ აღძრული საკითხის არსი, მიზანშეწონილად მიგვაჩნია რამდენიმე სიტყვით შევჩერდეთ თვით ოსმალთაგან სამხრეთ საქართველოს დაპყრობის ზოგიერთ საკითხზე და იმ ისტორიულ პირობებზე, რის შედეგადაც სამხრეთ საქართველოს გამოხსნის რეალურად გადაწყვეტის საკითხი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ერთ-ერთ არსებით საკითხად იქცა.

III

ოსმალი ბარბაროსები სამხრეთ საქართველოს დაპყრობას მე-15 საუკუნის მეორე ნახევრიდან შეუდგნენ; 10 წელიც კი არ გასულა კონსტანტინოპოლის დაპყრობიდან, რომ ოსმალობამ საქართველოს სახელმწიფო საზღვრები გადმოლახა და 1461 წელს უკვე ტრაპეზუნდი დაიპყრო. ამიერიდან ოსმალთა შემოსევანი, მეტ-ნაკლები აქტივობითა და ველური სისასტიკით, არასოდეს არ შეწყვეტილა, ვიდრე მთლიანად არ იქნა მიტაცებული სამხრეთ საქართველო. ოსმალები აჭარა-ქობულეთის მიტაცებისათვის ბრძოლას აგრძელებდნენ მე-18 საუკუნის მიწურულშიაც კი; ისე რომ, ოსმალობა აღარ კმაყოფილდებოდა მარტო სამხრეთ საქართველოს დაპყრობით და ენერგიულად, შეუნელებელი აქტივობით მოიწევდა ღრმად საქართველოს გულისა და მისი სასიცოცხლო ცენტრების მთლიანად დაპყრობის მიზნით, ვიდრე ამ გამხეცებულ აგრესიას გზა არ გადაუღობა რუსეთ-საქართველოს მეგობრობამ და საქართველოს რუსეთთან შეერთების დიდმა ისტორიულმა აქტმა.

ოსმალებს საქართველოსგან მიტაცებულ ადგილებში თან მოჰქონდათ სრული განადგურება, ეკონომიური დაცემა, დაწინაურებული მეურნეობის სრული მოშლა, მო-

სახლეობის იძულებითი გამაჰმადიანება და პოლიტიკური მონობა, მკვიდრთა ძარცვა, მკვლელობა, ტყვეებით ვაჭრობა, უკულტურობა და საერთო მორალური უკიდურესი დაქვეითება[1]. დამპყრობი ოსმალობა საქართველოსგან მიტაცებულ ადგილებში ნერგავდა ყოველგვარ მტრობას, შურს, ველურობას და მსგავს უამრავ უარყოფით მოვლენებს, რომლის შესადარი ძნელია მოინახოს მსოფლიო ისტორიაში.

საქართველოს დამოუკიდებელი სამეფო თავიდანვე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ეწეოდა დამპყრობ ოსმალთა წინააღმდეგ; ამ ბრძოლების ერთ-ერთი ძირითადი მიზანი იყო მიტაცებული მიწა-წყლის გამოხსნა. მაგრამ ფეოდალურ საქართველოს არ აღმოაჩნდა ამისათვის საჭირო შინაგანი ძალები. უკანასკნელად მეფე ერეკლე მეორე და მეფე სოლომონი, ოსმალთა აგრესიის აღკვეთისა და სამხრეთ საქართველოს გამოხსნის მიზნით ჰქმნიან ერთგვარ შინაგან კოალიციას და უშუალოდ უკავშირდებიან რუსეთს, რუსეთ-ოსმალეთის პირველი ომის პერიოდიდანვე. პირადად მეფე ერეკლეს სახელოვანი ბრძოლა ასპინძაში 1770 წ. აპრილში ამ დიდი მიზნის განსახორციელებლად გადადგმული გმირული ნაბიჯი იყო. მაგრამ რუსეთ-საქართველოს ძმობა-მეგობრობის მტრის,— უცხოელი ავანტურისტის,—ტოტლებენის ღალატმა დროებით ჩაშალა ოსმალთა ბატონობისაგან სამხრეთ საქართველოს მიწა-წყლის და მოსახლეობის გამოხსნის საქმე, რომელსაც იმ მომენტში დიდი წარმატე-

[1] გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი ზემოაღნიშნულ ფაქტს ზუსტი ციფრობრივი მაჩვენებლებით ადასტურებს, სხვა დოკუმენტზე რომ არაფერი ვთქვათ. დავთარის ტექსტი 1941 წ. გამოსცა დოც. ს. ჯიქიამ.

ბით განხორციელების ყველა პირობა გააჩნდა. მეფე ერეკლეს ამის შემდეგაც წუთითაც არ დაუკარგავს რწმენა და არ აუღია ხელი სამხრეთ საქართველოს ოსმალთა ბატონობისაგან გამოხსნის დიად საქმეზე. ილიას სწორად აქვს შეფასებული ასპინძის ომის ისტორიული მნიშვნელობა და ტოტლებენის ღალატი [1].

საქართველოს რუსეთთან შეერთების ერთ-ერთი ძირითადი მიზანდასახულება გარეშე მტერთაგან ქვეყნის დაცვის გარდა ის იყო, რომ, როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს კუთვნილი მიწა-წყალი, უსამართლოდ მიტაცებული ოსმალთა მიერ, გამოხსნილი და შემოერთებული ყოფილიყო რუსეთის დახმარებით და მეთაურობით; ამას ითვალისწინებდა რუსეთ-საქართველოს 1783 წ. ტრაქტატი.

მას შემდეგ, რაც საქართველო დიდ რუსეთს შეუერთდა, სამხრეთ საქართველოს ოსმალთაგან გამოხსნის საკითხი დღის წესრიგიდან არ მოხსნილა და ყოველთვის მწვავედ იდგა რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობის საერთო ასპექტში. ეს იმიტომ, რომ ამ საკითხს ითვალისწინებდა არა მარტო მფარველობითი პირობები, არამედ, პირველ ყოვლისა და უმთავრესად, თვით რუსეთის იმპერიის ინტერესები.

მე-19 საუკუნის 25-იან წლების შემდეგ მეფის რუსეთმა, ქართველობის აქტიური მონაწილეობით, აღვირახსნილი თურქეთის წინააღმდეგ ფაქტობრივ სამი დიდი ომი გადაიხადა (1829 წ., 1853—56 წ.წ. და 1877—1878 წ.წ.).

1829 წლის რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად, კერძოდ კავკასიაში, მოხერხდა სამცხე-ჯავახეთისა და ფოთის გამოხსნა ოსმალთა ბატონობისაგან, ხოლო 1877—1878 წ. წ.

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. II, გვ. 452—453.

ომის შედეგად გამოხსნილ იქნა ყარსი, არდაგანი, ართვინის მხარე და აჭარა-ქობულეთი.

დასახელებული ბრძოლები თავისი ობიექტური შედეგებით განმათავისუფლებელი და პროგრესული ხასიათისა იყო ისევე, როგორც ბევრი სხვა ბრძოლები რუსეთისა აღმოსავლეთში. „...Россия, — სწერდა ენგელსი მარქსს რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყებამდე 1851 წელს,—действительно играет прогрессивную роль по отношению к Востоку...“[1]. ამდენად მართალია თეზა იმის შესახებ, რომ: „Для грузин и армян... войны России с Персией и Турцией имели освободительный характер“[2]; ამასთანავე შეუძლებელია დავიწყებული იქნეს ის ფაქტი, რომ იმთავითვე კავკასიის ფრონტიდან რუსეთის ეს განმათავისუფლებელი ბრძოლები უმეტესად ყოველთვის ქართველი ხალხის აქტიურ მონაწილეობით მიმდინარეობდა; კავკასიის სხვა ხალხებიც ასევე გვერდში უდგა რუსეთს.

თურქეთის აღვირახსნილ ველურ თარეშს მის მიერ დაპყრობილ საქართველოს მიწა-წყლის იმ ნაწილზე,

[1] მარქს-ენგელსი, თხზ., ტ. XXI, გვ. 211. 1829 წ. 29 სექტემბერს არტანუჯელ კათოლიკეთა მღვდელი იოანე ბატონოვი ფარული ქრისტიანი, უმთავრესად ქართველი მოსახლეობის სახელით პასკევიჩს სწერდა: „Мы весьма возрадовались услыша избавление Ахалцихе от рук неверных“,—მაგრამ ჩვენ ჯერ ისევ მონობაში ვართ „в руках этих беззаконных“. ოსმალ დამპყრობელთა ბარბაროსობით და ძარცვა-გლეჯით თავმობეზრებული ხალხი ევედრებოდა პასკევიჩს: „Крайне умоляем вас, как поскорее подать нам помощь и освободить нас“. ლენინგრადის ЦИГА, პასკევიჩის არქივი, ფონდი № 1018, ანაწერი 3, საქ. № 79, გვ. 1—2. დოკუმენტი თარგმნილია ქართული დედნიდან. უამრავი დოკუმენტით მტკიცდება, რომ ოსმალთა მონობაში მყოფი თვით ქართველი მოსახლეობა რუსეთს და მის ძლევამოსილ მხედრობას განმათავისუფლებლად სთვლიდა.

[2] Большая Советская энциклопедия, СССР, მოსკოვი, 1947 წ. გვ. 502.

რომელიც გამოხსნილ იქნა რუსეთ-ოსმალეთის დასახელებული ომების შედეგად, ბოლო ეღებოდა. ამასთანავე რად ღირდა მარტო ის ფაქტი, რომ 1880-იან წლებიდან ისპობოდა საშინელი მხეცობა, რასაც ოსმალეთი საუკუნეების მანძილზე ახორციელებდა საქართველოდან ტყვეების მასობრივად გატაცების, ტყვეებით ვაჭრობის სახით. ოსმალთაგან მიტაცებული სამხრეთ საქართველოს მიწა-წყალი კი ამ ბოროტმოქმედების უმთავრეს ბაზებად იყო გამოყენებული. მოვიტანთ ერთ დამადასტურებელ ფაქტს. „Обыкновенный живой товар, который нужно было отправить в Константинополь, привозился в Батум. Там он таино „сохранялся" в гареме какого-либо бека и при первом случае отправлялся на пароходе в Трапезунд, или прямо в Константинополь"[1].

დამპყრობ ოსმალთა სხვა სახის დანაშაულებრივ, აშკარა ბოროტმოქმედებით ღონისძიებებზე, რომელთაც ისინი ძალმომრეობით ახორციელებდნენ საქართველოსაგან მიტაცებულ ადგილებსა და მოსახლეობაში, ისევე, როგორც საქართველოს საზღვრისპირა რაიონებზე ქურდული თავდასხმებისა და ტყვეთ გატაცების სახით, ჩვენ აქ არ შევჩერდებით, იგი სპეციალური კვლევის საგანია.

თავის გენიალურ ნაშრომში „ნაციონალური საკითხი და ლენინიზმი" ი. სტალინი ეხება ასიმილაციის იმ მხეცურ მეთოდებს, რომლის საფუძველზე „თურქი ასიმილატორები ასეული წლების განმავლობაში ფლეთდნენ, აწამებდნენ და ჟლეტდნენ სომეხ და ქართველ ერებს"[2].

---

[1] ლ. ფრენკელი, Очерки Чуруксу и Батума, თბილისი, 1879, გვ. 87.

[2] ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. 11, გვ. 385.

ილია ჭავჭავაძის შეხედულებებს სამხრეთ საქართველოს საკითხებზე თავისი ცხოველმყოფელი, შთამაგონებელი მნიშვნელობა არათუ არ დაუკარგავს საბჭოთა დიადი თანადროულობისათვის, არამედ მისი მნიშვნელობა განუსაზღვრელად დიდია ახლა, როდესაც სამხრეთ საქართველოს მიწა-წყლის უდიდესი ნაწილი კვლავ იმყოფება მარშალიზებული თურქეთის უღელქვეშ.

ილია ჭავჭავაძის ეს შეხედულებანი კიდევ ერთხელ ნათლად ადასტურებს და მთლიანად ეხმაურება 1945 წლის ბოლოს გამოქვეყნებულ ისტორიულ დოკუმენტს საქართველოს ოდითვე კუთვნილი მიწა-წყლისა და მკვიდრი მოსახლეობის თურქეთის ჩაგვრისგან განთავისუფლებისათვის ქართველი ხალხის სამართლიან პრეტენზიებს[1].

საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელი კ ა ნ დ ი დ ჩ ა რ კ ვ ი ა ნ ი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 25-წლისთავზე გაზ. „პრავდა"-ში წერდა: „ჯერ კიდევ არ განხორციელებულა ქართველი ხალხის საუკუნეობრივი ოცნება: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. მის საზღვრებს გარეთ ჯერ კიდევ რჩება ოდითვე ქართული მიწა-წყალი: არტაანის (არდაგანის), ართვინის, ოლთისის, თორთუმის, ბაიბურთის, ისპირის, გიუმიშხანეს, ლაზისტანის რაიონები. ამიტომ გასაგებია ქართული საბჭოთა საზოგადოებრიობის დაჟინებითი მოთხოვნები იმის შესახებ, რომ საქართველოს დაუბრუნდეს ჩვენი სამშობლოსაგან მოწყვეტილი ტერიტორიები, რომლებიც ქართველი ხალხის კულტურისა და სახელმწიფოებრიობის აკვანს წარმოადგენენ"[2].

---

[1] აკად. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ს და აკად. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს წერილი გაზ. „კომუნისტის" რედაქციისადმი 1945 წ. დეკემბრის 14 და ა. ვ ი შ ი ნ ს კ ი ს მოხსენება გენერალურ ასანბლეის პოლიტიკური კომიტეტის 1947 წ. 24 ოქტომბრის სხდომაზე.

[2] იხ. გაზ. „Правда", 25 თებერვალი, 1946 წ.

8. ილია საქართველოს რუსეთთან შეერთების მნიშვნელობისა და მასთან მეგობრული ურთიერთობის შესახებ

ქართლის სამკვიდროვ, ქვეყნის თვალად დაბადებულო,
რამდენს ვაებას შენსა თავზედ გარდაუვლია!...
ჯვარცმულის ღვთისთვის თვით ჯვარცმულო და წამებულო,
ეკლიანს გზაზედ შენებრ სხვასა რომელს უვლია?
სხვა რომელია, რომ ათასთ წელთ ბრძოლა მედგარი
გამოეველოს და სრულიად მტვრად არ აღგვილიყოს?
შენ ხარ, მარტო შენ, მაგალითი სხვა არსად არი,
რომ სხვა ქვეყანას, სხვასა ერსა ეგ შეძლებიყოს.
(ილია ჭავჭავაძე—„აჩრდილი")

ქართველი ხალხი უმაგალითო გმირობით იბრძოდა უცხო დამპყრობლების წინააღმდეგ თავისი ეროვნული და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის. სისხლისმღვრელ ბრძოლებს ამ მიმართლებით ბოლო არ უჩანდა, იგი საუკუნეებით გრძელდებოდა. ქართველობას ფიზიკური განადგურების საფრთხე ემუქრებოდა.

კერძოდ, დამპყრობელი შაჰის სპარსეთისა და თურქეთის სულთანის აგრესიული მისწრაფებანი თავიდანვე საქართველოს დამონებას ისახავდა მიზნად; მათი დაჟინებითი ველური შემოსევები, განსაკუთრებით მე-15 საუკუნიდან ყოველთვის გამანადგურებელი ხასიათისა იყო. ირან-ოსმალეთის დაპყრობით უსამართლო ომებს ქართველი ხალხი მუდამ სამართლიანი, განმათავისუფლებელი ომებით უპასუხებდა და მხოლოდ ამგვარი უსასრულო სისხლისმღვრელი ბრძოლებით შესძლო საქართველომ შეენარჩუნებინა საკუთარი სახელმწიფოებრიობა და ეროვნული მდიდარი კულტურა.

ამ უსასრულო და უთანასწორო ომებმა მოქანცა ხალხი, შეარყია მისი სახელმწიფოებრიობა და აიძულა მძლავრი მოკავშირე გამოენახა. ქართველ ხალხს უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთადერთ საიმედო და უძლეველ მოკავშირედ ყოველთვის დიდი რუსი ხალხი მიაჩნდა. ბევრი მაგალითის მოტანა შეიძლება საქართველოს ისტორიიდან იმის შესახებ, როცა დამპყრობი ირანოსმალეთის ძალმომრეობით განაწამები ქართველი ხალხი და სამეფო ხელისუფლება დიდ რუს ხალხს მიმართავდა როგორც სამართლიანობის მოსარჩლეს, ქართველი ხალხის ერთგულსა და საიმედო მოკავშირეს.

დამპყრობ მოძალადეებთან ბრძოლებნახად და ჭრილობა მიყენებულ საქართველოს წინაშე მე-18 საუკუნის მიწურულში იდგა ალტერნატივი: „ან ჩაყლაპულ უნდა ყოფილიყო შაჰის სპარსეთის ან სულთანის თურქეთის მიერ, ანდა იგი რუსეთის პროტექტორატის ქვეშ შესულიყო“[1].

ილია ჭავჭავაძე, აკვირდება რა საქართველოს იმდროინდელ ვითარებას არსებითად მართებულ დასკვნებამდე მიდის. მისი აზრით მეფე გიორგის იმ გარემოკიდან, რომელშიაც ის იმყოფებოდა, უნდა დაეშვირა საქმე „რუსეთთან, რომ როგორმე გადაერჩინა საქართველო ამოღენ ერთად ზედმოსეულ უბედურებისაგან“[2].

როგორც ჟიურის მითითებული დადგენილებიდან ვიცით „მეორე პერსპექტივა (ე. ი. საქართველოს რუსეთის პროტექტორატში შესვლა, ა. ი.) იყო შედარებით მაინც უმცირესი ბოროტება[3]“, რასაკვირველია, თავისთავად ბო-

[1] Постановление жюри правительственной комиссии по конкурсу на лучший учебник для 3 и 4 классов средней школы по истории СССР. „იხ. კრებული“ К изучению истории“, მოსკოვი, 1945 წ., გვ. 37.

[2] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. II, გვ. 494.

[3] მთავრობის კომისიის ჟიურის დასახელებული დადგენილება, გვ. 37.

როტება იყო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოსპობა და მეფის რუსეთის კოლონიად გადაქცევა, რომელსაც ქართველი ხალხი დაუღალავად ებრძოდა, ვიდრე მან, დიდი ოქტომბრის რევოლუციის შედეგად თავისუფლება არ მოიპოვა. მაგრამ იმ ისტორიულ პირობებში ეს იყო მაინც უმცირესი ბოროტება შედარებით იმასთან, რაც მოელოდა საქართველოს ირან-ოსმალეთის ველური და აშკარა შთანმთქმელი აგრესიის შედეგად[1].

ი. ჭავჭავაძე მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ქართველი მეფეები რუსეთთან მოლაპარაკებას 1491 წლიდან დაწყებული არაერთგზის აწარმოებდნენ და იმათგან დახმარებას ელოდნენ გარსშემორტყმულ მტერთან ბრძოლაში. საქართველოს რუსეთთან შეერთებით ეს მისწრაფება სინამდვილედ იქცა.

ილია ჭავჭავაძე აღფრთოვანებულია იმით, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთებით, საქართველოში რუსი მხედრების შემოსვლით ბოლო მოეღო დამპყრობელთა ველურ თარეშს ჩვენს მიწა-წყალზე და მშვიდობიანობა დამკვიდრდა. ილია ჭავჭავაძე რუსეთის მხედრობის პირველად შემოსვლის ფაქტს თბილისში ვრცელ წერილს მიუძღვნის, სათაურით: „ასის წლის წინათ"; ამ წერილში ილია შესანიშნავად გადმოსცემს იმ განწყობას, რომელიც მაშინ შეიქმნა საქართველოში: „მეფის კარიდამ დაწყებული უკანასკნელ ქოხამდე,—წერს ილია,—სიხარულმა გაშალა თავისი სანატრელი ფრთა, სიხარულმა ხსნისამ და ნუგეშისამ. დიდი ხანია საქართველოს ამისთანა ბრწყინვალე დღე აღარ ენახა. ყველას, დიდიდამ პატარამდე,

[1] საქართველოს ისტორია, წ. I, აკად. ს. ჯანაშიას რედაქციით, აკად. ივ. ჯავახიშვილის, აკად. ნ. ბერძენიშვილის და აკად. ს. ჯანაშიას ავტორობით. გვ. 423, 1950 წ. გამოც.

[2] ი. ჭავჭავაძე, ნაწ. სრული კრებ., ტ. V, გვ. 226; თხზულებანი, ტ. II, გვ. 494.

ქალით კაცამდე, გული აევსო იმ სანატრულ იმედითა, რომ რუსის მხედრების დაბინავება საქართველოში საქართველოს მიუვლენს იმ მშვიდობიანობას, იმ მოსვენებას, იმ პატრონობასა და მფარველობას, იმ ბედნიერადა და უტკივრად შინაურ ცხოვრებას, რომელთათვისაც ამდენს საუკუნეების განმავლობაში ასე თავგამეტებით, ასე თავდადებით იბრძოდა საქართველოს შვილი და თავისის სისხლით ჰრწყავდა ყოველს კუთხეს თავისის ქვეყნისას. ამ ღირსახსოვარ დღიდამ ქართველობამ მშვიდობიანობა მოიპოვა. შიში მტრისა ერთმორწმუნე ერის მფარველობამ გაუფანტა, დამშვიდდა დიდი ხნის დაუმშვიდებელი, დაღალული ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დასცხრა ომისა და ბრძოლებისაგან. დადუმდა ჟღერა ხმლისა და მახვილისა, მტრისა ხელით მოღერებულისა ჩვენზე და ჩვენს ცოლშვილებზე, გაჰქრა ცეცხლი, რომელიც სწვავდა და ჰბუგავდა ჩვენს მამა-პაპათა ბინას, ჩვენს საცხოვრებელს, გათავდა დარბევა-აკლება... ის დღეა და ეს დღე, ვეღარავინ გადმოლახა იგი საზღვარი ცეცხლითა და მახვილით ხელში და 26 ნოემბერს 1799 წელს, კვლავ სასოება გაღვიძებული მეფე და ერი, გულწრფელად მიენდო თავისს მომავალსა, დიდის რუსეთის მფარველობას იმედითა და ნუგეშით ფრთებ შესხმული" [1].

საქართველოს მე-19 ს. გამოჩენილ მოღვაწეებს, ჩვენი ქვეყნის მოწინავე შვილებს შესანიშნავად ჰქონდათ შეგნებული მეფე ერეკლეს ბრძნული ისტორიული ნაბიჯის დედაარსი, საქართველოს ერთმორწმუნე რუსეთთან სამუდამოდ დაკავშირება, და მათ არასოდეს არ უღალატნიათ ერეკლეს ამ საშვილიშვილო ანდერძისათვის. პირიქით,

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, სრული კრებული, ტ. II, გვ. 498.

საქართველოს დიად და ბრწყინვალე მომავალს ისინი (ქართველი განმანათლებლები) საქართველოს მხოლოდ რუსეთთან მჭიდრო კავშირსა და მეგობრულ დამოკიდებულებაში წარმოიდგენდნენ.

ილია ჭავჭავაძე საქართველოს აწმყოს და მის სანატრელ მომავალს დიდ რუსეთს უკავშირებდა. ილიას ღრმად სწამდა ქართველი და რუსი ხალხის ნამდვილ მეგობრობაზე, ძმობასა და სიყვარულზე დამყარებული ჭეშმარიტი თანამშრომლობა. ცარიზმი და მისი უვიცი მოხელეები კი მტრობასა და ნაციონალურ შუღლს ნერგავდნენ დიდ რუს ხალხსა და ქართველ ხალხს შორის. ილია ებრძვის ცარიზმს და მის დამპალ ბიუროკრატიულ აპარატს, მაგრამ ილია უსაზღვროდ მოხიბლულია რუსეთის პროგრესული მოაზროვნეების დიადი განმათავისუფლებელი აზრებით, მისწრაფებებით და ზრახვებით, რადგან ისინი ასევე შეურიგებელი მტრები იყვნენ ცარიზმისა და ჭეშმარიტი მოსარჩლე ჩაგრული ხალხებისა.

ილია ჭავჭავაძე შეურიგებლად ებრძოდა ცარიზმის ბიუროკრატიულ უხეშ აპარატს და აღვირახსნილ კოლონიურ ჩაგვრას საქართველოში, მაგრამ ილია არასოდეს არ ყოფილა იმ მოსაზრების, რომ საქართველო ოდესმე ჩამოშორებოდა რუსეთს; პირიქით, ილიას საქართველოს რუსეთთან განუყრელად დაკავშირება პროგრესულ, დიდმნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენად მიაჩნდა.

ილია ჭავჭავაძე იბრძოდა ცარიზმის კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ საქართველოში. იგი შეურიგებლად ებრძოდა თვითმპყრობლობის ბიუროკრატიულ დამპალ რეჟიმს და ყოვლად უკუღმართ, დიდმპყრობელურ ნაციონალურ კოლონიალურ ჩაგვრის მკაცრ სისტემას. ილია ცდილობდა ლიბერალური პროექტების განხორციელებით რო-

გორმე მიეღწია და რუსეთის იმპერიის სისტემაში საქართველოს „დაცემული ვინაობა“ აღედგინა,—შეულახველად დაეცვა მშობლიური ქვეყნის ეროვნული მდგომარეობა და უფლებები. მაგრამ ვინაიდან რუსეთის იმპერიაში საქართველოს გარდა და საქართველოს მსგავსად სხვა მრავალი ეროვნებაც იჩაგრებოდა, ამიტომ ილია ამ საკითხს ეროვნული ვიწრო შეზღუდულობით როდი აყენებს. დიდი ს ტ ა ლ ი ნ ი წერს: „ვინ იფიქრებდა, რომ მეფის ძველი რუსეთი სულ ცოტა 50 ერსა და ეროვნულ ჯგუფს წარმოადგენდა? მაგრამ ოქტომბრის რევოლუციამ ძველი ბორკილები გაგლიჯა და ასპარეზზე გამოიყვანა მთელი რიგი დავიწყებული ხალხები და ეროვნებანი, რითაც მისცა მათ ახალი ცხოვრება და ახალი განვითარება“[1].

ილია, როგორც პროგრესისტი და ყველა ჩაგრული ერის მოსარჩლე ცარიზმის ბატონობის პირობებში, თავისებურად აყენებდა ჩაგრული ერების ცარიზმის უხეში კოლონიურ ჩაგვრისაგან განთავისუფლების საკითხს.

ილია წერდა: „რუსეთი ერთი იმისთანა სახელმწიფოა, საცა სხვადასხვა ტომისა და ენის ერნი ცხოვრობენ, და მერე ისე, რომ თავიანთ მამა-პაპეულ მიწა-წყალზე შეჯგუფებულნი არიან და არა შიგადაშიგ დაფანტულნი. ამიტომაც ერთს უდიდესს საპოლიტიკო საგანს რუსეთისას შეადგენს ჯერ ის, რომ სხვადასხვა ტომის ერნი როგორ უნდა მოეწყონ შინაობაში სათითაოდ, და მერე როგორ უნდა მოთავსდენ სახელმწიფოსთან... დღესა თუ ხვალ რუსეთი იძულებული შეიქმნებოდა დაენიშნა საზღვარი სახელმწიფო მოქმედებისა საზოგადოდ და ეროვნებისა ცალკედ და ერთისა და მეორის მოედანი ცალ-

[1] ი. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. VII, გვ. 153.

ცალკე შემოეფარგლა, და თუ რამ სამდურავი, გულისტკენის ხმა, ჩივილი ისმოდა აწმყო მდგომარეობის შესახებ ამ ვრცელის იმპერიის სხვადასხვა ადგილებში, ამის მიზეზი მარტო ის იყო, რომ მთელი მოედანი საზოგადოების ცხოვრებისა მარტო სახელმწიფოს ეჭირა და ეროვნება, რომელსაც თავის განსაკუთრებულს ცხოვრებაში თავისი საკუთარი საქმე აქვს, თავისი საკუთარი ჭირი და ლხინი, გულ-ხელდაკრეფილი იყო და ხმაამოუღებლივ სხვის მაყურებელი. რუსეთს არ ჰქონია და არც დღეის-აქამომდე აქვს გამორკვეული და დადგენილი დედააზრი მასზედ, თუ სად თავდება უფლება ეროვნებისა და სად იწყება სახელმწიფოსი"... ილია აქვე დასძენს, რომ უვიცი მოხელეების „მოქმედების შედეგი ის იყო, რომ რუსეთის სახელი შეაძულეს მათ, ვის საერთო სიყვარულზედაც უნდა აშენებულიყო სახელმწიფოს ძალ-ღონე, კეთილდღეობა და წარმატება"[1].

ილიას სწამდა, რომ ამგვარი შეხედულებების ქადაგებით, სხვა განმანათლებლებთან ერთად, გავლენას მოახდენდა ცარიზმის უკულმართ ეროვნულ პოლიტიკაზე და პატარა ხალხების ეროვნულ დამონებასაც ამის შედეგად ბოლო მოეღებოდა.

რასაკვირველია, ცარიზმის პირობებში ეს იყო განუხორციელებელი ოცნება,—შეხედულება, რომელიც ლიბერალიზმსა და რეფორმიზმამდე დადიოდა და გამოვლინდა ადგილობრივი თვითმართველობის მოთხოვნაში.

მოწინავე ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი მუდამ დიდ იმედებს ამყარებდნენ რუსეთზე და იმათ არასოდეს არ უღალატნიათ 1783. ქ. გეორგიევსკ-

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. VI, გვ. 105-106.

ში დადებულ რუსეთ-საქართველოს შეერთების ტრაქტატისათვის.

მაგ, ი. ჭავჭავაძის გამოჩენილი თანამებრძოლი ი. გოგებაშვილი წერდა: „პოლიტიკური ერთობა, შეურყეველი კავშირი რუსეთთან ჩვენთვის იყო და იქნება ძვირფასი საუნჯე“ [1]. ასევე 60-იან წლების ცნობილი მოღვაწე ნ. ნიკოლაძე, გერცენის „კოლოკოლ“-ში 1865 წელს დაწერილ ცნობილ სტატიაში „გლეხთა განთავისუფლება საქართველოში“, წერდა: „ჩვენ ვფიქრობთ, რომ რაკი საქართველო თავის სვე-ბედს თუნდაც თანამედროვე რუსეთს დაუკავშირებს, იგი უფრო მალე მიაღწევს თავისი მდგომარეობის საუკეთესოდ მოწყობას, ვიდრე მაშინ, როცა მას მოკავშირედ ან მფარველად ეყოლება (აღარაფერს ვამბობთ მფლობელობაზე) ევროპის რომელიმე ერი, რომ აღარაფერი ვთქვათ ოსმალეთსა ან სპარსეთზე, რომლებისაც საქართველოში არც ერთი საღათ მოაზროვნე ადამიანი მოწადინებული არ არის“ [2].

ქართველ განმანათლებელთა ეს მოსაზრებანი შესანიშნავი დოკუმენტია იმის გასათვალისწინებლად, თუ როგორ ჰქონდათ წარმოდგენილი 60-ანი წლების ჩვენს მოღვაწეებს რუსეთ-საქართველოს აწმყოსა და მომავლის განუყრელი ურთიერთობა. ისინი საქართველოს მომავალ ბედნიერებას ხედავს რუსეთის მოწინავე იდეებთან და

---

[1] ი. გოგებაშვილი, „რანი ვიყავით გუშინ“, გვ. 26.

[2] ნ. ნიკოლაძე, „Колоколъ“ № 154, 1865, რჩეული ნაწერები, ტ. 1, გვ. 175, პროფ. ს. ხუნდაძის რედაქციით (ხახი ჩვენია, ა. ი.),

მისწრაფებებთან ქართველების განუყრელ მჭიდრო კავშირში,—„მოწინავე რუსეთს ყოველთვის მხარი უნდა მივცეთ, როცა იგი ცდილობს აიცდინოს თავიდან რომელიმე სენი, რომელიმე უკეთმართი წესწყობილება. ამას მოითხოვს ჩვენი მომავალი ბედნიერება"[1]. ამგვარი შეხედულება როდი იყო მხოლოდ ი. გოგებაშვილისათვის დამახასიათებელი, სინამდვილეში მასში ასახულია ქართველი გამანათლებლების საერთო თვალსაზრისიც.

თითქმის სავსებით ასეთსავე მოსაზრებას იზიარებდა და იცავდა ჩვენი სახელოვანი მგოსანი აკაკი წერეთელი საქართველოს რუსეთთან დაშოკიდებულების საკითხში. ბევრად უფრო მოგვიანებით აკაკი წერს: „ჩვენ დიდათ ვაფასებთ ძმობას და მეგობრობას რუსეთის ერთან. მართალია, რუსის ხალხში ბევრია ისეთები, რომლებსაც არ სურთ და ეჯავრებათ ჩვენი ასეთი ძმური კავშირი, მაგრამ არის სამაგიეროდ ახალგაზრდა რუსეთი, რომელთანაც ჩვენ გვსურს ხელიხელ ჩაკიდებულისიარული, არა მარტო ეროვნული, არამედ საკაცობრიო იდეალების განსახორციელებლად, იმ იდეალების, რომელსაც ეწოდება ძმობა, ერთობა, თანასწორობა"[2] (კურსივი ჩვენია. ა. ი.). ირკვევა, რომ ილია და აკაკი მეფის რუსეთშივე არჩევდნენ ორ რუსეთს,—დრომოჭმულს, დაღუპვის გზაზე დამდგარ მეფის რუსეთს და „ახალგაზრდა რუსეთს", და აი სწორედ ამ ახალგაზრდა რუსეთთან ხელიხელ-ჩაკიდებით უნდა ევლო საქართველოს არა მარტო ეროვნული, არამედ საკაცობრიო იდეალების განსახორციელებლად. აი როგორ ჰქონდათ

---

[1] ი. გოგებაშვილი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 433.
[2] „კლდე", № 6, 1913 წ.

წარმოდგენილი მათ რუსეთ-საქართველოს განუყრელობა.

ლენინი წერდა: „არის ორი ერი ყოველ თანამედროვე ერში—ვეტყვით ჩვენ ყველა ნაციონალ-სოციალს? არის ორი ეროვნული კულტურა ყოველ ეროვნულ კულტურაში; არის ველიკორუსული კულტურა პურიშკევიჩების, გუჩკოვებისა და სტრუვეებისა, მაგრამ არის აგრეთვე ველიკორუსული კულტურა, რომელიც ხასიათდება ჩერნიშევსკისა და პლეხანოვის სახელებით“[1] (კურსივი ჩვენია. ა. ი.). ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, ი. გოგებაშვილს დასხვ. სძულდათ ცარიზმი, მაგრამ რუსი ხალხისადმი მუდამ სიყვარულით იყვნენ გამსჭვალული. ისინი იბრძოდნენ მეფის კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ ეროვნულ განმათავისუფლებელი იდეებით, მაგრამ არასოდეს აზრად არ მოსვლიათ საქართველოს რუსეთისგან ჩამოშორება.

ცარიზმის მემამულურ-ბურჟუაზიული სახელმწიფოებრივი სისტემის რევოლუციური გზით დამხობა, ყველა მშრომელისა და ჩაგრული ეროვნებების ნამდვილი განთავისუფლება მიზნად დაისახა და სინამდვილედ აქცია მხოლოდ რევოლუციურმა მუშათა კლასმა და მისმა სახელოვანმა პარტიამ, ლენინ-სტალინის პარტიამ.

---

[1] ვ. ლენინი, კრიტიკული შენიშვნები ეროვნულ საკითხზე, იხ. „ლენინი ლიტერატურის შესახებ“, გვ. 13, 1945 წ. გამოც.

II

ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებაზე, მის ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე და მეცნიერების განვითარებაზე რუსული ლიტერატურისა და მეცნიერების განუსაზღვრელად დიდი გავლენის შესახებ ილია ჭავჭავაძე უაღრესად საყურადღებო, შეიძლება ითქვას, სახელმძღვანელო მოსაზრებებს გამოთქვამს, როცა წერს: „თქმა არ უნდა, რომ რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გაგვიწია წარმატების გზაზედ და დიდი ზემოქმედება იქონია ყოველს მასზედ, რაც ჩვენს სულიერ ძალღონეს შეადგენს და ჩვენს გონებას, ჩვენს აზრს, ჩვენს გრძნობასა და ერთობ. ჩვენს მიმართულებას ზედ დააჩნია მან თავისი ავ-კარგიანობა... რუსულმა სკოლამ, მეცნიერებამ გაგვიღო კარი განათლებისა და რუსულმავე ლიტერატურამ მოაწოდა საზრდო ჩვენს გონებასა და გამოჰკვება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზედ. თვითეული ჩვენგანი რუსულის ლიტერატურით გაზრდილია, თვითეულს ჩვენგანს მის გამონარკვევზედ აუგია თავისი რწმენა, თავისი მოძღვრება და თავისი საგანი ცხოვრებისა საზოგადო საქმისათვის ამ გამოინარკვევის მიხედვით გამოურჩევია“ [1].

მაგრამ ვინაიდან ი. ჭავჭავაძე მტერი იყო ყოველგვარი ეპიგონობის, მონური მიმბაძველობისა და ქედმოხრილობის, ამიტომ ბუნებრივია, რომ რუსული ლიტერატურისა და მეცნიერების გავლენაც, მისი ზემოქმედება ქართული ეროვნული კულტურის განვითარებაზე ილიას ესმის არა როგორც უბრალო მექანიკური გადმოღება, იქ შემუშავებული შეხედულებებისა და სისტემების ბრმად გადმონერგვა ქართულ ნიადაგზე, არამედ როგორც მი-

1 ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებ., ტ. VII, გვ. 285,

სი კრიტიკულად ათვისება, „კრიტიკის ქარცეცხლში გატარება“ და ისე გამოყენება ქართულ ეროვნულ სინამდვილესთან შეფარდებით. ამ უკანასკნელის შესახებ ზემოთ ციტირებულ წერილშივე ილია ჭავჭავაძე განაგრძობს: „რასაკვირველია, ამ ზემოქმედებამ რუსულის ლიტერატურისამ მარტო იმას შესძინა სიკეთე, რომელმაც ყოველი გამონარკვევი ამ ლიტერატურისა თავის საკუთარ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა, ბრმად არ იწამა, ბრმად არ მიიჩემა და ამ რიგად არ დაიხვია ხელზედ ცხოვრებაში იოლად წასვლისათვის. ყოველი აზრი მარტო ცარიელი ფრაზაა იმის ხელთ, ვისაც კრიტიკის ცეცხლში არ გამოუფოლადებია და ისე არ შეუთვისებია...

ჩვენდა საბედნიეროდ, ვიტყვით, რომ ზოგნი ჩვენში, რუსულ ლიტერატურის მეოხებით გაზრდილნი და გაწვრთნილნი, ასე ბრმად ტყვედ არ მისცემიან ამ ლიტერატურის აუცილებელს ზემოქმედებას, ამათ ჯერ გამოუძიებიათ მისი გამონარკვევნი და მერე ისე ან შეუთვისებიათ, ან უარუყვიათ. ჩვენდა სანუგეშოდ მარტო ამას არ დასჯერებიან: იმავ კრიტიკით და გამოძიებით მხარ-და-მხარ ასდევნებიან ამ ლიტერატურის წინსვლასა, წარმატებას და არ გაჩერებულან მის რომელსამე ხანზედ“[1].

ასეთია ილია ჭავჭავაძის, შეიძლება ითქვას, საპროგრამო მოსაზრებანი დიდი რუსი ხალხის უმდიდრესი ლიტერატურისა და მეცნიერების ბრწყინვალე მიღწევების შესახებ საერთოდ და კერძოდ საქართველოში რუსული ლიტერატურული და სამეცნიერო აზროვნების გავლენა-ზემოქმედების პროგრესულ მნიშვნელობაზე, ამ გავლენის

[1]. ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. VIII, გვ. 285—286.

კრიტიკულად ათვისებისა და დაძლევის ძირითად საკითხებზე.

ილიას ეზიზღება ბრმა მიმბაძველობა საზოგადოდ, ებრძვის მას, იგი ამაზე სრულიად გარკვევით მიუთითებს და წერს: „რად გვინდა ჩვენ აქ ბაძი, ან რა სასარგებლოა,— კითხულობს ილია,—მაგრამ რა? ტვინთხელობა, რომელიც საკუთარ ტვინს მოკლებულია, სხვითი სცხოვრობს და მარტო ბაძით სულდგმულობს"[1]. აი როგორ პრინციპულ და ქედუხრელ დამოკიდებულებას იჩენს ილია მონური მიმბაძველობის წინააღმდეგ, ეზიზღება იგი და ებრძვის მძაფრად.

ილიას გააჩნია საკუთარი ძირითადი მაგისტრალური იდეა, მრწამსი, რომლის ირგვლივაც იშლება მთელი მისი მდიდარი და მრავალმხრივი შემოქმედება. ეს არის მისი ეროვნული საგანმანათლებლო იდეა, გადაჯაჭვული ეროვნულ-განმათავისუფლებელ რევოლუციურ მოძრაობასთან საქართველოში, ცარიზმის კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ. სწორედ ეს გარემოებაა განმსაზღვრელი ილიას შემოქმედებისა და ამიტომაც ადვილი წარმოსადგენია, რომ ილიას, როგორც შემოქმედს, მოაზროვნეს და საზოგადო მოღვაწეს ძუძუ აწოვა, დაავაჟკაცა და ჩამოაყალიბა მისმავე დედა სამშობლომ, საქართველომ, საქართველოს გმირულმა ისტორიულმა წარსულმა; საქართველოს იმდროინდელმა საერთო ვითარებამ, რომელშიაც ილიას უხდებოდა მოღვაწეობა. საქართველოს ბედნიერი მომავლისათვის დიადი და დაუცხრომელი შრომა, ბრძოლა და მისწრაფებანი ასულდგმულებდა, ამოქმედებდა და განსაზღვრავდა ილიას სამოღვაწეო ერთიან დიად

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. VIII, გვ. 62.

პროგრამას, როგორც პოეზიასა და პროზაში, ასევე მის მეცნიერულ ისტორიულ-ეკონომიურ ნააზრევსა და პუბლიცისტურ წერილებში.

ილია ჭავჭავაძე ამ აზრის იყო და დარჩა სიკვდილამდე, რომ „ფეხ ქვეშ მყარ ნიადაგს მოკლებული, თავის დღეში ვერ შესძლებს შეასრულოს თავისი მოვალეობა სამშობლოს წინაშე. უცხო სფეროში და უცხო სტიქიების გავლენის ქვეშ აღზრდილს შეაქვს მშობლიურ ცხოვრებაში განხეთქილება და უბედურება, ლიტერატურაში წვრილმანობა და გონებრივი მიბაძვა"[1]; რასაკვირველია, როგორც ზემოთ ჩვენ ამაში სათანადოდ დავრწმუნდით, ილია „უცხო სფეროდ და უცხო სტიქიად" არ მიიჩნევს საქართველოსთან განუყრელად დაკავშირებულ რუსეთს, რუსეთის დიდ ეროვნულ კულტურას და სხვ. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ილია ამ უკანასკნელ შეთხვევაშიაც წინააღმდეგია უნიჭო და ხელაღებითი მიბაძვის ისევე, როგორც მონური ქედმოხრილობისა.

მშობლიურ ეროვნულ ნიადაგზე შეურყეველად მდგარი ილია საკუთარ შემოქმედებით მასაზრდოებელ წყაროს, მისი უმდიდრესი შემოქმედების ყველა საწყისს ეძებს და ამყარებს მუდამ მშობლიურ ეროვნულ კულტურის ნიადაგზე. სწორედ ამაშია ილიას შემოქმედების ერთი ძირითადი თავისებურებათაგანი.

ილია ჭავჭავაძე საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიულ პირობებს, საქართველოს მაშინდელ საშინაო და საგარეო ვითარებას, ისევე როგორც რუსეთის ქვეშევრდომობაში შესული საქართველოს მდგომარეობას XIX საუკუნის მანძილზე, პოეტური სახეებით თავისებურად

---

[1] „ივერია", 1888 წ., № 4—6.

წარმოგვიდგენს ცნობილ ლექსში „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით“, ანუ „საქართველოს ისტორია მეცხრამეტე საუკუნისა“[1]. კრიტიკულად განწყობილი ილია ამ ლექსში სამარცხვინო ბოძზე აკრავს დეგრადაციის გზაზე დამდგარ თავადაზნაურობის იმ ფენებს, რომლებმაც სამშობლო დაივიწყეს, ცარიზმის სამსახური იკისრეს და „ხელი გაუწოდა თვითმპყრობელობას, რათა ამის ნაცვლად თბილი ადგილი ძიელოთ მისგან“ (სტალინი).

ი. ჭავჭავაძე და მისი თანამებრძოლები საქართველოს აღორძინებას და დაწინაურებას ეტრფოდნენ, მაგრამ ეს აღორძინება, საქართველოს დიადი მომავალი, მათ არ ჰქონდათ წარმოდგენილი დიდ რუს ხალხთან მტკიცე მეგობრობის და განუყრელი კულტურულ-ეკონომიური და პოლიტიკური კავშირის გარეშე.

---

[1] ი. ჭავჭავაძე, ლექსები, პოემები, მოთხრობები, 1937 წ., გვ. 92—99

თავი მეორე

ილია ჭავჭავაძის ბრძოლა საქართველოს ისტორიის ფალსიფიკატორთა წინააღმდეგ

„აღდგენილმა მამულმა დაჰბადა მამულის სიყვარული, მამულის-შვილობა და საკვირველი არ არის, რომ მისი წარსული, მისი აწმყო და მერმისი, კვლევისა და გამოძიების საგნად შეიქნეს“ [1].

ილია ჭავჭავაძე

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან, ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, საქართველოში, ისე როგორც რუსეთის მთელ იმპერიაში, სწრაფად იწყება ფეოდალიზმის რღვევა და კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარება.

ლენინის განსაზღვრით, გლეხთა „განთავისუფლება“ იყო გლეხების ყოვლად უსინდისო გაძარცვა, იგი წარმოადგენდა მათ მიმართ მთელ რიგ ძალმომრეობას და პირდაპირ დაცინვას... „დიდი რეფორმა“ მებატონური რეფორმა იყო და არც შეიძლებოდა სხვანაირი ყოფილიყო, ვინაიდან მას ახორციელებდნენ მებატონეები“ [2].

აუტანელ პირობებში ჩავარდნილი, „ფრინველივით თავისუფალი“ (მარქსი) — უმიწოდ განთავისუფლებული გლეხობის ერთი ნაწილი სტოვებს სოფლებს და ებმება კაპიტალისტური ხასიათის საქალაქო ცხოვრებაში, ხოლო ძირითადი მასა გლეხობისა კვლავინდებურად განაგრძობს

---

[1] თხზულებათა სრული კრებ., ტ. II, გვ. 91.

[2] В. И. Ленин, Сочинения, т. 17, стр. 94—95. მეოთხე გამოცემა.

მემამულის მიწაზე მუშაობას და უხდის მემამულეს საბეგრო გადასახადებს მიწით სარგებლობისათვის ფულითა და ნატურით. ეს ის პერიოდია, როცა კაპიტალისტური ურთიერთობა ღრმად იკაფავს გზას რუსეთის იმპერიაში,—აჩქარებით შენდება რკინიგზები, ფაბრიკა-ქარხნები, იწყება წიაღისეული სიმდიდრეების დამუშავება და სხვ. ამასთანავე საყურადღებოა ისიც, რომ სოფლის მეურნეობაშიაც ჩქარი ტემპით იწყება კაპიტალისტური ურთიერთობის შეჭრა და დანერგვა.

ლენინის განსაზღვრით „ბატონყმობის გადავარდნამ შეარყია მთელი ხალხი, გამოაღვიძა იგი საუკუნოვან ძილისაგან, ასწავლა მას თვითონ ეძებნა გამოსავალი, თვითონ ეწარმოებია ბრძოლა სრული თავისუფლებისათვის“[1].

მიუხედავად იმისა, რომ ბატონყმობის გადავარდნას არ მოჰყოლია გლეხობის, ე. ი. მოსახლეობის დიდი უმრავლესობის, მდგომარეობის გაუმჯობესება, ეს აქტი თავისთავად უაღრესად პროგრესული მოვლენა იყო. ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ კერძოდ საქართველოში, თანდათანობით მრავლდება სხვადასხვა ტიპის სკოლები, იცემა პერიოდული ჟურნალ-გაზეთები, აღდგა ეროვნული თეატრი, აღორძინდა მეცნიერება, ხელოვნება, მწერლობა, სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო წამოწყებანი. მაგალითად, 1865 წ. საქართველოში 251 სხვადასხვა ტიპის სკოლა იყო და სწავლობდა 11.868 ბავშვი; მე-19 საუკუნის დამლევს კი ეს რიცხვი შეუდარებლად გაიზარდა, მაგ., ხუთი წლის მანძილზე (1860—1865 წ.) მოწაფეთა რიცხვი გაიზარდა 51%-ით. ეს ზრდა გამოიწვია უმთავ-

[1] ვ. ლენინი, თხზულებანი, ტ. XV, გვ. 132 (1934 წლის ქართული გამოცემა).

რესად საგლეხო რეფორმის პერიოდში გაშლილმა სახალხო ინიციატივამ განათლების დარგში[1].

ამ კულტურულ საგანმანათლებლო პროგრესულ საქმიანობას კოლონიურ საქართველოში 60-იან წლებიდან ქართველი განმათავისუფლებლები თაოსნობდნენ; მათი მოქმედება მთლიანად ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ინტერესებით და პროგრამით იყო გაპირობებული. ეს პერიოდი (60-ანი წლები), ლენინის დახასიათებით, რუსეთის იმპერიაში იყო პირველი დემოკრატიული აღმავლობის პერიოდი[2], რომელსაც მოხერხებულად იყენებენ საქართველოს მოწინავე შვილები ეროვნული კულტურის აღორძინების მიზნით.

ქართველი მოღვაწეები ი. ჭავჭავაძის მეთაურობით ჯერ კიდევ 1863 წელს აარსებენ ქართულ ჟურნალს „საქართველოს მოამბეს“ (ხოლო უფრო მოგვიანებით გაზ. „ივერიას“ 1877 წ.). მალე ამ წამოწყებას მიმდევრები გაუჩნდნენ: გამოიცა გაზ. „დროება“ (1866—1885), ჟურნალი „მნათობი“ (1869—1872), „კრებული“ (1871—1873) და სხვ.

აქ დასახელებულმა ჟურნალ-გაზეთებმა თავის ირგვლივ გააერთიანეს და დარაზმეს ქართველი ერის მოწინავე და ღირსეული ადამიანები, რომლებმაც ბრძოლა გამოუცხადეს ცარიზმის კოლონიურ ჩაგვრას. ქართველი ხალხის კულტურული აღორძინების საქმისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ილია ჭავჭავაძის მე-

---

[1] გ. თ ა ვ ზ ი შ ვ ი ლ ი, სახალხო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების ისტორია საქართველოში, 1948, წ., თბილისი, წიგნი II. გვ. 417.

[2] В. Л е н и н, Соч, т. XXX, стр. 192.

თაურობით დაარსებულ სათავადაზნაურო ბანკს და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას.

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება 1879 წელს დაარსდა. ამ საზოგადოების მიერ გამომუშავებული და დამტკიცებული წესდებით ამიერიდან შესაძლებელი ხდებოდა ქართული სკოლების, ბიბლიოთეკების, სამკითხველოებისა და საქართველოს მუზეუმის დაარსება, ქართულ ენაზე სახელმძღვანელოების ბეჭდვა, ქართველ მწერალთა ნაწერების გამოცემა და სხვ. ყოველივე ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. შეიძლება გარკვევით ითქვას, რომ ამ ღონისძიებათა შედეგი იყო, სხვა მრავალთა შორის, დიდი ქართველი პედაგოგის ი. გოგებაშვილის უკვდავი „დედა-ენის“ და „ბუნების კარის“ შექმნა, რომელთა მნიშვნელობა განუზომელი იყო. ამავე პერიოდში, 1879 წელს, დაარსდა ქართული დრამატიული საზოგადოება, რომელმაც დასაბამი მისცა ახალ ქართულ თეატრს, თეატრალურ პრესას და სხვ.[1].

სწორედ ამ ხანებში აღორძინების გზას დაადგა ქართველ მეცნიერთა შემოქმედებითი მოღვაწეობა როგორც სოციალურ, ასევე საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარგში.

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ და განსაკუთრებით სამოცდაათიან წლებიდან, ქართული ეროვნული კულტურის აღორძინება, წინა პერიოდთან შედარებით, მეტად თვალსაჩინო ხდება. რუსეთ-ოსმალეთის ომმა და ამ ომის შედეგებმა კი არ შეაფერხეს აღმავლობა, არამედ

[1] ცნობილია, გ. ერისთავის ხელმძღვანელობით 1850 წ. აღდგენილმა ქართულმა თეატრმა 6 წლის შემდეგ შესწყვიტა თავისი არსებობა.

თავისი შედეგებით უფრო გაზარდეს, ხელი შეუწყვეს საქართველოს მიწა-წყლის გაერთიანებას, მისი ისტორიული საზღვრების რამდენადმე აღდგენას და სხვ. ამავე პერიოდში უჩვეულოდ გაძლიერდა საქართველოს „ეკონომიური ცხოვრების ერთობა, ეკონომიური შეკავშირება, როგორც ერის ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურება“ [1]; შეიქმნა და გაძლიერდა საშინაო ბაზარი. ასე რომ, საქართველოს „ეკონომიური ცხოვრების ზრდამ, გზების განვითარებამ და კაპიტალიზმის წარმოშობამ დაამყარა შრომის განაწილება საქართველოს ოლქებს შორის, საბოლოოდ შეარყია სამთავროთა სამეურნეო კარჩაკეტილობა და ერთ მთელად შეაკავშირა ისინი“ [2].

ი. ჭავჭავაძეს, რასაკვირველია, მხედველობიდან თითქო არ გამოჰპარვია ყოველივე ეს. იგი ამჩნევს, უკვირდება და თავის მოსაზრებებსაც გამოსთქვამს იმ ცვლილებების შესახებ, რომელთაც ამ პერიოდში ადგილი ჰქონდა ქართველი ხალხის სოციალ-ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში. მაგ., 1879 წლის მიმოხილვაში ილია წერდა: „სიმართლე გვაიძულებს ვსთქვათ, რომ ეს უკანასკნელი ოთხი-ხუთი წელიწადი როგორღაც, ცოტად თუ ბევრად, სანუგეშონი იყვნენ. ნამეტნავად ეს ძველი 1879 წელი ღირსშესანიშნავი წელიწადი იყო ჩვენთვის და ქართველმა მემატიანემ რომ ამ წელიწადს მხარი აუქციოს, არ უნდა ეპატიოს“ [3]. ილიას დიდ სანუგეშო ისტორიულ ფაქტად მიაჩნია ზემოდასახელებული კულტურულ-საგანმანათლებლო ეროვნული მნიშვნელობის

[1] ი. სტალინი, თაზულებანი, ტ. 2, გვ. 318.

[2] იქვე.

[3] ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. VI, გვ. 90.

საზოგადოებრივ დაწესებულებათა შექმნა, მათი აღორძინება, რითაც „ჩვენმა ქართველობამ პირველ ხმამაღლა სთქვა: კმარა, დროა ჩემს თავს მევე მოუაროო“[1]. ილიას აზრით, თუ ამგვარი ეროვნული საგანმანათლებლო საქმეები „ქართველობის საკუთარის თაოსნობით, ღვაწლით, შეწირულობით და ხელით“[2] მომავალშიაც გაგრძელდებოდა და დამკვიდრდებოდა, მაშინ „დაქსაქსული, გაფანტული, ცალ-ცალკე მოარული ღონე—ქონებითი თუ გონებითი ერთს კვალში“[3] ჩადგება და ქართველობა აღდგებაო. აი როგორ წარმოიდგინა ილიამ ეს პერიოდი ჩვენი ისტორიისა და რა შინაარსი ჩასდო მასში. ამრიგად, საქართველოს ერად ჩამოყალიბების პროცესი და მასთან დაკავშირებული სოციალ-ეკონომიური და საქართველოს კულტურული ძვრები ილიამ თავისებურად ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეის თვალსაზრისით გაიაზრა და განიხილა.

* * *

გასული საუკუნის 70-იან წლებიდან რუსეთში მეორე დემოკრატიული აღმავლობის პერიოდი იწყება[4]. ილია ჭავჭავაძე და მისი დასი ამ პერიოდში ძალებს რაზმავენ და ბრძოლას აჩაღებენ „საქართველოს დაცემული ვინაობის აღდგენისათვის“.

სინამდვილეში ეს იყო არა მარტო ცარიზმის კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა, არამედ საქართველოს ერად ჩამო-

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. VI, გვ. 92.
[2] იქვე.
[3] იქვე.
[4] В. Ленин, Соч., т. XXX, стр. 192.

ყალიბების პროცესთან დაკავშირებული, ახალი სოციალ-ეკონომიური ვითარებით გამოწვეული უაღრესად საყურადღებო მოძრაობა.

ილია ამ მოძრაობას ხალხის თვითმოქმედებას უწოდებს. იგი წერს: „ჩვენ ვამბობთ, რომ ხალხი თვითმოქმედებით არის მხოლოდ ძლიერი და ნაყოფიერი სულით, თუ ხორცით... გვეყო რაც ჩვენმა წარსულმა ჩვენ მაგალითები გვიჩვენა... ჩვენს გარეშე ჩვენი ხსნა სიზმარია“...[1] ილიას რწმენით ამიერიდან ქართველმა ხალხმა თვითონ უნდა იზრუნოს, თვითმოქმედების გზას დაადგეს და თვით გამოსჭედოს საკუთარი ცხოვრების ბედი, მისი აწმყო და უკეთესი მომავალი. სხვისი იმედი აღარ შეიძლება გვქონდეს. ილია ვერ ურიგდება იმ მდგომარეობას, რომ „დროთა ბრუნვამ სხვის მაყურებლად გაგვხადა, სხვაზედ იმედს შეგვაჩვია და ამაებმა სრულიად წარწყმიდეს ჩვენში ის თვითმოქმედების ძალღონე, რომელიც უწინ იყო და რომელიც თუკი სადმე არის ყველგან ხალხის ბედნიერების სათაურია და საფუძველიც. ხსნა ჩვენი თვითმოქმედებაში და ერთობაშია“[2]. რაკი ხალხის ხსნა, მისი მომავალი თვითმოქმედებაშია, ამიტომ მხოლოდ ამ გზით შეუძლია ქართველ ხალხს შექმნას თავისი ახალი ცხოვრება საკუთარი ძალებით. ილია თითქო მოწოდებით მიმართავს რეფორმის შემდგომ ერად ჩამოყალიბების პროცესში მყოფ ქართველებს, როცა იგი წერს: „გვეყო, ბატონებო, ჩვენის აწმყოსი და მომავლის ბედის სხვაზედ მიგდება. ჩვენის გაჭირვებისა, გულისტკივილის

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. II, გვ. 581.

[2] იქვე, გვ. 582.

და წადილის პატრონნი ჩვენვე უნდა ვიყვეთ... სხვა გზა არ არის, ჩვენის ცხოვრების შარა-გზა ჩვენვე უნდა გავიკაფოთ... თუ ამ გზაზედ მიმავალთ ხელი შეუწყვეთ,— არ გავა ათი-ხუთმეტი წელიწადი, რომ ჩვენი დავრდომილი ქვეყანა სახეს შეიცვლის"[1].

საქართველოს მაშინდელ ცხოვრებაში ღრმად ჩახედული ილია გარკვევით ამჩნევს, რომ ერად ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ქართველი „ხალხის თვითმოქმედება" ამ მიმართულებით თითქმის ყველგან შესამჩნევია. ილია ამის შესახებ გარკვევით წერს: „დაიარეთ სოფლები, ცოტას შეჰხვდებით განა ამ თვითმოქმედების შედეგებს"; მაგრამ ეს „თვითმოქმედება" ილიამ არსებითად ეროვნულ-განმათავისუფლებული მოძრაობის სახით გაიაზრა და საქართველოს წოდებრივ და საზოგადოებრივ დაწესებულებათა შექმნა ამ მოძრაობის მიზნებს დაუმორჩილა. ილია წერს: „სოფლის ბანკს აიღებთ, თუ სოფლის სკოლას, თუ ამხანაგობის დეპოს, ანუ საზოგადოებას ღარიბთა მოსწავლეთა შემწეობისათვის,—ყოველს მათგანს ჩვენის ცხოვრების არსებითის ძარღვისათვის წაუვლია ხელი", რომელიც,— ილიას აზრით,—ამ ეროვნულ თვითმოქმედებაში ვლინდება. ამ ეროვნული საქმის ნამდვილი თაოსანი—ინიციატორები და საქმით განმახორციელებელნი, ილიას ღრმა რწმენით, ჩვენი „ხალხის შვილები არიან, ხალხის კალთაში დაბადებულნი და გამოზრდილნი,—იციან რას მოჰკიდონ ხელი... იციან ხალხის ტკივილი და წამლის შერჩევაც, რადგან ხალხი უყვართ... ამასთანავე თვისებად აქვსთ,—თავის თავზედ ყვირილი კი არა, საქმის

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. II, გვ. 683.

გაკეთება". ილია ჭავჭავაძეს ამ შემთხვევაში მხედველობაში ჰყავს ქართველი ინტელიგენციის დემოკრატიული ფენები, ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების აქტივი—სოფლის მასწავლებლობა, ეროვნული თეატრის მოღვაწეები და სხვა სახის ინტელიგენცია, რომელიც უშუალოდ იყო დაკავშირებული ხალხთან, ღრმად განიცდიდა თერგდალეულთა მოწინავე იდეებს და თავისი საქმიანობით უშუალოდ ემსახურებოდა ცარიზმის კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ საქართველოს ეროვნულ განმათავისუფლებელ ბრძოლას ი. ჭავჭავაძისვე მეთაურობით. რასაკვირველია, სწორედ ამ ელემენტებზე ამყარებდა ილია მთელ თავის იმედებს და ზრახვებს. ეს მშობლიური ინტელიგენცია მუდამ ხალხს უდგა გვერდში. ეს ინტელიგენცია არ იყო აღზრდილი უცხო ნიადაგზე, იგი ხალხს ემსახურებოდა. „დამიჯერეთ,—წერს ილია,—ძალა ქვეყნისა ამისთანა კაცებშია და არა იმათში, ვინც პარიზის ყავახანებში გამოწრთვნილა, მოსულა აქ და ყვირის: რაც ვარ მე ვარო. ამათ პარიზი არ უნახავთ, მათ უნივერსიტეტი არ ღირსებიათ, ესენი არიან ჩვენი ხალხის შვილნი, მის კალთაშივე გამოზრდილნი... უფრო ბევრნი სემინარიელნი...[1]

ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ ი. ჭავჭავაძეს სწორედ ქართველი ინტელიგენციის ეს დემოკრატიული ფენები, რაზნოჩინული ელემენტები ედგა გვერდში. ილიას ეს ელემენტები საკვლევით მართებულად მიაჩნდა ძირითად დასაყრდენ ძალად ქართველი ხალხის დაწინაურების, გათვითცნობიერების და გაღვივებულ ეროვნულ თვითშეგნების ფორმირებისათვის ბრძოლაში სწორედ იმ

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. II, გვ. 584.

დროს, როცა ფაქტიურად ხდებოდა ქართველობის ერად ჩამოყალიბება.

ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას შინაარს აძლევდა და მის ფაქტიურ მოქმედ ძალას არსებითად წარმოადგენდა ხალხის ქვედა ფენები—გლეხობა. საქართველოს გლეხკაცობის სისტემატიური რევოლუციური აჯანყებები მიმართული იყო არა მარტო მემამულეების ექსპლოატატორული ჩაგვრის წინააღმდეგ, არამედ ცარიზმის კოლონიური ჩაგვრის უხეში სისტემის წინააღმდეგაც.

ი. ჭავჭავაძე, როგორც ვიცით, შეურიგებელი მტერი იყო ბატონყმური რეჟიმისა და გლეხობის განთავისუფლებისათვის თავგამოდებით იბრძოდა. ეს ნათლად ჩანს „კაკო ყაჩაღის“, „გლახის ნაამბობის“, „კაცია ადამიანისა“ და სხვა ნაწარმოებებიდან. ილია არანაკლები აქტივობით იბრძოდა ცარიზმის კოლონიურ ჩაგვრის წინააღმდეგ.

ამრიგად, ილია გარკვევით გამოხატავდა ჩვენი გლეხკაცობის,—„ქართველობის ამ უმრავლესობის“,—როგორც ეროვნულ, ასევე სოციალურ იდეალებს. სწორედ ამიტომ, გაზ. „პრავდას“ განსაზღვრით, ი. ჭავჭავაძე გვევლინება საქართველოს ნაციონალ-რევოლუციური მოძრაობის გამოჩენილ მედროშეთ საქართველოში.

მაშინდელ ისტორიულ ვითარებაში კაპიტალიზმის განვითარების საფუძველზე მიმდინარეობდა ქართველობის ერად ჩამოყალიბების პროცესი. ჩვენი განმანათლებლები ქართველობის ერად ფორმირების, ჩვენი ხალხის ამ ახალი გააქტიურებული ცხოვრების ფაქტიურ იდეოლოგებად გვევლინებიან.

*
* *

ქართველი განმანათლებლები ი. ჭავჭავაძის მეთაუბით ქართველი ერის დაწინაურების და აღორძინებისთვის უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ სწავლა-განათლების დანერგვის საქმეს.—„დღეს მარტო მცოდნე და ნასწავლია ბატონი და უსწავლელი, უცოდინარი კი, მისი ყურმოჭრილი ყმა“ [1]. ილია იმ აზრისა იყო, რომ სწავლა, ცოდნა, მეცნიერება ღონეა იმისთანა, რომელსაც დღეს წინ ვეღარაფერი ვერ უდგება... „თუ მაგაში წინ წავდექით, თუ მაგაში ფეხი გავიდგით, ჩვენი დაუძლეველი ღონე ამოხეთქს მაგარ ფესვებს“ [2],—დასძენდა იგი.

ქართველი განმანათლებლები ებრძოდნენ ცარიზმის საგანმანათლებლო უკულმართ პოლიტიკას არა მარტო იმისათვის, რომ იგი საქართველოში რუსიფიკატორულ მიზნებს ემსახურებოდა, არამედ იმიტომაც, რომ ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა მემამულეების და ბურჟუაზიის ვიწრო კლასობრივ ინტერესებით იზღუდებოდა, ხალხის ფართო მასებს განათლებისათვის გზას უხშავდა და სიბნელეში სტოვებდა. განმანათლებლები უპირისპირდებოდნენ ცარიზმის ამ უკულმართობას, ისინი გაბედულად გამოდიოდნენ და წერდნენ, რომ „მთავრობის მზრუნველობა განათლების შესახებ დღეს აქამდე მარტო წოდებათა (сословный) განათლებით მზრუნველობას მოასწავებდა და სხვას არაფერს. სხვა დანარჩენი ფრიად დიდძალი ხალხი კი, რომელიც ჭეშმარიტად ღონეს შეადგენს, ამ მზურნველობიდან გამოკლებული იყო. სწავლა და განათლება უფეს-

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. II, გვ. 600.
[2] ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრ. კრ., ტ. VI, გვ. 20.

სვოა იქ, სადაც უდიდესი ხალხისა კარდახშულია, მოკლებულია სწავლის სახსარსა“ [1]. ვინაიდან ქართველი ხალხის ფართო ფენები ცარიზმის პირობებში „მოკლებული იყო სწავლის სახსარს“, ქართველი განმანათლებლები ი. ჭავჭავაძის მეთაურობით დაუღალავად ზრუნავენ და ყოველ მხრივ ცდილობენ მოსახლეობის უფართოესი მასების ჩათრევას არა მარტო ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების საქმიანობაში და სახალხო სკოლების ქსელში, არამედ იმისათვისაც, რომ ქართველობას საშუალება ჰქონოდა უმაღლესი განათლების მიღებისა რუსეთში, რა მიზნითაც აარსებენ ღარიბ მოსწავლეთა შემწე საზოგადოებას.

ილია თავის წერილში—„ქართველი სტუდენტობა რუსეთში“—წერდა: „ნუ დაგვავიწყდება, რომ მოსწავლენი მეტი ნაწილი ღარიბნი არიან... სიღარიბეს წინ ეკლიანი გზა უდევს... აქ სვლა მსხვერპლია, თავის გაწირვაა, თავის გამომეტებაა. რამდენს დაულევია უდღეოდ სიცოცხლე, მშობელთა და მახლობელთაგან დაუტირებელს, მარტო იმის გამო, რომ შიმშილით დაუძლურებულს ხორცს ვეღარ აუტანია ღონიერი სული ჭაბუკისა სწავლის ეკლიან გზაზედ. რამდენს დედას გამოსცლია ამ გზით ხელიდან შვილი... რამდენი საიმედო შვილი დაჰკარგვია ქვეყანას“,—დასძენს ილია [2].

იგი არაერთგზის მოუწოდებდა ქართველ საზოგადოებას ღარიბ მოსწავლე თაობისათვის, კერძოდ, სტუდენტებისათვის შესაფერი დახმარება გაეწია.

ი. ჭავჭავაძე წერილში — „თავად - აზნაურობის გულგრილობა სწავლა-განათლების საქმეში“—გარკვე-

[1] ი. ზოგებაშვილი, რჩეული ნაწ., ტ. II, გვ. 64.
[2] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. II, გვ. 592.

ვით აღნიშნავს, რომ „მარტო ღარიბია იძულებული მარჯვენაც ამოქმედოს და დიდი მხნეობაც გამოიჩინოს ამ ცხოვრების ჭიდილისათვის. ამის გამო ღარიბთა შორის უფრო ხშირია მხნე კაცი, ვიდრე მდიდრებს შორის“ [1]. სწორედ ამიტომ ილია უსაზღვრო აღფრთოვანებით მიეგება ღარიბ მოსწავლეთა დამხმარე საზოგადოების დაარსებას და დიდი მნიშვნელობის ეროვნულ წარმატებად მიიჩნია ეს საქმე. ამ საკითხზე დაწერილ სპეციალურ წერილში: „საზოგადოება შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის“, ილია დიდ პერსპექტივებს უსახავს ქართველ ხალხს და თანაც მოწოდებით მიმართავს: „ჩვენმა ხალხმა, ამ საზოგადოებას ხელი გაუმართოს და შემწეობა ამოუჩინოს; ამისთანა საქმეში გულგრილობა შეუნდობელი შეცოდებაა წინაშე ქვეყნისა, ჩვენის შვილებისა, შთამომავლობისა... აქ უკან დახევა შვილების ღალატია, ქვეყნის გმობაა... მივსცეთ ურთიერთს მხარი და ზურგი და ეს ჩვენის შვილების საკეთილო საქმე გავაწყოთ და რიგიანად წარვმართოთ“ [2]. აი საითკენ წარმართავდა ილია ქართველი ხალხის გულისყურს, როგორ რაზმავდა იგი ქართველობას ცარიზმის უკულმართი საგანმანათლებლო პოლიტიკის წინააღმდეგ.

ქართველი ხალხის კულტურული დაწინაურების საქმეში უდიდესი როლი ითამაშა ქართველთა შორის წ. კ. გ. ს.; ამ საზოგადოების გაძლიერებისა და წარმატებისათვის განუსაზღვრელად დიდია ი. ჭავჭავაძის და ი. გოგებაშვილის ღვაწლი, მათი შეუნელებელი და დაუცხრომელი ზრუნვა. ამასთანავე ცნობილია, რომ

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. II, გვ. 597.

[2] იქვე, გვ. 585.

ი. ჭავჭავაძემ მთელი თავისი ქონება (მოძრავი და უძრავი) 1905 წ. ივლისის 5, ნოტარიალურად გაფორმებული ანდერძით მთლიანად გადასცა ქ. შ. წ. კ. ს. ხალხში სწავლა-განათლების გავრცელებისათვის[1]. ცნობილია, რომ ასევე მოიქცა ილიას ერთგული თანამებრძოლი ი. გოგებაშვილი[2]. თავისთავად ცხადია, რომ ილიას და იაკობს სხვა მიმბაძველებიც მრავალი ვაუჩნდნენ, რის შედეგადაც ამ საზოგადოების ფინანსიური ბაზა თანდათანობით ძლიერდებოდა. სხვათა შორის აღსანიშნავია ამ მიმართულებით საადგილ-მამულო ბანკის საქმიანობა და მისი გამოყენება ი. ჭავჭავაძის მიერ. შევჩერდეთ რამდენიმე ფაქტზე.

ილია ჭავჭავაძისვე ცნობით ქ. შ. წერა-კითხვის საზოგადოების, ქართული თეატრის და სხვათა—„...უმთავრესი შემწე ყველა ამ გვარ საქმეთა არის ჯერჯერობით საადგილ-მამულო ბანკი, ქუთაისისა თუ ჩვენი. ქუთაისის ბანკმა შემოსწირა კიდეც ათას ასი თუმანი ამ საზოგადოებას“ (იგულისხმება ქ. შ. წ. კ. გ. საზ. ა. ი.), წერდა ილია[3].

თავად-აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკი თუ რა დახმარებას უწევდა ქართულ თეატრს,—ილია ამაზე წერს, რომ „ბანკის კრებამ, ქართული თეატრი საზოგადო საჭირო საქმედ იცნო და სამასი თუმანი ფული შესწირა“[4].

ილია ჭავჭავაძე მხოლოდ გაკვრით მიუთითებდა ბანკის ამგვარ საქმიანობის ესოდენ დიდ მნიშვნელობაზე, რადგან იგი უკიდურესობამდე შეზღუდული იყო ცენ-

---

[1] „საისტორიო მოამბე“, წ. 3, გვ. 265—266.

[2] იქვე, წ. 5, გვ. 159—164.

[3] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ნაწარ. სრ. კრებული, ტ. VI, გვ. 58.

[4] იქვე, გვ. 62.

ზურის მაშინდელი პირობებით. ოდნავ გადაჭარბებას ასეთ შემთხვევაში ბანკის დახურვაც კი შეეძლო გამოეწვია. სწორედ ამით შეიძლება აიხსნას ილიას განცხადება ბანკის ამ დამსახურებაზე მსჯელობისას, რომ „ჩვენ თევზისა არა იყოს პირი სავსე გვაქვს წყლითა და ვრცლად მითითებით ვერას ვიტყვით". ილია აქვე გარკვევით მაინც მიუთითებს, რომ „...ამ ორს ჩვენს ბანკს შეუძლიანთ ცოტა რომ ვსთქვათ, წელიწადში ორი ათასის თუმნის შეძენა საზოგადო საჭიროების დასაკმაყოფილებლად"[1], და სხვ.

აი რა საზოგადოებრივ ამოცანებს აკისრებდა ილია ამ ვიწრო წოდებრივ დაწესებულებას, და როგორ იყენებდა მას, როგორც ფინანსიურ ბაზას, ქართველი ხალხის კულტურული დაწინაურებისათვის[2].

ი. ჭავჭავაძის და მისი უახლოეს თანამებრძოლთა მეთაურობით ცარიზმის მძიმე პირობებში ბრძოლით განხორციელებულმა ამ ღონისძიებათა სისტემამ თავისი შესანიშნავი შედეგები მოიტანა. ქართველი ხალხი საგრძნობლად დაწინაურდა განათლების საქმეში. თუ ცარიზმის კოლონიურ მდგომარეობაში მყოფი საქართველოს სახალხო მეურნეობა, მისი სამრეწველო კაპიტალისტური განვითარება საგრძნობლად ჩამორჩებოდა რუსეთის შიგა გუბერნიებს და ძირითადად მისი ნედლეული ბაზების შემადგენელი ერთ-ერთი ნაწილი იყო,— ეს არ ითქმის ქართული საზოგადოებრივი აზროვნებისა, კულტურისა და ინტელიგენციის შესახებ. ქართველმა ეროვნულმა კულტურამ ცარიზმის ჩაგვრის პი-

[1] ი. ჭავჭავაძე. ნაწარ. სრ. კრებული, ტ VI, გვ. 60.
[2] „ს ა ტ ო ر ი ო მ ო ა მ ბ ე", წ 3, 240—241 და გვ 247—250, დოკუმენტი 60 და 66.

რობებში შეინარჩუნა თვითმყოფობა. მე-19 საუკ. მეორე ნახევრიდან მოსახლეობის საგრძნობ ნაწილში წერა-კითხვის მცოდნეობამ იმატა, დემოკრატიული ფენები სწავლა-განათლებაში საგრძნობლად დაწინაურდა, უჩვეულოდ განვითარდა მწერლობა, მეცნიერება, პრესა.

ქართველი განმანათლებლები ი. ჭავჭავაძის მეთაურობით ამ ეპოქის ყოველგვარ პროგრესიული საქმიანობის ფაქტიური მესვეურები იყვნენ. რასაკვირველია, შემთხვევით მოვლენად არ ჩაითვლება ის ფაქტი, რომ ქართველი მშრომელი ხალხი მოუმზადებელი არ შეხვედრია ცარიზმისა და ბურჟუაზიის დასამხობად გაჩაღებულ დიდ რევოლუციურ ბრძოლებს. ცნობილია, რომ ქართველი მშრომელი ხალხი დიდი რუსი ხალხის მეთაურობით და რუს ხალხთან ერთად ყოველთვის მოწინავეთა რიგებში იდგა ამ დიდ რევოლუციურ ბრძოლებში. არაა შემთხვევითი ის ფაქტი, რომ საქართველოში მარქსიზმის იდეები მტკიცედ იკაფავს გზას და აღრითგანვე პოულობს ხელსაყრელ ნიადაგს. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებიდან მესამე დასის რევოლუციურ უმცირესობას სათავეში ჩაუდგა ი. სტალინი. ამავე პერიოდიდან ი. სტალინი ლენინთან ერთად სათავეში უდგება რევოლუციურ უდიდეს ბრძოლებს ცარიზმისა და ბურჟუაზიის დასამხობად.

ქართველი განმანათლებლები თავიანთ პროგრესიული საქმიანობით ნიადაგს ამზადებდნენ მარქსიზმის მოწინავე იდეების ქართულ ნიადაგზე გადმოტანისა და მკვიდრად დანერგვის საქმეში.

ეს დიდი განმათავისუფლებული რევოლუციური ბრძოლა საქართველოში როდი მიმდინარეობდა კარჩა-

კეტილად და რუსეთისაგან მოწყვეტით. სტალინური „ბრძოლა“ ჯერ კიდევ 1901 წელს აცხადებდა, რომ „ქართული სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა არ წარმოადგენს კერძო, მარტო ქართველ მუშათა მოძრაობას საკუთარი პროგრამით, ის ხელიხელგადახვეულია მთელი რუსეთის მოძრაობასთან და, მაშასადამე, ექვემდებარება რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას“ [1].

* * *

1380-იან წლებიდან გამძაფრებული რეაქციის პირობებში ილია უფრო მეტი სიძლიერით აგრძელებს ბრძოლას „ჩვენის დაცემულის ვინაობის აღდგენისათვის“.

ილიას რწმენით „ეგ მიმართულება იქნება ახალი იმ დრომდე, მანამ ჩვენი ვინაობა თავის შესაფერს და კუთვნილს ადგილს არ დაიჭერს ჩვენს ცხოვრებაში და საზოგადო საქმეთა სათავეში არ მოექცევა. სხვა საგანი ამაზედ უმძიმესი, ამაზედ უსაჭიროესი არა აქვს ეხლანდელს საქართველოს შვილს. ყველამ, ვისაც რა შეუძლიან ამ მიმართულების ქვეშ უნდა მოიყაროს თავი და ერთად ძმურად იმოქმედოს. ყოველივე საგანი, რაც ჩვენის ცხოვრების მიმავლობაში თავისით თუ სხვისით აღმოჩნდება, სულ ყოვლისფერი ჩვენს ვინაობის საქმეს უნდა შეეურჩიოთ, ქვეშ დავუყენოთ. სკოლაა, ბანკია, თუ თეატრი, ყველაფერს სულ მაგ საკენ უნდა მივუბრუნოთ თავი. ვაყენებდეთ სადმე კაცს მარშლად, თუ ბანკის გამგებლად, თუ მასწავლებლად, თუ სადმე სხვად,—მაგ მიმართულების სასწორზედ უნდა ავსწონოთ...“ [2].

---

[1] ი. სტალინი, თხზულება, ტ. I, გვ. 5.

[2] ი. ჭავჭავაძე, „ივერია“, 1881 წ. № 5.

ქართული ეროვნული კულტურის დაცვა, მისი დაწინაურებისათვის შეუნელებელი ბრძოლა ქართველ განმანათლებელთა უშუალო ზრუნვისა და დაუცხრომელი შრომა-გარჯის საგანს წარმოადგენდა. მათი გმირული საქმიანობა, ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობა, რომელიც დაახლოებით ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს გრძელდებოდა, დაუფასებელია სამშობლოსათვის. ცნობილია, რომ ზოგი ჩვენი მოწინავე მოღვაწე მსხვერპლადაც კი შეეწირა ამ ბრძოლას.

ჩვენი მიზანია საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სახელოვანი ისტორიიდან შევეხოთ მხოლოდ ერთ კონკრეტულ საკითხს—ილია ჭავჭავაძის ბრძოლას საქართველოს ისტორიის გამყალბებლების წინააღმდეგ. ვფიქრობთ, ამ ერთი არსებითი საკითხის განხილვითაც საკმაოდ ნათელი გახდება ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლების ის სიმძაფრე, რომელსაც ეწეოდნენ ქართველი განმანათლებლები ილია ჭავჭავაძის მეთაურობით ცარიზმის მიერ მოსყიდული კალმოსნების წინააღმდეგ.

1. ქართველი მოღვაწეები ეროვნული კულტურის დაცვის სადარაჯოზე

„ილია ჭავჭავაძე და მისი დასი გაზ. „ივერია“-ში გადაჭრით იცავდა ქართულ ენას, ლიტერატურასა და სკოლას, ებრძოდა ცარიზმის რუსიფიკატორულ პოლიტიკას“ [1].

ლ. ბერია

ნაროდოვოლცების მიერ ალექსანდრე II მოკვლამ რუსეთის იმპერიაში შავბნელი რეაქცია უფრო გაამ-

[1] ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის, 1949 წ., გვ. 236.

წვავა. „1881 წელს 1 მარტს ნაროდოვოლცებმა ნასროლი ყუმბარით შეძლეს მეფე ალექსანდრე II მოკვლა, მაგრამ ამან ხალხს არავითარი სარგებლობა არ მოუტანა... მოკლული მეფის ადგილი დაიკავა სხვამ—ალექსანდრე III, რომლის დროსაც მუშათა და გლეხთა ცხოვრება კიდევ უფრო გაუარესდა“[1].

ალექსანდრე III, რომელიც ტახტზე ავიდა მამის სიკვდილის შემდეგ, ბიუროკრატიული რუსეთის იმპერია ყაზარმად და საპყრობილედ აქცია. მუშებისა და გლეხების მდგომარეობა ბევრად უფრო გაუარესდა. თავისუფალი აზრი იხშობოდა, პროგრესულ-განმათავისუფლებელი და რევოლუციური მოძრაობა გამანადგურებელ დევნას განიცდიდა. ცარიზმის ჯაშუშები გამრავლდნენ, კოლონიალური ძარცვა და ჩაგვრა კიდევ უფრო გაძლიერდა. მიუხედავად ამისა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ამ დროისათვის ჩაგრულ ხალხებში უფრო გაღვივდა და გაბედულად დაუპირისპირდა ცარიზმის კოლონიურ ჩაგვრას და მძაფრ რეაქციას.

ამიერკავკასიაში და კერძოდ საქართველოში ცარიზმის რეპრესიებმა განსაკუთრებული ხასიათი მიიღო. მთავრობის რეაქციას 1882 წელს საგანგებო ადმინისტრაციული ცვლილებებიც მოჰყვა: გაუქმდა კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობა და დაწესდა მთავარმართებლის თანამდებობა. გაძლიერდა პოლიციის, ჟანდარმერიის და ოხრანკის ორგანოები. ეს ღონისძიება, სხვა მრავალთა შორის, იქითკენ იყო მიმართული, რომ საქართველო საბოლოოდ გაეთქვიფათ და შეედუღებინათ იმპერიის დანარჩენ ნაწილებთან, მოესპოთ ადგილობრივი

[1] ი. სტალინი, საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი, 1947 წ. თბილისი, გვ. 15.

ეროვნული, კულტურული და ეკონომიური თავისებურებების გამო შემოღებული შეკვეცილი ადმინისტრაციული ავტონომია, რადგან ცარიზმი დარწმუნდა, რომ ამ უკანასკნელს ემყარებოდა და მით საზრდოობდა ცარიზმის წინააღმდეგ მიმართული ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობა.

მთავარმართებლად დაინიშნა ცნობილი შავრაზმელი დონდუკოვ-კორსაკოვი, რომელმაც სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ყოველგვარ ეროვნულ-ქართულს. არაჩვეულებრივი რეპრესიებით იდევნებოდა ქართული ენა, ქართული სკოლები, თეატრი, გაზეთები, წიგნები და სხვა; გაძლიერდა სასტიკი ცენზურა. ცარიზმი ამასთანავე მრავალერიანი ამიერკავკასიის მოძმე ხალხთა შორის ყოველმხრივ აღვივებდა ნაციონალურ შუღლსა და მტრობას.

ცარიზმის ამ ვერაგულმა და ველურმა პოლიტიკამ გარკვეული შედეგები გამოიღო. მთავარმართებელ დონდუკოვ-კორსაკოვის დროს (1882—90 წ.წ.) ქართველების მიმართ მიღებულ იქნა განსაკუთრებული და სასტიკი დამამცირებელი ღონისძიებები. მეფის მთავრობის მიერ ოფიციალურად აიკრძალა სიტყვა „საქართველოს“ ხმარება, იშვიათ შემთხვევაში ღებულობდნენ ქართველებს სამსახურში, სდევნიდნენ ქართულ ენას როგორც სკოლებში, ასევე ეკლესიებში. საგანგებო ღონისძიებები ჩატარდა იმისათვის, რომ აფხაზეთი, სამეგრელო და სვანეთი ჩამოეშორებინათ ქართული კულტურის სფეროსაგან.

მთავარმართებელი დონდუკოვ-კორსაკოვი, ეგზარქოსი პავლე, სასწავლო ოლქის მზრუნველი იანოვსკი, თბილისის სემინარიის რექტორი ჩუდეცკი და ცარიზმის სხვა შავრაზმელი მოხელეები, საშუალებებს არ ზოგავდნენ

იმისათვის, რომ ძირშივე აღმოეფხვრაათ ქართული ეროვნული შეგნება და მოესპოთ იგი, იარაღით გასწორებოდნენ იმ პირებს, ვინც მეთაურობდა ამ იდეას და იდგა ქართული ეროვნული შეგნებისა და უფლებების დაცვის სადარაჯოზე. ქართველი განმანათლებლები ილია ჭავჭავაძის მეთაურობით აქტიურად შეებრძოლნენ ცარიზმის შავრაზმულ რუსიფიკატორულ პოლიტიკას საქართველოში და გმირული გამბედაობით დაიცვეს მშობლიური ქვეყნის ღირსება.

დონდუკოვ-კორსაკოვის ეს რეაქციული ღონისძიებები იქამდე გაწწვავდა, რომ ქუთაისის თავადაზნაურობის წინამძღოლი დიმ. ყიფიანი იძულებული გახდა შეეჩივლა ქუთაისში გავლით ჩამოსულ კავკასიის ყოფილ მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზისძისათვის: ქართველობა კვლავ ერთგულია იმპერიის, მათ ფიცი არ გაუტეხიათ და რითაა გამოწვეული ადგილობრივი მთავრობის მიერ ქართველობის ასეთი დევნა-შევიწროებაო?

დონდუკოვ-კორსაკოვი ამ ამბით დიდად უკმაყოფილო დარჩა, მიიღო იგი როგორც დასმენა. მან განკარგულება გასცა, რათა დიმიტრი ყიფიანს სასწრაფოდ განმარტება დაეწერა ამ საკითხის შესახებ[1].

ილია ჭავჭავაძე გაბედულ-დ გაილაშქრა სკოლებიდან ქართული ენის განდევნის წინააღმდეგ, რასაც რეაქციონერი იანოვსკი მეთაურობდა. კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი იანოვსკი, სხვათა შორის, მოითხოვდა სამეგრელოს სკოლებიდან ქართული ენის განდევნას და მეგრულად სწავლებას. იანოვსკიმ სამეგრელოში თავისი

---

[1] „საისტორიო მოამბე", წიგნი 3. 1947 წ. საბ. 46, 47, 48, 49, 50, 56, 57, 58 და სხვ. გვ. 411—422, პროფ. შ. ჩხეტიას პუბლიკაცია.

ბოროტი ზრახვების შესასრულებლად საკუთარი აგენტებიც გაიჩინა, მაგალითად, ცნობილი ნაძირალა აშორდია და სხვა. ილია წერდა: „რადგანაც არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი გული და სული — ენაა, ამიტომაც ტლანქი ხელი უმეცარის მოხელეებისა ყველაზედ უწინარეს ენას მისწვდა“[1].

ილია ჭავჭავაძემ, დ. ყიფიანთან და აკ. წერეთელთან ერთად, აქტიური ზომები მიიღო საშეგრელოს სკოლებიდან ქართული ენის სწავლების განდევნის წინააღმდეგ, რასაც თავხედურად მოითხოვდა იანოვსკი.

„ჩვენ რომ ეგრე დაჟინებით და უკან დაუხევლად ვთხოულობთ დედა-ენისათვის სრულს და დაუბრკოლებელს გზას სასწავლებლებში,—ეგ მარტო დედა-ენის სიყვარულით არ მოგვდის. ვთხოულობთ და ვნატრულობთ იმიტომაც, რომ უდედა-ენოდ გონების გახსნა ბავშისა ყოვლად შეუძლებელია. მაშინ სკოლა გონების გახსნის სახსარი-კი არ არის, გონების დაჩლუნგებისაა, გონების დახშვისაა, დათურგვნისაა, გამათრახებისაა,—და განა ეს სასურველია ვისმესთვის“... მიმართავდა ილია შავრაზმელ იანოვსკის[2].

1887 წლის აპრილის 28-ს კონფიდენციალურ მოხსენებაში იანოვსკისადმი აშორდია იუწყებოდა, რომ „სენაკის სათავადაზნაურო სკოლაში თითქმის ყოველთვიურად იკრიბებიან დ. ყიფიანი, ი. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი და სხვ. და არჩევენ საკითხს, როგორ ააღელვონ ხალხი 1884 წ. 11 იანვრის ცირკულიარის წინააღმდეგ-სამეგრელოს სახალ-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ნაწერების სრ. კრებ., ტ. VI, გვ. 107.

[2] იხ. „დროება“, 1881 წ., № 33. ბ-ნ იანოვსკის წერილის გამო.

ხო სკოლების შესახებ"[1]. ილიამ მოახერხა სამეგრელოს პროგრესული ელემენტების დარაზმვა და გზა გადაუჭრა იანოვსკისა და მის დამქაშთა ბოროტ განზრახვას. დიდი ლენინი შემდეგში, 1905 წ., ამის მსგავსი მოვლენების შესახებ წერდა: „რუსეთის ჩაგრულ ხალხთა შორის იფეთქა განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, რუსეთში ნახევარზე მეტი, თითქმის სამი მეოთხედი (ზუსტად, 57%) მოსახლეობა განიცდის ნაციონალურ ჩაგვრას, ისინი ვერ სარგებლობენ მშობლიური ენის თავისუფლებითაც კი, მათ ძალმომრეობით არუსებენ"[2].

ქართველ თავადაზნაურობის მაღალი ფენები აშკარა ეროვნული გადაგვარების გზაზე იდგნენ საერთოდ და განსაკუთრებით კი ისინი, ვინც სამხედრო სასწავლებელსა და სამსახურში იმყოფებოდნენ. ამიტომ შემთხვევითი არაა ის ფაქტი, რომ 1896 წ. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი მეფისადმი საიდუმლო მოხსენებაში წერდა, რომ რაც შეიძლება დიდი რაოდენობით ჩაერიცხათ თავადაზნაურთა შვილები „კადეტთა კორპუსში" და დაენიშნათ მათთვის მთავრობის სტიპენდიები, ვინაიდან „იქ აღზრდა არის ნამდვილი საშუალება იმისათვის, რომ მოხდეს ქართველე-

---

[1] „საისტორიო მოამბე", წიგნი 3. 1947 წ. დოკუმ, №53. გვ. 229—231 პროფ. შ. ჩხეტიას პუბლიკაცია.

ცარიზმის ამ გამძაფრებული რეაქციისა და კოლონიური ჩაგვრის მძიმე პირობებში საქართველოს ეროვნულ-გაზმათავისუფლებელი ბრძოლის მეთაურს ილია ჭავჭავაძეს ცარიზმის მოხელეები მეტად საშიშარ პიროვნებად მიიჩნევენ და პოლიცია ილია ჭავჭავაძეზე აწესებს სასტიკ ფარულ მეთვალყურეობას (იხ. „საისტორიო მოამბე"ს დასახელებული წიგნის № 41, 42, 43. 44, 46, 58 დოკუმენტები გვ. 212—219 და 235. ა. იოვიძის პუბლიკაცია.

[2] В. Ленин, Сочинения, т. 23, стр. 241 (მეოთხე გამოცემა).

ბის ასიმილიაცია, გათქვეფა რუსის ერში"[1]. ქართველი თავადაზნაურობაც დიდი ხალისით ეტანებოდა სამხედრო სამსახურს.

მშობლიური ენისა და კულტურის ფაქტიური დამ-ცველი და გადამრჩენი ასეთი გაძლიერებული რუსიფი-კატორული პოლიტიკის პირობებში—ქართველი მშრო-მელი ხალხი—უმთავრესად ქართველი გლეხკაცობა იყო.

* * *

შევჩერდეთ ამ ბრძოლის დამახასიათებელ რამდენიმე კონკრეტულ მაგალითზე. კავკასიის სასწავლო ოლქის და საქართველოს ეგზარქატის მესვეურები მოითხოვდნენ სკოლებში და ეკლესიებში ქართულ ენაზე მეტყველების მთლიანად შეცვლას რუსულით. ამ მოთხოვნის წინა-აღმდეგ ამხედრდნენ ქართველი განმანათლებლები ი. ჭავ-ჭავაძის მეთაურობით; საქართველოს მოწინავე სამღვდე-ლოების სახელით ამ ღონისძიებათა წინააღმდეგ გაილაშ-ქრა იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა. ამავე პერიოდში სახალხო სკოლების დირექტორმა ლევიცკიმ და დეკანოზ-მა ვოსტორგოვმა ამ რუსიფიკატორული პოლიტიკის ქმე-დითი წარმატებისა და მისი ცხოვრებაში პრაქტიკულად გატარების მიზნით შეიმუშავეს სწავლების ე. წ. „მუნჯური მეთოდი". სწავლების ეს მავნე და ყოვლად უკულმართი მეთოდი მომაკვდინებელ ჭრილობას აყენებდა ქართულ ენას. ცხოვრებაში მისი გატარება ეროვნული გაერთიანე-ბის გზაზე დამდგარ საქართველოს სრულ დენაციონალი-ზაციას უქადდა. ეს მავნე პროექტი იქითკენ იყო მიმართუ-ლი, რომ საქართველოს შემადგენელი კუთხეები ხელოვ-

[1] ,,ეუთაისის გუბერნატორის 1896 წ. ანგარიშიდან.

ნურად გაეთიშა ერთმანეთისაგან, მოესპო ქართული სკოლები და ქართულად წირვა-ლოცვა სამეგრელოში, სვანეთში, სამხრეთ საქართველოში და სხვაგან. მათი მიზანი იყო დაერწმუნებინათ ეს ქართველური, მარად მოძმე ტომები იმაში, რომ ისინი ქართველები არ არიან, რომ მათი ენა და ეროვნება სავსებით განსხვავებულია ქართველობისაგან და ამიტომაც მათ უფლება აქვთ ქართველებისაგან გამოყოფა-დამოუკიდებლობისა, თავიანთ ენებზე სწავლა-აღზრდისა და წირვა-ლოცვის წარმოებისა. ცარიზმის ამ რეაქციული, უკულმართი ღონისძიებებით აღშფოთებული დ. ყიფიანი თავის ოფიციალურ განმარტებაში წერდა:

„მოციქულთა დროიდან ქართული ენა იყო საეკლესიო და კულტურული ენა. ამჟამად კი იქ ახალ კულტურას ჰნერგავენ, მეგრულ ენას ასწავლიან სხვა ანბანის საშუალებით. ასე რომ გავყვეთ, შეიძლება შეიქმნას ახალი კულტურები აჭარლებისა, ფშავ-ხევსურისა, ინგილოებისა, მთიულებისა და სხვათათვის“. ასე მიმართავდა დ. ყიფიანი დონდუკოვ-კორსაკოვს. დიმიტრი ყიფიანის ეს განმარტება არსებითად შედეგი იყო სახალხო სკოლების დირექტორის ლევიცკისა და დეკანოზ ვოსტორგოვის თაოსნობით სწავლების „მუნჯური მეთოდის“ თითქმის დამკვიდრებისა და, კერძოდ, სამეგრელოს სკოლებსა და საყდრებში ქართულის ნაცვლად მეგრული ენის შემოღებისა.

თვითმპყრობელობა ერთი ეროვნების მეორეზე წაქეზებით არ კმაყოფილდებოდა და თვით ცალკე ეროვნებებს შიგნითაც ჰქმნიდა მტრულ, კუთხურ განხეთქილებას. ცარიზმის მოხელეები თვალთმაქცურად შთაგონებდნენ მეგრელებს, რომ ისინი ქართველების ტომსა და მოდგმას არ ეკუთვნიან, რომ ისინი ცალკე ერია, რომელსაც უნდა ჰქონდეს საკუთარი ანბანი, მწერლობა და

წირვა-ლოცვა, ნაცვლად ქართული ენისა. მართლაც, ამ მიზნით სულ მალე „შექმნეს“ და „გამოიგონეს“ მეგრული „ენის“ რუსული ანბანი, რომელზედაც უკვე იწერებოდა სახელმძღვანელოები და საეკლესიო წიგნები. ცარიზმი ასეთსავე უკუღმართ პოლიტიკას ატარებდა აფხაზეთის, სვანეთის, აჭარის და საქართველოს შემადგენელ სხვა ნაწილების მიმართ. ასეთი ბოროტების განსახორციელებლად ცარიზმი იყენებდა აშორდიას ტიპის ყალბისმქნელ მოღალატე ავანტურისტებს.

ქართული პრესა—გაზ.„ივერია“, „დროება“ იმედი და სხვ. 80-იან წლებში ილია ჭავჭავაძის, ს. მესხის, ა. წერეთლის, ი. გოგებაშვილის მეთაურობით სასტიკად ილაშქრებენ ცარიზმის ამ ვერაგული ღონისძიებების წინააღმდეგ. განმანათლებლები ამასთანავე მეცნიერული სიზუსტით და ყველასათვის გასაგებად ასაბუთებენ მეგრული ენისა და ქართული ენის ნათესაურ დამოკიდებულებას; მეგრული ენის, ასევე სვანურისა და ჭანურის ახლო ურთიერთობას, მათი ლექსიკური მარაგისა და გრამატიკული ნორმების მსგავსებას, რაც მათი მართებული შეხედულებით საუკეთესოდ ამტკიცებს ამ ერთი მოდგმის ქართველურ ტომთა უეჭველ ნათესაობას.

გამძაფრებულმა რეაქციამ ქართველი ინტელიგენციის ცალკე ჯგუფები და ამა თუ იმ მიმართულებათა თვალსაჩინო წარმომადგენლები რამდენადმე გააერთიანა, დარაზმა და საქართველოს ეროვნული ინტერესების დაცვის საერთო პოზიციებიდან ცარიზმის რეაქციას დაუპირისპირა.

რეაქციის წინააღმდეგ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა მთელი სისასტიკით გრძელდებოდა. ცნობილია, რომ სწორედ ამ პერიოდში, 1886 წ., თბილისის სემინა-

რიის მოწაფემ სიცოცხლეს გამოასალმა გაუსწორებელი შავრაზმელი რექტორი ჩუდეცკი. ამ ფაქტთან დაკავშირებით ეგზარქოსმა პავლემ იერიში მთელ საქართველოზე მიიტანა და ჩუდეცკის დასაფლავების დღეს დასწყევლა ის გარემო (ე. ი. საქართველო), რომელმაც დაბადა „ისეთი ავაზაკი", როგორიც ი. ლალიაშვილი (ჩუდეცკის მკვლელი) იყო. ამ ფაქტით დიდად შეურაცხყოფილი და უსაზღვროდ აღშფოთებული ქართველი საზოგადოების აზრი გამოხატა დ. ყიფიანმა საპროტესტო ბარათში, რომელიც პირადად მისწერა ეგზარქოს პავლეს 1886 წ. ივნისში.

ბარათში დიმიტრი ყიფიანი, სხვათა შორის, წერდა: „თქვენო აღმატებულებავ! მიიღეთ მწყემსმთავრული მოწყალება და შემინდეთ ჩემი დიდი შეცოდება, თუ მე, გატაცებული დაუჯერებელი ხმებით, ვცოდავ თქვენს წინაშე, მაგრამ ამბობენ, რომ თქვენ დასწყევლეთ ის ქვეყანა, რომელშიც თქვენ მოწოდებული ხართ სამწყსოდ და რომელიც ამის გამო მოელოდა თქვენგან მარტოოდენ სიყვარულსა და სათნოებას... თუ ყოველივე ეს მართალია, თქვენი ღირსების გადარჩენა მხოლოდ იმით შეიძლება, რომ შემჩვენებელი დაუყოვნებლივ განიდევნოს შეჩვენებული ქვეყნიდან"... (კურსივი ჩვენია. ა. ი.)[1].

დ. ყიფიანი ამ გამოსვლის შემდეგ მეფის მთავრობამ მეტად საშიშ პიროვნებად მიიჩნია. დონდუკოვ-კორსაკოვმა ამ საქმის გამოძიება დანიშნა. იმპერატორის ბრძანებით, 1886 წლის 6 აგვისტოს დ. ყიფიანი გადა-

---

[1] „საისტორიო მოამბე", წიგ. 3, გვ. 433. საბ. № 69.

აყენეს ქუთაისის თავადაზნაურობის წინამძღოლობიდან, გადაასახლეს სტავროპოლში, სადაც 1887 წელს ვერაგულად მოკლეს[1].

ცარიზმის ესოდენ გამძაფრებული რეაქციის მძიმე პერიოდში ქართული ეროვნული კულტურის დაცვის სადარაჯოზე მყოფ ჩვენს მოწინავე ინტელიგენციას სათავეში ილია ჭავჭავაძე უდგა. იგი იყო მისი იდეური სულისჩაბდგმელი და დამრაზმელი, ამიტომ თვითმპყრობელობა ილია ჭავჭავაძის დაუძინებელი მტერი გახდა. თბილისის ჟანდარმერია საგანგებო ზედამხედველობას აწარმოებდა ილიაზე. ჟანდარმერიის ერთ-ერთ საიდუმლო მოხსენებაში (შედგენილია 1894 წელს 1 მაისს) აღნიშნულია „...სემინარიის ამბოხებაში არა მცირე წილი უძევთ ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის მასწავლებლებს... დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ იმ მიმართულების მთავარი ხელმძღვანელი, რომლის მიზანიცაა ეროვნული მოძრაობის გაღვივება, არის თავადი ილია ჭავჭავაძე, ტფილისის სათავადაზნაურო ბანკის თავმჯდომარე (იმ ბანკის სახსრებით ინახება აღნიშნული სათავადაზნაურო სკოლა და აგრეთვე იგია რედაქტორი ქართული გაზეთი „ივერიისა"). თავადი ილია ჭავჭავაძე არის შესანიშნავი ჭკუისა და მდგომარეობის პატრონი, დიდი ავტორიტეტის მქონე ქართველებში საერთოდ და თავისუფალ მოაზროვნეთა შორის განსაკუთრებით. დადის ხმები, რომ მასთან დროგამოშვებით იმართება საიდუმლო კრებები, სადაც არკვევენ სხვადასხვა საზოგადო ხასიათისა და სოციალურ საკით-

[1] „საისტორიო ვოამბე", წიგ. 3, გვ. 437, საბ. № 73 და გვ. 494—495 საბ. № 1.3 და 114.

ხებს"[1]. მსგავსი დოკუმენტები დღეს უკვე საკმაოდაა გამოვლინებული. ასეთია ილია ჭავჭავაძის საპატიო როლი ზოგადად ეროვნული კულტურის დაცვის საქმეში.

ი. სტალინი მეფის რუსეთს ხალხთა საპყრობილეს უწოდებდა, სადაც „კვნესიან შევიწროებული ერები და სარწმუნოებანი... კვნესიან ქართველები, სომხები და სხვა ერები, მოკლებულნი უფლებას — იქონიონ თავისი სკოლები, იმუშაონ სახელმწიფო დაწესებულებებში, იძულებულნი დაემორჩილონ იმ სამარცხვინო და შემავიწროებელ პოლიტიკას გარუსებისას, რომელსაც ასე გულმოდგინედ ატარებს თვითმპყრობელობა"[2].

ქართველი განმანათლებლები, მართალია, ასე თავგამოდებით იბრძოდნენ ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ, მაგრამ ამასთანავე ისინი უალრესი პატივისმცემელნი იყვნენ რუსული კულტურის, ენისა და მწერლების, იაკობ გოგებაშვილი წერდა: „რუსულს ენასა ჩვენთვის, ქართველებისათვის მრავალგვარი მნიშვნელობა აქვს. იგი არის, პირველად სახელმწიფო ენა, სავალდებულო ყველა ქვეშევრდომ ხალხისათვის, მეორედ, იგი კულტურული ენაა, რომლის დახმარებით ვითვისებთ ევროპიულს განათლებას და რომელსაც მიუცილებლად მოელის მნიშვნელობა ერთის მსოფლიო ენისა; მესამედ, იგი არის ენა ხალხისა, რომლის ბედთან ისტორიამ და ხალხის სურვილმა შეაყრთა ბედი საქართველოსი. ამიტომ რუსული ენა უნდა

---

[1] ი. ჭავჭავაძე, ლექსები, პოემები, მოთხრ., 1937 წ., გვ. 18.

[2] ი. სტალინი, თხზულებანი. ტ. I, გვ. 22.

მიუცილებლად მისდევდეს ქართულ ენასა, როგორც სკოლაში, ისე სახლობაში და ქართველნი უნდა ვცდილობდეთ შევითვისოთ ეს ენა და მისი ლიტერატურა"[1]. ასეთია ქართველ განმანათლებელთა საერთო შეხედულება რუსულ ენასა და კულტურაზე.

ჩვენი მიზანია ილიას მრავალმხრივი მოღვაწეობიდან შევჩერდეთ იმ სახელოვან ბრძოლაზე, რომელიც ილიამ ამ პერიოდში გადაიხადა საქართველოს ისტორიის გამყალბებელთა წინააღმდეგ. ჩვენ აქვე დავრწმუნდებით, რომ ეს ფალსიფიკატორები ფაქტიურად ცარიზმისა და რეაქციის საქმის ერთგული მკეთებლებიც იყვნენ.

2. საქართველოს ისტორიის გაყალბების ცდები რეაქციის პერიოდში

გასული საუკუნის 80-იან წლებში, როდესაც საქართველოს ეროვნული ჩაგვრა და ეროვნული კულტურის გააფთრებული დევნა ცარიზმის მძიმე კოლონიზატორული უღლის ქვეშ უმაღლეს საფეხუოს აღწევს, გარკვეულ წრეებში თავი იჩინა ქართული კულტურის და საქართველოს ისტორიის საკითხებისადმი მეტად ახირებულმა ე. წ. ნიჰილისტურმა დამოკიდებულებამ. უკიდურესობამდე მისული ეს ნიჰილიზმი გვეკლინება საქართველოს ხანგრძლივი გმირული ისტორიული წარსულის აშკარა გამყალბებლის და ვულგარიზატორის როლში. ნიჰილიზმი და საქართველოს ისტორიის საკითხების ცილისმწამებლური გაყალბება ამ პერიოდში უკვე შემთხვევითი მოვლენა როდი იყო. ქართველი ხალხისა და მისი კულტურის საწინააღმდე-

[1] ი. გოგებაშვილი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 378.

გოდ აღძრულ ამ მოძრაობას სათავეში უდგნენ და მის სულისჩამდგმელად ითვლებოდნენ ცარიზმის მოხელე-აგენტები. ცარიზმი ამას განზრახ, წინასწარ მოფიქრებული გეგმით ახორციელებდა.

ი. ს ტ ა ლ ი ნ ი წერს: „მეფის რუსეთი ხალხთა საპყრობილე იყო. მეფის რუსეთის მრავალრიცხოვანი არარუსი ხალხები სრულიად უუფლებონი იყვნენ, განუწყვეტლივ განიცდიდნენ ყოველგვარ დამცირებასა და შეურაცხყოფას. მეფის მთავრობა აჩვევდა რუს მოსახლეობას ისე ეცქირა ნაციონალური ოლქების მკვიდრი ხალხებისათვის, როგორც დაბალი რასისათვის, ოფიციალურად უწოდებდა მათ „ინოროდცებს", ნერგავდა ზიზღსა და სიძულვილს მათდამი"[1]. ამრიგად, პატარა კოლონიური ერების აბუჩად აგდება, მათი ისტორიისა და აწმყოს გამასხარავება, მეზობელი მოძმე ერების ერთმანეთისადმი წასისინება და ეროვნული შუღლის გაღვივება ცარიზმის ეროვნულ პოლიტიკად ითვლებოდა; ცნობილია, რომ მეფის სატრაპები ამ გზით ცდილობდნენ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ხალხის მასების რევოლუციური განწყობილების მოდუნებას და მოსპობას.

შემთხვევითი არაა ის ფაქტი, რომ ასეთ ვითარებაში საქართველოს წარსულის აბუჩად აგდება და მისდამი ცილის დაწამება პირველად თვითმპყრობელობის რეაქციის მესვეურმა კატკოვმა სცადა. გაზ. „Московские Ведомости"-ში მან მოათავსა წერილი: „კორესპონდენცია ტფილისიდან"; ამ „კორესპონდეციას" „დროების" ფურცლებიდან ი. ჭავჭავაძემ მაშინვე გასცა სათანადო პასუხი.

[1] საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი, 1947 წ., გვ. 7.

სულ სხვა პოზიციებიდან, მაგრამ არსებითად იმავე მიმ-
დინარეობის წარმომადგენელი პატკანოვი 1883 წ. „Журн.
Министерства Просвещения“-ს დეკემბრის ნომერში
გვევლინება სტატიით: „О древней Грузинской хро-
нике“, რომელშიაც უაღრესად ტენდენციურად განხილუ-
ლია საქართველოს ისტორიული წყაროები და, კერ-
ძოდ კი, „ქართლის ცხოვრება“. ამავე პერიოდში გვევ-
ლინებიან ქართველი ნიჰილისტები ფსევდონიმით „სან-
დალა“[1] და „ნარ-დონი“[2], ხოლო უფრო მოგვიანებით
მთელი გუნდი შოვინისტურად განწყობილი ბურჟუაზიუ-
ლი ინტელიგენციისა. იმათ საპასუხოდ რიგი ცალკეულ
წერილებს გარდა, ილიამ ორი ისტორიულ-პოლემი-
კური ხასიათის ნაწარმოები დაწერა ქართველი ნიჰი-
ლისტების საპასუხოდ—„აი ისტორია“ და ბურჟუაზიულ
ცილისმწამებელთა ცნობილი „გუნდის“ წინააღმდეგ—
„სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი“.

ილია ჭავჭავაძეს, როგორც საქართველოს ნაციონა-
ლურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილ მო-
ღვაწეს, არ შეეძლო უყურადღებოდ დაეტოვებინა
ნიჰილისტების და ვულგარიზატორ ცილისმწამებელთა
ამ „გუნდების“ აღვირახსნილი თარეში საქართველოს ის-
ტორიის ფრონტზე, განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა
იგი ღრმად დარწმუნდა იმაში, რომ ნიჰილიზმი და ცი-
ლისწამება საქართველოს ისტორიის ძირითადი საკით-
ხებისადმი იქცა ფრიად სერიოზულ საფრთხედ.

ილია მისთვის დამახასიათებელი ღრმააზროვანი პრინ-
ციპულობით, დაუნდობლად ებრძვის საქართველოს ის-

---

[1] „სანდალას“ ფსევდონიმით წერდა ზაქარია ჭიჭინაძე.
[2] „ნარ-დონი“ არის ფსევდონიმი ცნობილი ნაროდნიკის ივ. ჯაბადარისა.

ტორიის ყველა ჯურის ფალსიფიკატორებს—ნიჰილისტებს, ვულგარიზატორებს, ცილისმწამებლებს, ქართველი ხალხის ისტორიული წარსულისადმი მტრულად განწყობილ კალმოსნებს[1]: გოლმსტრემს[2], კუტულს[3], ქართველ ნიჰილისტ ცილისმწამებელ „ნარ-დონსა“[4] და „სანდალას“, ჯაშუშ მაბეზღარ კატკოვს. ასევე იცავდა ილია ქართველი ხალხის ეროვნულ ღირსებას კავკასიის რუსულ ოფიციალურ ორგანო „Кавказ“-ისა, თუ „Новое обозрение“-ს შემოტევისაგან, აგრეთვე სომხურ

[1] პატკანოვი წერილში: „О древней Грузинской хронике“ მიუტევებელ ტენდენციურობას იჩენს ქართული ისტორიული წყაროების შეფასებაში. პატკანოვს მიმბაძველებიც გამოუჩნდნენ, რომლებმაც უფრო გაბედულად და ფართო გეგმებით მიჰყვეს ხელი არა მარტო ქართული ისტორიული წყაროების, არამედ მთლიანად საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის გაყალბებას. დიმიტრი ბაქრაძე იძულებული გახდა გამოექვეყნებინა საპასუხო შრომა: „პროფესორი პატკანოვი და ქართული ისტორიის წყაროები“. ბაქრაძე მისთვის ჩვეული საბუთიანობით იცავს „ქართლის ცხოვრებას“ პატკანოვის თავდასხმისაგან. ილია ჭავჭავაძემ მოხერხებულად გამოიყენა ბაქრაძის ეს შრომა პატკანოვისა და სხვათა წინააღმდეგ თავის ცნობილ წიგნში: „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი“.

[2] გოლმსტრემი ავტორია „Петербургские ведомости“-ში მოთავსებული წერილებისა „И камни возопиют“.

[3] კუტული ავტორია ფრანგულ გაზეთ „Temps“-ში 1877 წელს მოთავსებული წერილებისა, რომლებშიაც ცნობილი გუნდის ჩაგონებით აუგად იხსენიებს და აყალბებს ქართული კულტურის საკითხებს.

[4] ივ. ჯაბადარი ავტორია „Письма о Грузии“-ის, რომელიც წერილების სახით სერიებად გამოვიდა 1889 წ. „Северный вестник“-ში. ამ პირწავარდნილ ნიჰილისტს ილია შეებრძოლა თავისი წიგნით „აი ისტორია“, რომელიც პირველად ასევე სერიებად ცალკე წერილების სახით გაზეთში გამოაქვეყნა (იხ. ჟურნალ „Северн. Вестник“ 1889 წ. № 2 და № 3-ში მოთავსებული ი. ჯაბადარის წერილები „Письма о Грузии“).

ჟურნალ „მურჯ"-ისა და გაზ. „მშაკი"-საგან, რომლებიც ნებსით თუ უნებლიეთ უმართებულოდ მოიქცნენ და ჩირქი მოსცხეს ქართველი ხალხის ისტორიულ წარსულს, მის ეროვნებას, მწერლობას, ხელოვნებას და მთლიანად ხალხს. ილია სასტიკად უსწორდება ქართველი ხალხის გმირული ისტორიის აშკარა გამყალბებლებს, ამჟღავნებს მათ უკიდურეს ტენდენციურობას და ხშირად მათ ისტორიული ფაქტების სრულ უცოდინარობაშიც კი იჭერს.

3. კატკოვის გამოლაშქრების გამო

„... Катков во время первого демократического подъема в России (начало 60-х гг XIX века) повернул к национализму, шовинизму и бешенному черносотенству"[1].

ცარიზმის რეაქციამ და ძალმომრეობითმა კოლონიურმა ჩაგვრამ ვერ ჩაკლა ჩაგრული ხალხების განმათავისუფლებელი დიადი მისწრაფებები, პირიქით, სავსებით ამის საწინააღმდეგო რამ გამოიწვია. ცარიზმის რეპრესიამ და ჩაგვრამ კოლონიებში, კერძოდ საქართველოსა და სომხეთში, დიდად გააღვივა განმათავისუფლებელი მოძრაობა. ეს მოძრაობა, რა თქმა უნდა, შეუმჩნეველი არ რჩებათ თვითმპყრობელობის ჯაშუშებს. თვითმპყრობელური რუსეთის რეაქციულ პრესას, საერთოდ, და, კერძოდ, შავრაზმულ, მონარქისტულ ორგანოს „Московские Ве-

[1] Ленин, Сочинения, т. XXX, стр. 192.

домости"-ს, კატკოვის რედაქტორობით, ადგილებზე საკუთარი აგენტები გააჩნდა, რომლებსაც „კორესპონდენტები" ეწოდებოდა. ასეთები მათ, რასაკვირველია, საქართველოშიაც მოეპოვებოდათ. სწორედ ამ „კორესპონდენტის" მასალებზე დაყრდნობით, კატკოვი „Московские Ведомости"-ში უთმობს ადგილს სტატიას სათაურით: „კორესპონდენცია თბილისიდან". გაზეთი ცილისმწამებლური თავხედობით ამბობს, რომ „ქართველებსა და სომხებში სეპარატისტობა-განდგომის სურვილი მოქმედებს" და ამაღელვებელი მიმართვით ლანძღავს და აგინებს ქართულ ეროვნულ დროშას. ილია, აღშფოთებული „Московские Ведомости"-ში მოთავსებული წერილით, ილაშქრებს საპასუხო სტატიით— „კატკოვის პასუხად". იგი ამ წერილში არკვევს, თუ რას ეყრდნობოდა გაზეთი და „კორესპონდენტი", როცა ასეთი ბრალდებით უმასპინძლდება ქართველ და სომეხ ხალხს.

ილია წერს: „კორესპონდენტს ჩვენის სეპარატიზმისა და განდგომის წყურვილის დასამტკიცებლად საბუთებიც მოჰყავს. მაგალითებრ: ქართველებსა და სომხებს როცა წარმოდგენები აქვთო, თეატრი კარგად განათებული და გამთბარიაო და როცა რუსები არდგენენ, მაშინ კი არაო. ქართულ თეატრში ხალხი ბევრი დაიარებაო და რუსულში კი არაო. ქართველებმა „სამშობლოს" გადმომკეთებელი ავტორი დიდის ყოფით მიაცილეს შინამდინაო და სომხებმა კიდევ ბევრი საჩუქარი მიართვეს სომხურს აქტრისას გრაჩიასაო" [1]. აქვე ილია შენიშნავს: „სასაცილოა რომ საზიზღარი არ იყოს, ამისთანა ბეზღი, ამის-

[1] ი ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. IX, გვ. 6—7

თანა საბუთებზე აშენებული“ და ამასთანავე ჩერდება საკითხის არსებით მხარეზე და დასძენს, რომ: „ვინ არ იცის, რომ ჩვენმა თეატრმა ფეხი აიდგა... თვით ქართველების მეცადინეობით... ჩვენმა თეატრმა თავისით ჩაიდგა სული, გარედამ შემწეობა არავისაგან ჰქონია“[1]. ასეთ ძნელ პირობებში ქართულმა თეატრმა ხალხის დახმარებით გზა გაიკაფა, ფინანსური ბაზა დაიმკვიდრა და მაყურებლები შემოიკრიბა, განა ამაში ჭკუათმყოფელს ცუდი რამ უნდა დაენახა?!

ილიამ სამართლიანად გააბათილა უსაფუძვლო ბრალდება ქართველებისა და სომხების სეპარატიზმის შესახებ. მართლაც, ლაყბობა ქართველთა და სომეხთა პოლიტიკური სეპარატიზმის შესახებ იყო დაუჯერებელი სიცრუე და პროვოკაციული ცილისწამება. ამის შესახებ ი. ჭავჭავაძის ერთგული თანამებრძოლი ი. გოგებაშვილი წერდა: „ეროვნულს პრინციპს, ეროვნულ მიმართულებას არავითარი კავშირი არა აქვს პოლიტიკურ სეპარატიზმთან... ისტორიის მსვლელობამ აუცილებელი გახადა იყოს საქართველო განუყრელი ნაწილი რუსეთის სახელმწიფოსი, მაგრამ ნაწილი თავისებური: საკუთარი ენით, კულტურით, თვითმმართველობით. ამიტომ ქართველებს სეპარატიზმს დააბრალებს მხოლოდ მტერი, ცილის მწამებელი, პროვაკატორი, გამსჭვალული ბოროტი წადილით — გააძლიერებინოს ქართველების წინააღმდეგ რეპრესიული ღონისძიებანი“[2]. აი ქართველ განმანათლებელთა საერთო პოზიცია და პასუხი კატკოვისა და მის მსგავსთა ამ ყოვლად უსაფუძვლო ბრალდებისადმი.

---

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. IX, გვ. 8.

[2] ი. გოგებაშვილი, რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები, 1901 წ., წინასიტყვაობა.

ილია ეხება რუსული თეატრისადმი მთავრობის დახმარებას და ხელშეწყობას განსხვავებით სომხურ და ქართულ თეატრისაგან, არკვევს კორესპონდენციის ტენდენციურობას იმ უმანკო გულმხურვალების შეფასებაში, რომელიც ქართველებმა გამოიჩინეს „სამშობლო“-სდმი. მაგრამ „განა მარტო ამაშია საქმე, მარტო ამისათვის ღირდა ყურადღების შეჩერება?“[1].

ილია აქვე დასძენს, რომ „ჩვენ ამ მასხარობას მასხარა კაცისას ყურსაც არ ვათხოვებდით“, რომ ბეზღობა მარტო ამაზე შემდგარიყო და მაბეზღარს არ შეეგინებინოს ქართველი ხალხის წარსული და მისი ეროვნების ღირსებები. კატკოვი აქვე თავის გაზეთში აცხადებდა რომ „სამშობლოს“ წარმოდგენაზედ „დიდი ხარჯი მოუვიდათ ქართველებსო, და ქართული დროშები რომ გოდფრუას ცირკს მიჰყიდონ, კარგს იზამენო“[2]. ასე დასცინოდა თვითმპყრობელური რეჟიმი ქართველ ხალხს, ასეთ „მოხდენილ ხოტბას“ უძღვნიდა ცარიზმი ქართულ ნაციონალურ კულტურას, მის თეატრს, მუსიკას, ცეკვას და სხვ. მაგრამ აღნიშნულის გარდა ილიას ყველაზე უფრო აშფოთებდა ქართული დროშის გამასხარავება, მისი აბუჩად აგდება. ილია იცავს ქართულ დროშას, ის წერს: კატკოვისა და მისი დამქაშებისგან „ყველაფერი შოსალოდნელია, მაგრამ ეგრე უკადრისად ხსენება მისი, რასაც ყოველი პატიოსანი კაცი, ყოველი ერი თა-

---

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. IX, გვ. 8.

[2] იქვე, გვ. 9. 1882 წ. პირველად დადგა დავით ერისთავის პიესა „სამშობლო“. მესამე აქტში, როცა ქართული ეროვნული დროშა აფრიალდა, მაყურებელზე ამან იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ დარბაზში ხმამაღალი ქვითინი გაისმა.

ჯანსა სცემს, როგორც ემბლემას ერის პატიოსნებისას, ერის ღირსებისას... იმის ეგრეთ უკადრისად ხსენებას, არ ვიცით, რა სახელი დავარქვათ და მისი ეგრეთ მომხსენებელი რა სულიერებში შევრიცხოთ".—ილია დაასკვნის, რომ „ქართული დროშა ორი ათასის წლის განმავლობაში ქართველობას სახელითა და დიდებით ხელში სჭერია, თავის სისხლში ამოუვლია"[1].

ილია მიუთითებს ამ დროშის ისტორიულ დამსახურებაზე და განაგრძობს: „ეგ დროშა, რომელიც ეკეთის სასოებით და პატივით უტარებია ამოდენა ხანს უწინდელს ქართველს, ეგ დროშა, რომელიც წინ დახვედრია მოზღვავებულს თათრობას და მუსულმანობას და ქრისტეს ჯვარი თამამად წინ წაუმძღვარებია, ძლევამოსილებით ომიდან გამოუტანია და დაუმკვიდრებია კავკასიაში; ეგ დროშა, რომელსაც აწინდელი ქართველი იმავე ვაჟკაცობით და თავგამომეტებით თან გაჰყოლია და რუსებთან ერთად სისხლი უთხევია მამულისათვის,—დღეს ეგ დროშა საცირკოდ გაგვიხადა ერთმა ვიღაცა კორესპონდენტმა და ბ-მა კატკოვმა ბანი მისცა"[2]. ასე აამაღლა და დაიცვა ილიამ შარავანდედით მოსილი ქართული ეროვნული დროშა. ამ ამონაწერში მრავალთაგან ყურადღებას იპყრობს ის მოსაზრება, რომ არა მარტო „უწინდელი ქართველები" იყვნენ გმირები და სამშობლოსათვის თავდადებულნი, არამედ დღევანდელი ქართველობა ისეთივე ვაჟკაცები და თავგამოდებულნი არიან სამშობლოსათვის. მათ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ რუსებთან ერთად ბევრი სისხლი უღვრიათ მამულისათვის.

[1] ი. ჭავჭავაძე. ნაწერების სრული კრებული, ტ. IX. 9 გვ. (ხაზი ჩვენია. ა. ი).
[2] იქვე, გვ. 9
[3] იქვე, გვ. 9—10.

მაგრამ დღეს „როცა ბეზღობა,—ეგ უწმინდური ძალღონე გაცვეთილის კაცისა, პირახდილი დაიარება, არამც-თუ უსირცხვილოდ, თავმოწონებითაც ფარფაშობს და ლუკმა პურს აწვდის მაბეზღარს,—მაშინ პირდაპირ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ საზოგადოების წყობას საძირკველი შერყევიაო და აღსასრული მოახლოებიაო“ [1].

ილიამ ნიღაბი ახადა კატკოვს, სააშკარაოზე გამოიყვანა იგი და ქვეყანას დაანახვა, რომ მოსყიდული კატკოვი ცარიზმის „ჯაშუშთა და მაბეზღართა ორგანიზაციას“[2] მეთაურობს. ილიას ეს განცხადება იმ ვითარებაში იყო უაღრესად დიდი და გაბედული ნაბიჯი, გადადგმული თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ქართველი ხალხის ეროვნული დროშისა და გმირული ისტორიის დასაცავად.

1883 წელს „შინაურ მიმოხილვაში“ პობედონოსცევის, კატკოვისა და რეაქციის სხვა მეთაურთა მისამართით ილია წერდა: „ეხლა ის დრო აღარ არის, ჟამმა ჩვენმაც მოაღწია. ეხლა სულ სხვა გვარი ლაპარაკი ისმის, უფრო საიმედო, უფრო გამამხნევებელი, არამცთუ მარტო დასავლეთ ევროპაში, არამედ რუსეთშიაც-კი. აი რას ამბობს ერთი რუსი მწერალი, რომლის კეთილ-საიმედო სახელს ეჭვს ქვეშ მხოლოდ კატკოვი აყენებს, „საზოგადოდ,—ამბობს იგი—ინკორპორაცია ქვეყნისა, რომელსაც ჰქონდა თავისი ისტორიული ეროვნება, ყოველთვის დიდ სიძნელეს წარმოადგენს და ხშირად უფრო მეტი ვნება მოაქვს ვიდრე სარგებლობა“.

„ისტორიულ ერთა მოსპობა შეუძლებელია,... ეხლანდელ დროში, როცა ასე საყოველთაოდ

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. II, გვ. 145.
[2] იქვე, გვ. 145-146.

განმტკიცებულია და აღგზნებული ეროვნული გრძნობა და თავისუფლების სურვილი, ესე-გვარი საქმე უფრო ძნელ საქმეს წარმოადგენს. მოსპობა რომელიმე ერის დამოუკიდებლობისა და შერიცხვა მისი სხვა ერთა შინა,—ეგ იმას ჰნიშნავს, რომ ძალად და განზრახ აიღოს მან თავის თავზე ხელი, დაივიწყოს თავისი უწინდელი ცხოვრება, თავისი მოგონებანი, თავისი დაცემული დიდება, თავისი ინტერესები; თავისი ზნე, ენა და სუყველა ეს მტრის გასახარებლად, მტრის სასარგებლოდ. ეს საქმე აღემატება კაცთა შემძლეობას"[1]. ასე სახელოვნად იცავდა ილია ჭავჭავაძე პატარა და ჩაგრული ერების ღირსებებს ცარიზმის რეაქციის გააფთრებულ შემოტევისაგან.

4. ბურჟუაზიული ნაციონალიზმი და ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობა საქართველოში

„ერთად ერთი რეჟიმი, რომელსაც შეუძლია გადაჭრას ნაციონალური საკითხი, ე. ი. რეჟიმი, რომელსაც შეუძლია შექმნას სხვადასხვა ხალხთა და ტომთა მშვიდობიანი მშენებლობის და ძმური თანამშრომლობის უზრუნველმყოფელი პირობები, საბჭოთა ხელისუფლების რეჟიმია".

ი. სტალინი

ცარიზმის კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ მიმართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში უჩვეულო ზეაღმავლობით ძლიერდებოდა, იგი თანდათან ითრევდა მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს, წოდებებს და მეტად მასიური ხასიათისა ხდებოდა.

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. VII, გვ. 10—11.

ეს განმათავისუფლებელი მოძრაობა უაღრესად მასობრივ მიმართულებად იქცა საქართველოში, რამდენადაც იგი ხალხის მასების გათვითცნობიერებას ემსახურებოდა და თავისუფლებისადმი ტრფობის დიად იდეებს ქადაგებდა დაპირისპირებით ცარიზმის კოლონიურ ველურ ჩაგვრასთან. ეს მოძრაობა ფართო მასების სიმპატიების მოპოვებას იმითაც ახერხებდა, რომ იგი „ტვირთმძიმეთა მოსარჩლედ“ გამოდიოდა, ებრძოდა მჩაგვრელებს და შრომის თავისუფლებას ქადაგებდა.

ცარიზმს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში მეტად სერიოზულ საფრთხედ მიაჩნდა და ენერგიულად ებრძოდა მას. იმისათვის, რომ ეს განმათავისუფლებელი დიადი მოძრაობა მოედუნებია და მთლიანად მოესპო, ცარიზმი ბურჟუაზიის დახმარებით შეეცადა ეროვნული შუღლის გაღვივებას ამიერკავკასიის ხალხებს შორის; ამიერკავკასიაში სომხური ბურჟუაზია ყველაზე უფრო ძლიერი იყო. ცარიზმის წაქეზებით ამ ბურჟუაზიამ და მათმა ნომხრე კალმოსნებმა დაიწყეს მავნე საქმიანობა: საქართველოს ისტორიის ცილისმწამებლური გაყალბების, ქართული ეროვნული კულტურის, ენის, წერლობისა და ისტორიის აბუჩად აგდების სახით.

ამრიგად, ქართველი ხალხის ისტორიული წარსულისა და ისტორიული წერილობითი წყაროებისადმი ცილისწამების მორიგ მოლაშქრედ ამავე საუკუნის 80—90-იან წლებში ბურჟუაზია და მისი ინტელიგენციის მოზრდილი ჯგუფი გვევლინება, რომელიც მეტ-ნაკლებად გამოხატავდა გაძლიერებული სომხური ბურჟუაზიული ელემენტების ნაციონალიზმს. ცარიზმი და ბურჟუაზია თესავდა ღვარძლსა და შუღლს მეზობელ მოძმე სომეხ და ქარ-

თველ ხალხთა შორის ისევე, როგორც კავკასიის მრავალ-ერიან სხვა ხალხთა შორის. იგი ყოველმხრივ ხელს უწყობდა ამ მოძმე ხალხებში მტრობის გაღვივებას.

ი. სტალინი წერს: „მეფის მთავრობა შეგნებულად აღვივებდა ნაციონალურ შუღლს, ამხედრებდა ერთ ხალხს მეორის წინააღმდეგ, აწყობდა ებრაელთა დარბევას, თათარ-სომეხთა ხოცვა-ჟლეტას ამიერკავკასიაში"[1] და სხვა.

ცარიზმი ამას ორი მოსაზრებით სჩადიოდა. ჯერ ერთი იმისათვის, რომ მოედუნებია მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლა ბურჟუაზიული მძაფრი ექსპლოატაციის და ცარიზმის ჩაგვრის წინააღმდეგ, ხოლო, მეორე მხრივ, დაპყრობილი კოლონიური ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლები, მიმართული ცარიზმის კოლონიური ჩაგვრის დასამხობად, ძირშივე მოესპო იმპერიაში შემავალ ხალხთა ერთმანეზე ამხედრებისა და ნაციონალური შუღლის ხელოვნურად გაღვივების გზით.

ცარიზმს ამ ბოროტმოქმედებათა მოხერხებულად განხორციელებაში გვერდში უდგნენ და ყველა საშუალებით ეხმარებოდნენ ბურჟუაზია და ბურჟუაზიული კალმოსნები, როგორც მეტროპოლიაში, ასევე კოლონიურ პერიფერიებში. ასეთ ვითარებაში, გვასწავლის დიდი სტალინი, „ჩაგრული ერის... ბურჟუაზია ბუნებრივად იწყებს მოძრაობას, იგი მიმართავს „მშობლიურ ქვედა ფენებს" და იწყებს ყვირილს „სამშობლოზე", თანაც თავის საკუთარ საქმეს საერთო-სახალხო საქმედ ასაღებს"[2].

---

[1] საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი, 1947 წ., გვ. 7.

[2] ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. 2, გვ. 5.

ბურჟუაზიული ნაციონალიზმი, მისი ყვირილი „სამშობლოზე“, არსებითად ცრუპატრიოტიზმია და ფაქტიური მტერი ნამდვილი პატრიოტიზმისა, რადგან სამშობლოსა და სხვა ინტერესებზე უფრო მაღლა — გვასწავლის ლენინი — „კაპიტალი აყენებს ყველა ქვეყნის კაპიტალისტთა კავშირის დაცვას მშრომელების წინააღმდეგ“ [1].

ბურჟუაზიული „ზრუნვა“ სამშობლოზე შემოიფარგლება საკუთარი კლასობრივი ვიწრო ჩარჩოებით: ისტორიის გაკვეთილებიდან უამრავი მაგალითით ვიცით, რომ ბურჟუაზია მუდამ მზადაა საკუთარი ეროვნების ღალატისათვის „...когда... дело доходит до частной собственности капиталистов и помещиков, они забывают все свои фразы о любви к отечеству и независимости“ [2].

ნამდვილი პატრიოტიზმი გულისხმობს მშობლიური ხალხის ინტერესების დაცვას, მათთვის თავდადებას. ბუნებრივია, რომ ბურჟუაზია არაა ამისათვის შოწოდებული. ბურჟუაზია საკუთარი მდგომარეობითა და შეგნებით ანტიპატრიოტი და უგვარტომო კოსმოპოლიტია: ბურჟუაზიის და ყველა ბურჟუას ნამდვილი და ყველაზე უფრო საყვარელი სამშობლო იქაა, სადაც უფრო ხელსაყრელია კაპიტალის დაბანდება, სადაც შეიძლება მეტი მოგების მიღება, მშრომელთაგან ზედმეტი ღირებულების უფრო მეტი გაძლიერებით ამოქაჩვა. საკვლევით ბუნებრივია, რომ ნაციონალური ნიჰილიზმი და კოსმოპოლიტიზმი ბურჟუაზიული იდეოლოგიაა, რაც თანამედროვე ამერიკული იმპერიალიზმის მკვეთრად დამახასიათებელი თვისებაა.

გასული საუკუნის 80-იან წლებიდან კაპიტალისტური განვითარების საერთო ფონზე, როგორც აღვნიშნეთ,

[1] ვ. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 23, გვ. 4 (გამოცემა მესამე).
[2] იქვე, გვ. 158.

ამიერკავკასიაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ და გაძლიერდნენ სომხური ბურჟუაზიული ელემენტები.

ამ ბურჟუაზიული ელემენტების სოციალური დაკვეთის კარგად დასრულებული ბურჟუაზიული კალმოსნები ყველა საშუალებით ცდილობდნენ ისტორიულად „დაესაბუთებინათ“ და „გაემართლებინათ“ ის, რაც ბურჟუაზიის ვიწრო კლასობრივი ინტერესებით იყო ნაკარნახევი.

ბურჟუაზიულ კალმოსანთა ეს ჯგუფი გამოდიოდა სომეხი ხალხის სახელით. ილია ჭავჭავაძემ ამხილა სომეხი ერის სახელით მოლაყბე „ამ არამკითხე გუნდის“ ზრახვები. ილია წერს: „ღმერთმა გვაშოროს იქ მთელი ერი ვიგულისხმოთ, საცა მარტო ერთ გვარი გუნდია ცოდვილი. აი საფრთხე სწორედ აქ არის... მთელი ერი სომხებისა აქ არაფერ შუაშია. იგი, ვითარცა მშვიდობიანად მშრომელი და გამრჯელი, თავისს საქმეს ადგია,—ვაჭრობაა თუ ხვნა-თესვა—და ფიქრადაც არ მოსდის და არც ეჭირვება პასუხისმგებელი იყოს იმ ზოგიერთთა ცოდვების გამო, რომელნიც არა-მკითხე მოამბესავით მეტიჩრობენ, და გარს დასტრიალებენ, როგორც მუმლი მუხასა“[1].

---

[1] ი. ჭავჭავაძე, „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ლაღადი“, თხზულებანი, ტ. II, გვ. 419. (ხაზი ჩვენია. ა. ი.)

„სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ლაღადი“ პირველად 1899 წელს დაიბეჭდა გაზ. „ივერიაში“ (იხ. №№ 64, 65, 67, 68, 69, 70, 71, 72, 73, 74, 75, 76). იგი იმავე წელს „ივერია“-ს რედაქციამ გამოსცა ცალკე წიგნად. 1902 წელს ქართულიდან რუსულად სთარგმნა და გამოსცა ალექსეევ-მესხიევმა თბილისში.

ილიას პოლემიკური ნაშრომების საპასუხოდ, ზოგიერთი წერილის

ილია კარგად ამჩნევს სომეხი ხალხისა და ბურჟუაზიის ინტერესთა წინააღმდეგობას. ილია სომეხ ერს ძლიერ მუხას ადარებს, სომეხი მშრომელი ხალხის სისხლისმსმელ ბურჟუაზიას და ბურჟუაზიის მიერ მოსყიდულ კალმოსანთა გუნდს კი მუმლს, პარაზიტს, რომელიც ცდილობს მოეკიდოს ამ ძლიერ მუხას და გაახმოს იგი. ასე შესანიშნავად ჩასწვდა ილია საქმის შინაარსს, ასეთი მკვეთრი ფერებით აწერა ეროვნული ბურჟუაზიისა და მშრომელი მოსახლეობის ინტერესთა სხვადასხვაობა სომხეთის მაგალითზე და ეს მაშინ, როცა ისინი (სომხეთის ბურჟუაზია და მისი დამქაში ინტელიგენ ;ია) გამოდიოდნენ სომეხი ხალხის სახელით, იჩენდნენ მათდამი თითქოს გულშემატკივრობას და სხვა.

ი. სტალინი მიუთითებს, რომ ბურჟუაზიის თვალთმაქცურმა ქადაგებამ ერთი მთლიანი „განუყოფელი ნაციის" შესახებ 900-იან წლებში უარყოფითი გავლენა მოახდინა სომხეთის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებზედაც კი. სტალინი აკრიტიკებს ამ ორგანიზაციების „მანიფესტის" იმ მუხლს, სადაც ნათქვამია, რომ „სოციალისტურ პარტიად შეერთებული სომეხი პროლეტარიატი იქნება ღვიძლი შვილი თავისი ტომისა".

ი. სტალინი უპასუხებს: „განა შეერთებული სომეხი პროლეტარიატი არ „გამოცალკევდა" სომეხი საზოგა-

---

გარდა, გამოქვეყნდა ცალკე წიგნად ვერმიშევის ნაშრომი: Материалы для истории Грузино-армянских отношений. Ответ на книжку И. Чавчавадзе „Армянские ученые и вопиющие камни" СПБ, 1904 г.

დოებისაგან, როცა მან 1900 წ. (თბილისში) ბრძოლა გამოუცხადა სომეხ ბურჟუაზიას, ბურჟუაზიულად მოაზროვნე სომხებს“.

ამხანაგი სტალინი განმარტავს და ასაბუთებს, რომ „შეუძლებელია სომეხი პროლეტარიატი „ღვიძლი შვილი იყოს თავისი ტომისა“, როცა ერთი ნაწილი ამ ტომისა,—სომეხი ბურჟუაზია,—ობობასავით სწუწნის მას სისხლს“[1].

ვინაიდან ამ დროს (ლაპარაკია 900-იან წლებზე) ორი კლასი გამოვიდა ბრძოლის მოედანზე — კლასი პროლეტარიატისა და კლასი ბურჟუაზიისა, და ბრძოლამ ამ ორ კლასს შორის მოიცვა მთელი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება... „ბრძოლა ამ ორ კლასს შორის გადაიქცა იმ ღერძად, რომლის გარშემოც ტრიალებს ჩვენი დღევანდელი ცხოვრება“—შენიშნავს ამხანაგი სტალინი 1904 წლის ბოლოს დაწერილ თავის კლასიკურ ნაშრომში—„პროლეტართა კლასი და პროლეტართა პარტია“[2].

ამხანაგი სტალინი მიუთითებს რა ამ უაღრესად დიდ ისტორიულ ფაქტზე, დასძენს: „ყოველივე ეს დღემდე ძნელი შესამჩნევი იყო,—და ეს იმიტომ, რომ დღემდე ბრძოლის ველზე მხოლოდ ცალკე ჯგუფებს ვხედავდით, რომ მხოლოდ ცალკე ჯგუფები იბრძოდნენ ცალკე ქალაქებსა და კუთხეებში, პროლეტარიატი და ბურჟუაზია კი, როგორც კლასები, არ ჩანდნენ, ძნელი დასანახი იყვნენ“[3].

---

[1] ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. 1, გვ. 39—40

[2] იქვე, გვ. 61.

[3] იქვე.

ძნელი დასანახავი იყო ეს განსაკუთრებით გასული საუკუნის 90-იან წლებში ჩვენში, ამიერკავკასიისა და საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ზედაპირზე. ილია ჭავჭავაძემ რამდენადმე რელიეფურად შენიშნა ეს წინააღმდეგობა. მართალია, მან ვერ დაინახა შეურიგებელი ანტაგონიზმი კლასებს შორის, მაგრამ უფსკრულის შენიშვნა სომეხ ხალხსა და სიმდიდრით გათავხედებულ ბურჟუაზიას შორის ილიამ მაინც მოახერხა.

900-იან წლებში კლასობრივი წინააღმდეგობა იქამდე გაშიშვლდა, რომ უკვე აშკარა გახდა „ერთიანი და განუყოფელი“ ერის არ არსებობა. ი. სტალინი წერდა: „წავიდა ის დრო, როცა თამამად იძახდნენ „ერთი და განუყოფელი რუსეთი!“ დღეს ბალღმაც კი გაიგო, რომ „ერთი და განუყოფელი“ რუსეთი არ არსებობს, რომ ის კარგა ხანია ორ მოპირდაპირე კლასად გაიყო: ბურჟუაზიად და პროლეტარიატად“[1]. ბუნებრივია, ასევე უკვე არ არსებობდა „ერთიანი და განუყოფელი“ ეროვნული მთლიანი საქართველო. და ამიტომ 900-იან წლებში ქართველი ნაციონალური დემოკრატებისა და ბურჟუაზიული ინტელიგენციის ქადაგება ერთიან განუყოფელ საქართველოზე და „შინაური უთანხმოების“ მოსპობაზე, ასევე მარცხით დამთავრდა. „ბურჟუაზიული პუბლიცისტიკის ტკბილმა ზღაპრებმა ვერ დააძინა ქართველი პროლეტარიატი! ქართველი მარქსისტების დაურიდებელმა იერიშმა და უფრო კი კლასობრივმა შეჯახებამ, რომელმაც ერთ სოციალისტურ რაზმად აქცია რუსი, სომეხი, ქართველი და სხვა პროლეტარები,—თავ-

[1] ი. სტალინი .თხზულებანი, ტ. 1, გვ. 61.

ზარი დასცა ჩვენს ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს და ბრძოლის ველიდან გააძევა ისინი"[1].

ი. სტალინის ეს გენიალური განსაზღვრა რამდენადმე შეეხება ქართველ განმანათლებელთა მთელ შემადგენლობას, რომლებსაც საქართველო განუყოფლად მიაჩნდათ და გვერდს უვლიდნენ არსებულ კლასობრივი ბრძოლის ფაქტს.

რევოლუციური პროლეტარიატი დღითი-დღე ძლიერდება, იგი ნამდვილი განმათავისუფლებელი მოძრაობის ფაქტიური მედროშე ხდება ჩვენში, განსაკუთრებით 900-იანი წლებიდან; ბუნებრივია, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელსაც ილია მეთაურობდა, ამიერიდან თანდათანობით ჰკარგავს იმ გავლენას, რაც მას წინათ ენიჭებოდა ცარიზმის წინააღმდეგ მიმართულ საქართველოს ნაციონალურ-რევოლუციურ ბრძოლებში. მუშათა კლასი აშიტომ ამ მოძრაობისადმი თავისებურ დამოკიდებულებას ამყარებს. სტალინი თავის ბრწყინვალე ნაშრომში „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი" წერს: „ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, საერთოდ რომ ვთქვათ, მხარს არ დაუჭერს პროლეტარიატი, რადგან ყველა ასეთი მოძრაობა დღემდის ბურჟუაზიის სასარგებლო ხდებოდა... მაგრამ, — განაგრძობს იქვე ი. სტალინი,—ეს მაინც არ გამორიცხავს იმას, რომ შესაძლებელია იმნაირად მოეწყოს ეკონომიური და პოლიტიკური პირობები, რომ „უცხო" ერების ბურჟუაზიის მოწინავე წრეებმა „ნაციონალური განთავისუფლება" მოინდომონ.

---

[1] ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. 1, გვ. 34.

შესაძლებელია, აგრეთვე, რომ ასეთი მოძრაობა სასარგებლო დარჩეს პროლეტარიატის კლასობრივი თვითშეგნების განვითარებისათვის"[1].

ი. სტალინის გენიალური განსაზღვრა შუქს ჰფენს, გზას გვინათებს საქართველოში ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ძირითადი საკითხების გარკვევისათვის.

ი. სტალინის განსაზღვრით, „ნაციონალური საკითხი, სხვადასხვა დროს სხვადასხვა ინტერესებს ემსახურება, სხვადასხვა ელფერს იღებს იმისდამიხედვით, თუ რომელი კლასი და როდის წამოაყენებს მას"[2].

თავისთავად ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დადებითი ან უარყოფითი მნიშვნელობა განისაზღვრება იმ ისტორიული ვითარებით და კონკრეტული პირობებით, რომელშიაც ის მიმდინარეობს.

მაგალითად, სავსებით განსხვავებული იყო ისტორიული როლი და პროგრესული მნიშვნელობა ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა საქართველოში ბატონყმობის გადავარდნიდან მანამდე, ვიდრე, კაპიტალისტური ურთიერთობის სწრაფად განვითარების შედეგად, ბრძოლის ველზე გამოვიდოდა და ერთმანეთს მკვეთრად ჩამოყალიბებული დაუპირისპირდებოდა „ერთ მხარეზე ბურჟუათა არმია ლიბერალური პარტიის მეთაურობით, მეორეზე—პროლეტართა არმია სოციალ-დემოკრატიული პარტიის მეთაურობით"[3].

---

[1] ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. 1, გვ. 49—49.
[2] იქვე, გვ. 32.
[3] იქვე, გვ. 62.

ამრიგად, ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომლის მედროშედ და ყველაზე უფრო პოპულარულ მოღვაწედ ილია ჭავჭავაძე ითვლებოდა („პრავდა"), წარმოადგენდა პროგრესულ-დემოკრატულ მოძრაობას, მიმართულს ცარიზმის კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ. ასე გრძელდებოდა მანამ, ვიდრე ბრძოლის ველზე ბურჟუაზია და პროლეტარიატი არ დაუპირისპირდებოდა ერთმანეთს, და პროლეტარიატი, როგორც თანამიმდევრობით რევოლუციურ-განმათავისუფლებელი დიადი და უძლეველი ძალა, თვით არ აიღებდა ხელში ცარიზმის და ბურჟუაზიის რევოლუციური გზით დამხობისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების საფუძველზე ყოველგვარი ჩაგვრის (მათ შორის ეროვნული ჩაგვრის) საბოლოოდ მოსპობის საქმეს.

კაპიტალიზმის განვითარებასთან და მუშათა მოძრაობის ზრდასთან ერთად მეფის რუსეთში იზრდება ეროვნული ჩაგვრა და რეპრესიები რევოლუციური მოძრაობის ჩასახრჩობად; ამიერიდან ხალხის ერთმანეთზე წასისიანება, ნაციონალური შუღლის ზრდა და მტრობა მეტად სერიოზულ მოვლენად იქცევა, რომელსაც აღვივებდნენ ცარიზმი და ბურჟუაზია. ბუნებრივია, რომ ამიერკავკასიაში და საქართველოში ამ უკულმართ პოლიტიკას გარკვეული შედეგები უნდა მოჰყოლოდა და მოჰყვა კიდეც.

მე-19 საუკ. 70-იან წლებიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, ამიერკავკასიაში მტკიცედ მოიკიდა ფეხი სომხურმა ბურჟუაზიამ. უკანასკნელი ამიერკავკასიის მთელ ტერიტორიაზე საკუთარი გავლენის კიდევ უფრო მეტად გაძლიერებას ლამობდა. 80-იან წლებში მსხვილმა სომხურმა ბურჟუაზიამ ამ მიზნის მისაღწე-

ვად ცარიზმის წაქეზებით აამოქმედა არა მარტო კაპიტალი და ზოგჯერ უხეში ძალდატანებაც კი, არამედ ცარიზმის მითითებითვე და ხელშეწყობით ნაციონალური შუღლის ჩამოგდებისათვის პრესაც კი გამოიყენა; ბურჟუაზიის მოსყიდული კალმოსნები შეეცადნენ „დაესაბუთებინათ", რომ სომეხი ბურჟუაზიის ფაქტობრივი გაბატონება ამიერკავკასიის მთავარ ქალაქებსა, სავაჭრო ცენტრებსა და პორტებში თითქოს გამოწვეულია არა ახალი ვითარებით, კაპიტალიზმის განვითარების შედეგად, არამედ გამართლებულია ისტორიულადაც კი. ამგვარი „თეორიით" ბურჟუაზიული კალმოსნები ხელს უწყობდნენ და გზას უკაფავდნენ სომხური ბურჟუაზიის ვერაგ ზრახვებს. სტალინი წერს: „ძირითადი საკითხი ნორჩი ბურჟუაზიისათვის ბაზარია. თავის საქონლის გასაღებადა სხვა ეროვნების ბურჟუაზიასთან გაწეული კონკურენციიდან გამარჯვებული გამოსვლა,—ასეთია მისი მიზანი. აქედან მისი სურვილი-უზრუნველყოს თავისათვის „თავისი", „მშობლიური" ბაზარი. ბაზარი პირველი სკოლაა, სადაც ბურჟუაზია ნაციონალიზმს სწავლობს"[1]. სომხური ბურჟუა-

[1] ი. სტალინი, „მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიალური საკითხი", პარტგამომცემლობა, 1934 წ., გვ. 16.

სომეხი ბურჟუაზია გაბატონდა ამიერკავკასიის ყველა სავაჭრო ცენტრებში, იგი ფაქტიურად დაეპატრონა უმნიშვნელოვანეს სავაჭრო და სამრეწველო ობიექტებს ცენტრალურ ქალაქებში. ამასთანავე დამახასიათებელია, რომ იგივე ბურჟუაზიული ელემენტები შოხერხებულად სარგებლობდნენ რა ახალი სოციალ-ეკონომიური ურთიერთობის შედეგებით სოფლად, ადვილად ეუფლებოდნენ მსხვილ ფეოდალურ სამფლობელოებს დაქვეითების გზაზე დამდგარ საქართველოს თავად-აზნაურობისაგან, ამასთანავე მევახშეობის გზით ეკონო-

ზია გამარჯვებული გამოდიოდა ამიერკავკასიაში შემავალი ერების შედარებით სუსტ ბურჟუაზიასთან ბაზრებისათვის საკონკურენციო გააფთრებულ ბრძოლაში, ამიტომ ამიერკავკასიაში „მშობლიურ“ ბაზარს დაპატრონებული სომხური ბურჟუაზია, ბუნებრივია, პირველი ეზიარა იმ „სკოლას“, „სადაც ბურჟუაზია ნაციონალიზმს სწავლობს“. სიმდიდრით აღზევებული ბურჟუაზია მჭიდრო კავშირში იმყოფებოდა ცარიზმის თვითმპყრობელურ ხელისუფლებათა და ამ ზრახვების განხორციელებისათვის მასში პოულობდა საუკეთესო მხარდამჭერს და წაქეზებულს.

ლენინი წერს: „განვითარებაში მყოფმა კაპიტალიზმმა ეროვნულ საკითხში იცის... ეროვნული ცხოვრებისა და ეროვნული მოძრაობის გაღვიძება, ბრძოლა ყოველგვარი ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ, ეროვნული სახელმწიფოს შექმნა“[1].

მიურად იმონებდნენ ბატონყმობის უღლიდან ახლად განთავისუფლებული გლეხობის დიდ უმრავლესობას, ხელიდან აცლიდნენ ნადელით მიღებულ, თუ გამოსყიდულ მცირე მიწის ნაკვეთებსაც კი და დღიურ დაქირავებულ სოფლის მუშებად აქცევდნენ ხოლმე მათ.

სომხური ბურჟუაზიის უფრო ძლიერი და გავლენიანი ნაწილი მიზნად ისახავს საქართველოს ამოურწყავ წიაღისეული სიმდიდრეების, ტყის ძვირფასი ჯიშების დიდი მასივებისა და დიდი სივრცის საუკეთესო ნაყოფიერი მიწების ხელში ჩაგდებას და მათი ველური, აშკარა მტაცებლური მეთოდებით დამუშავების გზით საკუთარი კაპიტალის დაგროვებას. სომხური ბურჟუაზიის ამ უკანასკნელი ჯგუფის ტიპიურ წარმოსადგენლებად ონანოვები გვევლინებიან. მათ ხელთ იგდეს ტყიბულის საბადოები და ვ.ის აჯამეთის მხარის ფმდიდრესი ტყის მასივები, რაც მალე გაანადგურეს, და მრავალი სხვა.

[1] ვ. ლენინი, თხზულებანი, ტ. XVII, გვ. 139—140.

საქართველოს დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოებრიობა იმ დროს არ გააჩნდა, იგი მეფის რუსეთის კოლონიად იყო გადაქცეული. ეროვნული მოძრაობა მკვიდრ ნიადაგზე დგება საქართველოში. იგი, ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სახით, რევოლუციურადაა განწყობილი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. მარქსიზმ-ლენინიზმი „სცნობს დიჩაგრული ქვეყნების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში რევოლუციურ უნარს—ამბობს ი. ს ტ ა ლ ი ნ ი—დაჩაგრული ქვეყნების რევოლუციურ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მოცემულ რევოლუციონურ შესაძლებლობას". ს ტ ა ლ ი ნ ი მძაფრად აკრიტიკებს იმ „რევოლუციონერებს", რომელთაც ვერ შეუგნიათ ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რევოლუციური მნიშვნელობა. ს ტ ა ლ ი ნ ი წერს: ზოგის აზრით „ყოველი ნაციონალური მოძრაობა რეაქციული მოძრაობაა. ეს არაა მართალი, ამხანაგებო. განა ირლანდიის მოძრაობა ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ არ არის დემოკრატიული მოძრაობა, რომელიც იმპერიალიზმს ლახვარსა სცემს? და განა ამ მოძრაობას ჩვენ მხარი არ უნდა დავუჭიროთ?".

ი. ს ტ ა ლ ი ნ ს მოყავს მეტად დამახასიათებელი მაგალითი კოლონიური ჩაგრული ქვეყნების ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობიდან და ასაბუთებს, რომ ობიექტურად ეს მოძრაობა რევოლუციურია, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ამ მოძრაობას მეთაურობდეს ბურჟუაზიული კლასიდან თუ ფეოდალური წოდებიდან მოსული პიროვნება, ხოლო ვინც ამ მოძრაობის ხელშემშლელად გამოდის, იგი რეაქციონერია, მიუხედავად თავისი პროლეტარული წარმოშობისა. მაგალითად, ავღანისტანის ემირის ბრძოლა ავღანისტანის დამოუკიდებლო-

ბისათვის წარმოადგენს ობიექტურად რევოლუციურ ბრძოლას"; ან კიდევ „ეგვიპტის ვაჭრების და ბურჟუაზიული ინტელიგენტების ბრძოლა ეგვიპტის დამოუკიდებლობისათვის არის ობიექტურად რევოლუციური, მიუხედავად ეგვიპტის ნაციონალური მოძრაობის ლიდერების ბურჟუაზიულ წარმოშობისა... მიუხედავად იმისა, რომ ისინი სოციალიზმის წინააღმდეგები არიან"[1].

ი. სტალინი გვასწავლის, რომ პროლეტარიატი აქტიურად უნდა დაეხმაროს კოლონიურ ჩაგრულ ხალხებს განმათავისუფლებელ მოძრაობაში იმპერიალიზმის წინააღმდეგ. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ პროლეტარიატმა მხარი უნდა დაუჭიროს ყოველგვარ ნაციონალურ მოძრაობას; ლაპარაკია დახმარებაზე იმ ნაციონალურ მოძრაობათათვის, რომელნიც მიმართული არიან იმპერიალიზმის დასუსტებისაკენ.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში მიმართული იყო ცარიზმის წინააღმდეგ და ასუსტებდა მას, ამდენად იგი პროგრესული მოძრაობა იყო: ამ მოძრაობას, რასაკვირველია, არ შეეძლო საქართველოს ეროვნულ უფლებათა მოპოვება ცარიზმის მძიმე უღლისქვეშ, რადგან „ერის უფლებათა საკითხი არის არა განკერძოებული და თავისთავად ღირებული საკითხი, არამედ ის არის პროლეტარული რევოლუციის საერთო საკითხის ნაწილი, რომელიც ექვემდებარება მთელს და მოითხოვს თავის განხილვას მთელის თვალსაზრი-

---

[1] ი. სტალინი, მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიალური საკითხი. პარტგამომცემლობა, 1934 წ., გვ. 196.

სით"[1]. ერთადერთი გზა ნაციონალური საკითხის სწორად გადაწყვეტისა არის გზა პროლეტარული რევოლუციისა; ოქტომბრის დიდმა რევოლუციამ მოსპო ეროვნული ჩაგვრა დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე; ლენინ-სტალინის ბრძნული ნაციონალური პოლიტიკის ურყევად გატარებით გაიფურჩქნა და აყვავდა მრავალერიანი საბჭოთა ხალხების ეროვნული კულტურა. ამიტომ არასოდეს არ უნდა ვივიწყებდეთ დიდი ბელადის იმ გენიალურ მითითებას, რომ „ნაციონალური საკითხი არის პროლეტარული რევოლუციის საერთო საკითხის ნაწილი"[2]. გარეშე პროლეტარიატის დიქტატურისა ეროვნული საკითხი ყველგან და ყოველთვის გადაუწყვეტელი დარჩება.

საქართველო XIX საუკუნის მეორე ნახევარში, თამამად შეიძლება ითქვას, გაბედულად დაადგა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გზას. ი. ს ტ ა ლ ი ნ ი წერს: „ყველაზე მნიშვნელოვანი კოლონიალური და დამოკიდებული ქვეყნები უკვე დაადგნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გზას". როგორც დავინახეთ, საქართველო ადრე ებმება ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ცარიზმის წინააღმდეგ. არ შეიძლება გარკვევით არ აღინიშნოს, რომ ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობას საქართველოში, როგორც პროგრესულ-განმათავისუფლებელ დემოკრატიულ მოძრაობას, „თერგდალეულები" თაოსნობდნენ, რომელთა იდეურ მედროშეს ილია ჭავჭავაძე წარმოადგენდა; ეს მოძრაობა უაღრესად დიდი მნიშვნელობის ისტორიული მოვლენა იყო ცარიზმის კო-

[1] ი. ს ტ ა ლ ი ნ ი, მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიალური საკითხი", გვ. 195.

[2] იქვე, გვ. 194.

ლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ არა მარტო საქართველოში, არამედ საერთოდ ამიერკავკასიის სინამდვილეში; ამ განმათავისუფლებელ ბრძოლას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ცარიზმის უღელქვეშ მოქცეული დანარჩენი ჩაგრული ხალხების მიერ უკვე წამოწყებულ მსგავსი დემოკრატიულ - განმათავისუფლებელი ბრძოლებისათვის, როგორც მისაბაძ მაგალითს.

ი. ჭავჭავაძემ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის პროგრამა ნათლად ჩამოაყალიბა თავის „მგზავრის წერილებში". შეიძლება ითქვას, რომ „მგზავრის წერილები" ამასთანავე ამ მოძრაობის საერთო სამოქმედო ერთიანი პროგრამაც იყო. ხოლო პოემაში „ქართველის დედა" მოწოდებასავით ჟღერს ილიას სიტყვები,

ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედებს,
კასპიის ზღვიდამ შავ ზღვამდინა ერთს ფიქრსა ჰფიქრობს,
და ეგ ფიქრია მთელ კავკასის თავისუფლება,
დიდია ხალხი, როს ეს გრძნობა წინ წაოუძღვება.

5. ილია — ბურჟუაზიული ნაციონალიზმის მოწინააღმდეგე და ხალხთა მეგობრობის დაუღალავი ქადაგი

ამიერკავკასიის ხალხებისა და განსაკუთრებით სომეხ-ქართველთა მეგობრობას და კეთილ მეზობლობას საუკუნეების ისტორია გააჩნია.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან გაძლიერებული ბურჟუაზიული ელემენტები და მათი კალმოსნები ცარიზმის წაქეზებით შეეცადნენ მოძმე ხალხთა ეს უანგარო მეგობრობა შოვინისტური მტრობით შეეცვალათ.

რაში გამოიხატა ბურჟუაზიული კალმოსნების ამ ცნობილი ჯგუფის ცილისწამება საქართველოს ისტორიული

წარსულისათვის? რამ აიძულა ილია ჭავჭავაძე, რომ ჩვენი ისტორიის ფალსიფიკატორებისა და ცილისმწამებელთა მოელ ამ „გუნდს“ გამასპინძლებოდა სპეციალური შრომით — „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი“?[1]

ბურჟუაზიულ კალმოსანთა ცნობილი ჯგუფის წარმომადგენლებმა, სცადეს რა საქართველოს ისტორიის გაყალბება, მთავარი იერიში მიიტანეს საქართველოს ისტორიის წერილობით წყაროებზე, უმთავრესად „ქართლის ცხოვრებაზე“, ქართული დამწერლობის საკითხებზე და ქართველი ერის პოლიტიკური ცხოვრებისა და კულტურის ისტორიის სხვა საკვანძო საკითხებზე.

იმდენად ვრცელი და მრავალმხრივი იყო ჩვენი ისტორიის ფალსიფიკატორთა ამ ტენდენციური ჯგუფის პროგრამა, რომ საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის, ქართული კულტურის ისტორიის თითქმის არც ერთი არსებითი პრობლემა არ დარჩენილა, რომ მათი ხელი არ შეეხებოდა, რომ მათ გამკილავი ცილისწამებით არ ეცადათ ჩვენი ისტორიის გაყალბება და მასზე ყოვლად ახირებული ანტიმეცნიერულ მოსაზრებათა განვითარება. ილია ჭავჭავაძემ ამხილა საქართველოს ისტორიის ეს ფალსიფიკატორები და ჩვენი ისტორიის ძირითადი საკვანძო საკითხები მისთვის დამახასიათებელი პრინციპული თანმიმდევრობით დაიცვა ყალბის მქნელთა ამ ტენდენციური ჯგუფისაგან. ამის შედეგად, ბუნებრივია, საქართვე-

---

[1] ილია ჭავჭავაძეს მისი პოლემიკური შრომისათვის ასეთი სათაურის დასარქმევად საბაბი მისცა დასახელებული გუნდის წარმომადგენლის გოლმსტრემის სტატიამ — „И камни возопиют,“ რომელიც გამოქვეყნდა „Петербургския ведомости“-ში, 1899 წ., № 33.

ლ.ს ისტორიის უამრავ პრობლემის შემცველია და ასევე ვრცელი ილიას პასუხიც. ამ პრობლემებიდან ჩვენ აქ მხოლოდ ძირითადზე შევჩერდებით.

ჯერ კიდევ 1883 წ. დასახელებული „გუნდის“ ერთმა წარმომადგენელმა „Журн. Министерства Просвещения“-ში დეკემბრის №-ში მოათავსა სტატია: „О древней Грузинской хронике“, რომელშიაც ავტორმა საქართველოს ისტორიაზე და ქართულ ისტორიულ წერილობით წყაროებზე განავითარა ყალბი შეხედულება. სტატიის ავტორი პატკანოვი იყო. მისი „მტკიცებით“ ქართველებს არ ჰქონიათ ძველი ისტორია. ამას ადასტურებდა თურმე არა მარტო ქართული მწერლობის დუმილი, არამედ ზეპირთქმულებების არსებობაც საქართველოს ძველ ისტორიაზე. პატკანოვის სიტყვით—თუკი არსებობდა წერილობითი ისტორია საქართველოზე,—ისიც ერთადერთ ცნობილ შრომაში „სომხურ ქრონიკაში“. პატკანოვი იქვე დასძენდა, რომ, მართალია, ეს ქრონიკა ქართულიდან არის ნათარგმნი (ლაპარაკია „ქართლის ცხოვრებაზე“. ა. ი.), მაგრამ მისი დედანი უნდა იყოს შეთხზული ანუ შედგენილი „უსწავლელისა და უმეცრის სომხისაგან მეთორმეტე საუკუნეში“, როდესაც ქართველებმა იგრძნეს ისტორიის საჭიროებაო; რაც შეეხება ცნობებს საქართველოს ძველი ისტორიის შესახებ,— წერდა პატკანოვი,—თუკი რაიმე იპოვება სადმე, ისიც მხოლოდ სომხურ ისტორიულ წყაროებში და არსად სხვაგანო.

პატკანოვის ასეთ ტენდენციურ გამოსვლას საქართველოს ისტორიული წარსულისა და მისი ისტორიული წყაროების შესახებ სათანადო პასუხი გასცა ილია ჭავჭავაძემ. ილიას განსაკუთებით აღშფოთებს პატკანოვის ცილისმწამებლური განცხადება, თითქოს ქარ-

თველები მე-12 საუკუნემდე იმდენად ველურები იყვნენ, რომ არ ჰქონდათ შეგნება ისტორიის საჭიროებისა და მაშინაც მათ ისტორია ვიღაც „უსწავლელმა“ პირმა დაუწერა. საქართველოს ისტორიის წყაროების ღრმა ცოდნით შეიარაღებული ილია ჭავჭავაძე პატკანოვს და მის დამქაშებს ამგვარი ცილისწამებისათვის დაუნდობლად შეებრძოლა. ილიას მოჰყავს აუარებელი ფაქტობრივი მასალა იმის დასამტკიცებლად, რომ საქართველო და ქართველები იხსენიება უძველეს ისტორიულ წყაროებში, კერძოდ ასურულ და ანტიურ ბერძნულ-რომაულ წყაროებში, „დაბადებაში“ და სხვ.; მიუთითებს სათანადო ისტორიულ უტყუარ საბუთებზე, ნივთიერ ძეგლებზე, არქეოლოგიურ მასალებზე და სხვ. ილია დაწვრილებით ჩერდება ანტიკური მწერლების მემკვიდრეობაზე კავკასოლოგიისა და ქართველთმცოდნეობაში, კერძოდ I საუკუნის ცნობილი გეოგრაფის სტრაბონის ცნობაზე, სადაც საქართველო დახასიათებულია, როგორც მეტად დაწინაურებული ქვეყანა, გაშენებული ქალაქებით და სოფლებით, მიმოსვლის მდიდარი საშუალებებით, გზებითა და ხიდებით, სადაც აღწერილია, რომ ხალხი კრამიტით დახურულ, ლამაზად მორთულ სახლებში ცხოვრობსო. სტრაბონის ცნობით, საქართველოში ასევე ბევრი ყოფილა ხუროთმოძღვრული საზოგადო ნაგებობანი და სხვ. მსგავსი დამაჯერებელი მრავალი საბუთით აბათილებს ილია ჭავჭავაძე პატკანოვის ყალბ შეხედულებას იმაზე, რომ საქართველო და ქართველები ძველ ისტორიულ წყაროებში არ იხსენიებაო. კერძოდ „ქართლის ცხოვრების“ შესახებ ილია ჭავჭავ ძე პატკანოვის ყალბი შეხედულების საწინააღმდეგოდ იმოწმებს ცნობილ მეცნიერებს და წერს: „ჟან-სენმარტენი, ვივიან დე-სენ მარტენი,

დიუბუა დე-მონპერე ცხადად და გარკვევით ამბობენ, რომ ქართული ისტორიული მოთხრობანი (იგულისხმება „ქართლის ცხოვრება". ა. ი.) ღირსშესანიშნავი წყარონი არიან არა მარტო კავკასიისა, არამედ აზიის ისტორიისათვისაც"[1]. ილია, აბათილებს რა პატკანოვის ყალბ ტენდენციურობას, აკეთებს მეტად საგულისხმო მიმოხილვას საქართველოს ისტორიის ძირითად პერიოდებისას, მოჰყავს ფაქტები ისტორიული წარსულიდან, ქართველი ხალხის სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლებზე დაყრდნობით და, სხვათა შორის, მიუთითებს რუსთაველის დიდებულ „ვეფხისტყაოსანზე", როგორც მსოფლიო ლიტერატურის სამაგალითო მშვენებაზე. განა ვინმე ჭკუათმყოფელმა შეიძლება დაუჯეროს პატკანოვს,—ამბობს ილია,—რომ იმ ერს, რომელმაც მე-12 საუკუნეში „ვეფხისტყაოსანი" შექმნა, შეეძლო თავისი ისტორიის დაწერა მიენდო ვინმე ვიგინდარასათვის და ისიც წერაკითხვის უცოდინარი პირისათვის? ან კიდევ პატკანოვის „მტკიცება" იმის შესახებ, რომ თითქოს ქართული ენა თავდაპირველად სომხური იყო და შემდგომ ფარნავაზ მეფის განკარგულებით დაიწყო ყველა ქართველმა ერთბაშად ქართულად ლაპარაკიო, რა თქმა უნდა მოკლებული იყო ყოველგვარ მეცნიერულ საფუძვლებს[2].

აბათილებს რა ფალსიფიკატორების ანტიმეცნიერულ შეხედულებებს ქართული ენისა და ანბანის საკითხებზე,

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. II, 1941 წ., გვ. 427.

[2] პატკანოვის წინააღმდეგ პირველად, როგორც აღვნიშნეთ, დ. ბაქრაძე გამოვიდა სტატიით: „პროფესორი პატკანოვი და ქართული ისტორიის წყაროები", რომელშიაც ავტორი საბუთიან თავდაჭერილობით ეკამათება პატკანოვს, იგი წერს; „ჩვენ ყურადღებით ვკითხულობთ ყოველს მის შრომას,—წერდა დ. ბაქრაძე,—მაგრამ უნდა გამოვტყდეთ, რომ მისი მეცნიერება ჩვენს თანაგრძნობას ვერ იხიდავს. ჩვენის

ილია გზადაგზა წარმოგვიდგენს თავის საფუძვლიან მოსაზრებებს ქართული ენის ბუნებისა და მისი განვითარების შესახებ,აგრეთვე ქართული ენისა და ანბანის ზოგიერთ სპეციფიკურ თვისებაზე, რაც მას მსოფლიო ენათა სისტემაში ანიჭებს ბევრ უპირატესობას[1]. ილია აქვე

ფიქრით, ბ. პატკანოვი არ არის გულწრფელი მაძიებელი ისტორიის სიმართლისა; ის ვერ ითვისებს ვერცერთ ცბოველს და უეჭველს ფაქტებზე დამყარებულს აზრს ქართული ისტორიისას, თუ ეს აზრი ეწინააღმდეგება იმის აზრს სომხურს ისტორიაზე, ჩვენთვის ერთგვარად ძვირფასია როგორათაც სომხური, აგრეთვე ქართული წყაროები:ჩვენის ფიქრით, ერთმა მეორე უნდა შეასწოროს და შეავსოს. ასე ფიქრობდენ სენ მარტენი და ბროსსე. ამ პროგრამას არ ადგას ბ. პატკანოვი" (იხ. დ. ბაქრაძის „პროფ. პატკანოვი და ქართული ისტორიის წყაროები", ზაქარია ჭიჭინაძის გამოცემა, 1884 წ.).

[1] არა მარტო პატკანოვის, არამედ ქართველი ნიჰილისტების წინააღმდეგ კიდევ უფრო გააფთრებით და დაუნდობლად იბრძვის ილია ჭავჭავაძე მათ მიერ ქართული ენისა და ანბანის თვისებათა გაყალბების წინააღმდეგ (კერძოდ, ივ. ჯაბადართან კამათში „აი ისტორიაში"). ჯაბადარის უფერული და უხასიათო ნიჰილიზმმა, ცნობილია აქაც იჩინა თავი, რამაც ილია აიძულა თავისი ყურადღება საკმაოდ შეეჩერებინა ამ საკითხზე. ილია წერს: „ჩვენს ავტორს (იგულისხმება ივ. ჯაბადარი, ა. ი.) თითქოს გულში ეკლად სცემია, რომ უსლარმა—ამ ყველასაგან ცნობილმა და პატივცემულმა მეცნიერმა—ჩვენი ქართული ანბანი მოიწონა და სთქვა,—ამისთანა სრული და სავსე ანბანი არავისა აქვს ქვეყანაზედაო" (იხ. თხზულებანი, ტ. II, გვ. 355) ილია განაგრძობს: „თუ ენის წარმატებას რაიმე დამოკიდებულება აქვს ანბანის მეტნაკლებობაზე, რა თქმა უნდა,—სავსეობა და სისრულე ანბანისა უეჭველი ნიშანი უნდა იყოს ენის წარმატებისა და განვითარებისა". ილია ქართული ორთოგრაფიის შედარებით უპირატესობას მასში ხედავს, რომ „არ არის არც ერთი იმისთანა ასო, რომ რა ხმის ნიშანიც არის, ის არ გამოითქმებოდეს, არ არის ქართულში არც ერთი იმისთანა სიტყვა, რომ ზედმიწევნით უმეტნაკლებოთ გამოსათქმელად შესაფერი ასო არ ჰქონდეს, ამიტომაც მართლწერა ქართულისა ისე გაადვილებულია, ისე განმარტივებუ-

იმაზედაც მიუთითებს, რომ ქართული ენა ყოველმხრივ ჯერაც არ არის დამუშავებული, არც მისი ენათმეცნიერულ თეორიულ, შესწავლის თვალსაზრისით, არც მისი ლექსიკური მარაგის დამუშავება-შევსების თვალსაზრისით.

ლია, რომ სხვა ეგეთი ანბან-სრული ენა ქვეყანაზე არ მეგულება". ილიას მოჰყავს უსლარის შეხედულება ჯაბადარის საწინააღმდეგოდ (იხ. თხზულებანი, ტ. II, გვ. 356).

მაგრამ ილიამ იცის, რომ მარტო „ანბან-სრულობა" არ არის დამამტკიცებელი ენის სრულყოფის და განვითარებისა, რისი დამამტკიცებელი მაგალითიც მოჰყავს: „ინგლისური ანბანი დღესაც სხვა ანბანზედ უფრო ნაკლულია, უფრო უკან ჩამორჩენილი. ინგლისელნი ერთსა სწერენ და სულ სხვას ამოიკითხავენ ხოლმე. იქ სიტყვა წერით ერთია, წაკითხვით სხვა და ხშირად ისეც არის, რომ სამი სხვადასხვანაირად დაწერილი და სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვა ერთნაირად გამოითქმის, ასე რომ მაიშვნელობას მაშინ გაიგებთ, როცა დაწერილსა ნახავთ. მაგალითებრ, write—წერა, right (право)—უფლება, rite—წესი (обряд). ამ სამივე სიტყვას ერთნაირად კითხულობენ ინგლისელნი და გამოითქმის, როგორც „რაიტ" (ტრანსკრიპციით „rait", ა. ი.), სხვადასხვანაირად კი იწერება და სხვადასხვა მნიშვნელობისაა. ტეილორი ამ ამბავს დიდ ხაკლად უთვლის ინგლისურ ანბანს" (იხ. თხზულებანი, ტ, II, გვ. 357).

ილია სცნობს ჩამორჩენილი, ნაკლებდამუშავებული ენების განვითარებას. იგი წერს: „ვგონებთ, თვალსაჩინოდ და სწრაფად უნდა იცვლებოდეს მარტო ჯერ არ-დადულებული, არ-დამთავრებული ენა, როგორც ყველაფერი, რაც კი ორგანულ ზრდას ექვემდებარება. ბავშვი უფრო სწრაფად იცვლება, ვიდრე დავაჟკაცებული ადამიანი: ხოლო იგი ენები, რომელთაც უკვე მიეღწევიათ იქამდე, როდ თავისი ლიტერატურა აქვთ, თავისი წიგნობრობა, უფრო ძლიერ უნდა ეურჩებოდეს ცვლილებას" (თხზულებანი, ტ. II, გვ. 358). ენათმეცნიერების ცალკეულ საკითხებზე ამგვარ ზოგადი კონცეფციის მოცემის შემდეგ ილია ჩერდება ქართული ენის ავკარგიანობაზე და დასძენს, რომ: „ჩვენს ენას ბევრი იგეთი განსაკუთრებული თვისება

სამაგიეროდ ქართულ ორთოგრაფიასა და ენას მოეპოვება ბევრი ისეთი მნიშვნელოვანი უპირატესობა, რომელიც ილიას მითითებით არ გააჩნია ბევრ ევროპული ხალხების ორთოგრაფიასა და ენას. ილია აქ ქართული

აქვს, რომელსაც ბევრი სხვა უფრო წარმატებულად მიჩნეული ენები შენატრებენ, ამას ეჰვი არ უნდა" (ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. II, გვ 358). ენათმეცნიერთა: გან, ქართული ენის გრამატიკის,—მორფოლოგიისა და სინტაქსის,—მოვლენებზე წარმოებულ დაკვირვებიდან ილიას მოჰყავს რიგი საილუსტრაციო მაგალითები თავისი დებულების დასამტკიცებლად აღნიშნული საკითხის განხილვისას. ილია კიდევ უფრო ღრმად მიდის და ქართულ ენას იხილავს ისტორიულ განვითარებაში, აწმყოსთან განუყრელ კავშირში. ილია ივ. ჯაბადარის იმ შეხედულებას, რომ მარტო ერთ ისტორიას ენისას შეეძლო აღედგინა ჩვენთა თვალთ წინ სრული სურათი ისტორიის წინადროინდელი ქართველებისაო, უსაყვედურებს, რომ „განა მარტო ისტორიას ენისას და არა თვითცოცხალ სამეტყველო ენას არ შეუძლია აღმოგვიჩინოს დახმარება ისტორიულ პროცესის მეცნიერულად გააზრებაში? რასაკვირველია,—წერს ილია,—რომ თვითონ ენაა იგი საკე, გადმომცემელი ცოტად თუ ბევრად მაგნაირი სურათისა". ილიას ქართული ენის ბუნებასა და კანონებზე ღრმა-აზროვანი დაკვირვების შედეგად მოჰყავს მეტად ორიგინალური ტიპობრივი მაგალითები მის მიერვე განვითარებული დებულების დასასაბუთებლად. ილიას ენა და აზროვნება განუყრელ მთლიანობაში აქვს წარმოდგენილი. ილია წერს: „განა ამისთანა სიტყვები, რომელიც ჩვენს ენას დღევანდლამდე შერჩენია, არაფრის მთხრობელი არიან? მაგალითებრ, სიტყვა მიცვალება, რომელიც მოკვდომა და მკვდარს ნიშნავს, მაგრამ არა სრულიად გაარარავებას, არამედ „გარდაცვლას" სხვა სახედ გადასვლას, ნუთუ ამაში გონების ხელმოსაჭიდებელი არა არის რა, რომ კაცმა უტყუარი აზრი შეადგინოს მასზედ—როგორც სწამებია ქართველს ის დიდი მოქმედება ბუნებისა, რომელსაც სიკვდილი ჰქვიან" (იხ. თხზულებანი, ტ. II, გვ. 362). მართლაც და, რამდენად ღრმა და ორიგინალურია ილია ჭავჭავაძის ეს და ამის მსგავსი დაკვირვებანი ქართველი ხალხის შორეული ისტორიული წარსულის აღდგენისათვის! ილია ენათმეცნიერებაში მაშინ გან-

ანბანისა და დამწერლობის საკითხებზე ჩერდება და აკეთებს ზოგიერთ მეტად საინტერესო პარალელს ცალკეული ევროპული ენების ორთოგრაფიასა და დამწერლობასთან, რასაკვირველია, შემოკლებით.

***

ბურჟუაზიის დაკვეთით მომქმედი ცნობილი „გუნდი“ პირველად აჩაღებს დავას ბევრ ისეთ რამეზე, რაც მეცნიერებაში დიდი ხანია უდავოდ მიჩნეული და საყოველთაოდ აღიარებული იყო.

მაგალითად, ამ დროს, და არც არასოდეს წინათ, არავინ არ დაობდა იმაზე, რომ „მოსხნი“, „ტიბარენნი“ და „კოლხნი“ იმთავითვე მონათესავე ქართველურ ტომებს შეადგენდნენ. ამ ჯგუფმა მეცნიერებაში საყოველთაოდ აღიარებული ეს ფაქტი სადავოდ აქცია და მისი გაბათილებაც კი სცადა (მათ ესაჭიროებოდათ ამ ისტორიული ფაქტის გაყალბება, თუ რა მიზნებით—ამას ქვემოთ ვნახავთ).

მტკიცებული უახლესი, ყველაზე უფრო მოწინავე მეთოდებისა და კვლევა-ძიების ხერხების გამოყენებით, მაგალითის ჩვენებით ქართული ენის სინამდვილიდან, სწვრთნის ახალთაობას ენათმეცნიერულ აზროვნებისადმი ინტერესის გასაღრმავებლად.

ილიასთვის ამოსავალი იყო დებულება: „ხალხია ენის კანონის დამდები და არა ანბანთ თეორეტიკა“ (იხ. „პასუხის პასუხი“, 1861 წ. სექტემბრის „ცისკარი“, გვ. 92, კურსივი ჩვენია), ხოლო „ხალხის ენა ბუნებრივია ქართველი გლეხკაცის ენაა“,— სამართლიანად შენიშნავს აკად. არნ. ჩიქობავა („ილია ჭავჭავაძე ენის შესახებ“, გვ. 12. 1938 წ., თბილისი). სპეციალური სტატია მოეპოვება აკად. აკ. შანიძეს—„ახალი სალიტერატურო ქართულის ფუძემდებელი“. იხ. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1937წ. 29 მაისი. ხოლო ვრცლად—იხ. ილიასადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული“—„ილია ჭავჭავაძე—როგორც მებრძოლი ახალი სალიტერატურო ქართულის დამკვიდრებისათვის“, 1939 წ., თბილისი.

ილია ჭავჭავაძემ მათ საკადრისი პასუხი გასცა — „ისტორიულ ჭეშმარიტებად ცნობილია, რომ ეგვიპტელთა „მუშენი“, დაბადების „მოსოხნი“ ანუ „მოსხნი“, ეხლანდელი „მესხნი“, ჰეროდოტეს „ტიბარენი“, სტრაბონის „ტიბერნი“ და „კოლხნი“ შეადგენენ ქართველ ნათესავების ერსა, რადგანაც ისიც ჭეშმარიტებად ცნობილია, რომ ძველის-ძველად ამ ქართველ ნათესაობას სჭერია მთელი სივრცე ღალისის მდინარითგან, მცირე აზიაში, შავი ზღვის პირამდე და მთელი აღმოსავლეთი მხარე ამ ზღვისა, აგრეთვე იგი ადგილები, რომელნიც მტკვარსა და არაქსს შუა მდებარეობენ, აშკარაა, რომ ვისაც ამ ადგილებში დაჩემება რამ უნდა, ან ქართველის კუთვნილების გაუქმება, მოუნდება დაამტკიცოს, რომ ზემო დასახელებულნი ერნი ქართველთა ნათესაობისა არც იყვნენ და არც არიან. სწორედ ასე მოიქცა ჩვენი გულითადი პროფესორი და გვეფიცება, რომ „მესხები და კოლხები“, „ქართველის ნათესაობისანი არ არიან, და არავითარს საბუთს ამისას არ იძლევა კი ეს საოცარი მოფიცარი“[1]. ილიას მითითებით ეს ყალბისმქნელები „სწორედ ამ ადგილებს გვეცილებიან და ამტკიცებენ, რომ მტკვრის სათავის ადგილები, მთელი ჭოროხის ხეობა დიდ სომხეთს ეკუთვნოდა“ო[2].

ილია სომეხ ბურჟუაზიულ კალმოსანთა ამ უსაბუთო „მტკიცებისთვის“ მომაკვდინებელი მახვილის ჩაცემისას ემყარება არა მარტო ორიენტალისტიკის უკანასკნელ მიღწევებს და ამ დარგის მეცნიერების გამოჩენილ კორიფეებს, არამედ, ამასთანავე, მრავალ საბუთთან ერთად

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. II, გვ. 430.
[2] იქვე, გვ. 424.

შესანიშნავად იმოწმებს ანტიკურ და შუა საუკუნეების მწერალთა უტკუარ პირველად წყაროებს, ნივთიერ ძეგლებს და სხვ. ილია ასევე უტყუარ უამრავ საბუთზე დაყრდნობით, მათი მეცნიერული ანალიზის შედეგად, დასძენს: „მეათე საუკუნეზე წინათ ქართველთ ბაგრატიდთა ეპირათ ჭოროხის ხეობა... თუმდ ესეც არ იყოს,—განაგრძობს ილია,—მთელი ჭოროხის ხეობა,... სავსეა ქართულის ეკლესიებითა და მონასტრებითა, ქართულისავე ზედწარწერებითა და ზოგნი ამათგანი ეკუთვნიან მერვე-მეცხრე საუკუნეს. ყველა ეს უტყუარნი მოწამენი თვით სომხის ვარდაპეტის სარგისისაგან არიან აწერილნი“ [1],—შენიშნავს ილია. ილია ჭავჭავაძემ მრავალი დოკუმენტალური სანდო წყაროს გამოყენებით პირველმა შესძლო საჭირო პასუხის გაცემა საქართველოს ისტორიის ამ გამყალბებელთათვის.

*
* *

ილიას სწორი შეხედულება გააჩნია ხეთებზე, ხეთურ უძველეს მოწინავე კულტურაზე და ხეთოლოგიაზე მთლიანად. ილია იზიარებდა ხეთოლოგიაში აღმოცენებულ იმ აზრს, რომ „დასაბამი საბერძნეთის კულტურისა ხეტელებისაგან არის მიღებული“[2]. იგი სიფრთხილით, კრიტიკულად შენიშნავს მეცნიერებაში ჯერ კიდევ მაშინ განმტკიცებული მოსაზრების შესახებ „რომ ხეტტელნი ქართველის ნათესაობის ერი ყოფილა-“[3].

ყველაფრიდან ჩანს, რომ ილია ჭავჭავაძე ძველი აღმოსავლეთის ისტორიის მარტო შესანიშნავი მცოდნე როდი იყო, არამედ დასტურდება, რომ ილიას ძველი

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. II, გვ. 430.
[2] იქვე, გვ. 470.
[3] იქვე.

აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია პირველყოვლისა აინტერესებდა საქართველოს უძველესი ისტორიის მეცნიერულად აღდგენის თვალსაზრისით, ამდენად ილიას ნააზრევი ამ დარგში შემოქმედებითი ხასიათისაა. საქმე იმაშია, რომ ილიას ამ შეხედულებებს დღესაც არ დაუკარგავთ თავიანთი მეცნიერული მნიშვნელობა და ბევრი მათგანი ახალი საბუთებით კიდევ უფრო განმტკიცდა.

ცნობილია, რომ ნ. მარი ამ დავაში მცდარ თვალსაზრისზე იდგა. ამიტომ ილია გარკვევით მიუთითებს ნ. მარის არასწორ წარმოდგენაზე სომხურ-ქართული კულტურულ და ენობრივ გავლენა-ურთიერთობის საკითხების შესახებ და სამართლიანად უსაყვედურებს მას ამ უაღრესად სერიოზული პრობლემებისადმი ზერელე, არამეცნიერულ დამოკიდებულებას[1].

შოვინისტური ზრახვებით შეპყრობილ ბურჟუაზიულ მეცნიერთა უმართებულო და ესოდენ ტენდენციური გაყალბება სამხრეთ საქართველოს ისტორიის ძირითადი საკითხებისა, როგორც ვხედავთ, თავის დროზე პირველად მხილებული და მეცნიერული საბუთიანობით დაგმობილი იქნა ილია ჭავჭავაძის მიერ.

ილია მართებულად უპირისპირდება ვლ. გოლსტრემის მიერ „Петербургския ведомости"-ში (1899 წ. №33) გამოქვეყნებულ წერილში—„И камни возопиют"-ში განვითარებულ მცდარ დებულებებს. ილია იმდროინდელ გამოჩენილი ორიენტალისტების მეცნიერულ დასკვნებზე დაყრდნობით წერს: „ჰაოსიანები მეექვსე საუკუნეს ქრისტეს წინად შემოვიდნენ „ურარტუს" და ლურსმნული

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. II, გვ. 432.

წარწერანი კი, რომელნიც ურარტელების ამბავს მოგვითხრობენ, ეკუთვნიან უფრო წინანდელ საუკუნეებს, სულ უკანასკნელი წარწერა ეკუთვნის მეცხრე საუკუნეს ქრისტეს წინად"-ო[1],—დასძენს ილია.

საკითხზე იმის შესახებ, თუ ვინ უნდა ყოფილიყვნენ ურარტუს კულტურის შემომქმედნი, ილია გარკვეულ პასუხს გვაძლევს ორიენტალისტიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით, რაც, შეიძლება ითქვას, დღესაც თითქმის, შეურყეველი რჩება,—ილია განაგრძობს: „პირველი მკვიდრნი იმ მიწაწყლისა... ქრისტეს წინ მეშვიდე საუკუნის ბოლომდე იყვნენ იმავე ნათესავისა, რომელსაც ეკუთვნიან ქართველები და ზოგიერთი ეხლანდელი ხალხი კავკასიისა". ილია ამ შემთხვევაში ემყარება რა ლენორმანს, ამ „ზოგიერთ ხალხებში" გულისხმობს: თუშ-ფშავ-ხევსურებს, მესხებს, ლაზებს, და სხვ. რადგან ილია ამოდის იმ უდაო მოსაზრებიდან, რომ ურარტელები „სულ ერთისა და იმავე ნათესაობისანი, მოდგმისანი იყვნენო"; რაკი ქართველები ხელდადებითაა დასახელებული ურარტუს მკვიდრად, მისი მოძმე შემადგენელი ტომები ხომ ზემოთ დასახელებულნი იყვნენ და არიან ილიას რწმენით[2]. ამრიგად, გარდა იმისა რომ ილია მართებულად უსწორებს შეცდომებს გოლმსტრემს, ამასთანავე ამჟღავნებს უაღრესად ღრმა და საფუძვლიანად მეცნიერულ ცოდნას ძველი აღმოსავლეთისა და საქართველოს უძველესი ისტორიის დარგებიდან.

* * *

ილია მკაცრად უპირისპირდება ზემოხსენებული ჯგუფის ცილისწამებას და საქართველოს ისტორიის გა-

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. II, გვ. 462.

[2] იქვე, გვ. 463.

ყალბების ცდას, როდესაც ის (ჯგუფი) „საქართველოს სპარსეთის სახანოდ ჰნათლავს და მის მეფეებს ხანებად“. ილია მათ ირონიულად შენიშნავს,—„თუმცა დღეს ბავშმაც კი იცის, რომ საქართველო ცნობილი იყო ვითარცა სამეფო და მისნი გამგენი—ვითარცა მეფენი, მაგრამ ბოლოს დროს გამოვიდა მოედანზედ ერთი ახალი მეცნიერი... და ჩვენს ქვეყანას ჩამოართვა ხარისხი სამეფოსა და ჩვენს მეფეებს სამეფო გვირგვინი მოხადა“[1].

ილია ჭავჭავაძე, დაასაბუთებს რა ამგვარ შეხედულების სიყალბეს, მის არამეცნიერულ ტენდენციურობას, სავსებით მართებულად უსაყვედურებს ამ ჯგუფის წარმომადგენელთ: „ვთქვათ ღმერთმა იმდენი უნარი მეცნიერებისა და მართლმოყვარეობისა არ მისცა, რომ ეს საქმე გამოერკვია უცხო ენით დაწერილ წიგნებიდან, თავისი სომხური წიგნები მაინც წაეკითხა, აქ რა იმისთანა ალალმა დაჰქროლა, რომ ჭკუა-გონება დაჰბნევია. სხვა არა იყოს რა სომხების მეისტორიეთაგან მაინც უნდა შერცხვენოდა!.. მოსე ხორენელს აღარ ვიტყვით, განა სტეფანოზ ასოღიკი და არისტაკეს ლასდივერი მეთერთმეტე საუკუნეში, მათოზ ედესელი მეთორმეტე საუკუნეში, ვარდან დიდი მეცამეტე საუკუნეში და ბევრნი სხვანი საქართველოს სამეფოდ არ იხსენიებენ და მისთა მპყრობელთ—მეფეებად, როცა აღტაცებით მოგვითხრობენ საქართველოს ძეფეების მზრუნველობას სომხების კეთილდღეობის და მათის მონასტრებისათვის“[2]. ილიას ბევრი სხვა საბუთიც მოჰყავს, მაგრამ აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. ილია მრავალი მსგავსი ისტორიული ბაგალითით აქარწყლებს ამ ცილისწამებებს,

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. II, გვ. 445.
[2] იქვე, 445.

ამხელს მათ მტრულ ტენდეციურ ზრახვებს და ამიტომ დაუნდობლად უსწორდება კიდეც მათ.

ცნობილმა ჯგუფმა ამასთანავე ხელაღებით და ცილისმწამებლურად გააყალბა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის საკითხები, საქართველოს რუსეთთან შეერთებისა და ერეკლე მეორის მეფობა. მართლაც, ისტორიის ნამდვილი, წინასწარგანზრახული ფალსიფიკაციის განუმეორებელი მაგალითია, როცა ამ ჯუფის ერთი წარმომადგენელთაგანი თავხედურად წერდა: „Ираклий предлагал русскому двору то, что по праву, принадлежало не ему, а Персии, предлагал верховную власть над Грузией, которую de facto он не был в силах удержать за собою, и за это просил царское достойнство, которого не имел в Персии"[1].

ილიას მრავალი საბუთი მოჰყავს ამ სიყალბის წინააღმდეგ და, გარდა იმისა, რომ ყოველმხრივ აბათილებს ამ ცილისწამებას, ეკითხება ავტორს „თუ საქართველო სამეფო არ იყო, მისნი მპყრობელნი მეფეებად არ იწოდებოდნენ, მაშ რუსეთის სახელმწიფო ტიტულში რუსეთის იმპერატორები რად იხსენიებენ საქართველოს მეფეებად. სხვათა შორის, სჩანს, სამეფოს ხსენება საქართველოსი და მისთა მპყრობელთა მეფეებად წოდება მოგონილი ამბავი არ არის"[2], პასუხობს იქვე.

საქართველოს ისტორია ასევე გაყალბებულია ამავე ჯგუფის წარმომადგენლის მიერ საგანგებოდ დაწერილ წიგნში—„უკანასკნელი წელნი საქართველოს სამეფოსნი",

---

[1] Эзов Г. А., Сношения Петра Великого с армянским народом, გვ. XCII, Санкт-Петербург 1898 г.

[2] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. II, გვ. 454.

რომელშიაც ტენდენციურად განწყობილმა ავტორმა ჩვენი ქვეყნის სახელოვან ისტორიაში ჩირქი მოსცხო მეფე ერეკლე მეორის ეპოქას და მეფობას. ილია ამაზე უპასუხებს: „დალოცვილს ეს მაინც მოჰგონებოდა, რომ მეთვრამეტე საუკუნის მთელი მეორე ნახევარი თითქმის მეფე ერეკლეს ხანა იყო და ამ ხანაში გაითქვა სახელი ამ სახელოვანმა მეფემ მტერზე გამარჯვებით. თვით სომხების დედაბუდე ერევანი და განჯა, საცა სახანოები იყო, საქართველოს ხარჯს აძლევდა, თუნდ იმას ნულარ ვიტყვით, რომ თითქმის ყველა ახლო-მახლო ხანები ფიანდაზად ფეხ-ქვეშ ეგებოდნენ ძლევამოსილს მეფესა და რუსეთიც იწვევდა საშველად ოსმალებთან ომში“ და სხვა[1] (იგულისხმება 1770 წ. ასპინძის კამპანია).

ილია ამასთანავე უყურადღებოდ არ სტოვებს ამ გუნდის მეორე წარმომადგენლის „მტკიცებას“, რომ საქართველოს „...მშიერ-მწყურვალ ბატონიშვილებსა და თავადებს ინახავდნენ, აჭმევ-ასმევდნენ ტფილისის ბაყლები და მედუქნეები“[2]. ილია შენიშნავს: „ვინ ვისი მოწყალებით აქ, საქართველოში, ლუკმასა სჭამენ ან სჭამდენ წინად, ეს ღმერთმა იცოდეს... ვთქვათ, მართლა ასეთნი ღარიბნი ვიყავით და ვართ კიდეც, ამით ვითამ რა? თუ თაფლი არ იყო, ეს ამოდენა ბუზი რად მოვიდა ბალდადიდამ? თუ პური არ იყო, ბინა აქ რად დაიდეს... სჩანს, საქართველო არც ისე ღარიბ-ღატაკი ყოფილა, როგორც არწმუნებენ დიდსა და პატარასა, რადგანაც არამც თუ თავის თავს ინახავს, სხვასაც ისე ასუქებს, რომ თავისს ტყავში აღარ ეტევიან. ღარიბს-ღატაკს ხომ უნდა

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. II, გვ. 443.

[2] იქვე.

ჭქონდეს რამ, რომ ვაჭარმა გამოსცინცლოს ქონის მოსაცხობლად, ან რა ნიშნის მოგებაა,—განაგრძობს ილია,—ღარიბი და ღატაკი ხარო? რა წასაყვედრებელია და საყვირი დღე-მუდამ ამისთანა ამბავი? რა საძრახისია სიღარიბე, თუმცა კი არც ბედნიერებაა? რუსები იტყვიან: бедность не порок. განა კაცს კაცად ჰხდის მარტო სიმდიდრე? და სხვა არაფერი? სიღარიბე მწიკვლი არ არის, ცოდვა არ არის. მწიკვლი და ცოდვა სხვისაგან გამომცხვარი პურის ჭამაა, სხვისა ოფლის სმაა და ვისაც ეს ანდერძად და მცნებად გულში ჩაუწერია, იმან შეინანოს ეს ცოდვა, იმან ჩამოირეცხოს ეგ მწიკვლი"[1],—მიმართავს ილია გათავხედებულ ბურჟუას და მის კალმოსან დამჭაშებს.

ასე მძაფრად უპირისპირდება ილია ბურჟუაზიულ გარყვნილ მორალს, აღზევებულს სიმდიდრით და უაღრესად დაცემულს ზნეობრივად.

ილია ბურჟუაზიის სიმდიდრეს მწიკვლად და ცოდვად თვლის, რადგანაც იგი ღარიბთა ველური ექსპლოატაციის შედეგია, ილია თავგამოდებული დამცველია ჩაგრულთა, ღარიბთა, ხელმოკლეთა და უსამართლოდ დევნილთა, ხოლო ეს ღიმილის მომგვრელი „მტკიცება", რომ თითქოს „ქართველი ბატონიშვილები და თავადები მშიერ-მწყურვალნი იყვნენო", აშკარა სიყალბედ მიაჩნია. მართლაც და რა დასაჯერებელია ქართველი მეფის შვილების და უგავლენიანესი თავადების მშიერ-მწყურვალობაზე მსჯელობა, როცა ქვეყნის ფაქტობრივი ბატონ-პატრონები იყვნენ, ჰფლობდნენ უზარმაზარი სივ-

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, სრული კრებული, ტომი II, გვ. 444—445.

რცის საუფლისწულო და საბატონო მიწა-წყალს, დასახლებულს მრავალრიცხოვანი ყმა-გლეხებით და სხვა?

6. ბურჟუაზიული ნაციონალიზმის გალაშქრება სომეხ-ქართველთა მეგობრულ-კულტურული ურთიერთობის წინააღმდეგ

(ილია ჭავჭავაძე გ. სუნდუკიანცის „პეპოს“ გაქართულების გამო)

ბურჟუაზიული კალმოსნები იქამდე გათავხედდნენ, რომ მათ გაბრიელ სუნდუკიანცის „პეპოს“ და სხვა პიესების ქართულად გასცენიურების წინააღმდეგაც კი გაილაშქრეს. ბურჟუაზიული შოვინიზმით გამსჭვალულ კალმოსანთა ეს ჯგუფი ვერ ურიგდებოდა იმ ფაქტს, რომ სომეხი ხალხის საამაყო შვილი გ. სუნდუკიანცი და მისი შემოქმედება შეიყვარა, მშობლიური გაიხადა ქართველმა ხალხმა, ქართულმა თეატრმა[1].

ბართლაც, ქართველი ხალხი და მისი მოწინავე ინტელიგენცია გაბრიელ სუნდუკიანცის გამოსვლას სამოღვაწეო ასპარეზზე დიდის პატივითა და უსაზღვრო სიყვარულით შეეგება. გ. სუნდუკიანცის პიესები საერთოდ,

[1] ცნობილია, რომ გ. სუნდუკიანცის პიესები ადრიდანვე იკაფავენ გზას ქართულ სცენაზე. ჯერ კიდევ 1876 წელს გაზ. „დროება“ წერდა: „ამ უკანასკნელი წლის განმავლობაში უფ. სუნდუკიანცი მოდათ შემოდის ჩვენს სცენაზე. პირველად ქუთაისმა გაგვაცნო ეს სომხის ნიჭიერი დრამატურგი. იქ ითამაშეს პირველად იმის მშვენიერი კომედია „პეპო“, შემდეგ მეორე იმის დრამა „კიდევ ერთი მსხვერპლი“... ახლა, როგორც ამბობენ, იქვე მესამე იმის დრამატიულ თხზულების „ხათაბალის“ წარმოდგენას აპირებენ. თბილისი ამ შემოდგომაში ქუთაისის კვალზედ მიდის: აქაც ამას წინათ ორჯერ წარ მოადგინეს „პეპო“ და ახლა წარსულ კვირის ხუთშაბათს, 15 იანვარს იყო „კიდევ ერთი მსხვერპლი“ (გაზ. „დროება“ 1876 წ. № 6)

განსაკუთრებით მისი „პეპო“, იმთავითვე დამკვიდრდა ქართული თეატრის რეპერტუარში.

„პეპო“ ქართულად თარგმნა თვით ავტორმა გ. სუნდუკიანცმა და პირველად ილია ჭავჭავაძეს დაბეჭდა თავის „ივერიაში“. პეპო შემკულია ქართული სიტყვერებით, მოსწრებული ზმებითა და ცალკე ლექსებითაც-კი. გ. სუნდუკიანცის პიესის „პეპო“-ს გმირები გრ. ორბელიანის და ალ. ჭავჭავაძის ლექსებს ქართულად მღერიან სომხურ სცენაზე.

გ. სუნდუკიანცის ამ პიესის გამო დიდი აკაკი „ივერიაში“ წერდა: „ობოლი მარგალიტი, სადაც უნდა იყოს, თავის ღირსებას არ დაჰკარგავს, გინდ მდიდრის ფარჩადიბაზე ეკეროს და გინდა ძონძზე“

რატომ შეიყვარა გ. სუნდუკიანცის „პეპო“ და სხვა პიესები ქართველმა ხალხმა ასე უსაზღვროდ, რატომ გახდა განსაკუთრებით „პეპო“ მშობლიური და განუყრელი ქართული სცენისა? სწორედ იმიტომ, რომ გ. სუნდუკიანცი თავისი შემოქმედებითი სამართლიანობისათვის იბრძვის, შეურიგებლად უპირისპირდება ბურჟუაზიის ძალმომრეობას, ძარცვას და მშრომელების ველური ჩაგვრის გაბედული წინააღმდეგეა. ბურჟუაზია „ბნელეთის სამეფოს“ მოციქულადაა გამოცხადებული, რომლის დაუცხრომელი მიზანია—ქონების უსაზღვროდ დაგროვება, ფულების მოგება, რასაკვირველია ანტისოციალური, ამორალური გზებითა და საშუალებებით. ბურჟუაზიის გამდიდრების ამ დაუცხრომელი მიზნის განხორციელებისათვის ძირითად წყაროს მხოლოდ მშრომელთა სასტიკი ექსპლოატაცია წარმოადგენს.

ბურჟუაზიული შოვინიზმით დაავადებულ კალმოსანთა ცნობილი გუნდი ვერ ურიგდებოდა იმ ფაქტს, რომ

გ. სუნდუკიანცი და მისი შემოქმედება შეიყვარა ქართველმა ხალხმა და ღირსეულად დააფასა იგი. ვერ ურიგდებოდა იმიტომ, რომ ეს ფაქტი ხალხთა მეგობრობის, ურთიერთ ნდობისა და სიყვარულის შესანიშნავი გამოვლინება იყო, ამიტომ შემთხვევითი არაა ის გარემოება, რომ ბურჟუაზიის „ეს პირმოშვებული ფილოსოფოსები“ ყველაფრით შეეცადნენ ეს სიყვარული მტრობად შეეცვალათ.

შოვინიზმითა და ნაციონალიზმის გავლენით შეპყრობილი ამ ბურჟუაზიული გუნდის წარმომადგენლები გაიძახოდნენ: „პეპო“ იმოდენად გაქართველებულია ეხლა, რომ დღესაც კი მოიპოვება იმისთანა ქართველი, რომელსაც ძნელად დააჯერებთ, რომ „პეპო“ სომხურს ენაზეა დაწერილი და სომხის პოეტის გენიოსებით შექმნილია“.

ასეთ ახირებულ შეხედულებას ილია ჯერ ირონიულად უპასუხებს: „ჩვენ დაუშოშმინებთ ატკივებულს გულს ბ-ნს ჩიმშკიანცს და დავარწმუნებთ, რომ მაგისთანა ქართველს მარტო თავის საკუთარ ფანტაზიაში თუ იპოვის“. შემდეგ ამისა კი ილია მას აძლევს დასაბუთებულ და საესებით სწორ პასუხს, როცა წერს: „თუნდა რომ ეგრეც იყოს, რა ცუდი უქნია ქართველს, რომ სომხის კარგი შეუთვისტომებია, საკუთარ შვილად მიუჩნევია. ეს მარტო ჩვენს სიტყვას ამტკიცებს, რომ ყოველივე კარგი სომხისა ჩვენში პოულობს პატივისცემას და სიყვარულს იმოდენად, რომ თავისას და სომხისას ერთმანეთშიაც ალარ არჩევს,—პასუხობს ილია და იქვე დასძენს,—აქ ცუდი რა არის. გონების ნაწარმოები იმისთანა მადლიანი რამ არის, რომ მთელის კაცობრიობის კუთვნილებას შეადგენს და აქ გვარ-

ტომობის ჩაჩხირება ჭკუის ეღონობასმოასწავებს და სხვა არა-რას"[1]. ასე ღრმა-აზროვანად და ასე ობიექტურად ეკამათება ილია დასახელებულ გუნდს. ვფიქრობთ, არავითარ კომენტარიას არ საჭიროებს ილიას ეს ნათელი და არსებითად სწორი მოსაზრება.

8. სომხეთის და საქართველოს პროგრესული მოღვაწეები ბურჟუაზიული ნაციონალიზმის მტრები იყვნენ

(. სუნდუკიანცი და სომხურ-ქართული კულტურული ურთიერთობის რამდენიმე საკითხი)

სომეხი ხალხის საამაყო შვილი გაბრიელ სუნდუკიანცი სომხური ბურჟუაზიის დაუძინებელი მტერი იყო. იგი თავის უკვდავ ნაშრომებში ყოველთვის დაუნდობლად ამხელდა, ნიღაბს ჰგლეჯდა და სააშკარაოზე გამოჰქონდა ამ მძარცველთა ჟსირცხვილო ხროვის ამორალობა, ვერაგობა და უკიდურესი აღვირახსნილობა. გ. სუნდუკიანცი ქართველ განმანათლებლებთან ერთად დაუნდობლად ებრძოდა ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს. იგი ხალხთა მეგობრობის, კერძოდ, სომეხ-ქართველთა მეგობრობის, უსაზღვრო მოტრფიალე და დაუღალავი მქადაგებელი იყო. ამიტომ შემთხვევითი არაა ის ფაქტი, რომ სომეხი ბურჟუაზია და მისი დამქაში კალმოსნები გ. სუნდუკიანცის შეურიგებელი მტრები იყვნენ. ეს გასაგებია, სუნდუკიანცი სომეხი ხალხის მოსარჩლე, მათი გულის მესაიდუმ-

[1]. ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტომი II, გვ. 197.

ლე და უებრო დამცველი იყო, ბურჟუაზია კი—ხალხის სისხლისმსმელი, სომეხი მშრომელი ხალხის დაუძინებელი მტერი.

გ. სუნდუკიანცი პირველი იყო სომხურ მწერლობაში, რომელმაც თავის შესანიშნავ მხატვრულ დრამატიულ ჰუმანურ შემოქმედებაში სცენაზე გამოიყვანა სიმდიდრით გათავხედებული ვერაგი, მზაკვარი და მძარცველი ბურჟუაზია ზიმზიმოვების („პეპო"), ზამბახოვების („ხათაბალა") და სხვათა სახით, და სამართლიანად გამოაცხადა ისინი ბნელეთის მოციქულებად.

ამ ბნელ ძალებს დრამატურგი უპირისპირებს პატიოსან მშრომელებს—პეპოს, მიხეილის („კიდევ ერთი მსხვერპლი") და სხვა მრავალი საყვარელი პერსონაჟების სახით. გ. სუნდუკიანცმა ამ ორ დაპირისპირებულ კლასს შორის შეურიგებელი წინააღმდეგობები დაინახა და მხატვრული, მოხდენილი ხერხებით ბრწყინვალედ ასახა სინამდვილე.

მაგალითად, სამართლიანობისათვის ვაჟკაცურ ბრძოლაში დამარცხებული პატიოსანი მშრომელი, ხალხის საყვარელი პეპო, ციხეში მისი ჩაგდების წინა წუთებში მტირალ დედას შემდეგი სიტყვით ამშვიდებს: „ნუ სტირი დედი, იქ ხომ არ მოვკვდები... და მაშინ ყველა გაიგებს, რომ ეს კაცი (ზიმზიმოვზე მიუთითებს), რომელსაც ყველანი თავს უკრავენ, ყველანი ეფერებიან და პატივსა სცემენ, ეს ის კაცია, რომლისთვისაც არაფერი წმინდა არ არის-რა ამ ქვეყანაზე".

სომხური ბურჟუაზიისა და სომეხი მშრომელი ხალხის ინტერესთა წინააღმდეგობების უფრო მოხდენილი დახასიათება და დახატვა, როგორც ეს გ. სუნდუკიანცმა შესძლო, იმ დროს სხვას არავის მოუხერხებია.

გ. სუნდუკიანცი თავისი უკვდავი შემოქმედებით, ყოველდღიური ნაყოფიერი მოღვაწეობით, დიდი ნიჭითა და უნარით, წინააღმდეგ ბურჟუაზიული მოსყიდული კალმოსანებისა, მუდამ ხალხთა განუყრელ მეგობრობას ქადაგებდა. ამ ეხრივ განსაკუთრებით საყურადღებო და დამახასიათებელია გ. სუნდუკიანცის შემოქმედება. კერძოდ, მისი შეხედულება სომეხი და ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან მეგობრობაზე და მეზობლობაზე უაღრესად ძვირფასია. მას უყვარდა საქართველო და ქართველები. საქართველო თავის სამშობლოდ მიაჩნდა. ჩვენ აქ მხოლოდ რამდენიმე მომენტზე შეეჩერდებით. მაგ., რაფიელ ერისთავის საიუბილეო ბანკეტზე გ. სუნდუკიანცის სადღეგრძელო დამსწრეთაგან უსაზღვრო სიყვარულით აღინიშნა და მეისვა. გ. სუნდუკიანცმა თავის მოკრძალებულ პასუხში, სხვათა შორის, მაშინ თქვა: „მე კერძო სადღეგრძელოს ღირსი არა ვარ დღეს, რადგან ყოველივე ამისთანა სადღეგრძელო მარტო ჩვენს იუბილარს ეკუთვნის. ამასაც ნოგახსენებთ ჩვენი გვარის მაგივრათ, რომ ჩვენ, საქართველოში აღზრდილი სომხები, ქართული მიწითა ვართ გაზრდილი, ჩვენ საქართველოს ჰირის და ლხინის მუდამ თანამოზიარენი ვყოფილვართ და ვიქნებით“[1].

გ. სუნდუკიანცი და მისი შემოქმედება მშობლიური გრძნობებით შეიყვარა ქართველმა ხალხმა. „პეპოს“ ავტორს არა ერთსა და ორ აღმაფრთოვანებელ სიყვარულით აღსავსე შეხვედრას უმართავდნენ. ხალხის ამგვარი ერთ-ერთი გულთბილი შეხვედრის მადლობა გ. სუნ-

---

[1] გ. სუნდუკიანცი, პიესების ერთტომეული, ი. გრიშაშვილის რედ., 1950 წ., გვ. XXI.

დუკიანცმა შემდეგი სიტყვებით დაამთავრა: „საქართველო მიყვარს, როგორც ჩემი სამშობლო, ქართველები — როგორც ჩემი ძმები და შვილები; ამდენი პატივისცემა ჩემს მცირე ღვაწლს არ შეეფერება და ეს მოასწავებს მხოლოდ თქვენს გულკეთილობას"[1].

გ. სუნდუკიანცი თავისი ცხოვრებით და შემოქმედებით სომეხ-ქართველთა მეგობრობის მარად სახსოვარი სიმბოლოა. გ. სუნდუკიანცისა და აკაკი წერეთლის მეგობრობა კი ხორცშესხმული მაგალითია ამ ორი მეზობელი, ჭირსა და ლხინში განუყრელი, ხალხის შვილებისა.

ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს და მაშინდელ ყველა მოწინავე ქართველ მოღვაწეებს უყვარდათ გ. სუნდუკიანცი. დიდმა აკაკიმ მადლიერი ქართველი ხალხისა და ქართველი მოღვაწეების საერთო გულისხმიერი სიყვარული გამოხატა იმ ლექსებში, რომელიც მან გ. სუნდუკიანცს მიუძღვნა.

გ. სუნდუკიანცისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ ლექსში, რომელიც 1910 წელსაა დაწერილი, აკაკი, სხვათა შორის, წერდა:

შენ სომეხი ხარ და მე ქართველი,
მაგრამ ძმები ვართ ერთმანეთისა,
ორივე შვილი ერთი მიწა-წყლის,
ერთ მიდამოსი და ერთი მთისა.

ამ ლექსში აკაკი ასახავდა ქართველი ხალხის საერთო განწყობილებას და მეზობლურ მეგობრობას სომეხი ხალხისა და მისი მოწინავე შვილებისადმი.

---

[1] გ. სუნდუკიანცი, პიესები, ერთტომეული, ი. გრიშაშვილის რედ., 1950 წ., გვ. XXI.

გ. სუნდუკიანცისა და აკაკი წერეთლის მეგობრობის დამახასიათებელ მაგალითად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტიც, რომ გ. სუნდუკიანცის პიესის „კიდევ ერთი მსხვერპლი"-ს გმირის, თერგდალეული მიხეილის როლი პირადად აკაკი წერეთელმა შეასრულა. ასე ხანგრძლივი სამაგალითო და უსაზღვროდ გულწრფელი იყო ამ ორი მოძმე ერის მოწინავე შვილების ურთიერთგაგება და სიყვარული [1].

დამახასიათებელია, რომ გაზ. „კვალი", ქადაგებდა რა ხალხთა მეგობრობას, სხვათა შორის, ამაზე წერდა: „სუნდუკიანცის პიესებმა შეაერთა ორი მეზობელი ერი ხელოვნების ნიადაგზე"-ო[2]. მთელი თავისი შემოქმედებით ხალხთა მეგობრობის შესანიშნავი ქადაგი გ. სუნდუკიანცი თავის ანდერძს შემდეგი სიტყვებით ამთავრებდა: „მშვიდობით საყვარელო ადამიანებო, რომელ ეროვნებისა, ტომის და სარწმუნოებისაც უნდა იყოთ, მშვიდობით, ჩემო საყვარელო ქალაქო ტფილისო.

მშვიდობით ჩემო საყვარელო და სათაყვანებელო ეროვნებავ, ღმერთმა შენს სამშობლოს გაღირსოს.

ყველას სიყვარული ჩემს გულში ღრმად ჩამარხულითან მიმაქვს. მშვიდობით იყავით"[3].

ასეთია დიდი სომეხი მწერლის ხალხთა დიად მეგობრობაზე დამყარებული მაღალჰუმანური სამაგალითო

---

[1] ამასთანავე აღსანიშნავია, რომ აკაკი ისევე, როგორც ი. გოგებაშვილი, საქართველოს გმირული წარსულის გამყალბებლებთან ბრძოლაში ბოლომდე ილია ჭავჭავაძეს ედგა გვერდში და მისი ერთგული თანამებრძოლი იყო.

[2] გახ. „კვალი", 1901 წ., № 21.

[3] გ. სუნდუკიანცი, პიესების ერთტომეული, ი. გრიშაშვილის რედ., 1950 წ. გვ. XXVII.

მოღვაწეობა, შემოქმედება და უკანასკნელი ანდერძი შთამომავლობისადმი.

ქართული და სომხური მწერლობა, სომეხი და ქართველი მოწინავე პროგრესული მოაზროვნეები და საზოგადო მოღვაწეები, მსგავსად ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ი. გოგებაშვილის, გ. სუნდუკიანცის, აბოვიანის, ოვანეს თუმანიანისა და სხვათა სახით, მუდამ ხალხთა მეგობრობის, სომეხ-ქართველთა ძმობა-სიყვარულის მქადაგებლები იყვნენ და მედგარი მოწინააღმდეგე ბურჟუაზიული შოვინიზმისა და ნაციონალიზმისა. თუ აქ, წინაქდებარე ნაშრომში, ჩვენ გ. სუნდუკიანცის ღვაწლზე გავამახვილეთ ყურადღება, ეს ფაქტი ორი გარემოებით იყო ნაკარნახევი: პირველი ის, რომ გ. სუნდუკიანცი ყველაზე უფრო თვალსაჩინო და გაბედული მებრძოლი იყო ბურჟუაზიული ნაციონალიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ; ასევე დაუღალავი მოსარჩლე იყო იგი ჩაგრულებისა, შესანიშნავი მოღვაწე ხალხთა მეგობრობისა, საერთოდ, და, კერძოდ, სომეხ-ქართველთა განუყრელი მეგობრობის, ძმობის, ერთობის და უანგარო სიყვარულისა.

მეორე გარემოება, რომელიც გვიკარნახებდა შევჩერებულიყავით გ. სუნდუკიანცის პიროვნებაზე, როგორც სომხური მოწინავე ინტელიგენციის ყველაზე უფრო თვალსაჩინო და ტიპიურ წარმომადგენელზე, იმით იყო გამოწვეული, რომ ბურჟუაზიულ კალმოსანთა დასახელებული გუნდი, სომეხ-ქართველთა შორის მტრობის ჩამოსაგდებად, ხალხთა მეგობრობის დიდი მქადაგებელის გ. სუნდუკიანცის პიროვნებისა და მისი შემოქმედების

გამოყენებასაც ლამობდნენ. ილია ჭავჭავაძემ, როგორც დავრწმუნდით, საკადრისი პასუხი გასცა ამ შოვინისტურ ჯგუფს და დაიცვა როგორც გ. სუნდუკიანცი, ასევე სომეხ-ქართველთა ურთიერთ მეგობრობა და კულტურულ-შემოქმედებითი თანამშრომლობა.

***

ჩვენი მიზანი არ არის ილიას აქ დასახელებული პოლემიკური ნაწარმოების საერთო განხილვა ისევე, როგორც ამ პოლემიკის შინაარსის გადმოცემა, ხოლო თუ ჩვენ ამ დავის სოციალ-ეკონომიური და ისტორიული საფუძვლების გადმოცემა და მარქსისტულ-ლენინური თვალსაზრისით შეფასება ვცადეთ, ეს აუცილებლად საჭიროა განსაკუთრებით დღეს, როდესაც ასე აქტუალურ ამოცანას წარმოადგენს ბრძოლა ბურჟუაზიული კოსმოპოლიტიზმისა და ნაციონალური ნიჰილიზმის ანტიპატრიოტულ მტრულ განწყობილებათა წინააღმდეგ. უნდა გარკვევით აღინიშნოს, რომ თავის პოლემიკურ ნაშრომებში, როგორიცაა: „...ქვათა ღაღადი“, „აი ისტორია“, „სანდალას წიგნის გამო“ და სხვა ნაშრომები, ილიამ გამოამჟღავნა საქართველოს ისტორიის უაღრესად ღრმა ცოდნა. ეს მან შესძლო საქართველოს ისტორიული პირველწყაროების გამოყენებით, საქართველოს ისტორიის დარგში მაშინ არსებული გამოკვლევების მოშველიებით და იმდროინდელი მსოფლიო მოწინავე ორიენტალისტების, ფილოლოგებისა და ისტორიკოსების მეცნიერულ გამოკვლევათა შესწავლით.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ის, რომ ამ ბრძოლაში ილიამ წარმატებით შესძლო თავაწყვეტილი მოწინააღმდეგე ბანაკის დამარცხებაც და საქართველოს

ისტორიის მთელი რიგი საკითხების ორიგინალური, ახლებური დაყენება და ზოგი მათგანის მართებულად გადაწყვეტაც.

*
* *

ბატონ-ყმობის გადავარდნამდე საქართველოში გაჩოვლინებას პოულობდა სომხური საეკლესიო ბურჟუაზიის წინააღმდეგ მიმართული ანტისომხური თავადაზნაურული ნაციონალიზმი. ეს ფაქტი თავისებურ გამოხატულებას პოულობს „საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდილ ი. ბერიძის რომანში: „უცნაური ნიშნობა ტფილისის საიდუმლოებისაგან“, სადაც ქართველი მებატონე ღმერთს შეჩივლებს „განა ჩვენ კი შენი გაჩენილები არა ვართ, რა დავაშავეთ ისეთი, რომ სულ სომხები, და სომხები, ფულია სადმე სომხებისა, სასამართლოა სადმე სომხებისა, ქონებაა სადმე სომხებისა და ჩვენ კი, ვაი ჩვენი ბრალი, ვყრივართ ისე უმოწყალოდ“ [1].

ეს იყო „თავადაზნაურული ნაციონალიზმის“ პასიური პროტესტი გაძლიერებულ საეკლესიო და საეახშო სომხური კაპიტალის შემუსვრელ ბრჭყალებში მოქცეული, გალატაკების გზაზე დამდგარი ქართველი თავადაზნაურობისა.

რეფორმის მერმინდელ საქართველოში წვრილბურჟუაზიული და ბურჟუაზიული ნაციონალური ელემენტების რამდენადმე გაძლიერებასთან ერთად სომხურ მძლავრ ბურჟუაზიას თანდათანობით უპირისპირდებიან შედარებით უფრო სუსტი ქართული ბურჟუაზიული ელემენტები. ამრიგად, ანტისომხური ნაციონალიზმის ბრძოლის მედროშედ მოგვიანებით ნაციო-

[1] „საქართველოს მოამბე“, 1863 წ., №13, გვ. 82.

ნალური ქართული ბურჟუაზია გვევლინება და ბრძოლაც ახალ ეტაპში შედის.

სწორედ ამ ვითარების ამსახველია ი. სტალინის უაღრესად საგულისხმო განსაზღვრა, როცა იგი წერს: „საქართველოში ცოტად თუ ბევრად სერიოზული ანტირუსული ნაციონალიზმი არ არის, ეს, უწინარეს ყოვლისა, იმიტომ, რომ იქ არ არიან რუსი მემამულენი ან რუსი მსხვილი ბურჟუაზია, რომელნიც საზრდოს მისცემდნენ ასეთ ნაციონალიზმს მასებში. საქართველოში არის ანტისომხური ნაციონალიზმი, მაგრამ ეს იმიტომ, რომ იქ ჯერ კიდევ არის სომეხთა მსხვილი ბურჟუაზია, რომელიც ამარცხებს წვრილ, ჯერ კიდევ მოუმაგრებელ ქართველ ბურჟუაზიას და ანტისომხური ნაციონალიზმისაკენ უბიძგებს ამ უკანასკნელს“[1] (ხაზგასმა ავტორისაა ა. ი.).

ამ სომხური მსხვილი და ქართული წვრილი ბურჟუაზიული ელემენტების (და მათი დამქაში კალმოსნების) ეს გააფთრებული ბრძოლა, მთელი მათი საქმიანობა იქეთკენ იყო მიმართული, რომ გაემწვავებია ამ ორ მოძმე ხალხთა დამოკიდებულება.

სამწუხაროდ, დიდხანს სომხურ-ქართული ბურჟუაზიისა და ბურჟუაზიული პრესის ამ მავნე ქადაგების შედეგად, ბურჟუაზიული ნაციონალიზმი და შოვინიზმი გასაღებული იყო, როგორც ქართველ-სომეხთა (ამ განუყრელი ორი მეზობელი მოძმე ხალხის) ვითომდა ისტორიულად დამახასიათებელი ეროვნული მტრული ურთიერთობა. რასაკვირველია, ეს იყო შედეგი ბურჟუაზული

[1] ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. 2, გვ. 330.

ნაციონალიზმის და შოვინიზმის ცილისმწამებლური გავლენისა, რომელიც მოსპო, შემუსრა და წალეკა პროლეტარულმა რევოლუციურმა მოძრაობამ. ცნობილია, რომ ამ მოძრაობაში აზერბაიჯანელი ქართველი და სომეხი პროლეტარები, სხვა ეროვნებათა პროლეტარებთან ერთად, თავის უფროსი ძმის, რუსი პროლეტარების თაოსნობით, განუყრელად გაერთიანდნენ და ლენინ-სტალინის დიადი უძლეველი დროშით დაუპირისპირდნენ საერთო მტერს — ცარიზმს და ბურჟუაზიას.

ბურჟუაზიული ნაციონალიზმის იდეური და ორგანიზაციული განადგურება, მისი სოციალ-ეკონომიური საფუძვლებისა და რევოლუციურ მოძრაობაზე მავნე გავლენის მეცნიერული გამორკვევა ი. სტალინის სახელთანაა დაკავშირებული. ამხანაგი სტალინი ჯერ კიდევ 1904 წ. წერდა: „პროლეტარიატის გამარჯვებისათვის საჭიროა ყველა მუშის შეერთება განურჩევლად ეროვნებისა. ცხადია, ნაციონალური კედლების დანგრევა და მჭიდროდ შეკავშირება რუსი, ქართველი, სომეხი, პოლონელი, ებრაელი და სხვა პროლეტარებისა—რუსეთის პროლეტარიატის გამარჯვების აუცილებელი პირობაა“[1]. ი. სტალინმა ნიღაბი ჩამოგლიჯა ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს, სააშკაროზე გამოიტანა მისი ცრუპატრიოტიზმი და პირველმა აღმართა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დიადი დროშა ამიერკავკასიის მუშების ერთიანად დასარაზმავად ცარიზმისა და ბურჟუაზიის დასამხობად.

ი. ჭავჭავაძის მიერ ჩატარებული პრინციპული ბრძოლა ცარიზმის ბურჟუაზიული

[1] ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. 1, გვ. 35.

აგენტებისა და ბურჟუაზიული ნაციონალიზმის მქადაგებელ კალმოსნების დასახელებული გუნდის წინააღმდეგ, მეტად ღირსშესანიშნავი პროგრესულ-პატრიოტულიმოვლენა იყო, რამდენადაც იგი (ეს ბრძოლა) ნაკარნახევი იყო საქართველოს ეროვნული გამანთავისუფლებელი მოძრაობის უფრო გაღრმავებისა და ერის ინტერესების დაცვის თვალსაზრისით. ამრიგად, ილია ჭავჭავაძის ეს შესანიშნავი ბრძოლა წარმოადგენდა განსაკუთრებული ხასიათის ჰუმანურ-პატრიოტულ, პროგრესულ მოვლენას, მიმართულს ბურჟუაზიული ნაციონალიზმისა და ცარიზმის კოლონიურ-ბარბაროსული ჩაგვრის წინააღმდეგ.

ილია მიზნად ისახავდა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის მტრული ნამოქმედების აღმოფხვრას და სომეხ-ქართველთა ეროვნულ მარად მეგობრული ურთიერთობის აღდგენა-დამკვიდრებას.

ამასთანავე აღსანიშნავია ისიც, რომ ამ მძაფრ პოლემიკურ ბრძოლებში ქართველი განმანათლებლები (ისე, როგორც ეს საერთოდ მოსალოდნელი იყო ასეთ შემთხვევაში). მოწინააღმდეგეებთან კამათში ზოგჯერ უკიდურესობაში ვარდებოდნენ და სწორ თვალსაზრისს ბოლომდე თანმიმდევრულად ვერ იცავდნენ.

ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ ისინი რამდენადმე თვითონაც განიცდიდნენ ბურჟუაზიული ნაციონალიზმის გავლენას, რაც, რასაკვირველია, ხელს უშლიდა მათ, რომ ბოლომდე სწორი შეხედულებანი განევითარებიათ ამ გამწვავებულ ბრძოლაში.

აღნიშნული მდგომარეობა უსათუოდ გასათვალისწინებელია და იქნებ საგანგებო შესწავლას საჭიროებდეს

იმათგან, ვინც მიზნად დაისახავს სპეციალურად, მონოგრაფიულად შეისწავლოს ილიას პოლემიკური წერილები საქართველოს ისტორიის საკითხებზე. წინამდებარე ნაშრომი კი, როგორც მკითხველი დარწმუნდება, რასაკვირველია, ამ მიზანს არ ისახავს.

*
* *

ილია ჭავჭავაძე, იბრძვის რა ზემოთ დასახელებულ ბურჟუაზიულ კალმოსანთა წინააღმდეგ, რომლებიც თავიანთი უხამსი ცილისწამებით ცდილობდნენ მოძმე სომეხ და ქართველ ხალხთა შორის ნაციონალური შუღლის გაღვივებას, წერს: „სწორედ ამ პირმოშვებულმა ფილოსოფოსებმა.., თორემ სად იყო ჩვენში ამ ორმოც-სამოცი წლის წინად ერთმანეთის ასეთი ათვალწუნება. ერთმანეთში არ ვირჩეოდით, და თუმცა სხვადასხვა მოდგმისანი და სარწმუნოებისანი ვიყავით, მაგრამ სომხობით ქართველის ძულებას და ქართველობით სომხებისას ჩვენში ადგილი არ ჰქონია ჩვენდა საერთო საბედნიეროდ და სასარგებლოდ“ [1].

მართლაც, ვიდრე კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების შედეგად ბურჟუაზია „მშობლიურ ბაზარზე“ ნაციონალიზმს არ ისწავლიდა, მანამდე სავსებით უცხო იყო ათეული საუკუნეებით განუყრელ მეზობლურ ურთიერთობაში შეზრდილი ორი მოძმე ხალხის—სომხების და ქართველების — ურთიერთ წასისიანება, რასაც აღვივებდა და ყოველმხრივ ხელს უწყობდა ცარიზმი. ილია სავსებით ასახავს ისტორიულ სინამდვილეს; როცა წერს, რომ სომხებსა და ქართველებს ერთმანეთი უყვარდათ, „ერთ-

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. II, 1941 წ. გამოც., გვ. 479.

მანეთში არ ვირჩეოდით“, ჭირსა და ლხინს ერთმანეთს ძმურად ვუზიარებდით.

სომეხთა და ქართველთა ისტორიულ მეგობრობას ილია თავის ნაშრომებში არაერთგზის ეხება და მათ შეერთებულ ბრძოლას კარზე მოსული საერთო მტრების წინააღმდეგ დიდის პატივისცემით იგონებს. ილია წერს: „ჩვენ კარგად ვიცით, რომ წინანდელი საქართველოს უძლურება დაიწყო იმ უბედურ დღეთაგან, როცა—კი პირქვე დაემხო სომხეთი—ეგ ჩვენი წინანდელი ზღუდე სამხრეთით. ჩვენ ჩრდილოეთით ვინახავდით სომხეთს და სომხები ჩვენ გვინახავდნენ სამხრეთით... საქართველოს რომ თათრობა მოსეოდა, ჯერ სომხეთი უნდა გადმოელახა, ამიტომ ჩვენნი უდიდესნი მეფენი და სამეფოს კაცნი არაფერს არა ჰზოგავდნენ, რომ ეშველნათ სომხეთისათვის, როცა კი გაუჭირდებოდათ. სამწუხაროდ, ზოგიერთს ჩვენს მეფეებს არ ესმოდათ—რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველებისათვის სომხეთის არსებობას“ [1]. ასე ნათლად და ობიექტურად აქვს ილიას წარმოდგენილი ორი, ისტორიულად მოძმე, ერის მეგობრული ურთიერთდახმარების მნიშვნელობა კარზე მოსული მტრების წინააღმდეგ. ილიას ის აშფოთებდა მხოლოდ, რომ „ამ გუნდს“ უნდოდა სომხებსა და ქართველებს შორის ეს ისტორიული ძმობა, მეზობლობა და სიყვარული შეეცვალა ერთა შორის შუღლითა და ბოროტი ზრახვებით.

ილია სომეხი ხალხის დიდი მოამაგე და გულშემატკივარი მოსარჩლეა და გაბედული დამცველიც ყოველგვარი იმპერიალისტური ჩაგვრისაგან. ცნობილია, რომ ილიას უკი-

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. II, გვ. 479.

დურესობამდე აღელვებდა ოსმალეთის ბარბაროსული დამოკიდებულება სომეხი ხალხისადმი. იგი ამაზე წერდა: „სად არის ის კაცთმოყვარეობა, რომელზედაც ასე უყვართ ხოლმე დაბჯინება პოლიტიკოსებს და დიპლომატებს და რომელიც მართლა რომ დედაბოძია იმისთანა ჩაგრული ერისათვის, როგორიც საწყალი სომხები არიან დღეს ოსმალეთში? ნუთუ... სომხები ოსმალოს უნდა მიეცეს შესაჭმელად, აქაო-და ცოტანი ხართ და ჩვენ ბევრნიო, და განათლებული ევროპა-კი უყურებდეს ამ უსამართლობას და იმით იწონებდეს თავს"[1]. კიდევ უფრო გულშემატკივრობით ესარჩლება ილია სომეხ ხალხს 1895 წ. 19 დეკემბრის სტატიაში—„ოსმალეთის სომეხთა განწირვა"[2] და სხვა რიგ სტატიებში. ილია ამით, და უამრავი სხვა მაგალითით, ნიღაბს გლეჯს ევროპის იმპერიალიზმს.

9. ილია ჩაგრული ერების მოსარჩლე იყო და ხალხთა ინტერნაციონალურ მეგობრობას ქადაგებდა

ილია ჭავჭავაძე მოელი თავისი შემოქმედებით განუყრელად იყო დაკავშირებული მშობლიურ საქართველოსთან, დედა სამშობლოსთან, მის წარსულთან და მზრუნველად ოცნებობდა მის დიად მომავალზე. ეს ფაქტი სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ილია თავისი შემოქმედებით ვიწრო ნაციონალურ ნაჭუჭში იყო ჩაკეტილი და საქართველოს ფარგლებს იქით და ქართველი ხალხის გარდა ვერაფერს ხედავდა, ვერავის ამჩნევდა.

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ნაწერების სრული კრებული., ტ. X, გვ. 172.
[2] იქვე, გვ. 174.

ილია ჭავჭავაძისათვის, როგორც დიდბუნებოვანი, მაღალ-ჰუმანური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დიდი მოღვაწისათვის, საესებით უცხო იყო ნაციონალური შეზღუდულობა.

ილია ჭავჭავაძე დიდი მასშტაბის მოღვაწე იყო. იგი თავდადებული მოსარჩლე იყო ყველა ჩაგრულთა, დაუნდობელი მოწინააღმდეგე მოძალადე მჩაგვრელებისა, დაღალავი ქადაგი ხალხთა თავისუფლების, თანასწორუფლებიანობის და ურთიერთ მეგობრობისა.

ილიას რწმენით, ესა თუ ის ერი, ეროვნება, დიდია ის თუ პატარა, ქრისტიანი თუ მაჰმადიანი, სულერთია, მოკრძალებული პატივისცემის ღირსია. ილია ჭავჭავაძე ჩაგრული მცირე ერების დიდი მოსარჩლე-მესაიდუმლე იყო. იგი აქტიურად იბრძოდა ხალხთა იმპერიალისტური დამონების წინააღმდეგ, მუდამ კიცხავდა კაპიტალისტური სახელმწიფოების მილიტარისტულ აღვირახსნილობას[1]; ამდენად შეიძლება ითქვას, რომ ილია ჭავჭავაძე პროგრესულ-განმათავისუფლებელი მაღალი იდეების ბრძოლის ასპარეზზე საქართველოს მცირე ფარგლებს დიდად სცილდებოდა და იგი კაცობრიობის ჩაგრულ მასებს, ჩაგრულ ერებს, გაბედულ მოსარჩლედ და გულითად მესაიდუმლედ ევლინებოდა.

ილია წერდა: „ერი, როგორც კრებული ისტორიით შედუღებულ ერთ-სულ და ერთ-ხორც მკვიდრთა, ყოველ პატიოსნისა და

---

[1] ეს საკითხი ყოველმხრივაა გაშუქებული გ. ჯიბლაძის ნაშრომში: „კრიტიკული ეტიუდები“, 1950 წ., გვ. 227 – 268: „გერმანიის მილიტარიზმის კრიტიკა ი. ჭავჭავაძის პუბლიცისტიკაში.“

ჭკუათ-მყოფელ ადამიანისაგან უნდა პატივცემულ იყოს ყოველ შემთხვევაში და მისი ასე თუ ისე გაუპატიურება, ავად ხსენება—დიდად სათაკილო საქციელია. ყოველს ერს თავისი საკუთარი სახე აქვს, თავისი საკუთარი გულთა-თქმა, თავისი წადილები, თავისი სულთა-სწრაფვა, თავისი ღირსება. ამაების შეგინება ერთი იმისთანა სიბრიყვეა, რომელიც გონებაგახსნილს ადამიანს არ ეპატიება, არ შეენდობა"[1]. ილია ყველა ეროვნების, დიდისა თუ პატარასი, გულწრფელი პატივის მცემელია, ამას, სხვა მრავალთა შორის, ყველაზე უფრო ნათლად ადასტურებს ილიას წერილი: „დავით აღმაშენებელი". ამ წერილში ილია დავით აღმაშენებლის დიდ ღვაწლს მარტო იმაში კი არ ხედავს, რომ „დიდებულმა მეფემ ერთად მოუყარა თავი ქართველობას; აოხრებული ქვეყანა ააშენა, მტერი გაუფრთხო" და სხვ., არამედ დავითის დიდბუნებოვანობას ილია ხედავს სწორედ იმაში, რომ იგი „თავის ეროვნებასა და სარწმუნოებასთან ერთად დიდი პატივისმცემელი იყო სხვისი ეროვნებისა და სარწმუნოებისა"[2]. ილიას დიდად მოსწონს სხვა ერის ღირსების თაყვანისმცემელი დავით აღმაშენებელი და ამბობს: „ამისთანა კაცთმოყვარული პატივისცემა სხვა ეროვნების, სხვის სარწმუნოებისა, ნუთუ საკვირველი და საოცარი მა გალითი არ არის მეთორმეტე საუკუნის კაცისაგან". ასაბუ-

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. II, გვ. 418—419 (ხაზი ჩვენია ა. ი).

[2] ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებ., ტ. V, გვ. 209.

თებს რა დავით აღმაშენებლის დიდბუნებოვნობას და ზრუნვას სხვა ერების ინტერესებისა და სარწმუნოებისათვის, ილია მარტო ქართულ ისტორიულ წყაროებს კი არ ემყარება, იგი თავის შეხედულებას თვით სომეხ და მაჰმადიან ისტორიკოსთა პირველ წყაროებითაც ამტკიცებს. ილიას მოჰყავს სომეხი ისტორიკოსის მათე ედესელის აზრი ამ საკითხზე: „დავითმა დააფუძნა საქართველოში ქალაქი კორი (გორი), სადაც მრავალი ეკლესია და მონასტერი ააშენა. მიაგო ჩვენს ნათესავს ყველაფერი ნუგეშისცემა და შვება"[1]. დავით აღმაშენებელი ასე ექცეოდა სომხებს, რომლებიც ქრისტიანები იყვნენ, მაგრამ ილიას განსაკუთრებით მოსწონდა „დიდბუნებოვანი კაცთმოყვარეობა დავით მეფისა, მაჰმადიანობასაც რომ მიეფინა"[2]. აქვე მაჰმადიანი მწერლის ალპინის ცნობებზე დაყრდნობით ილია წერს: „დავითს სთხოვეს მუსულმანებმა, რომ ქრისტიანეთ არ ქონოდათ ნება მუსულმანებთან ერთად შესვლისა აბანოში და აღეკრძალნა გიაურებისათვის მათი ავად ხსენება, დავითმა ყოველივე ეს თხოვნა აუსრულა... მან ააშენა უცხო ტომთათვის ქარვასლები და სადგომი სახლები მოქადაგეთა, სუფიებთა და პოეტთათვის, რომლებთაც ულუფას უნიშნავდა"[3].

დავით აღმაშენებელი ასეთ დიდსულოვნებას სწორედ მაშინ იჩენდა, „როცა ძლევამოსილი იგი მეფე სრულად გაბატონდა თავის ქვეყანაში და ამისთანა პატიო-

---

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებ., ტ. V, გვ. 210.

[2] იქვე,

[3] იქვე, გვ. 211.

სანი და განათლებული ქცევა მარტო მის დიდბუნებოვან გულს და გონებას უნდა მიეწეროს და არაფერს სხვას"[1]. მოყვანილი მაგალითები თავისთავად, ყოველგვარი კომენტარიების გარეშე ნათლად მეტყველებენ იმაზე, თუ რა სათუთად და რა დიდი პატივისცემით არის ილია განწყობილი ყველა არაქართველ ხალხთა ეროვნული გრძნობის, კულტურის, თვითშემეცნებისა და სარწმუნოებისადმი და რა დიდებით იხსენიებს დავით აღმაშენებელს იმისათვის, რომ ძლევამოსილ მეფეს არ შეურაცხყვია რომელიმე ერის „ეროვნული მე", რომელ ერთანაც კი რაიმე ურთიერთობა ჰქონია, განურჩევლად იმისა, ქრისტიანი იყო იგი, თუ მაჰმადიანი. სრულიად სამართლიანად მიუთითებს აკად. ივანე ჯავახიშვილი, რომ „ილ. ჭავჭავაძეს საქართველოს პოლიტიკურ მოღვაწეთა ნამოქმედარში მარტო პოლიტიკური მხარე კი არა, არამედ ამ მოღვაწეების უფრო მეტად კულტურის გეზი, სხვა ერთა ღირსებისა და უფლების პატივისცემა იზიდავდა"[2].

ილია კარგად ხედავდა და ღრმადაც განიცდიდა საქართველოს მძაფრ კოლონიზატორულ ეროვნულ ჩაგვრას ცარიზმის მხრივ, ამავე დროს იგი ევროპისა და აზიის ერების, იმპერიალისტური სახელმწიფოების მიერ ულმობელი ჩაგვრის და ეკონომიური ძარცვაგლეჯის მოწამეც იყო. ილია ამაღელვებლად და მოხდენილი ფერებით აღწერს ინგლისის თავაწყვეტილ იმპერიალისტურ თარეშს მსოფლიოს მთელ რიგ დიდსა და პა-

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებ., ტ. V, გვ. 210.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია, გვ. 11.

ტარა სახელმწიფოებში. მაგ., ინგლისის მიერ პორტუგალიის დაპყრობის პოლიტიკაზე ილია არაჩვეულებრივი გულშემატკივრობით წერს: „ღონიერი და ძლიერი ინგლისი რად იკადრებდა სამართალს, როცა მოპირდაპირედ ულონო და პატარა პორტუგალია უდგა. საცა ერთის მხრით პირდაღებული ვეშაპია და მეორეს მხრივ—მობუზული კრავი, იქ, ახლანდელს დროში, სამართალს დაეკითხებაღა ვინმე?"[1]. კიდევ უფრო თავგამოდებით ესარჩლება ილია ირლანდიას, რომ იგი დაიცვას ინგლისის ბრჭყალებისაგან. ილია გამოდის სტატიების მთელი სერიით „ინგლის-ირლანდიის ურთიერთობის გარშემო"[2]. ილიას აღელვებს ევროპის ძლიერ სახელმწიფოთა მილიტარიზმი. ეს აშკარად ჩანს ილიას წერილებში: „ევროპის დიდი და პატარა ონავრები", „მილიტარობა ევროპაში", „ისევ ევროპის მილიტარიზმის შესახებ" და სხვ.[3] არა ნაკლებ ყურადღებას აქცევს ილია აღმოსავლეთის ამბებს. თავის სტატიაში „აზია წინად და ეხლა" ილია წერს: „აზია, რომელიც ერთს დროს მამამთავარი იყო ცივილიზაციისა, და რომელსაც დღესაც ევროპის მეცნიერნი ცივილიზაციის აკვნად ჰხადიან, დიდი ხანია ჩრდილშია მიმდგარი, და ეხლა თუ ვინმე ახსენებს,—ან იმისათვის, რომ როგორ და რა გზით გამოვყოვო მისი ხელუხლები სიმდიდრეო, ან იმისათვის, რომ ხელთ იგდოს მისი რომელიმე მხარე და ყურმოჭრილ ყმად იყმოს... ისევ—რასაკვირველია,—გამოსაწოებლად და მოსაწველად"[4].

---

[1] ი. ჭავჭავაძის ნაწერების სრული კრებ., ტ. X, გვ. 53.
[2] იქ ე. გ:. 233—248.
[3] იქვე. გვ. 51—66.
[4] იქ , გვ. 71.

ამ პატარა წერილში ილიას ამომწურავად და მოხდენილად აქვს გადმოცემული აზიისადმი იმპერიალისტურად განწყობილი ევროპის მისწრაფებანი და ზრახვანი გასული საუკუნის მთელ განძილზე; აქვე ნათლად ჩანს, რომ ილიას მთელი სიმპათიები და კეთილი ზრახვები აზიის დაჩაგრული ხალხების მხარეზეა და რომ იგი ზიზღითა და სიძულვილითაა განწყობილი თავდამსხმელი ევროპელი იმპერიალისტებისადმი. ილია აქტიური მოწინააღმდეგეა ყოველგვარი ეროვნული ჩაგვრისა და დაპყრობის, თავგამოდებული მოსარჩლე და დამცველი ჩაგრული ერებისა; ის პატარა და ჩაგრული ერების დიდი მესაიდუმლეა.

ილია აღშფოთებულია გერმანელების მიერ პრუსიიდან პოლონელების განდევნით და მძაფრად ჰკიცხავს ბისმარკის ასეთ ულმობელ პოლიტიკას[1]. ილია ინტერნაციონალური კაცთმოყვარეობითა და ეროვნებათა პატივისცემითაა გამსჭვალული, როგორც ეს დიდ დემოკრატ-ჰუმანისტს შეშვენის.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ ილია ისტორიულად ჩაგრული ებრაელების უაღრესად გულშემატკივარი მოსარჩლეა. ილია წერს: „არც ერთ ერს არ გამოუვლია იმდენი სატანჯველი და წამება, რამდენიც ებრაელთა ერს თავს გადაჰხედია. ამ ოდესღაც დიდებულ და სახელგანთქმულ ერს ბედმა ხელიდან გამოსტაცა სამშობლო და თვითმყოფელობა და გააბნია იგი მთელს დედამიწის ზურგზე... აბა რომელი საბუთი არ უხმარიათ და ხელზე არ დაუხვევიათ ებრაელთა სადევნელად და საწვალებლად? არ მოიპოება ისეთი ისტორიული უსამართლობა, რომელსაც ებრაე-

[1] ი. ჭავჭავაძის ნაწერების სრული კრებ., ტ. X, გვ. 281—287.

ლები არ დაეჩაგროს, ეს იყო წინათ შორეულ ისტორიის მთელს მანძილზე, იქნება ამას ბოლო მოეღო ეხლანდელ განათლებულ საზოგადოებაში, რომლის დევიზია „ძმობა, ერთობა, თანასწორობა?“ მაგრამ, არა,—უპასუხებს ილია,—ეხლაც-კი, როდესაც ეგოდენ ჰღაღადებენ კაცთმოყვარეობაზე... სდევნიან იმათ იქაც კი, სადაც თითქმის ადგილი არ უნდა ჰქონდეს სიძულვილსა და დაუნდობლობას. ეს რამდენი ხანია ევროპაში არსებობს ეგრეთ წოდებული ანტისემიტური, ე. ი. ებრაელთა მოწინააღმდეგე მოძრაობა, რომელიც ცდილობს რაც შეიძლება მეტად შეავიწროოს და დაჩაგროს ებრაელნი“[1]. ასეთი დიდი მოამაგეა ილია ყველა ჩაგრული ეროვნებისა და ასევე დიდი მოსარჩლე და მესაიდუმლეი ყველა ტანჯული ხალხისა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ რა საცოდავად და სასაცილოდ გამოიყურება ბურჟუაზიულ კალმოსანთა და მათი მაჩანჩალა მენშევიკური და დაშნაკური პრესის ყალბი, დრომოჭმული და ღვარძლიანი ცილისწამება იმის შესახებ, რომ დიდი ჰუმანისტი, ჩაგრული ერების თავგამოდებული მოსარჩლე და ერებს შორის ძმობის, სიყვარულის და თანასწორობის დაუღალავი მქადაგებელი ილია ჭავჭავაძე, თითქოს ეროვნული შუღლის გაღვივების, შოვინიზმისა და ნაციონალიზმის მედროშე ყოფილიყოს. ამგვარი უმართებულო შეხედულება დღეს, რა-საკვირველია, დაგმობილია.

ი. ჭავჭავაძის უკვდავი სახელისათვის ჩრდილის მიყენების მიზნით, ქართველი ხალხის მოღალატე მენშევიკები და მათი მიმყოლი ქართველი ნაციონალ-უკლონის-

[1] ი. ჭავჭავაძის ნაწერების სრული კრებ., ტ. VII, გვ. 307—308.

ტები, აგრეთვე სომეხი ხალხის მოსისხლე მტრები—დაშნაკები, აყალბებდნენ დიდი ქართველი პოეტის შეხედულებებს სომეხ-ქართველთა ისტორიული მეგობრობისა და ურთიერთ ძმური დამოკიდებულების შესახებ. მათი სურვილი იყო დაეთესათ და გაეღვივებინათ შუღლი და მტრობა ორ მოძმე ხალხს შორის.

ქართველი და სომეხი ხალხების მოსისხლე მტრები ჩირქს სცხებდნენ დიდი ილიას ნათელ გენიას, ყალბად წარმოგვიდგენდნენ მის ჰუმანურ აზრებს მოძმე ხალხთა დაახლოებისა და თანამშრომლობის შესახებ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ქართველ ნაციონალ-უკლონისტების სამარცხვინო როლი ილია ჭავჭავაძის მხატვრული მემკვიდრეობის და მოწინავე შეხედულებების გაყალბებისა და გაბიაბრუების საქმეში. მათ სრულიად უმართებულოდ მიაწერეს ილიას სომეხ-ქართველთა შორის საძმათაშორისო მტრობისა და სიძულვილის მოქადაგის სახელი. ამას ქართველი ნაციონალ-უკლონისტები შეგნებულად ჩადიოდნენ, რათა მიეჩქმალათ და შეენიღბათ თავიანთი ბოროტი ნაციონალისტური ზრახვები.

ბოლშევიკური პარტია და ბოლშევიკური პრესა, წინააღმდეგ ცარიზმის, მენშევიკების, დაშნაკების და ნაციონალ-უკლონისტებისა, მუდამ ჭეშმარიტსა და ნამდვილ ᲬᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚ-ობიექტურ დამოკიდებულებას იჩენდა ი. ჭავჭავაძის პიროვნების, მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შეფასების დროს.

ი. ჭავჭავაძის ლიტერატურული მემკვიდრეობის და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ღირსეული და ყოველმხრივი დაფასება შესაძლებელი გახდა მხოლოდ საბ-

ჭოთა ხელისუფლების დროს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საქართველოს და ამიერკავკასიის ბოლშევიკებს სათავეში ამხანაგი ლ. ბერია ჩაუდგა. ამხანაგი ლ. ბერიას ხელმძღვანელობით საბოლოოდ განადგურებულ იქნა ხალხის მტრები, აღმოფხვრილ იქნა მათივე მტრული, უცხო იდეოლოგიური გავლენებიც. დაიწყო ამიერკავკასიის ხალხების დიდი სამეურნეო და უჩვეულო კულტურული აღორძინების შესანიშნავი პერიოდი.

ლ. ბერიას ხელმძღვანელობით მკვიდრი საფუძველი ჩაეყარა ჩვენი მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობის მეცნიერულად ათვისების საქმეს. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ი. ჭავჭავაძეს, როგორც ქართული კლასიკური მწერლობისა და საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწეს.

საქართველოს კ პ (ბ) X ყრილობაზე ლ. ბერია აღნიშნავდა: „პარტიამ უდიდესი მუშაობა ჩაატარა ჩ ვ ე ნ ი კ ლ ა ს ი კ ო ს ე ბ ი ს ფრიად მდიდარი ლიტერატურული მ ე მ კ ვ ი დ რ ე ო ბ ი ს ასათვისებლად“[1].

ლ. ბერიას ინიციატივით საქართველოში დიდი ზეიმით აღინიშნა ი. ჭავჭავაძის დაბადებიდან 100 წლისთავის იუბილე. გაზ. „პრავდა“ ი. ჭავჭავაძეს ახასიათებს, როგორც „საქართველოს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის უაღრესად პოპულარულ საზოგადო მოღვაწეს“. ლ. ბერია საქართველოს კ პ (ბ) XI ყრილობაზე საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ ქართველმა ხალხმა იდღესასწაულა „საქართველოს

---

[1] ლ. ბ ე რ ი ა, საქართველოს კ პ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ანგარიში საქ. კ პ (ბ) X ყრილობაზე 1937 წ., გვ. 66.

ლიტერატურის უდიდესი კლასიკოსის და მე-19 საუკუნეში ქართველი ხალხის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწის—ილია ჭავჭავაძის იუბილე"[1].

ამრიგად, ბოლშევიკური პარტიის და პირადად ლ. ბერიას უშუალო მითითებებით ბატკიცე საძირკველი ჩაეყარა ქართული კლასიკური მწერლობის და, კერძოდ, ი. ჭავჭავაძის ლიტერატურული მემკვიდრეობისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მეცნიერულად ათვისების საქმეს. ამ ღონისძიებების გატარების შედეგად ბოლო მოეღო ილია ჭავჭავაძის შემოქმედებითი მემკვიდრეობის ფალსიფიკაციას ვულგარულ-სოციოლოგიური „კრიტიკის" წარმოჩადგენელთა მხრივ.

დღეს ჩვენს სინამდვილეში შექმნილია ყველა პირობა იმისათვის, რომ მეცნიერული მიუდგომლობით, სწორად და ღირსეულად შეფასდეს ი. ჭავჭავაძის მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა და მისი ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობა.

10. ილია ჭავჭავაძის ბრძოლა საქართველოს ისტორიის ნიჰილისტ გამყალბებელთა წინააღმდეგ

„ნაციონალური ნიჰილიზმი მხოლოდ ვნებს სოციალიზმის საქმეს და ხელს უწყობს ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს"[2].

ი. სტალინი

გასული საუკუნის 80-იან წლებიდან თავი იჩინეს და პრესაში გზა გაიკაფეს საქართველოს ისტორიასა და

---

[1] საქ. კ პ (ბ) XI ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 61.
[2] ი. სტალინი, თხზულებანი ტ. 4, გვ. 99.

ქართული კულტურის ძირითად საკითხებზე ნიჰილისტურმა შეხედულებებმა.

საქართველოს ისტორიის და ქართული კულტურის ისტორიის პრობლემებისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულებით, როგორც ქართულ, ასევე რუსულ პრესაში თავი გამოიჩინეს ანტიპატრიოტულად განწყობილმა, „თვის ტომის დამვიწყებელ'ძა", თითო-ოროლა ქართველმა „მეცნიერმა". ამ მხრივ დამახასიათებელია და ყურადღებას იპყრობს ზ. ჭიჭინაძის და ივ. ჯაბადარის მიუტევებელი საქციელი. ესენი თავიანთი ნაწერებით სახელს უტეხდნენ ქართველ ხალხს, აყალბებდნენ მის ისტორიას, მწერლობას და სხვ., რითაც ცარიზმის წინააღმდეგ მიმართულ საქართველოს ნაციონალურ-რევოლუციურ ბრძოლას შინაარსს უკარგავდნენ.

ქართული კულტურისადმი ნიჰილისტურად განწყობილ მწერალთა წინააღმდეგ ბრძოლას ილია გადაუდებელ ამოცანად მიიჩნევს, მით უმეტეს, რომ მას შესანიშნავად ჰქონდა შეგნებული ამ ნიჰილიზმის რეაქციული ბუნება და მისი გავლენის მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები ახალ თაობაზე, თუ ეს მავნე მიმართულება ისე არ დასამარდებოდა, რომ მიმდევარ-მიმბაძველები აღარ გამოსჩენოდა. ამიტომ ჩვენ საკვლევით ბუნებრივად მიგვაჩნია, როცა ილია უკანასკნელთ უფრო მძაფრად ამხელს, ვიდრე სომეხთა „მეცნიერებს" დამართა მსგავსი საქციელისათვის. ამ მოსაზრების ილუსტრაციისათვის ჩვენ ძირითადად ილია ჭავჭავაძის ორ ნაშრომს ვეყრდნობით. პირველია წერილი „სანდალას წიგნის გამო", რომელიც შეთავსებული იყო გაზ. „ივერიაში" (1888 წ., № 193) მეთაურის სახით, ხოლო მეორე,—„Письма о Грузии"-ს ავტორის საპასუხო „აი ისტორია", რო-

მელიც პირველად 1889 წელს გამოქვეყნდა ვრცელი წერილების სახით გაზ. „ივერიის“ ფურცლებზე.

11. კრიტიკული დამოკიდებულება ეროვნულ-კულტურულ მემკვიდრეობისადმი და ბრძოლა ნიჰილისტურ-უარმყოფელობის წინააღმდეგ

„ყოველგან, საცა კი ისტორიის ღირსი ერი თავისითა სცხოვრებს, ორნაირი წყობაა აზრისა და ეგ ორნაირი წყობა აზრისა შეადგენს ცხოვრების მდინარეობასა. ერთი ეს წყობაა, როგელიც ცხოვრებას უკვე აღმოუჩენია, დაუდგენია და დღეს მოქმედებს, მეორე ის—რასაც დღევანდელი დღე თხოულობს და საჭიროებს. ამ ორთა წყობათა მოქმედება დაუძინარია და მუდამ... თითონ კაცობრიობის ისტორიაც სხვა არა არის-რა, გარდა ამნაირად ფეხის გადანაცვლებისა“[1].

ილია ჭავჭავაძე

რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული მწერლების მძაფრმა ბრძოლამ ცარიზმის ბიუროკრატიული რეჟიმის და მისი რეაქციულ-კონსერვატიული იდეოლოგიის წინააღმდეგ 70-იან წლებში გარკვეული ხასიათი მიიღო.

გამძაფრდა ბრძოლა დრომოჭმულსა და ახალს შორის, რამაც თავისი გამოვლინება ჰპოვა „მამებსა და შვილებს“ შორის ატეხილ დავაში. „შვილების“ ერთი ნაწილი „მამების“ წინააღმდეგ ბრძოლაში უარმყოფელობის გზას დაადგა. ამ უარმყოფელობის საფუძვლის ჩამყრელი იყო გამოჩენილი მოაზროვნე და მწერალი პისარევი. „ნიჰილისტურმა“ მიმართულებამ გარკვეული გამოხატულება ჰპოვა საქართველოს სინამდვილეშიაც.

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებ., ტ. VI, გვ. 120.

ი. ჭავჭავაძემ უახლოესი მონაწილეობა მიიღო ამ დავაში და განსაზღვრა ის ამოცანები და გზები, რომელთა საფუძველზედაც უნდა წარმართულიყო ჩვენში „მამა-შვილთა“ შორის ატეხილი ბრძოლა. ილიას აზრით, საჭირო იყო ეს ბრძოლა საქართველოში ცარიზმის კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ წარმართულიყო და იგი დაქვემდებარებოდა ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძირითად ამოცანებს.

1881 წ. შინაურ მიმოხილვაში ილია ეხება რუსეთში აღმოცენებულ და გამძაფრებულ ბრძოლას „მამებსა და შვილებს“ შორის. იგი წერს: „რუსეთი გაიყო ორ დიდ ბანაკად: ერთში მოექცნენ ძველის, არსებულის მომხრენი, მეორეში ძველის უარმყოფელნი და ახალის მესვეურნი. პირველს ბანაკს დაერქვა „მამების ბანაკი“, მეორეს— „შვილებისა“[1]. ილია აქვე შვილების საქციელის შესახებ ამბობს: „შედგა „შვილების“ ბანაკიც მარტო უარყოფაზედ და მესვეურობა ახლისა უკან კუთხეში მიაგდო“[2].

ილია არსებითად ამართლებს „შვილების“ ბრძოლას „მამების“ წინააღმდეგ რუსეთის სინამდვილეში, რადგან რუსეთში „მამები“ ყოველად რეაქციულ და კონსერვატულ ბანაკში მოკალათდნენ; მაგრამ ილიას აზრით ეგევე არ ითქმის კოლონიურ მდგომარეობაში მყოფ დაჩაგრულ საქართველოს შესახებ. ილიას შეხედულებით,—„რუსეთში სულ სხვასა ვხედავთ. აქ „მამებმა“ ისე გაიწიეს, რომ ყველაფერს ძველს გამოესარჩლენ ავისა და კარგის გაურჩევლად და ყველაფერს ახალს დაუწყეს ძაგება და დევნა... ამისი მაგალითი „Русский Вестник“-ია და „Мос-

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებ., ტ. VI, გვ. 119.
[2] იქვე, გვ. 123.

ковские Ведомости“,—ეგ ორი უპირველესი ფალავანი „მამებისა“[1].

ამრიგად, „მამები“ რუსეთის სინამდვილეში გვევლინებიან ცარიზმის შავრაზმული რეაქციის უერთგულეს დამცველებად, ისინი ებღაუჭებიან ყოველგვარ დრომოჭმულს და ხელს უშლიან საზოგადოებრივ წინსვლას. „მამების“ ამ რეაქციულმა მოქმედებამ აღაგზნო „შვილები“ საბრძოლველად და მათი ერთი ნაწილი დააყენა უარმყოფელობის გზაზე. ილია წერს: „ეგრეთმა წყალგალმა გაბიჯებამ „მამებისამ“... გააგულისა „შვილები“. ამან გააფიცხა. გაამწვავა და გააკაპასა „მამებისა და და შვილებს“ შორის ბრძოლა და „შვილების“ ბანაკი იქამდინ მიიყვანა, რომ უარაყოფინა არამც თუ მარტო ის, რაც ღირსი იყო უარყოფისა, არამედ ზოგიერთი იმისთანაც, რომლის უარყოფისათვის წამოწითლდება სირცხვილ-მორეული ეხლანდელი ჭეშმარიტი ლიბერალი რუსეთისა“[2].

ამრიგად, ილია „მამებს“ ადანაშაულებს იმაშიც კი, რომ „შვილები“ უკიდურესობაში მოექცნენ და „მამებთან“ ბრძოლაში ზოგი რამ შესცოდეს კიდეც. ამგვარი ვითარების შედეგად, ი. ჭავჭავაძის აზრით, „უარყოფა დიდ მოდაში შემოვიდა“.

„უარმყოფელობისათვის“ ორიოდე ფრაზა იყო საჭირო. ერთი ის, რომ პოეზია, და ერთობ ხელოვნება, რა ჭკვიანი კაცის საქმეა... მეორე—ავტორიტეტები არ მწამს; მესამე — ისტორია ზღაპარიაო; და მეოთხე — ქვეყანაზედ მარტო გლეხკაცია ადამიანი“[3] და სხვ.

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ნაწერების სრული კრებ., ტ. VI, გვ. 122.
[2] იქვე, გვ. 123.
[3] იქვე, გვ. 124.

ილია ეხება რა რუსეთის სინამდვილეში გაჩაღებულ ამ დავის საფუძვლებს, კატეგორიულად ებრძვის მათ, ვინც ცდილობდა მისი ხელაღებით და მექანიკურად გადმოტანას საქართველოში და არავითარ ანგარიშს არ უწევდა საქართველოს მაშინდელ ვითარებას; არ ითვალისწინებდა იმას, რომ საქართველო დაჩაგრული იყო ცარიზმის მიერ, რომ ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა იმ დროს მკვეთრად უპირისპირდებოდა ცარიზმს და იზიდავდა ხალხის მოწინავე ფენებს.

ილია წერს: „თუმცა მამების და შვილების“ ბრძოლამ რუსეთში ბრმად აიყოლია ჩვენებური ყმაწვილ-კაცობა... მაგრამ ჩვენის ყმაწვილ-კაცობის სასახელოდ ესეც უნდა ვსთქვათ, რომ მათგანმა თითოოროლამ გამოინაპირა და თავისი შეცდომა მალე იცნო... მას აქეთ ჩვენშიაც ყმაწვილ-კაცობა ორ ბანაკად გაიკო... პირველებმა დაიხვიეს ხელზედ რუსეთის „მამა-შვილობა“, ენაზე დაიკერეს ზემოთმოყვანილი ოთხი ფრაზა და დღეს-აქამომდე აწიოწოს იძახიან და იოლად მიდიან. მეორეები კი დააკვირდნენ ჩვენის ქვეყნის ვითარებასა და ნახეს, რომ ჩვენ ქვეყანას სულ სხვა ტკივილი აქვს, სულ სხვა ფათერაკი სდევს... და ბრძოლის საგნად ის „სხვა რამე“ უნდა ყოფილიყო და „მამებსა და შვილებს“ შუა მიჯნად დადებულიყო. ის სხვა რამე იყო—ჩვენის დაცემულის ვინაობის აღდგენა, ფეხზე დაყენება და დაცვა ყოველის მოსალოდნელ ფათერაკისაგან[1]. აი როგორ განსაზღვრა და ჩამოაყალიბა ილიამ ამ ბრძოლის ამოცანები საქართველოს სინამდვილეში, როგორ დაუკავ-

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებ., ტ. VI, გვ. 126—127 (ხაზი ჩვენია. ა. ი.).

შირა იგი საქართველოს მაშინდელ მდგომარეობას, განსხვავებით რუსეთისა, და ბრძოლის უმთავრეს დევიზად საქართველოს „დაცემული ვინაობის აღდგენა და ფეხზე დაყენება“ მიიჩნია, ე. ი. ეს ბრძოლა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სფეროში გადაიტანა და მას დაუმორჩილა. ილია მკაცრად უპირისპირდება იმათ, ვინც ფიქრობდა საქართველოს მაშინდელი სპეციფიკური მდგომარეობის ანგარიშგაუწეელად, მექანიკურად გადმოეღოთ ეს ბრძოლა რუსეთიდან ჩვენში. ილია წერს: „დეე ოთხფრაზიანმა ლიბერალებმა ეგრე იფიქრონ, ჩვენ კი ამას ვიტყვით, რომ ეგ მიმართულება იქნება ახალი იმ დრომდე, მინამ ჩვენი ვინაობა თავის შესაფერს და კუთვნილს ადგილს არ დაიჭერს ჩვენს ცხოვრებაში და საზოგადო საქმეთა სათავეში არ მოექცევა... სულ ყოველისფერი ჩვენს ვინაობის საქმეს უნდა შევურჩიოთ, ქვეშ დავუყენოთ. სკოლაა, ბანკია, თუ თეატრი, ყველაფერს სულ მაგისაკენ უნდა მივუბრუნოთ თავი“[1].

ამრიგად, ილია ცდილობს გამოარკვიოს, ახსნას და ხაზგასმითაც აღნიშნოს განსხვავება „მამებსა და შვილებს“ შორის ატეხილი ამ ბრძოლის შინაარსისა და დანიშნულებისა რუსეთისა და საქართველოსათვის; ილია, როგორც ვრწმუნდებით, ასაბუთებს, რომ ადგილობრივი პირობების შეუფარდებლად, მექანიკურად გადმოტანა ამ ბრძოლისა ქართულ ნიადაგზე, ყოვლად დაუშვებელია. თუ ეს ბრძოლა პროგრესული მოვლენაა რუსეთისათვის, იგი იმავე ფორმით მიუღებელია და შეუწყნარებელი საქართველოსათვის. ილიას აზრით, რაკი ქართველობას ბრძოლის საგნად თავისი „დაცემული

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებ., ტ. VI, გვ. 128.

ვინაობის აღდგენა“ უნდა მიეჩნია, — ამიტომ ყველა, ვინც საქართველოს ეროვნული კულტურის ნიჰილისტურ უარმყოფელობის გზას დაადგებოდა ჩვენში, ობიექტურად ხელს შეუშლიდა ქართველი ხალხის ბრძოლას ცარიზმის კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ და დაეხმარებოდა რეაქციას, მაშინ, როდესაც ეს ბრძოლა რუსეთში რეაქციასა და ცარიზმს უპირისპირდებოდა. ამრიგად ირკვევა, რომ ი. ჭავჭავაძემ არსებითად იმთავითვე სწორი პოზიცია შეიმუშავა ამ ბრძოლაში. ამიტომ შემთხვევითი არაა ის ფაქტი, რომ 1885-ან წლებიდან საქართველოში გაცხოველებულ ნიჰილისტურ-უარმყოფელობით მიმართულებას ი. ჭავჭავაძე დაუპირისპირდა სასტიკი და გამანადგურებელი კრიტიკით[1].

ამჯერად ჩვენს ყურადღებას იპყრობს, როგორც მაგალითი, ი. ჭავჭავაძის გალაშქრება სანდალას წინააღმდეგ.

1. ილია ჭავჭავაძე „სანდალას წიგნის გამო“

უმადური სანდალა ყოვლად უხეშად და უმართებულოდ წერდა, რომ ქართული მწერლობა, ქართველი გამოჩენილი მოღვაწეები, მეცნიერები და მოაზროვნეები, დაწყებული რუსთაველიდან, გათავებული ბესიკით, ნ. ბარათაშვილით, ორბელიანებით, ერისთავით, ჭავჭავაძეებით და სხვა, თითქო „ერთხელაც არ შეჰხებიან თავიანთ თანამედროვე ქართულ დაბალი ხალხის ცხოვრებას“[2], — ამიტომ მათი ლიტერატურული ნამოღვაწარი ჩალის ფასადაც კი არა ღირსო. სანდალას ტენდენციუ-

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ნაწ. სრული კრებ., ტ. IX, გვ. 87—107 და სხვ.
[2] ს ა ნ დ ა ლ ა, წერილები ქართველ მწერლებზე, 1868 წ., გვ. 6.

რობა იქამდე მიდიოდა, რომ 80-ან წლებში ქართველ განმანათლებელთა თაოსნობით გაძლიერებული ეროვნული პრესა, ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მთელი საქმიანობა, ქართული ეროვნული თეატრისა და დრამატიული საზოგადოების უმწიკვლო მოღვაწეობა და მსგ ვსი სხვა ღირსშესანიშნავი ეროვნული წამოწყებანი, თითქოს მხოლოდ თავადაზნაურობის ვიწრო ინტერესებს ემსახურებოდა და არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა ქართველი ხალხისათვის, გლეხკაცობისა და მოსახლეობის დანარჩენ უმრავლესობისათვის[1].

უკიდურესობამდე აღმაშფოთებელია, როცა ამგვარად განწყობილი სანდალა ეხება ძველსა და ახალ ქართულ მწერლობას. იგი ცუდად იხსენიებს „თერგდალეულებს"[2], ი. ვოგებაშვილს და ი. ჭავჭავაძეს ბატონყმობის დამცველად აცხადებს[3]. აგინებს გ. ერისთავს და გულდაწყვეტილი წერს, რომ „მის პიესებს დღესაც კი სდგამენო"[4]. დიდ გენიოსს ნ. ბარათაშვილს ცრუ იდეალისტს უწოდებს და იმითია კმაყოფილი, რომ „ამ მუხანათობის ცრუ იდეალისტს დიდი ხანი არ დასცალდა და ადრე გარდაიცვალაო"[5]. ჩვენ წინააღმდეგი ვართო ბესიკის, გ. ორბელიანის და სხვ., რადგან მათი ლექსები მკვდარი და უსაგნოა"-ო,—დიდის რიხით წერდა სანდალა[6].

---

[1] სანდალა, წერილები ქართველ მწერლებზე. 1883 წ., გვ. 7—8.
[2] იქვე, გვ. 5.
[3] იქვე, გვ. 11.
[4] იქვე, გვ. 16.
[5] იქვე, 6, 17, 29.
[6] იქვე, გვ 40.

სანდალამ ქართულ მწერლობაში ხოტბის ღირსად მხოლოდ დ. ჭონქაძე სცნო და მას გვერდით ამოუყენა ნიკო ინაშვილი[1]. დანარჩენი მოღვაწეები კი ლანძღვა-გინებით მიწასთან გაასწორა.

სანდალა დასცინის იმათ, ვინც ფიქრობს, რომ ვეფ-ხისტყაოსანი რომ არ გვქონოდა, მაშინ ქართული მწერ-ლობა თავის სიდიადეს ამ სახით ვერ გამოავლენდა და სხვა[2]. იგი ამ გზით ყოველგვარი უხერხულობის გარეშე თავხედურად ასკვნის: „ჩვენს მელექსეებს სულაც უარ-ვყოფთ და არაფერს მნიშვნელობას არ ვაძლევთო“[3].

სანდალა როდი დაკმაყოფილდა ჩვენი საამაყო მგოსნე-ბის უსაფუძვლო გაკიცხვით; იგი აუგად იხსენიებს სა-ქართველოს გამოჩენილ მეფეებს, მეცნიერებს, დიდ სარდლებს და სხვ. მაგ., თავისი წიგნის 42 გვერდზე დაცინვით ეხება „ვახტანგ-ვახუშტის“ დიდ სახელებს; სახელოვან მეფეს ვახტანგ მეექვსეს უსაყვედურებს „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელების შედგენას და ყვე-ლა იმ დიდ ლიტერატურულ საგანმანათლებლო მოღვა-წეობას, რომელსაც იგი ეწეოდა. სახელოვან მეცნიერს საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის მკვიდრ მეცნიერული საფუძვლების ჩამყრელს, ვახუშტი ბაგრა-ტიონს „მეზღაპრეს“ უწოდებს[4]. სანდალა ასევე მისთვის დამახასიათებელ უარყოფელობით ყოვლად უკადრისად იხსენიებს საქართველოს თითქოს „მუხანათ და ცულლუტა

---

[1] სანდალა. წერილები ქართველ მწერლებზე. თბილისი, 1888 წ. გვ. 32.

[2] იქვე, გვ. 65.

[3] იქვე, გვ. 43.

[4] იქვე, გვ. 64.

მეფეებს, რომლებიც ლექსებს სჯღაბნიდნენ“ [1]. მაგ., მეფე თეიმურაზ პირველს „უპატიოსნო პირს უწოდებს“, ასევე ექცევა მეფე თეიმურაზ მეორეს, არჩილ მეფეს და სხვ. ლაჩრობას სწამებს ჩვენს ეროვნულ გმირს მეფე ერეკლე მეორეს, რომელიც თითქოს „ბრძოლის ველიდან მთიულეთში გაიქცა დასამალავად“ [2]. აი, როგორ უკუღმართად ყალბდებოდა ქართული ხალხის მრავალსაუკუნოვანი კულტურის ისტორია.

სანდალას მიერ საქართველოს ისტორიული პიროვნებებისა და მწერლობის ამგვარმა უმართებულო ლანძღვა-გინებამ აიძულა ილია მკაცრად დაპირისპირებოდა მას; ილია წერს: „რა უკადრისობა, ლანძღვა-თრევა, რა უწმაწურობა არ აკადრა საწყალ მამებს, ჩვენს მამა-პაპას, ჩვენს წარსულს, ჩვენს სასიქადულო საისტორიო კაცებს, ჩვენს თავმოსაწონებელს ძველს თუ ახალს მწერლობას. ყველა ესენი მუხანათები, მოღალატენი იყვნენო, ავაზაკები, ქვეყნის, უკაცრავად არ ვიყვნეთ, მღლეტელნი და მძარცველნიო, უნამუსონი და ათასი ამისთანანიო“ [3]. ვინაიდან ასე ხელაღებით, გამოუძიებელი და ყოვლად უმადური ნიჰილისტური თვალსაზრისით წარმოიდგინა სანდალამ საქართველოს მთელი ისტორიული წარსული, მისი მწერლობა და მისი „ისტორიული სასახელო პიროვნებანი“ და სხვ., ილია სანდალას საქციელით უკიდურესობამდე აღშფოთებული წერს: „შეგვიგინა მთელი ერი, მთელი ქვეყანა და ნეტავი ერთი იოტის ოდენა

---

[1] სანდალა, წერილები ქართველ მწერლებზე, თბილისი. 1888 წ., გვ. 57.

[2] იქვე, გვ. 57.

[3] ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებ., ტ., IX, გვ. 92.

მაინც ლოღიკა, ცოდნა, გაგება ჰქონდეს ან იმისი, რასაც ლანძღავს და ათრევს, ან მისი, რასაც უწმინდურის ხელით საქებრად ეპოტინება. მთელი წიგნი ერთი თავმოდგმული ჭუჭყია, ერთი რაღაც მურტალი ტალახია, ყოვლად უმეცრების, ყოვლად უვიცობის და უჭკუობის ფურთხით ურცხვად აზელილი. მოდი და აქ იცინეთ და მთელის გულისწყრომით ნუ აფეთქდებით"[1].

სანდალა ამაოდ ფიქრობდა საქართველოს ისტორიის ცალკეული საკითხების ახალი თვალსაზრისით გაშუქებას, სანდალა პირდაპირ ლაპარაკობს: „მე უნდა შემეძინა ისეთი სწავლანი და ცოდნანი, რაც უფრო გამოსადეგი იქნებოდა როგორც ჩემთვის, ისევე ჩემი ფერისავე ქუჩის მუშა ძმა-ბიჭებისათვის".

ვულგარულ-ნიჰილისტური თვალსაზრისიდან გამოსული სანდალა კრიტიკულად და მეცნიერულად კი არ განიხილავს ქართველი ხალხის გმირულ ისტორიას, მრავალსაუკუნოვან მის საამაყო მწყრლობას, აღსავსეს ჰუმანიზმის, პროგრესიულობისა და გმირულ-პატრიოტულ იდეებით, რომელშიაც ბრწყინვალედაა ასახული ქართველი ხალხის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა, პირიქით, სანდალა ვულგარულად აყალბებს ქართველი ხალხის უმდიდრეს კულტურულ მემკვიდრეობას და ამაყობს იმით, რომ იგი გლეხის შვილია. ამაზე ილია სანდალას უპასუხებს: „იქნებ სანდალა მართლა გლეხის შვილიც იყოს, მაგრამ ვერაფერი შვილია. ტყუილად არ არის ნათქვამი: ავი შვილი დედ-მამის მაგინებელიაო"[2]. ილიას ის აღელვებს, რომ „უნამუსო სანდალას" „ნამუსიანი გლეხის"

---

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებ., ტ. IX, გვ. 93.

[2] იქვე, გვ. 95.

შვილობა დაუჩემებია. იგი წერს: „ვაი გლეხის შვილობავ, რომ შენი პატიოსანი და ნამუსიანი სახელი სანდალას დაუჩემებია და ასე უსირცხვილოდ ჰლახავს, ათრევს, ასე პირგახეულად სვრის და თავის უწმინდურობით ატურტლიანებს"[1]. ილია არკვევს, რომ თუ სანდალას გადაუწყვეტია გლეხის შვილის სახელით გამოვიდეს და ცილი დასწამოს ქართველი ხალხის ისტორიას, აგინოს და ლანძღოს მისი წინაპრები, მისი მწერლობა და ეროვნული ისტორიული კულტურა, ამით მას სურს ჩირქი მოსცხოს გლეხობასაც, ცილი დასწამოს მასაც, შეუგინოს მამა-პაპა და ა. შ., რადგან,—ამბობს ილია,—„არავინ გლეხი, როგორც არავინ კაცი, ასეთის ლანძღვითა და თრევით თავის მამა-პაპას საფლავიდან არ ამოიღებს, ასე არ გააუპატიურებს თავის დედმამის ხსენებას, ასე არ მოსთხრის და არ მოსვრის ყველაფერს, რაც-კი „წმინდათა-წმინდას" შეადგენს ადამიანისათვის ვინც უნდა იყოს გლეხი, თავადი, ერი თუ ბერი"[2].

ილიას აქვე განვითარებული აქვს საყურადღებო მოსაზრება ისტორიაზე, რომელიც სავსებით მისი ეროვნული კონცეფციიდან გამომდინარეობს. იგი წერს: „ისტორია ყველას ღვაწლია, საერთოდ მთელი ერის ნამოქმედარია

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული. ტ. IX, გვ. 94.

[2] ილია ხედავს, რომ ჰარმონიული ეროვნული მთლიანობა გლეხსა, თავადსა, „ერსა თუ ბერს" შორის უკვე დარღვეულია, ყოველივე ამას ილია ჭავჭავაძე გრძნობს, და რომ ეს ასეა, ამას ადასტურებს, სხვათა შორის, ერთი ამონაწერი, მისი შრომიდან: „თავადს აზნაური სძულს, აზნაურსა თავადი, გლეხსა—ორივე, ნუ თუ ესენი ქართველები არიან ერთის დედის, საკართველოს ოჯახის შვილნი?"—კითხულობს სინამდვილით შეშფოთებული ილია და ცოტა ქვემოთ დასძენს: „არიან თავადნი, აზნაურნი, მღვდელნი, ვაჭარნი, გლეხნი, ჩინიანნი და უჩინონი,—ყველანი არიან და ქართველი კი არ-

და იგი მამა-პაპა, რომელსაც თავისი სახელი ისტორიაში ასე თუ ისე მოუქცევია, ყველას მამა-პაპაა საერთოდ და განუყოფლად, რომ საისტორიო კაცი ხორცია ხორცთა-თაგან მთელი ერისა და ძვალი ძვლისაგან". ისტორიის ეს მეტად თავისებური განსაზღვრა ილია ჭავჭავაძის ისტორიული კონცეფციის ნათლად წარმოდგენისათვის მრავალმხრივაა საინტერესო; ზემოთ აღვნიშნავდით და აქ ერთხელ კიდევ დასტურდება, რომ ილიას ისტორიული შეხედულებანი საერთოდ, და ამ შემთხვევაში მისი შეხედულებანი საქართველოს ისტორიის საკითხებზე, განუყრელად არის დაკავშირებული ილიას ეროვნულ კონცეფციასთან. მოყვანილი ციტატიდან ისიც ნათლად დასტურდება, თუ როგორ ესმის ილიას დიდი პიროვნეპების ღვაწლი ისტორიაში. როგორც დავრწმუნდით, ისტორიული პიროვნება ილიას წარმოდგენილი ჰყავს როგორც „ხორცი ხორცთაგან და ძვალი ძვლისაგან მთელი ერისა". ამრიგად ცხადია, რომ ილია პიროვნების როლის

სად არის" (იხ. ტ. 4, გვ. 147). ილია აქ ლაპარაკობს წინააღმდეგობაზე და დაპირისპირებაზე სოციალურ ჯგუფებს შორის, არსებითად ეს იყო წინააღმდეგობა და დაპირისპირება კლასობრივი ხასიათისა. ილია იმაზე ოცნებობდა, რომ როგორმე არ გამწვავებულიყო ეს წინააღმდეგობანი. მას შესაძლებლად მიაჩნდა კლასობრივ წინააღმდეგობათა შერიგება; მიუხედავად ამისა, ილია ევროპის ისტორიის მაგალითზე სცნობდა და სავსებით იზიარებდა კლასთა ბრძოლის თეორიულ საფუძვლებს; ილია ფიქრობდა: მხოლოდ საქართველოს შეეძლო, განსხვავებით ევროპისაგან, კლასობრივი ბრძოლის გამწვავების გვერდშევლით, ეროვნული მთლიანობის გზით, მიეღწია უკეთესი მომავლისათვის. ეს ეროვნული მთლიანობა, ილიას რწმენით, საჭირო იყო ცარიზმის წინააღმდეგ მიმართულ საქართველოს ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის წარმატებით დაგვირგვინებისათვის.

გარკვევისას ისევ თავისი ეროვნული კონცეფციიდან გამოდიოდა.

ილია ჭავჭავაძემ სანდალას წინააღმდეგ გალაშქრებით დაიცვა საქართველოს ისტორია ნიჰილისტური გაყალბებისაგან. სანდალა, როგორც დავრწმუნდით, ყოვლად მავნე თვალსაზრისით უდგებოდა საქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესწავლას. ავტორი მოკლებული იყო საგნის მეცნიერულ ცოდნას, ამიტომ მისი ისტორია ანტიპატრიოტიზმისა და ნიჰილიზმის უხამს ნარევს წარმოადგენდა. ილია ჭავჭავაძემ, როგორც დავინახეთ, სანდალას მახინჯი ნიჰილიზმის წინააღმდეგ ამ გამოსვლით გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა მსგავს განწყობილებას და სამაგალითოდ დაიცვა ქართველი ხალხის ეროვნული გმირული ისტორია, ქართველი ხალხის მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა და ღირსებები გარეწარ შემგინებელთაგან[1].

ი. ჭავჭავაძის მეთაურობითა და თავადაზნაურულ მოწინავე ფენების მხარდაჭერით დაარსებული ეროვნულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი დაწესებულებები, როგორიც იყო ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოება, და ამავე საზოგადოების ინიციატივით გახსნილი სკოლები, ბიბლიოთეკები, მუზეუმები, გამომცემლობანი

[1] ილია ჭავჭავაძის ამ მკაცრ გალაშქრებას სალიტერატურო ასპარეზზე ახლადგამოჩენილ (სანდალას ფსევდონიმით) ზ. ჭიჭინაძის წინააღმდეგ უღრეესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ცნობილია, რომ ზ. ჭიჭინაძემ სწორედ ამ პერიოდიდან უარყო ნიჰილისტური მიმართულება და გახდა კარგი პატრიოტი და საკმაოდ გამოჩენილი მკვლევარი ქართული კულტურის მრავალ აუკუნოვანი ისტორიისა. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ილია ჭავჭავაძემ თავისი მკაცრი, მაგრამ სამართლიანი და ჭკუის დამრიგებელი შენიშვნებით ზ. ჭიჭინაძე ღრმად ჩააფიქრა და სამეცნიერო-საკვლევ მუშაობაში სიკეთილამდე სხვა მიმართულება ააღებინა.

და სხვა; დრამატიული საზოგადოება და მის ბაზაზე ქართული თეატრის აღდგენა, ქართული პრესა და მრავალი სხვა,—როდი იყო ვიწრო წოდებრივი დაწესებულებები.

დამახასიათებელია ის ფაქტიც, რომ ი. ჭავჭავაძე შეეცადა თავადაზნაურობის ბანკი ყოველმხრივ გამოეყენებია და ფინანსიურ ბაზად გაეხადა თავისი ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების წარმატებით განხორციელებისათვის ბრძოლაში. ი. ჭავჭავაძე შეეცადა ეს წოდებრივი დაწესებულება არ შეეზღუდა თავადაზნაურობის ვიწრო ეგოისტური ინტერესებით და ქართველი ერის აღორძინების, გათვითცნობიერების, განათლებისა და გაძლიერების საერთო საქმისათვის აემოქმედებია. გარკვევით უნდა აღინიშნოს, რომ ყოველივე ეს ი. ჭავჭავაძის გენიალურმა პიროვნულმა გამჭრიახობამ, ტიტანურმა ენერგიამ და უებრო საზოგადოებრივმა ავტორიტეტმა შესძლო ცარიზმის კოლონიური ჩაგვრის უძნელეს პირობებში, როცა ქართველი თავადაზნაურობა დეგრადაციის გზაზე იყო დამდგარი, მათში ჩამკვდარი იყო ეროვნული შემეცნება და ისინი საბოლოოდ ცარიზმის სამსახურში გადადიოდნენ [1].

[1] ზ. ჭიჭინაძეს და მის თანამოაზრეებს მაშინ ყოველივე ზემოაღნიშნული, როგორც ირკვევა, სავსებით გაუთვალისწინებელი რჩებოდათ და ანგარიშს არ უწევდნენ ფაქტს, რომ ი. ჭავჭავაძის თაოსნობით თავადაზნაურობის წრიდან გამოსული მოწინავე ადამიანების ნამოქმედარი და ნაღვაწი, მაგ., ეროვნული თეატრის შექმნა და აღდგენა, ხალხში მშობლიური განათლების გავრცელებისათვის ზრუნვა, ქართული მწერლობის, პრესის დაწინაურებისა და ეროვნული კულტურის აყვავებისათვის დაუღალავი სხვა პატრიოტული საქმიანობა,—ემსახურებოდა არა დაცემის გზაზე დამდგარ და დასაღუპად განწირულ თავად-აზნაურობას, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ქართველ ხალხს, ქართული ეროვნული კულტურის დაწინაურების საქმეს.

12. ბრძოლა ხალხოსნური ისტორიოგრაფიის წინააღმდეგ (ივ. ჯაბადარის „Письма о Грузии“ და ილია ჭავჭავაძის პასუხი—„აი ისტორია“)

ილია ჭავჭავაძე, როგორც დავრწმუნდით, გულდასმით გვასწავლის, რომ ერმა თავისი ისტორია კარგად და საფუძვლიანად უნდა იცოდეს, არ უნდა ივიწყებდეს მას, რომ ერმა თავისი წარსული საძირკვლად უნდა დაუდვას თავის აწმყოსა და მომავალს. რადგან ილია ღრმადაა დარწმუნებული იმ შეხედულების სისწორეში, რომ „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის ნშობელი მომავალისა“, ამიტომ იგი წერს: „არ ვიცი, სხვა როგორ ჰფიქრობს, და ჩვენ კი ასე გვგონია, რომ ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს“[1].

ეხება რა საქართველოს ისტორიის შესწავლის მნიშვნელობას, ილია ჭავჭავაძე გულის ტკივილით დასძენს: „არ არის არც ერთი მხარე ჩვენი ცხოვრებისა, როგორც სხვისაც, რომ რაიმე წარსულის ნაშთი ზედ არ შერჩენოდეს, ხოლო ამ ნაშთისა დღეს ჩვენ აღარა გაგვეგება რა ვიმეორებთ, იმიტომ, რომ დავიწყებული გვაქვს მისი ამხსნელი და განმმარტებელი ისტორია“[2]; მაგრამ, როგორც დავრწმუნდით, ილია უიმედობას არ ეძლევა ასეთი უნუგეშო მდგომარეობის გამო და მაინც იმ რწმენისაა, რომ ჩვენი ისტორიის აღდგენა შეიძლება, ეს კი მეტად საჭიროა დღეს, რადგან „აღდგენა ისტორიისა ერის გამოცოცხლებაა, გამომხნევებაა, აწმყოს გაგება და წარმართვა, მერმისის გამორკვევაა სიბნელისაგან“[3].

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ნაწერების სრული კრებ., ტომი V, გვ. 207.
[2] იქვე, გვ. 242.
[3] იქვე, გვ. 244.

ილიას აზრით, ხალხთა ისტორიის ერთიანობა უდიდესი მნიშვნელობის ძალაა. იგი ბევრად უფრო მეტი ძალაა ერთმანეთთან ადამიანთა სისხლხორცით შედუღაბებისათვის, ვიდრე, მაგალითად, ერთობა ენისა, ერთობა სარწმუნოებისა, გვარტომობისა და სხვ. ილიას აზრით „ყოველი ერი თვისის ისტორიით სულდგმულობს. იგია საგანძე, საცა ერი პოულობს თვისის სულის ღონეს, თვისის გულის ბგერას, თვის ზნეობითს და გონებითს აღმატებულებას, თვის ვინაობას, თვის თვისებას. ჩვენის ფიქრით, არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარტომობისა ისე არ შეამსჭვალებს ხოლმე ადამიანებს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა. ერი ერთი ღვაწლის დამდები, ერთს ისტორიულს უღელში ბმული, ერთად მებრძოლი, ერთსა და იმავე ჭირსა და ლხინში გამოტარებული ერთსულობით, ერთგულობით, ძლიერია“[1].

ილია ჭავჭავაძის ამ საყურადღებო დაკვირვებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საბჭოთა თანადროულობის თვალსაზრისითაც. სსრ კავშირის ხალხთა სტალინური მეგობრობის დიდ ეპოქაში სსრ კავშირის ხალხებს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების დღიდან მარტო ისტორიის ერთიანობა კი არ ადუღაბებს ერთმანეთთან, არამედ ისინი სულდგმულობენ, ფიქრობენ, ცხოვრობენ ერთი ფიქრით, ერთი აზრით, ერთი მისწრაფებებით,—ეს არის ლენინ-სტალინის პარტიის აზრი. და მოქმედება კომუნიზმის აშენებისათვის დიად ბრძოლაში, სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობა და საბჭოთა პატრიოტიზმი.

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. II, 1941 წ. გამოც., გვ. 309.

თაობებისათვის სამაგალითოდ დარჩება საბჭოთა სამშობლოს განსაცდელის ჟამს—დიდ სამამულო ომში—სსრ კავშირის მრავალერიან ხალხთა ერთსულოვნობა, მათი მორალურ-პოლიტიკური სრული ერთიანობა და მტერზე გმირული მსოფლიო ისტორიული გამარჯვების მოპოება, როგორც საბჭოთა ხალხების სტალინური მეგობრობის და მათი ისტორიის ერთიანობის ბრწყინვალე ფურცელი.

* *

ილიას უდიდეს სიხარულს ჰგვრიდა საქართველოს ისტორიის აღდგენა. ზემოთ ჩვენ დავრწმუნდით, თუ რა აღფრთოვანებით მიეგება ილია დ. ბაქრაძის სურვილსა და ცდებს ამ მიმართულებით[1].

მაგრამ ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის აღდგენა და მისი სისტემაში მოყვანა ყველას როდი შეეძლო, თუნდაც რომ ამის დიდი სურვილი ჰქონოდა; ასეთ კეთილ სურვილს თან ჩვენი წარსულის დიდი ცოდნა და მკვლევრის მეცნიერული მიუდგომლობა უნდა ჰხლებოდა, რომელიც შესაძლოა მოპოვებული ყოფილიყო უაღრესად კეთილსინდისიერი, დინჯი, ხანგრძლივი, თანამიმდევრული და ენერგიული კვლევითი მუშაობის შედეგად. ყოველივე ამის გათვალისწინება ვერც კი მოესწრო ნაროდნიკ ივ. ჯაბადარს, რომ ჯერ კიდევ 1889 წელს „Северный Вестник"-ის ფურცლებზე სტატიების მთელი სერიით მოგვევლინა—„Письма о Грузии-"ს სახელწოდებით, „Н—Д"-ის ფსევდონიმით.

---

[1] ი. ჭავჭავაძის „ერი და ისტორია" დაიბეჭდა გაზ. „ივერიაში" 1888 წლის № 237 (მეთაური).

ივ. ჯაბადარი ცნობილი ნაროდნიკი იყო. მას ისევე, როგორც საერთოდ ნაროდნიკებს, არ გააჩნდა სწორი შეხედულებანი საზოგადოებრივი განვითარების საერთო კანონებზე. „ნაროდნიკებს ჰქონდა შემცდარი და მავნე შეხედულება კაცობრიობის ისტორიის მთელ მსვლელობაზე. მათ არ იცოდნენ და არ ესმოდათ საზოგადოების ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების კანონები. ისინი ამ მხრივ სრულიად ჩამორჩენილი ადამიანები იყვნენ. მათი აზრით, ისტორიას აკეთებენ არა კლასები და არა კლასთა ბრძოლა, არამედ მხოლოდ ცალკეული გამოჩენილი პიროვნებები— „გმირები“, რომლებსაც ბრმად მიჰყვებიან მასები, „ბრბო“, ხალხი, კლასები“ [1].

ნაროდნიკების კონცეფცია საზოგადოებაზე და მისი განვითარების კანონებზე არ იყო მატერიალისტური, მით. უმეტეს მათთვის სავსებით გაუგებარი იყო ისტორიული მატერიალიზმის თეორია. ნაროდნიკების მოძღვრება საზოგადოებაზე არსებითად იყო იდეალისტური და უტოპისტური. ი. სტალინი წერს: „Падение утопистов, в том числе народников, анархистов, эсеров объясняется, между прочим, тем, что они не признавали первенствующей роли условий материальной жизни общества в развитии общества и впадая в идеализм, строили свою практическую деятельность не на основе потребностей развития материальной жизни общества, а независимо от них и вопреки им,—строили на основе „идеальных планов“ и „всеобъемлющих проектов“, оторванных

[1] საკ. კ. პ. (ბ) ისტორია, მოკლე კურსი, 1947 წ. გამოცემა, გვ. 17.

от реальной жизни общества[1]". ალსანიშნავია ისიც, რომ „ნაროდნიკები 80-იან და 90-იან წლებში კულაკების ინტერესთა გამომხატველები გახდნენ"[2].

ივ. ჯაბადარი ქართველი ნაროდნიკებიდან ყველაზე უფრო ტიპიური წარმომადგენელია ნაროდნიკულ „შემცდარ და მავნე" ისტორიოგრაფიული კონცეფციის მიხედვით, საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიის გაყალბების საქმეში. იგი წინასწარ აკვიატებული მავნე „გეგმებითა" და გაცვეთილი „პროექტებით" განიხილავს ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიას, უგულებელჰყოფს საქართველოს ისტორიის წყაროებს, ამახინჯებს ისტორიულ ფაქტებს, ცილს სწამებს ისტორიულ პიროვნებებს და ქართველ ხალხს, ქართულ მწერლობას, მეცნიერებას, ხელოვნებას და ყოველსავე ქართულ ეროვნულ-კულტურულ ისტორიულ ნაამაგარს,—უხამსი ნიჰილისტური თვალსაზრისით განიხილავს.

ივ. ჯაბადარი ფიქრობდა, რომ იგი უკვე ფლობდა ისტორიული კრიტიკისა და შედარებით მეთოდს და თავის წერილებში, თითქოს ამ „უმძლავრესი და უახლოესი მეთოდებით" შეიარაღებულმა, ახალი მეთოდოლოგიური პოზიციებიდან სრულიად ახლებური ინტერპრეტაცია და შეფასება მიუძღვნა ამ „ჩვენს უსისტემო ისტორიას". სამწუხაროდ, ავტორი თავის შრომაზე ასეთი წარმოდგენისა იყო.

სინამდვილეში ივ. ჯაბადარმა თავის „Письма о

---

[1] И. В. Сталин, Вопросы ленинизма, მე-11 გამოცემა, გვ. 646.

[2] „საკ. კ. პ. (ბ) ისტორია, მოკლე კურსი", გვ. 21.

Грузии“-თ, საქართველოს ისტორიის მთელი რიგი საკითხების, ისტორიულ პიროვნებებისა და ფაქტების ნიჰილისტურად გაყალბება და მათზე ტენდენციური ცილისწამება გამო

ლაშქრა ივ. ჯაბადარის წინააღმდეგ მთელი რიგი სტატიებით, რომელთაც „აი ისტორია"[1] უწოდა.

საქართველოს ისტორიის რომელი საკითხი გნებავთ, რომელსაც აქ ი. ჭავჭავაძე არ შეხებოდა. იგი იძულებული იყო ასე მოქცეულიყო. ილიას თავის პოლემიკურ-ისტორიული ხასიათის სტატიებში პასუხი უნდა გაეცა ივ. ჯაბადარის მიერ აღძრულ და გაყალბებულ საკითხებზე; ასეთი საკითხები კი ბევრი იყო, რადგან ჯაბადარს საასპარეზოდ მარტო საქართველოს დაწერილი ისტორია კი არ დასჭირდა, ვიდრე რუსეთ-საქართველოს შეერთებამდე, არამედ მისი პრეისტორიაც, თუმცა ეს ქართველი ერის ისტორია კი არ იყო, არამედ ჩვენი ისტორიის გავულგარება, მისი ნიჰილისტური გაყალბება ანტიმეცნიერულ ცილისწამებით.

ჯაბადართან კამათი ნუ გგონიათ ადვილი საქმე იყოს,— მიმართავს ილია ერთ ადგილას მკითხველს,—მაგრამ კი არ იფიქროთ იმიტომ, რომ იგი ერთ ღრმააზროვან დებულებას აყენებდეს და შემდეგ შეურყეველს ხდიდეს უდაო საბუთებით, არა,—ამბობს ილია—მისი გმირობა მასში მდგომარეობს, რომ იგი საკითხების უმსგავსო კორიანტელს აყენებს და არა თანამიმდევრულად, სრულიად ულოღიკოთ, აქეთ-იქით დახტის,—მისი ადევნება კაცისათვის აბა რა სიკეთის მომასწავებელია, მაგრამ მე იძულებული ვარ კვალში ჩაუდგე და ფეხდაფეხ მივსდიო, ვიდრე სულ ერთიანად ფარდა ჩამოეხდებოდესო"[2], —წერს ილია.

---

[1] „ივერია," 1889 წ. №№ 17, 77, 78, 89, 90, 106, 116, 117, 118, 130, 139. არსებობს „ივერია"-სავე ცალკე გამოცემაც. ასევე იხ. ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. II, გვ. 315—396, სახელგამი, 1941 წ.

[2] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. II. გვ. 331.

ამ გარემოებამ ილიას დასახელებულ ნაშრომს, როგორც შესანიშნავ პოლიმიკურ ნაწარმოებს, რამდენადმე თავისი უარყოფითი კვალიც-კი დაამჩნია.

ივ. ჯაბადარი თავისი წერილების ერთ-ერთ ძირითად ამოცანად, მისივე განცხადებით, თვლიდა გამოერკვია „ქართველი ერი მართლა დაბერდა, დაიცალა თავის ღონისაგან, თუ ჯერაც დღეს აქნოჭამდე არც კი დაუწყია სრული-სისხლჭარბი ინტენსიური ცხოვრება და თავისი ძალღონე მერმისათვის შეუნახავს"[1]. ამ „ძირეულ და თავ და თავ საკითხს თუ ჩვენ საკმაოდ ცხადი პასუხი მივეცით, ჩვენ ჩვენს განზრახულს საგანს შესრულებულად ჩავთვლითო"[2],—დასძენდა ჯაბადარი.

ამ გარეგნულად ბრჭყვიალა და ახირებულ ვითომდა ორიგინალურ „ძირეულ და თავ და თავ საკითხს" ივ. ჯაბადარის „მოძღვრებაში" დაუპირდაპირდა ილია და პირველ რიგში გამოააშკარავა, რომ ჯაბადარი კეკლუცობს დრეპერის უკვე დრომოჭმული და დაგმობილი აზრებით. ილია წერს: „აშკარაა, ავტორს, ცოტად თუ ბევრად, უწამებია უკვე დაძველებული და ბევრთაგან გამტყუნებული აზრი დრეპერისა იმის თაობაზედ, რომ ერსაც, როგორც თვითეულს ცალკე ადამიანს, თავისი ასაკები აქვს: ბავშვობა, ყრმობა, ჭაბუკობა, ვაჟკაცობა, და ბოლოს სიბერე, რომელსაც სიკვდილი მოსდევს"[3].

ჯაბადარის აზრით, ინტენსიური ცხოვრება ღონისაგან ცლის ერს, ფიტავს მას ენერგიისაგან და სიკვდილის კარ-

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ., II, გვ. 315.
[2] „Северный Вестник"-ის 1889 წლის მარტის ნომერი, გვ. 57.
[3] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. II, გვ. 316.

ზე აყენებს მას, ხოლო რაც შეეხება არაინტენსიურ ცხოვრებას, ეს პირდაპირ ბედნიერებაა ერისათვის. იგია ერის უკვდავების წყარო, რადგან „არა ინტენსიური ცხოვრება ანახვინებს ღონეს მერმისისათვის"[1]. ასეთი რეაქციული აზრით შეპყრობილი ავტორი ცდილობს საქართველოს ისტორიასაც თავისი განაჩენი მიუზღოს და გვანუგეშებს—არა, ინტენსიური ცხოვრება ჯერ მას არც კი დაუწყიაო; აბა „გვიხაროდეს, ღონე შეგვინახავს მერმისისათვის"—შენიშნავს ირონიულად ილია[2]. ილია ბოლომდე და თანამიმდევრულად ააშკარავებს ჯაბადარის სიყალბესა და ულოგიკობას, არ ინდობს მას და თავისი ძლიერი პოლემიკური ხერხით მოწინააღმდეგეს ზოგჯერ სასაცილო მდგომარეობაში აყენებს. „ღონე შეგვენახება მერმისათვისო,—გვანუგეშებს ავტორი,—კაი ნუგეშია, კაცმა პური აღარა სჭამოს, რომ კბილები არ გაუცვდეს და მემრისათვის შეინახოს[3]". მაგრამ ილიას კრიტიკა ჯაბადარის წინააღმდეგ როდია უბრალო უარყოფა[4]. ჯერ ერთი, ეს კრიტიკა არსებითი და პრინციპულია და, მეორე, რაც მთავარია, იგი პოზიტიურ—შემოქმედებითია. მაგალითად, ჯაბადარის უკვე მოყვანილ ყალბ შეხედულებას ილიამ კრიტიკული განხილვა კი არ აკმარა, არამედ არსებითად დაპირისპირებული დებულება წამოაყენა. ილია წერს: „ინტენსიური ცხოვრება" ერთსა და იმავე დროს სათავეც არის და შედეგიც კულტურისა, რომელიც ათასის წლობით შენებულა, აგებულა, მართალია, კაცობრიობის დაუღალავი და დაუძინებელი ჯაფით, გარჯითა

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. II, გვ. 318.
[2] იქვე.
[3] იქვე.
[4] ილია სწორედ ამას უსაყვედურებდა ჯაბადარს, როცა წერდა, რომ „ეი ბატონს ჰგონია, ვითომც კრიტიკა მარტო აშის კვრაა, ანუ სალდათური „ატკახი" (თხზ. ტ. II, გვ. 354).

და მხნეობით, მაგრამ იმისათვის კი არა, რომ ღონისაგან დაიცალოს, არამედ იმისათვის, რომ უფრო გაღონიერდეს, გაძლიერდეს, გამოფოლადდეს, გამოჯიქდეს არსებობისათვის საჭიდაოდ. ამიტომაც კულტურა და მასთან განუყოფელი ინტენსიური ცხოვრება კაცობრიობის ღონისა და სიმკვიდრის დედა-ბოძია, ქვა კუთხედია. იგიი თვითონ დაუშრობელი სათავე ღონისა... თუ კულტურა, ინტენსიური ცხოვრება ერს არ აღონიერებს, არ აძლიერებს, და პირიქით, ღონისაგან სცლის, ვიღა ოხერი იქნება ინატროს და თავი გამოიდოს კულტურული ინტენსიური ცხოვრებისათვის?"[1].

ბუნებრივია, ილიას ესოდენ მძაფრი დაპირისპირება ჯაბადარის არა მარტო ნიჰილისტური, არამედ არსებითად რეაქციული თეორიისადმი საქართველოს ისტორიული პროცესის გასაყალბებლად, მისი გაცამტვერება და დამსხვრევა თავისთავად უაღრესად პროგრესული ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა იყო, რადგან საფიქრებელია, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ჯაბადარის ნასესხები ეს ყალბი თეორიები, მკითხველთა გარკვეულ ფენებში მაინც მიმდევრებს ჰპოებდა. ჯაბადარის „შეხედულებანი", დრეპერის მოძღვრებიდან გადმოწერილი, უაღრესად რეაქციული ბუნებისაა. იგი ყოველგვარი პროგრესის, მოძრაობისა და წინმსვლელობის მტერია. ამ მავნე თეორიას, უკვე თითქმის ყველგან დაგმობილს და შეუწყნარებელს, ნაროდნიკი ივ. ჯაბადარი ნიადაგს უწმენდდა და დანერგვას უპირებდა საქართველოში. ამ თეორიის წინააღმდეგ ბრძოლა მაშინ ჩვენში, თუ გნებავთ, ყველა პროგრესისტს შეეძლო, მაგრამ ისეთი სიძლიერით,

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. II, გვ. 318.

ისეთი დამაჯერებლობით და სიღრმით, როგორც ეს ილია ჭავჭავაძემ შესძლო, გარდა ილიასა იმ დროს ჩვენში ვერავინ მოახერხებდა.

ილია ჭავჭავაძეს და მის სახელოვან თანამებრძოლებს ღრმად სწამდათ ქართველი ხალხის შემოქმედებითი უნარი და მისი დიდი მომავალი, მაგრამ მაშინ, როგორც ი. გოგებაშვილი მიუთითებს, „ბევრს არ სწამდა მომავალი ქართველის ერისა და სიკვდილს უწინასწარმეტყველებდნენ მას". ი. ჭავჭავაძის თანამებრძოლი ი. გოგებაშვილი შეურიგებლად ებრძოდა ამ მავნე განწყობილებას და აქვე განაგრძობს,—„მაგრამ მათ რომ დაახლოვებით გაიცნონ თუ რა გამრყვნელის და უდიერის ბიუროკრატიის ხელში იყო იგი (საქართველო, ა. ი.) მთელის საუკუნის განმავლობაში, და მიუხედავათ ამისა, მან შეინარჩუნა ძალა ბრძოლისა და სიცოცხლისა, იგინი ირწმუნებენ ამ ერის მომავალს... ირწმუნებენ მომავალს არა ქართველის არისტოკრატიისას, რომელიც ენებით მიესწრაფება უკან, უფსკრულისაკენ... არა ქართველი ბურჟუაზიისას, რომელიც უდღეური ბავშვივით წყალდება დედის მუცელში, არამედ მშრომელი ქართველი ხალხისა" [1].

*
* *

ივ. ჯაბადარის მიერ გაყალბებული შედარებითი მეთოდი ილიამ თავის უფლებებში აღადგინა; მან ცოცხალი მაგალითებით, ისტორიულ და ლინგვისტიკურ მეცნიერებათა მაშინდელ მონაპოვარზე დაყრდნობით, საქართველოს სინამდვილიდან უდაოდ სწორად და თანამედროვეებიდან ყველაზე უფრო მოხერხებულად გამოიყენა ეს მეთოდი და ამით წინ წასწია მეცნიერების აღნიშნული დარგები.

[1] ი. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 31.

ილია გარკვევით მიუთითებს იმაზე, რომ ისტორიულ მეცნიერებას მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონდეს სხვა დამხმარე და მონათესავე მეცნიერებებთან. ილია წერს: „ფილოლოგია და ისტორია მხარ დამხარ დადიან, ერთმანეთს ჰშველიან, რადგანაც ცხოვრება ერისა გადაშლილია, გამომზევებულია მის ენაში... აქედან ჩანს, ენის გამოკვლევა რა დიდი ღონეა ადამიანის გონებისათვის და ფილოლოგია, როგორც ენის მკვლევარი მეცნიერება, რა სამსახურს უწევს ისტორიასა მის წინა დროთა აღსადგენად და საცნობელად. ეს ღონე გამოიჩინა ფილოლოგიამ უფრო მაშინ, როცა ადამიანის გონებამ მიაგნო ერთს გვარს გზას კვლევისას, რომელსაც „შედარებითი მეთოდი“ — ჰქვიან“[1]. ილიას ღრმა რწმენით „შედარებითი მეთოდი ერთი უდიდესი ძლევა-მოსილობაა გონებითად ჩვენის საუკუნისა“[2]. ამავე მეთოდის პრინციპებზე დაყრდნობით ილია იმ დასკვნამდე მიდის, რომ „ისტორიული მეცნიერება არა მარტო ფილოლოგიასთან უნდა იმყოფებოდეს უმჭიდროეს კავშირში, არამედ სხვა დამხმარე დარგებთანაც, როგორიცაა მითოლოგია, ზნე-ჩვეულება, სარწმუნოება, არქეოლოგია, ეთნოლოგია“[3]. ილია გვასწავლის მაგალითებით, თუ როგორი გზებითა და ხერხებით უნდა ვიყენებდეთ საისტორიო მეცნიერების ამ დამხმარე დარგებს ისტორიული ჭეშმარიტების აღსადგენად.

***

ილიას აოცებს და თანაც აღელვებს ივ. ჯაბადარის უთავბოლო დამოკიდებულება ქართული ისტორიული წყა-

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. II, გვ. 323.
[2] იქვე.
[3] იქვე.

როებისადმი და კერძოდ კი „ქართლის ცხოვრებისადმი“. ჯაბადარი „ქართლის ცხოვრებას“ აბუჩად იგდებს და იხსენიებს „ცხვირ-აწევით, თითქო რაღაც უღირსი რამ, ვიღაც კომისიისაგან შეთითხნილი და ისიც „в армянской перелелке“[1], მაგრამ გასაოცარი ისაა, რომ ჯაბადარს როგორც ყოველთვის, ისე აქაც თანამიმდევრობა არ ახასიათებს და მიუტოვებელ გულმავიწყობას იჩენს — იგი მისგან აბუჩად აგდებულ „ქართლის ცხოვრებას“ კი არ განიხილავს კრიტიკულად, არამედ (როცა ეს ჯაბადარს ესაჭიროება) მიიჩნევს მეტად სანდო წყაროდ. ასეთ უთავბოლობაზე ილია ჯაბადარს შენიშნავს: „ჩვენი კრიტიკის მოყვარული ავტორი „ქართლის ცხოვრებას“ ტყუილსაც უჯერებს, როცა უჯობს თავის სიტყვის გასაყვანად, და როცა არ უჯობს, მისი მართალიც არა სჯერა“[2].

საკმაოა გულდასმით გადაიკითხოს კაცმა ილიას „აი ისტორია“, რომ შენიშნოს შემდეგი: საქართველოს ისტორიულ წარსულში ჯაბადარის ნიჰილისტურ თარეშს დიდი ნათესაობა აქვს ჩვენ მიერ განხილული ნიჰილისტ სანდალას და ცნობილი ბურჟუაზიული „გუნდის“ (პატკანოვის და სხვათა) მავნე შეხედულებებთან. რასაკვირველია, იმ მრავალ განმასხვავებელ სპეციფიკურ თავისებურების მხედველობაში მიღებით, რომლებიც არ შეიძლება თითოეულს არ გააჩნდეს. ჩვენ არ ვამბობთ იმას, თითქოს ისინი ერთსა და იმავე ისტორიულ კონცეფციიდან ამოდიოდნენ და ერთნაირი თვალსაზრისით აყალბებენ საქართველოს ისტორიულ წარსულს. ჩვენ მხო-

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. II, გვ. 34Გ.
[2] იქვე.

ლოდ იმაზე გვინდა მიეუთითოთ, რომ ჯაბადარმა საქართველოს ისტორიული წარსულის აბუჩად ასაგდებად და ლაფში ამოსავლებლად წინამორბედ ყალბისმქნელთა და ჩირქის მომცხებთაგან ყველაფერი ისესხა, რის სესხებაც კი შეიძლებოდა, და თავისებურად გამოიყენა კიდეც. ჩვენ გავეცანით ქართული ისტორიული წყაროების და, კერძოდ, „ქართლის ცხოვრების“ პატკანოვისებურ კრიტიკას. უკანასკნელი ჯაბადარისეულ კრიტიკისაგან ბევრად არ განსხვავდება; მათ შორის დიდი მსგავსება არის. საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ კიდევ ერთი შაგალითი. საკითხი შეეხება ცნობას ქართველების შესახებ შემონახულს, უცხო და ქართულ საისტორიო წყაროებში. ჩვენ თავის ადგილას გავეცანით პატკანოვის აზრს ამის შესახებ. ახლა მოვისმინოთ, თუ რას ფიქრობს ჯაბადარი ამ საკითხზე. ჯაბადარს სწამდა, რომ საქართველო და ქართველობა ვითომც ძველი წელთაღრიცხვის მეთორმეტე საუკუნიდან, ვიდრე მეშვიდე-მეექვსე საუკუნემდე არავის უხსენებია.

ილია აბათილებს ამ უმართებულო აზრს და ჯაბადარს უპასუხებს:—„მართალია, დიდი არაფერი ადგილი გვქერია მსოფლიო ისტორიაში, მაგრამ იმოდენათ კი მაინც ვართ ჩაგდებული მაჩანჩალად, რომ ისტორია განუწყვეტლივ გვიხსენიებს. აკი ვსთქვით, რომ დღეს ამ სმარაგდოვის და ბარათაშვილის ისტორიით კაცი ფონს ველარ გავა. მას აქეთ ისტორიამ ბევრი რამ ახალი და უტყუარი საბუთი შეიძინა“[1].

ისტორიული მეცნიერების უკანასკნელი მიღწევებით დიდად დაინტერესებული ილია გამახვილებით ადევნებს თვალყურს ყოველივე უახლესს და არაჩვეულებრივი

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. II, გვ. 333—334.

გულდასმით სწავლობს არა მარტო საქართველოს ისტორიას, არამედ მსოფლიო ისტორიის ყველა აქტუალურ პრობლემასაც. ილია კარგად იცნობდა მსოფლიო ისტორიის იმდროინდელ ცნობილ ავტორებს: შლოსერს, ვებერს, ტრაჩევსკის და მრავალ სხვას; ჯაბადარს ილია უსაყვედურებს არა მარტო მსოფლიო ისტორიის სრულ უცოდინარობას, არამედ იმასაც, რომ იგი დრომოჭმულ, პრიმიტიულ სმარაგდოვისა და ბარათაშვილის ისტორიის სახელმძღვანელოებით ფიქრობდა ფონს გასვლას. ილია ამ მოტივებითაც ხსნის ჯაბადარის ყალბ წარმოდგენას ქართველური ტომების ხსენების შესახებ უძველეს წერილობით წყაროებში.

ილია საგანგებოდ ჩერდება ლურსმნული წარწერის აღმოჩენისა და ამოხსნის შედეგად საქართველოს უძველესი ისტორიის ბევრი გაურკვეველი საკითხის ახლებურად გარკვევაზე. „ყველაზე ძველი ლურსმული ნაწერი, რომელიც ჩვენ გვიხსენიებს, ეკუთვნის ასურელთა მეფეს თუგლართ-პალასარსა, მეთორმეტე საუკუნეში მცხოვრებელს. მას მერმედ ჩვენ გვიხსენიებს ბეცხრე საუკუნეში ასურელთა მეფეევ ასურ-ნაზირ-აბალი და აქედამ ჩვენი ხსენება არ შეწყვეტილა ასურ-ბან-აბალამდე, რომელიც ცხოვრობდა 668—625 წ. ქრისტეს შობამდე, და ამის შემდეგ ხომ მიდ-სპარსნი, ე. ი. ირანი გამოდის და ირანს კი ხომ ენაზე აკერია ჩვენი ხსენება, როგორც თვით ავტორიც ამბობს“[1]. ასეთი თანამიმდევრობით და საბუთიანობით უპირისპირდება ილია ჭავჭავაძე ივ. ჯაბადარის უსაბუთობას და უთავბოლო ცილისწამებას. ილია ამასთანავე მოხერხებულად ააშკარავებს ჯაბადა-

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. II, გვ. 334.

რის ულოგიკობას და დაუკვირვებლობას, როცა ისეთი პრეტენზიების მქონე ავტორს, როგორიც ივ. ჯაბადარი იყო, ისტორიული ფაქტების უცოდინარობაში იჭერს. ილია წერს: „ვსთქვათ, ყოველს ამაში გამოგვეკიდა ავტორი და ასე თუ ისე თავი იმართლა. მოსე წინასწარმეტყველის ამბავს ხომ ვეღარსად წაუვა. ავტორის სიტყვით 1311 წლის წინად ქრისტეს შობამდე არავის უხსენებია ქართველთა თესლი. მოსე წინასწარმეტყველი, რომელმაც, ავტორისავე სიტყვით, პირველად ახსენა ქართველთა ნათესავი, გარდაიცვალა 1480 წ. ქრისტეს შობამდე. გამოდის, რომ მოსე წინასწარმეტყველი ჯერ გარდაცვლილა და მერე, როცა მიცვალების დღიდამ 169 წელიწადი გასულა, უხსენებია ჩვენის ერის ნათესავთა სახელები. ისტორიის სასაცილოდ აგდება მეტი-ღა გნებავთ?"[1]. მიმართავს მკითხველს. სხვა მაგალითებზე აქ ალარ შევჩერდებით.

***

აღნიშნულის შემდეგ საჭიროა გავეცნოთ ილიას დავას ჯაბადართან საქართველოს არქეოლოგიის საკითხებზე, კერძოდ, ბაიერნის მიერ წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მცხეთის სამარხებში ნაპოვნი საგნების ირგვლივ ბაიერნისებურ ყალბ კონცეფციას და ამ კონცეფციისადმი „კრიტიკისა და შედარებითი მეთოდის" მებაირახტრის ივ. ჯაბადარის მონურ მიმბაძველობას.

ილიას შეუწყნარებლად მიაჩნდა ივ. ჯაბადარის მცდარი მსჯელობა, დაყრდნობილი ბაიერნის უნიადაგო დასკვნებზე. ამაზე ილია გარკვევით წერს: „ბაიერნი,—

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. II, გვ. 332.

ამბობს იგი (ივ. ჯაბადარი. ა. ი.),—დასინჯა რა სამთავროს საფლავები, გახცვიფრდა, რომ ადამიანის ძვლები ერთსა და იმავე საფლავში იმდენად არეულ-დარეული იყო, რომ ერთი მთელი ჩონჩხიც კი ვერ ამოიღოვო... თვითონ საფლავებში არამც თუ მარტო ჩონჩხები თავისა ენახა შუა-გაპობილი, არამედ ტანიცა, ასე რომ ზოგან ზედა ტანი ერთს საფლავში გამოჩენილა და ქვედა ტანი მეორეშიო. ყოველ ამ გარემოებამო,—უმატებს ჩვენი ავტორი,—ბაიერნი იძულებულჰყო ეგულენა, რომ ძველნი მკვიდრნი მცხეთისანი არამც თუ კაცის-მჭამელნი იყვნენ, არამედ მკვდრის ლეშსაც ხმაროდნენ საჭმელადა და როცა ლეში მოსჭარბდებოდათ, ბევრი უგროვდებოდათ, გადანარჩენს საფლავში ინახავდენო"[1].

ილია უსაყვედურებს ჯაბადარს, რომ იგი ბრმად ენდობა ბაიერნის დასკვნას. ილია არ უარყოფს, რომ ბაიერნი არქეოლოგიური დაზვერვებისა და გათხრების იქნებ ოსტატიც იყოს, მაგრამ ილია დარწმუნებულია, რომ ბაიერნს არქეოლოგიურ მონაპოვართა გააზრება და მათი ანალიზი არ ეხერხება, პირიქით, იგი აკეთებს აშკარად ყალბსა და ყოვლად უსუსურ დასკვნებს. ამაში ილია იმოწმებს ცნობილი არქეოლოგის, გრაფ უვაროვის, შრომას—„Взгляд на мцхетский могильник" (იხ. Труды имп. московск. археолог. общества, т. X), სადაც ავტორი ასაბუთებს, რომ ბაიერნის დასკვნები შეუწყნარებელი არისო. ილია ამასთანავე ტიზენჰაუზენს იმოწმებს, რომელმაც ორჯერ გაარჩია ბაიერნის ნაწერი სამთავროს სასაფლაოს შესახებ და ორივეჯერ თითქმის სასაცილოდ აიგდო ბაიერნი. ილია იმოწმებს ამ ავტორის აზრს და ამბობს: „ჩემი აზრი შესახებ მცხეთაში ნაპოვნ ნაშთებისა

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. II, გვ. 380—381.

და ბაიერნის უცნაურ დანასკვთა მე წინადაც გამოვსთქვი. მას შემდეგ უფრო დაწვრილებით შევიგნე ბაიერნის აზრები მცხეთის სასაფლაოს თაობაზედ მისის ორის წერილისაგან, რომელიც დაბეჭდილნი იყვნენ 1872 და 1874 წ.წ. ვერმანულ ჟურნალებში. ამ წერილებმა უფრო ცხადად დამანახვეს, რომ ბაიერნის დასკვნები და მოსაზრებანი სულ ერთიანად უღონონი და შეუწყნარებელნი არიან"[1]. ილიას ეს ამონაწერი მოჰყავს ბაიერნის საწინააღმდეგოდ, ამდენად ჯაბადარს იგი უპირისპირდება მეცნიერულ უახლესი მიღწევებისა და იმდროინდელი გამოჩენილი არქეოლოგების მოსაზრებიდან და მოწინავე კონცეფციიდან გამომდინარე; იგი წერს: „ის საფლავები, საცა ბაიერნს რამდენისამე კაცის ძვლები ერთმანეთში არეული უნახავს, საოჯახო სამარხნი ყოფილან. ეს ყველაზედ უწინარეს იმითი მტკიცდება, რომ ყოველს ამისთანა საფლავს სახურავად სამი ქვა სდებია, ადვილად ასახდელი ერთმანეთზე დამოუკიდებლად... ასე ყოფილა ბევრგან სხვაგანაც და საკვირველი რად უნდა იყოს, რომ ჩვენშიაც ესევე ყოფილა"[2].

ილია არ კმაყოფილდება დასმულ პრობლემაზე მარტო ამ თვალსაზრისით გაცემული პასუხით. იგი შედარებით მითოლოგიაზე დაყრდნობით, მისი მოხდენილად გამოყენებით ცდილობს ისტორიულ-არქეოლოგიური ხასიათის საკითხზე უფრო დაბაჯერებელი პასუხის გაცემას. ბაიერნი კაციჭამიობას იმითაც ასაბუთებდა, რომ, თითქოს, მან ზოგიერთი საფლავის ახლოს ნაცარში ადამიანებისა და პირუტყვის დამწვარი ძვლები იპოვა.

ბაიერნის ამ შეხედულებას ილია უპირისპირდება და წერს: „შედარებითმა მითოლოგიამ გამოარკვია, რომ ყო-

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. II, გვ. 382.

[2] იქვე.

ველს ერს დედამიწის ზურგზედ თითქმის ერთნაირი გზა გამოუვლია სარჯულო ფილოსოფიასა, და ამ ფილოსოფიას ერთნაირი, ერთგვარი ჩვეულება მოჰყოლია, ბოლოს წესად და რიგად გადაქცეული"[1].

რაში გამოიხატება ეს ერთგვარი შეხედულება, რომელიც შემდეგ წესად და რიგად ქცეულა მთელს ქვეყნიერებაზე? ილია ამ საკითხზე პასუხის გაცემისას კრიტიკულად იმოწმებს მაშინდელი ევროპელი მოწინავე მეცნიერების შრომებს და დაასკვნის: „ეხლა გვწამს, რომ სიკვდილით სააქაოს ვშორდებით, პირველ-ყოფილ დროს-კი სიკვდილს ისე უყურებდნენ, როგორც განგრძნობას სააქაო ცხოვრებისას. ამასთანავე ეგონათ, რომ ადამიანი სიკვდილის შემდეგაც ისე სცხოვრობს როგორც ცოცხლობის დროს, ისეთივე საჭიროება და სურვილი აქვს, ისეთივე წყენა და სიამოვნება, სიმშილი და წყურვილი... აქედამ არის წარმომდგარი იგი ჩვეულება, რომ მიცვალებულს თან გაატანდნენ ყოველ იმას, რაც სააქაოს მისთვის საჭირო იყო... რომ საიქიოს ცხოვრება არ გასჭირებოდა... საფლავში ჩააყოლებდნენ იარაღს, სამკაულს, ხორაგსა, სასმელ-საჭმელს, საფლავზედ დაუკლავდნენ ცხვარს, ცხენს, ქათამს და სხვას... ყოველს ამას მიართმევდნენ მიცვალებულს არამც თუ მარტო დამარხვის დროსა, დამარხვის შემდეგაც, ზოგი ერია დღესაც რომ სუფრიდამ ცალკე კერძს გადასდგამენ ხოლმე მიცვალებულის სულისათვის"[2]. ილია აქვე ჩერდება ჩვენში შემონახულ მსგავს ჩვეულებაზე და წერს: „განა შორს არის ყოველს ამაზედ ჩვენი საკუთარი ჩვეულება, რომ მკვდრის ხსენებაზედ ღვინოს თავს გა-

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. II, გვ. 383—384
[2] იქვე, გვ. 384.

დუქცევთ და ხან პურზედ დავაწვეთებთ, ხან მიწაზედ, იბისდა მიხედვით, ვსხედვართ თუ ვდგევართ და პური ხელთ გვაქვს თუ არა მის დროსა. ეს ჩვენი ჩვეულება სწორედ ამ სათავიდამვე მონდინარეობს... ერს თითქმის დღესაც აქვს შემონარჩუნებული ჩვეულება—სამკვდრო ტაბლა"[1]. ილია იმაზედაც მიუთითებს, რომ „ბევრ გან ჩვეულებად მიცვალებულის დაწვაც ყოფილა, პირდაპირ დამარხვის მაგიერ. ინდოელნი, ბუდის მოძღვრებისანი, სწვავდნენ მიცვალებულსა, არიელნი, კელტნიც ასრეევე იქცეოდნენ"[2]. ილია სანდო ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით მიუთითებს იმ ფაქტებზედაც, რომ ადგილი ჰქონდა სხვა მსხვერპლთა შორის ადამიანის მსხვერპლად შეწირვას მიცვალებულისათვის. ილია წერს: „იმავე გრძნობამ, იმავე მიზეზებმა, რომელმაც ადამიანს ჩააგონა პირუტყვის შეწირვა, ამბობს ლებბოკი, მიიყვანა ადამიანი შეწირვის უმაღლეს ხარისხამდე, ე. ი. კაცის მსხვერპლად შეწირვამდე"[3].

ილიას მოჰყავს მრავალი დამახასიათებელი ფაქტი მსოფლიო ისტორიის უძველესი პერიოდიდან მოკიდებული, ვიდრე მე-18 საუკუნემდე, იმის საილუსტრაციოდ, თუ ადამიანის შეწირვა-დაწვის, დაკვლის ან ცოცხლადვე მკვდართან ერთად დამარხვის რამდენად გავრცელებული წესი ყოფილა კართაგენში, ძველ ბერძნებში ჰქონიათ ადამიანის მსხვერპლად შეწირვა, „დაწვითა თუ დაკვლითა... ასევე სლავიანებს, როგორც ბევრს სხვას, წესად ჰქონიათ თან ჩააყოლონ, ან დასწვან მიცვალებულებთან ერ ოად, მისი ქონება, მისი პირუტყვი, მოსამსა-

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. II, გვ. 385.
[2] იქვე, გვ. 385.
[3] იქვე, გვ. 386

ხურეები, ცოლი. მაგრამ ასეთი ჩვეულება მარტოკა უძველეს პერიოდში კი არ ყოფილა გავრცელებული, არამედ, ტეილორის დამოწმებით, მის რეციდივებს ადგილი ევროპაში არც ისე შორეულ წარსულშიც ჰქონია. ილია წერს: „ევროპაში მას აქვეთ, რაკი გადავარდა ცოლებისა და მოსამსახურეების თან გაყოლება, ცხენის დაკვლა მიცვალებულის საფლავზე და მიცვალებულთან ერთად მისი დამარხვა კიდევ დიდ ხანს იყო ჩვეულებადაო. ამისი მაგალითი ყოფილა ჯერ კიდევ 1781 წ. ინგლისში და ბევრგან სხვაგანაც. დღესაც მიცვალებულს უკან მიაყოლებენ ხოლმე ცხენსა, ეს ჩვეულება ჩვენშიაც არის დღესამ შემთხვევისათვის ცხენს უკუღმა შეჰკაზმენ, ვითომდა მიცვალებულის უკ. ნ მისაბრუნებლად[1]“,—უმატებს ილია.

ილია შედარებითი მითოლოგიიდან ასეთი საყურადღებო ფაქტების მოგმარჯვებით უპირისპირდება ვიწრო და ემპირიულ წარმოდგენებს ბაიერნისა და ივ. ჯაბადარისას, რომლებსაც არ ყოფნიდათ მეცნიერული საფუძვლიანი ცოდნა იმისათვის, რომ არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნაპოვნი საგნები და ნივთები კრიტიკულად გამოეძიებიათ, მეცნიერული კვლევა-ძიების უახლესი მეთოდით აეხსნათ და გეოგრაფიებიათ. ილია მიუთითებს, რომ მთავარია ფაქტის განზოგადება, მისი ყოველმხრივ გაანალიზება და მისი სხვა ფაქტებთან დაპირისპირება და არა იმგვარი დამოკიდებულება, როგორსაც ბაიერნი იჩენს ფაქტებისადმი მცხეთაში წარმოებული გათხრების მაგალითზე, რომელიც დაგმო ყველა ცნობილმა მეცნიერ-არქეოლოგმა და იწამა მხოლოდ ივ. ჯაბადარმა.

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. II, გვ. 386.

ილ. ჭავჭავაძის მოყვანილი შეხედულებანი აბათილებს ბაიერნისა და ივ. ჯაბადარის დაუსაბუთებელ მოსაზრებებს იმის შესახებ, რომ ქართველები სამთავროს სასაფლაოს ხანაში კაცისმჭამელები ყოფილანო. მაგრამ ეს გაბათილება და უარყოფა განა იმას ნიშნავს, თითქოს ილია ცდილობდეს იმის დასაბუთებას, რომ ქართველთა წინაპრებს ასეთი ჩვეულება, სხვათა შორის, როგორც ბევრ სხვა პირველყოფილ მდგომარეობაში მყოფ ტომებს, ოდესმე არ შეეძლებოდა ჰქონოდათ? რასაკვირველია, არა. ილია წერს: „ვიმეორებთ, ჩვენ ამით ამის უარყოფა კი არ გვინდა, ვითომც ქართველებს ეგ საზარელი ჩვეულება ოდესმე არა ჰქონდათ. იქნებ ჰქონდათ, როგორც ბევრ სხვას, მაგრამ ქართველების კარგად თუ ავად ხსენებისათვის რაკი დანახულია საჭიროდ ამის თქმა და მერე დაჟინებითაც, სხვა საბუთებიც უნდოდა და არა იმისთანა უხერხულად მოქარგული, როგორც ავტორს და ამის წინამძღოლს ბაიერნს უნებებიათ"[1]. აი რაშია დავის მთელი არსება, ამაზე მიაქცევს ილია ჩვენს ყურადღებას; საჭირო იყო მეტი საბუთიანობაო.

ილიას თვალში ყოველგვარ აკვიატებულ აზრს საბუთიანობის გარეშე ყოველგვარი ფასი ეკარგება, იგი არარაობაა, ყოველგვარ ღირებულებას მოკლებული ლაყბობა. და ეს გასაგებიცაა, რადგან ილია თვითონაა თავისი შეხედულების ურყევად დასაბუთებისა და დამტკიცების მაგალითის მაჩვენებელი. რასაკვირველია, უკანასკნელს არავითარი კავშირი არა აქვს იმ საკითხთან, თუ რამდენად სწორია ესა თუ ის შეხედულება, რომელსაც ილია ასეთი ძლიერებით ასაბუთებს, გამომდინარე თავისი მთლიანი მსოფლმხედველობიდან.

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. II, გვ. 388.

*
* *

ილიამ მისთვის ჩვეული საბუთიანობით არ დაიშურა და საფუძვლიანად გამოააშკარავა ივ. ჯაბადარის არასწორ შეხედულებები საქართველოს ისტორიის რიგ ძირითად საკითხზე, ამასთანავე მიუთითა ჯაბადარის მცდარ მოსაზრებებზე საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის შესახებ. „ამას ეხლავე ვნახავთ, წერს ილია,—თუ ძველის ისტორიის რუკას წინ დავიდებთ“[1]. აქ ილია იძლევა საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ზოგად მიმოხილვას და ბოლოს, როცა ჯაბადარის მცდარ შეხედულებაზე ჩერდება, წერს: „ავტორი (ივ. ჯაბადარი. ა. ი.) გვარწმუნებს, რომ მცხეთა დარიალის ხეობის შესავალშია[2]“. სად დარიალი და სად მცხეთა. მცხეთა, ბავშმაც კი იცის ჩვენში, რომ არაგვის ხეობის შესავალშია და დარიალის ხეობასა და არაგვის შუა ერთი უშველებელი წყალგამყრელი ზურგია მთისა აბანოს-გუდაურ-კაიშაურისა, რომელს აქეთ სამხრეთისაკენ არაგვი ჩამოუდის და იქეთ ჩრდილოეთისაკენ თერგი, დარიალის ხეობის გამჭრელი... ნუ თუ ამის საცოდნელად ხელი ვერ მიაწვდინა კრიტიკითა და შედარებითი მეთოდით შეჭურვილმა ავტორმა. დალოცვილი, პირველ შეხვედრილ მეურმეს მაინც ჰკითხავდა“.

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. II, გვ. 388.

[2] ი. ილიას მოჰყავს ციტატა, სადაც ჯაბადარი წერს: „Мцхет, резиленция старого мамасахлиса, расположенная у входа в Дарьяльское ущелье“.

ასეთ და ამის მსგავს[1], თითქო „წვრილმან რამეებში“ ამჟღავნებს ილია ჭავჭავაძე საქართველოს ისტორიისადმი ნიჰილისტურად განწყობილ ივ. ჯაბადარს.

რასაკვირველია, შემთხვევით მოვლენად არ ჩაითვლება ის ფაქტი, რომ დღეს, საბჭოთა სინამდვილეში, მთავრობის მზრუნველობით და ჩვენი მეცნიერ არქეოლოგთა ნაყოფიერი შრომით, როცა შეუდარებლად მრავალი პრობლემა მეცნიერებისათვის სავსებით ნათელი გახდა მცხეთის არქეოლოგიური გათხრების შედეგად, ვიდრე ეს ოდესმე იყო ცნობილი, ი. ჭავჭავაძის მოტანილი მოსაზრებანი და ღრმააზროვანი დაკვირვებანი, კერძოდ, მცხეთის არქეოლოგიურად შესწავლის პრობლემებზე, კიდევ უფრო მეტ ცხოველმყოფელ ინტერესს იწვევს.

* * *

ივ. ჯაბადარს ირანის კულტურის და სახელმწიფოებრიობის გავლენა საქართველოზე ისე ახირებული სიყალბით აქვს წარმოდგენილი, რომ საქართველოს სავსებით ეკარგება დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი თვითმყოფობა და თავისი კულტურულ-შემოქმედებითი უმდიდ-

[1] „კაცს რომ ჯერ ისიც არ შეუტყვია მცხეთა სად არის, დარიალის ხეობაშია თუ არაგვისაში, და სტრაბონი ბერძენთა მწერალია თუ რომაელთა (ჯაბადარი პირდაპირ ლაპარაკობს თავის პირველ წერილშივე, სტრაბონი რომაელი მწერალიაო. ა. ი.), აბა საიდან შეგვიტყობდა, რაც პირველ-ყოფილ დროებას ჩვენის ისტორიისას შეეხება. ამახეა ნათქვამი, სანეკრე ანახა და სახტომი კი არ გაუსინჯაო“

რესი ისტორიული სახე. ჯაბადარი სხვათა შორის წერს: „В течении тысячи лет, начиная с нашествия скифов и до завоевания Персии и Грузии арабами („ჩვენში კი დარჩეს და ამ ორ აძბავს შორის ათასი კი არა, მთელ ათას სამას წელიწადზე მეტია“,—შენიშნავს ილია. ა. ი.), она (Грузия) почти непрерывно жила общею жизнью с Ираном“. ჯაბადარის ამ ყალბ ცილისწამებას საქართველოს ისტორიისადმი ილია მკაცრად უპირისპირდება და სააშკარაოზე გამოიტანს მის სრულ უნიადაგობას. ილია უპასუხებს ჯაბადარს. „ათას სამასი წელიწადი რომ ირანს საქართველოზედ განუწყვეტლივ ემოქმედნა ისე, როგორც ავტორს მოჰზმანებია, დღეს ქართველების ხსენებაც არ იქნებოდა დედამიწის ზურგზედ და არც ჩვენს ავტორს-ღა გაუხდებოდა თავში საცემად საქართველოს ისტორიის მაგიერ უნდილ ზღაპრების ბღაჯნა“.

ილია საკუთარი სწორ მოსაზრებას გამოთქვამს საქართველოს ირანთან კულტურული ურთიერთობის საკითხზე, როცა ჯაბადარის წინააღმდეგ წერს: „სხვა არა იყოს-რა მარტო ერთი ქართველების გაქრისტიანება მირიან მეფის დროს საკმარისია კაცს წარმოედგინა, რომ ეს ამისთანა ბედაური ტყუილი არ წამოსცდენოდა. განა ჭკუათ-მყოფელს კაცს ფიქრად მოუვა, რომ ზოროასტრის მიმდევარი და ცეცხლ-თაყვანისმცემელი სპარსი და ქრისტიანი ქართველი ერთის საერთო ცხოვრებით შეკრული და შებოჭვილი იგულვოს, ერთ საერთო ცხოვრებაში მოათავსოს და მოარიგოს.

ან კიდევ როგორ მოხდა, რომ „ამ ორმა ერმა, ათას სამას წელიწადს ერთის საერთო ცხოვრებით მცხოვრებ-

მა, თავთავის ვინაობა, მიწა-წყალი, რჯული შეინარჩუნა და ან ერთი მეორეს არ გაექელვინა, ან ერთმანეთს არ შეუდუღდა და ერთ ერად არ გარდაიქმნა. რაკი ეს არ მოხდა, აშკარა საბუთია, რომ საქართველოს და ირანს არამც თუ ერთად უცხოვრიათ საერთო ცხოვრებით, არამედ თვითეულს თავისი საკუთარი სისხლ-ხორციც ჰბადებია, თავისი გული და წყურვილიც ჰქონია, თავისი ფარი და ხმალი სჭერია, ესე იგი თავისითაც განსხვავებულად უცხოვრია და ამ თავისობას შეუნახავს თვითეულის ვინაობაც, ენაც, რჯულიც და მიწა-წყალიცა"[1].

ამრიგად, ყოველგვარი მონური ქედმოხრილობა აღმოსავლურ-ირანული კულტურისა და სახელმწიფოებრიობის წინაშე ილიას მიერ დაუნდობლადაა გაკიცხული და ურყევი საბუთიანობით გაქარწყლებულ-გაბათილებულიც.

ილია იცავს გამყალბებლებისაგან ქართული კულტურისა და სახელმწიფოებრიობის დამოკიდებული საწყისებს, სათავეებს, ღრმად სწამს მისი შემოქმედებითი სიმძლავრე და შეურყვნელი სახე, რომელიც ქართველმა ხალხმა გამოატარა სისხლისმღვრელ უთანასწორო ბრძოლებში და გმირულად დაიცვა იგი საკუთარი ფარხმლით.

ჯაბადარის ყალბ მოსაზრებას და აღმაშფოთებელ მონურ ქედმოხრას ირანის წინაშე ან კი რა გასაკვირველია, რომ ილია ჭავჭავაძის რისხვა დაემსახურებინა. ჯაბადარი წერდა: საქართველოში „Для государственных целей употреблялся, вероятно, персидский язык, тем более, что большинство правителей Грузии были персидской крови"

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტომი II, 1941 წ., გვ. 365—366.

„როგორ?—აღშფოთებით მიმართავს ილია,—მაშინაც სპარსულს ენას ჰხმარობდნენ ქართველები, როცა ჯერ სპარსელების საისტორიოდ ხსენებაც თითქმის არ იყო? თუნდ იმ ხანებში, მაგალითად, როცა მოსე წინასწარმეტყველი, ავტორისავე სიტყვით, ახსენებს მოსოხებსა და თუბალებს ან როცა მთელი რვაას-ცხრაასი წელიწადი ფარნავაზზედ კიდევ წინათ ქართველებს... თავიანთი სამეფონი. სამთავრონი თუ სამამასახლისონი ჰქონიათ, მაშ სპარსულს ენას ჰხმარობდნენ ეს მეფენი, მთავრები ზამასახლისები?“—კითხულობს ილია და ურყევი საბუთიანობით აბათილებს ჯაბადარის ნიჰილისტურ ცილისწამებას. „ჯაბადარს რაკი ერთხელ აუკვიატებია აზრი-ქართველებს არა ჰქონდათ რაო, უნებებია ენაც კი გაუბათილოს და რადგანაც ვერ მოუხერხებია, შეუკაზმია ეს ყველაფრის ამკიდებელი „вероятно“, შემხტარა ზედა და ჰხედნის: თუ დამიჯერებენ, ხომ კარგი, თუ არა და ცოტათი მაინც დავაქვეითებ ქართულსა და ქართველებსაო“ და იქვე შენიშნავს: ჯერ ჩვენი ავტორის „положительно“ რა არის, რომ მისი „вероятно“ რა იყოს“.

*
* *

ჯაბადარის გამყალბებელი მსახვრელი ხელი, მისი უთავბოლო ცილისწამება ქართულ დამწერლობას, ქართულ მწიგნობრობას, ქართულ მატიანესა და საქართველოს გამოჩენილ ადამიანებსაც კი შეეხო და ვისაც, ან რასაც შეეხო ქართულს, ყველას და ყველაფერს ჩირქი მოსცხო, ჩრდილი მიაყენა, შეაგინა და გალანძღა. მაგალითად, დავით აღმაშენებელზე, როგორც ილია მიუთითებს, ჯაბადარი ამბობს, რომ „გამოსაჩენი ნიჭის კაცი იყო, უყვარდა დაახლოება მეცნიერ კაცებთან, თუმცა თითონ წერა-კითხ-

ვა (грамота) მარტო სიბერეში-ღა (в преклонных летах) ისწავლაო". დავით აღმაშენებლის წმინდა სახელობაზე ჩირქის მომცხები ჯაბადარის ამ ცილისწამებით აღელვებული ილია კითხულობს: „საიდან გამოატყვრინა ავტორმა ასეთი ამბავი, კაცი (დავითი. ა. ი.), რომელიც წიგნს თვალიდან არ იშორებდა მაშინაც, როცა საომრად და სანადიროდ დადიოდა... კაცი, რომელმაც სომეხთა სამღვდელონი გააკვირვა თავისი ცოდნითა და მწიგნობრობითა, კაცი, რომელმაც ღირსშესანიშნავი ფსალმუნი დასწერა" და სხვა; ილიას უკვირს, რომ ჯაბადარმა სხვა „სიტყვები ვერ იპოვა ამ სახელოვან და განათლებულ მეფის დასახასიათებლად"[1]. გამყალბებელმა ჯაბადარმა არც დიდებული თამარი და მისი სახელოვანი მეფობა დაინდო. იგი წერს: „Век Тамары, несмотря на его блеск и внешее величие, можно скорее назвать веком нравственного разложения".

ილიას უხვად მოჰყავს ურყევი საბუთები, რომლებითაც აქარწყლებს ჯაბადარის ამ გამკილავ ცილისწამებას საქართველოს დიდებულ მეფე თამარზე და დოკუმენტალურად ასაბუთებს, რომ, „რაშიაც ღრმად გამსიხჯავი კაცი თამარის სიკეთეს დაინახავდა, იქ ჩვენი ავტორი წუნსა და ცუდსა ჰხედავს"[2]. ამასთანავე ილია კატეგორიულად მიუთითებს იმაზე, რომ „ავზნეობით ხსენება თამარის დროებისა მტკნარი ტყუილია, თუ უკაცრავად არ ვიქნებით, ავტორისა"[3].

ამის შემდეგ ნათელი წარმოსადგენია, თუ სანამდე უნდა მისულიყო ჯაბადარის ნიჰილისტური გაყალბება სა-

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. II, გვ. 345.
[2] იქვე, გვ. 347.
[3] იქვე, გვ. 345.

ქართველოს ისტორიის დანარჩენი (წინა და მომდევნო) პერიოდებისადმი, როცა მეთორმეტე საუკუნე, თამარის მეფობა, ავტორმა ასე აუგად მოიხსენია და ესოდენი სიყალბით ჰქონდა წარმოდგენილი.

კერძოდ ქართულ მატიანეზე, საისტორიო წყაროებზე გამყალბებელი ჯაბადარი იმ აზრისაა, თითქოს მეცამეტე საუკუნემდე ასეთი ქართველებს არაფერი გვქონოდეს. ასევე ყალბი და შეუწყნარებელი მავნე აზრები აქვს გამოთქმული ჯაბადარს ქართული დამწერლობის შემოღებისა და მწიგნობრობის გავრცელების შესახებ.

ილია ჭავჭავაძე კვალდაკვალ, ყველგან დაუნდობლად ამხელს და უტყუარი საბუთებით აბათილებს ჯაბადარის ხელაღებით უარმყოფლობას და ცილისწამებას საქართველოს ისტორიის, ქართული კულტურის ისტორიის ძირითადი საკითხებისადმი ისევე, როგორც ჯაბადარისავე უგვარტომო, უღირს დამოკიდებულებას, ქართველი ხალხის გამოჩენილი ისტორიული პიროვნებების დასამცირებლად და სახელის გასატეხად რომ იყო გამიზნული.

ცილისმწამებელთა და ნიჰილისტთა მსახვრელი ხელი არც რუსთაველის გენიას ასცდა; ისინი იქამდე გათავხედდნენ, რომ ყველაფერ სახელმომხვეჭ, ღირსშესანიშნავ და საამაყო ქართულისადმი უარმყოფელობით დამოკიდებულებას იჩენდნენ, უსაფუძვლო გაბათილებას, მის გაქარწყლებას ლამობდნენ.

ილია ჭავჭავაძეს განსაკუთრებით აღელვებდა უღირსი და დამამცირებელი მოპყრობა რუსთაველის გენიალური პიროვნებისა და მისი უკვდავი „ვეფხისტყაოსნისადმი“. ილია იჩენდა უაღრეს დაუნდობლობას ყველა მათდამი, ვინც კი გაბედა რუსთაველის სახელის უხამსად ხსენება, მისი გენიალური მეჰკვიდრეობის ზეუფასებლობა.

ილია ჭავჭავაძე ებრძვის ამ ცილისმწამებელთა მეცნიერულ უსაბუთობას, უსაფუძვლო ულოგიკობას და აშკარა ტენდენციურ უარმყოფელობას, ებრძვის მათ, რომლებიც საძირკველს უთხრიან ქართულ კულტურას, უსპობენ დამოუკიდებელ თვითმყოფობას და მონურად იხრიან ქედს უცხოური კულტურის, უფრო სწორად, აღმოსავლური უკულტურობის წინაშე.

ილია წერს: „გაჭირვებულმა ნარ-დონმა განა მარტო ისა თქვა რუსთაველზე, რომ თავისი პოემის ამბავი მოჰპარა სპარსელებსა ან იმათგან გადმოიღო, და თუ თქვა განა რითიმე დაასაბუთა, განა რაიმე ხელთ მოგვცა ამისათვის, გარდა იმისა, რომ სპარსელების ამბებსაც საგნად სიყვარული აქვთ და ვეფხისტყაოსანსაცო. ეგ ხომ იმასა ჰგავს, კაცმა თქვას ივანე პეტრესა ჰგავს მარტო იმიტომ, რომ ერთსაც ცხვირი აქვს და ბეორესაცაო“[1].

ასე გააბათილა ილიამ ივ. ჯაბადარის უსაფუძვლო ბოდვა „ვეფხისტყაოსნის“ და შოთა რუსთაველის შესახებ.

როცა საკითხი შოთა რუსთაველის პიროვნებას და მის გენიალურ „ვეფხისტყაოსანს“ ეხება, როგორც ყველაზე უძვირფასესს ქართველი ერის სულიერ საგანძურში, სიყალბეს, ორპირობას და უმართებულო გამოხდომას რუსთაველის გენიაზე ჩრდილის მისაყენებლად, ილია არავის აპატიებს.

ამ მხრივ ილიას ყურადღება მიიქცია ნ. მარის ტენდენციურობამ და სერიოზულმა შეცდომებმა რუსთველოლოგიის ძირითად საკითხთან დაკავშირებით.

ილია ჭავჭავაძე პირველი დაუპირდაპირდა ნ. მარის

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს ნაწერების სრული კრებ., ტ. V, გვ. 195.

ყველა იმ უმართებულო მოსაზრებებს რუსთველოლოგიაში, რომლებიც მოგვიანებით იძულებული გახდა უარეყო თვით მასსავე, როგორც არასწორი და ყალბი.

6. მარის მცდარ მოსაზრებაზე შოთა რუსთაველისა და მისი „ვეფხისტყაოსნის“ გამო ილია შენიშნავს: „რა საკადრისია მთელს ერს შეუგინოს მისი სამართლიანად სახელოვანი კაცი, შეუბღალოს იგი თითქმის წმიხდათა-წმინდა, რომელიც შვიდას-რვაასი წელიწადია განუწყვეტლად შესტრფის და შეჰხარის, შეურყიოს ძირი იმ დიდებულს, სახსოვარს, რომელსაც მთელმა ერმავე შიგ ჩაატანა თავისი ცრემლი და თავისი სიხარული, შიგ ჩაიხვია თავისი სული და გული, შიგ ჩააწნა თავისი უკეთესნი ფიქრნი, ზრახვანი, გრძნობანი! რა საკადრისია! ამის საბუთი რომ ხელში ჰქონოდა, ვინ რაღას ეტყოდა, მართალს წინ რაღა დაუდგებოდა... თუ იგი საბუთი არ აღმოჩნდა, ის პატიოსანი და ყოვლად ღირსეული თვისება ჰეშმარიტის მეცნიერისა სადღაა, რომ სთქვას: შეეცდი და ვინანიო“[1]. ასე გაუმასპინძლდა ილია ნ. მარს.

სიტყვათა დასესხების საკითხებთან დაკავშირებით, კერძოდ, სომხურ-ქართული ენობრივი ურთიერთობის არასწორი გაგებისათვის, ილია თავის დროზე სამართლიანად უსაყვედურებდა ნ. მარს, რადგან, მარის აზრით, სიტყვები, როგორიცაა: „ბანაკი, მუშაკი, სპეტაკი, ჟამი, ქალაქი, სენაკი, კარგი, წესი, მატიანე, პატივი ჰეშმარიტი,“ სომხური სიტყვებია ქართულში გადატანილი. „ესეც იქნებ მართალი იყოს,—შენიშნავს ილია,—ხოლო ჯერ კიდევ ღმერთმა იცის ეს სიტყვები სომხებისაგან მიუღიათ ქართველებს თუ ქართველები-

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. II, გვ. 435.

საგან სომხებს. ჩვენ აქ არც ერთის დამტკიცება გვინდა, არც მეორესი, ხოლო გვიკვირს ასე გადაწყვეტილად ლაპარაკი იქ, საცა არავინ იცის, ჯერ რა გამოვა რისგან"[1].

ჩვენ აქ ძალაუნებლიედ გვაგონდება „ძველი" და „ახალი დროის" ნიჰილისტ-გამყალბებლების იმ ნათესაობისა და ზოგჯერ პირდაპირი მსგავსების გამოვლინებანი,— რომლებიც ქართული კულტურის მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანეს პრობლემათა მიმართ გამომჟღავნდა ამ უკანასკნელ პერიოდში დაკვირვებული მკითხველი თვით დარწმუნდებოდა ამ ფაქტზე მითითების გარეშეც კი.[2]

მაშინ, შავბნელი ცარიზმის რეაქციის პერიოდში, საქართველოს ისტორიის გამყალბებლებს, ცილისმწამებლებს და ნიჰილისტებს ებრძოდა ქართველი ხალხის საამაყო შვილი, დიდი ჰუმანისტი და გამანათლებელი, საქართველოს ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის მედროშე ილია ჭავჭავაძე.

დღეს კი, ჩვენს დიად საბჭოთა ქვეყანაში, ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის წყალობით, თვითონ მშრომელები უპირისპირდებიან ყოველგვარ ქედმოხრილობას უცხოური კულტურის წინაშე, სათუთად უფრთხილდებიან მშობლიური კულტურის გმირულ ისტორიულ ტრადიციებს და დიად აწმყოს, რომელიც ახალ უძლიერეს ძალად გამოვლინდა საბჭოთა სინამდვილეში და საბჭოთა მოქალაქის ნაციონალურ სიამაყედ იქცა.

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ტ II, გვ. 433.

[2] ვგულისხმობთ გაზ. „კომუნისტის" სარედაქციო წერილს: „ლიტერატურის ისტორიის გაყალბებისა და ანტიპატრიოტიზმის წინააღმდეგ" (1949 წ. 11 მაისი).

სწორედ ამით აიხსნება, რომ ბოლშევიკური პარტია და მთელი საბჭოთა ხალხი ებრძვის ყველა იმათ, ვინც უპატივცემულოდ ეპყრობა ხალხის წარსულს, აყალბებს ჩვენი ხალხის გმირულ ისტორიას, მწერლობას და ისტორიულ ეროვნულ ღირსებებს.

* * *

ილიას აზრით „დიდი ცოდვაა ადამიანს, თუნდ ცალკე პატარა ერს, ნიჭი შეუკრა, შეუბოჭო, სიკეთის ღონე შეუხუთო, არა ნაკლები ცოდვაა ერთის ღვაწლი, თუ კაია სადმე, მეორეს მიაკერძო და მართლად ღვაწლდამდები ჩრდილში მიაყენო და სხვისით სხვა გამოაჩხეო საქებსადიდებლად“[1]. ასეთია ილიას სამართლიანი სიტყვა და საქმე.

ი. სტალინი თავის ბრძნულ სიტყვაში ფინეთის დელეგაციის მიღების დროს 1948 წლის აპრილში გენიალურად მიუთითებდა „რომ ყოველ ერს, სულ ერთია დიდია ის თუ პატარა, გააჩნია თავისი თვისობრივი თავისებურებანი, თავისი სპეციფიკა, რომელიც მხოლოდ მას ეკუთვნის და რომელიც სხვა ერებს არ გააჩნია. ეს თავისებურებანი წარმოადგენენ იმ წვლილს, რომელიც შეაქვს თითოეულ ერს მსოფლიო კულტურის საერთო საგანძურში და რითაც ავსებს და ამდიდრებს მას“[2].

ილია ჭავჭავაძე თავისი ნაშრომებში საქართველოს ისტორიის საკითხზე მიზნად ისახავდა სრული გულწრფელობითი და დიდის კეთილსინდისიერებით გამოეკვლია ქართველი ერის ეს თვისობრივი თავისე-

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. II, გვ. 457.

[2] გაზ. „Правда“ 13. IV. 1948 წ. ხაზგასმა ჩვენია. ა. ი.

ბურებანი და სპეციფიკა, ხოლო გამყალბ-ებლების წინააღმდეგ ბრძოლაში იგი იცავდა ქართულ ეროვნულ კულტურას, საქართველოს გმირულ ისტორიას ყველა ჯურის ფალსიფიკატორებისაგან ისე, როგორც ეს დიდ პატრიოტს შეეფერებოდა. ამასთანავე იგი ცდილობდა გამოემზეურებინა თვალნათლივ ის წვლილი, რომელიც ქართველმა ერმა შეიტანა მსოფლიო კულტურის საერთო საგანძურში. გარკვევით უნდა აღიხიშნოს, რომ ილიამ ამ მიმართულებით მაქსიმუმი გააკეთა იმისა, რის გაკეთებაც კი მაშინ შეიძლებოდა.

ილია რამდენადმე თითქოს აჯამებს მის მიერ გადახდილ სახელოვან ბრძოლას საქართველოს ისტორიის ფალსიფიკატორების ერთი ჯგუფის წინააღმდეგ,—დაწყებული „გადაგვარების მოსურნე", „თვ..სტომის დამწუნებელი" ქართველი ნიჰილისტებით და დამთავრებული ცარიზმის კატკოვისებურ ჯაშუშ მაბეზღარებით, როცა საქართველოს ისტორიაში მათი თვითნებური და თავხედური თარეშით აღელვებული წერდა: „ჩვენს ისტორიას ნუღარ იკითხავთ: აქ კაცს დაუსჯელათ შეუძლიან თავის ნებაზედ ნავარდი"[1]. ეს სიტყვა იყო გულის სიღრმიდან ამოძახილი, ღრმა და მწვავე განცდებით წარმოთქმული დიდი ქართველი კლასიკოსისა; ამ დაუსჯელ, აღვირახსნილ მონავარდეებისათვის წესით სასჯელი ისტორიკოსებს უნდა

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. II, გვ. 331.

გამოეტანათ, მაგრამ: „რაკი ისინი (ისტორიკოსები, ა. ი.) სდუმდენ, ვიცოარცა ქართული საზოგადოებრივი აზრის მესაჭეს, ისტორიკოსის მოყალეობის ასრულებაც უნებლიეთ ისევ ილია ჭავჭავაძეს მოუხდა"[1],—შენიშნავს აკად. ივ. ჯავახიშვილი.

ასეთია იმ ბრძოლის ხასიათი და სოციალ-ეკონომიური შინაარსი, რომელიც ილიამ წარმატებით და დიდი მოფიქრებით ჩაატარა საქართველოს ისტორიის ფალსიფიკატორებისა და ცილისმწამებლების წინააღმდეგ გასული საუკუნის 80-იან და 90-იან წლებში[2]. საქართველოს ისტორიის ეს გამყალბებლური მიმდინარეობები, როგორც უკვე დავრწმუნდით, გარკვეულ მავნე ანტიმეცნიერულ და ანტისოციალურ მოვლენად იქცა. ამ მავნე მიმართულების გამჩაღებლები იყვნენ ცარიზმის აგენტები, ბურჟუაზიულ-შოვინისტური ელემენტები და ნიჰილისტ-ნაროდნიკები თავიანთი დამქაში კალმოსნებით. ისინი ისტორიულად მეზობელ მომმე ხალხებში ეროვნული შუღლის გაღვივების და საქართველოს ისტორიის ხელაღებით გაყალბების გარდა, საქართველოში ეროვნულ-რევოლუციური მოძრაობის უაღრესად შემაფერხებელ ძალად მოგვეელინა.

[1] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია, 1938.

[2] ივ. ჯაბადარი ნაროდნიკი იყო, რევოლუციური მოღვაწეობისათვის იგი ხანგრძლივ იმკოფებოდა გადასახლებაში. „Письма о Грузии" ციმბირიდან განთავისუფლების შემდეგ დაწერა; იგი ხანგრძლივ იყო მოწყვეტილი ლიტერატურულ და მეცნიერულ მუშაობას, ამიტომ სრულებით არ არის გასაკვირველი, რომ მებრძოლ ნაროდნიკს, ივანე ჯაბადარს, სუბიექტური სოციოლოგიის თვალსაზრისზე მდგარს, სხვა ხელშემშლელ მოტივებთან ერთად, არ შეეძლო მეცნიერული საფუძვლიანობით გაერკვია საქართველოს ისტორიის ყველა ის საკითხი, რომელთაც ავტორი ესოდენ ვრცელი ბეგმით, ნაკლები პასუხისმგებლობითა და, რაც მთავარია,—ანტიპატრიოტული ნიჰილისტური მავნე თვალსაზრისით განიხილავს.

ამ თვალსაზრისით ილია ჭავჭავაძის აქ განხილულ ბრძოლებს უაღრესად პროგრესულ-ისტორიული და სამეცნიერო პრინციპულ-თეორიული მნიშვნელობა გააჩნია.

ილიამ ამ ბრძოლებში გაიმარჯვა, მან შესძლო მტკიცედ გადაეღობა გზა საქართველოს ისტორიაში ყველა ფალსიფიკატორულ ანტიმეცნიერულ მიმდინარეობისათვის. ამიტომ იყო, რომ ამ მავნებლებს მიმბაძველები მაშინ აღარ აღმოჩენიათ[1]. ილია ჭავჭავაძის ეს დიდი მას-

[1] ილია ჭავჭავაძის პოლემიკა „Письма о Грузии"-ს ავტორთან, ივ. ჯაბადართან, საკმაოდ დიდ გამოხმაურებას პოულობს იმდროინდელ ქართულ და რუსულ პრესაში. ილიას არც კი დაისრულებინა „ი ისტორიის" ბეჭდვა, როცა უკვე თბილისის რუსულ ორგანოში „Новое обозрение", რომელსაც იმ დროს ნ. ნიკოლაძე მეთაურობდა, ივ ჯაბადარმა დაბეჭდა საპასუხო ორი ფელეტონი სახელწოდებით: „Открытое послание Иверийцам" (1889 წ. 2—5 მაისის ნომრებში). „ივერიის" ფურცლებიდან იმავე წლის 23 მაისის ნომერში ილ. ჭავჭავაძე ივ. ჯაბადარის საპასუხოდ ბეჭდავს საკმაოდ მოზრდილ და მძაფრ კრიტიკული ხასიათის სტატიას სათაურით: „გზა და გზა სხვათა შორის" (იხ. ტომი 5, გვ. 167—176) პოლემიკამ გამოხმაურება ჰპოვა „Новое обозрение"-ს რედაქციის მხრიდანაც. რედაქცია 1889 წელს № 2022 ათავსებს ხელმოუწერელ მეთაურს სახელწოდებით „Византийские споры", რომელშიაც მან „Письма о Грузии"ს ავტორი „ალაზანგაღმელ ჰეროსტრატეს" სახელით მონათლა, მაგრამ ისე, რომ არც ილია ჭავჭავაძისათვის დაუკლია საყვედურები და ლანძღვა; რედაქცია ამაზე საყვედურობდა, რომ რა დროს ისტორიული „ძონძების" ჩხრეკაა, სად გვცალია ჩვენი ცოდნა და ენერგია „შევალიოთ იმისთანა მკვდარ საგანს, როგორიც საქართველოს ძველი ისტორიაა და არა იმ დღევანდელ საჭირბოროტოსა, რომ სიმშილით კუჭი გვეწვის და თავზე სახურავი ჭერი არა გვაქვსო". სწორედ ასეთმა გულგრილმა და ყოვლად მახინჯმა დამოკიდებულებამ საქართველოს ისტორიისადმი აიძულა ილია გამოსულიყო ერთხელ კიდევ რედაქციის წინააღმდეგ (ფაქტობრივ ნ. ნიკოლაძის წინააღმდეგ, რადგან შემდგომ გამოირკვა, რომ აღნიშნული „მეთაური" ნიკოლაძის კალამს ეკუთვნოდა) საპასუხო სტატიით „Новое обоз-

შტაბის ყოვლად სამართლიანი ბრძოლა, მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის ისტორიის თვითმყოფობის შენარჩუნებისათვის გააფრთებული ბრძოლების ისტორიაში, მუდამ დარჩება როგორც ერთ-ერთი სამაგალითო მოვლენა.

рение"-ს წერილის გამო (დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში" 1888 წ. ნოემბერში №№ 236,237,238, მეთაურების სახით). „Новое обозрение"-ს რედაქციის ორპირული საქციელის შესახებ ილია შემდეგს წერდა „მეტი რა მოეთხოვება ე. წ. „Живая газета"-ს (იგულისხმება „Новое обозрение"), შენც გაამებს, იმასაც და ამასთანავე ორივეს გაგწკეპლავს, მაგრამ ისე კი, რომ ერთმა მეორის ტკივილებით ინუგეშოს და წყენა გაინეოოს. ამ გაწკეპლაში,—ამბობს ილია,—კაცმა რომ მართალი სთქვას, მოგებული მა ნც ალაბან-გალეული ჰეროსტრატე რჩება" (იგულისხმება ივ ჯაბადარი, ა. ი.).

უკმაყოფილო ჯაბადარი გაზ. „Новое обозрение"-ს რედაქციის საწინააღმდეგო წერილით გამოდის (იხ. 1889 წლის №2023). იმდროინდელი გაზ. „თეატრში", რომელიც ოპოზიციაში უდგა „ივერიას", ესარჩლება ივ. ჯაბადარს და ხოჭლელის ხელმოწერით ათავსებს წერილებს, რომლებშიც გაზეთი იხიარებს და იცავს ივ. ჯაბადარის მცდარ მოსაზრებებს: „ავ ორს (ივ. ჯაბადარს) შეგნებული აქვს თანამედროვე მეცნიერებაში შემუშავებული სოციოლოგიური კანონები და ამ თავისი შეძენილი საგზლით იგი შესდგომია ისეთ მძიმე საგანს, როგორიც არის ჩვენი გაურკვეველი და ბურუსით მოცული განვლილი ცხოვრება" („თეატრი" № 34—40, 1889 წ.). სუბიექტური სოციოლოგიის ნიადაგზე მდგარი ნაროდნიკი ივ ჯაბადარის „სოციოლოგიური" მეთოდით განხილული საქართველოს წარსული, დამსახურებულ საზოგადო მოღვაწეს, განსვენებულ ხომლელს, მეცნიერულად წარმოესახა.. პოლემიკას ამავე საკითხზე შემდგომაც ჰქონია ადგილი (1907—1908 წლებში), ამას ადასტურებს ივ. ჯაბადარის მოგონებანი (ჟურნალ „Былое", 1907 № 9 და ნიკოლაძის პასუხი „Как пишется история". 1908 წ.).

თავი მესამე

1. ძველი საქართველოს ეკონომიური წყობა ილია ჭავჭავაძის შეხედულებით

წინა თავებიდან დავრწმუნდით, რომ ისტორიული ჭეშმარიტების აღსადგენად ილიას ქართველი ხალხის ისტორიაში სრულებით არ იზიდავს მეფეებისა და ომების ისტორია, ან კიდევ საქართველოს სახელმწიფოს დიპლომატიურ ურთიერთობათა ისტორია მეზობელ თუ არამეზობელ სახელმწიფოებთან. მან შესანიშნავად იცის, რომ ხალხის ისტორიული ცხოვრების მეცნიერულად ახსნისათვის ასეთი ამბები მაინცდამაინც დიდ დახმარებას ვერ გაგვიწევს[1]. ილიას აინტერესებს საქართველოს ისტორიული პროცესის შინაგანი მიზეზობრიული ახსნა მთლიანობასა და ყოველმხრივობაში, მას იტაცებს ხალხის მასები და მათი მოძრაობა, მათი როლი ჩვენს ისტორიაში. ამრიგად, ილია „ხალხის შიდა ცხოვრებითაა“ დაინტერესებული და იმ აზრისაა, რომ მხოლოდ ამ უკანასკნელის გამორკვევის საფუძველზე შეიძლება ისტორიული ჭეშმარიტების მეცნიერული სიზუსტით დადგენა.

საქართველოს ისტორიის შესწავლის მაშინდელი დონე არადამაკმაყოფილებლად მიაჩნდა ილიას და გულისტკივილით ამბობდა: „ჩვენი ისტორია ჯერ კიდევ

---

[1] რამდენადაც ისინი თვითონვე საჭიროებენ ახსნას.

შეუმუშავებელიაო". მაშასადამე, ილია ჭავჭავაძის რწმენით, საქართველოს მეცნიერული ისტორია, სადაც ხალხი შესაფერ ადგილს დაიკავებდა, მომავალში უნდა დაწერილიყო, რადგან, ილიას აზრით, „ისტორია საერთოდ მთელი ხალხის ნამოქმედარია"; მაგრამ აღნიშნული მაინც როდი გვეუბნება ყველაფერს ილია ჭავჭავაძის მეცნიერულ შეხედულებათა შესახებ საქართველოს ისტორიის საკითხებზე.

საქმე იმაშია, რომ ილია ჭავჭავაძე ცდილობს საქართველოს ხანგრძლივი ისტორიული განვითარების პროცესის ახსნას ისეთი საფუძველი მოუნახოს, რომელიც მეცნიერულად გააშუქებდა არა მარტო საქართველოს ისტორიულ წარსულს, არამედ მისაწმყოსა და მომავალსაც. ჩანს, ღრმა დაკვირვებითა და დიდი გულმოდგინებით უმუშავნია და უფიქრია ილიას ამ მიმართულებით. აქ გასაკვირველიც არაფერია,—ილია ჭავჭავაძეს ყველგან და ყოველთვის საკითხის არსი აინტერესებს და არა მისი გამოვლინების ესა თუ ის ფორმა.

ილიამ კარგად იცოდა, რომ გამოვლინების ფორმა მოვლენის ზედაპირია. იგი არ უღრის მოვლენის არსს,—მართლაც, ამის საწინააღმდეგო შემთხვევაში „ყოველი მეცნიერებაც კი ზედმეტი იქნებოდა, თუ გამოვლინების ფორმადა ნივთების არსება უშუალოდ თანამთხვეულიყო"[1]. ილიას საქართველოს ისტორიული მოვლენების არსი, მისი საფუძველი აინტერესებს; იგი ისტორიულ პროცესის განმსაზ-

[1] კ. მარქსი, „კაპიტალი" ტ. III, გვ. 335.

ღვრელ, ძირითად წარმმართველ და უმთავრეს მამოძრავებელ ძალებს ეძებს.

ილიას საქართველოს ისტორიაში აინტერესებს მოქმედი და განმსაზღვრელი შინაგანი ეკონომიური კანონზომიერება. ილიას დაკვირვებით, საქართველოს ეკონომიური განვითარების შინაგანი ისტორიული კანონზომიერება „ჩვენი შიდა-ცხოვრების ისტორია, ჯერ ფარდაუხდელია დაუცნობია ჩვენგან,"[1] ხოლო, ილიას აზრითვე, ამისი მეცნიერულად ამომხსნელი პასუხი საქართველოს ისტორიულ-ეკონომიურ აგებულებასა და წყობაში უნდა მოინახებოდეს.[2] ამ დებულებიდან გამომდინარე ილია განიხილავს საქართველოს ისტორიულ წარსულს და იძლევა თავისებურ პირველ ცდას, რათა ამ არსებითად სწორ საფუძველზე დაყრდნობით შუქი მოჰფინოს არა მარტო საქართველოს ხანგრძლივ ისტორიას, არამედ, როგორც აღვნიშნეთ, მის აწმყოსა და მომავალსაც კი.[3]

---

[1] ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებ., ტ. V, გვ. 201.
[2] იქვე, გვ. 202.
[3] ჩვენი მიზანი იყო ჯერ გადმოგვეცა ილია ჭავჭავაძის შეხედულებანი საქართველოს ისტორიის საკითხებზე, ხშირ შემთხვევაში საკითხის დაყენების თვალსაზრისითაც კი, ხოლო შემდეგ გაგვერკვია, თუ რა თვალსაზრისით უდგება ილია საქართველოს ისტორიის გადაუწყვეტელ პრობლემას, რა მიაჩნია ჩვენს ისტორიაში ისტორიული პროცესის სწორად გაგებისათვის დასაყრდენად, ამოსავალად და გამსაზღვრელად. აქამდე ჩვენ ვიკვლევდით ილიას კონცეფციას საქართველოს ისტორიის საკითხებზე, ახლა კი გაეცნოთ საქართველოს ისტორიის იმ ძირითად პრობლემებს, რომელთაც თავისებურად წყვეტს ილია, ან-და, თუ თვით ვერ წყვეტს, რა ამოცანებს უყენებს მკვლევართა მომავალთაობას „ამ გადაუწყვეტელი" პრობლემების გამოსარკვევად.

*
* *

1880 წელს გაზეთ დროებაში, რომელსაც იმ დროს ილია ჭავჭავაძე და ს. მესხი რედაქტორობდნენ, ი. ჭავჭავაძე ბეჭდავს სტატიას „ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ"[1]. იგი არაა ვრცელი, მაგრამ ამ პატარა წერილში განვითარებულია რამდენადმე ახალი თვალსაზრისი ისტორიული პროცესებისა და მოვლენების შესასწავლად, საერთოდ, და მოცემულია პირველი ცდა ამ ახალი თვალსაზრისით საქართველოს ისტორიის უაღრესად აქტუალური საკითხის განხილვისა. ილია არც აცხადებს პრეტენზიებს საკითხის სავსებით გადაწყვეტაზე; პირიქით, ის დიდბუნებოვანი ადამიანისათვის ჩვეული თავმდაბლობით ამბობს: „ჩვენგან დიდი კადნიერება იქნებოდა, რომ ამ მძიმე საქმის გამოკვლევას შევსდგომოდით გაზეთის მოკლე წერილშია. სწორედ მოგახსენოთ, ამისათვის არც მომზადება გვაქვს და არც საჭირო წყარო" და მხოლოდ „ფიქრად მოგვდის ორიოდე აზრი, ისიც ვარაუდობით ცნობილი, და ვგონებ მეტი არ იყოს ის ორიოდე აზრი მკითხველსაც განვუზიაროთ"[2].

რა აზრებია და პრობლემები, რომლებსაც ასე დიდი სიფრთხილით და მოწიწებით ეპყრობა ილია და რომლებშიაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სრულიად ახალი თვალსაზრისია გახვითარებული საქართველოს ისტორიის მეცნიერულად შესწავლისათვის? — „არის ერთი იმისთანა ისტორიული მოვლენა, — წერს ილია, — რომელსაც ვერავინ უარს ვერა ჰყოფს და რომელიც დღესაც უკვარს ყველას, ვისაც კი ამ მოვლენისათვის თვალი დაუკვირვებია"[3].

[1] გაზ. დროება 1880 წ. № 25 და ილია ჭავჭავაძის თხზულებანი, ტ. V, გვ. 201—204

[2] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ნაწერების სრული კრებული, ტ. V, გვ. 203.

[3] იქვე, გვ. 201

ყველასათვის ცნობილია, „რომ ჩვენს ხალხს ორი ათასი წელიწადი უცხოვრია თავისის ცხოვრებითა და თვითმოქმედებითა. უეჭველია, რომ ამ ორი ათას წელს იმისთანა ხანა ისტორიისა არ დასდგომია, რომ მტრისაგან მოსვენებული ყოფილიყოს ზედ-მიყოლებით და განუწყვეტლივ ასი წელიწადი მაინც ერთად"[1]. რომელი ჯურის მტერი არ მოიგერია საქართველომ თავისი ისტორიული არსებობის მანძილზე.—„დღე და ღამ იარაღით ხელში იდგა, მტერი ყოველმხრიდან მოწოლილი იყო". ეს ისეთი ფაქტია, რომელიც არავისგან დავას არ გამოიწვევს, მაგრამ „ვსთქვათ, მკლავმა და გულმა შესძლო ეს გოლიათობა, საკვირველი ეს არისრა ქონებამ გაუძლო ამისთანა ყოფასა? რა ჰკვებავდა ხალხსა, რა ქონებით უძღვებოდა ამოდენა ომებსა დასისხლის ღვრასა? ეს ერთი მუჭა ხალხი თითქმის ქუდზედ კაცად უნდა მდგარიყო იარაღით ხელში, რომ მტრისაგან მტვრად არ აღგვილიყო,—და საზრდოებას ვინ აძლევდა და რა აძლევდა?"[2]— (კურსივი ჩვენია ა. ი.) კითხულობს ილია ჭავჭავაძე.

ილიამ კარგად იცოდა ქართული ისტორიოგრაფიის მაშინდელი უმწეო მდგომარეობა. ეს გარემოება მას გულს უკლავდა (ამის შესახებ ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი). მით უმეტეს ილია ჭავჭავაძემ კარგად იცოდა, რომ მოთხოვნა, რომელსაც იგი უყენებდა საქართველოს წარსულის შესწავლას, საქართველოს ისტორიკოსთათვის მაშინ მიუწვდომელი იყო და ამიტომაც იქვე დასძენს: „ყოველს ამა საგანზედ უეჭველი და გულდადები-

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებ., ტ. V, გვ. 202.

თი პასუხი მეტად ძნელია. ამ შემთხვევაში ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ ხელს ვერაფრით შეგვიწყობს, ერთს იმისთანას არას გვანიშნებს, რომ საბუთად ვიხმაროთ უეჭველის დასკვნისათვის. მხოლოდ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამისი პასუხი ჩვენს ეკონომიურს აგებულებასა და წყობაში უნდა მოინახებოდეს. უეჭველია ჩვენი უწინდელი ეკონომიური წყობა ისეთი ყოფილა, რომ ხალხს იქიდამ ჰქონია ის ქონებითი ძალ-ღონე, რომლითაც იგი გასძღოლია ამოდენა ვაი-ვაგლახსა და ომებსა ამოდენა ხნის განმავლობაში“[1].

ასეთი შეხედულებით განხილვა საქართველოს ისტორიის ამ უაღრესად აქტუალური პრობლემისა,— უფრო სწორად, პრობლემის ამგვარად დაყენება ი. ჭავჭავაძემდე სრულიად უცნობი იყო საქართველოში და ილია პირველია, რომელმაც ესოდენ ახალი და განსხვავებული შეხედულება განავითარა და მომავალ თაობებს უანდერძა საქართველოს ისტორიის სწორედ ამ თვალსაზრისით შესწავლა. საქართველოს „ეკონომიური აგებულებისა და წყობის“ შესწავლა ისტორიულად ილიას საქართველოს ისტორიის პირველხარისხოვან ამოცანად რომ მიაჩნია, ამაში გვარწმუნებს იგივე წერილი. „აი, საგანი ღირს-შესანიშნავი და მეტად საინტერესო გამოსაკვლევად. ეს საგანი რომ ჰქონდეს ჩვენს ეხლანდელს მეისტორიეს, ამ საგანზედ რომ ეეჭველი პასუხი მოგვცეს ეინმემ, ბევრს ნათელს მოჰფენდა აწიყოსა და მომავალსაც გზას გაუნათებდა“[2]. როგორც ვხედავთ, ილია ჭავჭავაძემ ქართველი ერის

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ნაწერების სრული კრებ., ტ. V, გვ. 202.
[2] იქვე, გვ. 202—203.

მრავალსაუკუნოვანი წარსულისა და ასევე აწმყოსა და მომავლის ნათლად წარმოდგენისათვის ამ წარსულის ეკონომიური საფუძვლების გამორკვევა-შესწავლის აუცილებლობა აღიარა. ილია პირდაპირ ლაპარაკობს, რომ „აი, საგანი ღირს-შესანიშნავი და მეტად საინტერესო გამოსაკვლევად“.

რას გულისხმობს ილია ჩვენი ქვეყნის ისტორიის „ეკონომიურ აგებულებასა და წყობაში“, რომელიც, ილიას აზრით, უნდა განსაზღვრავდეს მთელ ისტორიულ პროცესს და იძლეოდეს გასაღებს ისტორიული ჭეშმარიტების გარკვევისათვის?

თუ როგორ ესმის ილია ჭავჭავაძეს ქართველი ხალხის შორეული წარსულის ეკონომიური საფუძვლების გამორკვევა, უკეთ რომ ვთქვათ, საქართველოს ისტორიის მომავალ მკვლევართ რომელ და როგორ გზებს უსახავს საკვლევაძიებო მომავალი სამეცნიერო მუშაობისათვის (რადგან ახლა „ამისათვის არც მომზადება გვაქვს, არც საჭირო წყაროო,“ ამბობდა ილია), ამისათვის საჭიროა მოვიყვანოთ ის „ორიოდე აზრი“ მაინც, რომელიც ფიქრად მოსდიოდა ილიას, „ისიც ვარაუდობით ცნობილი“[1]. „ჩვენა გვგონია,—წერს ილია,—სიკეთე ჩვენის ეკონომიურის აგებულებისა და წყობისა იმაში ყოფილა, რომ მიწა, ესე იგი მამულ-დედული, ცოტად თუ ბევრად უფრო სამართლიანად მორიგებული ყოფილა ჩვენს ხალხში, ვიდრე სადმე სხვაგან. საკვირველია, რომ დღეს აქამომდე უმამულო, უბინაო კაცი ჩვენში თითქმის არსად არ მოიძებება. ამისთანა წყობამ ბიჭმართა უსათუოდ ჩვენი ხალხი მიწათმოქმედებას, რომელიც უფრო დაუშ-

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებ., ტ. V, გვ. 203.

რომელი და მკვიდრი წყაროა ხალხისა და ქვეყნის საზრდოებისათვის, ვიდრე სხვა რამ. ხსნა ჩვენის ქვეყნისა ამ წყობაში უნდა ყოფილიყო, და ვიდრე ამ წყობას უფრთხილდებოდნენ ჩვენი მეფეები, იმ დრომდე ქვეყანა ჩვენი ღონიერი ყოფილა და გასძღოლია მტერს ასე თუ ისე"[1].

ამრიგად, ილიას აზრით, მიწა-წყალი ძველ საქართველოში უფრო სამართლიანად ყოფილა განაწილებული ხალხს შორის, ვიდრე სადმე სხვაგან, ხოლო მიწათმოქმედება ჩვენი ხალხისათვის უფრო დაუშრობელი და მკვიდრი წყაროა არსებობისათვის, ვიდრე სხვა რამ; ქვეყნის ხსნაც ამ წყობაში უნდა ყოფილიყო. სანამ ამ წყობას უფრთხილდებოდნენ, მტერზეც იმარჯვებდნენ და ძლიერებადაც ითვლებოდნენ. უმამულო და უბინაო კაციც არავინ მოიპოვებოდა აქნობამდე და ასეთები დღესაც საქართველოში თითქმის არსად არ მოიძებნება. ამრიგად, მიწა-წყლის განაწილების წესი ყოფილა ყოველგვარი ბედნიერებისა თუ უბედობის ჭეშმარიტი მიზეზი ქვეყნისა და ხალხისათვის.

ახლა გავარკვიოთ, თუ როგორ ესმის ილიას „მიწის სამართლიანი მორიგება", „განაწილება", რომელიც ქართველი ხალხის ისტორიულ-ეკონომიურ ცხოვრებაში მტკიცედ ყოფილა დამკვიდრებული. ილია წერს: „ჩვენს ეკონომიურს წყობაში ორგვარი მიმდინარეობა იყო, როგორც ყველგან სხვაგან. ერთი სამსოფლო და მეორე საკომლო. პირველი მიიზიდებოდა ისე, რომ სოფლის წრეში ბყოფი მამულები, მიწა, მინდორი, ტყე,—საზოგადო, სამსოფლო ხმარებაში ყოფილიყო; მეორე ისე, რომ ყოველივე ეგენი

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებ., ტ. V, გვ. 203.

განსაკუთრებულიყო. თუ საკომლო ფეხს გადაიდგამდა და გავრცელდებოდა, მაშინ განსაკუთრებას მიწისას და, მაშასადამე, უსწორ-მასწორობას მიწის მფლობელობაში ფართო გზა გაეხსნებოდა, და თუ სამსოფლო გაძლიერდებოდა— მაშინ იმ უსწორ-მასწორობას გზა შეეკვრებოდა. აქედან ცხადია, ჩვენი მეფეები რას უნდა გაჰფთხილებოდნენ. როგორც ეტყობა, უფრთხილდებოდნენ კიდეც, თუ არ მეფენი, თითონ ხალხი მაინცა. ეს იქიდამა სჩანს, რომ ჩვეულებამ ფრთა შეაკვეცა საკომლოს განვითარებას, რადგანაც ყველგან საკომლო განსაზღვრული იყო ზოგან ოცის დღიურითა, ზოგან ორმოცის დღიურითა, მამულების ნოყიერებისა გვარად. ასე რომ ერთს კომლს სოფელში ჩვეულებით დადგენილზედ მეტი არ შეეძლო მამულები დაეპირა. ტყისა და მინდვრის განსაკუთრება ხომ ყოვლად შეუძლებელი იყო და დღესაც აქამომდე ჩვენის ხალხის გონებაში ვერა თავსდება ის აზრი, რომ ტყე და მინდორი საკუთრება იყოს ვისიმე და არა სამსოფლო"[1].

ამ გამოკვეთილ ამონაწერში თითქოს მოცემულია გადაწყვეტა იმ საკითხისა, თუ როგორ ესმოდა ილიას „მ ი წ ი ს ს ა მ ა რ თ ლ ი ა ნ ი მ ო რ ი გ ე ბ ა", რა შინაარსს დებდა მასში და რა როლს ანიჭებდა მას წარსულის თუ აწმყოს თვალსაზრისით ქართველი ხალხის ყოფასა და ცხოვრებაში[2]. მაშასადამე, არსებობდა მთელი მამულე-

[1] ი ჯ ა ვ ჯ ა ვ ა ძ ე, ნაწერების სრული კრებ., ტ. V, გვ. 203—204.

[2] ილია არა მარტო საქართველოს ისტორიაში სდავს მიწის სამართლიანი მორიგების წესრიგს, არამედ ყველა განათლებული ერისა და ხალხის წარმატებას ხსნის მიწის წესიერი განაწილებით და იმ ფაქტებზედაც მიუთითებს, რომ ახლა იმ ქვეყნებშიც შერყეულია ეს პრინციპი და ამიტომ სისხლი იღვრება მიწების თანასწორად მორიგებისათვისო; ილია წერს: „აბა მიიხედ-მოიხედეთ და ნახავთ,

ბის ორგვარი განაწილება „სამსოფლო“ და „საკომლო“. „სამსოფლოს“ ილია უწოდებს იმ მამულებს, რომლებიც— მიწა-წყალი, მინდორი, ტყე—„საზოგადო სამსოფლო ხმარებაში“ იყო; საკომლოს კი ისეთ მიწა-წყალს, რომელშიც „ყოველივე ეს განსაკუთრებულ იყო“, ე. ი. წარმოადგენდა კომლობრივ საკუთრებას. ამ ორგვარ განაწილებას შორის არსებობდა წინააღმდეგობა. ერთის ზრდა იწვევდა მეორის შემცირებას, კერძოდ „საკომლოს“ ზრდა-გავრცელება იწვევდა „უსწორ-მასწორობას მიწის მფლობელობაში“, ხოლო თუ „სამსოფლო“ გავრცელდებოდა, „მაშინ ამ უსწორ-მასწორობას გზა შეეკვროდა“. „საკომლოს“ გავრცელებით „მიწის სამართლიან მორიგებას“ ადგილი აღარ დაურჩებოდა. საბოლოოდ ასეც მოხდა. ჩვენი ხალხის დაუდევრობით „ამ უკეთეს მხარეს ჩვენი ეკონომიური წყობისას ყური აღარ ათხოვეს; გაიდგა ფეხი განსაკუთრებამ და კომლეულობამ, ჩამოვარდა უსწორ-მასწორობა მიწის მფლობელობაში არამც თუ კომლთა შორისაც, არამედ სოფელთა შორისაც.“

აი როგორ დატრიალდა ცხოვრების ჩარხი, როგორ შეიცვალა საქმის ვითარება, რამაც გამოიწვია ერის დასუსტება.

რომ მთელი განათლებული ევროპა, მთელნი დიდებულნი მესვეურნი კაცობრიობის წარმატებისა—იღწვიან, სისხლსა ღვრიან რომ მიწა, ეგ მუქთი ბუნებისაგან მინიჭებული ყოვლის ადამიანისა, შეძლებისამებრ თანასწორად მორიგებული ჰქონდეს ყოველს მკვიდრს მცხოვრებსა, რომელმა ერმაც ეს ვერ მოახერხა... მიწასთან გასწორდა, გაქარწყლდა და მტერად აიგავა“ (ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. I, გვ 236). ასე წარმოუდგენია ილიას არა მარტო საქართველოს, არამედ ყველა ძლიერი ქვეყნის ისტორია. აქიტომ ამბობს ილია, რომ „ჩვენს ეკონომიურ წყობაში ისე, როგორც ყველგან სხვაგან“.

ილია ჭავჭავაძეს ჩვენი წარსულის „ეკონომიური აგებულება და წყობა“ წარმოდგენილი აქვს, უპირველეს ყოვლისა, როგორც სოფლის მეურნეობაში ისტორიულად არსებული წესრიგი, რომელიც გამოიხატებოდა მიწების „სამართლიანად მორიგება-განაწილებაში: „მიწების სამართლიანი მორიგების“ გამო გახდა შესაძლებელი სამშობლოს მრავალრიცხოვანი მტრების მოგერიება, ქვეყნის ჯან-ღონიერების შენარჩუნება და ისიც, რომ ძველად, ვიდრე დღევანდლამდე, ერთი კაცი არ მოიპოვებოდა ჩვენს ქვეყანაში, რომელსაც არ ჰქონოდა საკუთარი მიწა, სახლ-კარი და სხვ.

ილია ჩვენი ქვეყნის წარსულის „ეკონომიურ აგებულებასა და წყობაში“ უპირატესობას ანიჭებს „სამსოფლო“, ე. ი. სახალხო მფლობელობას მიწაზე, რადგან იგი უფრო გამართლებულია და სწორედ მფლობელობის ასეთ წესში პოულობს ილია პასუხს კითხვაზე: „ჩვენი ხალხი ორი ათას წელიწადს იბრძოდა, ოხობდა, სისხლს ღვრიდა... ვსთქვათ, მკლავმა და გულმა შესძლო ეს გოლიათობა. საკვირველი ეს არის—რა ქონებამ გაუძლო ამისთანა ყოფასა? რა ჰკვებავდა ხალხსა, რა ქონებით უძღვებოდა ამოდენა ომებსა და სისხლის ღვრასა? საზრდოებას ვინ აძლევდა და რა აძლევდა?“[1], და უპასუხებს: „სამსოფლო“ მფლობელობა-მამულები, მიწა, ტყე, მინდორი—საზოგადო, სამსოფლო ხმარებაში რომ იყო“, ეს იყო უკეთესი მხარე „ჩვენი ეკონომიური წყობისა“, „საკომლოსთან“ შედარებით, რომლის შედეგადაც მეურნეობა ბევრად უფრო პროდუქტიული იყო, ბარაქიანი და ქვეყანაც ამიტომ იყო „ღონიერი“ და უძლეველი. მაგრამ,—

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებ., ტ. V, გვ 202,

ილიას აზრით,—იმ მიზეზების გამო, რომ ბოლოს და ბოლოს ჩვენი ეკონომიური წყობის ამ უკეთეს მხარეს ყური აღარ ათხოვეს, გაიდგა ფეხი განსაკუთრებამ და კომლეულობამ, ჩამოვარდა უსწორმასწორობა მიწის მფლობელობაში და ეს უკანასკნელი გახდა მიზეზი ქვეყნის დასუსტებისა.

ამრიგად, საკვლევი გასაგებად შეიძლება ჩავთვალოთ ილიას შეხედულებანი იმის შესახებ, თუ რას გულისხმობდა იგი „ძველი საქართველოს ეკონომიურ აგებულებასა და წყობაში“, რა თვალსაზრისით მოითხოვდა იგი საქართველოს ისტორიის თანამედროვე და მომავალ მკვლევართაგან შემდგომ კვლევა-ძიებას; რასაკვირველია, ილიას ყველაფერი არ უთქვამს ამ პატარა წერილში, ის მხოლოდ შეეცადა თავისი „ორიოდე აზრი მკითხველისათვისაც გაეზიარებინა“.

მიწების „სამსოფლო“ მფლობელობა მეტად ჰგავს ადგილ-მამულის სათემო საკუთრებას; შინაარსობლივად ხომ არ უნდა აიგივებდეს ილია ამ კატეგორიებს ერთ ცნებაში ისტორიული მოვლენების გარკვევისას? მიწებზე სათემო მფლობელობის ინსტიტუტის საქართველოში არსებობის შესახებ ილიას გააჩნია სავსებით ნათელი წარმოდგენა ისევე, როგორც მიწების „სამსოფლო“ მფლობელობა-საკუთრების შესახებ. მაგ., ილია 1880 წ. წერდა: „პირველ-ჟამური მფლობელობა ანუ ხმარება მამულისა სათემო მფლობელობა და ხმარება იყო. ამისი ცხადი საბუთები და ნიშნები დღესაც მრავალია ყველგან და ნამეტნავად ჩვენში. ამის აშკარა მაგალითია ტყისა და საძოვრების სათემო ხმარება, რომელიც ჩვენს თვალწინ, ჩვენდა სამწუხაროდ, დღეს სულთ ებრძვის რუსთა კანონების ზემოქმედების გამო და რომლის რწმე-

ნაც ჩვენი ხალხის გონებიდან დღევანდლამდე ვერ გამოდევნა თითქმის ოთხმოცი წლის მოქმედებამ მაგ კანონებისა. თითქმის ყოველს სოფელში დღესაც ჰრიხავთ ერთს წყობას მიწებისას, რომელსაც სათემო მიწებს ეძახიან და სათემო ხმარებაშია"[1].

ამრიგად, „სამსოფლო" მფლობელობა მიწის „სათემო საკუთრებისაგან"თითქ ს განსხვავებული ინსტიტუტია, ილიას წარმოდგენით, მაგრამ დასტურდება, რომ ეს განსხვავება ფორმალურია, ცნებითია და არა შინაარსობლივი. მიწის „სამსოფლო" საკუთრება იმ აზრით, როგორადაც იგი ილიას შემეცნებაშია წარმოსახული, როდია მარტო ეკონომიური კატეგორია, რომელიც მიწათმფლობელობის მხოლოდ გარკვეულ წესს გამოხატავს ქართველი ერის ისტორიული ცხოვრების გარკვეულ მონაკვეთში; მიწის „სამსოფლო" მფლობელობა, პირველ ყოვლისა, ილიას წარმოდგენით, საქართველოში ისტორიულად არსებული რეალურ-სოციალური დამოკიდებულების გამომხატველი ეკონომიური მოვლენაა, რომელიც ფეოდალურ საქართველოს პატრონყმური დამოკიდებულების პერიოდის საადგილ-მამულო ურთიერთობის დამახასიათებელ ერთ ერთ ნიშანს უნდა ასახავდეს. თუ შემდგომი კვლევა ამ მოსაზრებას დაადასტურებს, მაშინ ნათელი გახდება, რომ ილიამ თავისი ღრმა ინტუიციური ალღოს წყალობით ამით პირველმა განსაზღვრა პატრონყმურ საქართველოში არსებული მიწათმფლობელობის დამახასიათებელი ზოგიერთი მხარე იმ დროს, როცა პატრონყმობის ინსტიტუტი ქართულ ისტო-

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებ, ტ. VIII, გვ. 138. 1928 წ. გამოც.

რიოგრაფიაში მეცნიერულად ჯერ კიდევ გამოურკვეველი იყო[1].

ილიამ აღნიშნულ წერილში უფრო პრობლემები დააყენა შემდგომი საკვლევაძიებო მუშაობისათვის, რადგან თვითონვე გრძნობდა, რომ ამ პრობლემებზე პასუხის გაცემისათვის მაშინ მოუმზადებელი იყო ჩვენი ისტორიოგრაფია; ილიამ მაინც გამოთქვა თავისი შეხედულება ამ საკითხზე „ორიოდე სიტყვით". ეს მოსაზრებები მოითხოვენ კრიტიკულ მიდგომას და მით უმეტეს არ შეიძლება ამოწურავდეს ჭეშმარიტებას, მაგრამ როგორც აკად. ი. ჯავახიშვილი გვასწავლის „საქმე ის კი არ არის, სწორია თუ არა თვით ილ. ჭავჭავაძის ზემოთ მოყვანილი განმარტება. აქ ყველაზე საყურადღებო ის გარემოებაა, რომ მან ჯერ კიდევ 1880 წ. აღიარა ისტორიული პროცესის გასაგებად ეკონომიური საფუძვლის ცოდნის აუცილებლობა"[2].

როდესაც გამორკვეულია ილია ჭავჭავაძის შეხედულება, თუ რას გულისხმობდა ავტორი ქართველი ხალხის ისტორიული წარსულის ეკონომიურ აგებულებასა და წყობაში, როგორ ჰქონდა მას წარმოდგენილი დედაარსი ამ პრობლემისა, ამის შემდეგ ასახსნელი რჩება, თუ როგორი წარმოდგენისა იყო ილია კერძო საკუთრების ინსტიტუტზე საერთოდ და განსაკუთრებით კი მიწაზე კერძო საკუთრების არსებობის პრობლემის შესახებ.

---

[1] პატრონყმური დამოკიდებულების ინსტიტუტის, მისი სოციალ-ეკონომიური არსის მეცნიერულად დადგენა საქართველოს ისტორიაში დაკავშირებულია აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელთან.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია, გვ. 10.

ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულება კერძო საკუთრების ინსტიტუტისადმი

„თუ კერძო საკუთრება და კაპიტალი აუცილებლად აცალკევებენ ადამიანებს, აღვივებენ ნაციონალურ შუღლს და აძლიერებენ ნაციონალურ ჩაგვრას, კოლექტიური საკუთრება და შრომა ასევე აუცილებლად აახლოვებენ ადამიანებს, ძირს უთხრიან ნაციონალურ შუღლს და სპობენ ნაციონალურ ჩაგვრას. კაპიტალიზმის არსებობა ნაციონალური ჩაგვრის გარეშე ისევე წარმოუდგენელია, როგორც წარმოუდგენელია სოციალიზმის არსებობა ჩაგრული ერების განთავისუფლების გარეშე, ნაციონალური თავისუფლების გარეშე“[1].

ი. სტალინი

ყოველ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციას თავისი შესატყვისი, მასთან შეფარდებული საკუთრების ფორმა შეესაბამება.

საკუთრებითი ურთიერთობა წარმოებითი ურთიერთობის იურიდიული გამოხატულებაა. საკუთრების ტიპი, მისი ფორმა და ხასიათი განისაზღვრება საწარმოო ძალთა და საწარმოო ურთიერთობათა განვითარების დონით. ი. სტალინის გენიალური განსაზღვრით „საკუთრების ფორმა პირდაპირ დამოკიდებულია წარმოების ფორმაზე, რის გამოც წარმოების ფორმის შეცვლასთან ერთად ადრე თუ გვიან აუცილებლად იცვლება საკუთრების ფორმაც“[2].

---

[1] ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. 5, გვ. 20—21.

[2] ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. 1, გვ. 318.

ბურჟუაზიული ეკონომისტები მუდამ იმის ცდაში იყვნენ და არიან დღესაც, რომ ბურჟუაზიული კერძო საკუთრების ინსტიტუტი წარმოგვიდგინონ, როგორც საკუთრების ბუნებრივი და მარადიულად უცვლელი ფორმა. ბურჟუაზიის ეს მოსყიდული კალმოსნები აყალბებენ ურცხვად და ხელაღებით საზოგადოებრივი განვითარების მეცნიერულ ისტორიას, როცა ისინი ამასთანავე ცდილობენ „დაასაბუთონ", რომ კერძო საკუთრება თითქოს ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების ჩასახვისა და გაჩენის პირველ დღიდან არსებობს და სხვ. მარქსისტულ-ლენინური მეცნიერული „ისტორია, პირიქით, კოლექტიურ საკუთრებას გვიჩვენებს (საგალითად, ინდოელებში, სლავებში, ძველ კელტებსა და სხვ.), როგორც თავდაპირველ ფორმას, ფორმას, რომელიც სათემო საკუთრების სახით კიდევ დიდხანს ნიშვნელოვან როლს ასრულებს"[1].

ილია ჭავჭავაძეს ეს მეცნიერული ჭეშმარიტება სავსებით ნათლად აქვს შეგნებული. კიდევ მეტი, ქვევით დავრწმუნდებით, რომ პირველმა ილიამ სპეციალურად შეისწავლა სათემო საკუთრების დამახასიათებელი ნიშნები და თავისებურებანი საქართველოში, იმ პერიოდში, როცა ბურჟუაზიული კერძო საკუთრება ძირითადად ბატონდებოდა და სავსებით სპობდა საკუთრების დანარჩენ ფორმებს.

კაპიტალისტური ელემენტების ზრდა-გაძლიერება საქართველოში, განსაკუთრებით გასული საუკ. 80—90-იანი წლებიდან, მეტად დამახასიათებელი მოვლენაა და საკმაოდ გამოკვეთილი სახისაა.

კაპიტალისტური ურთიერთობის ქვაკუთხედი კერძო სა-

[1] კ. მარქსი, „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის", 1932 წ., გვ. 8.

კუთრების ინსტიტუტია. ის მტკიცედ იდგამს ფეხს კაპიტალისტური განვითარების გზაზე დამდგარ საქართველოში საკუთრების წინანდელ ფორმებთან დაპირისპირებით. სტალინი წერს: „კაპიტალისტური წყობილების მთავარ-საფუძველი კერძო საკუთრებაა წარმოების იარაღებსა და საშუალებებზე... ფაბრიკები, ქარხნები, მიწის წიადი, ადგილ-მამული, ტყე და წარმოების სხვა საშუალებები ერთი მუჭა კაპიტალისტების კერძო საკუთრებადაა გადაქცეული"[1]. ილია ჭავჭავაძე ამ ფაქტს კარგად ამჩნევს და მას გარკვეული შეხედულება აქვს კერძო საკუთრების შესახებ. საერთოდ, ილია კერძო საკუთრების ინსტიტუტის წინააღმდეგი არაა, პირიქით, იგი პრინციპულად, თითქოს, კერძო საკუთრების თვალსაზრისზე დგას, ხოლო წინააღმდეგია როგორც ყმური, ასევე დაქირავებული შრომის, რადგან ილია თავისუფალი მშრომელის დიადი იდეის მქადაგებელია[2].

---

[1] ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 312.

[2] რომ ილია წინააღმდეგია დაქირავებული შრომისა და მისგან წარმომდგარი ექსპლოატაციის, რომ ილია მრომის სუფევის მღაღადებელია, ილიას ნაწერებიდან ამას, სხვათა შორის, ადასტურებს ადგილები „აჩრდილიდან":

„შრომისა ახსნა—ეგ არის ტვირთი
ძლევამოსილის ამ საუკუნის,
კაცთა ღელვისა დიადი ზვირთი
მაგ ახსნისათვის მედგრადა იბრძვის.
ვეღარ განუძლებს ქვეყანა ძველი
განახლებისა გრიგალის ქროლას.
ვეღარ განუძლებს ქვეყნის მძარცველი
ჰეშმარიტებით აღძოულსა ბრძოლას,—
და დაიმსხვრევა იგი ბორკილი
შენ ფერხებელი კაცთა ცხოვრების,
და ახალს ნერგზედ ახლად შობილი
ესე ქვეყანა კვლავ აღყვავდების".

აქ ილია, რასაკვირველია, წინააღმდეგობაში ყარდება. ამ შემთხვევაშიაც ის ვერ ითვალისწინებს კაპიტალიზმის განვითარებასთან დაკავშირებულ კლასობრივ ყველა გარდუვალ დაპირისპირებას, შრომისა და კაპიტალის წინააღმდეგობას, რომელიც აუცილებელი თანამგზავრია კაპიტალიზმის განვითარებისა: მარქსი გვასწავლის: „კაპიტალისტური წარმოების და დაგროვების წესი, და ამნაირად, კაპიტალისტური კერძო საკუთრებაც გულისხმობს საკუთარ შრომაზე დამყარებული კერძო საკუთრების მოსპობას, ე. ი. მუშის ექსპროპრიაციას"[1]. ნსხვილმა კაპიტალისტურმა კერძო საკუთრებამ ერთიანად შთანთქა და გაანადგურა წვრილი კერძო საკუთრება.

ილია ურჩევდა სოფლის ყველა მეურნეს შეეძინათ და დაენერგათ ახალი მანქანა-იარაღები თაეიანთ მეურნეობებში, მაგრამ მისთვის წარმოუდგენელი იყო ის შედეგები, ის „რღვევა", რაც უნდა გამოეწვია ამ მანქანების კაპიტალისტურ გამოყენებას სოფლად; შეიძლება იგივე ითქვას ილიას შეხედულებაზე კერძო საკუთრებისა და შრომის დამოკიდებულების საკითხებზე უკვე ფეხმოკიდებული კაპიტალისტური ურთიერთობის დროს.

ან

„ალლო აილო ქვეყანამ ძველმა,
რომ დღე-და-დღე მის წყობა ირღვევა,
და ამ ხვიადმა საუკუნემ
უნდა შვას იგი შრომის სუფევა"

ილია, მართალია, მოითხოვს თავისუფალ შრომას ბატონყმური ბორკილებისა და შრომის ბარბაროსული ექსპლოატაციის ნაცვლად, მაგრამ ის მაინც ვერ ამაღლდა შრომის ჭეშმარიტი განთავისუფლების თეორიამდე. ამ გარემოებას შეუძლებელია ანგარიში არ გაეწიოს ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში.

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, „კაპიტალი", ტ. I, გვ. 714.

ილია ჭავჭავაძემ იცის, რომ მაგ., მიწის კერძო საკუთრება ისტორიულად დიდი ხანია რაც არსებობს როგორც საქართველოში, ისე სხვა ქვეყნებშიც, რომ კერძო „დასაკუთრება მიწების“ დაიწყო გარკვეული პერიოდიდან და მიზეზი ჩვენი უბედურებისა, სხვათა შორის, ამაშიც უდა ვეძებოთ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ილიას აზრით, რაკი ერთხელვე იჩინა თავი მიწების დასაკუთრებამ, მიწის კერძო საკუთრებამ, ამის შემდეგ ეს პროცესი განუწყვეტლივ მიმდინარეობდა და მოაღწია ჩვენამდე, ე. ი. მიწის საკუთრების ილიას დროინდელ მდგომარეობამდე.

მიუხედავად იმისა, რომ ილია თეორიულად მაინც წინააღმდეგი უნდა იყოს „ამ ჩვენი დამღუპველი კერძო საკუთრებისა მიწაზე“, იგი, პირიქით, იცავს მიწის კერძო საკუთრებას. აქ აშკარა წინააღმდეგობაა, მაგრამ წინააღმდეგობა ჩვენი ცხოვრების იმდროინდელი სინამდვილიდან გამომდინარე, რომელიც ამ სახით ჩამოყალიბდა ილიას ცნობიერებაში. „ილია თავისი დროის შვილია“ და იგი რამდენადმე იძულებულია დაიცვას კერძო საკუთრების ინსტიტუტი საერთოდ. ილია წერს: „კერძო საკუთრება ჯერ კიდევ ქვაკუთხედად უდევს არამც-თუ მთელს სახელმწიფურს და საზოგადოებურ წყობას რუსეთისას, არამედ მთელს ცხოვრებას დაწინაურებულ ქვეყნებისას მთელ დედამიწის ზურგზე“[1].

ამ შემთხვევაში ილიას ძირითადად ლაპარაკი აქვს მიწის კერძო საკუთრების შესახებ, მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, თითქოს ილია არ სცნობდეს დოვლათისა თუ ქონების სხვა სახეების კერძო საკუთრების ინსტიტუტის

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ნაწერების სრული კრებ., ტ. IX, გვ. 190.

ფაქტს და მის საჭიროებას; უდავოა, რომ ილია აღიარებს არა მარტო მიწის, არამედ მოძრავი ქონების, წარმოების საშუალებების სიმდიდრის დანარჩენი სახეობის კერძო საკუთრებას და მას კანონიერ მოვლენად მიიჩნევს. აქ მაინც ხაზგასმით შეიძლება აღინიშნოს ის გარემოება, რომ ილიას ყოველთვის, როდესაც კერძო საკუთრების პრობლემებს ეხება, ყურადღებისა და მხედველობის ცენტრში უმეტესად მუდამ მიწის საკუთრებისა და მფლობელობის ფორმებსა და წესზე აქვს მსჯელობა.

მიწის კერძო საკუთრებისა და მფლობელობის საკითხისადმი ყურადღების ესოდენ დიდად გამახვილება ილია ჭავჭავაძის მიერ უნდა აიხსნას იმ განსაკუთრებული როლით, რომელსაც ილია ანიჭებს ერის ცხოვრებაში მიწას, როგორც ყოველგვარი სიმდიდრისა და ბედნიერების წყაროს. მიწასა და მიწათმოქმედებაზე ილიას ამგვარი შეხედულების გამომუშავების დასაბამად საქართველოს მე-19 საუკ. მეორე ნახევრის სოციალ-ეკონომიური წყობა უნდა მივიჩნიოთ.

ამ დროს საქართველო ჯერ კიდევ მძიმედ განიცდიდა ფეოდალიზმის ნაშთებს ეკონომიურ ცხოვრებაში, მეურნეობა ის-ის იყო თავს აღწევდა ნატურალურ სამეურნეო ჩამორჩენილობას; სოფლის მეურნეობა, მიწათმოქმედება ჯერ კიდევ მაინც რჩებოდა გაბატონებულ ფორმად სახალხო მეურნეობისა, რადგან ქალაქის მრეწველობა და აღებმიცემობა შედარებით სუსტად იყო განვითარებული. ამ პერიოდში უმეტესად ისევ სასოფლო-სამეურნეო ქვეყანაა პრიმიტიულ, მამა-პაპურ სასოფლო-სამეურნეო იარაღებზე დამყარებული; სოფლის მეურნეობა, მიწათმოქმედებაა უმთავრესად ის დარგი, რომელშიაც ჩაბმულია მოსახლეობის დიდი უმრავლესობა, დაყრდნობი-

ლი „მიწასა“ და „გუთანზე“. აღნიშნული და მასთან დაკავშირებული მოვლენები უნდა იყოს საფუძველი ილია ჭავჭავაძის ამგვარი შეხედულების ჩამოყალიბებისა მიწასა და მიწათმოქმედებაზე, როგორც კერძო საკუთრებისა და მფლობელობის ცენტრალურ პრობლემაზე.

ილია თეორიულად არაა მომხრე მიწის კერძო საკუთრების ინსტიტუტისა საერთოდ და განსაკუთრებით კი მიწის საკუთრებითი ურთიერთობის იმ ფორმებისა და პრინციპების, რომელიც ილიას დროინდელ საქართველოში არსებობდა.

ილია დიდი სიმპათიით რომ არაა განწყობილი საერთოდ კერძო საკუთრებისადმი, პირიქით, კერძო საკუთრებას იგი მიიჩნევს ხალხთა „ერთმანეთზე მისევისა“ და „ძალმომრეობის“ მიზეზად,—ეს დასტურდება მისი შემდეგი მოსაზრებით. ილია წერს: „კერძო საკუთრება, სამართლიანად თუ უსამართლოდ, ჩვენდა საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, ჯერ კიდევ დიდხანს იქნება დიდს პატივში და მის სარბიელზე ძალმომრეობა, ერთმანეთზე მისევა, ვინც გინდ იყოს, იაფად არ დაუჯდება“[1]. ასეთია ორაზროვანი შეხედულება ილია ჭავჭავაძისა კერძო საკუთრებაზე საერთოდ.

გამომდინარე აქედან, შეიძლება ითქვას, რომ ილიამ, როგორც „თავისი დროის შვილმა“, მხოლოდ პრაქტიკულად იწამა კერძო საკუთრების ინსტიტუტი, როგორც

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IX, გვ. 190. ეს მოსაზრება უფრო მკვეთრად აქვს ილიას განვითარებული მოხსენებით ბარათში, რომელიც 1864 წ. წარუდგინა თბილისის გუბერნიის საგლეხო საკრებულოს ხიზნების შესახებ (კურსივი ჩვენია. ა. ი.). იხ. „საისტორიო მოამბე“, წიგნი 3, 1947 წ., გვ. 204, ა. იოვიძის პუბლიკაცია.

დროებითი მოვლენა, ხოლო თეორიულად ამ ინსტიტუტის რაობის „გაზომისა და აწონის“ შემდეგ კერძო საკუთრების (ამ შემთხვევაში მიწაზე კერძო საკუთრების) მოწინააღმდეგედ მოგვეელინა. ილიას ღრმა რწმენით კერძო საკუთრება იყო იმთავითვე, არის ეხლა და იქნება მომავალშიაც „ხალხის ერთმანეთზე მისევის“, დაუცხრომელი სისხლისმღვრელი ბრძოლებისა და ყველა სხვა უბედურებათა მიზეზი. განა ამის შემდეგ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ილია არსებითად დამცველია კერძო საკუთრების ინსტიტუტისა? რა თქმა უნდა, არა, და აქ ორი აზრი არც შეიძლება არსებობდეს.

ილიას აზრით, მიუხედავად ამისა, კერძო საკუთრება ჩვენდა „საბედნიეროდ თუ საუბედუროდ“ „ჯერ კიდევ დიდხანს“ დარჩება. განა ამ განსაზღვრიდანაც გარკვევით არ მტკიცდება, რომ ილია კერძო საკუთრებას არ მიიჩნევს ზეისტორიულ, მუდმივ მოვლენად, „კიდევ დიდხანს“—არ ნიშნავს მარადიულად. მაშასადამე, დადგება დრო, როცა კერძო საკუთრება არ იქნება. მაგრამ მანამდე, ჯერ ერთი, დიდი დრო გაივლის და კერძო საკუთრების ნიადაგზე ბევრი სისხლიც დაიღვრება. ამრიგად, ილია მხოლოდ გამოვლინებულ სოციალურ წინააღმდეგობებზე მიუთითებს და სათავეს ამ წინააღმდეგობებისას (არსებითად კლასობრივი წინააღმდეგობისას) შესანიშნავი გამჭრიახობით საკუთრებითი ურთიერთობაში პოულობს. ეს იყო დიდი მიხვედრა (და მხოლოდ მიხვედრა), რომელიც კი შეეძლო არამარქსისტულად მოაზროვნე ილია ჭავჭავაძეს და მის დიდ ეკონომიურ-ისტორიულ ალღოს შეენიშნა. არსებითად ეს სწორი დებულება ილიას არ გაუღრმავებია.

მაგრამ ამასთანავე განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ილია ჭავჭავაძე უფრო შორს იმდენად წავიდა, რამდენადაც მან მეცხრამეტე საუკუნის პატივსადებ ისტორიულ დამსახურებად მიიჩნია ბურჟუაზიული კერძო საკუთრებისა და სოციალური უთანასწორობის მოსპობის მაღალი იდეალების წამოყენება; დასტურდება, რომ იგი ამ მაღალ იდეალებს ეტრფის, შეხარის და მთელი თავისი არსებით იზიარებს. ამ უკანასკნელის შესახებ თვით ილია წერს: „მეცხრამეტე საუკუნემ სოციალურის წყობილების იდეალად გამოსახა „გაუქმება ქონებისა და შემოსავლის მეტ-ნაკლებად განაწილებისა ადამიანთა შორის, გაუქმება ყოველის კლასობრივის ბატონობისა და, შეძლებისამებრ, ყოველის კლასობრივის სხვადასხვაობისა, ფეხზე წამოყენება და ხელშეწყობა გამრჯელ და მშრომელ კლასების წარსამატებლად". ამ გზაზე წინა საუკუნეებს ერთად იმოდენი არა უქმნიათ-რა, რაც ამ ერთმა მეცხრამეტე საუკუნემ ჰქმნა თვისდა პატივის მოსახსენებლად"[1]. ილიას რწმენითვე, მართალია, მეცხრამეტე საუკუნემ ეს საკაცობრიო უმნიშვნელოვანესი საკითხი ვერ გადასწყვიტა, მაგრამ მისი საბოლოოდ გადაწყვეტა მეოცე საუკუნეს უანდერძა.

ილია ჭავჭავაძის ეს უაღრესად საყურადღებო მიხვედრა სავსებით გარკვეულ და ნათელ წარმოდგენას იძ-

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. VI, გვ. 7.

ლევა ი. ჭავჭავაძის სოციალ-ეკონომიური კონცეფციის თეორიული საფუძვლების გასარკვევად. აღნიშნულიდან კიდევ უფრო ცხადად ჩანს ილიას უარყოფითი დამოკიდებულება ბურჟუაზიული კერძო საკუთრების ინსტიტუტისადმი ისევე, როგორც მთლიანად ბურჟუაზიული წყობილებისა და სისტემისადმი, რომელიც, ი. ჭავჭავაძის რწმენით, განწირულია დასამხობად და თუ მე-19 საუკუნემ ეს ვერ შესძლო ისტორიამ იგი მე-20 საუკუნეს გადააკისრა გადასაწყვეტად, როგორც საკაცობრიო წინსვლისა და ადამიანთა მოდგმის გადარჩენის უმნიშვნელოვანესი პირობა.

ილია ჭავჭავაძემ საკუთრების შესახებ ზემომოყვანილი აზრები 1900-იან წლებში გამოთქვა. იგი მაშინ ნათლად ხედავდა, რომ ბურჟუაზიული საკუთრებითი ურთიერთობისა და დამოკიდებულების წინააღმდეგ აღდგა მშრომელი ხალხი. კერძო საკუთრებას აშკარა საფრთხე მოელოდა, მაგრამ ილია მაინც ფიქრობდა, რომ „საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, კერძო საკუთრება ჯერ კიდევ დიდხანს დარჩება". ილიას მაშინ არ შეეძლო დაენახა მოახლოებული 1917 წლის დიდი სოციალისტური რევოლუცია, რომელიც წარღვნად მოევლინა ცარიზმსა და ბურჟუაზიულ სისტემას, დაამხო მათი ბიუროკრატიული სახელმწიფო მანქანა, მოსპო ბურჟუაზიული კერძო საკუთრება, დაამყარა საბჭოთა ხელისუფლება და კერძო საკუთრების ბურჟუაზიული ინსტიტუტის ნამსხვრევებზე ააშენა სახალხო საკუთრება — სოციალისტური საკუთრების დიადი სისტემა.

*
* *

ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ვფიქრობთ, მით უმეტეს არ შეიძლება ითქვას, რომ ილია ჭავჭავაძე თითქოს კერძო საკუთრების ბურჟუაზიულ თვალსაზრისზე იდ-

გა. ილია ობიექტურად კაპიტალიზმის განვითარების პრუსიულ გზას იზიარებს, სუბიექტურად კი ებრძვის კაპიტალიზმის განვითარების შედეგად უკვე გამოვლინებულ სოციალ-ეკონომიურ ყველა მახინჯ მოვლენებს საერთოდ. არ შეიძლება, რომ ეს და ამასთან დაკავშირებული გარემოებანი თავის დაღს არ ასვამდეს კერძო საკუთრების იმ კონცეფციას, რომელიც ილიას ახასიათებს; ილია გარდამავალი პერიოდის მოღვაწეა და მისი ეკონომიურ-ისტორიული შეხედულებები ღრმად განიცდიან ორი ფორმაციის კვალს და ეს იგრძნობა არა მარტო კერძო საკუთრების კატეგორიის გარკვევისას, არამედ მის მთლიან შემოქმედებაშიაც.

ამასთანავე განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ ილია წინ იცქირება, იგი კრიტიკულადაა განწყობილი საკუთრებითი ურთიერთობის არსებული ფორმებისადმი და მდგომარეობიდან გამოსავალს ეძებს.

ილია ჭავჭავაძის თავისებური ისტორიულ-ეკონომიური კონცეფციის მიხედვით იყო დრო, როცა მიწაზე არ არსებობდა „საკომლო"—კერძო საკუთრება. დადგა პერიოდი, როცა ეს არსებობს და „ჯერ კიდევ დიდხანს იარსებებს" და შეიძლება მოვიდეს დრო, როცა იგი მოისპობა, მაგრამ ილია ჭავჭავაძისათვის არსებითად მაინც ბუნდოვანი რჩება ის, რომ: „საზოგადოების უფრო მაღალი ეკონომიური ფორმაციის თვალსაზრისით ცალკე ინდივიდუმთა კერძო საკუთრება მიწაზე სავსებით ისე უაზროდ მოგვეჩვენება, როგორც კერძო საკუთრება ერთი ადამიანისა მეორე ადამიანზე"[1].

[1] კ. მარქსი, „კაპიტალი", ტ. III, გვ. 226.

დიდ საბჭოთა ქვეყანაში მარქსის ეს გენიალური შორსგაჭვრეტა ჭეშმარიტებად იქცა ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით.

* *

ილია ჭავჭავაძის აზრით, „საკუთრებას ორი ნაწილი შეადგენს: ერთი—პირადი, მეორე—ზოგადი"[1]. საკუთრების ამ ორ ნაწილს შორის არსებობს გადამწყვეტი ბრძოლა ქვეყნიერებაზე გაბატონებისათვის. იგი წერს: „რომელი ერიც გინდა აიღოთ მთელს ქვეყნიერებაზედ, ჰნიხავთ, რომ ყველა ერის ეკონომიური ცხოვრება იმის ბრძოლაში დალეულია და ილევა დღესაც, რომ ან ერთი ნაწილი საკუთრებისა აუფლოს ქვეყანაზედ და ან მეორე"[2]. მაგრამ როცა ილია საკუთრების პრობლემებს იხილავს, როგორც თითქმის ყოველთვის, ისე აქაც მიწის საკუთრების საკითხზე აქვს გამახვილებული ყურადღება.

ილია წერს: „მთელი არსება მიწათმფლობელობის საქმისა, რომელიც შეადგენს დღევანდელს ტკივილს ყველა ეროსას და ყველა სახელმწიფოებისას, იმაში მდგომარეობს, თუ როჟელი ნაწილი საკუთრებისა გაძლიერდეს და გაუფლდეს კაცთა ეკონომიურს ცხოვრებაში: პირადი თუ ზოგადი. ეს ორი ელემენტი იბრძვის დღეს ქვეყნიერებაზედ და ეგრეთ წოდებული საადგილ-მამულო, სამიწა-წყლო საქმე (аграрный вопрос) მარტო ეგ ორთა

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. VIII, გვ. 160.
[2] იქვე. გვ. 160—161.

შუა ბრძოლაა და სხვა არა-რა"[1]. მოყვანილი ამონაწერებიდან, გარდა იმისა, რომ ირკვევა ილიას დამოკიდებულება საკუთრების საკითხებისადმი ზოგადად, გარკვეულ ფორმებში მოჩანს ილია ჭავჭავაძის აგრარული მოძღვრება (ეკონომიურ-ისტორიული თვალსაზრისით), მხოლოდ ილიას აგრარული მოძღვრება მისი ეკონომიური შეხედულების ქვაკუთხედია და სპეციალური კვლევის საგანს წარმოადგენს.

მაშასადამე, ილია ხედავს, რომ მიწის დასაკუთრების მიზნით ბრძოლა დღესაც გრძელდება. მაგრამ ეს ბრძოლა ინდივიდუალურ ხასიათს კი არ ატარებს, არამედ იბრძვის ორი დაპირისპირებული იდეა, რომელთა უკან იმალებიან სოციალური ფენები, წოდებები და კლასები; ერთი მოუწოდებს მიწის „პირადი" საკუთრებისაკენ, მეორე—მიწის „ზოგადი" საკუთრებისაკენ.[2]

მარქსი გვასწავლის: „მიწის საკუთრება ყველა ძველ ქვეყანაში საკუთრების განსაკუთრებით საპატიო ფორმად ითვლებოდა"[3]. ეს გენიალური განმარტება იმას

---

[1] ამავე შეხედულებას უფრო მოკლედ და მკვეთრად აყალიბებს ილია 1884 წ დაწერილ მოხსენებით ბარათში, რომელიც წარადგინა საგლეხო საკრებულოში ბიზნოვის საკითხთან დაკავშირებით, იხ. საისტორიო „მოამბე", წ. 3., გვ. 203—212

[2] საგულისხმოა, რომ ილია საკუთრების ამ ორ ნაწილს შორის ბრძოლის გამწვავების დასაწყისად XVI საუკუნეს უნდა მიიჩნევდეს, რადგან, ილიას კონცეფციით, მხოლოდ აქ პეიოდიდან უნდა გაძლიერებულყო „საკუთრების პირადი" სახეობა მთელს ქვეყნიერებაზე (იხ. ტ. VIII, გვ. 167), თორემ ძველად „ჩვენს ეკონომიურ წყობაში ორგვარი მიმდინარეობა იყო, როგორც ყველგან სხვაგან",—მიწის მფლობელობისა—„ერთი სამსოფლო და მეორე საკომლო", მაგრამ „სამსოფლო", ე. ი. „საზოგადო", საკუთრება იყო გაბატონებული „საკომლო", ე. ი. „პირად", საკუთრებაზე და, ილიას აზრით, ეს იყო „უკეთესი მხარე ჩვენი ეკონომიკისა" (იხ. ტ. V, გვ. 203—204). ამ საკითხს ჩვენ ცალკე ვეხებით.

[3] კ. მარქსი, „კაპიტალი", ტ. III, გვ. 153.

როდი ნიშნავს, რომ საშუალო საუკუნეების მთელ მანძილზე მიწის კერძო საკუთრება, როგორც საკუთრების განსაკუთრებული საპატიო ფორმა, შემცირდა,—პირუკუ, „საშუალო საუკუნეებში,—წერს ენგელსი,—...სახლის მიწაზე გამაგრება იყო ფეოდალური ექსპლოატაციის წყარო"[1]. ამდენად რაც შეიძლება მრავალრიცხოვანი ყმა გლეხების და დიდი სივრცის მიწის დასაკუთრება წარმოადგენდა თითოეული ფეოდალის ღირსებისა და პატივის სახელს. „საკონკურენციო" ბრძოლაც სწორედ ამ ფონზე იშლებოდა. კერძოდ, საქართველოში ეს ბრძოლა იმდენად ფართო ხასიათს ატარებდა, რომ მსხვილი ფეოდალები ხშირად მეფის უფლებებსაც კი გაბედულად ეცილებოდნენ; ფეოდალური ურთიერთობის ისტორია საქართველოში ისევე, როგორც სხვა ქვეყნებში, ამ ფაქტის უდავო დამადასტურებელია.

ამგვარ ფაქტს ისტორიულად მარტო საქართველოში როდი ჰქონდა ადგილი. ილია ამაზე წერს: „შუა საუკუნეებში ერთი განსაკუთრებითი ხელთმოქმედება იყო ევროპაში. ის ხელთმოქმედება მიწის შემუშავება იყო და მის გამო მიწა შეიქნა ცილების საგნად, რადგანაც იგი იყო პირველი და მხოლოობითი წყარო ქონებისა, ამიტომაც იქ ერობის ორი უპირველესი წოდება—თავადაზნაურობა და სამღვდელოება—იმის ბრძოლაში დასრულდა, რომ მიწა მარტოდ ხელში ჩაეგდო და როცა ჩაიგდო, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი უფლებაც განმარტებით დაიპყრო. პირველი გამოისახა ფეოდალიზმში და მეორე მასში, რომ მარტო მიწით მფლობელობა შეიქ-

[1] ფ. ენგელსი, „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში" (1887 წ., წინასიტყვაობა), გვ. 111.

მნა წარმომადგენლად სახელმწიფო საქმეთა გამგეობასა და წარმართვაში"[1]. მაშასადამე, ფეოდალური საზოგადოების, გაბატონებული კლასების, წოდებებისა და სოციალური ფენების პოლიტიკური ბატონობის ეკონომიური საფუძველი, ილიას აზრით, მსხვილი მიწათმფლობელობა და მასთან დაკავშირებული ბატონყმური დამოკიდებულებაა საერთოდ.

ფეოდალური ურთიერთობის ნიადაგზე აღმოცენებული მის კერძოსაკუთრებითი და მასთან დაკავშირებული სოციალური დამოკიდებულება, რომელიც ეყრდნობოდა უშუალო მწარმოებლის „გარეშე ეკონომიურ იძულებას", ადრე თუ გვიან უნდა დარღვეულიყო. ლენინი წერს: „მებატონეს რომ არ ჰქონდეს პირდაპირი ძალაუფლება გლეხის პიროვნების მიმართ, მას არ შეეძლო ემუშავებინა მის სასარგებლოდ ადამიანი"[2]. „ბატონყმობა და დამორჩილება" (მარქსი) უშუალო მწარმოებლისადმი (ყმისადმი) ისე, როგორც (ბევრად უარეს ფორმებში) ამას ქონდა ადგილი მონათმფლობელურ საზოგადოებაში, უკიდურესობამდე სცემს შრომის ნაყოფიერებას და ამზადებს გარდუვალ პირობებს ამ დრომოჭმული საზოგადებრივ-ეკონომიური ფორმაციის დასაღუპავად.

მიწის ფეოდალური საკუთრება არსებითად დაყრდნობილი იყო ნახევრად ბარბაროსულ ტექნიკაზე,— მეურნეობა ნატურალური იყო და „ბატონყმური მამული წარმოადგენდა თავის თავზე დაყრდნობილ კარჩაკეტილ ერთეულს".

---

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებ., ტ. VIII. გვ. 57.
[2] ლენინი, „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში", ტ. III, გვ. 171.

მიწის ფეოდალურ საკუთრებას კაპიტალისტური საკუთრება ცვლის. აქ საჭიროა მოვიყვანოთ ფ. ენგელსის შემდეგი გეხიალური ბითითება, სადაც იგი წერს: „ყველა ეერეთწოდებული პოლიტიკური რევოლუცია პირველიდან უკანასკნელამდე განხორციელებულ იეხა ერთი გვარი საკუთრების დასაცავად და გატარეიულ იქნა ბეორე გვარი საკუთრების კონფისკაციის შეხწეობით. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ საძიათას ხუთას წელიწადზე მეტია საკუთრებამ მხოლოდ საკუთრების დარღვევის წყალობით გასძლო“[1].

კაპიტალიზმი ფეოდალიზმისაგან მემკვიდრეობით ღებულობს მასების ექსპლოატაციის ყველა იმ ბერკეტს, რომელიც კი როგორმე, ამა თუ იმ ფორმით, შეუთავსდება კაპიტალიზმის ბუნებას. კაპიტალიზმი, მართალია, მის წინ არსებულ ფორმაციებთან შედარებით პიროვნებას „იურიდიულად ათავისუფლებს,“ მაგრამ ამ „იურიდიულად თავისუფალ მწარმოებელს“ ეკონომიურად იმონებს და რკინის ხუდებს ადებს. მარქსი წერს: „მიწის საკუთრების მოხიპოლია ნარმოადგენს ისტორიულ წინაპირობას (როგელსაც ფეოდალიზმის დროს ჰქონდა ადგილი. ა. ი.) და რჩება კაპიტალისტური წარმოების წესის მუდმივ საფუძვლად, მაგრამ მიწის საკუთრების ის ფორმა, რომელშიც ახლად ფეხადგმული კაპიტალისტური წარმოების წესი პოულობს მიწის საკუთრებას, არ არის მისი შესაბამისი ფორმა“[2] (კურსივი ჩვენია).

---

[1] ფ. ენგელსი, „ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა“, 1932 წ., გვ. 135.

[2] მარქსი, „კაპიტალი“, ტ. III, გვ. 146.

უძრავ ქონებაზე, ე. ი. ძირითადად მიწაზე, კერძო საკუთრების გარდა ილია იცნობს და თავის მოსაზრებას გამოთქვამს მ ო ძ რ ა ვ ქ ო ნ ე ბ ა ზ ე კერძო საკუთრების რაობისა და მისი აღმოცენების ისტორიული პირობების შესახებაც.

კაპიტალიზმის განვითარების შედეგად მიწათმფლობელობა და მიწათმოქმედება სახალხო მეურნეობაში კვლავინდებურად ვეღარ ასრულებს გაბატონებულ ფუნქციებს და იგი არსებითად დამოკიდებული, დამორჩილებული დარგი ხდება მრეწველობისა. ამის შესაბამისად მიწაზე, ე. ი. უძრავ ქონებაზე (ილიას გაგებით, ძირითადად ფეოდალური), კერძო საკუთრების გვერდით, შეუდარებლად ძლიერდება კერძო საკუთრება მოძრავ ქონებაზე (ილიას გაგებით ბურჟუაზიული ფორმა საკუთრებისა), რაც უაღრესად სერიოზულ ცვლილებებს იწვევს, ხოლო, როგორც ამის შესახებ ილია წერს,—„როცა ერი წარმატებაში შევიდა, როცა ვაჭრობა გახშირდა, გახშირდა საფაბრიკო და საქარხნო ხელთმოქმედება, მაშინ ქონებითმა ძალამ სხვა სახე მიიღო, მაშინ მოძრავმა ქონებამ ფესვი გაიდგა და უპირატესი ადგილი დაიჭირა ერის ცხოვრებაში. მაშინ მოძრავთა სიმდიდრის პატრონნი შეეცილნენ საზოგადოებრივს და სახელმწიფოებრივს უფლებას მიწის მფლობელთა თავად-აზნაურობას და სამღდელოებას. ეს შეცილება გათავდა საფრანგეთის დიდი რევოლუციით. ამ რევოლუციამ წამოაყენა მესამე წოდება—„ბურჟუაზია“, რომელმაც მიწათ-მფლობელობას ჩამოაცილა უპირატესობა სახელმწიფო წყობაში და მის მაგიერად დაადგინა მფლობელობა მოძრავი ქონებისა.

ამ ბურჟუაზიამ კიდევ ისე წარმართა საზოგადო და სახელმწიფო საქმე, რომ ეჩოსავით სულ თავისაკენ მი-

ითალა, და ის კი, რამაც საკუთრივ შექმნა იგი მოძრავი სიმდიდრე, წრეს გარეთ დარჩა. ის წრეს გარეთ დარჩომილი შრომა არის და მისი წარმომადგენელი კიდევ მუშა-კაცია"[1]. მაშასადამე, „მოძრავი ქონება" ბურჟუაზიული საკუთრების დამახასიათებლად მიიჩნია ილიას.

მოტანილი განსაზღვრით ნათლად დასტურდება, რომ ილიას გარკვეული წარმოდგენა ჰქონდა ფეოდალურ და ბურჟუაზიულ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციებზე. განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ილია მათ შორის განმასხვავებელ ძირითად ნიშანს საკუთრებით ურთიერთობაში ხედავდა.

რაც შეეხება მიწის საკუთრების ორგვარ სისტემას, რომელსაც ილია ჭავჭავაძე აყენებს საკუთრების „პირადი" და საკუთრების „ზოგადი" სახელწოდებით, ამასთანავე თავისი შინაარსით, არის საქართველოს მე-19 ს. მეორე ნახევრის ფაქტობრივი მდგომარეობის, ე. ი. ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმში გარდამავალი პერიოდის აგრარული ურთიერთობის თეორიულად გააზრების საყურადღებო ცდა. ლენინი გენიალურად განსაზღვრავს ამ დამოკიდებულებას, იგი წერს: „გარდამავალი სისტემა, რომელიც აერთიანებს საბეგარო-საბატონო და კაპიტალისტური სისტემის ნიშნებს და მართლაც

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებ., ტ. VIII, გვ. 57—58.

მებატონეთა სამეურნეო წყობა რეფორმის შემდეგ სწორედ ამ ნიშნით ხასიათდება"[1]. (კურსივი ჩვენია. ა.ი.).

რომ ეს დებულება უფრო ნათელი გახდეს, ამისათვის გავყვეთ შემდგომ ანალიზს. მიწის საკუთრების ფეოდალური წესრიგი და ფორმები ახლად ფეხადგმულ კაპიტალიზმს მემკვიდრეობით ხვდება. ფეოდალიზმისაგან უცვლელ მდგომარეობაში იგი არ არის აღმავალი კაპიტალიზმის შესატყვისი ფორმა.

ფ. ენგელსი წერს: „ყოველი რევოლუცია, რომელიც დღემდე მომხდარა, წარმოადგენდა ერთი რომელიმე გვარი საკუთრების დაცვას სხვადასხვაგვარი საკუთრების წინააღმდეგ. მას არ ძალუძს ერთი დაიცვას, თუ სხვა არ დააზიანა. საფრანგეთის დიად რევოლუციაში განწირულ იქნა ფეოდალური საკუთრება, რათა ბურჟუაზიული საკუთრება გადარჩენილიყო"[2]. კაპიტალიზმის განვითარება სოფლად სპობს ფეოდალურ საკუთრებას მიწაზე, კაპიტალიზმი უკუაგდებს რა ფეოდალურ პრიმიტიულ სამიწათმოქმედო იარაღებს, სოფლად ნერგავს შედარებით მაღალ ტექნიკურ და აგრომეცნიერულ მიღწევებს. „იგი (კაპიტალიზმი. ა. ი.), ერთი მხრივ, მიწის საკუთრებას სრულიად ათავისუფლებს ბატონობის და დამორჩილების ურთიერთობისაგან და, მეორე მხრივ, მიწას სრულიად აცალკევებს, როგორც შრომის პირობას მიწის საკუთრებისაგან და მიწის მესაკუთრისაგან... ისე წყვეტს მიწის მესაკუთრის კავშირს მიწასთან, რომ მესა-

---

[1] ლენინი, „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში", გვ. 172.

[2] ფ. ენგელსი, „ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა", გვ. 134—135.

კუთრეს შეუძლია თავისი ცხოვრება კონსტანტინეპოლში გააატაროს, მაშინ როდესაც მისი მიწის საკუთრება შოტლანდიაში მდებარეობს"[1].

მიწის ფეოდალური საკუთრება მოწოდებულია იქითკენ, რომ მისცეს რაც შეიძლება მეტი რენტა მიწის მფლობელს, ხოლო ამ უკანასკნელით ფერხდება კაპიტალიზმის თავისუფალი განვითარება სოფლად. „მიწის საკუთრება,— წერს მარქსი,—აქ მხოლოდ ხელთ იგდებს იმ დამატებით მოგებას, რომელსაც სხვაფრივ მოიჯარადრე ჩაიჯიბავდა"[2]. „ბაჟის აღების, ე. ი. რენტის აღების" გარეშე მიწათმფლობელი არ აძლევს უფლებას მოიჯარადრეს კაპიტალი მიწაზე თავისუფლად დააბანდოს, ამიტომ „მიწის საკუთრება აქ ის ბარიერია, რომელიც წარმოგვიდგება, როგორც შემაფერხებელი ფაქტორი სოფლად კაპიტალიზმის განვითარებისა." ამგვარად, მიწის საკუთრება იღებს წმინდა ეკონომიურ ფორმას, იღებს მით, რომ თავისუფლდება ყველა წინანდელი პოლიტიკური და სოციალური საფარველისა და ვარაყისაგან"[3]. რეფორმის შემდგომი პერიოდის საქართველოში საწარმოო ძალებისა და კაპიტალიზმის განვითარებას უაღრესად აფერხებდა ფეოდალიზმის ნაშთები—თავდაუხსნელი დროებით ვალდებული გლეხობა და ხიზნები ფაქტობრივ ყმურ მდგომარეობაში რჩებოდნენ; რაც შეეხება სახელმწიფო გლეხებს, ისინი ასევე ვერ ღებულობენ მიწას კერძო საკუთრებად რეფორმის შედეგად ისე, როგორც ეს რუსეთში იყო, და კვლავ რჩებიან რამდენადმე ყმურ დამოკიდებულებაში სახელმწიფოს წინაშე, როგორც იჯარის

[1] კ. მარქსი, „კაპიტალი" ტ. III, გვ. 147.
[2] იქვე, გვ. 148.
[3] იქვე.

გადამბდელნი. ეს გარემოება დიდად აფერხებდა საწარ-მოო ძალთა განვითარების საქმეს და 90-იან წლებში მთავრობა აშკარად აღნიშნავდა ამ ნაშთების დამაქვეი-თებელ გავლენას, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო-ში ბურჟუაზია შედარებით სუსტი იყო. 90-იან წლებში ამ ფეოდალური გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლა მაინც გარკვეულ სახეს ღებულობს და საკმაოდ მკვეთრ ხასიათს ატარებს, თუმცა ამ ბრძოლაში მაინც ფეოდა-ლურ-მემამულური ფენები იმარჯვებენ ცარიზმის დახმა-რებით. ასე იყო 1917 წლამდე.

*
* *

ფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის დაშ-ლისა და კაპიტალიზმის განვითარების შედეგად კაპიტა-ლისტური ქვეყნების აგრარული ურთიერთობის განვი-თარება იმგვარად წარიმართება, რომ რადიკალურად განწყობილი ბურჟუაზიული თეორეტიკოსებიც კი, თეო-რიულად მაინც, მიწაზე კერძო საკუთრების გაუქმებამდე მიდიან. რასაკვირველია, ამ მოთხოვნას თავისი ამისნელი მიზეზები და ბურჟუაზიული კლასობრივი ინტერესები განსაზღვრავს. მარქსი წერს: „თუ კაპიტალისტური წარმოების წესს ვიგულისხმებთ, კაპიტალისტი წარ-მოადგენს არა მარტო აუცილებელ, არამედ მის გაბა-ტონებულ აგენტსაც. პირუკუ, მიწის მესაკუთრე წარ-მოების ამ წესში სრულებით ზედმეტია"[1], ამიტომ სამ-რეწველო ბურჟუაზია თავისი იდეოლოგებით კაპიტა-ლიზმის განვითარების გარკვეულ საფეხურზე მიწის კერ-ძო საკუთრების წინააღმდეგ გამოდის. მარქსი წერს:

[1] კ. მარქსი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები", ტ. II, გვ 19.

„მიწის მესაკუთრე (ეს წარმოების მნიშვნელოვანი აგენტი ანტიურ და საშუალო საუკუნეების მსოფლიოში) სამრეწველო სამყაროში უსარგებლო ხორცმეტს წარმოადგენს. ამიტომ რადიკალი ბურჟუა, რომელსაც ამასთანავე მალულად ცალი თვალი ყველა სხვა გადასახადის მოსპობისაკენ უჭირავს, თეორიულად მიდის კერძო მიწათსაკუთრების უარყოფამდე“[1]. ამრიგად, მიწის კერძო საკუთრება აბსურდამდე მიდის ჯერ კიდევ კაპიტალიზმის პირობებში.

სამრეწველო ბურჟუაზიის ისეთი მოაზროვნეები, როგორიცაა როდბერტუსი და სხვა, „მიწის საკუთრების წინააღმდეგ ბრძოლით გატაცებულნი (მიწაზე კერძო საკუთრებას, ა. ი.) უსარგებლოდ და უაზრო ზედმეტობად აცხადებენ“[2].

მაგრამ სამრეწველო ბურჟუაზია თუ მიწაზე კერძო საკუთრების წინააღმდეგ გამოდის, ეს იმიტომ, რომ იგი წინააღმდეგია მიწის მესაკუთრისათვის რენტის გადახდისა და მოითხოვს იმ ბარიერის დანგრევას, რომელიც ხელს უშლის რენტის სახით სოფლად კაპიტალიზმის თავისუფალ განვითარებას. შეუძლებელიცაა ბურჟუაზიას სხვა სურვილი ამოძრავებდეს. ბურჟუაზია, მიუხედავად ამ ხმაურისა, მხოლოდ თეორიულად მიდის მიწის კერძო საკუთრების უარყოფამდე; პრაქტიკულად ბურჟუაზია ამ ლოგიკური საკუთარი დასკვნის წინაშე შიშით ძრწის, რადგან მიწის კერძო საკუთრების გაუქმება საფრთხეს მოუმზადებდა ბურჟუაზიულ საკუთრებას საერთოდ. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ბურჟუაზიული საკუთრების ქვაკუთხედი კერძო საკუთრების ინსტიტუტია,

[1] კ. მარქსი, „კაპიტალი“, ტ. III, გვ. 191.

[2] იქვე, გვ. 147—148.

სწორედ ამიტომ ამბობს მარქსი, რომ ბურჟუაზია „თეორიულად მიდის კერძო მიწათსაკუთრების უარყოფამდე“, ხოლო „სინამდვილეში მას არ ჰყოფნის ამისათვის გამბედაობა, ვინაიდან იერიშის მიტანა კერძო საკუთრების ერთ ფორმაზე მეტად სახიფათო იქნებოდა მეორე ფორმისათვისაც. ამას გარდა, ბურჟუაზიამ თვით შეიძინა მიწა და მოიკალათა მასზე“[1]. მარქსი აქვე დასძენს, რომ თუ მიწის კერძო საკუთრება სახალხო საკუთრებად გადაიქცეოდა, კაპიტალისტური წარმოების ბაზისი საერთოდ მოისპობოდა, მოისპობოდა ის საფუძველი, რომელზედაც დაფუძნებულია შრომის პირობების დამოუკიდებლად გადაქცევა და მათი მუშის მიმართ დაპირისპირება“[2]. ამას კარგად გრძნობენ ბურჟუაზია და მისი „თეორიული ბელადები“ (მარქსი). „კაპიტალისტური წარმოების წესისათვის საჭიროა მხოლოდ ის, რომ მიწა არ შეადგენდეს საერთო საკუთრებას, რომ იგი უპირისპირდებოდეს მუშათა კლასს, როგორც არა მისი კ უ თ ვ ნ ი ლ ი საწარმოო საშუალება, და ეს მიზანი საკვლევით მიღწეულია, თუ მიწა სახელმწიფო საკუთრება ხდება და, მაშასადამე, სახელმწიფო იღებს მიწის რენტას“[3].

მიწის კერძო საკუთრების გაუქმებისა და მისი სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადების ბურჟუაზიული თეორიით (და მხოლოდ თეორიით) სამრეწველო ბურჟუაზიის გათამამებული რადიკალურად მოაზროვნე თეორეტიკოსები „სახელმწიფო სოციალიზმის“ უტოპიურ თეორიამდეც კი „ამაღლდნენ“; მათ ბრწყინვალე წარმომადგენელად გვე-

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები“, ტ. II, გვ. 191.
[2] იქვე, გვ. 255.
[3] იქვე, გვ. 121.

ვლინება გერმანელი ეკონომისტი კარლ როდბერტუსი იაგეცოვი (ცხოვრობდა 1805—1875 წ. წ. და იყო მსხვილი პრუსიელი მემამულე). ამ ყალბ თეორიას თავის დროზე საკმაოდ დიდი გავლენა ჰქონდა არა მარტო გერმანიაში, არამედ სხვა ქვეყნებშიაც. მარქსი სასტიკად აკრიტიკებს „სახელმწიფო სოციალიზმის“ ყალბ თეორიას და პერსონალურად როდბერტუსს, როგორც მის ერთ-ერთ უთვალსაჩინოეს წარმომადგენელს.

შეუძლებელია ვიფიქროთ, რომ ილია იზიარებს „სახელმწიფო სოციალიზმის“ იდეას. პირუკუ, ილიას თხზულებებში შეიძლება მოინახოს მთელი რიგი ადგილები, სადაც ილია უპირისპირდება ამ თეორიას. მაგრამ ილია მოწმეა იმ ყიჟინის, რომელსაც ევროპის უპრინციპო რადიკალური ბურჟუაზია ასტეხს მთელი XIX საუკუნის მეორე ნახევრის მანძილზე მიწის კერძო საკუთრების მოსპობისათვის—პურის გაზრდილ ფასებთან დაკავშირებით. სწორედ ამ უკანასკნელის საფუძველზე მკვეთრად უპირისპირდებიან ერთმანეთს მიწათმფლობელთა და სამრეწველო ბურჟუაზიის ინტერესები. თუ სამრეწველო რადიკალური ბურჟუაზია მიწის კერძო საკუთრების გაუქმებას მოითხოვს, ამგვარ შეხედულებას გააფთრებით უპირისპირდებიან მიწის მესაკუთრეთა ფენები.

ლენინის განსაზღვრით თავისთავად „მიწის ნაციონალიზაცია არის ბურჟუაზიული რევოლიუციის არა მარტო „უკანასკნელი სიტყვა“, არამედ სოციალიზმისაკენ გადადებული ნაბიჯიც.“[1]

რასაკვირველია, ბურჟუაზია არასოდეს თანხმდებარი არ ყოფილა და არც შეიძლება იყოს მიწის კერძო საკუთრების მოსპობის მოთხოვნაში, მაგრამ ისტორიულად

[1] ლ ე ნ ი ნ ი, რჩეული ნაწერები, ტომი III, გვ. 934. სახელგამის გამოცემა, 1934 წ.

ცნობილია დავა, რომელიც სისტემატურად თუ პერიოდულად იმართებოდა ინგლისის პარლამენტში რადიკალური ბურჟუაზიის წარმომადგენლებსა და მიწის მესაკუთრეებს შორის ამ საკითხზე პურის ფასებსა და რენტის სიდიდესთან დაკავშირებით. და ეს განა მარტო ინგლისში ხდებოდა? ამას ადგილი ჰქონდა ყველა ბურჟუაზიულ სახელმწიფოში, ხოლო ინგლისი ამ შემთხვევაშიაც-ამ დავის კლასიკური ბურჟუაზიული ქვეყანა იყო.

შეუძლებელია აღნიშნულ (ისტორიულად და რეალურად არსებულ) დავას, მიწის საკუთრების ნიადაგზე აღმოცენებულს, არ ეთამაშა სათანადო როლი ილია ჭავჭავაძის ამ შეხედულების ჩამოყალიბებაში; ილია რომ ამ დავის კურსში იყო, ეს გარკვევით ჩანს, როცა იგი წერს: „მთელი არსება მიწათმფლობელობის საქმისა, რომელიც შეადგენს დღევანდელს ტკივილს ყველა ერისას და ყველა სახელმწიფოსას, იმაში მდგომარეობს, თუ რომელი ნაწილი საკუთრებისა გაძლიერდეს და გაუფლდეს კაცთა ეკონომიურ ცხოვრებაში: პირადი თუ ზოგადი, ეს ორი ელემენტი იბრძვის დღეს ქვეყნიერებაზე და ეგრეთ წოდებული საადგილმამულო საქმე (аграрный вопрос) მარტო ეგ ორთა შუა ბრძოლაა და სხვა არა-რა“.

მართალია, ილიას აქ მოტანილი აზრიდან არ ჩანს გარკვევით, თუ მებრძოლთა რომელ მხარეზეა ავტორის სიმპათია—მიწის „კერძო“ საკუთრებაზე, თუ მიწის „საზოგადო“ საკუთრებაზე, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ავტორი მაინც ვერ შორდება პროგრესულ რამდენადმე ლიბერალურ შეხედულებას ამ საკითხში.

ილია გარკვევით ამბობს, რომ აგრარული საკითხი საკუთრების ამ ორ ფორმას შორის ბრძოლაა და სხვა არა-რა. ამრიგად, ილია ნათლად ხედავს მიწის კერძო საკუთრების ნიადაგზე აღმოცენებულ ბრძოლას და მას

აგრარული ურთიერთობის ძირითად საკითხად თვლის, ამ დებულებით ილიამ ასახა ის მკაფრი ბრძოლა და კონსტატაცია უყო ნხოლოდ იმ ფაქტს, რომელსაც რეალურად ჰქონდა ადგილი ყოფილ რუსეთის იმპერიაში და განსაკუთრებით კი კოლონიურ საქართველოში. მაგრამ წინააღმდეგობის ასახვა როდი ნიშნავს ამ წინააღმდეგობების გადაწყვეტისათვის გზების დასახვას. ლენინი ტოლსტოის ახასიათებს როგორც რუსეთის რევოლუციის სარკეს[1]. მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ ტოლსტოიმ გაიგო რუსეთის მუშათა კლასის ისტორიული როლი და მისი ბრძოლა სოციალიზმისათვის? რასაკვირველია, არა. ამას ად სტურებს თვითონ ლენინის შემდეგი მითითება: „Толстой не мог абсолютно понять ни рабочего движения и его роли в борьбе за социализм ни русской революции"[2]. იგივე შეიძლება ითქვას ილია ჭავჭავაძის შესახებ. ილიამ მართალია ასახა მიწის კერძო საკუთრების ნიადაგზე აღმოცენებული წინააღმდეგობანი და კონფლიქტები, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ილია მივიდა მიწის ნაციონალიზაციის მეცნიერულ თეორიამდე. ვერ მივიდა ისიტომ, რომ მას არ შეეძლო გაეგო მიწათა სოციალობის მნიშვნელობა და მისი დიადი ისტორიული როლი.

მართალია, ილიას მიზანია გლეხობამ მიიღოს როგორმე მიწა, ილია გლეხთა ინტერესების თავგამოდებული დამცველია, მაგრამ ის გზები, რომელსაც ილია სასავს ამ მიზნის განსახორციელებლად, ობიექტურად ლიბერალურ-ბურჟუაზიულია და ნიადაგის ბომბმბადებელია სოფლად კულაკური მეურნეობისა და უკიდურესობამდე გალატაკე-

[1] В. Ленин. Соч. том XII, изд. III, стр. 332.

[2] იქვე, გვ. 332.

ბული პროლეტარების წარმოქმნისათვის. ილია გარდამავალი პერიოდის მოღვაწეა და მის აგრარულ შეხედულებებში საგრძნობლად მოჩანს როგორც ყმობიდან განთავისუფლებულ უმიწო გლეხობის, ასევე ფეოდალური ელემენტებისა და აღმავლობის გზაზე დამდგარი კაპიტალისტური ფენების ინტერესებიც, მათი დაპირისპირება და ბრძოლაც, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ილია დამცველია ფეოდალური ანდა კაპიტალისტური მიწათმფლობელური ინსტიტუტისა პირიქით, ილია კარგად ხედავს ფეოდალიზმის სიდამპლეს და სამარცხვინო ბოძზე აკრავს მას, ხოლო აღმავალ კაპიტალიზმს ილია შეუძლებელია შეჰყურებდეს იმედის თვალით, რადგან კაპიტალიზმის განვითარებამ ევროპაში დიდი ხანია გამოააშკარავა მთელი სისტემა ხალხის საზიზღარი ჩაგვრისა და ექსპლოატაციისა, რასაც ილია ვერაფრით ვერ ურიგდება. ილიამ თითქო შესანიშნავად იცის, რომ კაპიტალიზმი თავისი წარმოშობა-განვითარებით მშრომელთა სისხლსა და ძვლებზე აღორძინდა, რომ „კაპიტალს თავით ფეხებამდე ყველა სვრეტიდან სისხლი და ჭუჭყი სდის"[1]. ამდენად ილია თვითონვე ძიების გზაზე დგას.

ილია ცდილობს გამონასოს უკეთესი საზოგადოებრივი წყობა, სადაც ადამიანები უკეთესად იცხოვრებენ, სადაც ადგილი არ ექნება პიროვნების ჩაგვრას, წოდებრივ კლასობრივ ბრძოლას და ქვეყნად იბატონებს ჰარმონიული ეროვნული მოლიანობა, დაყრდნობილი დემოკრატიზმსა, თავისუფალ შრომასა და თავისუფალ მშრომელზე.

ილია წერს: „საზღვარდაუდებელმა უფლებამ საკუთ-

[1] კ. მარქსი. „კაპიტალი", ტ. I, გვ. 702.

რების პირადის ელემენტისამ მოუყარა თავი მამულებს კერძო კაცთა ხელში ცალ-ცალკე. განაშორა მუშა-ხელი სამოქმედო საგანს —მიწასა, განაცალკევა მუშა და საშუშაო საგანი. მაგ განშორებამ და განცალკევებამ დიდად შეარყია და შეშალა ბუნებრივი მდინარეობა ეკონომიურის ცხოვრებისა. ანიტომ რომ ერთ მხრივ დარჩა მუშა-ხელი—უმიწოდ და მეორე მხრივ მიწა უმუშა-ხელოდ"[1]. ამრიგად, ილია მოწმეა იმისა, რომ „საკუთრების პირადი ელემენტი" იმარჯვებს საზოგადო საკუთრებაზე, უშუალო მწარმოებელი დაუნდობლად ეთიშება წარმოების საგანსა და საშუალებებს. ხოლო ამ განმორებამ დაარღვია „ბუნებრივი მდინარება ეკონომიური ცხოვრებისა", რადგან სწორედ ამის შედეგად „დარჩა მუშა ხელი უმიწოდ და მიწა—უმუშა-ხელოდ" ილიას შეხედულებით კი მიწა და მუშა ხელი ერთად, განუყრელ მთლიანობაში უნდა იყოს. ამდენად ირკვევა, რომ ილია ობიექტურად მიწის გლეხური საკუთრების თვალსაზრისზე დგას.

ილია მიწის საკუთრების იმგვარ თვალსაზრისზე დგას, სადაც გლეხი „თავისუფალი მესაკუთრეა თავისი მიწის, რომელიც წარმოადგენს მისი წარმოების მთავარ იარაღს"[2]. ილია ჭავჭავაძეს მიწის წვრილი საკუთრება საკუთრების ნორმალურ ფორმად აქვს წარმოდგენილი, ხოლო წვრილი მესაკუთრე გლეხი სრულყოფილ თავისუფალ მშრომელად. მარქსი წერს: „საკუთარი მეურნეობის მქონე გლეხების პარცელური საკუთრების ეს ფორმა, როგორც გაბატონებული, ნორმალური ფორმა, შეადგენს, ერთი მხრივ, საზოგადოების ეკონომიურ საფუძველს უძველესი კლასიკური დროის საუკეთესო ხანაში, ხოლო, მეორე

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებ., ტ. VIII, გვ. 162.
[2] კ. მარქსი, „კაპიტალი", ტ. III, გვ. 323.

მხრივ, ამავე ფორმას ვპოულობთ ჩვენ თანამედროვე ხალხებშიც, როგორც ერთ იმ ფორმათაგანს, რომელნიც ფეოდალური მიწის საკუთრების დაშლიდან წარმოსდგებიან"[1]. მარქსის ეს გენიალური მითითება ნათელს ჰფენს მიწაზე წვრილი საკუთრების აღმოცენების იმ პერიოდსაც, საქართველოში რომ ჰქონდა ადგილი ბატონყმობის ჩასახვამდე და მისი გადავარდნის შემდეგ, მაგრამ კაპიტალიზმის შემდგომი განვითარების გამო აუცილებლობით დაშლა მოელოდა: მართლაც და შეუნელებლად ხდებოდა „მრავალთა წვრილი საკუთრების გადაქცევა მცირეოდენ მსხვილ საკუთრებად"[2].

ამრიგად, კაპიტალიზმის განვითარება ანადგურებს მიწის წვრილ საკუთრებას და ეს პროცესი—„უშუალო მწარმოებელთა ექსპროპრიაცია—ხდება დაუნდობელი ვანდალიზმის და ფრიად უსირცხვილო, ბინძური საზიზღარი და წვრილმანი მოქმედების ზეგავლენით"[3]. მარქსი გვასწავლის, რომ: „მევახშეობამ და საგადასახადო სისტემამ ყველგან უნდა გამოიწვიოს პარცელური მეურნეობის გაპარტახება. მიწის შესაძენად კაპიტალის დახარჯვა ნიშნავს ამ კაპიტალის დაკარგვას კულტურისათვის, საწარმოო საშუალებათა დაუსრულებელი დაქუცმაცება და თვით მწარმოებლების განცალკევება, ადამიანის ძალლონის კოლოსალური გაფლანგვა, მხარდი გაუარესება წარმოების პირობებისა და საწარმოო საშუალებათა გაძვირება—აი აუცილებელი კანონი პარცელური საკუთრებისა. წარმოების ამ წესისათვის უბედურებას წარმოადგენს მოსავლიანი წლები"[4].

[1] კ. მარქსი, „კაპიტალი", ტ. III, გვ. 325.
[2] იქვე, გვ 323.
[3] კ. მარქსი, „კაპიტალი", ტ. I, გვ. 704.
[4] იქვე, გვ. 704.

ილია ჭავჭავაძე ვერ ითვალისწინებდა კაპიტალიზმის განვითარების შედეგად წვრილი წარმოებისა და მიწათმფლობელობის მოსპობას, მათ კონცენტრაციას ერთი მუჭა მაგნატების ხელში და ამასთანავე ილიასათვის მით უმეტეს გაურკვეველი დარჩა ის ჭეშმარიტება. რომ კაპიტალიზმის განვითარების გარკვეულ საფეხურზე „წარმოების საშუალებათა ცენტრალიზაცია და შრომის განსაზოგადოებრივება აღწევს იმ წერტილს, სადაც ისინი ვეღარ თავსდებიან მათს კაპიტალისტურ გარსში. ეს გარსი სკდება, რეკავს კაპიტალისტური კერძო საკუთრების უკანასკნელი საათი, ხდება ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაცია“[1].

მხოლოდ მარქსიზმ-ლენინიზმს გააჩნია ერთადერთი მწყობრი და თანამიმდევრული რევოლუციური აგრარული თეორია, რომელზედაც დაყრდნობით ნამდვილად ხორციელდება და ძრავალ ქვეყნებში უკვე განხორციელდა კიდეც მიწების ნაციონალიზაცია. მიწის კერძო საკუთრების მოსპობა სსრ კავშირში დიდი ხანია რაც რეალურად განხორციელდა 1917 წ. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად და პირველად კაცობრიობის ისტორიაში მსოფლიოს ერთ მეექვსედ ნაწილზე მოისპო მიწაზე კერძო საკუთრება. სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის ლ ე ნ ი ნ ურ - ს ტ ა ლ ი ნ ურ მ ა გეგმამ ბრწყინვალე წარმატებებს მიაღწია უახლოეს პერიოდში. მსოფლიოს მშრომელთა დიდი ბელადი ბრძენი ს ტ ა ლ ი ნ ის გენიალური ხელმძღვანელობით საკოლმეურნეო მშენებლობამ ჩვენს ქვეყანაში ბრწყინვალედ გაიმარჯვა. საკოლმეურნეო ცხოვრებამ გლეხკაცობას ახალი დაბ ედნიერი ცხოვრება მოუტანა.

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, „კაპიტალი“, ტ III, გვ. 326.

[2] იქვე, გვ. 331.

*
*

კაპიტალისტური ელემენტების ზრდა გაძლიერება ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში შესაბამის გარდატეხას და გადატრიალებას ახდენს ადამიანთა ცნობიერებაში, იდეოლოგიასა და შემეცნებაში. კაპიტალისტურმა ეკონომიკამ ძირი გამოუთხარა ფეოდალურ პატრიარქალურ ყოფას. მის მყუდრო, იდილიურ ცხოვრებას, ხოლო ფეოდალური მამულიშვილობა, დარდიმანდობა და რაინდობა ცივ ანგარიშიანობაზე დაახლოდავა. ფეოდალური ბრწყინვალე წოდების უკანასკნელმა მოჰიკანებმა—„თავად-აზნაურობამ, როგორც წოდებამ... დიდი ხანია თავისი დრო მოსწამა"[1] განვითარების გზაზე შემდგარ კაპიტალისტურ წარმოებას და წარმოებით ურთიერთობას ასპარეზზე ახალი „გმირები" გამოჰყავს, რომელთაც თან „ახალი" საზოგადოებრივი და ინდივიდუალური მორალი და იდეოლოგია მოაქვთ. კაპიტალისტური წარმოების წესის ქვაკუთხედი ბურჟუაზიული კერძო საკუთრებაა, რომელიც განსაზღვრავს და წარუშლელ დაღს ასვამს ამავე საზოგადოების ყველა იდეოლოგიურ ზედნაშენს.

კაპიტალისტური წარმოება და წარმოებითი ურთიერთობა ამავე საზოგადოებაში მოქმედი ადამიანის ცნობიერებასა და შემეცნებაში ნერგავს და აღვივებს ვიწრო ინდივიდუალიზმს და ეგოიზმს. კაპიტალისტური კონკურენცია და საკონკურენციო ბრძოლა იქითკენაა მოწოდებული, რომ რამდენადაც კი შეიძლება მეტად დაამახინჯოს ადამიანის სულიერი და ფიზიკური თვისებები. ილია აშჩნევს ახალი ურთიერთობის ნიადაგზე აღმოცენებულ მორალს (უფრო სწორად ამორალობას),

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებ., ტ. IX, გვ. 182.

რომელიც ინდივიდუალიზმისა და ეგოიზმის გარდა არას მოასწავებს. ეს მორალი ცივ ანგარიშიანობაზე დაყრდნობილი უხეში ანგარებაა, სადაც დავიწყებულია ერი და მისი ინტერესები. ის ხედავს, რომ „ჩვენი" „ჩემობით" იცვლება და ერის საერთო ინტერესები კი არავის არ ახსოვს. ამაზე ილია აღშფოთებით წერს: „საიდან დაგვჩემდა ეს საუბედურო თვისება? რამ გადაჩვია ჩვენი ჭკუა, გონება, გული საყოველთაო საქმის? რამ დაგვიბა თვალი და ყური მარტო მასზედ, რასაც „ჩემობის" ფერი ადევს და არა „ჩვენობისა"? ჩვენს ისტორიას რომ შევხედოთ, მაგის მიზეზს ვერ ვიპოვით. ერთს წუთს რომ ჩვენი თვალი და ყური მარტო „ჩემობაზედ" გაჩერებულიყო და „ჩვენობა" დავიწყებას მისცემოდა, მაშინვე სულს გავაფრთხობდით და ჩვენი ერი ბეტერსავით აიგვეებოდა დედამიწის ზურგიდამ. ჩვენი ძალ-ღონე, ჩვენი ეროვნული სიმტკიცე და დაურღვეველობა მარტო იმაში იყო, რომ ყოველს ჩვენგანს ჯერ „ჩვენ" ჰქონდა სახეში და მერე „მე"; უამისოდ, აკი ვამბობთ, ჩვენი ცხოვრება ერთს წუთსავე მოისპოდა. ეს კარგად იცოდნენ ჩვენთა წინაპართა და ამიტომაც საცა და როცა ძლავრი „ჩვენ" წარმოდგებოდა ხოლმე, მაშინ ყოველი კაცი თავის საკუთარს „მეს" უკან დააყენებდა"[1].

ამრიგად, ილიას აზრით, ჩვენს ისტორიაში „ჩვენობასა" და „ჩემობას" შორის ასეთი დაპირისპირება არ ყოფილა, პირუკუ, საკმაო იყო „ერთს წუთს რომ ჩვენი თვალი და ყური მარტო „ჩემობაზე" გაჩერებულიყო და „ჩვენობა" დავიწყებას მისცემოდა, მაშინკე სულს გავაფრთხობდით". ეს ახლა აღარ ესმით, ვერ ერკვევიან,

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. VI, გვ. 328 (1883 წ. შინაური მიმოხილვა).

რომ „ძალა ერთობაშია“ და როდესაც ერს ამის შეგნება ეკარგება, ილიას აზრით, აბა რა ძალას შეიძლება წარმოადგენდეს იგი? ახლანდელმა „ქონდრის კაცმა“ დაივიწყა მამულის ინტერესი, იმ მამულის ინტერესი, რომელიც ქვისა და კირის მაგიერი ჩვენის მამა-პაპის სისხლითა და ძვლებითაა შემორაგული[1]. მათ ცნობიერებაში მამულის ხსენებას აღარა აქვს ნამდვილი მნიშვნელობა. „მამულის ხსენებაზედ ეხლანდელს ქონდრის კაცს თავის ნესვდაყრილი სახნავი მიწა წარმოუდგება ხოლმე; მამულისათვის ბრძოლა ეხლა სასამართლოში შეტანილ ღერბიან ქაღალდზედ სადაო საჩივარია, მამულისათვის ძლევა-მოსილება,—მოგებულის საქმის განაჩენის პირია ჯეროვანად შემოწმებული; მამულის სიმაგრე—ტყრეშული ღობეა ვენახს გარშემო შემორტყმული; მამულის პატივი ნეხვია, სახნავ მიწაზედ სასუქად დაყრილი; მამულის-შვილობა—მხვნელია და მთესველის სახელიდაა“[2]. ასეთის მძაფრი განცდებით და მოხდენილი შესატყვისი ფერებით შეამკო მხატვრული სიტყვის დიდმა ოსტატმა ილია ჭავჭავაძემ სოფლად კაპიტალიზმის განვითარების ნიადაგზე შექმნილი ახალი ვითარება, სადაც ყველაფერი ანგარებაზეა დაყრდნობილი, გაღვივებულია ეგოისტური გრძნობები, დავიწყებულია მამულიშვილური შეგნება. ილია მწუხარებით დასძენს: „ვაი იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა; ვაი იმ ქვეყანას, საცა საერთო ძარღვში სისხლი გაშრა, საცა ყველაში თითო არ არის და თითოში—ყველა, საცა თვი-

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IV, გვ. 152.
[2] იქვე, გვ. 150

თეული ყველასათვის არ ჰფიქრობს და ყველა თვითეულისათვის, საცა „მე“ ხშირია და „ჩვენ“—იშვიათი“[1].

დარღვეული ეროვნული მთლიანობა ქართველი ხალხისა, ამრიგად, გულს უკლავს ილიას. აშიტომ ილია მოწოდებით მიმართავს ერს „ნუთუ ყოველი ჩვენგანი არ უნდა ცდილობდეს სრულიად აღმოფხვრას ჩვენთა წოდებათა შორის განხეთქილების მიზეზნი, რომ ჩვენი ცხოვრება წარმოადგენდეს ერთს დიდებულ დენას შეერთებულის ძალისას“[2]. ილიას ეს გზნება, მოწოდება ისევ მოწოდებად რჩება; კაპიტალიზმი გზას მძლავრად იკაფავს, მსხვილი კერძო საკუთრება დღითი-დღე იზრდება, თანდათან მწვავდება კლასობრივი ბრძოლა, რომელიც სისხლისმღვრელ შეტაკებამდე აღწევს. მაგრამ ილია, მიუხედავად ამისა, მაინც ფიქრობდა, რომ დადგება დრო, როდესაც წოდებათა შორის, კლასთა შორის დაპირისპირებული ინტერესები და ბრძოლა მორიგებით დამთავრდებოდა და საქართველოს ცხოვრება დაემსგავსებოდაო „ერთს დიდებულ დენას შეერთებული ძალისას“, ასეთია ილიას მრწამსი და მისი სოციალ-ეკონომიური კონცეფციის საფუძვლები საკუთრებითი ურთიერთობის ნიადაგზე აღმოცენებული სოციალური წინააღმდეგობების ხასიათისა და რაობის შესახებ,—ეროვნული მთლიანობის აღდგენის იდეასთან მიმართებაში.

---

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებ., ტ. IV, გვ. 81.

[2] ილიასათვის გაუგებარი დარჩა, რომ კლასთა შორის, წოდებათა შორის არსებული წინააღმდეგობის მოცილება შესაძლებელი იყო მხოლოდ კლასობრივი ბრძოლის გამწვავების გზით და ახალი სოციალისტური საზოგადოების დამყარების შედეგად, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისა და სოციალიზმის აშენების შედეგად, რომ მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა ჩვენი ხალხის ცხოვრება დამსგავსებოდა „ერთს დიდებულ დენას შეერთებულ ძალისას“.

ილიას აზრი მიწაზე კერძო საკუთრების ნიადაგზე აღმოცენებულ სოციალურ წინააღმდეგობათა აღმოფხვრის გზების შესახებ

საყოველთაოდ ცნობილია ილია ჭავჭავაძის თავგამოდებული ბრძოლა ბატონყმობის წინააღმდეგ. ჯერ კიდევ ბატონყმობის გადავარდნამდე ილია „ოსტატურად ასახავს ქართველი გლეხობის მონურ შრომას და ძოითხოვს ბატონყმობის წყობილების დაშსხვრევას"[1].

ილია ჭავჭავაძეს პირველ პერიოდში ბატონყმური მწვავე რეჟიმი მიაჩნდა ეროვნული მთლიანობის მოშლისა და წოდებათა შორის მტრული დამოკიდებულების ძირითად და გადამწყვეტ მიზეზად. მას სწამდა, რომ ყმობიდან გლეხობის განთავისუფლება საფუძვლად დაედებოდა ეროვნულ მთლიანობას, მაგრამ ბატონყმობის გადავარდნის შემდგომმა ვითარებამ ნათლად დაადასტურა, რომ უმიწოდ განთავისუფლებულ ნაყმევ გლეხობასა და მიწა-წყალს მთლიანად დაპატრონებულ თავადაზნაურობას შორის თანასწორობა, მათი ინტერესების მიჩრიგება და ამით ეროვნული მთლიანობის აღდგენა კვლავ განუხორციელებელ ოცნებად დარჩა. ამიტომ ილია ჭავჭავაძე ბრძოლას ამ მიმართულებით დამთავრებულად არ თვლის და ბატონყმობის გადავარდნის შემდეგაც კვლავ დაუღალავად მოქმედებს იმისათვის, რომ წოდებათა შორის გამწვავებულ დამოკიდებულებას როგორმე ბოლო მოეღოს, გლეხობამ მიწა მიიღოს და ქვეყანა ეროვნული მთლიანობის გზას დაადგეს.

---

1 ლ. ბ ე რ ი ა, „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის", გვ. 236, 1949 წ.

ილია ჭავჭავაძე ქადაგებდა საქართველოს ეროვნულ მთლიანობას და წოდებათა (კლასთა) თანამშრომლობის იდეას; დამახასიათებელია, რომ მას სოციალური წინააღმდეგობისა და კლასთა დაპირისპირებული ბრძოლის ასპარეზად არსებითად სოფელი მიაჩნია—ძირითადად ორი წოდების — გლეხობისა და თავადაზნაურობის სახით.

რაც შეეხება საქართველოში საქალაქო ცხოვრების განვითარების შედეგად აღმოცენებულ ბურჟუაზიულ ურთიერთობას, — ილია მას ნაკლებ ყურადღებას აქცევს. მაგალითად, ილია პროლეტარიატის შესახებ საქართველოში 1877 წელს წერდა: „ჩვენ არა გვყავს პროლეტარიატი... მაგრამ გაგვიჩნდება, თუ რომ ჩვენმა გლეხობამ ადგილ-მამული ადრიანად არ შეისყიდა“[1].

ილიას აზრით, ევროპაში ეს უკვე მოხდარია. იქ ბურჟუაზიაა გაბატონებული, პროლეტარიატი კი გამრავლებული და დაჩაგრულია. ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის გააფთრებული კლასობრივი ბრძოლაა. გერმანიის მაგალითზე ილია ამის შესახებ შემდეგს წერს: „წყობა დღევანდელის დღისა, წარმომდგარი 1848 წლის რევოლუციისაგან, ევრეთ წოდებული „ბურჟუათა“ წყობაა. საცა კი მიიხედავთ, ყველგან ევენი არიან: ქვეყნის გამგებლობას იკითხავთ,—ევენი არიან, კანონმდებლობას, მრეწველობას, ვაჭრობას, სულ ყველგან ევენი არიან ობსავით მოკიდებული, და რაც საიდან გამორჩომაა — არავითარ შემთხვევას არ ჰკარგავენ, რომ არ გამორჩენენ. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში ბევრნი გულნაკლულად

[1] ი. ჭავჭავაძე, „იბერია“, № 42, 1877.

რჩებიან. აი ეს გულნაკლულნი, რომელსაც მეოთხე წოდებას ეძახიან, მუშა ხალხია, რიცხვით მრავალი, და იგი შეადგენს დღეს სოციალობის რაზმსა და დღევანდელ სატკივარსაც გერმანიაში"[1]. საქართველოში ილია ერიდებოდა ამგვარი „წყობის" განვითარებას და უარყოფდა მას, მაგრამ მოგვიანებით ილიამ გარკვევით შენიშნა კაპიტალიზმის განვითარების შედეგად აღმოცენებული ვითარება. იგი წერს: „კაპიტალიზმმა უკვე ბევრად შესცვალა ჩვენი ეკონომიური, ზნეობრივი და გონებრივი ვითარება"[2]. მიუხედავად იმისა, რომ ილიამ ეს შენიშნა, კვლევის ობიექტად ეს საკითხი მას არასოდეს არ გაუხდია, ყურადღების ცენტრში ბოლომდე მაინც სოფელი დარჩა.

გლეხობისა და მემამულეების კლასობრივი დაპირისპირება და ბრძოლა რეფორმის შედეგად დამკვიდრებული საადგილმამულო ახალი ურთიერთობის ნიადაგზე უფრო მეტად გაჩაღდა. ილიას ყურადღებაც ამიერიდან მთლიანად მიპყრობილი იყო სოფლად გაჩწვავებულ საადგილმამულო ახალი ურთიერთობის როგორმე მოწესრიგებისაკენ, ამ ორი წოდების მორიგების მიზნით. აი არსი ილია ჭავჭავაძის აგრარული მოძღვრებისა. რაც შეეხება ქალაქს, მის ეკონომიკასა და სოციალურ ფენებს, ვიმეორებთ, ილიას იგი არასოდეს სპეციალური შესწავლის საგნად არ გაუხდია.

ილია ჭავჭავაძე კარგად ამჩნევდა, რომ ცარიზმი ნაკლებ იყო დაინტერესებული სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარებით საქართველოში. ცარიზმსა და რუსე-

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრული კრებ., ტ. VIII, გვ. 150—151.
[2] ი. ჭავჭავაძე, „ივერია" № 75, 1895.

თის ბურჟუაზიას საქართველო ნედლეულის მწარმოებელ ნახევრად კოლონიურ კუთხედ მიაჩნდათ, ამიტომ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოში ძლიერდება სავაჭრო კაპიტალისტური მიწათმოქმედება და ნედლეულის წარმოება. სოფლის მეურნეობა განვითარების კაპიტალისტურ გზას დაადგა. ილია ჭავჭავაძის მეთაურობით „პირველი დასი ისწრაფოდა მემამულური მეურნეობა შეეგუებინა კაპიტალიზმთან და ამ მიზნით მიაღწია კახეთის რკინისგზის გაყვანას და სათავადაზნაურო ბანკის გახსნას"[1]. ამიტომაც რეფორმის მერმინდელი სოფელი უდავოა ამ თვალსაზრისითაც იპყრობდა ილია ჭავჭავაძის ყურადღებას.

კაპიტალიზმის განვითარება და რეფორმის შემდეგ დროინდელი საადგილმამულო ურთიერთობა სოფლად კლასობრივ ბრძოლას ამწვავებდა, ასევე ნიადაგი ეცლებოდა საქართველოს ეროვნული მთლიანობის იდეას. ილია კი სოფლად გამწვავებული საადგილმამულო დამოკიდებულების შენელება-მოსპობისათვის თავისებურ გზებს სახავდა. ეს გზები იყო:

1. უსამართლოდ დატაცებული სათემო მიწა-წყლის სამართლიანი, ხელახალი გადანაწილება გლეხებს (თემის წევრებს) შორის, გლეხთაგან ახლად მიღებული „განაჩენის" საფუძველზე, სადაც კი საამისო შესაძლებლობა და ნიადაგი იყო.

2. სიზნობის ინსტიტუტის „კარგი მხარეების" დაცვა-შენარჩუნება, უმიწოდ დარჩენილი გლეხობის მიწასთან მტკიცედ დაკავშირება, ხიზნებისა და მემამულეების ინტერესების მორიგება ისე, რომ მიწათმფლობელ-

[1] ლ. ბერია, „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის", გვ. 235, 1949.

მემამულეთა და ხიზან-მიწათმოქმედ გლეხობას შორის ურთიერთვალდებულებათა ზუსტად განსაზღვრის საფუძველზე ეს გამწვავებული წინააღმდეგობა მოსპობილიყო.

3. სოფლად არსებული კლასობრივი წინააღმდეგობის მოსპობისთვის საჭიროა დროებით ვალდებული გლეხობის მასობრივად თავდახსნა და სანადელო მიწების გლეხობის სრულ საკუთრებად გადაქცევა. მაგრამ დასახელებული ღონისძიებანი, ილიას აზრით, ისე უნდა განხორციელდეს, რომ გლეხობა არ გაღატაკდეს, მათი რიგებიდან პროლეტარები არ გამრავლდეს, ყოველი გლეხი მიწის მესაკუთრედ დარჩეს.

4. დასასრულ, ჭავჭავაძის შეხედულებით ამ წინააღმდეგობათა გადასაწყვეტად დიდი მნიშვნელობა გააჩნია ადგილობრივი თვითმართველობის შემოღებასა და ზოგ ადათობრივ-ეკონომიურ-იურიდიული კარგი ღონისძიებებით აღდგენას. ასეთია ის ძირითადი გზები, ილიას წარმოდგენით, რომლითაც უნდა წარმართულიყო რეფორმის შემდეგდროინდელი საქართველოს აგრარული ურთიერთობის განვითარება, რათა სოციალური წინააღმდეგობანი მოსპობილიყო. შევჩერდეთ თითოეულზე.

1. ილია ჭავჭავაძე და სათემო მიწათმფლობელობის პრობლემა საქართველოში

თემური მიწათმფლობელობის პრობლემას ქართულ მწერლობაში ყურადღება მაშინ მიექცა, როცა მისი გადმონაშთების საბოლოო ლიკვიდაციის პროცესი სოფლად (გარკვეული ისტორიული პირობების გამო) თითქმის მთავრდებოდა. მიუხედავად ამისა, თემური მიწათმფლო-

ბელობის ინსტიტუტს ქართულ პუბლიცისტიკაში უფრო მეტი დამცველები აღმოუჩნდა. ვიდრე მოწინააღმდეგენი.

გასული საუკუნის 80-იან წლებამდე თემური მიწათმფლობელობის საკითხი ქართულ პრესაში არსებითად არ ყოფილა დასმული და განმარტებული.

ნ. ნიკოლაძე 1865 წელს, მართალია გაკვრით, პირველად შეეხო თემური მიწათმფლობელობის საკითხს, მაგრამ ზოგადად, რუსი ნაროდნიკების გავლენით და მხოლოდ რუსული თემის რაობის გარკვევის თვალსაზრისით, ცნობილ სტატიაში „გლეხთა განთავისუფლება საქართველოში". ნ. ნიკოლაძეს ამ დროს, და კარგა ხანს ამის შემდეგაც, სჯეროდა, რომ საქართველოში თემური მიწათმფლობელობა საზოგადოდ არ არსებობდა[1]. ამგვარი წარმოდგენა რომ საქართველოში მიწათმფლობელობის ფორმების შეუსწავლელობაზე იყო დამყარებული, ეს სულ მალე გამოირკვა.

ნ. ნიკოლაძე წერდა: „საუკეთესო სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების იდეალი, ჩვენის აზრით, ყველაზე ადრე რუსეთისათვის არის განსახორციელებელი, რადგან ამ წყობილების მთავარი პრინციპი — თემობრიობა, შეძლებისამებრ, რუსის ხალხმა შეინარჩუნა". ნიკოლაძე, უფარდებს რა რუსეთის ამ ვითარებას ქართულ სინამდვილეს, ნატვრით ამბობს: „სულ სხვა საქმე იქნებოდა, რუსეთის ხალხური წყობილების ძირითადი პრინციპი თემი ქართველ ხალხს რომ ჰქონებოდა", და იქვე უფრო კატეგორიულად აცხადებს: „საქართველოში სათემო პრინციპი სრულ‍ებით არ

[1] ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 175.

არსებობს"[1]. არა მარტო ნ. ნიკოლაძეს, არაშედ არც ერთ სხვა მკვლევარსა და პუბლიცისტს 60—70-იან წლებში თემური მიწათმფლობელობისათვის საქართველოში ყურადღება არ მიუქცევია და არ შეუსწავლია იგი. გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ თემური მიწათმფლობელობის ინსტიტუტის არსებობა საქართველოში გვიანობამდე დარჩათ შეუმჩნეველი ქართველ ნაროდნიკებს მაშინ, როცა 50-იან წლებში ეს ინსტიტუტი უკვე შესწავლის ობიექტს წარმოადგენდა რუსეთში ჩერნიშევსკისა და სხვებისათვის.

ფ. ენგელსის განსაზღვრით მიწის თემური საკუთრება (გერმანული მარკა) „... მთელს საშუალო საუკუნეებში ყოველი საზოგადოებრივი წესწყობილების საფუძველსა და ნიმუშს წარმოადგენდა და ღრმა ბეჭედს ამჩნევდა... მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებას"[2].

თემური მიწათმფლობელობის პრობლემის, მისი არსის, რაობისა და ხასიათის შესწავლას საქართველოში პირველად ილია ჭავჭავაძემ მოჰკიდა ხელი. ილიამ იმით შესძლო აღმოეჩინა და სათანადოდ შეესწავლა თემური მიწათმფლობელობა საქართველოში, რომ პირველმა შეისწავლა საქართველოს და სხვა ქვეყნების აგრარულ ურთიერთობათა ისტორია უაღრესი გულისხმიერებით. მან ამ შემთხვევაშიაც მოხერხებულად მოიმარჯვა კრიტიკულ-შედარებითი მეთოდი. ილია ამ გზით მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თემური მიწათმფლობელობა არსებობდა ძველ საქართველოში, და მისი გადმონაშთები კვლავ ცოცხლობდნენ და არსებობდნენ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარშიაც.

[1] ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 175.

[2] ფ. ენგელსი, „გლეხთა ომი გერმანიაში", გვ. 161.

ილია ჭავჭავაძე თემური მიწათმფლობელობის არსებობის ფაქტს საქართველოში არა ერთგზის შეეხო. სულ პირველად უფრო თეორიულ ასპექტში, პრობლემის სახით ეს საკითხი დააყენა 1880 წ. გაზეთ „დროების“ ფურცლებზე დაბეჭდილ ცნობილ სტატიაში „ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ“[1].

ამ წერილში ილიამ პირველად მიუთითა, რომ საქართველოში ძველთაგანვე არსებობდა მიწების ორგვარი წესით მფლობელობა: „სამსოფლო“ და „საკომლო“. „სამსოფლო“, ილიას განსაზღვრით, ისეთ მიწებს ეწოდებოდა, რომლებიც „საზოგადო სამსოფლო ხმარებაში“, ე. ი., ბუნებრივია, სათემო მფლობელობაში იყო[2].

საქართველოში სათემო მიწათმფლობელობის არსებობის ფაქტს მეორეჯერ უფრო არსებითად შეეხო ილია იმავე 1880 წელს „ხიზნობის საქმის თაობაზედ“ დაწერილ ვრცელ ნარკვევში.

აქ ილია გარკვევით და საესებით კატეგორიულად წერს, რომ „პირველ-ჟამური მფლობელობა ანუ ხმარება მამულებისა,—სათემო მფლობელობა და ხმარება იყო. ამისი ცხადი საბუთები და ნიშნები დღესაც მრავალია ყველგან და ნამეტნავად ჩვენში... თითქმის ყოველს სოფელში დღესაც ნახავთ ერთს წყობას მიწებისას, რომელსაც სათემო მიწებს ეძახიან და სათემო ხმარებაშია“[3].

---

[1] გაზ. „დროება“, 1880 წ № 25.

[2] ილია რამდენადმე უფრო ადრე დაწერილ „ცხოვრება და კანონში“ ეხება სათემო მიწათმფლობელობის საკითხს რუსეთში, ხოლო საქართველოს შესახებ კი შემდეგს დასძენს: „ჩვენში მფლობელობა ადგილ-მამულისა, მეურნეობის გაპართულობა, ეკონომიური მოწყობილობა-კომლეულია, განსაკუთრებით საოჯახოა და არა საერთოსასოფლო.“ (ილ. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებ., ტ. VIII, გვ. 30).

[3] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ნაწერების სრული კრებ., ტ. VIII, გვ. 137—138.

ილია ჭავჭავაძის ამ საყურადღებო მიხვედრამ და პრესაში გამოქვეყნებულმა წერილებმა საბაბი მისცა და გზა უჩვენა ქართველ ნაროდნიკებს, რათა სპეციალურად გაემახვილებინათ ყურადღება ამ მიმართულებით და გამოეძიებინათ საეკლესიო მიწათმფლობელობის ფორმები საქართველოში.

ნაროდნიკებს ეს ესაჭიროებოდათ თავისი უტოპისტური შეხედულების დასაბუთებისათვის. ილია ჭავჭავაძის დასახელებული წერილების გამოქვეყნებიდან მოკლე დროში, სახელდობრ 1881 წელს, ქვეყნდება ა. ფურცელაძის სპეციალური ნარკვევი—„მამულის საერთო მფლობელობაზედ“, ხოლო 1882 წ.—გ. მაიაშვილის ვრცელი დებულება იმის შესახებ, თუ როგორ და რა პრინციპებით უნდა შეისწავლებოდეს საქართველოს ეკონომიური ცხოვრება საერთოდ და კერძოდ თემური მიწათმფლობელობის პრობლემა.

ამ საკითხის გარკვევაში ბევრმა სხვა მაშინდელმა ქართველმა მოღვაწემ მიიღო [1]მონაწილეობა პრესის საშუალებით[2]. ამრიგად, თემური მიწათმფლობელობის შესწავლის საკითხი დღითი დღე აქტიურდებოდა ქართულ პრესაში. გაზ. „ივერიისა“ და „იმედის“ გარდა ამ საკითხს ეხმაურებოდა გაზ. „დროება“ და პირადად მისი რედაქტორი ივ. მაჩაბელი[3]. საეკლესიო მიწათმფლობელობის ინსტიტუტს საქართველოში გამოუჩნდნენ როგორც დამცველები, ისე მოწინააღმდეგენიც.

---

[1] „ივერია“, 1882 წ. №9, გვ. 106—116 და მასზე ჟურნ. „იმედი“ 1882 წ. № 6, ნ. ხიზანაშვილის სტატია „ივერიის ეკონომისტი“, გვ. 79—86.

[2] გაზ. „დროება“, 1883 წ., № 116; 1884 წ. № 62 და სხვა.

[3] გაზ. „დროება“, 1883 წ. №116; 1884 წ. № 26 და სხვა,

უკანასკნელად (ე. ი მესამეჯერ) 1886 წელს შეეხო ილია ჭავჭავაძე იმავე საკითხს სპეციალურ ნარკვევში „კერძო და სათემო მიწათმფლობელობა"[1].

ამ წერილში ილია, გარდა იმისა, რომ ასაბუთებს თემური მიწათმფლობელობის არსებობას საქართველოში, ეხება ამ მფლობელობის კონკრეტულ ფორმებს და ხასიათს. ის მიზნად ისახავს ამ საკითხზე მსჯელობას სახელმძღვანელო ხასიათი მისცეს იმ წინაალმდეგობათა პრაქტიკულად გადასაწყვეტად, რომლებსაც სინამდვილეში ჰქონდა ადგილი საქართველოში სოფლად აგრარული ურთიერთობის გამწვავების გამო. ამ წერილში ილია ეხება თემის წევრებს შორის სათემო მიწების სამართლიანი განაწილების პრინციპებს და ამასთანავე ამ საკითხთან უშუალო მიმართებაში ახდენს „საკომლოს" ცნების, მისი ეკონომიური არსისა და რაობის საყურადღებო განსაზღვრას.

თემური მიწათმფლობელობა საქართველოში, უმთავრესად მთიანეთში და სახასო მიწებზე, ფეოდალური დამოკიდებულების პირობებში, საუკუნეების მანძილზე განაგრძობდა არსებობას თვით საგლეხო რეფორმის გატარებამდე. რეფორმის შემდეგ სახელმწიფო (იგივე სახასო, სახაზინო) გლეხების რიცხვი საქართველოში დიდი სისწრაფით გაბრავლდა, ვინაიდან, სხვა პირობებს შორის, ეკლესიის მამულები და გლეხები სახელმწიფო საკუთრებად აღიარეს. ასე რომ 60-იან წლებში სახაზინო გლეხობა საერთოდ გლეხკაცობის 55% ს აღემატებოდა.

სახელმწიფო გლეხთა შორის თემური მიწათმფლობელობა შენარჩუნებულ და დაცულ იქნა ახალ პირობებთან

[1] გაზ. „ივერია", 1886 წ., №№ 48, 56, 57, 59, 60, 52 და ილია ჭავჭავაძის ნაწერების სრული კრებ., ტ. VIII, გვ. 207—226.

მაქსიმალური შერწყმით. ეს პირობები, კანონმდებლობაში ასახული, რეფორმის შემდგომ საქართველოში თემური მიწათმფლობელობის შენარჩუნებას და დაცვას საგრძნობლად უწყობდა ხელს. საქმე ისაა, რომ 1861 წლის საგლეხო რეფორმის კანონი ერთნაირად არ გავრცელდა რუსეთსა და საქართველოში. თუ რეფორმის შედეგად რუსეთში სახელმწიფო გლეხები მიწის კერძომფლობელ ყლეხობად აქციეს, საქართველოში სახელმწიფო გლეხებზე ეს კანონი არ გავრცელდა არა თუ 1864 წელს, ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, არამედ ვერც 1905 წლის რევოლუციის შედეგად იქნა იგი გატარებული. ამრიგად, რიცხვმრავალი სახელმწიფო გლეხობა საქართველოში კვლავინდებურად სახაზინო მიწაზე რჩებოდა და უხდიდა სახელმწიფოს სავალდებულო გადასახადს, ასე რომ სახელმწიფო კვლავ გვევლინება მიწის მესაკუთრე მოიჯარადრედ. კერძო მოიჯარადრისგან განსხვავება მხოლოდ იმაში იყო, რომ გლეხობა სახელმწიფო მიწების ერთ ნაწილს სათემოდ ინაწილებდა და ამ გზით სარგებლობდა, როგორც მისი მემკვიდრეობითი მოიჯარადრე. ამის შედეგი იყო ის, რომ რეფორმის შემდგომ საქართველოს ზოგიერთ კუთხეში მიწის თემური სარგებლობის ნაშთები ისევ განაგრძობდა არსებობას და იგი 80-იან წლებში საზოგადოებრივი მსჯელობის ცხოველ ობიექტად იქცა. ვინაიდან ეს მიწები არათანაბრად აღმოჩნდა განაწილებული და დატაცებულ-დასაკუთრებული თემის წევრებს შორის, უმეტესად ისეთებს შორის, ვისაც გააჩნდა მეტი საწარმოო იარაღი და გამწევი ძალა, იწყება დავა სათემო მიწების ხელახალი გადანაწილებისათვის. ილია ჭავჭავაძე აქტიურად ჩაება ამ დავაში, სათემო მიწების ხელახალი განაწილების თაობაზე სოფლად შედგენილ

გლეხთა „განაჩენებს“ ცხოველი ინტერესით გამოეხმაურა და ენერგიულად დაუჭირა მხარი თემის წევრებს შორის მიწის სამართლიან გადანაწილებას.

3. ილიას შეხედულებით ბატონყმური ურთიერთობის დამკვიდრება სათემო მიწების დატაცების შედეგად მოხდა

„განუწყვეტელმა შინაურმა და საგარეო ომებმა, რომელთაც შედეგად ჩვეულებრივ მიწის კონფისკაცია მოსდევდა, უამრავი გლეხკაცობა გააღატაკა. მეფეების მუდმივმა ომებმა და დიდგვარიანთა შეღლმა თავისუფალი გლეხები აიძულა მფარველები ეძებნათ. მეორე მხრით, იმავე დიდგვარიანთა და ეკლესიის სიხარბე აჩქარებდა ამ პროცესს. ისინი გლეხებსა და საგლეხო მიწას ეპატრონებოდნენ გაიძვერობით იქნებოდა ეს, დაპირებით, თუ მუქარით“ [1].

ილია ჭავჭავაძის დაკვირვებით მე-15 საუკუნიდან საქართველოს სამეფო-სამთავროებად დანაწილებამ თავისი უარყოფითი გავლენა მოახდინა ერის შინაგან სოციალ-ეკონომიურ წყობაზე და მისი ცხოვრების შემდგომ განვითარებაზე.

ილიას მე-15 საუკუნე საქართველოს „უბედურების დასაწყისად მიაჩნია“, მე-16 საუკუნეს კი საქართველოს ისტორიაში „ა რ ე უ ლ-დ ა რ ე უ ლ დ რ ო ს“ [2] უწოდებს (ხაზი ჩვენია. ა. ი.).

რა საფუძველზე ამყარებს ილია ამ განსაზღვრას? ილია თავის ამ მოსაზრებას ამყარებს საადგილმამულო მფლობელობით დამოკიდებულებაში მომხდარ იმ ცვლილებებზე, რომელმაც, ილიას აზრით, მკვეთრი გამოხატულება

[1] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, „გლეხთა ომი გერმანიაში“, გვ. 178.
[2] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ნაწ. სრული კრებ., ტ., VIII გვ. 167.

სათემო მიწების დატაცებასა და „კერძობრივ დასაკუთრებაში“ ჰპოვა, სათემო—„სამსოფლო“ მიწათმფლობელობის კერძო—„საკომლო“ დასაკუთრება-დატაცებაში.

ილიას აზრით, ეს სამწუხარო პროცესი მე-16 საუკუნემდე ბევრად ადრე იყო დაწყებული საქართველოში, მაგრამ მე-16 საუკუნეში იგი სრულყოფილი და დამთავრებული სახით მოგვევლინა.

ი. ჭავჭავაძის ეს ყოვლად მართებული და ღრმააზროვანი დაკვირვებანი საქართველოს ეკონომიური ისტორიის არსებითი პრობლემის შესახებ მეცნიერულად ასახავს რეალურ ისტორიულ ვითარებას. საქართველოს ისტორიის ცნობილ სახელმძღვანელოში ჩვენ ამავე საკითხთან დაკავშირებით ვკითხულობთ: „მთლიანი საქართველოს პოლიტიკური დაშლა შედეგი იყო იმ სამეურნეო და საზოგადოებრივი ვითარებისა, რომელიც შეიქმნა ჩვენში მე-15 საუკუნისათვის. ამ ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ბატონყმობას და მის ნიადაგზე წარმოშობილს სათავადოების სისტემას“[1].

ილია, აღრმავებს რა თავის მოსაზრებას, იმ დასკვნამდე მიდის, რომ ბატონყმური ინსტიტუტის წარმოშობის სოციალ-ეკონომიურ მიზეზს და საფუძველს არსებითად მიწაზე სათემო მფლობელობის მოსპობასა და „კერძობრივ დასაკუთრებაში“ ხედავს. ილია წერს: „ზოგადმა ელემენტებმა საკუთრებისამ თანდათან გზა დაუთმო პირადსა და პირადის ელემენტის გამარჯვება მთლად და უნაკლოდ გამოისახა, მთელის თავისის სისასტიკით, ფეოდალიზმში, რომელმაც შემოიტანა ბატონყმობა“[2].

[1]. ნ. კერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია. 1950 წ. გვ. 301.

[2] ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებ., ტ. VII, გვ. 161.

ფ. ენგელსის აზრით, მარკა—სათემო მიწათმფლობელობა „დაიღუპა თითქმის მთელი საგლეხო როგორც დანაწილებული, ისე დაუნაწილებელი მიწის დატაცების გამო, რომელიც თავადაზნაურობამ და სამღვდელოებამ მოახდინა მეფეების და მთავრობის კეთილგანწყობილი დახმარებით“[1].

ბატონყმური ურთიერთობის წარმოშობა და მისი „მთელი სისასტიკით“ გავრცელება, ილიას აზრითვე, დაახლოებით მე-16 საუკუნიდან ივარაუდება. ამავე პერიოდში გამრავლდა უფრო ადრე წარმოშობილი ხიზნობა, „როგორც მიწათმფლობელობის გარკვეული წესი“.

ამიერიდან, „ამ არეულ დროიდან“, მემამულეები ერთმანეთს ეცილებოდნენ იმაში, რომ რაც შეიძლება მეტად მიეზიდათ თავიანთ მამულებში ხიზნები. მაგრამ ამას მხოლოდ ისინი განახორციელებდნენ უკეთ, ვინც უფრო მეტ „შეღავათიან პირობებს“ შექმნიდა თავიანთ მამულებში ხიზნების გაძლიერებისათვის, ე. ი. შედარებით მცირე რაოდენობის ღალასა და სამსახურს დასჯერდებოდა და ამასთანავე ხიზნებისაგან მიწის ხმარებას ვადადაუდებლად მიიჩნევდა“[2].

ამგვაოი ვითარების შედეგად, ილიას აზრით, „მიწების ხმარება თანდათან უფრო გახაციერდა, რათა უფრო მეტად მიეზიდა ამა თუ იმ მემამულეს „მიწის მოქმედი“, ხოლო „მე-16 საუკუნის არეულ-დარეულ დროს სამკვიდროდ და საშვილიშვილოდ გადაიქცა“, ე. ი. მოხდა მიწაზე გლეხის ფაქტობრივი დამაგრება და ბატონყმობის ინსტიტუტის საბოლოოდ განმტკიცება. ილია ჭავჭავაძის

[1] ფ. ენგელსი, „გლეხთა ომი გერმანიაში“, ქართული გამოცემა, გვ. 171.

[2] ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებ., ტ. VIII, გვ. 180.

ეს მოსაზრება ბატონყმობის წარმოშობის დათარიღების შესახებ საქართველოში, გარდა იმისა, რომ არსებითად სწორია, ყურადღებას იპყრობს ამ მოვლენის მიზეზობრივად ახსნის ორიგინალობითაც, — უკანასკნელი თავისთავად საყურადღებოა.

თუ რას ნიშნავდა ბატონყმობა, ამის შესახებ „საქართველოს ისტორიის“ სახელმძღვანელოში შემდეგს ვკითხულობთ: „ბატონყმობა იმას ნიშნავს, რომ თავისუფალი მიწის მუშების ფენა გამქრალია. მიწის მუშებს შორის არსებითი უფლებრივი განსხვავება აღარაა. ყველა ისინი ბატონის მიწაზე სახლობენ, მას ამუშავებენ და ბატონის სასარგებლოდ ბეგარასა და მუშაობას ეწევიან“[1] „თავისუფალი მიწის მუშები“ იმ დროს მიწაზე თემური საკუთრების ვითარებაში შეიძლებოდა არსებულიყო, ე. წ. „ჰეროვანთა“ სახელწოდებით. მაგრამ მას შემდეგ, რაც ბატონყმობა განმტკიცდა, მიწაზე თემური მფლობელობის ნაშთები საქართველოს მთიანეთშიღა გადარჩა და ისიც გააფთრებული კლასობრივი ბრძოლის შედეგად.

ფ. ენგელსის განსაზღვრით სათემო მიწების მოსპობის შედეგად... „გლეხი თავისუფალი მიწათმფლობელიდან მებეგრედ ან თვით ყმად იქცეოდა... თავადაზნაურობისა და ეკლესიის ძალამ გლეხკაცობა თანდათან მოსდრიკა და მონობაში ჩააგდო“[2].

მაშასადამე, ყოვლად უხეში ძალმომრეობითი მეთოდებით თავადაზნაურობისა და სამღვდელოების მიერ

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია. საქართველოს ისტორია, ნ. 1 გვ. 301—302, 1950.

[2]. ფ. ენგელსი, „გლეხთა ომი გერმანიაში“, გვ. 173.

„გლეხებს ურცხვად წაერთვათ შერჩენილი უფლებანი, მათი სათემო ბიწა საბატონო მიწად იქცა, თვით ისინი ყმები გახდნენ“[1]. ყოველივე ამის შედეგად „თავისუფალი გლეხი ისევე ‘იშვიათი იყო, როგორც თეთრი ყორანი“[2].

მარქსი წერს: „სათემო საკუთრება... ძველი გერმანული დაწესებულება იყო და ფეოდალიზმის მფარველობის ქვეშ განაგრძობდა არსებობას. ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ მისი ძალდატანებითი უზურპაცია, რომელსაც უმეტესწილად თან სდევდა სახნავი მიწების საძოვრებად გადაქცევა, მე-15 საუკუნის დამლევს დაიწყო და გრძელდებოდა მე-16 საუკუნეში. მაგრამ მაშინ ეს პროცესი ინდივიდუალური ძალმომრეობის სახით მიმდინარეობდა“[3]. საინტერესო ისაა, რომ სათემო მიწების ისტორიულად არსებობის აღიარებასა და მის ძალმომრეობით დატაცებას მე-15—16 საუკუნეში ილია, მარქსისგან დამოუკიდებლად, ისტორიულ ჭეშმარიტებად მიიჩნევს. მაგრამ აქაც კი პრინციპული სხვაობა არსებობს მარქსისა და ილიას შეხედულებათა შორის ამ საკითხში. თუ მარქსი სათემო მიწების ძალდატანებით დატაცების ინიციატორებად და მიმთვისებლად, სხვათა გვერდით, კაპიტალისტურ ელემენტებს მიიჩნევს და დაკავშირებული აქვს კაპიტალის პირველად დაგროვებასთან, ილიას აზრით, სათემო მიწების მომძლავრება, სხვა მიწების გვერდით, „მონასტრებმა და მსხვილმა მებატონეებმა“[4] მოახერხეს. სათემო მი-

---

[1] ფ. ენგელსი, „გლეხთა ომი გერმანიაში“, გვ. 176

[2] იქვე, გვ. 178.

[3] მარქსი, „კაპიტალი“, ტ. I, 1930 წ., გვ. 667.

[4] ი. ჭავჭავაძე. ნაწერების სრული კრებ., ტ. VIII, გვ. 166.

წების ძალდატანებითმა დატაცებამ გაამწვავა მიწათმფლობელთა და მიწათმოქმედთა სოციალური დამოკიდებულება ისე, რომ მიწის თავისუფალი მწარმოებელი მემამულის ყმად აქცია, შეავიწროვა და დამოკიდებული გახადა. მარქსი წერს: „მართლაც, სათემო მიწების უზურპაციამ და იმ რევოლიუციამ, რომელიც თან სდევდა მას მიწათმოქმედებაში, გაამწვავა მიწათმოქმედი მუშების მდგომარეობა"[1]. მიწათმოქმედთა მდგომარეობის გამწვავება, ილია ჭავჭავაძის აზრით, იმაში უნდა გამოხატულიყო, რომ გლეხობის უმრავლესობა სათემო საკუთრების მოსპობა-დატაცების გამო იძულებული გახდა ეძიოს „სხვისაგან მიწა, რომელიც უკანონოდაა მიმძლავრებული ძლიერთა მიერ", და იხადოს ქირა, რენტა, იგივე ღალა, სათემო საკუთრებისგან უსამართლოდ ძალდატანებით მიტაცებულ მიწაზე.

თემური მფლობელობის გადმონაშთების შესახებ გერმანიის სინამდვილეში ფ. ენგელსი წერს: „ასეთივე უძველესმა მიწათმოწყობამ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისამდე გასძლო... უმრავლესი მათგანი უკანასკნელ ორმოცწელიწადში მოკვდა და ჩვეულებრივ სოფლებად იქცა".

ილია გულისტკივილით იგონებს იმ დროს, როცა საქართველოში მიწაზე სათემო საკუთრება არსებობდა, რადგან მაშინ თითქოს ადგილი არ ჰქონდა წოდებრივ დაპირისპირებას. ხოლო იმის დასამტკიცებლად, საქართველოში მართლა არსებობდა თუ არა მიწაზე სათემო საკუთრება, ილია იძულებული იყო მიემართა ქართული ისტორიული წყაროებისა და ქართულ ენაში შემორ-

---

[1] კ. მარქსი, „კაპიტალი", ტ. 1, 1930 წ., გვ. 670.

ჩენილი ამ ისტორიული ფაქტის გამომხატველი ტერმინებისათვის. ილიას დროს (ე. ი. XIX საუკუნის მეორე ნახევარში) საქართველოში ამისი ნაშთი ბევრი არსებობდა. ევროპაში ამ მხრივ სულ სხვა მდგომარეობა იყო. ამაზე მარქსი შემდეგს წერს: „მე-19 ს., რასაკვირველია, გაქრა თვით ხსენებაც-კი იმ კავშირისა, რომელიც არსებობდა მიწათმოქმედსა და სათემო საკუთრებას შორის“[1]. მარქსი, უკეთებს რა რეზიუმეს კაპიტალის პირვანდელ დაგროვებას, დასძენს: „საეკლესიო ქონების გაძარცვა, სახელმწიფო ქონების თაღლითურად გასხვისება, სათემო მიწების დატაცება, ფეოდალური და კლანის საკუთრების გადაქცევა თანამედროვე კერძო საკუთრებად უზურპატორული და შეუბრალებელი ტერორიზმის გზით, აი, პირველადი დაგროვების იდილიური მეთოდები. მათ დაიპყრეს ასპარეზი კაპიტალისტური მიწათმოქმედებისათვის, დაუმორჩილეს მიწა კაპიტალს და შექმნეს საქალაქო მრეწველობისათვის ფრინველივით თავისუფალი პროლეტარიატის აუცილებელი დენა“[2]. ასე იყო ევროპაში. ამრიგად, კ. მარქსი სათემო მიწების დატაცებას, სხვა პროცესებთან ერთად, კაპიტალის პირველადი დაგროვების ფაქტს უკავშირებს.

ამრიგად, სათემო მიწების დატაცება და მოსპობა, რასაკვირველია, არ მიმდინარეობდა საქართველოში იმავე მეთოდებით, როგორადაც მას მარქსი ახასიათებს ზოგიერთი ევროპული ქვეყნების მაგალითზე, რადგან სათემო მიწების დატაცება საქარ-

[1] კ. მარქსი, „კაპიტალი“, ტომი I, გვ. 676.
[2] იქვე.

თველოში იმთავითვე არ იყო უშუალოდ დაკავშირებული კაპიტალის პირველადი დაგროვების პროცესთან, როგორც ამაში ზემოთ დავრწმუნდით.

იმისგამო, რომ კაპიტალიზმის განვითარება საქართველოში დაგვიანებით იწყება ისე, რომ მე-19 საუკუნეში საქართველო უმეტესად ნედლეული მწარმოებელი კოლონიური ქვეყანა იყო კაპიტალისტურად ნაკლებ განვითარებული მეფის რუსეთისთვის, ამიტომ არაოუ მე-19 საუკუნის, არამედ თვით დიდი ოქტომბრის რევოლუციამდე და მის შემდეგ კოლექტივიზაციის გატარებამდეც კი აქა-იქ არსებობდა სათემო მიწათმფლობელობის ზოგი გადმონაშთი საქართველოსა და ამიერკავკასიის მთელ რიგ რაიონებში[1].

სათემო მიწათმფლობელობა ფეოდალიზმის მფარველობით განაგრძობდა არსებობას. რაკი ფეოდალიზმის ნაშთები რეფორმის შემდეგაც საგრძნობლად დარჩა, სათემო მიწათმფლობელობაც არ მოსპობილა; ილიას საყურადღებო მოსაზრება—ბატონყმობის წარმოშობის პრობლემის და სათემო მიწათმფლობელობის რღვევის პროცესის ურთიერთკავშირში განხილვა და ერთმანეთთან დაკავშირება—მეცნიერულად სწორ, უაღრესად ორიგინალურ და საყურადღებო მოვლენად უნდა ჩაითვალოს ქართულ ისტორიოგრაფიაში.

ილია დარწმუნებული იყო, რომ სათემო მიწათმფლობელობა შეუწყნარებელი იყო ბატონყმობასთან, ამიტომ

[1] პროფ. პ. გუგუშვილი, „თემური მიწათმფლობელობა ამიერკავკასიაში. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტ. შრომები, ტ. I.

ბატონყმობის გაჩენამ საქართველოში მოსპო სათემო მიწათმფლობელობა, ხოლო ეხლა, რაკი ბატონყმობა გაუქმებულია, შესაძლებელია და ნიადაგიც არსებობს სათემო მიწათმფლობელობის აღდგენისა და მის საფუძველზე მიწების სამართლიანად განაწილებისა. ხოლო მიწების სამართლიანი განაწილება, ილიას აზრით, ნიადაგს აცლიდა და სპობდა სოციალურ (წოდებრივ) დაპირისპირებას.

მაგრამ აქვე გარკვევით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ი. ჭავჭავაძეს ამით თემური მიწათმფლობელობის წესის აღდგენა და ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების უკან მობრუნება კი არ სურდა, არამედ მიწის სამართლიანი განაწილების მხოლოდ იმ წესის აღდგენა, რომელიც მიწის მწარმოებელთ მიწას დაუბრუნებდა, უმიწო გლეხს მიწის პატრონად გახდიდა. ილიასათვის უდაოდ ნათელი იყო, რომ სათემო მიწათმფლობელობა „საბოლოოდ ეკონომიურად დაძველდა, მიწათმოქმედებაში ცხოველმყოფელობა დაჰკარგა, როგორც წარმოების ფორმამ, მხოლოდ უკანასკნელი ასი წლის განმავლობაში, როცა სასოფლო მეურნეობის გიგანტურმა პროგრესმა მიწათმოქმედება სამეცნიერო დისციპლინად აქცია და სრულიად ახალი წარმოების ფორმების შემოღება გამოიწვია"[1].

---

[1] ფ. ენგელსი, „ზლეპთა ომი გერმანიაში", გვ. 172.

ა) ილია სათემო (სახასო) მიწების გადანაწილების პრინციპების შესახებ

„როგორც თემის წევრებს თანასწორი მიწის ნაკვეთი და თანასწორი სარგებლობის უფლება ჰქონდათ, ისე მათ თავდაპირველად მარკის ფარგლებში თანასწორი წილი ჰქონდათ კანონმდებლობასა, მართვა-გამგეობასა და სამართალში. განსაზღვრულ დროს, და თუ საჭირო იყო უფრო ხშირადაც, ისინი ლია ცის ქვეშ იკრიბებოდნენ, რათა მარკის საქმეები განეგოთ და მარკის საწინააღმდეგო დანაშაული და საჩივრები განეხილათ "[1].

ილია ჭავჭავაძის აზრით, „ვინც ჩვენებურს სოფლებს და მათს ეკონომიურს განწყობილებას და ვითარებას დაჰკვირვებია, ერთს დიდს ნაკლს შეჰნიშნავდა. ეს დიდი ნაკლი უფრო ძლიერ თავს იჩენს იმისთანა სოფლებში, საცა მომეტებული ნაწილი მკვიდრთა სახელმწიფო გლეხკაცობაა, ანუ, როგორც უწინ იტყოდნენ, სახასო"[2]. რაში მდგომარეობს ეს „დიდი ნაკლი" ჩვენი სოფლებისა მათს ეკონომიურ განწყობილებაში არსებული? — ილია ამაზე უპასუხებს: „თითქმის ყოველი სახასო სოფელი მიწათმფლობელობის კვალობაზედ ორს დიდს ნაწილს წარმოადგენს. ერთი ნაწილი მიწებისა, უფრო უკეთესნი, უფრო შემუშავებულნი და უფრო მო-

---

[1]. ფ. ენგელსი. „გლეხთა ომი გერმანიაში", გვ. 169.

[2]. ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. VIII, გვ. 207.

მცემნი, მკვიდრთა გლეხთაგან სათვითოოდ დაჩემებულნი არიან, კერძოდ განსაკუთრებულნი და საშვილიშვილოდ დაჭერილნი. ამგვარს მიწებს ზოგან ნაფუძარებს[1] ეძახიან და უფრო ხშირად კი საბლის[2] მამულებს. ამგვარი მიწები ჩვენთა გლეხკაცთა თვალში არაფრით და არა-ნიშნებით არ განირჩევიან კერძო საკუთრებისაგან, თუმცა კი გლეხს რომ ჰკითხოთ, იგი მიწები სახაზინო და სახელმწიფონი არიან"[3]. აბა რა არის მიზეზი იმისა, რომ თავი იჩინა დასაკუთრებამ მიწებისა და გლეხს მტკიცედ აქვს გულსა და გონებაში გაბმული ამ მიწების საშვილიშვილოდ კუთვნილება? ილიას აინტერესებს გამოძიება, თუ „საიდამ წარმოსდგა სასოფლო მამულებში ეს—ამგვარი მიწათ მფლობელობა სრულის კერძო საკუთრების ნიშნებითა, როგორ გამოცალკევდა იმ საერთო მფლობელობიდან"[4]. ილიასათვის საეჭვო არ არის ის გარემოება, რომ ძველად საქართველოში ისე, როგორც სხვა ქვეყნებში, მიწის „საერთო მფლობელობა" ყოფილა, რომელიც

[1] ი. ჭავჭავაძის განმარტებით, „ნაფუძრები", ესე იგი გაუტიეებული მამული, დიდს საფასურშია ჩვენში, ზოგან ვენახის ფასად ულირს გლეხკაცსა. ეს ამისთანა მიწები უფრო კარზედა აქვს გლეხკაცსა და სასახლის ადგილის ზედ—გამომბულია" (იხ. ილ. ჭავჭავაძე. თხზ. ტ. VIII, გვ. 223).

[2] ილია ჭავჭავაძე თვითონვე იძლევა განმარტებას, თუ რას ეწოდება „საბლის მამული". იგი წერს: „დღესაც ჩვენში გლეხისაგან დაჩემებულს და განაკუთრებულს მამულს „საბლის მამულს" ეძახიან, გასარჩევად სათემო მამულისაგან" (იხ. ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. VIII, გვ. 136. შენიშვნა).

[3] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. VIII, გვ. 169

[4] იქვე, გვ. 208.

„უეჭველად ცნობილია მეცნიერებისაგან, როგორც პირველყოფილ კაცთა საზოგადოების ეკონომიური ქვაკუთხედი“ [1]. მიწის საერთო მფლობელობის ნაშთები „დღესაც თვალსაჩინოდ შერჩენია ჩვენს სოფელს“[2]. განა ამას არ ადასტურებს სახელწოდებანი მიწებისა, ზოგან „სასოფლოდ“ წოდებულნი, ზოგან „საზოგადოდ“, ზოგან „სათემოდ“ და ზოგან „სახასოდაც“? [3] უნდა გაირკვეს, თუ რას წარმოადგენს ეს ჯგუფი მიწებისა ნაყოფიერების მიხედვით შედარებით პირველი ჯგუფის მიწებთან, რომლებიც გლეხებმა უკვე დაინაწილეს, დაისაკუთრეს საბოლოოდ და საშვილიშვილოდ. იგულისხმება, რომ ისინი „იმისთანა მიწებია, რომელნიც ნაყოფიერებით პირველზე ნაკლებია, სოფელზე მოშორებული და არავისაგან არ-დაჩემებული“ [4], რადგან საუკეთესო მიწები ადრიდანვე იქნა დასაკუთრებული და დანაწილებული. მიწის ამ ფართობზე დღესაც, ილიას აზრით, „ვინც პირველად და ყველაზე უწინ გუთანს მოჰკიდებს და მოხნავს, მოხნული მიწა იმ წელიწადს იმისია, მეორე წელიწადს სხვა ხნავს და ხმარობს. ყოველს მკვიდრს სოფლისას ნება აქვს, საცა კი სხვას დაასწრობს, იქ მოხნას და რამდენიც უნდა იმოდენა მოხნას“ [5].

სათემო მიწების ამ „ტაცობასა“ და „დასწრება“-ძალდატანების ნიადაგზე თავი იჩინა მეტად დიდმა უწესრიგობამ საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებაში, რადგან იმ სათემო მიწებში ყველა მკვიდრს სოფლისას ნე-

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. VIII, გვ. 208.
[2] იქვე.
[3] იქვე.
[4] იქვე.
[5] იქვე.

ბა აქვს, საცა უნდა და რამდენიც უნდა მოხნას". „რა თქმა უნდა,—დასძენს ილია ჭაკჭავაძე,—მდიდარი და შეძ-ლებული გლეხი შეუძლებელსა სჩაგრავს, ამიტომ რომ შეძლებელი ყოველთვის შეუძლებელსა დაასწრობს ხოლ-მე გუთანსაც და ფარცხსაც. გარდა ამისა, ვიწრო-ობამ აიძულა ბევრი მკვიდრი, რომ მამული სხვებსა-ვით დაისაკუთროს, დაიჩემოს, აქაც, რასაკვირველია, ყოველი გარემოება შეძლებულს გლეხს აძლევს უპირა-ტესობას შეუძლებელის წინაშე" [1]. მაგრამ, ილიას აზრით, შეძლებული გლეხი განა ამ სათემო მიწების მუქთად დასაკუთრებით კმაყოფილდება და ამით საცოდავ ღარიბ-უგუთნო, უფარცხო და უხარო გლეხებს, უმიწა-წყლოდ დატოვებულს, მარტოკა ამას აკმარებს? — ილია წერს: „იშვიათი ამბავი არ არის, რომ შეძლებულს სათე-მო მამულში უკეთესი და კარგა ბლომა ადგილები დაეჭიროს და დაეჩემოს საშვილიშვილოდ. ამ სახით სხვანი ხელცარიელნი დარჩენილან და იმა შეძლებული-საგან თავისავე სათემო მამულს ღალით იღებენ, რომ როგორმე თავი ირჩინონ [2]". აი, სანამდე მიდის უსამარ-თლობა, უკანონობა ქვეყანაზე.

სათემო საკუთრებაში არსებული მიწა, მძლავრობით მიტაცებული შეძლებული გლეხების მიერ, იქცა ღა-რიბი გლეხების დამონების, ექსპლოატაციისა და დაბე-ჩავების საფუძვლად. ამ მდგომარეობას ილია შეუწყნა-რებლად სთვლის ეროვნული ინტერესების თვალსაზ-რისით, რადგან, მისი აზრით, ასეთ პირობებში არ შე-იძლება ლაპარაკი ეროვნულ მთლიანობაზე, თავისუფალ

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. VIII, გვ. 209.

[2] იქვე.

შრომაზე და სახალხო საერთო ეროვნულ ბედნიერებაზე. ილიას აზრით, მიწების ასე უკანონოდ დატაცებით ეროვნულ-სახალხო ინტერესების თანასწორობასა და ასევე ეროვნულ მთლიანობას ეკონომიური საფუძვლები აქვს გამოცლილი. „ამას, რასაკვირველია, შველა უნდა“[1]. ამაში ხედავს ილია ჭავჭავაძე საქართველოს ისტორიული წარსულისაგან მომდინარე აწმყოს უბედობას; მაგრამ გამოსავალი ამ წინააღმდეგობის უკიდურესობამდე გამწვავებიდან დღევანდელ საფეხურზე ისევ საქართველოს „გამჭრიახ და მგრძნობიარე გლეხკაცობას მოუნახავს“; ილია წერს: „გლეხკაცობამ იგრძნო ეს ტკივილი და წამალიც უპოვა. ბევრგან განაჩენებია დღეს შემდგარი, რომელშიაც გლეხკაცობამ აშკარად აღიარა, რომ სახასო სოფელი—სოფლისაა საერთოდ და არა თვითეულის მკვიდრისა საკუთრივ“[2]. ილიას აზრით, ეს არის უაღრესად გაბედული და უდიდესი ეროვნული მნიშვნელობის მოთხოვნა, რომელიც ასეთის ძლიერებითაა წამოყენებული თვით გლეხების მიერ, რადგან, „დაუდო რა თავის განაჩენს ეს დედაზრი საფუძვლად, დაადგინა, რომ ყველა მკვიდრი იმოდენად მონაწილეა მთელს სოფლის მამულში, რამოდენის მსურველიც არის, თუ სასოფლო მამული ყველას სურვილს გასწვდა“[3].

იმისათვის, რომ ბოლო მოღებოდა მიწების დატაცების ნიადაგზე აღმოცენებულ უსწორმასწორობას, გლეხ-

---

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწერების კრებ., ტ. VIII, გვ. 210.
[2] იქვე.
[3] იქვე.

კაცობამ „გააჩინა—ხელახლად დაიდვას საბელი და გაყოფილ იქმნას სასოფლო მამული“[1], მაგრამ გლეხობა არ დაკმაყოფილდა მარტო „განაჩენით“. ამისთანა განაჩენები უკვე შემდგარია ქართლისა, კახეთისა, სომხითისა და ტფილისის მაზრის სოფლების მიერ,—ჯერ მარტო ტფილისის მაზრაში 45 სოფელს შეუდგენია ამისთანა განაჩენი,—აქედამ 12-ს უკვე დაუყვია კიდეც მამულები... ქართლში 16-ს სოფელს შეუდგენია განაჩენი. მათში 10-ს კიდეც დაუყვია მამულები“[2] და სხვ.

რეფორმის მერმინდელ საქართველოში კაპიტალიზმის განვითარებისა და სოფლად სოციალური დიფერენციაციის გაძლიერებასთან დაკავშირებით აგრარული ურთიერთობა მეტად გამწვავდა. 80-იან წლებში, კერძოდ სათემო მიწები თითქმის სავსებით მიმძლავრებული და უკვე დასაკუთრებული აღმოჩნდა შეძლებული ფენების მიერ, ამიტომ, ყმობიდან განთავისუფლებულმა უმიწოდ დარჩენილმა გლეხობამ ხმა აიმაღლა და ძველი—ადათწესების საფუძველზე მოითხოვდა სათემო მიწების სამართლიან გადანაწილებას. ეს ღონისძიება ყოფილ სახასო, ანუ სახელმწიფო მიწებსა და მის მკვიდრ გლეხობას შეეხებოდა. მართლაც, მთელ რიგ რაიონებში გასული საუკუნის 80-იან წლებში ამ მიმართულებით პრაქტიკულად დაისვა საკითხი და გლეხთა ამ „განაჩენის“—სათემო მიწების ხელახლავ გადანაწილების—საფუძველზე ზოგგან ნაბიჯებიც გადაიდგა. ილია ჭავჭავაძე აღფრთოვანებით მიეგება ამ ნაბიჯს და დიდი იმედები დაამყარა ამ ღონისძიებაზე.

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ნაწერების კრებ., ტ. VIII, გვ. 210.
[2] იქვე.

მამულების დროგამოშვებით დაყოფა, ე. ი. მიწის პერიოდული გადანაწილება, სათემო მიწათმფლობელობის ძირითადი თავისებურებაა. საქართველოში-ისე როგორც სხვა ქვეყნებში, ეს ძირითადი ნიშანი თემური მიწათმფლობელობისა პერიოდულად მეორდებოდა. გერმანიაში არსებული ანალოგიური მოვლენის გამო ფ. ენგელსი წერს: „მთელი დასამუშავებელი მიწა, სახნავ-სათესი და მინდორ-ველი ერთიანდება და მდებარეობისა და ნიადაგის ხარისხის მიხედვით რამდენიმე მასივად ნაწილდება, შემდეგ თითოეულ მასივს ხელახლა იმდენ თანაბარ გრძელ, ვიწრო ზოლად ყოფენ, რამდენიც სრულუფლებიანი წევრია თემში“[1], ხოლო ამის შემდეგ წილს ყრიან. სათემო მიწების გადანაწილების პერიოდი სხვადასხვა ადგილას და პერიოდებში განსხვავებული ხანდაზმულობისა იყო. საშუალოდ ეს პერიოდი ჩვეულებრივ 10-დან 30 წლამდე მერყეობდა, „დამუშავებული მიწა, ტყე და საძოვარი საერთო მფლობელობაში რჩება საერთო სარგებლობისათვის“[2].

ილიას აზრით, მიწის გამიჯვნის პერიოდები საზღვარდადებული სიზუსტით თითქო არ უნდა ყოფილიყო დადგენილი. „ჩვენს გლეხკაცობას, რომელსაც უწამებია, რომ სოფელი სოფლისაა... ვადა არ დაუდვია მიწების დაყოფვისათვის. მამული მისის ფიქრით კუთვნილია თვითეულის კომლისა, ვიდრე სოფელს არ გაუჭირდება და თითონ სოფელი არ აღიარებს მამულების დაყოფვის საჭიროებას. ეს საჭიროება დამოკიდებულია მეკომურთა გამრავლებაზედ სოფელში და სხვა იმისთანა იშვიათ

[1] ფ. ენგელსი, „გლეხთა ომი გერმანიაში“, გვ. 164
[2] იქვე.

გარემოებაზედ, რომელიც ბუნებრივად ძალიან გვიან-გვიან იჩენს თავსა და შორს მერმისს ეკუთვნის“ [1].

ამ მსჯელობაში ილია გასული საუკუნის 80-იან წლების სინამდვილეს უფრო ასახავს, ვიდრე ისტორიულად არსებულ რეალურ ვითარებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა სათემო მიწების პერიოდულად გადანაწილებისას.

სათემო მიწების დანაწილება ძირითადად საკომლოების, ე. ი. კომლობრივად, და ლიტრა-ჩარექის მიხედვით ხდებოდა. კომლობრივ განაწილებისას არ ეწეოდა ანგარიში ამა თუ იმ კომლში შემავალი შრომისუნარიანი მუშახელის რაოდენობას და სათვალავში მხოლოდ ცალკე კომლი ჩაიგდებოდა ხოლმე. სავსებით საწინააღმდეგო შემთხვევას გულისხმობს სათემო მიწების გადანაწილება ლიტრა-ჩარექის პრინციპის მიხედვით, მაგრამ მისი განხორციელებისათვის, ილია ჭავჭავაძის განჭარტებით, იგულისხმება, რომ თემის მფლობელობაში მიწა საკმარისი ოდენობითაა. „საცა-კი მამული საკმარისია,—წერს ილია,—ყველგან მიღებულია კომლმა რამდენიც ჰსურს იმდენი მამული დაიჭიროს, ჰსურს ლიტრიანებში მოიქციოს თავი, ჰსურს—ნახევარ ლიტრიანებში, ჰსურს—ჩარექიანებში და ამაში დამშლელი და მოდავე არა ჰყავს. რასაკვირველია, ეს არ ითქმის იმ სოფლებზეც, საცა მამული ცოტაა, ვიწროებაა და ყველას უნდა თანასწორი წილი ირგუნოს“ [2].

„სახასო“ მიწების ხელახლა დაყოფის „განაჩენით“ კმაყოფილი ილია, მიიჩნევს რა ამ მოვლენას უდიდესი მნიშვნელობის ეკონომიურ ღონისძიებად ბატონყმობის

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ნაწერ. სრ. კრებ., ტ. VIII, გვ. 217—218.

[2] იქვე. გვ. 221.

გადავარდნის შემდეგ, ცდილობს მას საქართველოს ეკონომიურ-ისტორიულ წარსულშიაც უპოვოს გამართლება და ფესვები. აბა რით შეიძლება აიხსნას ამ „განაჩენის“ უდიდესი გამოძახილი და წარმატებითი მსვლელობა საქართველოს უმრავლეს კუთხეებში? კითხულობს ილია — მხოლოდ იმით, რომ „სოფლის მიწების დაყოფვა ახალი ამბავი არ უნდა იყოს ჩვენის ეკონომიურის ცხოვრებისათვის... რომ ჩვენს გლეხკაცობას ანდერძად დარჩენია ძველთა დროთაგან, თორემ ეს რომ ახალი ამბავი იყოს, იუცხოვებდნენ ჩვენში, ახლა კი მშვიდობიანად და უჩუმრად შეიწყნარეს. გარდა ამისა, ჩვენ დარწმუნებით ვიცით, რომ გლეხკაცობამ ამ საქმეს ხელი მოსჭიდა თავისის საკუთარის თაოსნობით. ესეც უტყუარი ნიშანია, რომ ჩვენში ეგ მამულების დროგამოშვებით დაყოფვა ჩვეულებად ყოფილა ძველთაგანვე და ჩვენს გლეხკაცობას გუნებაში შეჰრჩენია, ანდერძათ დარჩომია“[1].

მოტანილი მოსაზრებიდან ყურადღებას იპყრობს ილიას განმარტება, რომ „მამულების დროგამოშვებითი დაყოფვა ჩვეულებრივად ყოფილა ძველთაგანვე“ საქართველოში. ამრიგად, ილიას რწმენით, მამულები დროგამოშვებით მუდამ გადანაწილდებოდა ხოლმე ძველ საქართველოში, მაგრამ ბატონყმობის გაჩენის შემდეგ განვითარება იმ გვარად წარიმართა, რომ მიწის კერძო („საკომლო“) დასაკუთრების გაძლიერების გამო, ეს „საერთო მფლობელობა“ თანდათან შემცირებასა და ბოლოს მოსპობამდეც მიდიოდა[2]. ამიტომ გლეხკაცობის უკანასკნელი „განაჩენი“: „ხელახლად დაიდვას საბელი და გაყოფილ იქნეს სასოფლო მამულები“ „ძველი საქარ-

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. VIII, გვ. 211.
[2] ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კოებ., ტ. VIII, გვ. 209—210, ასევე ტ. V, გვ. 201—204.

თველოს“ დროინდელი მიწათმფლობელური კანონიერების მხოლოდ აღდგენაა.

ილიას შეხედულებით,—თითქოს ამ რეფორმით,—გლეხობის ამ „განაჩენით“ დადებითად გადაიჭრა აგრარული საკითხი,—მიწა დაუბრუნდა უშუალო მწარმოებელს, —გლეხს, ამით კი ბოლო ეოეღო სოციალურ უსამართლობას სოფლად. ილია დარწმუნებული იყო, რომ აგრარული პრობლემის ამგვარად გადაჭრით შეიძლებოდა მოსპობილიყო ეროვნული განხეთქილება, აღმოცენებული წოდებრივ-კლასობრივ წინააღმდეგობებზე. ასეთია ის განუხორციელებელი იმედები, რომელსაც ილია გლეხების ამ „განაჩენზე“ ამყარებდა.

ილია, გარდა იმისა, რომ აღფრთოვანებული ეგებება ამ ხალხურ „განაჩენს“, რომელიც ქართველი გლეხების „გამჭრიახობისა და მგრძნობელობის“[1] ნაყოფად მიაჩნია, ამასთანავე ფიქრობს, რომ ეს „განაჩენი“ იმდენად დიდი და მნიშვნელოვანია, რომ „ბატონ-ყმობის მოსპობის მერმეთ ამისთანა დიდ-მნიშვნელოვანი და ერთობ დიდი საქმე ჩვენის შინაურის ცხოვრების შესახები, არა ყოფილა და არ მომხდარა“[2].

ილია ჭავჭავაძე, პრაქტიკულად უსუსური, კუდმოკვეცილი „განაჩენით“ აღფრთოვანებული, ვერ ითვალისწინებდა, რომ „ფორმალურად არსებული სათემო მიწათმფლობელობა და მჭამელთა რიცხვის მიხედვით მიწის განაწილება (ასე იყო რუსეთში, ხოლო საქართველოში, ილიას მოსაზრებით, „საკომლოების“ და ლიტრა—ჩარეჭობის მიხედვით ნაწილდებოდა. ა. ი.), რაც დროდადრო

---

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებ., ტ. VIII, გვ. 210.
[2] იქვე.

ხდებოდა, სრულიადაც არ ცვლიდა საქმეს. მიწით სარგებლობდნენ თემის ის წევრები, რომელთაც ჰყავდათ მუშა პირუტყვი, ჰქონდათ ინვენტარი, თესლი, ე. ი. შეძლებული საშუალო გლეხები და კულაკები. უცხენო გლეხები, ღარიბები და საერთოდ ხელმოკლეები იძულებული იყვნენ მიეცათ მიწა კულაკებისათვის და ემუშავნათ დაქირავებით, მოჯამაგირეებად. გლეხური თემი მართლაც მოხერხებული ფორმა იყო კულაკების ძალმომრეობის დასაფარავად და იოლი საშუალება ცარიზმის ხელში გლეხობისაგან გადასახადთა ასაკრეფად ურთიერთ თავდებობის პრინციპით" [1]. ირკვევა, რომ ილიას არ შეეძლო ყოველივე ეს ნათლად წარმოედგინა და ამდენად ამ „განაჩენს" კრიტიკულად მოპყრობოდა. ილიას გატაცება და დიდი იმედების დამყარება „ამ განაჩენზე" მეტად ნაადრევი იყო და მოკლებული რეალურ შედეგებს როგორც გლეხობის საერთო ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით, ამასთანავე, ილიას წარმოდგენითვე, ამ ღონისძიების განხორციელების შედეგად სოფლად არსებულ წოდებრივ-კლასობრივ წინააღმდეგობათა მოსპობის თვალსაზრისითაც.

„1906 წლის 9 ნოემბერს სტოლიპინმა გამოსცა ახალი საადგილმამულო კანონი თემიდან გლეხების ხუტორებად გამოყოფის შესახებ. სტოლიპინის საადგილმამულო კანონის მიხედვით ინგრეოდა მიწის თემობრივი სარგებლობა. თითოეულ გლეხს წინადადება ეძლეოდა აეღო

---

[1] საკ. კ. ᲐᲑ. (ბ) ისტორია, მოკლე კურსი, 1947 წ., გვ. 19 (ქართ. გამოცემა).

თავისი ნადელი პირად მფლობელობაში, გამოყოფილიყო თემიდან“ [1].

მაგრამ საქმე ამით როდი თავდებოდა: „მდიდარ გლეხებს—კულაკებს ამასთან შესაძლებლობა ეძლეოდათ იაფად შეესყიდათ ხელმოკლე გლეხებისაგან მათი მიწა. ამ კანონის გამოცემის შემდეგ რამდენიმე წლის განმავლობაში მილიონზე მეტმა ხელმოკლე გლეხმა საესებით დაკარგა მიწა და გაჩანაგდა“ [2].

უმიწაწყლო გაღატაკებული გლეხობა ბრჭყალებში უვარდება კულაკებს, რომლებიც ეწეოდნენ გლეხობის შრომის ბარბაროსულ ექსპლოატაციას. „მეფის მთავრობა კულაკებს მნიშვნელოვან სესხს აძლევდა მიწის შესასყიდად და ხუტორების მოსაწყობად. სტოლიპინს უნდოდა გადაექცია კულაკები პატარა მემამულეებად, მეფის თვითმპყრობელობის ერთგულ დამცველებად“ [3]. აი, სანამდე მიაღწია „სათემო მიწების“ ბედმა და სათემო მიწებზე „საბლის“ ხელახლავ დადების ილიასაგან მოწონებულმა „განაჩენმა“. „თუ გლეხთა „განთავისუფლების“ დროს მემამულეები იტაცებდნენ გლეხთა მიწას, ახლა კულაკებმა იწყეს სათემო მიწების გატაცება,—ისინი ღებულობდნენ საუკეთესო ნაკვეთებს ღარიბებისაგან, იაფად ყიდულობდნენ ნადელებს“ [4] და სხვ.

ილია ჭავჭავაძეს, ირკვევა, სოფლად არსებულ სოციალურ წინააღმდეგობათა ეს ლაბირინტი არ შეეძლო ნათლად წარმოედგინა. სწორედ ზემოაღნიშნული სინამდვი-

---

[1] საკ. კ. პ. (ბ) ისტორია, მოკლე კურსი, 1947 წ., გვ. 127.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] იქვე.

ლიდან გამომდინარე ვ. ლენინი მიუთითებდა, რომ „Русское общинное крестьянство не антагонист капитализма, а, напротив, самая глубокая и самая прочная основа его“ [1].

ბ. მიწების სამართლიანი გადანაწილებისა და „საკომლოს“ ცნების ისტორიულ-ეკონომიური შინაარსი

ილია ჭავჭავაძე სათემო მიწების გადანაწილებისათვის გლეხობის მიერ გამოტანილი ამ „შესანიშნავი განაჩენის“ განხორციელებაში დიდ დამახინჯებებს და უსამართლობას ამჩნევს, ამიტომ იგი ამასთანავე აყალიბებს ზოგად პრინციპებს, რომლის მიხედვითაც საერთოდ უნდა ნაწილდებოდეს სათემო მიწები. ამ საკითხის, მეცნიერულად გადაწყვეტისათვის ილია მიმართავს საქართველოს ეკონომიური ისტორიული მნიშვნელობის ისეთ ტერმინს, როგორიცაა „საკომლოს“ ცნება და მისი შინაარსი.

„საკომლო“ ვარგისი მიწის გარკვეული სიდიდის ფართობია, მიჩენილი ცალკე კომლისათვის სამეურნეოდ და სამოსახლოდ სარგებლობისათვის. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან ცნება „საკომლო“ შეცვალა მისმა შესატყვისმა რუსულმა სიტყვამ „ნადელმა“ (Надел) და იმდენად დამკვიდრდა ეს სიტყვა ქართულში, რომ „საკომლო“ ხმარებიდან განიდევნა და ფაქტობრივ დავიწყებას მიეცა.

გენერალ-ლეიტენანტ თავად ივანე შალხაზის ძე ანდრონიკაშვილის განმარტებით, „სიღნაღის უეზდში ორნაირი მიწებია: პირველი საკომლო, რომელსაც ჰქვიან საბლის მამული ძველთაგანვე განყოფილი და გლეხაცების ხელთ, მებატონეთ აქვთ თავთავისი ხოდაბუნები...

[1] В. И. Ленин, соч. т. 3, стр. 141.

მეორე არის, რომელსაც ეწოდება ს ა თ ე მ ო, ვის-სად ჰსურს თავის ნებატონის წილში ბატონის ნება დართვით ყმა თავისუფლად ჰსარგებლობს“ [1].

ამ განსაზღვრიდან ირკვევა, რომ საკომლო განსხვავებულია სათემო მიწისაგან და სათემო და საკომლო მიწები სხვადასხვა კატეგორიის არიან [2].

ილია ჭავჭავაძე განსაკუთრებული გულისხმიერებით სწავლობს „საკომლო“ მიწის სივრცეს, მისი ნაყოფიერების და მდებარეობის პირობებთან დაკავშირებით, ირკვევს, თუ რას უდრიდა ძველ საქართველოში „საკომლო“ მიწის სივრცე, რატომ იყო მიწები საქართველოში დანაწილებული საკომლოებად და ამის გამოკვლევის საფუძველზე ილია აყენებს თავისებურ ახალ, სამართლიან პროექტს, რომლის საფუძველზედაც უნდა განხორციელდეს გლეხობის „განაჩენი“ მიწების ხელახალი გადანაწილება ისე, რომ თუ დამახინჯებებს დღემდე ჰქონდა ადგილი, ამიერიდან მაინც ამას ადგილი არ დარჩენოდა.

„კომლისა“ და „საკომლოს“ საკითხს ილია ჭავჭავაძე განიხილავს მიწათმფლობელობითი ურთიერთობის საკითხებთან განუყრელ კავშირში. კომლებს შორის მიწის სამართლიანად განაწილების საკითხთან დაკავშირებით ილია წერს:

---

[1] იხ. „შეკრება ოცდაერთის ჰაზრისა ორასორმოცთა საქართველოს მებატონეთა მიერ წარმოთქმულისა ბატონყმობაზედ“, შედგენილი 1863 წ.—პ. გუგუშვილის პუბლიკაცია, „ქართული ჟურნალისტიკის ისტორია“, დამატება გვ. 441, 1941 წ.

[2] განსხვავებულ მოსაზრებას ავითარებს პროფ. პ. გუგუშვილი ნაშრომში „თემური მიწათმფლობელობა ამიერკავკასიაში“, იხ. ეკონ. ისტ. შრომები, ტ. I, გვ. 22.

ამ „უდიდესი“ მნიშვნელობის ღონისძიების„—ხელახლად დაიდვას საბელი და გაყოფილ იქმნას სასოფლო მამულები“—ადგილზე გატარებას წინ ეღობება დაბრკოლებანი და დამახინჯებანი, რომელთა მიზეზითაც, წერს ილია, „ხშირად გვესმის სამდურავი და ჩივილი გლეხკაცობისაგან, ვითომც მამულების დაყოფვის საქმე, ყველასაგან თითქმის ერთხმივ საჭიროდ აღიარებული, აღსრულებაში ცუდად მოდისო“ [1]. ეს გარემოება იძულებულს ხდის ილია ჭავჭავაძეს, შეაჩეროს თავისი ყურადღება „ამ დიდს და რთულს საქმის“ ირგვლივ და გამოთქვას ზოგიერთი მოსაზრება, რაც საფუძვლად დაედება „მამულების დაყოფვას“. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე ილია წერს: „მივიღებთ რა მხედველობაში, რომ მიწების დაყოფვა უსათუოდ სოფლის განაჩენით უნდა მოხდეს,—აშკარაა, პირველი კითხვა ის არის: ჩვენში ვის უნდა ჰქონდეს ხმა განაჩენის დადგენაში? თვითოეულს მუშაკაცს კომლისას, თუ კომლის თავკაცსა? მეორე: ვადა ხელახლად დაყოფვისა მერმისისათვის წინათვე უნდა იყოს მოხსენებული განაჩენში, თუ არა? მესამე: მამულები კომლზედ უნდა დაყოფილ იქმნან თუ მუშაკაცობაზედ კომლში? საჭიროა თუ არა, რომ განაჩენში წინათვე მამულების რაოდენობის კვალად განსაზღვრული იყოს უდიდესი და უმცირესი თვითოეულის კომლისა? კარ-მიდამო, ვენახები, ნაფუძრები გასაყოფს მამულში უნდა ჩავარდეს თუ არა?“ [2] და რიგი მსგავსი პრობლემებისა, რომელთა საფუძველზედაც

---

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრ. კრებ., ტ. VIII, გვ. 211.
[2] იქვე, გვ. 212.

ფიქრობდა ილია ჭავჭავაძე „მამულების დაყოფვის“ სამართლიანად გადაწყვეტას.

ილია კითხულობს: „თვითონ ჩვენი სოფელი, როგორც ეკონომიური ცალი (единица), თვითმყოფი ცალკე სხეული, რა საფუძვლებზეა დამყარებული და აგებული? — და იქვე მიუგებს:—არავინ არ შეგვეცილება ვსთქვათ, რომ ჩვენი სოფელი დამყარებულია და აგებული კომლეულობაზედ და არა თვითოეულს ასაკში მოსულ მუშაკაცზედ, როგორც რუსული „Мир“-ია. ყოველისფერი ჩვენს სოფელში კომლზედ არის და ყოფილა უწინაც გაანგარიშებული. თვლაში კომლია, სახელმწიფო და სასოფლო ხარჯში კომლია, ბეგარაში, მამულში—სულ ყველგან იგივე კომლია ანგარიშში. რუსეთში კი ყოველი ეს თვითოეულს ცალკე სულზეა. ამ განსხვავებას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც გლეხკაცობის ცხოვრებაში საზოგადოდ, ისეც მამულის დაყოფვაში კერძოდ“ [1]. ამრიგად, ილიას აზრით, ჩვენში, საქართველოში, „ყველაფერი კომლზეა აგებული“. როგორც ეკონომიურ და საზოგადოებრივ ერთეულზე, და „რაკი კომლი მოუშლელია, ეკონომიური და საზოგადოებრივი დედა-ბოძიც სოფლისა მოუშლელია“ [2] (კურსივი ჩვენია. ა. ი.). ილია, მიიჩნევს რა სოფლის ეკონომიურ და საზოგადოებრივ დედა-ბოძად კომლს, როგორც ეკონომიურ ერთეულს და „თვითმყოფ ცალკე სხეულს“, ცდილობს გადაწყვიტოს პრობლემა, თუ „ვის უნდა ჰქონდეს მამულების დაყოფვის განაჩენში ხმა?“ ილიას აზრით, „აქ მარტო ერთი პასუხია შესაძლებე-

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწ. სრული კრებ., ტ. VIII, გვ. 212—213.
[2] იქვე, გვ. 213—14.

ლი: — კომლის მოთავეს, კომლის უფროსს კაცს"[1]. ილია ამგვარი წესისა და წყობის უპირატესობას საქართველოს ისტორიულ-ეკონომიური წარსულითაც ასაბუთებს; იგი წერს: „თუ ძველ დროთაგან დღემდე ამ-გვარს წყობას ჩვენის სოფლისას ძირი არ შეერყა და არ შეეცვალა, თუ დღევანდლამდე ამას წუნი არსაით უჩანს, არავინ უ-ივის, არავისაგან შებღალული არ არის, აშკარა საბუთია, რომ კომლეული წყობილება უფრო საკეთილოდ მიუჩნევია როგორც თვით სახელმწიფოს, ისე თვითონ გლეხკაცობასაც, რომელიც დღესაც მაგრად ეჭიდება ამ წყობილებას და ხელიდამ არ უშვებს. საჭიროა, ჩვენის ფიქრით, ეს გარემოება ხელზედ მაგრად დაიხვიოს კაცმა მამულების დაყოფვის საქმეში და გაკანონდეს, რომ ამ საქმეში მარტო კომლის თავ-კაცსა ჰქონდეს ხმა"[2]. ილია აქვე ცდილობს გარკვევას იმ საკითხისას, თუ რაოდენობრივად რა ფართობის მიწაა საჭირო თითოეული კომლისათვის, რომ თითოეულ კომლს გააჩნდეს ნორმალური პირობები მეურნეობის წესიერად დაყენებისათვის საკუთარი შრომით, დაქირავებული შრომის გარეშე.

ილიას აზრით, „დღესაც დარჩენილი და ძველ გუჯრებში ყოველთვის ხმარებული სიტყვა „საკომლო" იმის საბუთია, რომ მამულის ჭერის საქმეშიაც ნიშანში ამოღებული კომლი ყოფილა და სხვა არა რა. „საკომლო" ნიშნავდა ცალკე კომლის მიერ დაჭერილს და ამის სამყოფს მამულსა"[3]. მაგრამ მაინც რა რაოდენო-

---

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაკ. სრ. კრებ., ტ. VIII, გვ. 214.

[2] იქვე, გვ. 214.

[3] იქვე, გვ. 214—215.

ბის უნდა ყოფილიყო სივრცით საკომლო მამული? ამ საკითხზე ილია უპასუხებს: „სხვადასხვა ადგილას ეს „საკომლო“ სხვადასხვა ზომისა იყო: ზოგან ათი დღიური, ზოგან ოცი, ზოგან ორმოცი და სამოცი“ [1]. და იქვე, ამავე გვერდზე, ილია შენიშნავს, რომ „ჩვენ არსად არ შეგვხვედრია, სადმე „საკომლო“ ათს დღიურზედ ნაკლები ყოფილიყოს და სამოცზედ მეტი. ზოგნი ამბობენ, ოთხმოცი დღიურიც ყოფილა თურმე“. საბოლოო ანგარიშით, ილიას შეხედულებით, „ეგ „საკომლოს“ სიდიდე იმაზედ იყო დამოკიდებული, სად რამდენი მამულია საკმარისი ცალკე კომლის სარჩენად და სახელმწიფო და სასოფლო საშსახურის გადასახდელად“ [2]. ილიას აზრით, „საკომლოს“ ფართობის სიდიდესა თუ სიმცირეს განსაზღვრავდა აგრეთვე მეურნეობის წესი, თუ რა დარგს ეწეოდნენ მეურნეობისას და ბუნებრივი პირობებიც—ჰავა, ნიადაგის მდებარეობა, ნაყოფიერება. ილია წერს: „იქ, საცა ჰავისა და მიწის თვისება ისეთი იყო, რომ უფრო პირუტყვთ მოშენება ხეირობდა, „საკომლო“ დიდი ყოფილა, რადგანაც პირუტყვთ მოშენებას დიდი ადგილი უნდა. საცა პური და სხვა ამგვარი კარგად მოდიოდა და უმთავრეს წყაროს გლეხის ცხოვრებისას შეადგენდა, იქ პირველზედ ნაკლები იყო. საცა ყურძენი და ხილეულობა კარგად ხეირობდა და მით ერი თავს ირჩენდა, იქ უფრო ნაკლები ყოფილა. ამ-სახით, „საკომლო“ მთაში ერთის ზომისა იყო, ქართლში მეორისა, კახეთში მესამისა და ესევე სხვადასხვა ადგილას“ [3].

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ნაწ. სრ. კრებ., ტ. VIII, გვ. 215.
[2] იქვე.
[3] იქვე.

ამრიგად, ილია ჭავჭავაძე „საკომლოს“ ეკონომიურ-ისტორიული თვალსაზრისით განიხილავს. იგი საქართველოს ისტორიის შემადგენელ პირვანდელ წყაროებზე — სიგელ-გუჯრებზე — დაყრდნობით ცდილობს გაარკვიოს „საკომლოს“ სოციალ-ეკონომიური დანიშნულება ქართველი ხალხის ისტორიაში. ილია წერს: „გუჯრებში ხშირად ნახსენებია, — გიწყალობეო აქა და აქ ამდენი და ამდენი საკომლო. მაგ აზრითვე ხმარებულია „საკომლო“ ნასყიდლობისა, გაყრისა და განსამართლების ოქმებში“ [1].

ილიას აზრით, „საკომლო“ ჩვენი ქვეყნის თითოეული მხარისათვის ცალ-ცალკე განსაზღვრული ზომა ყოფილა, ყველასაგან ერთნაირად ცნობილი და ერთნაირად აღიარებული. ილია უაღრესად საყურადღებო მოსაზრებას გამოსთქვამს, როცა იგი წერს: „უწინ სოფელში რომ გეთქვათ: ეს ერთი „საკომლო“, ყველამ იცოდა, რაზედ და რამდენზეა ლაპარაკი. ამ სახითაც კომლი ჩვენს სოფელში წარმოადგენდა არამც-თუ საზოგადოებრივს სხეულს, არამედ ეკონომიურსაც“ [2]. მაგრამ დღეს, ილიას აზრით, „საკომლოს“ ცნება „Надел“-ით შეირყვნა. შესაძლოა ამ გარემოების შედეგიც იყოს ის გაუგებრობანი, რომლებიც უხვად არსებობენ „საკომლოს“ საკითხის გარკვევისათვის.

„საკომლო“ მიწის გარკვეული ფართობია, გარკვეული მდებარეობისა და ნაყოფიერების მქონე, რომელსაც ცალკეული კომლი ფლობს. ჩვენ მოვიყვანეთ ილიას მოსაზრება, თუ რამდენ დღიურ მიწას მიიჩნევს სა-

---

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწერ. სრ. კრებ., ტ. VIII, გვ. 215.
[2] იქვე, გვ. 215—216.

ჭიროდ „საკომლოს“ მინიმალური და მაქსიმალური მფლობელობის შემთხვევაში. იგი „საკომლოს“ მიუცილებელ მინიმალურ საჭიროებად ათ დღიურ მიწას განსაზღვრავს; ამავე აზრს ილია სხვა ადგილასაც იმეორებს. იგი წერს: „ერთ კომლს კაცს სულ ცოტა-ცოტა ათი დღის მიწა მაინც უნდა ჰქონდეს, რომ თავის მამულის ანაბარას დარჩეს და თავი ირჩინოს ცოლ-შვილითა“ [1]. ცნობილია, რომ ისეთი ტიპობრივი და იდეალური მეურნე, როგორც ეს ილიამ „ოთარაანთ ქვრივის“ სახით წარმოგვიდგინა, მხოლოდ ათ დღიურ მიწას ფლობს. მიწის ნაკვეთი, რომელსაც ასე ხაზგასმით და დაბეჯითებით იმეორებს ილია რამდენიმე ადგილას, მოქცეული ათი დღიურის ფარგლებში, საგულისხმიერო მომენტია ილიას ნააზრევის სისწორით გარკვევისათვის. მიწის ეს ნაკვეთი, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს ერთ კომლს, ნაკარნახევია საქართველოს ბუნებრივი, ისტორიული და ეკონომიური პირობებით. რა პირობებია ეს პირობები?—„ჩვენი ქვეყანა უფრო ბევრწილად და მომეტებულად, რასაკვირველია, ჰავითა და დედამიწის მომცემლობით სულ სხვაა... ამ ჰავისა და მიწის გამო ჩვენებური მიწათ-მფლობელობა სოფლისა სხვა რიგად წარიმართა“ [2]. რა გზაა ეს გზა, რომლითაც წარიმართა „ჩვენებური მიწათმფლობელობა?“ ილია აგრეთვე წერს: „ჩვენში ყურძენი და მრავალგვარი ხეხილი ჰხარობს, ვენახი და ხილნარი საკმაოდ სარჩოს მომცემია, ასრე რომ ბევრგან ჩვენის გლეხაცის ცხოვრების იმედი ამაზეა დამყარებული. ვენახისა და ხეხილის გაშენება ცოტა ადგილს და დიდს გარჯას,

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწერ. სრ. კრებ., ტ. VIII, გვ 140.
[2] იქვე, გვ. 216.

დიდს დროს თხოულობს"[1]. ეს გარემოება გარკვევით მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ათი დღიური მიწა საკმაოა კომლისათვის ისეთი ჰავისა და მდებარეობა-ნაყოფიერების ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, სადაც მევენახეობა და მეხილეობა შემოსავლის დიდი წყაროა, რომელიც მიწის დიდ ფართობს არ საჭიროებს. მაინც რატომ უფრთხილდება ასე ილია მიწის ფართობს, რატომ მიიმჩნევს ილია „საკომლოდ" შედარებით უმცირესს მინიმალური მიწის ფართობს, რაზეა დამოკიდებული ეს განსაზღვრულობა? ილიას აზრით, „ეს დამოკიდებულია მეკომურთა გაპრავლებაზედ სოფელში"[2], რომ ამ გზით შესაძლებელი გახდეს გამრავლებული, მზარდი მოსახლეობის წესიერი განლაგება ჩვენი ქვეყნის მიწის მთელ ფართობზე, რომელიც ბუნებრივად განსაზღვრულ მდგომარეობაში წარმოგვიდგება.

თუ მიწება წესიერად განაწილდება, უმიწაწყლო არავინ დარჩება; ეს კი შესაძლებელი იქნება მაშინ, როცა ზუსტად გაირკვევა „საკომლოს" ოდენობა, დადგენილ იქნება, თუ რამდენს უნდა ფლობდეს კომლი და მოხდება ამისი ურყევად გატარება.

რადგან საქართველოში პურეული კულტურების გვერდით მეტად გავრცელებულია მევენახეობა-მეხილეობა და „ბევრგან ჩვენის გლეხკაცის ცხოვრების იმედი ამაზეა (მევენახეობა-მეხილეობაზე. ა. ი.) დამყარებული", ხოლო უკანასკნელი „ცოტა ადგილს და დიდს გარჯას" თხოულობს, ამიტომ, ილიას აზრით, თითოეული კომლისათვის საკმაოა საშუალოდ ათი დღიური მიწა, რო-

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწერების კრებ., ტ VIII, გვ. 216.
[2] იქვე, გვ. 217.

გორც მეხილეობა-მევენახეობის, ისე პურეული კულტურის საწარმოებლად.

ილიას აზრით, მეხილეობა-მევენახეობა მეურნეობის განსაკუთრებული, თავისებური დარგია. „ვენახსა და ხილნარს შიგ-ჩატანილი აქვს უკვდავ განძსავით წინაპართა მთელი ჯაფა, მთელი მხნეობა და მეცადინეობა. ამიტომაც ჩვენებურ გლეხკაცს ვენახი და ხილნარი მარტო გამორჩომის წყაროდ კი არ მიაჩნია, არამედ იმ წმინდა აუზადაც, სადაც მის მამა-პაპას თავისი ოფლი მიუდენია და მიუბარებია საშვილიშვილოდ. ჩვენებური გლეხკაცის თვალში მის ვენახს, მისი ხეხილის ბაღს, მის ნაფუძარს თავისი ისტორია აქვს, მართალია—ბუნდი, წარსულის ბუნდისაგან გამოურკვეველი, მაგრამ ღრმად კი ჩაქდეული გულში, რომ ვენახი, ხეხილის ბაღი სალაროა მის წინაპართა ჯაფისა, გარჯისა და მხნეობისა“ [1].

აი რა დიდი მნიშვნელობისაა მეურნეობის ეს ძვირფასი დარგი—მეხილეობა-მევენახეობა. იგი ის წმინდა აუზია, სადაც მამა-პაპას თავისი ოფლი მიუდენია, როგორც ამას მოხდენილად დასძენს ილია. „ამიტომ ძნელია ჩვენი გლეხკაცის ადგილიდამ დაძვრა. ამიტომაც იშვიათია ჩვენში უბინაოდ ტანტალი და სულ ცნობილი არ არის ერთგვარი დანაშაულობა, რომელსაც „бродяжничество“ ჰქვია. ამიტომაც ჩვენში ბინადარს მცხოვრებს „მკვიდრი“ ჰქვიან და არა „დგმური“, როგორც ზოგიერთს ენაშია“ [2]. აი რაში ყოფილა მიზეზი იმისა, რომ გლეხობა „ადგილიდან არ იძვრის“ და ადგილი არ აქვს „უბინაოდ ტანტალს“. ილიას აზრით,

---

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწერ. სრ. კრებ., ტ. VIII, გვ. 216.
[2] იქვე, გვ. 216—17.

„ჩვენში რომ გლეხკაცმა თავი დაანებოს თავის ადგილს, უნდა ჯერ გულიდამ ამოიღოს თავისი თემი, თავისის ოჯახის წარსული, თავისი მამა-პაპა, რომელთა ნაშთი, ძეგლი თვითოეული ვაზია, თვითოეული ხეა, მამა-პაპის ხელით დარგული და ოფლით მორწყული და რომელსაც იგი სამკვიდროს ეძახის. ყოველი ამის გულიდამ ამოღება ძნელია“ [1]. ესოდენ დიდია ძალა მევენახეობა-მეხილეობისა ქართველი ხალხის ეკონომიურ ცხოვრებაში და სუბიექტურ შემეცნებაში, რომელიც რამდენადმე საქართველოს ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარეობს. ამ გარემოებას კი უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ერისთვის, მევენახეობა-მეხილეობა ბინადარ, „მკვიდრ“ ცხოვრებას ამტკიცებს უხსოვარ დროიდან და უხვ დოვლათს აძლევს გლეხობას, მეურნეობის ამ დარგის მიმდევარს.

ილია ჭავჭავაძე საკარმიდამო მიწების წესიერ განაწილებას მოითხოვს. ,,საკარმიდამო მიწების განაწილების თვალსაზრისით“ მეტისმეტი უკანონობა და უსამართლობაა ჩვენებურს სოფლებში. ზოგი ისეთი კომლია, რომ მთელს დღიურზე გადაჭიმულია, ზოგი იმისთანა, რომ იქავ გვერდით სული ეხუთება ვიწროობისაგან“. ილია ჭავჭავაძე მოითხოვს სოფლად გადამჭრელი ღონისძიების გატარებას გლეხური საკარმიდამო მიწა-წყლის თანასწორად განაწილების თვალსაზრისით. ილია წერს: „საჭიროა და აუცილებლადაც, სოფელმა წინათვე გადაწყვიტოს, სიით აღნუსხოს,—ვის, სად, რამდენი და რა მხრით ჩაეჭრას ცარიელი სასახლე ადგილი (საკარმიდამო ადგილი. ა. ი.) და ვის, სად, რამდენი და რა

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ნაწერ. სრ. კრებ., ტ. VIII, გვ. 217.

მხრით ჩაემატოს"[1]. ილიასთვის გარკვეულია დებულება, რომ კაპიტალიზმის პირობებში, რომლის არსებობის ქვაკუთხედი კერძო საკუთრებაა, შეუძლებელია აღნიშნული ღონისძიების გატარება. მიწის კერძო საკუთრების არსებობა გადაულახავი ბარიერია იმისათვის, რომ განხორციელდეს საერთოდ მიწების და კერძოდ საკარმიდამო მიწების თანაბრად განაწილება, განაწილება, თუ გნებავთ, იმგვარადაც კი, როგორც ამას ილია ჭავჭავაძე ფიქრობდა. თუ სახნავ-სათესი და საკარმიდამო მიწები ილიას მიერ წარმოდგენილი გეგმით განაწილდებოდა, უმიწოდ არავინ დარჩებოდა, თითოეულს კომლს ექნებოდა სახნავ-სათესი და საკარმიდამო მიწა, ადგილი არ ექნებოდა სიღატაკეს და სოციალურ დაპირისპირებას სოფლად. ამდენად აღდგებოდა ეროვნული მთლიანობა, რომელიც დიდად შერყეულია, ილიას აზრით, და საბედისწერო მოვლენას წარმოადგენს ქართველი ერისათვის. ამრიგად, ილიას ეროვნული შეხედულებები ეკონომიურ საფუძვლებს ემყარებიან და ერთგვარ გადაწყვეტას ილიას აგრარულ პროგრამაში პოულობენ. ეს ფაქტი კი განსაკუთრებით საყურადღებოა ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული მემკვიდრეობისა და მსოფლმხედველობის სწორად გაგებისათვის. ამასთანავე ჩვენთვის აქ საყურადღებოა ილია ჭავჭავაძის აგრარულ-ეკონომიურ შეხედულებათა თავისებური ჰუმანურობა, რომელიც მთელი თავისი არსებით ასევე თავისებურად ემსახურება გლეხთა ინტერესების დაცვას,—ამ შემთხვევაში უმიწოდ დარჩენილი გლეხობისადმი „საკომლო" საჭირო მიწის ფართობის მინიჭების კეთილშობილ საქმეს.

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ნაწერ. სრ. კრებ., ტ. VIII, გვ. 221.

ილიამ რამდენადმე აღადგინა და ნათელი გახადა ძველი საქართველოს დამახასიათებელი ეკონომიურ-აგრარული ურთიერთობის ზოგიერთი მოვლენა და ფორმა, შეეცადა გაერკვია ამ ურთიერთობის ამსახველი სოციალ-ეკონომიური შინაარსის მთელი რიგი ტერმინები და ამით სიცხადე შეეტანა ძველი საქართველოს სრულიად დავიწყებულ, ანდა ბურუსით მოცული აგრარული ურთიერთობის (ე. ი. სოციალ-ეკონომიური ურთიერთობის) მეცნიერულად შესწავლის საქმეში.

ამასთანავე განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ილია ისე, როგორც არავინ თანამედროვეებისაგან, მისთვის დამახასიათებელი გულისყურით და სიღრმით ჩასწვდა რეფორმის მერმინდელი საქართველოს აგრარული ურთიერთობის ამსახველ ბევრ უაღრესად საყურადღებო დეტალს, რომლებზედაც მაშინ მკვლევართ ყურადღება სათანადოდ არ გაუმახვილებიათ.

რით მიაღწია ილიამ ყოველივე ამას?

ილია წლების მანძილზე მუშაობდა მომრიგებელ მოსამართლედ, სამსახურებრივი მდგომარეობით იგი საფუძვლიანად გაეცნო სოფელს, მის დამახასიათებელ სოციალ-ეკონომიურ და აგრარულ ურთიერთობას, ყველაზე უკეთ შეისწავლა ქართველი ხალხის ადათობრივი სამართალი, აღმოცენებული აგრარული და წოდებრივი ურთიერთობის ნიადაგზე, დიდის მონდომებით გამოარკვია მიწათმფლობელობის უამრავი ფორმა და, სხვათა შორის, სრულებით არაა შემთხვევითი ის ფაქტი, რომ მან პირველმა აღმოაჩინა და დაასაბუთა თემური მიწათმფლობელობის არსებობის ფაქტი საქართველოში.

ილიას ძველი საქართველოს აგრარული ურთიერთობის შესწავლა აწმყოს თვალსაზრისით აინტერესებდა. ამდე-

ნად ილიას დაკვირვებანი ძველი საქართველოს აგრარული ურთიერთობის შესწავლის დარგთან უშუალოდაა დაკავშირებული და უპასუხებს საქართველოს აწმყოს; იგი მიზნად ისახავს გლეხობის მაშინდელი მძიმე მდგომარეობისაგან გამოხსნას, უმიწო გლეხის მიწის მესაკუთრედ გადაქცევას.

4. ილია მიწის მესაკუთრე გლეხობის გამრავლების შესახებ

(დროებით ვალდებულთა თავდახსნისა და სანადელო მიწების საკუთრებად გადაქცევის გამო)

„ჩვენ კომუნისტებს, გვისაყვედურებენ, — თქვენ გსურთ მოსპოთ პირადად შეძენილი, თავისი შრომით მოპოვებული საკუთრება? საკუთრება რომელიც ყოველი პირადი თავისუფლების, მოქმედებისა და თავისთავადობის საფუძველს შეადგენსო.

შრომით მოპოვებული, პირადად შეძენილი, პირადად მონაგარი საკუთრება. ხომ არ ლაპარაკობთ თქვენ წვრილბურჟუაზიულ, წვრილგლეხურ საკუთრებაზე, რომელიც წინ უძღოდა ბურჟუაზიულ საკუთრებას. ჩვენ არ გვჭირდება მისი მოსპობა, მრეწველობის განვითარებამ მოსპო იგი და სპობს მას ყოველდღე“ [1].

„ყბადაღებული ბრძოლა მებატონეთა და ლიბერალთა შორის, რომელსაც ესოდენ აზვიადებენ და ალამაზებენ ჩვენი ლიბერალური და ლიბერალურ-ნაროდნიკული ისტორიკოსები, წარმოად-

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, კომუნისტური პარტიის მანიფესტი, გვ.65.

გენდა ბრძოლას გაბატონებულ კლასების შიგნით, მეტწილად თვით მემამულეებში წარმოებულ ბრძოლას, ეს იყო ბრძოლა მ ხ ო ლ ო დ და მ ხ ო ლ ო დ დ ა თ მ ო ბ ი ს სიდიდისა და ფორმის გულისთვის“ [1].

ბატონყმური დამოკიდებულებისაგან უმიწოდ განთავისუფლებული „გლეხები იძულებული იყვნენ უაღრესად მძიმე პირობებში იჯარით აეღოთ მემამულეთა მიწა. გარდა ფულადი საიჯარო ქირისა, მემამულე ხშირად აიძულებდა გლეხებს მუქთად დაემუშავებინათ გლეხური იარაღითა და ცხენებით მამულების მიწის განსაზღვრული რაოდენობა“ [2].

მემამულეები ამგვარ დამოკიდებულებას იმით ანხორციელებდნენ, რომ მემამულური რეფორმით უმიწოდ დატოვებული გლეხი ეკონომიურად ყმურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა.

ილია ჭავჭავაძე ყველა საშუალებით ცდილობს და მოითხოვს გლეხობის გამოხსნას ამგვარი დამოკიდებულებისაგან. იმისათვის, რომ გლეხობას მიეღწია მემამულეთაგან ფაქტობრივი დამოუკიდებლობისათვის, ილიას აზრით, საჭირო იყო გლეხობას შეეძინა მიწები და თვითონ გამხდარიყო საჭირო მამულის მესაკუთრედ. ეს უკანასკნელი, ილიას რწმენით, მარტო გლეხობის ინტერესებით როდი იყო ნაკარნახევი, არამედ აქეთკენ უნდა მიისწრაფოდეს თვით თავადაზნაურობაც კი, რომელიც დროებით ვალდებულ მდგომარეობაში მყოფ გლეხობას მძიმე ტვირთად აწვა.

ასე ფიქრობდა ილია 90-იან წლებში, როცა რეფორმის შემდგომი პერიოდის აგრარული წინააღმდეგობები

---

[1] ვ. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. XV, გვ. 141.
[2] ვ. ლ ე ნ ი ნ ი, „1905 წელი“, გვ. 64—65.

უალრესად გამწვავებული ხასიათის გახდა და ყოველმხრივ გამოვლინდა. ილია წერდა:

„საქართველოს თავად-აზნაურობა წელში მხოლოდ მაშინ გამაგრდება, როდესაც მარტო თავის მამულს გაიხდის უმთავრეს წყაროდ თავისი ეკონომიური კეთილდღეობისას, ზნეობრივი და გონებრივი განვითარებისაო“ [1].

ამ დროს თავადაზნაურული რეფორმის შედეგები ნათლად ჩანდა. გარკვევით გამომჟღავნდა თავადაზნაურობის უსუსურობა, უღონობა. მათ ვერ ისარგებლეს რეფორმის მათთვის დიდად ხელსაყრელი შედეგებით და ცარიზმის უსაზღვრო დახმარებით. ცარიზმმა რეფორმის შედეგად, გარდა იმისა, რომ უმიწოდ დატოვებული ნაყმევი გლეხები დროებით ვალდებულ მდგომარეობაში დაუტოვა მემამულეებს, ამასთანავე გლეხები ფულით გამოისყიდა იმათგან.

მაგალითად, მეფის მთავრობისაგან მემამულეებს მიეცა ფულადი საზღაური განთავისუფლებულ ყმა მამაკაცზე 25 მანეთის, ხოლო მცირემიწიან მემამულეს კი 50 მანეთის რაოდენობით. კერძოდ, ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობამ ამის შედეგად მიიღო 5.227.000 მან., თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობამ მიიღო 2.000.000, ე. ი. სულ საქართველოს თავადაზნაურობამ ყმების გამოსასყიდად მიიღო 7.227.000 მან. ეს თანხა, რასაკვირველია, ისევე გლეხობას უნდა გადაეხადა მეფის მთავრობისათვის [2].

---

[1] „ივერია“ № 80, 1892 წ.

[2] ფ. გოგიჩაიშვილი, „Сборник сведений о частном землевладении в Тифлисской и Кутаисской губернии“.

თუ რუსეთში ყმობიდან განთავისუფლებულმა გლეხებმა მიწის გარკვეული ფართობი მაინც მიიღეს, საქართველოში არაფერ ამის მსგავსს არ ჰქონია ადგილი, ისე რომ მემამულეებმა მიწებიც შეინარჩუნეს და ფულიც ბლომად მიიღეს. სწორედ ამის შედეგი იყო ის, რომ ქართველი თავადაზნაურობის იდეური ბელადი დ. ყიფიანი კმაყოფილებით განმარტავდა რეფორმის ასეთ შედეგებს და წერდა: „ის წყალობა, რომელიც ჩვენ გამოგვეცხადა და რომელიც განსაკუთრებით ჩვენ მოგვანიჭა იმპერატორმა, თავიდან გვაშორებს ყოველივე ნივთიერ ზიანს, რაც ამ რეფორმის გამო იყო მოსალოდნელი“; მართლაცდა სინამდვილეში „იმპერიაში არსად არ ჩატარებულა განმათავისუფლებელი საგლეხო რეფორმა ისეთი შეღავათით მემამულეთათვის და ისე გულსატკენად გლეხებისათვის, როგორც კავკასიაში“ [1].

დ. ყიფიანი ამას საქართველოში საგლეხო რეფორმის თავადაზნაურობისათვის ხელსაყრელ პირობებში გატარების შედეგებთან დაკავშირებით აღნიშნავდა; მაგრამ ცხოვრებამ დაადასტურა, რომ მათ ვერ ისარგებლეს ამ პრივილეგიებით და დ. ყიფიანის წინასწარგანჭვრეტის წინააღმდეგ თავადაზნაურობა სულ მალე რეფორმის შემდეგ ქონებრივი დაქვეითების გზას დააღგა.

ამ აშკარა მემამულურ რეფორმას თუ ასეთი შედეგები მოჰქონდა მემამულეებისათვის, იგი (რეფორმა) იმთავითვე აშკარად უპირისპირდებოდა გლეხობას,—აუარესებდა მის უამისოდაც უსუსურ, ეკონომიურ მდგომარეობას.

---

[1] „Материалы по вопросу о распространении действий крестьянского позем. Банка в Закавказском Крае“. С. Петербург, 1904 г., стр. 4., изд. Крест. Позем. Банка.

ნ. ნიკოლაძე 1865 წ. ქ. „კოლოკოლში“ დაბეჭდილ წერილში „გლეხთა განთავისუფლება საქართველოში“ პირველი ამხელს საგლეხო რეფორმის სიყალბეს და აშკარად წერს: „ახალი „კანონმდებლობანი“, რომლებიც მაღალფარდოვანი სიტყვებით გვაუწყებენ, რომ „გლეხთა ყმობა... საბოლოოდ ისპობაო“, მიზნად ისახავენ მხოლოდ ახლანდელი „statu quo“-ს (ე. ი. ბატონყმობის. ა. ი.) განმტკიცებას და ყველა მისი მთავარი საფუძვლის საუკუნოდ დაკანონებას და განმტკიცებას...“ [1]. ნიკოლაძე, ახასიათებს რა ზუსტი ციფრობრივი მონაცემებით ამ დებულებას გლეხობის ფაქტობრივი ყმური მდგომარეობის უფრო გაუარესების შესახებ, დასძენს: „სტამბის მელანმა აიტანა და არ გაწითლდა, როცა დღის სინათლეზე გამოჰქონდა მძარცველობისა და ყაჩაღობის, სიყალბისა და დანაშაულობის დაკანონება“ [2].

ეს მგზნებარე სიტყვები პროტესტია გლეხობის დასაცავად და რეფორმის აშკარა მემამულურ-ბურჟუაზიული ბუნების წინააღმდეგ მიმართული,—ცარიზმი კი ამ რეფორმით მიზნად ისახავდა მემამულეები შეეგუებინა კაპიტალიზმის განვითარებისათვის, ხოლო ბატონყმურ-ოვითმპყრობელური იმპერია ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ელფერით შეელამაზებინა.

ყველა ფაქტი სიზუსტით ადასტურებს ლ ე ნ ი ნ ი ს თეზისს იმის შესახებ, რომ: „დიდი რეფორმა“ მებატონური რეფორმა იყო და არც შეიძლებოდა სხვანაირი ყოფილიყო, ვინაიდან მას ანხორციელებდნენ მებატონეები. რა ძალამ აიძულა ისინი ხელი მოეკიდათ რეფორ-

[1] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 177.
[2] იქვე, გვ. 180.

მისთვის? ეკონომიური განვითარების ძალამ, რომელიც კაპიტალიზმის გზაზე აყენებდა რუსეთს“ [1].

ბატონყმობის გადავარდნის მიზეზები იყო ის, რომ „ყმათა იძულებითი შრომა იძლეოდა შრომის დაბალ ნაყოფიერებას. სოფლის მეურნეობაში ეკონომიური განვითარების მთელი მსვლელობა ბიძგს იძლეოდა ბატონყმობის მოსპობისათვის“ [2].

ვ. ლენინის განსაზღვრით, ეს „რეფორმა იყო მებატონეთა მიერ გატარებული ბურჟუაზიული რეფორმა“. იგი რუსეთის ბურჟუაზიულ მონარქიად გადაქცევას ისახავდა მიზნად.

საქართველოში კი რეფორმა მით უფრო ნაკლებად იყო ბურჟუაზიული, რაც უფრო მეტად გადადიოდა მიწები გლეხების სარგებლობიდან მემამულეთა ხელში, რაც უფრო უმნიშვნელო ზომით ხდებოდა საგლეხო მიწების გამოყოფა საბატონოსაგან, რაც უფრო მეტი იყო გამოსასყიდელი თანხა, რაც უფრო მეტად რჩებოდა გლეხი მებატონის დამოკიდებულებაში და ნაკლებად შეეძლო დამოუკიდებელ მეურნედ გახდომა. რეფორმის შედეგად გლეხების ექსპროპრიაცია, ე. ი. უმიწოდ დარჩენა, ჩვენს პირობებში უფრო ნიშნავდა არა კაპიტალისტური სარეწაველებისათვის თავისუფალი მუშათა კლასის შექმნას, არამედ იმავე

[1] ვ. ლენინი, თხზულებანი, ტ XV, გვ. 147.
[2] საკ. კ. პ. (ბ) ისტორია, მოკლე კურსი, გვ. 5.

მებატონეთა მიწების კაბალურ, ე. ი. ფაქტიურად უფრო ყმურ მეიჯარეთა წარმოშობას... „დროებით ვალდებული“ გლეხი შეიქნა კაბალური მეიჯარე[1] (კურსივი ჩვენია. ა. ი.).

ილია ჭავჭავაძე და მისი დასი ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ ენერგიულად ცდილობდნენ დროებით ვალდებული გლეხობის მიწის კერძო საკუთრებად გადაქცევას მემამულეებისაგან მიწების გამოსყიდვის გზით. ილიას აზრით, დროებით ვალდებული გლეხი სავსებით უნდა განთავისუფლებულიყო მემამულის დამოკიდებულებისაგან. ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიქცეოდა, ვინაიდან ილიასა და მის თანამოაზრეთა აზრით გლეხი არის „ჩვენი მარჩენალი“[2].

ილია ჭავჭავაძე ქართველი ერის აწმყოს იმედად და მისი უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის მედროშედ—საქართველოს ეროვნული განთავისუფლების მთავარ მამოძრავებელ ძალად—გლეხკაცობას მიიჩნევს, „ამ უმრავლესობას ქართველობისას, ამ სულსა და გულს ჩვენი ეროვნული იმედებისას“[3]. ამიტომაა, რომ ილია დაჟინებით მოითხოვდა გლეხობის ქონებრივ და გონებრივ გაღონიერებას, დაწინაურებას და გაძლიერებას; ამ უკანასკნელ ღონისძიებათა განხორციელებისათვის კი ილიას, პირველ რიგში, საჭიროდ მიაჩნდა დროებით ვალდებულებისაგან გლეხობის განთავისუფლება და მიწის კერძო მესაკუთრეებად მათი გადაქცევა.

---

[1] პ. გუგუშვილი, „ბატონყმობის გაუქმება საქართველოში“, „ბოლშევიკი“, 1939 წ., № 9—10, გვ. 96.

[2] გაზ. „ივერია“, 1877 წ., №№ 1, 3, 33, 36.

[3] ი. ჭავჭავაძე, ნაწერ. სრ. კრებ., ტ. VIII, გვ. 14.

ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ საქართველოში მიწის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციები არაჩვეულებრივი სისწრაფით ძლიერდება; თავადაზნაურობას ხელიდან ეცლება მამაპაპისეული მიწა-წყალი, უკანასკნელი ხელში უვარდება კაპიტალისტურ ელემენტებს სოფლად, ბოგანო გლეხობის ეკონომიური დამონების გზით. ილია იმ აზრის იყო, რომ გლეხობას უნდა შეეყიდა მიწა გარკვეული რაოდენობით, რამდენიც კი საჭიროა კომლისათვის. მართლაც, ბატონყმური დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებული დროებით ვალდებული გლეხობის გარკვეული ფენა ოჯახით „მშიერ რენტაზე" (ლენინი) ცხოვრობს და მიწის გამოსყიდვაზე, — თავდახსნაზე კი მუდამ ოცნებობს.

საქართველოში გლეხები, ცნობილია, მასიურად თავს იხსნიდნენ მებატონეებისაგან. „რაში მდგომარეობდა ეს თავის დახსნა? იმის სანაზღაუროდ, რომ ბატონი გლეხს განსაზღვრულ თანხას, ან მიწის ნაკვეთს არ-თმევდა, იგი გლეხის ხელში დარჩენილ ნაკვეთს მის თავისუფალ, დაუბეგრავ საკუთრებად აღიარებდა; და ეს ხდებოდა იქ, სადაც მებატონემ ადგილმამული წინათ იმავე გლეხს მოჰპარა"[1]. ბუნებრივია, ფ. ენგელსს ამ შემთხვევაში მხედველობაში აქვს სათემო მიწები, რომელიც გლეხთაგან მიიმძლავრა და უსამართლოდ დაისაკუთრა მებატონეებმა. რეფორმის შემდეგ გლეხობა დიდი მონდომებით ცდილობს თავდახსნას.

ილია ეხება რეფორმის მერმინდელი ჩვენი გლეხობის მიწის შესასყიდად ამ დაუცხრომელ სწრაფვას და წერს:—„თავს დააგირავებს, ცოლ-შვილს დაატყვე-

[1] ფ. ენგელსი, „გლეხთა ომი გერმანიაში", გვ. 179.

ვებს ხოლმე, ვალში, ვახშში ჩავარდება და მამულის სყიდვის შემთხვევას კი არ დაჰკარგავს". ილია სამ ძირითად დამახასიათებელ მაგალითზე მიუთითებს, საიდანაც რელიეფურად დასტურდება გლეხობის სწრაფვა მიწების შესასყიდლად. ილიას აზრით ესენია:

1. „ჩვენი გლეხი რაკი მამულის სასყიდლად გაიწევს, მას არა ფასი არ აშინებს, უკან არ დაახევინებს და ამის გამო რასაც გლეხი იმეტებს მამულის სასყიდლად, იმდენს თავის დღეში სხვა კაცი ვერ გაიმეტებს"...

2. „აუარებელი ნასყიდობის ქაღალდები წარმოადგინა ჩვენმა ნაყმევ გლეხობამა საგლეხო სასამართლოში დასამტკიცებლად იმ მამულების თაობაზედ, რომელნიც ჯერ კიდევ ბატონყმობის გადავარდნის უწინ ეყიდნათ: ესე იგი მაშინ, როცა გლეხების საკუთარი და ამ გვარად შეძენილი მამულიც ბატონის ნებაზედ იყო მინებებული და ბატონის საკუთრებად ითვლებოდა, ჩვეულებით თუ არა, კანონით მაინცა, და როცა კანონი გლეხებს საკუთრების სიმტკიცისათვის მფარველობას არც ჰპირდებოდა და არც უწევდა. რა ძლიერი მიდრეკილება უნდა ჰქონოდა, რომ ამ გვარის წყობილების წინაშე გლეხი მამულის სყიდვაში მაინც უკან არ იხევდა და მაინც მამულს ყიდულობდა". დასასრულ ილია ეხება ქუთაისის (მე-3) მაგალითს და წერს: „მარტო ქუთაისის გუბერნიაში, საცა გლეხობა ყველას უფრო ლარიბად მიგვაჩნია, ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ რვა ათას სამოცდა ხუთმეტმა (8.075) ნაყმევთა კომლმა შეისყიდა თავისი ნაჭერი ადგილ-მამულები ნაბატონართაგან და 1.104.870 მანეთი თავისის საკუთარის ჯიბიდან მისცა, ასე რომ მთავრობის შემწეობაც არ ითხოვა" [1].

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწერ. სრ. კრებ., ტ. VIII, გვ. 26—27.

ქუთაისის გუბერნიაში გლეხთა თავდახსნა მართლაც გაცხოველებული აქტივობით მიმდინარეობდა. მაგალითად, რეფორმის გატარებიდან—1865 წლიდან, ვიდრე 1900 წ. 1 იანვრამდე, თავი დაიხსნა 32.641 კომლმა გლეხმა და პირად საკუთრებად შეიძინა 367.513 ქცევა მიწა, რაშიაც მთავრობის დაუხმარებლად მემამულეებს გადაუხადა 6.959.660 მან. ამის მიუხედავად, მარტო ქუთაისის გუბერნიაში, სადაც ასე დიდი იყო გლეხობის აქტივობა მებატონეთაგან თავდახსნისა და მიწების საკუთრად შესყიდვისა, ამიერიდან, ე. ი. 1900 წლის 1 იანვრიდან, დროებით ვალდებული თავდაუხსნელი ისევ რჩებოდა 22.815 კომლი[1].

მიუხედავად ამგვარი მდგომარეობისა, გლეხობის მცირემიწიანობა იმერეთში უფრო იგრძნობოდა, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში. მაგ., გასული საუკუნის 80-იან წლებში „თბილისის გუბერნიაში გლეხობის ხელში იყო მთელი მიწების 26,9%, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში კი მხოლოდ 13,3%. ეს ფაქტი თავისთავად მეტყველებს იმაზე, თუ რატომ იყო აგრარული ბრძოლა უფრო ხშირი და უფრო მწვავე დასავლეთ საქართველოში, ვიდრე საქართველოსა და ამიერკავკასიის სხვა რომელიმე კუთხეში“[2].

დროებით ვალდებული გლეხობის თავდახსნა, გლეხების მიერ მიწების შესყიდვა გაპირობებული იყო გლეხობის უსახსრობითა და მიწის ფასის კატასტროფული შეუნელებელი ზრდით. მართლაც, ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ მიწის ფასის ზრდა საერთოდ დამახა-

---

[1] ქუთაისის გუბერნატორის 1899 წლის ანგარიში.

[2] პ. გუგუშვილი, „ბატონყმობის გაუქმება საქართველოში“, ჟურნალი „ბოლშევიკი“, 1939 წ., № 9—10, გვ. 96.

სიათებელია; კერძოდ, მიწისა სიძვირე განსაკუთრებით საგრძნობი იყო დას. საქართველოში. მაგალითად, ოზურგეთის მაზრაში 1 დესეტინა მიწა საშუალოდ ფასობდა: 1870-იანი წლების დასაწყისში 21 მანეთი; 80-იან წლებში—86 მანეთი; 90-იან წლებში—196 მანეთი; 1900 წ.—320, ხოლო 1910 წელს 335 მანეთი, ე. ი. დაახლოებით 40 წლის განმავლობაში მიწა აქ გაძვირდა 16-ჯერ, ანუ 1600 პროცენტით. კიდევ უფრო ძვირი იყო მიწა შორაპნის მაზრაში, სადაც ერთი დესეტინა ფასობდა 1890 წ. 287 მანეთი, 1900 წ. 362 მანეთი, 1910 წ.—440 მანეთი[1]. მიწის შეძენით დიდად დაინტერესებული გლეხობა მიწების ესოდენი გაძვირების გამო უკიდურესად დაძაბულ პირობებში ვარდება, ვინაიდან მას დამხმარე არავინა ჰყავს. მიწის შესყიდვით გატაცებული გლეხობა ხშირად არჩევდა მევახშის ხელში ჩავარდნას, ვიდრე სახელმწიფო სესხის აღებას, უკანასკნელის მისაღებად გართულებული ფორმალური პირობების გამო.

ილიას თითქოს აკვირვებს ის ფაქტი, „რომ მთავრობის შემწეობით სყიდვას გლეხი უფრო ერიდება, თუმცა... მთავრობა ბევრათ იაფად აძლევს გლეხს სესხსა". ილია იძიებს და მისი აზრით „ამისი მიზეზი ის არის, რომ სესხის გადასახდელად ურთიერთის თავდებობაა კანონად დადგენილი", ამასთანავე გლეხი მრავალი მაგალითით დარწმუნებულა, რომ „მოთანამდე პირთა გულმოდგინებისა გამო, ხაზინის გადასახადი ერთი აბაზი ხშირად მანეთად დასჯდომია"[2]. ამიტომაა, რომ გლეხი გაურბის ხაზინასთან საქმის დაჭერას. განსაკუთ-

[1] იქვე, გვ. 97.
[2] ი. ჭავჭავაძე, ნაწერ. სრ. კრებ., ტ. VIII, გვ. 30—31.

რებით ეს ითქმის იმერეთის გლეხობაზე, რომელმაც მილიონზე მეტი თანხა გაიღო მიწების შესასყიდლად ისე, რომ მთავრობას „ერთი გროშიც არ ესესხა". განსხვავებული იყო მდგომარეობა ამ მხრივ თბილისის გუბერნიაში. აქ „1220 კომლმა გამოისყიდა მამულები და ამისათვის მთავრობისაგან 314.985 მანეთი ისესხა", ილიას ცნობით [1].

ილია თავის მხრივ გამოსავალს ამ მდგომარეობიდან იმაში ხედავს, რომ მთავრობამ ნაყმევთა მამულების დახსნისათვის დააარსოს საადგილმამულო ბანკი იმავე წესითა და პირობით, როგორც ეს ყოველ საადგილმამულო ბანკშია მიღებული. ასეთია ილიასებური გადაწყვეტა ამ საკითხისა.

კაპიტალისტური ურთიერთობის პირობებში, რასაკვირველია, მიწა ყიდვა-გაყიდვის საგანია ისევე, როგორც შრომის ყოველი პროდუქტი, რომელიც კი ბაზარზე გააქვთ. მიუხედავად იმისა, რომ მიწა არაა შრომის პროდუქტი, მიწას ფასი გააჩნია, მსგავსად სხვა პროდუქტისა, და მიწის ფასი კაპიტალიზაციაქმნილ რენტას ეთანაბრება. თავისთავად „ფულადი ღირებულება, რომელსაც მიწის მესაკუთრეს უხდის მიწის შემსყიდველი, წყალში გადაყრილი თანხაა კაცობრიობის კულტურის განვითარების თვალსაზრისით, რადგან იგი არაა დაკავშირებული სამიწათმოქმედო წარმოების არც მარტივ და არც გაფართოებულ რეპროდუქციასთან. ამ თანხით არამცთუ არ ინერგება ტექნიკური, მეცნიერულ-აგრონომიული ღონისძიებანი მიწათმოქმედებაში, არამედ იგი მიწის მესაკუთრის, ამ მუქთახორების, უშ-

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწერ. სრ. კრებ., ტ. VIII, გვ. 30.

რომო შემოსავალია და სწორედ მათ მიერვე იფლანგება ინდივიდუალურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად"[1].

1912 წლის 20 დეკემბერს მეფის მთავრობამ კანონი გამოსცა დროებითი ვალდებულების გაუქმების შესახებ. ეს კანონი უცვლელი განმეორება იყო 1883 წელს რუსეთში უკვე განხორციელებული დებულებისა დროებით ვალდებულ გლეხთა სავალდებულო თავდახსნის შესახებ. ეს კანონი არსებითად თითქმის მხოლოდ ფაქტის დადასტურება უფრო იყო, რადგან 1912 წლისათვის საქართველოში გლეხებს მემამულეებისაგან თითქმის უკვე გამოსყიდული ჰქონდათ ნადელები და ამისათვის გლეხებს გაღებული ჰქონდათ 10-ჯერ მეტი თანხა მემამულეების სასარგებლოდ, ვიდრე სინამდვილეში ღირდა ეს სანადელო მიწები. მთავრობა ამ კანონს კი თვლიდა უაღრესად დიდ წყალობად გლეხობისათვის. ეს ფიქტიური ღონისძიება ცრიზმს მიაჩნდა სოფლად გლეხთა რევოლუციური ბრძოლის შენელების სერიოზულ საშუალებად.

მიუხედავად ამ ხმაურისა, ცნობილია, რომ ეს კანონი მაინც ქაღალდზე დარჩა. არ განხორციელდა; კიდეც რომ განხორციელებულიყო ეს კანონი, იგი კვლავ გამორიცხავდა გლეხთა უფლებას ესარგებლათ საძოვრებითა და ტყით, ამდენად გლეხობა კვლავ დამოკიდებული იქნებოდა მემამულეებისაგან და აგრარულ ნიადაგზე გამძაფრებული წინააღმდეგობანიც ასევე მოუგვარებელი რჩებოდა.

---

[1] კ. მარქსი, „კაპიტალი", ტ. III, ქართული გამოცემა.

„დროებით ვალდებულ“ გლეხთა ინსტიტუტი საქართველოში ფაქტობრივ 1917 წლამდე არსებობდა. 1912 და 1913 წ.წ. გამოცემული კანონი „დროებით ვალდებულ“ გლეხთა წოდების ლიკვიდაციის შესახებ ფიქტიური ხასიათისა იყო, მაშინ როდესაც რუსეთის შიდა გუბერნიებში „დროებით ვალდებულ“ გლეხთა ინსტიტუტი 1883 წ. მოისპო, ხოლო ნადელის გამოსასყიდი გადასახადი კი 1906 წლიდან.

საქართველოში „დროებით ვალდებულებისაგან“ თავდახსნისას გლეხები გამოსასყიდელ ოპერაციებს სახელმწიფოს დახმარების გარეშე აწარმოებდნენ“ [1].

მიუხედავად იმისა, რომ გლეხობა უსახსრობის გამო ვერ ახერხებდა მიწების მემამულეებისაგან გამოსყიდვას, თავდახსნას და დროებით ვალდებულებისაგან განთავისუფლებას, მაინც მემამულეები მიწებს ჰყიდდნენ და მიწის გაძვირება შეუნელებელი პროცესით ხდებოდა. მიწა თავადაზნაურობას ხელიდან ეცლებოდა.

ამის შესახებ ნ. ნიკოლაძე ჯერ კიდევ 1871 წელს წერდა: „მისდა საუბედუროდ, თავადაზნაურობას დედის რძითვე შეუსვამს შრომის ზიზღი და უცოდინარობა, ეს ერთი. მეორე მისი უძლურობა ის არის, რომ უწინდელ მის ბატონობას მისთვის ხელგაშლილი ცხოვრება დაუსწავლებია, ამნაირი ცხოვრების საშუალება კი ცოტა დაუტოვებია... ამიტომ... ადრე თუ გვიან ამ თავადაზნაურობის ადგილ-მამული მათი ჩვეულების დასაკმაყოფილებლად გაიყიდება და სხვის ხელში გადავა. მაგრამ ვის ხელში... ცხადია, რომ ყიდვის შეძლება მარ-

[1] И. Джавахишвили, Политическое и социальное движение в Грузии в XIX в., 1906, стр. 36., СПБ.

ტო სხვილ-სხვილ ნაბატონარებს და ვაჭრებს ექნებათ,— და თითქმის მთელი მიწა-წყალი რამოდენიმე ხნის შემდეგ იმათ ხელში გადავა“ [1].

განწირული თავადაზნაურობის მამულები ჩარჩ-ვაჭრებისა და სოფლის შეძლებულთა ხელში გადადიოდა.

თავადაზნაურობას მამულები ხელიდან ეცლებოდა. მიწა-წყალს ჰყიდდნენ იმიტომ, რომ ღალა-კულუხი ვერ აკმაყოფილებდა მემამულის მოთხოვნას ფულზე. ამოძრავდა მამაპაპეული მიწები. ეს პროცესი იგრძნობოდა ჯერ კიდევ ბატონყმობის გადავარდნამდე, ხოლო ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ იგი აშკარა და მასობრივი ხასიათის გახდა. თავადაზნაურობა ცარიზმის დახმარებით ცდილობს როგორმე გაუმკლავდეს დროის სიძნელეებს. ამის შედეგი იყო ის, რომ ჯერ კიდევ მეფისნაცვალ მიხ. ვორონცოვის დროის საქართველოში დაარსდა ე. წ. საზოგადოებრივი მზრუნველობის „პრიკაზი“, სადაც მემამულეს შეეძლო დაეგირავებინა თავისი ადგილმამული და გლეხობა.

კერძოდ, რეფორმის პერიოდისათვის „პრიკაზში“ დაგირავებული ყმების (30.714 სული) და მამულის ღირებულება 5.047.126 მანეთს უდრიდა. ხოლო „პრიკაზიდანვე“ თავადაზნაურობას ვალად ედვა 1.810.840 მან. [2] ამრიგად „პრიკაზი“ იქცა დიდ დაწესებულებად. მისი როლი უფრო გაიზარდა რეფორმის შემდეგ (მაგ., 1865 წ. გასესხებული თანხები უდრიდა 5.367.378 მანეთს, ხოლო 1878 წ. — 2.933.665 მან. ვადით, ხოლო უვადო სესხად „პრიკაზს“ გაცემული ჰქონდა

[1] „სასოფლო გაზეთი“, 1871 წ., № 1, ნ. ნიკოლაძის წერილი „ამხანაგობის ძალა“.

[2] С. Авалиани, Крестьянский вопрос., I, стр. 418.

2.933.665 მან.).[1] 1875 წ. უკვე სათავადაზნაურო ბანკიც არსდება თბილისში, ხოლო ერთი წლის შემდეგ ქუთაისში.

ვერც ბანკმა იხსნა ისინი, მიწები შეუნელებლად გადადიოდა ჩარჩ-ვაჭრების ხელში. „რა მიზნით ყიდულობენ ეს ვაჟბატონები მიწებს?“, კითხულობს ნ. ნიკოლაძე. „ისინი მიწას იყიდიან იმ განზრახვით, რომ შემდგომში იჯარით, ღალით გასცენ ეს მიწა, მიაქირაონ პირებს, რომელთაც უმიწოთ გაძლება არ შეუძლიან, ე. ი. გლეხობას, და სამაგიეროდ შემოსავლის წილი მიიღონ. ეს „წილი“ მით უმეტესია, რაც უფრო ნაკლები საკუთარი მიწა აქვსთ გლეხ-კაცებს და რაც უფრო მეტი მიწა-წყალი შეგროვილია ერთი პირის ხელში... მაშასადამე, ეხლანდელი მიწის ქირა უფრო და უფრო იმატებს იმავე წესით, როგორც უფრო და უფრო შემცირდება წვრილი მიწის პატრონობა.—და აქედან ცხადია, ამასთანავე გაძნელდება მიწის შემმუშავებელის, ე. ი. გლეხკაცობის მდგომარეობა“ [2].

აქედან გარკვევით ჩანს, რომ ნ. ნიკოლაძე ნაწილობრივ ჩასწვდა 70-იან წლებში საქართველოს უკვე რეალურად არსებულ აგრარულ ურთიერთობას. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ნიკოლაძემ თითქო ნათლად წარმოიდგინა სინამდვილე, თუ რატომ არ შეუძლია ბატონყმობიდან განთავისუფლებულ ღატაკ გლეხს მისთვის საჭირო მიწის შეძენა, რომ ამ გლეხების მდგომარეობა დღითიდღე

---

[1] იხ. „Кавказский Календарь“, 1880 г.

[2] წერილები: „რა გზით შეიძინება მიწა-წყალი?“, „ამხანაგობის ძალა“. „სასოფლო გაზეთი“, № 1, 1871 წ.

უარესდება, ისპობა მათი წვრილი მეურნეობა, მრავლდება მსხვილი კაპიტალისტური მეურნეობები და ეს გალატაკებული გლეხობა ამ მეურნეობების დაქირავებულ დღიურ მუშად ან მოჯამაგირედ ხდება.

მაგრამ ნიკოლაძისათვის შეუმჩნეველი დარჩა ის ფაქტი, რომ ქონებრივი უთანასწორობა თვით გლეხურ მოსახლეობაში იზრდებოდა, ხდებოდა თვით გლეხური მოსახლეობის მძაფრი დიფერენციაცია და ნასყიდობების და იჯარის საფუძველზე ხდებოდა უკვე კაპიტალად ქცეული მიწის კონცენტრაცია სოფლის შეძლებულთა—კულაკური ფენების—ხელში. ამ პროცესს თან ახლდა განუყრელად მასთან დაკავშირებული კლასობრივი დაჯგუფებანი—სოფლის შეძლებულებად და ღარიბ-ღატაკებად დაყოფა; უკანასკნელნი ან ქალაქად მიდიოდნენ სამუშაოზე, ანდა მოჯამაგირეთა რიგებს ავსებდნენ სოფლადვე. როგორც ი. სტალინი გვასწავლის, „ბატონყმური მეურნეობის ნაშთები, ვეებერთელა ხარკები და მემამულეებისათვის გამოსასყიდი ფასის გადახდა, რაც ხშირად გლეხური მეურნეობის შემოსავლიანობას აღემატებოდა, იწვევდნენ გლეხთა მასების გაჩანაგებას, გაღატაკებას, აიძულებდნენ გლეხებს წასულიყვნენ სოფლებიდან საშოვარის საძებნელად“[1].

გასული საუკუნის 80-იანი წლების საქართველოში მთლიანად 12.568 მემამულურ-თავადაზნაურული მფლობელობა იყო. აქედან თბილისის გუბერნიაში3 .330, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში 9.238 მფლობელი. რასაკვირველია, ამათში უმეტესობა წვრილი მფლობელი იყო; იმათი რიცხვი 11.864 აღწევდა, ხოლო დანარჩენები

[1] საკ. კ. პ. (ბ) ისტორია, მოკლე კურსი, გვ. 6.

მსხვილ მფლობელებად ითვლებოდა. უკანასკნელთაგან ზოგი მსხვილი ლატიფუნდია იყო, რომელიც 6.000 დესეტინამდე მიწას და ამის ზევითაც ფლობდა. ამასთანავე მევახშეობა სოფლად სპობს წვრილ გლეხურ წარმოებას. ხდება დიფერენციაციის სწრაფი პროცესი. უმრავლესობა აქ დასახელებული მსხვილი და წვრილი მემამულეებისა გაღატაკების გზით მიდიოდა, დღეს თუ ხკალ იმათ მფლობელობას ბოლო უნდა მოღებოდა და ახალი დროის ადამიანები—კაპიტალისტური ელემენტები—დაპატრონებოდნენ. მაგრამ იმათში ამასთანავე ერევნენ ისეთებიც, რომლებიც ახერხებდნენ და თავიანთ მამულებში ახალი, სხვადასხვა დარგის, ფერმერულ-კაპიტალისტური ხასიათის წამოწყებებს უყრიდნენ საფუძველს და აძლიერებდნენ. ამით ისინი აღწევდნენ თავს დაღუპვას და განვითარების ახალ გზას—ბურჟუაზიულ გზას—უგუებდნენ თავიანთ მეურნეობას. მაგრამ ასეთები საქართველოში შედარებით ცოტა იყო.

გაზეთი „დროება“ და მისი მწერლები ისევე, როგორც „კრებული“, აგრარული ურთიერთობის საკითხში გამოხატავდნენ რადიკალურ-წვრილბურჟუაზიულ ზრახვებს.

„ჩვენი აზრით, ამჟამად არაფერზე არ უნდა გვქონდეს ჩვენ ისე მიქცეული ყურადღება, როგორც ამ გლეხების ნადელის საქმეზე. ჩვენი ქვეყნის მომავალი კეთილდღეობა იმაზეა დამოკიდებული—ექნება ჩვენი ხალხის მომეტებულ ნაწილს მიწა-წყალი, სახლ-კარი, ერთი სიტყვით, თვისი საკუთრება თუ არა. თუ ამ მომეტებულ ნაწილს სამყოფო ადგილ-მამული ექნება, მაშინ ჩვენში დამკვიდრდება კეთილდღეობა, თუ არა—ხეირი არ დაგვეყრება“ [1].

[1] გაზ. „დროება“, 1870 წ., № 24, მეთაური.

ეს ჯგუფი, იბრძოდა რა ფეოდალურ-ბატონყმური ნაშთების წინააღმდეგ, მიზნად ისახავდა გლეხობის მემამულეებისაგან საბეგრო დროებითი ვალდებულებისა და ხიზნური დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებით მათ სავაჭრო-ბურჟუაზიულ ურთიერთობაში ჩაბმას. აღმავლობის გზაზე დამდგარი ბურჟუაზია ამით მიზნად ისახავდა გლეხური მოსახლეობის გადაქცევას ექსპლოტაციის საგნად, ისე რომ ზედმეტი შრომა, რომელსაც მემამულე - თავადაზნაურობა გლეხობისაგან ითვისებდა ბეგარის, იჯარის, ღალისა და კულუხის სახით, ამიერიდან ბურჟუაზიის სასარგებლოდ და გასაძლიერებლად მიდინებულიყო.

ამგვარ მიმდინარეობას საქართველოში გაზ. „დროების“ მესვეურები—ს. მესხი, გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე და მისი დასი—თაოსნობდნენ. ასეთია ისტორიული ვითარება სოფლად საქართველოში, რაც შედეგად მოჰყვა რეფორმას და განუყრელად იყო დაკავშირებული გლეხობის იმ მისწრაფებასთან, რომ მათ როგორმე შეეძინათ მიწები და გამხდარიყვნენ მიწის მესაკუთრენი. მაგრამ მიწის წვრილ გლეხურ მესაკუთრეობას სოფლად დაუნდობლად ანადგურებდა მევახშეობა და კაპიტალისტური ურთიერთობის სწრაფი განვითარება. ამდენად ი. ჭავჭავაძის კეთილი ზრახვები,—გლეხი მიწის მესაკუთრე გამხდარიყო,—რასაკვირველია, განუხორციელებელ ოცნებად რჩებოდა. გლეხობა კვლავ უმიწოდ რჩებოდა, სოფლად გამწვავებული აგრარული დამოკიდებულება გლეხობის მასიური მღელვარებისა და სისტემატიურ მძაფრ აჯანყებაში ვლინდებოდა, უმიწოდ დარჩენილი გლეხობა მიწას მოითხოვდა.

გლეხების ეს სამართლიანი მოთხოვნა ყველაზე უფრო ნათლად 1905 წ. რევოლუციის პერიოდში გამოვლინდა.

1906 წ. ი. სტალინი თავის სტატიაში „აგრარული საკითხი“ წერდა: „თუ პროლეტართა მოძრაობა და მათი სოციალისტური პროგრამა კლასობრივი ბრძოლის ცეცხლს დაანთებს, რომ ამით სამუდამოდ მოისპოს ყოველივე კლასობრიობა, თავის მხრით გლეხთა მოძრაობა და მისი აგრარულ-დემოკრატიული პროგრამა წოდებათა ბრძოლის ცეცხლს დაანთებს სოფლად,-რომ ამით ძირფესვიანად მოსპოს ყოველივე წოდებრიობა“ [1].

ი. სტალინი ამავე წერილში რევოლუციურ მოძრაობის მაშინდელი ეტაპის შესაბამისად მოითხოვდა მიწების გადაცემას გლეხობისათვის, რადგან „მიწების გლეხობისათვის გადაცემა და შემდეგ მათი დაყოფა ძირს უთხრის ბატონყმურ ნაშთებს“ [2].

5. ილია ჭავჭავაძის შეხედულებანი ხიზნობაზე

ილია ჭავჭავაძე ხიზნობის საკითხს არაერთგზის შეეხო ამის მიზეზი იქნებ ისიც იყოს, რომ 80-იან წლებიდან ხიზნობის საკითხი აქტუალური გახდა. ხიზნების საკითხმა მიიპყრო როგორც მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების, ასევე ადგილობრივი მთავრობის

---

[1] ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 214, ხაზგასმა ი. სტალინისა.

[2] იქვე, გვ. 213.

ყურადღება. ილია ჭავჭავაძე განსაკუთრებული გულისყურით და ცხოველმყოფელი აქტიურობით ეხმაურება ამ საკითხს.

ილია ჭავჭავაძე პირველად 1880 წელს გაზ. „დროებაში“ შეეხო ხიზნების საკითხს[1]. მაგრამ მან ამჯერად ხიზნების საკითხის ამომწურავად შესწავლა ვერ მოასწრო. 1884 წელს ილიას მოხსენების სახით შეუდგენია საკუთარი მოსაზრებანი ხიზნების საკითხზე და წარუდგენია განსახილავად თბილისის გუბერნიის საგლეხო საკრებულოში[2]. ხოლო 1885 წელს ილიას ხელახლავ ახალი ვარიანტით შეუდგენია ხიზანთა დებულების საგანგებო პროექტი (24 პარაგრაფისაგან შემდგარი) და წარუდგენია განსახილავად მთავარმართებლის საბჭოში[3]. უკანასკნელად ილია ვრცლად და სპეციალურად შეეხო ხიზნების საკითხს 1886 წელს ნარკვევში „ხიზნების საქმე“, სადაც შეაჯამა თავისი წინანდელი შეხედულებანი და დასკვნებიც გააკეთა[4].

ამრიგად დასტურდება, თუ რაოდენ დიდ ყურადღებას აქცევდა ილია ხიზნების საკითხს. შევეხოთ აქ ამ საკითხს და გზადაგზა ილიას შეხედულებებთან ერთად, თვით საკითხის არსებით ზოგიერთ მხარესაც.

---

[1] გაზ. „დროება“ 1880 წ. №№ 60, 65, 87, 89 მეთაური წერილები და ი. ჭავჭავაძის ნაწერ. სრ. კრებ., ტ. VIII, გვ. 129—148.

[2] „საისტორიო მოამბე“, წ. 3, 1947, გვ. 202—203 საქ. № 40.

[3] იქვე, გვ. 221—228, საბ. № 50.

[4] გაზ. „ივერია, 1886 წ., №№ 105, 168, 169, 170, 173, 174, 175, 176, 178, 179, 180, 188, 189, 190, 191, 196, 197 და 198 (მეთაურები). იგივე იხ. ი. ჭავჭავაძის ნაწერ. სრ. კრებ., ტ. VIII. გვ. 151—204

ა. ილია ხიზნობის წარმოშობის ისტორიული პირობების შესახებ

ილია ჭავჭავაძის შეხედულებით ყოველი ეკონომიურ-ისტორიული მოვლენის კვლევისას, მართალია, „ყველაზე უწინარეს კაცმა გონება უნდა მიაქციოს ადგილობრივს ვითარებას, რადგანაც ყოველს საგანს ამ შემთხვევაში თავის ადგილზედვე აქვს თავის სათავე, თავისი ძირი და თავისი გზა მსვლელობისა და განვითარებისა“ [1]. მაგრამ, დიდ შეცდომას ჩაიდენს ის მკვლევარი, ვინც მხოლოდ მარტოკა „ადგილობრივ ვითარებით“ დაკმაყოფილდება და არ ეცდება ანალოგიური ვითარების გამოძიებასა და გამოკვლევას სხვა ქვეყნებშიაც. ილიას აზრით, თუ მკვლევარს მეცნიერული ჭეშმარიტება აინტერესებს, მან თავისი დასკვნები მარტოკა ადგილობრივი ვითარებიდან არასოდეს არ უნდა გამოიყვანოს; რადგან, ილიას შეხედულებით, არსებობს ძალიან ბევრი მოვლენა, რომელიც „თუმცა არსებობს, მაგრამ მსვლელობის კვალი კი წაშლილი აქვს ჟამთა მდინარეობისაგან და ამის გამო მისი ვერც თავი გაიგება, ვერც ბოლო, თუ მარტო ადგილობრივს ვითარებას შეაჩერდა კაცი. ამ შემთხვევაში აუცილებლად საჭიროა იგივე საგანი გამოიძიოს სხვა ქვეყნებშიაც, სხვა ქვეყნების ისტორიაც მოიშველოს“ [2].

ილიას ღრმა რწმენით: „რაც უნდა ერთმანეთზედ დაშორებულნი ქვეყნები აიღოთ და სულ სხვადასხვა თვი-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ნაწერ. სრ. კრებ., ტ. VIII, გვ. 133.
[2] იქვე, გვ. 133.

სებანი... ნახავთ, რომ ეკონომიური მსვლელობა და განვითარება ყველგან ერთგვარი და ერთნაირი ყოფილა“ [1]. ილია ამასთანავე იმოწმებს ფრანგი მეცნიერის ტოკვილის შეხედულებას და დასძენს, რომ „ფილოლოგიამ და მითოლოგიამ ამ ბოლო დროს ბევრი საკვირველი ჰეშმარიტება აღმოაჩინა მით, რომ სხვადასხვა ხალხთა ისტორიები შეადარა და ამ შედარებით გამოიკვლია ბევრი საგანი, რომელთაც ჟამთა სიბნელეში არც თავი უჩანდათ, არც ბოლო“ [2].

რაკი საზოგადოების ეკონომიური მსვლელობა და განვითარების კანონზომიერება „ერთნაირი ყოფილა“ ხალხთა ისტორიაში, ამიტომ იურიდიული ნორმები და „კანონები დადგენილ არიან ქვეყნიერობაზედ იმიტომ კი არა, რომ ეს ნებავდა ადამიანსა, არამედ—წერს ილია—იმიტომ, რომ მაგას ითხოვდა ეკონომიური საჭიროება ერთის მხრით და მეორეს მხრით სიმართლე... ეგ საჭიროება, ეგ გრძნობა და იდეები ყველგან ერთგვარნი და მსგავსნი იყვნენ. ერთგვარად მოქმედებდნენ კაცთა განვითარებაზედ და ერთგვარი წყობილებაც შემოიტანეს ყველგანაც. ხოლო განსხვავება იმაში იყო, რომ ზოგი ხალხი სწრაფად ვიდოდა განვითარების გზაზედ, ზოგი მძიმე ნაბიჯითა“ [3].

ამრიგად ილია მსოფლიო ისტორიული განვითარების ზოგად კანონზომიერებას ეძებს; ამ კანონზომიერების მთავარ რეგულატორად „ეკონომიურ მსვლელობას და განვ-

---

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწერ. სრ. კრებ., ტVIII, გვ. 134.
[2] იქვე.
[3] იქვე.

ვითარებას“ მიიჩნევს; იდეოლოგიურ ზედნაშენებს, იურიდიულ ნორმებს და კანონებს კი მის ანარეკლად თვლის.

ილიას დაკვირვებით: „უეჭველია, რომ თუ რომელსამე წყობას ერთს ადგილს ჟამთა ვითარების გამო კვალი წაჰშლია, შეიძლება იგი კვალი აღვადგინოთ საკმაო სისრულით სხვის ისტორიის შედარებით და შესწავლით“ [1].

ილია ჭავჭავაძეს მსოფლიო ეკონომიურ-ისტორიული საერთო კანონზომიერებათაგან პარალელების მოტანა, მათი განზოგადოება-გააზრება ესაჭიროება, ერთის მხრით, საქართველოს ისტორიის და ეკონომიური ისტორიის, კერძოდ, ხიზნობის საკითხებთან დაკავშირებით, ხოლო, მეორე მხრივ, რეფორმის ბერმინდელ საქართველოში ხიზნებსა და მებატონეებს შორის სოციალ-ეკონომიური გამწვავებული ურთიერთობის მშვიდობიანად გადაწყვეტისათვის. „თუ შევსძელით,—წერს ილია,—სწორედ ამ გზით ვაპირებთ ახსნას იმ წყობისას, რომელსაც ჩვენში ხიზნობას ეძახიან და რომელიც ერთგვარი მიწის მფლობელობაა და სხვა არა რა“.

ილია ჭავჭავაძე ხიზნობას მიიჩნევს ისტორიულ და აწმყოს თვალსაზრისით არა მარტო ქართულ ეროვნულ მოვლენად, არამედ ხიზნობა „მიწათმფლობელობის“ იმგვარ ინსტიტუტს წარმოადგენს, რომელსაც საყოველთაო მსოფლიო ისტორიული და ეკონომიური გამართლება მოეპოვება, რადგან, ილიას აზრით, თანამედროვე მოწინავე ევროპულ ქვეყნებში არსებობს ხიზნობის მსგავსი წესი „მიწის ხმარებისა“. ილია ჭავჭავაძე თავისი

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ნაწერ. სრ. კრებ., VIII, გვ. 134.

ამ მოსაზრებების დასამტკიცებლად დიდი გულმოდგინებით სწავლობს ხიზნობის მსგავს დამოკიდებულებას ევროპის უმრავლეს ქვეყნებში და იმ დასკვნამდე მიდის, რომ „იგი გვარი სხვისა მიწის ხმარებისა, რომელსაც ჩვენ ხიზნობას ვეძახით, არის გერმანიაში და ჰქვიან ერბრახტი, ჰოლანდიაში ჰქვიან ბეკლემრეხტი, საფრანგეთში სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა სახელი ჰქვიან, მაგალითებრ: ბრეტანში—ქვევეს, სხვაგან—დომენ კონჟეაბლ, იტალიაში—ლიველლო; პორტუგალიაში—აფორამენტო, ინგლისში—ოლსტერის ჩვეულება, რუსეთში—ჩინში“[1]. ილიას აზრით ამათგან „სრული, დამთავრებული სახე ხიზნობისა პორტუგალიის აფორამენტოა და უფრო ჰოლანდიის ბეკლემრეხტი“, ხოლო რაც შეეხება სხვებს და „მათ შორის ჩვენებურ ხიზნობას, იმავე მიზეზით წარმომდგარი, იმავე ბუნებით აგებული, იმავე გზაზე მიმდინარი, ერთმანეთში იმით სხვადასხვაობენ, რომ თავის განვითარების გზაზედ ზოგს ნელის ბიჯით უვლია და ბოლომდე ჯერ ვერ მიუღწევია, ზოგი თითქო შუა გზაზედ შემდგარა, ზოგს სხვადასხვა ისტორიული გარემოება გადაჭლობებია. ერთის სიტყვით, ამ სხვადასხვა სახელებიან ხიზნობათა შორის იგივე განსხვავებაა, რაც მოზარდსა და დავაჟკაცებულ ადამიანთა შორის: მოზარდი აგებულებით, ტანით, ხელით, ფეხით იგივე ადამიანია, ხოლო განსხვავება იმაშია, რომ ერთი დამთავრებულია და სრული, მეორე ჯერ კიდევ გაზრდის გზაზეა. სწორედ ამ გაზრდის გზაზე მოასწრო

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ნაწერების კრებული, ტ. VIII, გვ. 165.

დღევანდელმა დღემ ჩვენს ხიზნობასა, თუ ჰოლანდიის ბეკლემრეხტთან შევადარებთ“ [1]. ამრიგად, აშკარად ჩანს, რომ ილია, თუ ხიზნობის მსგავს მოვლენებს ხედავს ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში და ჩამოთვლის მათ სათითაოდაც კი, მსგავსების გვერდით ამჩნევს სხვაობას, სპეციფიკურობას, რომელიც მართლაცდა არ შეიძლება არ ახასიათებდეს ხიზნობას ცალკეული ქვეყნების თავისებურებათა მიხედვით. ილია არც ამაზე ჩერდება და ამ მოვლენას (ხიზნობას) განიხილავს ისტორიულ განვითარებაში. საგულისხმიეროა პარალელი „მოზარდსა და დავაჟკაცებულ ადამიანთ შორის“. ილია დასძენს, რომ ხიზნობა მარტო ჩვენი ქვეყნის შვილი არ არის, იგი თითქმის ყველგან მოიპოვება [2].

ილიას მოჰყავს სხვადასხვა მკვლევართა მოსაზრება ხიზნობის შესახებ და წერს: „გლადსტონი, ჯონ გრეი, ტორალდ ოლჯერსი და სხვანი მეცნიერნი და სახელმწიფო კაცნი ცოტაოდენის სხვადასხვაობით ამასვე ამბობენ ხიზნობის მაგვარის მფლობელობის შესახებ და არამცთუ ჰფიქრობენ ამის ამოკვეთას იქ, საცა არის, არამედ იქაც კი ჰრჩეობენ შეიტანონ, საცა არ არის“ [3].

ილია ჭავჭავაძე თავის მხრივ იცავს ხიზნობას, იგი ცდილობს გაამართლოს ხიზნობა საქართველოში, როგორც გარკვეული პირობების შედეგად წარმოქმნილი მიწათმფლობელობის თავისებურად „ნორმალური ფორმა“.

---

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწერ. სრ. კრებ., ტ. VIII, გვ. 165—166.
[2] იქვე, გვ. 197.
[3] იქვე.

თავისი ამ მოსაზრების დასაბუთებისას ილია, იყენებს რა ლაველეს, წერს: „ემილ დე-ლაველლე თავის თხზულებაში, რომელსაც ჰქვიან „მიწათმფლობელობის წესი ირლანდიაში", პირდაპირ ირწმუნება, რომ საცა „კი ჩვენებურის ხიზნობის მაგვარი მფლობელობა არის თურმე, ყველგან მიწის მუშაკი, მიწის-მოქმედი წარმატების უკეთესს ხარისხზედ სდგასო" [1]. მაგრამ, იგულისხმება, რომ არც მიწის მესაკუთრეა „დაჩაგრული" ხიზნების და „ხიზნობის მაგვარ მფლობელობის პირობებში". სხვა რომ არა იყოს რა, იგი მიმთვისებელია „მიწის მუშაკის",—გლეხის (ამ შემთხვევაში ხიზანის) შრომის პროდუქტების და როგორც მიწის მესაკუთრე,—„იგი მკის იქ, სადაც მას არ უთესია" (მარქსი).

ილია ჭავჭავაძის დაკვირვებით ხიზნობა არ არის ახალი მოვლენა ქართველი ერის სოციალ-ეკონომიურ ცხოვრებაში. „ხიზნობა, როგორც ერთგვარი მფლობელობა მიწისა, დღევანდელი საქმე არ არის. ამას თავისი ისტორია აქვს, თავისი წარსული დრო, რომლის განმავლობაში უსაქმია, უმოქმედნია მთელის ერის ეკონომიურ ყოფა-ცხოვრებას, ავკარგიანობას, სამართლიანობას, ჩვეულებას და ეგრეთ-წოდებულს ჩვეულების რჯულსა" [2].

ილია გულდასმით ირკვევს ხიზნობის ჩასახვა-წარმოშობის საერთო ისტორიულ პირობებს; იგი კითხულობს: „რა ხანიდამ ჩამოვარდა იგი წესი სხვისა მიწის ხმარებისა, რომელსაც სხვადასხვა ადგილებში (სხვადასხვა

---

[1] ი ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ნაწერების კრებული, ტ. VIII, გვ. 191.

[2] იქვე, გვ. 130 (ჩვეულების „რჯულში" ილია გულისხმობს ადათობრივ სამართალს. ა. ი.).

ქვეყნებში. ა. ი.) სხვადასხვა სახელი ჰქვიან და ჩვენში კი ხიზნობა“ [1].

ხიზნობა, ილიას აზრით, და „ხიზნობის მსგავსის წესით ხმარება, ანუ მფლობელობა სხვის მიწისა, რომის რჯულიერებიდამ გადმოვიდა. გაცემა მამულებისა ამ სახით იხსენიება სიგელებში მე-6 საუკუნიდამ დაწყებული მე-13 საუკუნემდე“ [2].

ილია აქვე რამდენადმე განსხვავებულ მოსაზრებას გამოსთქვამს ხიზნების წარმოშობის საკითხზე, როცა დასძენს: „ხიზნობის დასაბამი საშუალო საუკუნოებია, როცა მონასტერმა და სხვილმა მებატონეებმა დიდძალი მიწა-წყალი ასე თუ ისე ხელში მოიგდეს. რადგანაც მაშინ მიწას დიდი ფასი არა ჰქონდა, ბერები ადვილად უთმობდნენ მონასტრის მიწებს მიწადმოქმედებსა სახმარად. აძლევდნენ დასაბინავებელს ადგილს, სახნავ-სათესს, ტყეს და საძოვარს იმ პირობით კი, რომ მონასტრებისათვის მორიგებული სამსახური გაეწიათ და ღალა ეძლიათ“ [3].

ილიას შეხედულებით მონასტრების მსგავსად მოქმედებდნენ მსხვილი მიწათმფლობელებიც, იგი წერს: „სხვილთა მემამულეთაც ამავე სახით დაასახლეს თავისი უკაცო მამულები და მონასტრის პირობანივე დაუდვეს მიწათმომქმედთა“ [4]. ასეთი იყო ვითარება დასაწყისში, ხოლო შემდეგში ისტორიული განვითარება ერ-

---

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწერ. სრ. კრებ., ტ. VIII, გვ, 166.
[2] იქვე, გვ. 168.
[3] იქვე, გვ. 166.
[4] იქვე, გვ. 166—167.

თხელვე დამკვიდრებულ ამ წესს უფრო განამტკიცებს. ილია წერს: „ესე გაცემა მიწებისა ჩვეულებად გადაიქცა და მონასტრები და მსხვილი მემამულენი ამ ჩვეულების ძალით რჩებოდნენ რასმე თავის უქმად და უკაცოდ დარჩენილს მამულებსა“ [1]. მას შემდეგ, რაც სათემო მიწები „დიდკაცობამ ღონითა და მძლავრობით დაიჩემა... და უღონო გლეხნი ცარიელზედ გაიყვანა“, მუშა ხელი დარჩა უმიწოდ და მიწა უმუშახელოდ [2]. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ წინათ მოსახლეობა რიცხვობრივად შედარებით მცირე იყო და ამიტომაც სახნავ-სათესი მიწა უხვად იშოვებოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა მიწაზე კერძო საკუთრების ხარბმა და დაუცხრომელმა სწრაფვამ მიმძლავრებით „უღონო გლეხი ცარიელზედ გაიყვანა“. მიწის მსხვილი მესაკუთრენი მიწების საბოლოოდ დასაკუთრების შემდეგ მზად იყვნენ მიწები ღალით გაეცათ უმიწო გლეხობაზე, მაგრამ „რადგანაც მამულის ამღები კაცი ძნელად საშოვარია და მემამულისათვის არ იყო სახეირო უქმად გდება მიწებისა, თქმა არ უნდა, ეს გარეშოება ცილობას შეჰქმნიდა. ცილობა რაში უნდა გამოთქმულიყო? იმაში, რომ ერთს (მემამულეს. ა. ი.) მეორეზედ უფრო მეტი შეღავათი უნდა მოეცა მიწათ-მომქმედისათვის, უკეთესი პირობა აღეთქვა, რომ მიწათ-მომქმედნი თავისაკენ მოეზიდნა“ [3]. მაშასადამე, თავი იჩინა „კონკურენციამ“ მიწათმფლობელებს შორის, რომ როგორმე „მიწის-მომქ-

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. VIII, გვ. 167.
[2] იქვე, გვ. 140.
[3] იქვე, გვ. 167.

მედნი თავისაკენ მოეზიდნათ", წინააღმდეგ შემთხვევაში მიწა სრულიად დაუმუშავებელი რჩებოდა და ამიტომ მემამულე ვერავითარ ღალას ვერ მიიღებდა იმ მიზეზისა გამო, რომ „მიწის-მომქმედნი" რაოდენობრივად მცირე იყვნენ შეფარდებით დასამუშავებელ მიწის ფართობებთან, რომლებსაც მემამულეები ჰფლობდნენ.

ეს გარემოება აიძულებდა მემამულეებს „უფრო მეტ შეღავათიან ღალაზე დასთანხმებოდა" მიწის მოქმედს, ვიდრე სხვა მემამულე; ხოლო ის მემამულე, რომელიც ყველაზე უფრო შეღავათიან მცირე ღალას დააკანონებდა თავის სამფლობელოში, მუშახელი, მიწის მოქმედნი სწორედ „მისკენ მოეზიდებოდა. ამის გამო ვხედავთ, რომ სხვისა მიწის ხმარება, ჯერ დროებითად დადგენილი, თანდათან უფრო გახანიერდა და XVI საუკუნის არეულ-დარეულს დროს სამკვიდროდ და საშვილიშვილოდ გადაიქცა. ამ გზაზედ ერთხელ შემდგარმა იარა, იარა ჩვეულების საფარველ ქვეშ, შეღავათი და უფრო და უფრო მიწათმომქმედისათვის სახეირო პირობანი უმატა და ბოლოს ხომ თავისი სრული დამთავრებული სახე მიიღო" ახლანდელ ხიზნობაში—„აი დასაწყისი და ბოლო ხიზნობისა" [1]. ასეთია ილია ჭავჭავაძის შეხედულებანი ხიზნობის წარმოშობა-გავრცელების ისტორიის საკითხზე. ილია ენერგიულად იცავს თავის შეხედულებას ხიზნობის საკითხებზე და აკრიტიკებს მოწინააღმდეგე ბანაკს. სხვათა შორის, ილია წერს: „რომ იძახიან, ჭირმა და შიმშილმა ჩამოაგდო საქართველოში ხიზნობაო, ეგ მტკნარი ტყუილია. გარდა ისტორიულ მოწმობისა,

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ნაწერ. სრ. კრებ., ტ. VIII, გვ. 167,

რომელიც ჩვენ წინათ მოვიხსენიეთ, ერთი თვალსაჩინო და უცილობელი საბუთიც სხვა გვაქვს ჩვენის აზრის დასამტკიცებლად“ [1]. თუ ილიას აქნობამდე ეკონომიურ-ისტორიული მოსაზრებანი მოჰყავდა თავისი აზრის დასასაბუთებლად, ახლა იგი ოფიციალურ სტატისტიკას იშველიებს და წერს: „მთავრობისაგან ჩვენში შეკრებილ ცნობებიდან სჩანს, [1] რომ დღეს ჩვენში ხიზნად ითვლება სულ 6.153 კომლი; ამათ შორის ირიცხება 1.468 კომლი იმისთანა ხიზანი, რომელიც 1861 წლიდან არის დღევანდელ ადგილას ხიზნად დაბინავებული. სად იყო 1861 წლიდამ დღევანდლამდე ან ჭირი, ან შიმშილი? თუ არ იყო, მაშ რამ გააჩინა 1.468 კომლი ხიზანი. ესე იგი, თითქმის მთელი მეოთხედი რიცხვი მთელის ხიზნობისა? აშკარაა,—უპასუხებს ილია,—ჭირი და შიმშილი კი არ არის ხიზნობის სათავე, არამედ ის მუდმივი მიზეზი, რომელიც ჩვენ მოვიყვანეთ [2].

ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ განსაკუთრებული სისწრაფით იზრდებოდა ხიზნობა. ამას ადასტურებს თვით ილიას მიერვე მოყვანილი ოფიციალური სტატისტიკური მასალებიც-კი, თუ რა სოციალ-ეკონომიურმა პირობებმა გამოიწვია ხიზნების რიცხვის ესოდენი სწრაფი ზრდა. ყველაფრიდან ჩანს, რომ ილიასათვის ამ სოციალური პროცესის მიზეზები გაუგებარი დარჩა.

ხიზნობის ინსტიტუტის წარმოშობის ნამდვილი მიზეზები ისტორიულად უშუალოდ დაკავშირებული იყო აგრარულ ნიადაგზე სოფლად ვამწვავებულ სოციალურ ბრძოლასთან და კლასობრივ წინააღმდეგობასთან.

---

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწერ. სრ. კრებ., ტ. VIII, გვ. 173.
[2] იქვე, გვ. 168.

ხიზნობა ისტორიულად უშუალოდაა დაკავშირებული ფეოდალურ და ბატონყმურ ურთიერთობასთან, კაპიტალიზმი ბატონყმურ სხვა ნაშთებთან ერთად ხიზნობასაც სპობს. ხიზნური დამოკიდებულების როგორც წარმოშობის, ასევე ხიზნობის გამრავლებისათვის კერძოდ საქართველოში გარკვეული მნიშვნელობა გააჩნდა უცხო დამპყრობლების ხშირ შემოსევებს და ხანგრძლივ ომებს. ეს ომები უმეტესად წვრილ მეესაკუთრე ან თემის წევრ გლეხურ მეურნეობებს ანადგურებდა და აიძულებდა მათ შეხიზნოდა ოჯახით მემამულეს, რასაკვირველია გარკვეულ ვალდებულებებით. „გულქვა და ავჯამ“ მებატონეთა ველური ჩაგვრის შედეგად განაწამები გლეხიც ყმობიდან გაქცევის შემდეგ, ხიზნად იქცეოდა. ფეოდალურ საქართველოში ტყვეებით ვაჭრობა არსებობდა, ხოლო ტყვეობიდან გამოპარული ან სხვა კუთხიდან გამოქცეული, ხშირად თავისუფალიც, საკუთარ მეურნეობას და ბინადრობას მოკლებული გლეხი ნებით ეხიზნებოდა მემამულეს. საბას განმარტებით ხ ი ზ ა ნ ი არის „სხვაგნით მოსული ან ლტოლვილი დედა-წულით მტერთა ან სენთა დამრიდებელი“ [1]. ამ თვალსაზრისით, ხიზნების გამრავლებაში მცირე როლს როდი ასრულებდა მასიური ეპიდემია და შიმშილ-სიშიშვლემდე გაღატაკება გლეხურ მოსახლეობისა. მაგრამ ძირითადი მიზეზი ამ ინსტიტუტის აღმოცენებისა კლასობრივ ურთიერთობაში იყო.

დამოუკიდებელ ფეოდალურ საქართველოს სამეფოების და სათავადოების არსებობის უკანასკნელ ხანებსა და ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკის უკუღმართობის

[1] საბა ორბელიანის ლექსიკონი.

შედეგად, ხიზნობა გამრავლდა საქართველოში. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ხიზნების რიცხვი რეფორმის შემდეგაც საგრძნობლად გაიზარდა.

ამ უკანასკნელის მიზეზი ყმობიდან ფიქტიურად განთავისუფლებული გლეხების მდგომარეობის შემდგომი გაუარესება იყო. დასტურდება, რომ სოფლად აღმოცენებული ახალი სოციალ-ეკონომიური ვითარების საფუძველზე რეფორმის შემდეგ ხიზნების რიცხობრივი გამრავლების ნამდვილი მიზეზები ილიას გაურკვეველი რჩება. ამიტომაა, რომ ილია გაკვირვებით კითხულობს „სად იყო 1861 წლიდან დღევანდლამდე ან ჭირი, ან შიმშილი. ილ. თუ არ იყო, მაშ რამ გააჩინა 1.468 კომლი ხიზანო". ილია ხიზნობის გამრავლების მხოლოდ „მუდმივ" მიზეზებს ასახელებს, მაგრამ ეს მიზეზები რეფორმის მერმინდელ მდგომარეობას ვერ ასახავენ და ამდენად ნაკლებ არკვევენ ხიზნობის გამრავლების ნამდვილ მიზეზებს.

ნამდვილი მიზეზები ხიზნობის გამრავლებისა რეფორმის მერმინდელი გლეხთა მდგომარეობის საერთო ეკონომიური გაუარესება იყო, რომელიც არა ნაკლები სიმძაფრით მოქმედებდა ხიზანთა რიცხვის გამრავლებაზე, ვიდრე სხვა გარემოება, მაგ., მასიური ეპიდემია და შიმშილი.

ბ. ხიზნობის არსი და მისი თანამედროვე მნიშვნელობა ილიას წარმოდგენით

ეხლა გავეცნოთ, თუ როგორია ხიზნობის თანამედროვე მნიშვნელობა ილია ჭავჭავაძის წარმოდგენით.

ილიას შეხედულებით, თუ ხიზნობა შედეგია ჩვენი ერის ისტორიული ბედუკულმართობისა, განვითარების დღე-

ვანდელ საფუძველზე იგივე ხიზნობა მიზანშეწონილი და ამდენადვე გასაფრთხილებელი მოვლენაა და ინსტიტუტი. რა საფუძვლებზე ამყარებს ილია ამ მოსაზრებას?

ილია წერს: „არ უნდა დავივიწყოთ ორი თვისება, რომელზედაც აგებულია ეკონომიური ბუნება ხიზნობისა. ერთი ისა, რომ ხიზნობა მიმართულია, რათა ხმარება სხვისა მიწისა საშვილიშვილოდ იყოს, და მეორე—ღალა თუ გადასახადი უცვალებლად და წაუმატებელად დარჩეს“[1] (კურსივი ჩვენია. ა. ი.) ილია, იცავს რა ხიზნობას, როგორც აგრარული დამოკიდებულების გარკვეულ სისტემას, როგორც ურთიერთობის ნორმალურ და კანონზომიერ ფორმას მიწის მესაკუთრესა და მიწის უშუალო მწარმოებელს შორის, წერს: „ხიზნობაში სამი ფრიად საყურადღებო დასაგულისხმო საგანია. ერთის მხრით იგი შეეხება კაცს, რომელიც ეძიებს საქმეაუჩინოს თავის უმამულო ხელს სხვის მიწაზედ. იგი კაცი ამასთანავე თავისუფალია, ესე იგი იმისთანაა, რომელიც ყველაზე უწინარეს იმას ეცდებოდა, რომ ფეხებში ბორკილი არ შეიყაროს, თავისდა უნებურად არ დაებას სხვის მამულზედ სამუდამოდ, და შეირჩინოს დამოუკიდებელი ნება თავისუფლად გადასვლის—გადმოსვლისა. მეორეს მხრით ხიზნობა შეეხება პირადს ინტერესს მამულის პატრონისას. ეგ ინტერესი იმაში მდგომარეობს, რომ მამულის პატრონს ნება ჰქონდეს ყოველს ჟამს თავისი მამული ისე მოიხმაროს, როგორადაც ჰსურს. მესამეს მხრით ხიზნობა შეეხება იმისთანა განსაკუთრებულს და განსხვავებულს მრეწველობას, რომელიც, რა-

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწერ. სრ. კრებ., ტ. VIII, გვ. 183.

კი საქმე აქვს მიწასა და მიწადმოქმედებასთან, ითხოვს თავის წარმატებისათვის ხანგრძლივს შეუწყვეტელს მუშაობას, გარჯას, ხარჯსა და მეცადინეობას“ [1].

ილია უკვირდება არსებულ მდგომარეობას სოფლად და ფიქრობს, რომ „სამწუხაროდ ჩვენდა, მიწა და ხელი განცალკევებულია“ [2]—„საკუთრება მიწისა ხელშეუხებელ კუთვნილებადაა“ მიჩნეული, ხოლო „მუშაკის მარჯვენა თავისუფლად არის ადიარებული კანონის მიერ“ [3].

ილიას აზრით საჭირო იყო „შეზავება და ერთად შეყრა მიწისა და ხელის“, რომლებიც „დროთა ვითარების გამო განცალკევებული და ერთმანეთს განშორებულნი“ აღმოჩნდნენ [4].

ილია ღრმადაა დარწმუნებული, რომ სანამ მიწასა და ხელს შორის უშუალო კავშირი არსებობდა, ე. ი. მფლობელობა არ იყო გათიშული საკუთრებისაგან, მანამდე, გარდა იმისა, რომ არ არსებობდა წოდებათა შორის ბრძოლა, ერი მთლიანი და ძლიერი იყო: ერის დაცემა მხოლოდ მას შემდეგ იწყება, რაც, ილიას აზრით, „მიწა და ხელი ერთმანეთს გამორდა“.

ბევრი იფიქრა ხალხმა, ერმა ამ საშინელ მდგომარეობიდან გამოსავალის საპოვნელად,—საშინელება კი, ილიას აზრით, იმაში მდგომარეობდა, რომ „მიწას ხელი არა ჰყვანდა საკეთებლად, და მეორეს მხრით,—ხელს მიწა არა ჰქონდა“ [5], —და ამ წინააღმდეგობამ ავად თუ

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს, ნაწერ. სრ. კრებ., ტ. VIII, გვ. 178.
[2] იქვე, 157.
[3] იქვე, 156.
[4] იქვე, 172.
[5] იქვე.

კარგად თავის გადაწყვეტა ხიზნობაში ჰპოვა. ამიტომ ილია წერს: „იმ-გვარი მფლობელობა მიწისა, რომელსაც ჩვენ ხიზნობას ვეძახით, არის უხელო მიწის და, უმიწო ხელის ერთმანეთთან მორიგება კეთილნებურ, ეკონომიურს ანგარიშზედ აშენებული“ [1].

მართალია ხიზნობა ვერ შეედრება იმ „ბედნიერ დროს“ როცა მიწაზე ყველგან საზოგადო საკუთრება სუფევდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ეს „ბედნიერი დრო“ მოისპო და მიწაზე დამკარდა კერძო საკუთრება, ხიზნობა, ამ უკანასკნელის ბატონობის პერიოდში, მისსავე (მიწაზე კერძო საკუთრების) შინაგანი წინააღმდეგობების და დაპირისპირების ნიადაგზეა აღმოცენებული და წარმოადგენს ამ წინააღმდეგობის ერთგვარ დადებით გადაწყვეტას.

ილია ჭავჭავაძის აზრით, „ყოველთა უწინარეს ხიზნობა იმისთანა აგებულებაა, რომელმაც შეაზავა და ერთად შეჰყარა მიწა და ხელი, დროთა ვითარებისა გამო განცალკევებული და ერთმანეთს მოშორებული“ [2]. მაგრამ ხიზნობა თავისთავად არ მოვლენია ერს, როგორც მზამზარეული ეკონომიურ-ისტორიული კატეგორია. პირიქით, ხიზნობა, როგორც გარკვეული მფლობელობა მიწისა, „შეჰქმნა თითონ ერის ცხოვრებამ, თითონ ერმა გამოჰხარშა თავის ცხოვრების მდუღარებაში და წამლად დაიდვა იმ ტკივილის მოსარჩენად, რაიც სამწუხარო გავლენამ მიწისა და ხელის განცალკევებისამ აუტეხა დროთა მიმავლობაში. სულიერმა ძალღონემ ერისამ მთელი საუკუნოები იმოქმედა ამაზედ, მთელი საუკუნოები

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწერ. სრ. კრებ., ტ. VIII, გვ. 173.
[2] იქვე, გვ. 172.

მოახმარა ამას. ტანი ააყრევინა და გამოიყვანა კუთვნილს გზაზე შემდეგის წარმატებისათვის“ [1] (ხაზი ჩვენია. ა. ი.).

ილიამ კარგად იცის, რომ ერს თავის ისტორიულ ცხოვრებაში ბევრი კარგი შეუქმნია, მაგრამ ზოგჯერ კარგთან ერთად ავიც გამორევია. ამიტომ, ილიას აზრით, საჭიროა ერის ნაღვაწ-ნამოქმედარის მემკვიდრეობის ათვისების მიმართ ვიქონიოთ კრიტიკული დამოკიდებულება. ილია წერს: „განა ცოტაა იმისთანა წესი, რომ ერს შეექმნას და ან ბუნებითად სულ არ ვარგოდეს, ან დრო მოეჭამოს და კარგი ავად გადაქცეოდეს თითონ ერსავე. რასაკვირველია, ყოველივე ეს შესაძლოა და არა ერთი და ორი მაგალითია მაგ აზრის საბუთად“ [2]. მაშასადამე ისტორიულ განვითარებაში ხშირია, როცა კარგი ავად გარდაიქცევა ერის ნამოქმედარში; მაგრამ ილიას შეხედულებით ეგ ყოვლად შეუძლებელია ითქვას ხიზნობაზე, რადგან „ხიზნობის ბუნებაში—წერს ილია—ადამიანის პირადობის შეშხუთავი არა არის რა. პირიქით, ხიზნობა ყოველგვარს შეხუთვას ეურჩება და დიდის გულმოდგინებით ჰპატრონობს ადამიანის პირად უფლებასა“ [3].

ბატონყმობის გადავარდნის შედეგად, მართალია, ყმა გლეხი, იურიდიულ პირად თავისუფლებას მოიპოვებს, მაგრამ ეკონომიურად იგი ისევ მემამულეზე დამოკიდებული რჩება, რადგან გლეხობის განთავისუფლება ბატონყმური უღლისაგან, ცნობილია, უმიწაწყლოდ მოხდა. ილია ჭავჭავაძე ცდილობს იურიდიულ თავისუფლე-

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწერ. სრ. კრებ., ტ. VIII, გვ. 181.
[2] იქვე.
[3] იქვე.

ბას ეკონომური საფუძველი, დასაყრდენი ბაზა უპოვოს და სხვა ღონისძიებათა შორის შეცდომით ამას ხიზნობაშიც ხედავს. მაშინ, როდესაც ცნობილია, რომ ხიზნებს რეფორმა სრულებით არ შეჰხებიათ.

ილიას აზრით მართალია „დღეს თუ ხვალე საჭიროება მოითხოვს, რომ გლეხი მიწის პატრონად შეიქმნას“, მაგრამ დღევანდელი ვითარება იმგვარადაა მოწყობილი, რომ ხიზნობა ერთ-ერთი გონივრული გზაა, რომლითაც გლეხობას შეუძლია მიაღწიოს მიწის თანდათან დაპატრონებას. ასეთია ილია ჭავჭავაძის შეხედულება ხიზნობაზე თანამედროვე მნიშვნელობით.

გ. დავა ხიზნობის საკითხის გადაწყვეტისათვის და ილია ჭავჭავაძე

ხიზანი ბატონყმური ურთიერთობის დროს თითქო იურიდიულად თავისუფალი პირი და მეურნე იყო, მაგრამ რამდენადაც იგი ცხოვრობდა მებატონის მამულში, ამუშავებდა მებატონის მიწას და იხდიდა გადასახადს როგორც ყმა, ამდენად ხიზნების მდგომარეობა თითქმის არაფრით განსხვავდებოდა სხვა კატეგორიის ყმა გლეხების მდგომარეობიდან.

მიუხედავად ამისა რეფორმა ხიზნებს არ შეხებია.

1861 წ. გამოცემული კანონი ხიზნების შესახებ ამბობდა: „ხიზანნი დარჩებიან ხიზნის მდგომარეობაში იმ საფუძველზედ, რომელნიც არიან განწესებულნი თავისუფალთა კაცთათვის“, ე. ი. ხიზნები ფაქტიურად მემამულის განკარგულებაში დარჩნენ. ამიტომ შემთხვევითი არ იყო ცდა ქართველი მებატონეებისა, დ. ყიფიანის თაოსნობით, როცა საბატონო და სხვა კატეგორიების

გლეხებს რეფორმის გატარების შედეგად ხიზნების მდგომარეობაში გადაყვანას უპირებდნენ და მოითხოვდნენ კიდეც.

რეფორმის შემდეგ ხიზანთა მდგომარეობა გაუარესდა, მათი ექსპლოატაცია გაიზარდა. ამასთანავე გაიზარდა და გამრავლდა ხიზნების რიცხვიც ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ: დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე საქართველოში ხიზნების საკითხი რჩებოდა ერთ-ერთ მწვავე და გადაუწყვეტელ საკითხად. მართალია 1905 წ. რევოლუციის ერთ-ერთი მოთხოვნა ხიზნობის მოსპობა, და ხიზნების ხელში ფაქტიურად არსებული მებატონეთა მამულების ხიზნების სრულ განკარგულებაში გადასვლა იყო, მაგრამ ეს მოთხოვნა განუხორციელებელი დარჩა [1].

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ხიზნობის საკითხი არა ერთხელ დასმულა, ბევრი პროექტიც შედგენილა მასზე და მთავრობისა და საზოგადოებრივი მსჯელობის უაღრესად მწვავე საგანიც გამხდარა. ილია ჭავჭავაძე 80-იანი წლებიდან ენერგიულად ჩაება ამ მსჯელობაში და ხიზნების საკითხზე დიდად დაშვრა, სპეციალური ნარკვევი დაწერა და საგანგებო პროექტი წარადგინა მთავრობის სპეციალურ კომისიაში ხიზნების საკითხის თავისებურად გადაწყვეტის მიზნით [2].

როგორც აღვნიშნეთ, რეფორმა ხიზნებს არ შეხებია. ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ მემამულეები აიძულებდნენ ხიზნებს იჯარით აეღოთ მიწები, რათა გაადვი-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ნაწერ. სრ. კრებ., ტ. VIII, გვ. 135.

[2] „საისტორიო მოამბე", წ. 3, 1947 წ., გვ. 221—228, ა. იოვიძის პუბლიკაცია.

ლებოდათ ხიზნების აყრა თავიანთი მიწებიდან და ხიზნების მეურნეობის და სახლკარის მითვისება მუქთად მოეხერხებინათ. ამ ნიადაგზე უკიდურესობამდე გამწვავდა ბრძოლა ხიზნებსა და მემამულეთა შორის. თვითმპყრობელური ადგილობრივი მთავრობა იძულებული გახდა არა ერთგზის ჩარეულიყო ამ დავაში, განსაკუთრებით 1875-იან წლებიდან. კიდეე უფრო გააქტიურდა ეს საკითხი 1880-იან წლებიდან. 1883 წლის თებერვალში ქუთაისის გუბერნატორმა თავადაზნაურთა მონაწილეობით შეისწავლა ხიზნობის საკითხი და სათანადო პროექტი შეიმუშავა. ანალოგიური მუშაობა ჩატარდა თბილისში 1884 წ. მაისსა და ივნისში თბილისის გუბერნატორ გროსმანის ხელმძღვანელობით, მუშაობაში ასევე მონაწილეობდა ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის დიდი ნაწილი, მათ შორის ი. ჭავჭავაძეც. ამის შემდეგ, 1885 წ. მაისში ხიზნების საკითხი განიხილა მთავარმართველობის საბჭომ, სადაც მოხსენებით და სათანადო პროექტით წარსდგა საბჭოს წევრი დ. ს. კუჭაევი, აქვე წარადგინა ილიამ თავისი პროექტი ხიზნის შესახებ [1].

მემამულეს უფლება ეძლეოდა საკუთარ მამულიდან ხიზნების გაძევებისა, მხოლოდ ხიზნის ნაგებობისათვის ორმაგი ხარჯი უნდა აენაზღაურებიათ. თავადაზნაურობა ხიზნების განდევნას და სახაზინო მიწებზე გადაყვანას ითხოვდა. მთავრობამ არ დააკმაყოფილა მემამულეების ეს თხოვნა. ნიუხედავად ამისა, ხიზნების მდგომარეობა დღითი-დღე უარესდებოდა, იზრდებოდა ხიზანთა მღელვარება.

ვ. ლენინი წერს: „В общем и целом современное

[1] იხ. „საისტორიო მოამბე“, წ. 3, 1947 წ.

помещичье хозяйство в России больше держится крепостнически-кобальной, чем капиталистической системой хозяйства. Кто отрицает это, тот не сможет об'яснить теперешнего широкого и глубокого революционного крестьянского движения в России"[1].

თავადაზნაურობამ მოახერხა და 1891 წ. გამოცემული თბილისის და ქუთაისის გუბერნიების ხიზანთა დებულებით გააუქმა ის მუხლი, რომლითაც მემამულეს ორმაგად უნდა აენაზღაურებია ხიზანთა კუთვნილი საკარმიდამო ნაგებობანი ხიზნის განდევნისას[2]. ამიერიდან დაწესდა რა ერთმაგად ანაზღაურება, რის შედეგადაც ხიზნების აყრა და განდევნა მემამულეების ძალდატანებით უფრო და უფრო გაძლიერდა, იზრდება ხიზნების აჯანყებებიც; მიუხედავად ამისა 1905 წლის რევოლუციის შემდეგ დამკვიდრებულმა რეაქციამ ხიზანთა მდგომარეობა კვლავ უცვლელად დასტოვა.

ილია ჭავჭავაძე ხიზნების ინსტიტუტის არსისა და რაობის საყურადღებო განსაზღვრას გვაძლევს 1885 წელს მის მიერ შედგენილ და მთავრობაში განსახილველად წარდგენილ 24 მუხლიან ხიზანთა დებულების პროექტში. ილია წერს: „Хизанами признаются те крестьяне-земледельцы, всех без различия состояний, которые приписаны к сельским обществам, живут на владельческих землях, имеют постоянную оседлость в имении владельцев и по предмету пользования

[1] В. И. Ленин, Соч. т. 10, стр. 154—155.

[2] Е. Г. Вейденбаум, „Хизаны в Грузии", თბილისი, 1913 წ., გვ. 29.

ими усадебною землей и другими угодьями не состоят с владельцами в срочных договорных отношениях, выраженных актом, законным порядком совершенным, или же домашним актом не оспариваемым сторонами"[1].

ილია თავის სპეციალურ ნარკვევში ხიზნების შესახებ გვაძლევს საკუთარი მოსაზრების ჩამოყალიბებულ მოკლე სქემას ხიზნობის ძირითადი ნიშნების დახასიათებით, როგორც შეჯამებულ დასკვნით ნაწილს.

ილიას განმარტებით ხიზნობას 5 ძირითადი ნიშანი ახასიათებს, ესენია: „1. ერთ-გვარი სახე სხვისა მიწის ხმარებისა თავისუფალ კაცისაგან;

2. დაფუძნებული და დამყარებული ჩვეულებაზედ;

3. იმ ბუნებისა და მიმართულებისა, რომ ღალა და სამსახური უცვლელი იყოს და ამასთანავე თითონ ხმარება მიწისა უსათუოდ ვადა დაუდებელი;

4. ხანგრძლივობა ვადისა დამყარებული უნდა იყოს ეკონომიურს ანგარიშზედ და არა რჯულიერების (право) მუდმივობაზედ.

5. მფარველი იმათის ზნეობრივობისა და ქონებრივის ინტერესებისა, რომელნიც ხიზნობით ერთმანეთზედ დამოკიდებულნი არიან და რომელთაც თვითნებობა შეზღუდულია საზღაურითა, თუ ვინიცობაა ერთი მეორის დაუკითხავად და უნებურად მოშლის ხიზნობასა"[2].

ამრიგად ი. ჭავჭავაძემ, გაილაშქრა რეაქციული თავადაზნაურობის იმ უსამართლო მოთხოვნის წინააღმდეგ,

---

[1] „საისტორიო მოამბე", წ. 3, 1947 წ., გვ. 221—222, დებულების 1-ლი პარაგრაფი, ა. იოვიძის პუბლიკაცია.

[2] ი. ჭავჭავაძე, ნაწერ. სრ. კრებ., ტ. VIII, გვ. 180.

რომლითაც ხიზნებს აყრა მოელოდათ მიწებიდან და ამასთანავე პირადი ქონების—სახლკარის და სამეურნეო იარაღების ფაქტიური დაკარგვა.

ილიას ნააზრევი და დასკვნები ხიზნებზე, გარდა იმისა, რომ ემყარება ილიას დროინდელი ეკონომიური აზროვნების გამოჩენილ მოღვაწეთა საყურადღებო გამოკვლევებს, ძირითადად დამყარებულა საქართველოს ხიზანთა საკითხის ფაქტიური მასალების მეტად დეტალურ შესწავლაზე.

ილია ხიზნობის პრობლემის შესწავლისას დაინტერესებული იყო საკითხის არა მხოლოდ თეორიული აქტუალობის თვალსაზრისით. ილიას შრომას ხიზნობის საკითხზე პირველ ყოვლისა პრაქტიკული ინტერესები ასულდგმულებდა, რამდენადაც ამით ილია რეფორმის მერმინდელი იყო გამწვავებული აგრარული ურთიერთობის რამდენადმე მოწესრიგებას ისახავდა მიზნად.

ილიამ დეტალურად შეისწავლა საქართველოს ხიზნების მდგომარეობა თბილისის და ქუთაისის გუბერნიის თითქმის ყველა მაზრაში; ილიას დასკვნები ხიზნობაზე ამდენად თავისი დროის ფაქტიური ისტორიული მდგომარეობის ამსახველიცაა.

ილია, ემყარება რა მთავრობის ოფიციალურ სტატისტიკურ მასალებს [1], გვაუწყებს: „გარდა უმამულო ხიზნებისა, სულ—5.977 კომლი ხიზანია ტფილისის გუბერნიაში, განთავისუფლებულნი ყმები-კი სულ 16.425 კომლი იყო, ასე რომ ამ რიცხვის შედარებით ხიზნები 36% წარმოადგენენ. უმამულონიც რომ მივათვალოთ 6.153 კომლი ხიზანი იქნება. ამ 6.153 კომლიდან, მანამ ბატონ-ყმობა გაუქმდებოდა, სულ—4.685 კომლი ხიზანი იყო და ბატონ-ყმობის გაუქმების შემდეგ 1.468 კომლი

[1] „Записка о хизанском положении", გვ. 33—36.

ახალი ხიზანი მოემატა. ამ ხიზნებ შორის 3.195 კომლი ნაყმეთაგანნი არიან და დანარჩენი 2.958 კომლი თავისუფალნი გლეხნი“ [1]. კერძოდ, 1883 წ. თბილისის გუბერნიაში, ვეიდენბაუმის ცნობით, ითვლებოდა 6.742 კომლი ხიზანი [2].

ბევრად უფრო უარესი მდგომარეობა იყო ამ მხრივ ქუთაისის გუბერნიაში: იმავე ოფიციალურ სტატისტიკაზე დაყრდნობით ირკვევა, რომ 80-იან წლებში ქუთაისის გუბერნიაში სულ 2.532 კომლი ხიზანი იყო, ხოლო ბატონყმობის გაუქმებამდე 1.169 კომლი ხიზანი ითვლებოდა, დანარჩენი კი ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ, რეფორმის შედეგად გაჩენილა [3]. ხიზნების რიცხვის ესოდენ სწრაფად გამრავლება ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ შედეგი იყო გლეხობის უმიწოდ განთავისუფლებისა, რეფორმის მემამულური ხასიათისა და ნაყმევი გლეხობის ნივთიერ მდგომარეობის შემდგომ გაუარესებისა. ამიტომ ხშირი იყო შემთხვევა, როცა ყოფილი საბატონო ყმა, მაშინ დროებით-ვალდებული ნაყმევი, ხიზნურ მდგომარეობაში გადადიოდა [4].

ხიზნების რიცხვი გამრავლდა არა მარტო რეფორმის მიმდევნო პერიოდში, არამედ ეს რიცხვი იზრდებოდა 70-იან, 80-იან წლებიდანაც. ეს ზრდა მთელ რიგ ადგილებში მეტად საგრძნობი იყო. მაგ., თუ 1876 წ. თბილისის გუბერნიაში 5.976 კომლი ხიზანი იყო, ეს რიცხვი 1883 წლისათვის გაიზარდა 6.922 კომლამდე [5].

---

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწერ. სრ. კრებ., ტ. VIII, გვ. 198.

[2] Е. Г. Вейденбаум, „Хизаны в Грузии“, თბილისი, 1913 წ., გვ. 23.

[3] ი. ჭავჭავაძე, ნაწერ. სრ. კრებ., ტ. VIII, გვ. 202—203.

[4] Е. Г. Вейденбаум, „Хизаны в Грузии“, გვ. 23.

[5] თბილისის გუბერნატორის 1890 წლ. ანგარიში და ს. ავალიანი „Крестьянский вопрос“, ტ. II, გვ. 15.

ხიზნები კვლავ უმნიშვნელო და მცირე ფართობის მიწას ფლობდნენ, რომელიც დამძიმებული იყო უამრავი გადასახადით. მაგალითად, თბილისის გუბერნიაში 1 კომლი ხიზანი საშუალოდ 4,5—4,3 დესეტინა მიწას ფლობდა, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში ხიზანი საშუალოდ 1 კომლზე ფლობდა 2,3 დესეტინას, ე. ი. სანახევროდ ნაკლებს[1].

ხიზნების ერთი ნაწილი მემამულეებს მთელ გადასახადს ფულით უხდიდა, ხოლო მეორე ნაწილი კი შერევით, ე. ი. ფულით და ნატურით,—სახელდობრ: საკარმიდამო სამოსახლო ადგილის, საძოვრებისა და ხეტყით სარგებლობისათვის ხიზანი მებატონეს უხდიდა ფულით, ხოლო ვენახისა და სახნავ-სათიბით სარგებლობისათვის კი ნატურით—ღალისა და კულუხის სახით. თბილისის გუბერნიაში გადასახადს მებატონეებს მთლიანად ფულით უხდიდა 1.577 კომლი ხიზანი, ხოლო შერევით—ფულითა და ნატურით—4.400 კომლი.

ილიას გამოანგარიშებით, ხიზნების იმ ჯგუფს,—1.575 კომლის რაოდენობით,—რომლებიც მემამულეებს მხოლოდ ფულად გადასახადს უხდიან, სულ უჭირავთ 260 დღიური საკარმიდამო და სავენახე ადგილი და 17.816 დღიური სახნავ-სათიბი.

„გადასახადი მოსდით სახლ-კარის დღიურ ადგილზედ სამი მანეთი, ტყისა და საძოვრისათვის 4—5 მანეთამდე კომლზედ, და დესეტინა სახნავ-სათიბზედ ორ მანეთ და ხუთ შაურიდამ სამ მანეთ ცხრა შაურამდე. აქ კომლზედ სახნავ-სათიბი მიწა თითქმის $11^1/_2$ დღიური მოდის, და თითქმის ერთი მესამედი დღიურისა—სახლ-კარისა და ვენახების ადგილი“.

[1] Е. Г. Вейденбаум, „Хизаны в Грузии“, Исторический очерк, თბილისი, 1913 წ.

დიდ უმრავლესობას ხიზნებისას, ისევ თბილისის გუბერნიის მაგალითზე, წარმოადგენდა მეორე ჯგუფი, ე. ი. ისეთები, ვინც შერეულ—ფულად და ნატურალურ—გადასახადს უხდიდნენ მემამულეებს. „ამისთანა ხიზნები 4.400 კომლია რომელნიც ტყისა და საძოვრისათვის 4—5 მანეთამდე იხდიან კომლზედ და სახნავ-სათიბ მიწაზედ და ვენახზედ ღალასა და კულუხსა სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა ზომით“ [1].

თბილისის გუბერნიაში ხიზნების რიცხვი, რომლებიც მემამულეებს უხდიდნენ როგორც ფულადს, ასევე შერეულ (ფულადს და ნატურით) გადასახადს, აღწევდა 5.977 კომლს. ისინი ფლობდნენ 1.023 დესეტინა საკარმიდამო და ვენახიან ადგილს და სახნავ-სათიბს 25.097 დესეტინამდე. ბევრად უფრო მძიმე იყო ხიზნების მდგომარეობა ქუთაისის გუბერნიაში მცირე მიწიანობისა და თავადაზნაურულ ექსპლოატატორული ფენების მრავალრიცხოვანობის შედეგად.

ილია ჭავჭავაძეს მის მიერ გამოყენებული სტატისტიკური ოფიციალური ცნობები ხიზნობის მდგომარეობის შესახებ არ მიაჩნია უცოდველ დოგმად. მთავრობის ოფიციალურ სტატისტიკისადმი კრიტიკულად განწყობილი ილია დასძენს: „ცნობები, რომელიც თითონ მთავრობამ შეჰკრიბა, სამწუხაროდ ჩვენდა, არ ვიცით, რა გზით არიან შეკრებულნი ეს ცნობანი... ამიტომაც ძნელია თქმა, რამოდენად მართალია იგი რიცხვი ხიზნებისა, რომელიც აღნიშნულია მთავრობის სცაში“ [2].

ცარიზმის ოფიციალური სტატისტიკის კლასობრივი ხასიათი, მისი არა ობიექტურობა და სიყალბე საყო-

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწერ. სრ. კრებ., ტ. VIII, გვ. 200.
[2] იქვე, გვ. 204.

ველთაოდ ცნობილი ფაქტია. ამიტომ მოტანილი ციფრებიდან შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ შემცირებული იყოს არა მარტო ხიზნების საერთო რაოდენობა, არამედ იმ საბეგარო გადასახადების ოდენობაც, რომელსაც ხიზნები უხდიდნენ შემამულეებს ფულითა და ნატურის სახით მიწით სარგებლობისათვის.

არსებობს მთელი რიგი სხვა ხასიათის დოკუმენტებისა, რომლებიც ნამდვილად გვიდასტურებენ ოფიციალური სტატისტიკის ტენდენციურობას. მაგალითისათვის აქ მოვიყვანთ მხოლოდ ერთს.

ბატონყმობის გაუქმების წინა დღეებში, 1863 წელს, აზნაური ელიზბარ თულაევი აღნიშნავდა: „ხიზანის ჩვეულებას უნდა დავადგეთ, ხიზანი ყოველგან არის და ყოველგან სხვადასხვა ჩვეულებაა. მთის კაცი ისე ემსახურება, როგორც მემკვიდრე მამულისდაგვარად რამდენი უჭირავს და სამსახურიც გადაწყვეტილი აქვთ, ყოველიფერი საჩუქარი, ბეგარა, მუშა, ქერი, ძღვენი, ხის იჯარა, კალოგვა, ჯარში გაყოლა, ბეგარის ცხენი, საქორწილო, საალაპო შეძლებისამებრ, ერთის სიტყვით, ყოველს ბატონყმურს სამსახურს ასრულებს. ამასთან მთის მამული რომ ბეითალმნათ დარჩეს, ვინც მოჰხნავს $^1/_3$ ბატონისა არის; ვინც გასთიბავს, თივაც ისე; ბარის კაცი ხიზანი უმკის, უბარავს, ძნას მოუტანს, გაულეწს, ძღვენს მიართმევს, ღალას აძღევს ზოგან $^1/_3$-ს, ზოგან $^1/_4$-ს და მინდვრის მიწაზედ საზოგადოთ გარდაწყვეტილია $^1/_6$-დი; თუ ვენახს მზას მივცემ ხიზანს, მაშინ ნახევარი ჩემია და ერთი ნახევარი იმისი. ხიზნური ჩვეულება დიდი ხნის დაწესებულია და ვერავინ იტყვის უარსა, თუ უნდა ემსახურება, თუ უნდა სხვაგან წავა. ამ

ხიზნურ ჩვეულებას რომ დავადგეთ ის ემსჯობინება“...[1]

მოტანილი მაგალითი ნათლად მეტყველებს ხიზნების უაღრესად მძიმე მდგომარეობაზე. მათ ფაქტიურ უუფლებობასა და სიღატაკეზე.

ბატონყმობის წინააღმდეგ აქტიურად მებრძოლი თავადაზნაურული პროგრესული მცირე ჯგუფი რეფორმის გატარებისას საქართველოში გლეხობის ინტერესებს თავგამოდებით იცავდა.—მოითხოვდა გლეხობის მიწიანად განთავისუფლებას და ყოველგვარ საბეგარო გადასახადების სავსებით გაუქმებას. ამ პროგრესულ ჯგუფს, ცნობილია, ილია ჭავჭავაძე თაოსნობდა. ამ ჯგუფს ეკუთვნოდნენ აგრეთვე კონსტანტინე მამაცაშვილი და ნიკო ჭავჭავაძე. ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძეს ამ გააფთრებული ბრძოლის შედეგად რეაქციონერმა მებატონეებმა მოკვლა დაუპირეს[2].

გლეხების მიწით და ყმურ საბეგარო გადასახადების გარეშე განთავისუფლება ილია ჭავჭავაძის ეროვნულ-გამანთავისუფლებელი პროგრამის შემადგენელი ნაწილია. ილია გლეხკაცობაში ხედავდა ძირითად გადამწყვეტ ძალას და უნარს, რომელიც განუხრელად იცავდა

---

[1] პ. გუგუშვილი, „ქართული ჟურნალისტიკა“, დამატება „შეკრება ოცდაერთის ჰაზრისა ორასორმოცთა მებატონეთა... ბატონყმობაზე“, თბილისი, 1941 წ., გვ. 434.

[2] ნიკოლოზ ჭავჭავაძემ 1864 წ. წარადგინა უაღრესად საყურადღებო და ფრიად პროგრესული შინაარსის შენიშვნები და მოსაზრებანი—რეფორმის პროექტი (იხ. „სისტ. მოამბე“ წ. 3, გვ. 284—328, ა. იოვიძის პუბლიკაცია). არსებობს მოსაზრება, რომ ეს დოკუმენტი ილიას უნდა ეკუთვნოდეს მთლიანად. პროფ. პ. გუგუშვილი ფიქრობს, რომ ილია თანა ავტორი უნდა იყოს ნ. ჭავჭავაძესთან ერთად ამ შენიშვნებისაო. იხ. „ქართული ჟურნალისტიკა“, გვ. 395, თბილისი, 1941 წელი.

ბშობლიურ ეროვნულ ღირსებებს და შეუნელებლად იბრძოდა ცარიზმის ნაციონალური და კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ.

ილია ჭავჭავაძე, მართალია, იცავდა ხიზნობის ინსტიტუტს, მაგრამ იგი ამავე დროს მთელი თავისი არსებით იცავდა ხიზნურ დამოკიდებულებაში მყოფ გლეხობას მემამულურ-რეაქციული შეტევებისა და ეკონომიურ ძარცვისაგან. მაგალითად, თუ მემამულე თავადაზნაურობა კატეგორიულად მოითხოვდა, რომ ხიზნები მიჩნეული ყოფილიყვნენ როგორც ვადიანი მოიჯარედრეები, რათა ამ ვადის გასვლის შემდეგ ხიზნები აეყარათ თავიანთი მამულებიდან, ანდა ხელახლავ მათთვის უფრო ხელსაყრელ პირობებში გაეცათ მიწები და ამით უფრო გაერთულებინათ ხიზნის მდგომარეობა, ილია კატეგორიულად უპირისპირდებოდა მემამულეების ამ რეაქციულ მოთხოვნას, იცავდა ხიზნებს იმათგან და მოითხოვდა — „ღალა და სამსახური უცვლელი უნდა იყოს და ამასთანავე თვითონ ხმარება მიწისა უსათუოდ ვადა დაუდებელი“ (კურსივი ჩვენია. ა. ი.)[1].

მიუხედავად ამისა, ილია ხიზნობას არ მიიჩნევდა ისეთ მოვლენად, რომელმაც შეიძლება დიდხანს იარსებოს. ხიზნობა, ილიას აზრით, ადრე თუ გვიან მოისპობა. ეს უკანასკნელი კი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ დაჩქარდება პროცესი იმისა, რომ გლეხობა მიწის მესა-

---

[1] იხ. ქრ. მამაცაშვილი, „ი. ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება“, 1907 წ., თბილისი.

კუთრე გახდეს, გამოსყიდვისა და თავდახსნის გზით. ილია ამ მიზნის განხორციელებისათვის საგანგებო გზებს სახავდა.

რეფორმის შემდგომი ვითარება საესებით ახალ სიძნელეებს და გადაულახავ დაბრკოლებებს ჰქმნიდა ილიას შეხედულებათა განხორციელებისათვის. აგრარულ ნიადაგზე გართულებულმა სოციალურმა ბრძოლამ განსაკუთრებით გაამწვავა და დღის წესრიგში დააყენა ხიზნების საკითხიც.

ილია, როგორც დავრწმუნდით, თავისებურად გაკეთილშობილებულ ხიზნობის ინსტიტუტს იცავდა. ილიას სწამდა, რომ ხიზნობის ინსტიტუტი იმ სახით, როგორც ეს მას ჰქონდა წარმოდგენილი,—მისი კარგი მხარეების დაცვით,—იყო ისეთი მოვლენა, რომელიც თავადაზნაურობასა და გლეხობას შორის გამწვავებულ ურთიერთობას ბოლოს მოუღებდა.

უმიწო გლეხი მიწაზე დამკვიდრდებოდა, „მიწა მუშახელს შეიძენდა, მუშა ხელი—მიწას“ და სხვ. საბოლოოდ კი ხიზანი გლეხები თავს დააღწევდნენ ხიზნობას და მიწის მესაკუთრენი თვით გახდებოდნენ.

ამრიგად მოისპობოდა ძალმომრეობის, ჩაგვრისა და ექსპლოატაციის შესაძლებლობანი, რომელსაც მემამულეები ხიზნურ დამოკიდებულებაში მყოფ გლეხებზე ავრცელებდნენ. მიუხედავად ამგვარი რწმენისა, ილია შორს იდგა იმ ჭეშმარიტებისაგან, რომ „ვიდრე მებატონეები არ არიან დამხობილნი, არავითარი რეფორმები—და განსაკუთრებით აგრარული რეფორმები—არ შეიძლება, გარდა მებატონური სახისა, მებატონური ხასიათის და განხორციელების წესისა“ [1].

[1] ვ. ლენინი, თხზულებანი, ტ. XV, გვ. 146.

6. საქართველოს ეროვნული ჩაგვრისა და აგრარული წინააღმდეგობების იურიდიული ღონისძიებებით მოსპობის გზების შესახებ

> კანონები დადგენილნი არიან ქვეყნიერებაზედ იმიტომ კი არა, რომ ეს ნებავდა ადამიანსა, არამედ იმიტომ, რომ მაგას ითხოვდა ეკონომიური საჭიროება[1]

ილია ჭავჭავაძე ბატონყმობის გადავარდნას საქართველოში თავისებურ შეფასებას აძლევდა. ილია წერს „1864 წელს მოხდა ჩვენში ყმების განთავისუფლება: მოისპო ჩვენში ერთისაგან მეორის ადამიანობის გაქელვის მიზეზი, კაცი კაცად აღიარეს. ეს ერთი დიდი და უკეთესი მხარეა ამ სახელოვანის ცვლილებებისა". მაგრამ ილია უკმაყოფილოა იმით, რომ „გლეხის ადრინდელი ბინა და მიწა საბატონოდ აღიარეს და გლეხს სახმარისად დაუტოვეს". ამრიგად, რაკი დამოკიდებულება გლეხსა და მებატონეს შორის ბატონყმობის გადაკარდნის შემდეგაც ეკონომიურად თითქმის უცვლელი რჩებოდა, ილია გულისტკივილით დასძენდა: „ჩვენი თავდაპირველი სიხარული არ გაამართლა იმოდენად, რამოდენადაც იმედი გვქონდა".

ილიას დაკვირვებით, რეფორმის შემდეგ მებატონეთა და გლეხთა დამოკიდებულების კეთილსასურველად გადაწყვეტისათვის ორი გზა არსებობდა: „ერთი ის, რომ მებატონეს მაშინვე მიეყიდნა გლეხისათვის მამული და მთავრობას გლეხისათვის ამაში ხელი გაემართა, ან არა

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ნაწ. სრული კრებ., ტ. VIII, გვ. 5.

და გადასახადი მოჭრით განესაზღვრათ, გადაეკვეთათ". ამ ორი სასურველი გზიდან, თუ არჩევანზე მივარდებოდა კითხვა, ილიას აზრით, „რასაკვირველია, პირველი გზა უმჯობესი იყო", მაგრამ, სამწუხაროდ, არამცთუ „არც ერთი ეს გზა არ მიიღო ჩვენმა საზოგადოებამ, არამედ მაგ გზების დედა-აზრიც სრულიად უარჰყო"[1].

კერძოდ, რა გზას დაადგა საზოგადოება ნაყმევისა და ნაბატონარის, ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრისას, რა გამოსავალი ჰპოვეს ამგვარად გართულებულ სინამდვილისაგან? ილია მწუხარებით დასძენს ამ ნიადაგზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, რომ „გლეხსა და ნაბატონარს შორის ცოტა კლანჭ-გამოსადები რამ დარჩენილიყო, ჩამოვარდა მეოთხედობა—ეს განუსაზღვრელი მიზეზიანი მოვალეობა ერთისა და მეორისაც, მოჰყვა ამას, ვითარცა აუცილებელი შედეგი სხვადასხვა სადავიდარაბო და ორივე მხრისათვის თავში საცემი"[2].

ამრიგად, ღალა „მეოთხედობის" გადახდა მიწის სარგებლობისათვის, „რენტისათვის" სოციალური დავის ობიექტი შეიქნა. ღალისა და რენტის ცნება ილიასთვის იდენტური ცნებებია. მათი განსაზღვრისას ილია გადაჭრით შენიშნავს: „რასაც ევროპაში მიწის რენტას ეძახიან, იმას ჩვენში ღალა ჰქვიან. ღალა არის ის სასყიდელი, ანუ უკეთ ვსთქვათ, ის მიწის ქირა, რომელსაც მიწის-მომქმედი იხდის მიწის პატრონის სასარგებლოდ"[3].

---

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწ. სრული კრებ., ტ., VIII, გვ. 6.
[2] იქვე, გვ. 6—7.
[3] იქვე, გვ. 11.

ილიას დაკვირვებით, „ქვეყნიერობაზედ ორგვარი ღალა ყოფილა და არის ჩვეულებაზედ დამყარებული. ერთი ის სასყიდელი (სულადით თუ ფულით), რომლის რაოდენობაც და ზომაც წინათვე განსაზღვრული და ცნობილია, მაგალითებრ: დღიურზედ კოდი, დღიურზედ მანეთი ანუ მეტ-ნაკლები: მეორე—ის სასყიდელი (უსათუოდ კი სულადით და არა ფულით), რომლის რაოდენობასაც ნამუშევრის წილი შეადგენს და რომლის ზომაც წინათვე არ არის ცნობილი, მაგალითებრ—მეექვსედი, მეხუთედი, მეოთხედი და სანახევრო“[1]; ამ უკანასკნელს, ილიას განსაზღვრით, ჩვენში „წილზედ-ჭერას“[2] უწოდებდნენ, და ეს ფორმა ღალისა, ილიას თქმით, რეფორმის შემდეგ „განხორციელებულია მეოთხედობაში“. ილიას დაკვირვებით, „ჩვენში წილზედ ჭერას ხალხი და ხალხის ჩვეულება ეურჩებოდა“, რადგან „წილზედ-ჭერას...მავნებელი შედეგი მოსდევს“ ორი მიზეზის გამო:

1. გლეხის ნაშრომში წილი სხვასაც უდევს, ამიტომ „გლეხს არ ექნება ისეთი ხალისი თავგამოჭეტებით მხნეობა-შრომისათვის—ისე, როგორც მეორე შემთხვევაში და ამის შედეგად კი შრომა ნაკლებნაყოფიერია.

2. ის, რომ „მიწის განოყივრებისათვის, მიწის გაკეთებისათვის გლეხი ხარჯს ვერ გაიმეტებს“[3]. ამის შედეგია ის, რომ „წილზე ჭერა“ ყველგან წარმატების დამაბრკოლებელია, მხვნელ-მთესველთა გამლატაკებელ-დამაქვეითებელია.

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ნაწერების სრული კრებული, ტ. VIII, გვ. 12.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 17.

რაც შეეხება ღალის მეორე სახეობას, ე. ი. გადაკვეთილ ღალას, იგი „გლეხს ხელს არ უშლის მამულის-გაკეთებისათვის ხარჯი გასწიოს, უფრო მედგრად იმუშაოს, უფრო დიდი მხნეობა და მეცადინეობა იხმაროს, იმიტომ რომ ამ შემთხვევაში მომატებულის ხარჯისა და შრომის მონაგები სრულად მისია... აქ შრომა, ცოტად თუ ბევრად, თავისუფალია, და რამდენადაც თავისუფალია, იმოდენად ყოვლად-შემძლებელიც არის“[1].

ილია ჭავჭავაძე, იცავს რა „გადაკვეთილი ღალის“ კატეგორიას წინააღმდეგ „წილზე ჭერის“ საღალო კატეგორიისა, ამასთანავე მკაცრად ილაშქრებს მთავრობის დებულების იმ მუხლის წინააღმდეგ, სადაც აღნიშნულია: მიწის ღალა ადგილმდებარეობისა და ნაყოფიერების ხარისხის მიხედვით ფულად დაფასდეს და ნაყმევ მოიჯარე გლეხების გადასახდელი ღალა ანუ რენტა ფულად გადახდესო.

ილია ფულადი რენტის წინააღმდეგია, რადგან „თვით ღალის ფულად ქცევა ... დიდად გაუძნელებს გლეხს თავისის მოვალეობის აღსრულებას და ნაბატონარსაც არას შემატებს. პირველი იმიტომ, რომ ღალის ხდა ფულად ჩვენს ჩვეულებაში თითქმის არა ყოფილა, გარდა ორიოდ მაგალითისა, რომელიც მხედველობაში არ მიიღება, და მეორე იმიტომ, რომ ფული ძნელად ჩაუვარდება ხელში გლეხსა, რომლის სიმდიდრე დღესაც ფულიანობით კი არ იზომება, არამედ პურისა და ღვინის მეტნაკლებობითა, ესე იგი მიწის მოსავლითა“. ილია დაბეჯითებით მოითხოვს, რომ არ უნდა შეირყეს ჩვეულება, „რომლის მეოხებითაც გლეხი დღეს აქამდე ღალას

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებ., ტ. VIII, გვ. 17.

თუ კულუხს მიწის მოსავლით იხდიდა და ფულით გარდასახადს ერიდებოდა"[1].

მაგალითისაოვის ილია აღნიშნავს: „ჩვენში ჩვეულება იყო, რომ ვინც სხვის მიწაზედ ვენახს გააშენებდა, ნახევარი გამშენებლისა იყო და ნახევარი მიწის პატრონისა... თითქმის მთელი კახეთი მოურიგდა გლეხობას ვენახების თაობაზედ მაგ ჩვეულების წინამძღომელობითა და ძალითა. თუმცა აქაც მეოთხედი იყო კულუხად დაწესებული მთავრობისაგან, მაგრამ არც ნაბატონარმა ინდომა ეგ და არც ნაყმევმა. აიღეს მათ და უდრტვინველად, უდავიდარაბოდ მშვიდობიანად ვენახები შუაზედ გაიყვეს, და ამრიგად გლეხი ვენახის პატრონად შეიქმნა. ამ გვარი მორიგება წყნარ-წყნარად გადადის ტფილისის გუბერნიის სხვა ადგილებშიაც"[2]— დასძენს ილია.

ამრიგად, რეფორმამ ვერ მოუღო ბოლო წინააღმდეგობებს მიწათმოქმედთა და მიწისმფლობელთ შორის. წინააღმდეგობები დარჩა, ბევრი კიდევ აღმოცენდა ახალი ურთიერთობის ნიადაგზე.

* * *

რეფორმისმერმინდელ ამ სოციალურ წინააღმდეგობებს, აღმოცენებულს საადგილმამულო ურთიერთობის ნიადაგზე გლეხობასა და მემამულეებს შორის, ილია არ მიიჩნევს ისეთი ხასიათის სერიოზულ წინააღმდეგობებად, რომელთა გადაწყვეტა ძნელი იყოს და მით უმეტეს შეუძლებელი. ილია გარდა სოციალ-ეკონომიური ღო-

---

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწერ. სრ. კრებ., ტ. VIII, გვ. 21.
[2] იქვე, გვ. 22—23.

ნისძიებისა იურიდიულ საშუალებებზე და კანონმდებლობაზედაც ამყარებს იმედებს. რა გზებს სახავს ილია ამ მიმართულებით? ილიას აზრით საჭიროა:

1. ადგილობრივი თვითმართველობის შემოღება-გაძლიერება და 2. ხალხის ადათ-ჩვეულების, ადათობრივი სამართლის აღდგენა-განმტკიცება, მისი ოვის ანგარიშის გაწევა ისე, რომ ყველა სადავო საქმე ნაყმევსა და მებატონეს შორის მშვიდობიანი გზით გადაწყდეს მომრიგებელ მოსამართლეებად ადგილობრივი მოსამართლეების დანიშვნით, რომლებმაც იციან ხალხის ყოფა-ცხოვრება, მათი მოთხოვნა, მათი ადათ-ჩვეულანი, ზრახვანი და მისწრაფებები.

დავიწყოთ პირველით.

ილიას აზრით, „ქვეყნიერებაზედ მმართველობას ორგვარი წყობა და აგებულება აქვს...ერთგვარი მმართველობა იგია, საცა სახელმწიფო საჭიროების საქმესაც თვით მთავრობა განაგებს და საზოგადოებისასაც, ყველგან და ყოველს ნაწილში". ილია აქვე ეხება მეორე წყობას და აღნიშნავს: „მეორე-გვარი მმართველობა იგია, საცა მთავრობას ხელთ უპყრია მარტო მთელის სახელმწიფოის საჭიროების საქმენი და ყოველივე სხვა კი საზოგადოებას გაუსაკუთრებია, მერე ასე, რომ ყოველს ნაწილს თვისნი ადგილობრივი საქმენი აქვს ხელშეუვალად მინდობილნი. ეს საზოგადოების საჭიროების საქმენი, ადგილობრივად განაწილებულნი, განიგებიანუსათუოდ ადგილობრივთა მოხელეთა შემწეობით, რომელთაც ირჩევს თვით ადგილობრივთა მცხოვრებთა საზოგადოება და რომელნიც ასევე საზოგადოების წინაშე პასუხის მგებელნი არიან. ამ-გვარს გამგეობას თვითმმართველობას უწოდებენ, რადგანაც ამ

შემთხვევაში თვითოეული ნაწილი ერთისა და იგივე სახელმწიფოისა თავის საკუთარს საქმეს თვით ჰპატრონობს, თვით უვლის და თვით ჰმართავს. ერთის სიტყვით, ამ გვარის მმართველობის დედა-აზრი იგია, რომ ადგილობრივნი საქმენი თვით ადგილობრივთ მცხოვრებთაგან განიგებოდეს"[1].

ილიას რწმენით, ეს ორგვარი წყობა თავისი მნიშვნელობით ერთმანეთს კი არ ეწინააღმდეგება, არამედ ავსებს და ამით მმართველობას სრულყოფილს ხდის. ილია ამაზე წერს: „ადგილობრივი თვითმმართველობა და უმაღლესი მთავრობა არც ერთი და იგივეა, არც ურთიერთის მოკამათე და მოცილენი არიან. ერთსა და იმავე ქვეყანაში, ერთსა და იმავე სახელმწიფოში ორნივ მშვიდობიანად თავსდებიან და ურთიერთის სახეიროდ მოქმედობენ"[2].

ილიას აზრით, ადგილობრივი მმართველობა აუცილებლად საჭიროა ხალხის წინმსვლელობისათვის; იგი „ხალხს აფხიზლებს, ხალხს ჭკუასა და გონებას უხსნის, რადგანაც საზოგადო მზრუნველობისათვის ხალისს უღვიძებს და საზოგადო საქმისათვის სწურთნის და ავარჯიშებს"[3].

თვითმმართველობა მიზანშეწონილი ფორმაა გვარტომობით ერთისა და იმავე ხალხთა სახელმწიფოსათვისაც კი, რადგან „ყოველს მხარეს, ყოველს ნაწილს ერთისა და იგივე სახელმწიფოს, თავისი საკუთარი ჭირი და ლხინი აქვს"; ხოლო რაც შეეხება ისეთ სახელმწიფოს, რომელიც მრავალერიანია და სხვადასხვა გვარ-

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწერ. სრ. კრებ., ტ. VIII, გვ. 36—37.
[2] იქვე, გვ. 39—40.
[3] იქვე, გვ. 37.

ტომობის ხალხისგან შედგება, მისთვის ხომ აუცილებელია, ვინაიდან, ილიას აზრით, „უმაღლესი მთავრობის პირდაპირი დანიშნულება იგია, რომ ყოველს ქვეშევრდომს მისი სატკივარი გაუგოს, მისი წამალი დასდოს, ყოველის სიკეთისა და კეთილდღეობის გზა გაუხსნას“[1].

ილია იმ შეხედულებისა იყო, რომ ხალხთა თვითმმართველობის ამგვარი სისტემის შეწყნარება თანაბრად შეეძლო თითქმის ყველა სისტემის სახელმწიფოებრივ წყობას. იგი წერს: „როგორიც უნდა იყოს უმაღლესი მთავრობა,—თვითმპყრობელობითი, მონარქიული წარმომადგენლობითი, თუ რესპუბლიკური სახისა,—ერთშიაც, მეორეშიაც და მესამეშიაც თვითმმართველობა მშვიდობიანად მოეწყობა, რადგანაც თვით ადგილობრივის საზოგადოების მოჭირნახულეა და ამასთანავე უმაღლესის მთავრობის უკეთესი თვალი და ხელია, ყოველ კუთხემდე მიწვდენილი“[2].

ილიას ასევე შეცდომით სჯეროდა, რომ თვითმმართველობაში გლეხი და მემამულე თანაბარუფლებიანი იქნებიან, რადგან მათ შორის არ არსებობს არსებითი წინააღმდეგობანი. იგი წერს: „განა ჩვენში თავადი, აზნაური, ისე მიუკარებელია გლეხისათვის, როგორც სხვაგან? ბევრი მაგალითებია გლეხთა და თავად-აზნაურთა შორის ნათელ-მირონობისა და დამოყვრებისაცა. ათასი მაგალითია ერთმანეთთან ნადიმობისა, შექცევისა, ლხინისა, ტირილისა და ყოველ-გვარ ერთობისა. ბევრი მა-

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწერ. სრ. კრებ., ტ. VIII, გვ. 40.
[2] იქვე, გვ. 43.

გალითია, რომ სოფლის მმართველობის წესდების წინათაც და მას მერმეთაც თავადი, აზნაური, სიამოვნებით დაჰმორჩილებოდეს გლეხთა სასოფლო გამგეობას და სოფელს კიდევ თავის ნებით შინაურულად ჩაებარებინოს სასოფლო საქმეების გამგეობა თავადისათვის, აზნაურისათვის"[1].

ილია, დაწვრილებით აღწერს რა თვითმმართველობის ძირითად დამახასიათებელ ნიშნებს, მიუთითებს: „ხმა და არჩევანის უფლება მინიჭებული უნდა ჰქონდეს ყოველს ადგილობრივს მცხოვრებსა, რაკი სრულ-წლოვანია. მაშასადამე, ყოველს მცხოვრებს ყოველს მოვალეობაშიც ხვედრი წილი უნდა ჰქონდეს "[2].

ამასთანავე განსაკუთრებით საყურადღებოა ილიას ის მოსაზრება, რომ „თვითმმართველობისათვის ყველა წოდების კაცი ერთ-გვარად უნდა იყოს მიჩნეული", რადგან, ილიას აზრით, „სოფელი, მის ბინადართა კვალობაზედ, ერთი დაურღვეველი აგებულებაა, ნამეტნავად ჩვენში"[3].

ასეთია, ილიას აზრით, ადგილობრივი თვითმმართველობის მნიშვნელობა და როლი, მისი დანიშნულება სოციალური მშვიდობიანობისათვის სახელმწიფოებრივ ერთიან სისტემაში.

ადგილობრივი თვითმმართველობის დამკვიდრების შედეგად, ი. ჭავჭავაძის შეხედულებით, გადაწყდებოდა ეროვნული საკითხიც, რომელიც რუსეთის იმპერიის ერთ-ერთი მტკივნეული საკითხია. ილიას შეხედულებით „რუსეთი ერთი იმისთანა სახელმწიფოა, საცა სხვადასხვა ტომისა და ენის ერნი ცხოვრობენ", ისიც ცალ-

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწ. სრ. კრებ., ტ. VIII, გვ. 60.
[2] იქვე, გვ. 49.
[3] იქვე, გვ. 50—51.

ცალკე, შეჯვუფებით და არა გაფანტვით. ამიტომ რუსეთის პოლიტიკური საზრუნავი უნდა იყოს ეს „სხვადასხვა ტომის ერნი როგორ უნდა მოეწყონ შინაობაში სათითაოდ, და მერე,—როგორ უნდა მოთავსდნენ სახელმწიფოსთან“; საფიქრებელი იყო, რომ „დღესა თუ ხვალე რუსეთი იძულებულ შეიქნებოდა დაენიშნა საზღვარი სახელმწიფო მოქმედებისა საზოგადოდ და ეროვნებისა ცალკედ“[1], შენიშნავს ილია.

ილიას აზრით, ვრცელ იმპერიაში თუ „რამ სამდურავი ისმოდა აწმყო მდგომარეობის შესახებ“, ამისი მიზეზი მარტო ის იყო, რომ მთელი მოედანი საზოგადოების ცხოვრებისა მარტო სახელმწიფოს ეჭირა და ეროვნება...გულხელდაკრეფილი იყო. ილია ამის მიზეზად იმას თვლის, რომ „რუსეთს არ ჰქონდა და არც დღეის აქამომდე აქვს გამორკვეული და დადგენილი დედაზრი მასზედ,—თუ სად თავდება უფლება ეროვნებისა და სად იწყება სახელმწიფოსი“.

ილიას სიტყვით, ცარიზმის მოხელეობას „ეგონა, რომ ეროვნობის დევნა და ჩაგვრა თავი და ბოლოა სახელმწიფოდ მომქმედის კაცისა“, ხოლო ვინაიდან „არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი გული და სული—ენაა, ამიტომაც ტლანქი ხელი უმეცარის მოხელეობისა ყველაზედ უწინარეს ენას მისწვდა“. ილია მკაცრად უპირისპირდება ცარიზმის ამ უგნურ პოლიტიკას და მის გასაბათილებლად ამბობს: „იყო დრო, როცა ფიქრობდნენ, რომ იქ, საცა ერთისა და იმავე სახელმწიფოს ერნი სხვადასხვა წესით ადიდებენ ღმერთსა, ერთობა სახელმწიფოსი ვერ იხეირებსო და დაირღვევაო. რეფორმაციამ დაამტკიცა, რომ ეგ აზრი მარტო უმეცრების ნაყოფია“[2].

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწერ. სრ. კრებ., ტ. VI, გვ. 105—106,
[2] იქვე, გვ. 107.

ილიას შეხედულებით, ასევე „მოვა დრო, და გვგონია— დიდის ხნის ლოდინიც არ მოგვინდეს, რომ ენის შესახებაც იმას იტყვიან, რასაც ეხლა რჯულის შესახებ ბრმანიცა და თვალხილულნიც ამბობენ ერთხმად“[1]. ილია დარწმუნებულია, რომ თუ სახელმწიფოსა და ეროვნების ეს მიჯნები შემოიფარგლება და დაზუსტდება, ეროვნულ ჩაგვრას და საერთო უკმაყოფილებას ხალხებისას იმპერიაში ამით თითქოს ბოლო მოეღება. ამრიგად, ადგილობრივი თვითმმართველობის შემოღება, ი. ჭავჭავაძისა და მისი თანამებრძოლების შეხედულებით, ისეთი ყოვლისშემძლე მოვლენაა, რომელიც არსებითად სპობს როგორც სოციალური, ასევე ეროვნული ჩაგვრის საფუძვლებს.

ქართველ განმანათლებლებს ადგილობრივი თვითმმართველობის დამკვიდრება და მასთან დაკავშირებული ავტონომია თუ რა სახით ჰქონდათ წარმოდგენილი, ამის შესახებ გარკვეულ წარმოდგენას იძლევა ი. გოგებაშვილი, როცა იგი წერს: „ბევრი რამ დარჩება კიდევ ცენტრალური მთავრობის ხელში. სახელმწიფოს ძირითადი საკონსტიტუციო კანონები, ცენტრალურ პარლამენტში დადგენილი, სავალდებულო იქნება ჩვენთვისაც. საერთო იქნება ჯარი, ფლოტი, ფინანსების ნაწილი, დამოკიდებული, საგარეო პოლიტიკა,. საერთო ვალი და ზოგი სხვა საქმეცა“[2]. აი, რა შინაარსს სდებდნენ ისინი ამ ცნებაში.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადები, მართალია მოგვიანებით, ავტონომიას

---

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწ. სრული კრებული, ტ. VI, გვ. 107.
[2] ი. გოგებაშვილი, რჩეული ნაწ., ტ. II, გვ. 438.

მოითხოვდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის სახით, მაგრამ ისინი ყოველთვის წინააღმდეგი იყვნენ სეპარატიზმისა. 1880-იან წლებში ავტონომიის მოთხოვნა რამდენადმე პროგრესული მოთხოვნა იყო, ვინაიდან იგი უპირისპირდებოდა ცარიზმის გააფთრებულ რეაქციას. სავსებით საწინააღმდეგო იყო ვითარება 1905 წ. რევოლუციის პერიოდში, როცა ბურჟუაზიული პარტიები მოითხოვდნენ საქართველოს ავტონომიას. 1905 წ. ეს მოთხოვნა უკვე აშკარა რეაქციულ მოვლენად იქცა, რამდენადაც ეს მოთხოვნა ასუსტებდა ცარიზმის წინააღმდეგ მიმართულ ერთიან პროლეტარულ ფრონტს და აძლიერებდა რეაქციას.

სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ბოლშევიკებმა მკაცრად გაილაშქრეს ავტონომიის მოთხოვნის წინააღმდეგ.

* * *

თუკი რაიმე წინააღმდეგობანი მაინც არსებობენ ამ წოდებათა შორის, მისი მოსპობა, ილიას რწმენით, კიდევ სხვა საშუალებით შეიძლება. ეს საშუალებები ასახულია განვითარების მეორე გზაში, კერძოდ—ხალხის ადათობრივი სამართლისა და მთავრობის კანონმდებლობათა იმგვარად მოგუებაში, რომ მომრიგებელ-მოსამართლეობის ინსტიტუტის გაკეთილშობილების გზით მშვიდობიანად გადაწყვეტილიყო ეს დავა და წინააღმდეგობანი. მაგრამ „ჩვენში ხშირად,—ამბობს ილია,—ნამეტნავად ამ ბოლო დროს, იმისთანა მომრიგებელი მოსამართლე-

ნი ინიშნებიან, რომელნიც ხალხის ენის უცოდინარნი არიან... უენო კაცმა რა გაარიგოს, რა შუა კაცობა უნდა გაუწიოს იმათ, ვისაც მაგისი არა ეყურება-რა და ვისიც თითონ არა ესმის-რა"[1].

მაშასადამე, უხეირო და გადამთიელი მომრიგებელი მოსამართლეების ცუდი მუშაობის მიზეზია იმათგან ადგილობრივი ადათ-ჩვეულების, ენისა და ხალხის გულისნადებთა უცოდინარობა რაც იმას იწვევს, რომ სოციალური დავა წოდებათა შორის სასურველად არ წყდება და ბატონყმობის მოსპობის შემდეგ ბრძოლა მათ შორის ისევ არ მთავრდება.

ილია ემყარება მაშინ არსებული კანონმდებლობის იმ მუხლს, რომელშიაც ფორმალურადაა ლაპარაკი, რომ მომრიგებელი მოსამართლეები კარგად უნდა იცნობდნენ ადგილობრივ პირობებს და ხალხის ბუნებას, ზრახვებსა და მისწრაფებებს, ხოლო ფაქტობრივად ამას ივიწყებდნენ და ამ თანამდებობებზედაც, როგორც წესი, ცარიზმის ერთგული ჩინოვნიკები ინიშნებოდნენ. ილია ებრძვის ამ მიმართულებას და წერს: „თვითონ კანონმდებელთა აღიარეს, რომ მოსამართლე ვერ აღასრულებს ამ უპირველესს დანიშნულებასაო, თუ რომ ზედმიწევნით არ იცის არამც თუ მარტო გარეგანი ვითარება საქმისა, არამედ შინაგანი გარემოებაცა, თუ არ იცის ადგილობრივი ავ-კარგიანობა, ეკონომიური ყოფაცხოვრება, ერთმანეთზედ დამოკიდებულება, ხალხის ჩვეულება და ხშირად თითონ მოდავეთა ხასიათიცაო. იმავე კანონმდებელთა სამართლიანის აზრით, ესე ყოველი არავის ეცოდინება, თუ არ იმისთანა მოსამართლეს, რომელიც იმავე ადგილის შვილია, იქაურივე მცხოვრებელია, საცა მოქმედებს"[2].

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ნაწერ. სრ. კრებ., ტ. VIII, გვ. 100.

[2] იქვე, გვ. 101.

ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ ამ სოციალური დავის მშვიდობიანად გადასაწყვეტად ცარიზმი მართლაც რიგი წლების მანძილზე არაიშვიათად ნიშნავდა მომრიგებელი მოსამართლის თანამდებობაზე, როგორც საქართველოში, ისე სხვაგანაც, ადგილობრივი მოსახლეობისაგან შერჩეულთ, რომელთაც ასე თუ ისე რაღაც გაეგებოდათ ხალხის. მაგრამ სულ მალე ცარიზმმა უნდობლობა გამოუცხადა იმათ და თითქმის ხელაღებით შეცვალა ერთგული და შემოწმებული რეაქციონური მოხელეებით. ამ ფაქტით უკმაყოფილო ილია წერს: „პირველ ხანებში, ესე იგი—1869, 1870, 1871 წ., ცდილობდნენ, რომ აქაურები მაინც დაენიშნათ მოსამართლეებად და ამით, ცოტად თუ ბევრად, შეევსოთ ის ნაკლი, რომელიც უეჭველად თან უნდა მოჰყოლოდა მომრიგებელი მოსამართლეების უარჩევანოდ დანიშვნასა". მაგრამ ამ ბოლო დროს ამ საპატიო თანამდებობაზე „სხვაგნიდამ უთავბოლოდ მოწვეულების რიცხვი გამრავლდა"[1].

ილიას ყოვლად დაუშვებლად მიაჩნია მომრიგებელი მოსამართლის თანამდებობაზე ხალხის ენის უცოდინარი ცარიზმის რეაქციონერი, უვიცი ჩინოვნიკების დანიშვნა. იგი უსაყვედურებს ცარიზმის მოხელეებს ისედაც უვარგისი კანონების შეუსრულებლობას ან მათ ცუდად გატარებას. ილია მოითხოვს, რომ ყურადღება მიექცეს ასეთ შეუსაბამობას, დაცულ იქნეს კანონი.

ილიას აზრით, რაკი კანონმდებელი ამ შემთხვევაში ითვალისწინებდა ადგილობრივ მკვიდრთა ადათ-ჩვეულების შესწავლას, მისდამი ანგარიშის გაწევას საერთო სახელმწიფო კანონის გატარებისას რუსეთის სინამდვი-

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწერ. სრ. კრებ., ტ. VIII, გვ. 102.

ლეშიაც კი, პირველ ყოვლისა ეს საქართველოს შეეხებოდა და მის მიმართ (ისევე, როგორც სხვა არარუს ხალხთა მიმართ) უნდა-ყოფილიყო გამოყენებული, რადგანაც ეს საერთო კანონმდებლობა მთლიანად მეფის რუსეთის სინამდვილეს ემყარებოდა და საქართველო მსგავსად სხვა კოლონიებისა, სავსებით დავიწყებული იყო. ამაზე ილია წერს: რაკი რუსის კანონი „ვერ შეეფერება ვერც ჩვენს განსხვავებულს ყოფა-ცხოვრებას, ვერც ჩვენს განსხვავებულს ეკონომიურს მდგომარეობას, ვერც ჩვენს შეხედულებას ურთიერთ-შორის დამოკიდებულებაზე, ვერც ჩვენს ზნესა და ვერც ჩვენს ხასიათსა, ამიტომ ჩვენში უფრო საჭირო იყო მოეწვიათ ჩვეულება და მისთვის ფართო ადგილი მიეცათ განსამართლების წესდებაში"[1].

ადათობრივ და ჩვევით სამართალს საქართველოში, ილიას აზრით, პირველ რიგში უნდა გაეწიოს ანგარიში, რადგან „ჩვენში, განსხვავებული ყოფა-ცხოვრებისა გამო, უფრო ხშირია იმისთანა შემთხვევა, რომელიც არ არის მოხსენებული მომქმედს კანონებში, ან თუ არის, ხშირად წინააღმდეგია ხალხისაგან ცნობილ სამართლისა". ილიას აღნიშნულის დასადასტურებლად უამრავი მაგალითი მოყავს ჩვენი ცხოვრებიდან. მისი აზრით, ასეთებია: „აუარებელი დავები შესახებ მიწისა, ტყისა, საძოვრების მფლობელობისა, გზებისა, ვენახებისა, სახლიკაცობისა, მოჯამაგირობისა, ზედ-სიძობისა, ძმად-შესულობისა, ქალთა მონაწილეობისა მემკვიდრეობაში, ქალთა საკუთრებისა ოჯახში (სათავნო ქალისა), სამკვიდ-

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ნაწერების სრული კრებ., ტ. VIII, გვ. 105,

როსი, სამარხისა, საქვრივოსი, ნაცვალ-გარდობით მუშაობისა, გაყრილობისა და ბევრი ამისთანები. ყოველს ამ შემთხვევაში ჩვენი ჩვეულება, ესე იგი—ხალხისაგან მამა-პაპით აღიარებული სიმართლე, ერთს ამბობს და რუსული კანონები კი ან სულ არას ამბობენ, ან თუ ამბობენ, სულ სხვასა"[1].

აი, როგორ თავისებურად გაიაზრებს ილია საქართველოს მაშინდელი სოციალური და ეკონომიური ურთიერთობის ნიადაგზე აღმოცენებული წოდებრივი წინააღმდეგობების მოსასპობად არსებულ იურიდიულ ნორმებს; იგი მოითხოვს ჩვენი ხალხის ცხოვრების ადათობრივი სამართლის „უწვრილმანესი" დეტალების შესწავლას, მისდამი ანგარიშის გაწევას, თვითმმართველობის პრინციპებზე ცხოვრებასა და კანონს შორის არსებული დაპირისპირების მოსპობას შუაკაცობისა და მომრიგებელი მოსამართლეობის ინსტიტუტში და სხვ.

უბედურება ისაა, ილიას აზრით, რომ „ჩვენში მომრიგებელი მოსამართლე იმ გზით ინიშნება, რომ ვერც შუა-კაცობა შეუძლიან, ვერც ბუნებრივის სამართლით საქმის წარმოება. აქედამ ცხადია, რომ ჩვენებურს კანონმდებლებს ან ვერ მიუგნიათ მომრიგებელ მოსამართლობის სიცოცხლის ძარღვისათვის, ან მიუგნიათ და საჭიროდ არ დაუნახავთ, რომ მოსამართლობის აგებულებაში იმ ძარღვს ეტრიალებინა სიცოცხლის მიმნიჭებელი სისხლი"[2].

ყოველივე, ამის შედეგად, ცარიზმის ბიუროკრატიული სასამართლო აპარატის ჩვეულებრივ დანამატად გადაქცეული მომრიგებელი მოსამართლეობის ინ-

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწერ. სრ. კრებ., ტ. VIII, გვ. 105—106
[2] იქვე, გვ. 109.

სტიტუტი, ილიას რწმენით, ვეღარ ასრულებს იმ კეთილშობილ მისიას, რომლისათვისაც იგი თავისი დანიშნულებით უნდა იყოს მოწოდებული. ამით ილია, საერთოდ, დაურიდებლად ამხელს ცარიზმის სასამართლოს უხეშ ბიუროკრატიულ დამპალ აპარატს, მის ვერაგ მოხელეებს, მოითხოვს მის საფუძვლიან რეორგანიზაციას დემოკრატიულ პრინციპებზე, ადგილობრივი თვითმმართველობის შემოღება-გაძლიერებით და მომრიგებელი მოსამართლეების ჭეშმარიტი ფუნქციების განსაზღვრისა და ამ თანამდებობაზე კეთილსინდისიერ გულშემატკივარ ადგილობრივ მოსამართლეთა დანიშვნის გზით.

მომრიგებელი მოსამართლის თანამდებობაზე ცარიზმის მიერ უცხო, გადამთიელი, ხამი მოხელეების დანიშვნით უკმაყოფილო ილია მკაცრად მიუთითებს იმ უარყოფით შედეგებზე, რაც თან სდევდა ამ უკულმართობას. უსამართლობით გულდაკოდილი ილია წერს: „ჩვენში მომრიგებელს მოსამართლობას ჩამოეცალა ის უკეთესი მხარე, რომლითაც იგი სანატრელია ყველასათვის, და ეგე თვისის დანიშნულებით სახალხო სამართალი შეიქმნა ფორმალურ სამართლად... ამის გამო აქ არც ცხოვრება შველის კანონის წარმატებით სვლასა და არც კანონი ცხოვრების კეთილდღეობასა. ვერც კანონს დაუმორჩილებია ცხოვრება, რომ კეთილად წარმართოს, ვერც ცხოვრებას შეუფერებია კანონი, რომ სიკეთის დედა-ბოძად გამოიყენოს. „ერთის აღმახნულს მეორე დაღმა ფარცხავს“. ესეთი დღე დაადგა ეგრეთ წოდებულს „მომრიგებელ მოსამართლობას“ მარტო იმის გამო, რომ აქაურებს დღევანდლამდე არა სწამთ ყველასაგან წამებული ჭეშმარიტება,—

ადგილის საქმეს ადგილის კაცი უნდა და არა უცხო და ხამიო"[1] (ხაზი ჩვენია. ა. ი.).

ამას წერდა ილია 80-იან წლებში თავის საპროგრამო წერილებში—„ცხოვრება და კანონი, ამავე იდეის განხორციელებისათვის ილია გაბედულად იბრძოდა სიკვდილამდე, როგორც საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე.

როგორც ვხედავთ, ილია რეფორმის შემდეგ უაღრესად დიდ იმედებს ამყარებდა საქართველოში ეროვნული საკითხისა და სოციალურ წინააღმდეგობათა გადასაწყვეტად ადგილობრივი თვითმმართველობის შემოღებასა და მომრიგებელი მოსამართლის ინსტიტუტზე. ცხოვრებამ დაამტკიცა, რომ ი. ჭავჭავაძე ცდებოდა, იგი ვერ ითვალისწინებდა იმ ფაქტს, რომ „არსად და არასოდეს ადგილობრივი თვითმმართველობა არა ყოფილა და არ შეიძლება იყოს რეაქციის საწინააღმდეგო სიმაგრედ კაპიტალიზმის ეპოქაში. კაპიტალიზმს აუცილებლად მივყევართ სახელმწიფო ძალაუფლების ცენტრალიზაციისაკენ და ყოველგვარი ადგილობრივი თვითმმართველობა უსათუოდ დამარცხებულ იქნება რეაქციული სახელმწიფო ძალაუფლების დროს"[2].

კაპიტალიზმის პირობებში „ადგილობრივ თვითმმართველობას, რომელიც ყოველთვის უძლურია დიდი ისტორიული ამოცანების მიმართ, რომელიც წვრილმანი, დამოკიდებული და დაქუცმაცებულია"[3], არ ძალუძს

---

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწ. სრული კრებ., ტ. VIII, გვ. 109—110.
[2] ვ. ლენინი, თხზულებანი, ტ. 12, გვ. 365. ხაზი ავტორისა.
[3] იქვე, გვ. 370.

იქცეს სოციალური წინააღმდეგობების მოწესრიგების იარაღად, როგორც ამას ი. ჭავჭავაძე ფიქრობდა. ი. სტალინი ჯერ კიდევ თავის ადრინდელ ნაშრომში—„წერილები კავკასიიდან“ გარკვევით მიუთითებდა „მეფის ხელისუფლების დამხობისა და საყოველთაო-სახალხო დამფუძნებელი კრების მოწვევის, როგორც თანმიმდევრულ-დემოკრატიულ ადგილობრივ თვითმმართველობათა შექმნის წინასწარი პირობის, აუცილებლობას“[1]...

ამრიგად ირკვევა, რომ ი. ჭავჭავაძე შემცდარი იყო, როდესაც ამტკიცებდა, თითქოს საქართველოს შეეძლო ჭეშმარიტი თვითმმართველობის უფლებების მოპოვება ცარიზმის კოლონიური ჩაგვრის მაშინდელ სისტემის პირობებში.

უფრო მოგვიანებით, 900-იან წლებში ილია ასევე დიდ იმედებს ამყარებდა და ყველაფრით ცდილობდა სახელმწიფო საბჭოში თავისი პროგრესულ-დემოკრატიული იდეებისდაკანონებას; ამიტომ იყო, რომ ილია საბჭოში ფაქტიურად თაოსნობდა მემარცხენე მიმართულებას. ილიას სჯეროდა, რომ თავისი გაბედული გამოსვლებით ცარიზმს ხელს ააღებინებდა საკუთარ ბოროტ ზრახვებზე, „გააკეთილშობილებდა“ მას და არსებულ კანონმდებლობაში ცვლილებებს გაატარებინებდა. მაგრამ ი. ჭავჭავაძე ამ შემთხვევაშიაც ცდებოდა. ვიდრე ცარიზმის რეჟიმი არ დაემხობოდა, შეუძლებელი იყო ოცნებაც კი იმ მოწინავე იდეალების განხორციელებაზე, რომლისათვისაც ესოდენ თავგამოდებით იბრძოდა ი. ჭავჭავაძე.

ცნობილია, რომ რეაქციის გააფთრებულ წლებში ილია ჭავჭავაძე სახელმწიფო საბჭოს წევრად აირჩიეს.

[1] ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. 2, გვ. 192.

მხცოვან ილიას მოღვაწეობა სახელმწიფო საბჭოში მე-მარცხენე, უაღრესად პროგრესული მიმართულებით ხასიათდება. იმ როლსა და მოვალეობაზე, რომელიც ილიას დაეკისრა ამ არჩევის შედეგად, თვით ილია ასეთი აზრის იყო: „სახელმწიფო საბჭოში მე ამირჩია თავად-აზნაურობამ, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ საბჭოში მე მარტო თავად-აზნაურთა საჭიროებაზე ვილაპარაკებ. თუ ამას ფიქრობენ ზოგნი ჩემნი ამომრჩეველნი, აქაური რუსთა აზნაურნი, ეს დიდი შეცდომაა. სახელმწიფო საბჭოში თუ თავად-აზნაურთა სახელით შევდივარ, ეს მხოლოდ ფორმალური, იურიდიული მხარეა. არ დავფარავ და ვიტყვი, საბჭოში მე მთელი საქართველოს და ქართველთა ინტერესების დამცველი ვიქნები, საერთო კითხვებსაც შევწირავ ჩემს ძალ-ღონეს“. მართლაც, სახელმწიფო საბჭოში მრავალ მაღალ-ჰუმანურ მოთხოვნათა შორის, როგორიცაა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ გალაშქრება და სხვა, ილია კატეგორიულად იცავდა ადგილობრივ თვითმმართველობას დაახლოებით იმავე სახით, როგორც ამას ჩვენ ზემოთ გავეცანით. ილია თავის ინტერვიუში კორესპონდენტთან გარკვევით მიუთითებდა ამ ფაქტზე და აღნიშნავდა: „საქართველოსთვის მე მომიხდება დავიცვა ფართო თვითმმართველობა საკანონმდებლო უფლებებით ადგილობრივ საჭიროებათა და ინტერესების დარგში“[1].

იმდროინდელ ოფიციალურ ბიულეტენებში, სადაც შემოკლებით იყო წარმოდგენილი სახელმწიფო საბჭოს წევრების დახასიათება, მათი მოთხოვნები და სხვა,

---

[1] „Тифлисский листок“ от 20 апреля 1906 года.

ილია ჭავჭავაძის შესახებ აღნიშნულია: „აგრარულ საკითხში მომხრეა მიწების იძულებით ჩამორთმევის... იგი აგრეთვე მომხრეა ფართო ადგილობრივი თვითმმართველობის ადგილობრივი საკანონმდებლო ფართო უფლებებით“. ირკვევა, რომ მაშინ ეს მოთხოვნები მეტად მემარცხენედ მიაჩნდათ და ერთხელ ილიას საუბარში ამის გამო შეუნიშნავს კიდეც—სოციალისტს მეძახიან, არ ვიცი, რამ შეაშინათო. ირკვევა, რომ 1905 წ. რევოლუციის პერიოდში ილიამ გადახედა და რამდენიმედ შეასწორა საკუთარი აგრარული მოძღვრება, აღიარა რა „მიწების იძულებით ჩამორთმევა“.

სახელმწიფო საბჭოში ილია ჭავჭავაძის პროგრესულ-გამანთავისუფლებელ ნაყოფიერ მოღვაწეობაზე ნათელ წარმოდგენას იძლევა საბჭოს შემდეგ არჩევნებში შავრაზმელი პურიშკევიჩის ასეთი განცხადება: „ილია ჭავჭავაძე ავირჩიეთ და შეგვარცხვინა—მემარცხენეებში ჩაეწერა; მოგვეცით თვითმპყრობელობისა და მონარქის ერთგული ვინმე, ჩვენ მას ავირჩევთ, თუგინდ წერა-კითხვა არ იცოდეს, სხვა მიმართულებისას კი არ გავაჭაჭანებთ“ [1].

დასტურდება, რომ ილია ჭავჭავაძე სახელმწიფო საბჭოში არათუ მიემხრო მემარცხენე პროგრესულ მიმართულებას, არამედ ფაქტობრივ თაოსნობდა კიდეც ამ მიმდინარეობას. სწორედ ამის შედეგი გახდა ილიას ვერაგული მკვლელობა. ცარიზმს ილია უაღრესად საშიშ პიროვნებად, რევოლუციური აღმავლობის გამაღრმავებლად მიაჩნდა და გადაწყვიტა მისი თავიდან მოშორე-

[1] ჟურნ. „განათლება“, 198 წ. № 3—4, მ. ბოლქვაძის „ახალი წარსულიდან“.

ბა. მართლაც, სახელმწიფო საბჭოს სხდომებიდან საქართველოში დაბრუნებული ილია მეფის ჯალათებმა სულ მალე გამოასალმეს სიცოცხლეს.

სწორედ ამ პერიოდში, როცა ჭავჭავაძე და სხვა მისი თანამოაზრენი ესოდენ დიდ იმედებს ამყარებდნენ სახელმწიფო საბჭოზე, სახელმწიფო სათათბიროზე, ადგილობრივ თვითმმართველობაზე, მომრიგებელ მოსამართლეობასა და ცარიზმის მიერ ხალხის მოსატყუებლად გამოგონილ სხვა არჩევით ორგანოებზე, ბოლშევიკები, ლენინისა და სტალინის მეთაურობით, განუმარტავდნენ რა ხალხს მეფის ხელისუფლების ამ ოინებს, აქტიური ბოიკოტის ტაქტიკას იცავდნენ. „ცხადია, ერთად-ერთი სწორი გზა აქტიური ბოიკოტია,—წერდა ი. სტალინი,—რომლის შემწეობითაც მოვახდენთ რეაქციის იზოლაციას ხალხისაგან, მოვაწყობთ სათათბიროს ჩაშლას და მით უნიადაგოდ დავტოვებთ ამ დასახიჩრებულ პარლამენტს“[1].

7. ილია საქართველოს საზოგადოებრივ წოდებათა და კლასთა ურთიერთ დამოკიდებულებისა და სოციალური დანიშნულების შესახებ

ა. ილიას შეხედულებანი კლასებზე და კლასთა ბრძოლაზე საქართველოს ისტორიაში

ილია ჭავჭავაძის შეხედულებანი საქართველოს ისტორიის და სოციალ-ეკონომიური ურთიერთობის ისტორიის არსებითი პრობლემების შესახებ, გარდა იმი-

[1] ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. 2, გვ. 198.

სა, რომ უაღრესად მრავალმხრივია, მეტად ორიგინალურია და ლოგიკურ ღრმააზროვნებით ხასიათდება, ამასთანავე ისინი უდავოდ ფრთხილ და კრიტიკულ დამოკიდებულებას მოითხოვენ მკვლევართაგან.

ილია ჭავჭავაძე საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიას არ განიხილავდა როგორც კლასთა ბრძოლის ისტორიას. ილია დარწმუნებული იყო მასში, რომ „ჩვენს ძველს ცხოვრებაში დას-დასად დაყოფა ერობისა არ არსებობდა. არ არსებობდა იმ მხრით, რომ ერთს წოდებას რაიმე წარმომადგენელობა ჰქონოდა უპირატესობით ქვეყნის საქმეთა გამგეობაში და მეორეს—არა, და ერთს ამით ეჩაგრა მეორე. ჩვენში ყველანი ერთნაირად უხმონი და უფლებას მოკლებულნი იყვნენ წინაშე უმაღლესის მთავრობისა. თუ რაიმე მაგალითებია ჩვენს ისტორიაში, რომ ჩვენს ხელმწიფეებს კრება მოუხდენიათ და მოუწვევიათ სამღვდელონი და დიდკაცნი რჩევისათვის, ეგ ამ წოდებათა განსაკუთრებითს უფლებას კი არ მოასწავებდა, არამედ უფლებას თვით ხელმწიფისას, რომელიც თავის სურვილისამებრ თუნდა მოიწვევდა და თუნდა არა“ [1].

ასე ჰქონდა წარმოდგენილი ილია ჭავჭავაძეს პოლიტიკური და იურიდიული, თითქო თანაბარი უფლებამოსილება, ე. ი. მას ერთნაირ უფლებრივ მდგომარეობაში ესახებოდა როგორც დიდგვარიანი უმსხვილესი ფეოდალები უგავლენიანესი ეკლესიათმსახურები, ვაჭრები, ასევე ყმურ მდგომარეობაში მყოფი გლეხკაცობა.

კიდევ მეტი, ამ წოდებათა ეს უფლებრივი თანასწორობა თითქო ეკონომიური საფუძველით იყო გაპირობე-

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ნაწერების სრული კრებული, ტ. VIII, გვ. 56.

ბული. მაშასადამე, ილიას აზრით საქართველოში წოდებები, კლასები ისტორიულად თანაბარ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ არა მარტო უფლებრივ-პოლიტიკურ სფეროში, არამედ, თურმე, ეკონომიურადაც. ილიას აზრით ეს უკანასკნელი ნათელ გამოხატულებას საქართველოს აგრარულ ურთიერთობის ისტორიაში პოულობს. ილიას ღრმა რწმენით: „ეკონომიური ძალი კი, რომელიც დღეს ჩვენში მარტო მიწის-მფლობელობიდამ წარმოდგება, და ყოველივე, რაც ამ ძალის შედეგი ოდესმე იქნება, ჩვენში ვერც ერთმა წოდებამ, ღვთის მადლით, ვერ გაისაკუთრა და დღეს ჩვენში გლეხიც იმისთანა მფლობელია მიწისა, როგორც თავადი, აზნაური, ეკლესია; დღეს ჩვენში გლეხი მემკვიდრეობით ბინადარია იმ მამულზედ, რომელიც ყოველს გლეხს მამაპაპით დაჩემებული აქვს. თითონ ბატონ-ყმობის უფლებაც კი არ ყოფილა ჩვენში კუთვნილებად ერთისა და იმავე წოდებისა: გლეხთაც, როგორც თავად-აზნაურთა და ეკლესიას, შეეძლოთ ყმების ყოლა. ამის მაგალითი ხშირია იმერეთში“ [1].

---

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწ. სრული კრებ., ტ. VIII, გვ. 59.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ კლასობრივი ბრძოლის თეორიას ბურჟუაზიული მეცნიერებიც კი იზიარებდნენ მარქსამდე და მარქსის შემდეგაც. ამის შესახებ თვითონ მარქსი ვაიდემაიერისადმი მიწერილ წერილში ჯერ კიდევ 1852 წ. წერდა: „რაც შეეხება მე, უნდა ვთქვა რომ ჩემს დამსახურებას არ წარმოადგენს არც კლასთა არსებობის, და არც კლასთა ბრძოლის აღმოჩენა თანამედროვე საზოგადოებაში. ბურჟუაზიულმა ისტორიკოსებმა გაცილებით ჩემზე ადრე დაასურათეს ამ კლასთა ბრძოლის ისტორიული განვითარება (იგულისხმება ტიერი, გიზო და სხვ. ა. ი.), ხოლო ბურჟუაზიულმა ეკონომისტებმა—ეკონომიური ანატომია ამ კლასებისა“ (იგულისხმება პეტი, სმიტი, კენე, რიკარდო, სისმონდი და სხვ. ა. ი). იხ. კ. მარქსის „რჩეული ნაწერები“, გვ. 537, 1935 წ).

ილიას ამგვარი დამოკიდებულება კლასობრივი ბრძოლის თეორიისადმი და ამ უარყოფითი დამოკიდებულების დასაბუთება უდავოდ პრიმიტიულია იმ ეპოქისათვის, რომელშიც ილია მოღვაწეობდა.

ილია ამავე მოსაზრებას აღრმავებს, როცა წერს: „ჩვენში გლეხთა მიერ მიწის მფლობელობას ისეთივე კერძოობითის საკუთრების მნიშვნელობა აქვს როგორც თავად-აზნაურისას, მღვდლისას, თუ სხვისას. ჩვენში მფლობელობა კომლეულია, მემკვიდრეობითი და სამუდამო ყველა წოდებათა შორის... განსხვავება არის მამულის მეტ-ნაკლებობაში, როგორც თითონ თავად-აზნაურთა შორის, ისეც გლეხთა შორის"[1].

ამრიგად გამოდის, რომ საქართველოში არც ეკონომიურ და არც პოლიტიკურ ურთიერთობის სფეროში ისტორიულად არასოდეს არ ჰქონია ადგილი წოდებების (იგივე კლასების) ინტერესთა დაპირისპირებას, არ ჰქონია ადგილი მათ უფლებრივ-ეკონომიურ განსხვავებას და ძლიერებისაგან სუსტების ჩაგვრას; ისე რომ გლეხი, ეკლესიათმსახური, აზნაური და თავადი ამ მხრივ ისტორიულად, ილიას აზრით, თითქო ერთნაირ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ.

ილია ჭავჭავაძის ამგვარი წარმოდგენა საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაზე, რასაკვირველია, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს; იგი ეწინააღმდეგება შინაგანად იმ სწორ დებულებებს, რომელიც ილიას აქვს განვითარებული საქართველოს ისტორიის და ეკონომიური ისტორიის ძირითად საკითხებზე, როგორც ამაში თვით მკითხველი რწმუნდება. სწორედ ეს გადახვევამდე მისული წინააღმდეგობა გახდა საფუძველი ყველა იმ შეცდომა-შეუსაბამობისა, რომელიც ილია ჭავჭავაძის ისტორიული და სოციალ-ეკონომიური ხასიათის ზოგიერთი ნაშრომის დამახასიათებელია.

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ნაწერების სრული კრებული, ტ. VIII, გვ. 54.

ამრიგად, ილია ჭავჭავაძე, უარყოფდა რა საქართველოს ისტორიაში წოდებათა შორის უფლებრივ-ეკონომიურ განსხვავებას, ბრძოლას, იმ დასკვნამდე მიდიოდა, რომ „ჩვენში თავად-აზნაურობას დღევანდლამდე თითქმის მარტო ის უპირატესობა ქონდა, რომ მოკითხვის წიგნებში ბრწყინვალედ იხსენიებოდა და გლეხი კი არა“ [1].

საქმე იმაშია, რომ ილია ისტორიაში, საერთოდ, როდი უარყოფდა კლასებს და კლასობრივ ბრძოლას, პირიქით აღიარებდა მას და იგი ისტორიული განვითარების შემადგენელ თითო კანონზომიერ მოვლენად მიაჩნია. მაგრამ ილია ამ შემთხვევაში გამონაკლისს მხოლოდ საქართველოს მიმართ დაუშვებს. ამ მოსაზრებას მრავალთაგან ნათლად ადასტურებს ილიას შემდეგი სიტყვები: „იმ ბრძოლას და შეხეთქებას წოდებათა შორის უფლების დასაპყრობად, გასავრცობად, რომელიც ევროპაში იყო და ეხლაც არ გათავებულა, და რომელიც

---

[1] ი. ჭავჭავაძე, წაწერ. სრული კრებული, ტ. VIII, გვ. 58.

ილია ჭავჭავაძის ამ თავადაზნაურულ-ლიბერალური შეხედულებების წინააღმდეგ პირველად გაილაშქრა ნაროდნიკული ინტელიგენციის „იმედის“ ჯგუფის მწერლებმა—მაგ., ნ. ხიზანიშვილმა, სტ. ჭრელაშვილმა, ნ. ხუდადოვმა და სხვებმა. ხოლო 1900 წელს ნ. ყორდანიამ ილია ჭავჭავაძის ამ კონცეფციის ყველა დებულების გასაბათილებლად თითქმის უცვლელად გადმოწერა დასახელებული მწერლების დასკვნები. — იხ. მისი „ქართული პრესა“. ასე რომ მცდარია მოსაზრება ვითომ ილიას ამ დრომოჭმულ შეხედულებათა წინააღმდეგ გაბედული ბრძოლა ნ. ყორდანიას გაეჩაღებინოს. ნ. ყორდანიამ ეპიგანურად გაიმეორა ის, რაც ნაროდნიკმა პუბლიცისტებმა ბევრად ადრე შესძლეს.

უპირველესი მიზეზი იყო ერის წყობა-წყობად დაყოფისა, ჩვენში ადგილი არა ჰქონია“ [1].

ილიას რწმენით „ევროპაში მიზეზია—და დიდ საბუთიანიც, —წოდებათა შორის დაჯახებისა, ერთმანეთთან შეხეთქებისა, ერთმანეთის ცილობისა. ჩვენში რა არის, აბა, მაგის მსგავსი?“ [2] დაჟინებით იმეორებს ილია.

გააჩნია თუ არა ილიას რაიმე საფუძვლები ამგვარი გამონაკლისის დაშვებისათვის? ეგუება თუ არა ეს საბედისწერო გამონაკლისი ილია ჭავჭავაძის მწყობრ ლოგიკურად მტკიცედ ჩამოყალიბებულ ერთიან თეორიულ სისტემას?

ეს უადგილო გამონაკლისი ხორცშეტია ილიას ნააზრევში. იგი პირდაპირ წინააღმდეგობაში იმყოფება ილია ჭავჭავაძის მიერ კარგად მომარჯვებულ საკვლევაძიებო, შედარებით-ისტორიულ მეთოდთან და ამ მეთოდის გამოყენების საფუძველზე მიღებულ იმ სწორ პრინციპული მნიშვნელობის დასკვნებთან, რომლის საფუძველზედაც თვით ილია წერს: „რაც უნდა ერთმანეთზე დაშორებულნი ქვეყნები აიღოთ და სულ სხვადასხვა თვისებისანი, ნახავთ, რომ ეკონომიური მსვლელობა და განვითარება ყველგან ერთ-გვარი და ერთნაირი ყოფილაო“ [3].

თუ საზოგადოებრივი განვითარების საერთო საყოველთაო კანონები და კანონზომიერება არსებობს, რომლისგანაც საქართველოს ისტორიული მსვლელობა არაფრით არ განსხვავდებოდა, მაშინ რა ლოგიკური საფუძვლები გააჩნია ილიას ამ საერთო კანონზომიერებისაგან ნებსი-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ნაწ. სრული კრებული, ტ. VIII, გვ. 56.
[2] იქვე, გვ. 58.
[3] იქვე, გვ. 134.

თი გამონაკლისები დაუშვას მხოლოდ საქართველოს მიმართ და გამოაცალკევოს იგი განვითარების ამ საერთო პროცესიდან? აშკარაა, ილია აქ გამოუვალ წინააღმდეგობაში ექცევა, ეს შეუსაბამობა და წინააღმდეგობა ლოგიკურად სრულებით არ ეგუება ილია ჭავჭავაძის საერთო ნააზრევს.

მაშასადამე, ილიას მსჯელობა იმის შესახებ, რომ საქართველოში, განსხვავებით ევროპისაგან, კლასობრივ ბრძოლას ადგილი არ ჰქონია, არა აქვს და არც შეიძლება ჰქონოდა, შინაგანი წინააღმდეგობის შემცვლელია და მოკლებული მეცნიერულ საფუძვლიანობას. მიუხედავად ამისა, გარკვევით უნდა აღინიშნოს, რომ ილია ჭავჭავაძე მხოლოდ სუბიექტურად, დაუსაბუთებლად, ხელაღებით უარყოფდა კლასებს და კლასობრივი ბრძოლის ფაქტს საქართველოში, თუმცა ობიექტურად „კაკო ყაჩაღის“ და „კაცია ადამიანის“ ავტორს, რასაკვირველია, არ დარჩენია შეუმჩნეველი წოდებათა, კლასთა ინტერესების დაპირისპირება და კლასთა ბრძოლა.

ეროვნული ერთიანობა ილიას ესაჭიროებოდა არა მარტო ცარიზმის წინააღმდეგ მიმართულ საქართველოს ეროვნულ-გამანთავისუფლებელი ბრძოლის წარმატებით დაგვირგვინებისათვის, არამედ თვით საქართველოს, ქართველი ხალხის საერთო ბედნიერების თვალსაზრისითაც. ილია წერს: „... ნუთუ ყოველი ჩვენგანი არ უნდა ცდილობდეს სრულიად აღმოფხვრას ჩვენთა წოდებათა შორის განხეთქილების მიზეზნი, რომ ჩვენი ცხოვრება წარმოადგენდეს ერთს დიდებულს დენას შეერთებულის ძალისას“ [1].

---

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწერ. სრული კრებული, ტ. VIII, გვ. 62.

ილია ამასთანავე წერს: „ჩვენი გულითადი რწმენა ყოველთვის ისა ყოფილა და არის, რომ ერის წარმატება, ქონებრივი თუ გონებრივი, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ერთწოდებათა დაუყოფლად, დიდ-პატარაობის განურჩევლად და გამოუკლებლად ერთიანის მეცადინეობითა და გარჯით ცხოვრების გზა გაიკვლიოს და ბურთი ბედისა გაიტანოს“ [1].

მომწოდებელი შთამაგონებელი სიტყვებით მიმართავდა ილია ქართველობას (განურჩევლად წოდებისა და კლასებისა), როცა იგი წერდა: „თვითეული ჩვენგანი გლეხია, თავადი, აზნაური, ქალი თუ კაცი—სულ ყველანი ერთად ქართველები ვართ, ჭირსა და ლხინში განუყრელი“ [2]. მაგრამ ილია ჭავჭავაძის ეს ქადაგებანი განუხორციელებელ ოცნებად რჩებოდა, რამდენადაც სოციალური დიფერენციაციისა და კლასობრივი ბრძოლის გამწვავების გამო წოდებათა მორიგების ილიასებურ კონცეფციას ყოველგვარი ნიადაგი ეცლებოდა. ილია თვითონვე ამჩნევდა ამას. ამით აიხსნება ილია ჭავჭავაძის ერთგვარი უიმედობა ამ იდეების განხორციელებისათვის, რომელსაც იგი შემდეგი განწყობით გადმოგვცემს: „სად არის ქართველი და ქართველობა,—კითხულობს ილია და იქვე პასუხობს,—არიან თავადნი, აზნაურნი, მღვდელნი, ვაჭარნი, გლეხნი ჩინიანი და უჩინონი, ყველანი არიან და ქართველები კი არსად არის. თავადს აზნაური სძულს, აზნაურსა—თავადი, გლეხსა ორივე. ნუთუ ესენი ქართველები არიან ერთის დედის, საქართველოს ოჯახის შვილნი?“ [3]

---

[1] გაზ. „ივერია“, 1893 წ, № 1.
[2] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, „დროება“, 1882 წ, № 231.
[3] გაზ. „დროება“, 1876 წ, № 27.

გარკვევით უნდა აღინიშნოს, რომ ილია ჭავჭავაძის ნააზრევში კლასობრივი ანტაგონიზმის უარყოფა საქართველოში და წოდებრივ (არსებითად კლასობრივ) წინააღმდეგობების მშვიდობიანი გზით მორიგება გარდა იმისა, რომ შემცველია შეურიგებელი შინაგანი წინააღმდეგობების და არ წარმოადგენს ლოგიკურ შემადგენელ ელემენტს ავტორის მთლიან იდეურ კონცეფციისათვის, როგორც ხელოვნური, მოგონილი და ნაძალადევად მიმატებული რამ, ამასთანავე იგი (კლასთა მორიგების თეორია) დასაბამი გახდა ამ მცდარი თეორიიდან გამომდინარე ყველა იმ უმართებულო დასკვნისა, რომელმაც თავისი გამოხატულება ავტორის ლიბერალურ და რეფორმისტულ შეხედულებაში ჰპოვა.

ილია ჭავჭავაძე თვითონ მომსწრე გახდა ამ საკუთარ მცდარ შეხედულებათა ცხოვრების მიერ გაბათილება-გაქარწყლებისა. იგი იმ რწმენით შეეგება მე-20 საუკ. დასაწყისს, რომ: „დღეს ღარიბსა და მდიდარს შორის, ძლიერსა და უძლურს შორის უფრო დიდი ზღვარი არის, ვიდრე ოდესმე ყოფილა, და აქ არის იგი სიმწვავე იმ ტკივილისა, რომლის მორჩენაც მეცხრამეტე საუკუნემ უანდერძა აწ მომავალს საუკუნეს. მეცნიერება, ადამიანის გონების წინსვლა, ზნეობის აღმატება,—ჯერ ბევრს სხვას ჯიდევ ძლევამოსილებით მოიქმედებს, მაგრამ ამ მეცხრამეტე საუკუნის ანდერძზე უაღრეს და უდიდესს საგანს სხვას ვერავის აღმოაჩენს და არ გაუთვალისწინებს კაცობრიობას დღეის ამას იქით“ [1].

ამრიგად დასტურდება, რომ 900-იანი წლებიდან ილია ხალხის მაშინდელ ცხოვრებაზე უფრო ღრმად

---

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწ. სრ. კრებ., ტ. VI, გვ. 8.

დაკვირვების შედეგად თითქო დარწმუნდა თავისი წინანდელი შეხედულების მცდარობაში, თუმცა მისი უარყოფა და მაგიერის მოცემა ილიამ ველარ მოასწრო და ვერ შესძლო.

მიუხედავად ამისა ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძე სიკვდილამდე შეურყეველად დარჩა გამათავისუფლებელ და პროგრესულ-ჰუმანური იდეების გაბედულ მქადაგებლად. ამას ადასტურებს ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო საბჭოში, როგორც წევრისა, მოღვაწეობა ცარიზმის რეაქციის უმძიმეს წლებში ილია გაბედავს და პირველი აღიმაღლებს ხმას, მთელს იმპერიაში საჯაროდ, სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ. ილიას ეს მოთხოვნა წამოყენებული იყო 1905 წ. რევოლუციის დამარცხების შემდეგ ჩამოწოლილი შავბნელი რეაქციის წლებში. როცა ცარიზმი რევოლუციონერ მუშებს, გლეხებს და ინტელიგენციას მასიურად ჟლეტდა, პროფესიონალურ რევოლუციონერებს სახრჩობელებზე ჰკიდებდა, და აი, სწორედ ამ დროს ილია ჭავჭავაძე სპეციალური მოხსენებით გამოვიდა სახელმწიფო საბჭოში და მისთვის დამახასიათებელი პრინციპულობით და გაბედულობით აღიმაღლა ხმა რუსეთის იმპერიაში სიკვდილის დასჯის წინააღმდეგ. ილიას აზრით „убийство, смертная казнь, стала таким обычным явлением, события этого рода до того приучили нас относиться к ним равнодушно, что притупилось чувство для возмущения и ощущения всей жестокости этих явлений, а это открывает путь к огрубению в стране народного чувства. Подобные события перестали быть новостью. Не зло-

варивает уже чувство возмущения" (დედანი ამ ტექსტისა ინახება საქართველოს მწერალთა მუზეუმში)[1].

გარდა იმისა, რომ ილიამ გაილაშქრა სახელმწიფო საბჭოში სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ, ამასთანავე სახელმწიფო საბჭოს პირველი სესიის (22 ივნისის) სხდომაზე ილია ილაშქრებს სახელმწიფო საბჭოში ბიუროკრატიული რეჟიმის დამკვიდრების წინააღმდეგ, რომლითაც დეპუტატები მოწყვეტილი იყვნენ ხალხს, და ანვითარებს იმ მოსაზრებას, რომ დეპუტატი ხალხის მსახურია, ამიტომ ხალხიდან მოწყვეტილი არ უნდა იყოსო. ილია წერს: „... Совет воспрещает являться депутациям, а также представлять словесные или письменные заявления и просьбы. Весьма понятно, что законодатели имели в виду оградить свое спокойствие и свободное отправление своих обязанностей путем недопущения подачи различных заявлений и просьбы прямо в Государственны Совет или посредством писем... Это немного напоминает ненавистное начало узко-бюрократического режима, который полагает, что не правительственные лица и учреждения существуют для народа, а народ—для этих учреждений" (კურსივი ჩვენია. ა. ი.)[2].

---

[1] იხ. საქ. ცენტრარქივის ჟურნ. „საისტორიო მოამბე", წ. 3, გვ. 60, ა. იოვიძის პუბლიკაცია.

[2] იხ. საქ. ცენტრარქივი ჟურნ. „საისტორიო მოამბე", წ. 3, გვ. 271, ა. იოვიძის პუბლიკაცია.

ბ. „გუთნის“, „ხმლის“ და „ოქროს“ სოციალური შინაარსი, ურთიერთდამოკიდებულება და დანიშნულება

გარდა „გუთნისა და მიწისა“, ილია ჭავჭავაძეს ისტორიული პროცესის გასაგებად და ერის ისტორიის თუ აწმყო და მომავალი ბედის გასარკვევად კიდევ ორი სხვა აგენტი, ფაქტორი გამოყავს. ესენია „ოქრო“ და „ხმალი“, რომლებიც ერთმანეთს ედაეებიან ქვეყნის დაპატრონებისათვის, ხოლო უგნურებს დავიწყნიათ, რომ არსებობს „გუთანი“, რომელიც ეშმარიტი პატრონია ქვეყნის. ილია „გუთანს“ ამ კონტექსტში, ე. ი. ხმალთან და ოქროსთან მიმართებაში განხილვისას, სავსებით განსხვავებული თვალსაზრისით განიხილავს და მის ცნებაში სოციალურ შინაარსს სდებს. ილია მხატვრულ ფორმებში გადმოკვცემს თავის შეხედულებას. იგი წერს: „ქვეყანა ვისია? ყოველივე ჩემიაო,—ამბობს ოქრო. ყოველივე ჩემიაო,—იძახის ხმალი. ყოველსფერს ვიყიდიო,—მოჰკვეხს ოქრო. ყოველსფერს ხელში ვიგდებო,—იქადის ხმალი. მითამ ეგრეა?—კითხულობს ილია და უპასუხებს,—არა გვგონია. ჩვენის ფიქრით, თავმოწონებულს ოქროს და გაზვიადებულს ხმალს, ამ ორს პატიოსანს მეტოქეს, დაჰვიწყებიათ, რომ ქვეყანაზედ მაგათ გარდა არის ერთი კიდევ რაღაცა, რომელსაც, თუ არ პირველი, უკანასკნელი ადგილი არ უჭირავს ქვეყნის განაწილებაში. მართალია, ის ერთი რაღაცა ქედმოხრილია, ჩუმი, წყნარი, უწყინარი, ტანად მრუდე, მაგრამ გულით მართალი და პირად ბრწყინვალეა. იგი ხმაამოუღებლივ ხმაგაკმენდილი, ფეხმძიმედ დაიარება ქვეყანაზედ: არცა

ჰკვეხს, არცა ბაქიაობს, არც არავის ერჩის, არც არავის ეცილება და საქმობს თავის-თავად დინჯად, აუშფოთებლად, სულ მუდამ და დაუძინებლივ. იმას რომ ერთს ბეწო ხანს ჩასთვლიმოს, არც ოქროსლა ექმნება რამე სასყიდავი და არც ხმალს მოსატაცებელი. იმას რომ ერთს ბეწო ხანს ჩასთვლიმოს-მეთქი, არ ვიცი, ქვეყანას რა დაემართებოდა, თუნდა ოქროს მთები იდგეს და ხმლების ტყეები. უიმისოდ ოქროს ქვეყანაზედ მოედანი არა აქვს და არც თითონ ძალოვანს ხმალს დიდი და ხანგრძლივი მანძილი. ის ერთი რაღაცა—გუთანია. აი ამ ტეტია გუთანს—განაგრძობს მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატი ილია ჭავჭავაძე—შეუძლიან ოქროსა და ხმლის შუა ჩადგეს და თავისებურად დინჯად და მშვიდობიანად უთხრას: „შენ, ოქროვ, უჩემოდ უქმი ხარ, არაფერში გამოსაყენებელი... შენ შენით რა ხარ? სახედარი და სხვა არაფერი. თუ მე აგკიდე რამე, ხომ რა კარგი, თუ არა და ზედაც რომ არავინ შემოგხედოს, ბევრს არას დაჰკარგავს. ხმალო, შენ-კი... იქნება უჩემოდ შესძლო რამე, მაგრამ ისე კი, როგორც ნიალვარი: მოვარდები, წარღვნი, წალეკავ, მილეწ-მოლეწ, ბოლოს კი, როცა იქნება, ჩაივლი და ჩაშრები, და თუ მე მომიმხრობ—მაშინ კი ქვეყანა „ჩვენია“ [1]. ეს მეტად გრძელი, მაგრამ უაღრესად დამახასიათებელი ამონაწერი დახმარებას გვიწევს ილია ჭავჭავაძის ეკონომიურ-ისტორიული და სოციალური კონცეფციის ტექსტუალურად, ყოველმხრივ, კონტექსტში გაგებისათვის. ამრიგად, ისტორიის ასპარეზზე განსხვავებული შინაარსით მოვლენილი „გუთნის“ გარდა „ოქრო და ხმალი“ გამოდის და

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ნაწერ. კრებ., ტ. VI, გვ. 163—164.

უკანასკნელნი ცდილობენ ისტორიას დასაბამი მისცენ, ისტორიული პროცესი თავის ნებაზე წარმართონ. „ხმლის“ და „ოქროს“ დიალოგიდან აშკარად ჩანს, რომ უპირატესობა ქვეყნის დაპატრონებისათვის ბევრად მეტი გააჩნია „ხმალს“, ვიდრე „ოქროს“, მაგრამ ორივეზე მაღლა მაინც „გუთანი“ დგას. ილია დარწმუნებულია, რომ ყველა ჩამოთვლილი „ფაქტორი“ მეტ-ნაკლები სიძლიერით მოქმედებს ისტორიაში და ამდენად თავის დაღს დააჩნევს ისტორიის განვითარებას; მაგრამ ამათგან უპირატესია, როგორც ძირითადი დომინირებული ძალა, „გუთანი“, რომელიც დანარჩენებს განსაზღვრავს.

უდავოა, რომ ილია ჭავჭავაძეს მსჯელობა ტექნიკურ-ეკონომიური სფეროდან სოციალურ სფეროში გადააქვს და ერთიანი ეროვნების შიგნით აღმოცენებულ კლასთა ურთიერთდამოკიდებულების უფრო, სწორად, კლასთა მორიგების თვალსაზრისით განიხილავს. ამიტომ ამ კონტექსტში, უდავოა, „გუთანს“—გლეხობა გამოხატავს, „ხმალს“—თავადაზნაურობა, ხოლო „ოქროს“—ვაჭართა კლასი. ამდენად დიალოგი არსებითად, ბუნებრივია, შეეხება რეალურად არსებულ ამ სამ კლასს შორის ურთიერთდამოკიდებულებას, თითოეულის როლს და მნიშვნელობას, როგორც ერის შემადგენელ საზოგადოებრივ-სოციალური ძირითადი ნაწილებისას.

ილია ჭავჭავაძე აქ ჩამოთვლილი კლასებიდან ყველაზე ნაკლები სიმპათიებითაა განწყობილი „ოქროსადმი“, ე. ი. ვაჭართა კლასისადმი. ილიას რწმენით, „გუთანს“, ე. ი. გლეხობას, დამშვიდებით შეუძლია უთხრას „ოქროს“: „შენ შენით რა ხარ. სახედარი და სხვა არაფერი. თუ

მე აგკიდე რამე, ხომ რა კარგი, თუ არა და ზედაც არავინ შემოგხედავს, ბევრს არას დაჰკარგავს“.

მაშასადამე, „ოქროს“ თუ რამე ღირებულება გააჩნია, ისიც მხოლოდ და მხოლოდ „გუთნის“ წყალობით, თუ არადა იგი ზედ შეხედვის ღირსიც კი არ არის, თუ-გინდ ოქროს მთებიც რომ იდგეს. ასეთია ილიას წარმოდგენით ოქრო, რომელიც ესოდენ ბევრს ტრაბახობს, რომ ქვეყნიერებას დავეპატრონებიო. პრინციპულად, მაგრამ სულ სხვა თვალსაზრისით, ასეთსავე დამოკიდებულებას იჩენდნენ ფიზიოკრატები—ქენე, ტიურგო და სხვანი ოქროსადმი მერკანტელისტების წინააღმდეგ ბრძოლაში.

რაც შეეხება „ხმალს“, ე. ი. თავადაზნაურობას, ილიას აზრით, იგი სრულიად განსაკუთრებული მოვლენა და იარაღია ერის ისტორიაში, რომელსაც თავისებური მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს „გუთნისა და მიწის“ შემდეგ; მხოლოდ ერთი პირობით: თუ „ხ მ ა ლ ი“ „გ უ თ ა ნ ს“ უ კ ა ვ შ ი რ დ ე ბ ა, უ მ ე ე ბ ო ბ რ დ ე ბ ა, ამდენად უპირატესობა, რასაკვირველია, აქაც „გუთნის“ მხარეზეა. ამას ნათლად ადასტურებს დიალოგის მომდევნო ადგილები—მაგ., „გუთანს“ შეუძლია მიმართოს „ხმალს“: „ხმალო, შენ-კი... იქნება უჩემოდ შესძლო რამე, მაგრამ ისე კი, როგორც ნიაღვარი—მოვარდები, წარღვნი, წალეკავ, მილეწ-მოლეწ, ბოლოს კი, როცა იქნება, ჩაივლი და ჩაშრები, და თუ მე მომიმხრობ—მაშინ ქვეყანა ჩვენია“. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია უკანასკნელი—„თუ მე მომიმხრობ, მაშინ ქვეყანა ჩვენია“... „ხმლისა“ და გუთნის“ წყალობითაა, რომ არსებობს დღეს ქართველი ერი; რომ ეს არ ყოფილიყო, ქართველი ერი „დედამიწას არ შერჩებოდა და დედამიწა ერსა“ და განა „გუთანი“ და „ხმალი“ მარტო ისტორიუ-

ლად გვესაჭიროებოდა ჩვენ?—ფიქრობს ილია, — განა „გუთანსა“ და „ხმალს“ დღეისათვის დაკარგული აქვს თავისი გადამწყვეტი მნიშვნელობა? სრულებითაც არა, იგი არა მარტო ისტორიის და აწმყოს საფუძველია, არამედ მომავლისაც. მოვუსმინოთ თვით ილიას: „ეს ერთი მუჭა ხალხი რამ შეგვინახა?—და იქვე უპასუხებს,— ხმალმა და გუთანმა. ჩვენ რომ დღეს ბინა გვაქვს, ადგილზე რომ ფეხ-მოკიდებულები ვართ, სხვებსავით არ დავიქსაქსენით, არ გადავცვივდით აქეთ-იქით, ჩვენ რომ ამდენს დაუძინებელს მტრებს გავუძელით და გადავრჩით, ჩვენი ერი რომ დედამიწას შერჩა და დედამიწა ერსა,—ეგ იმიტომ,—რომ ერთს ხელში ხმალი გვეჭირა და მეორეში გუთანი დასაბამითგანვე დღემდე. ესეც ვიქნებით შემდეგშიაც, თუ ეგ ორი უძლეველი ძალღონე ერის სიმკვიდრისა ხელთ გვექნება“[1]. ამრიგად, „დასაბამიდან დღემდე“ ხელში „ხმალი“ და „გუთანი“ გვეჭირა; ასევე „ვიქნებით შემდეგშიაც“. „გუთანი და ხმალი“ ასევე ერის არსებობის, მისი ისტორიის, აწმყოსა თუ მომავლისათვის მარადიული განუშორებელი კატეგორიაა.

ილია პირდაპირ მოუწოდებს ქართველ ხალხს: „გუთანი, ქართველებო, გუთანი! და ხმალი იყოს ფარი მისი (გუთნის. ა. ი.). თავი და ბოლო აქ არის, დამიჯერეთ. წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო, ნათქვამია. მყობადი იმისია, ვინაც მიწაზე ფეხგადგმულია და მიწას ამოქმედებს ხმლის მფარველობის ქვეშ“ (კურსივი ჩვენია ა. ი.). როგორც მოტანილ განსა-

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწ. კრებ., ტ. VI, გვ. 165.

ზღვრიდან ჩანს, ი. ჭავჭავაძის შეხედულებით „ხმალი“ და „გუთანი“ კი არ გამოირიცხავს „მიწას“, არამედ ორივე მხოლოდ „მიწას“ ეყრდნობა, იქიდან ღებულობს საზრდოს; „ხმალი“ და „გუთანი“ „მიწის“ გარეშე ყოველგვარ მნიშვნელობას კარგავს, მათი განუყრელი მთლიანობა, კავშირი და ერთმანეთისადმი მჭიდრო დამოკიდებულება ისტორიული განვითარების საფუძველია. ასეთია ილია ჭავჭავაძის ისტორიულ-ეკონომიური და სოციალური მრწამსი, საქართველოს ისტორიაზე საერთოდ და კერძოდ ისტორიულად არსებული ორი ძირითადი კლასის, გლეხების—„გუთნის“ და თავადაზნაურობის—„ხმლის“, სინონიმური მნიშვნელობა არსის შესახებ.

ილია ჭავჭავაძეს „გუთნისა“ და „ხმლის“ ამგვარი ურთიერთობა არ მიაჩნია მხოლოდ საქართველოს ისტორიის სპეციფიკურ დამახასიათებელ მოვლენად, იგი აზოგადოებს მას და ცდილობს მსოფლიო ისტორიული მოვლენები, მსგავსად საქართველოს ისტორიისა, ახსნას „გუთნისა“ და „ხმლის“ ფაქტორებზე დაყრდნობით, მათი ურთიერთ მიმართებით და დამოკიდებულებით. ილიას აზრით „გუთანი“ და „ხმალი“ თუ ერთმანეთთან შეთანხმებულად არ მოქმედებს, თუ რომელიმე ერი ხმალს აძლიერებს, ხოლო გუთანს სრულიად ივიწყებს. სულერთია, ასეთ ერს, რაგინდ ძლიერიც იყოს იგი, დაღუპვა მოელის. ილია წერს: „თითონ დიდი რომი, თითქმის მთელი ქვეყნის მპყრობელი, დაეცა, იმიტომ რომ მარტო ხმალი ეჭირა ხელში და გუთანი კი არა“ [1].

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ნაწერ. კრებ., ტ. VI, გვ. 165

ჩვენ აქ ვერ შევეხებით მიზეზებს, რომელმაც დასცა რომი, მაგრამ ილიას ამ განსაზღვრაშიაც რომ მარცვალი ჭეშმარიტებისა მოიპოვება, ამაში დაეჭვებაც არ შეიძლება; რომ „დიდმა რომმა“ გაძლიერებული მილიტარიზაციისა და განუწყვეტელი ომების წყალობით თავისუფალი მკვიდრი გლეხობა გაანადგურა, ხოლო ამით კი, სხვა ძირითად მიზეზებთან ერთად, დააჩქარა თავისი ძლიერების დაცემა, ეს უდავოა. მართალია, ილიას აზრით: „წარჩინებულნი ერნი ევროპისანი თითქმის სულ ხმლით მისეულნი ერნი არიან. მაგრამ საცა-კი მივიდნენ, ყველგან გუთანი მიიმხრეს, და აჰა, დღესა ვხედავთ, რომ ყოვლად მტკიცენი და მკვიდრნი არიან თავის ადგილებში. იმათი ადგილიდამ დაძვრა ვეღარაფერმა ვერ შესძლო. არიან და იქნებიან უკუნისამდე“ [1]. მაშასადამე, ხმალი გუთანს უნდა დაუკავშირდეს, გუთნის გარეშე ხმალს ძალა ეკარგება; წარჩინებული ევროპა ერთ დროს ხმლით გაბატონდა, მაშასადამე გუთანი მიიმხრო. ხმლითა და გუთნით კი ქვეყანა შეინარჩუნა. მაგრამ ყველა ძლიერ ხალხს როდი ჰქონდა ეს ბრძნული ცნება შეგნებული. ამის მაგალითი, ილიას აზრით, სხვათა შორის მონგოლებიც არიან. მონგოლებმა „მარტო ხმალს დაუჯერეს, ისინი მარტო ხმალს მიენდვნენ: მიესივნენ ქვეყანას, დაიპყრეს ქვეყნები, დასწვეს, შეჰმუსრეს, მიანგრ-მოანგრიეს და ბოლოს ხომ თვითონაც მტვრად აღგვილ იქმნენ“ [2].

ცნობილია, რომ მონგოლები ისტორიულ არენაზე XIII საუკუნიდან გამოდიან, როგორც მებრძოლურად ორ-

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწერ. კრებ., ტ. VI, გვ. 164—165.

[2] იქვე.

განიზებულნი; ისინი უამრავ ქვეყნებთან ერთად იპ-ყრობენ კავკასიას და, მათ შორის, საქართველოს. მათი ძირითადი საწარმოო ცხოვრება იყო არა ბინადარი მი-წათმოქმედება, არამედ ძირითადად ისინი მეურნეობრი-ვად მეჯოგეობისა[1] და მონადირეობის საფეხურზე თუ იმყოფებოდნენ იმ დროს; ამიტომ მათი ცხოვრება არა-ბინადარ, უფრო მოხეტიალე-მომთაბარული ხასიათისა იყო.

ილია ჭავჭავაძეს მიწათმოქმედება—„მიწა“ და „გუ-თანი“ მიაჩნია ისტორიული განვითარების გარკვეული საფეხურის შედეგად. ამ თვალსაზრისიდან გამოსულს, ცხადია, არ შეეძლო მესაქონლე-მეჯოგე, ჯერ კიდევ ნახევრად ბარბაროსულ მონგოლთა ტომებში ბინადა-რი სამიწათმოქმედო ცხოვრება დაენახა. განვითარების ამ საფეხურამდე მონგოლები მაშინ ჯერ კიდევ არ იყვნენ მიღწეულნი. მეჯოგეობაზე და მის ისტორიულ მნიშვნელობაზე ილია ჭავჭავაძე სპეციალურად არ ჩერდება.

ამ მოხეტიალე მეჯოგე მებრძოლი ტომების ეფემერუ-ლი გაერთიანება, მახლობელი შედარებითი კულტურის უფრო მაღალ საფეხურზე მდგომი სახელმწიფოების დაპყრობის, ძარცვისა და დარბევის მიზნით, დროე-ბით (პერიოდულად) თავის მიზანს აღწევს, ხოლო შე-მდგომ, როცა ეს ეფემერული გაერთიანება ისტორი-ული აუცილებლობით იშლება, მონგოლთა ძლიერე-ბაც, რომელიც სხვა ქვეყნების დაპყრობა-დამონებასა და ძარცვაში აისახა, ერთბაშად ეცემა. ილია ჭავჭავაძე ამ დაცემას ხსნის მით, რომ მონგოლებ-

[1] Энциклопедический Словарь, Т-ва Гранат, том 29.

მა, რომლებსაც ხმალი ძლიერი ჰქონდათ, ვერ შესძლეს, ვერ მოახერხეს ხმლის გუთანთან დაკავშირება და სწორედ ამიტომ დამარცხდნენ. ასეთია ილიას აზრით „გუთნისა“ და „ხმლის“ ურთიერთობა, მათი სოციალ-ეკონომიური არსი და დანიშნულება ერის ძლიერების განმტკიცების საერთო საქმეში.

გ. ძალმომრეობის როლი ისტორიაში და „ხმლის“ სამართლიანი დანიშნულება

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ საჭიროა გაირკვეს უფრო არსებითად, თუ ილია კონკრეტულად რა როლს აკუთვნებს „ხმალს“, როგორც ეროვნებისათვის ესოდენ საჭირო აუცილებელ შემადგენელ ელემენტს; მაინც რა მიზნებს უნდა ემსახურებოდეს საკუთრივ „ხმალი“ ილიას გაგებით?

ჩვენ დავრწმუნდებით, რომ ილიას ისტორიული მოვლენები, საერთოდ, ყოველთვის ეროვნულ საკითხებთან მიმართებაში აინტერესებს და ყოველთვის ეროვნებასთან უმჭიდროეს კავშირში განიხილავს მათ; ამდენადვე აინტერესებს ილიას თავისებურად წარმოდგენილი საქართველოს ისტორიის მამოძრავებელი ძალებიც, მათ შორის „ხმლის“ დანიშნულებაც.

როგორც დავრწმუნდით, ილია „გუთნის“ გვერდით და „გუთანთან“ განუყრელ კავშირში „ხმალს“ ერთ-ერთ გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს ერის ისტორიულ, აწმყო და მყობად ცხოვრებაში. ილია ხომ პირდაპირ ამბობს ქართველი „ერი რომ დედამიწას შერჩა და დედამიწა ერსა,—ეგ იმიტომ—რომ ერთს ხელში ხმალი

გვჭერია და მეორეში გუთანი“ [1]. მაშასადამე, ილიას რწმენით, ხმალი ერს კარზე მოსული მტრისაგან უნდა იცავდეს, ხმალი ფარი უნდა იყოს ერის. ეს არის ხმლის პირდაპირი დანიშნულება; ხმალი არაა ბუნებით მოწოდებული იქითკენ, რომ იმით დაიმორჩილონ უიარაღო მშვიდობიანი ადამიანები და ასევე სხვა ერების დაპყრობაც აწარმოონ. მაგრამ ილიამ მშვენივრად იცის, რომ ხმალს, სამწუხაროდ, თითქმის არასოდეს არ იყენებდნენ დანიშნულებისამებრ საერთოდ. ხმლით არა მარტო იცავდნენ, არამედ იმორჩილებდნენ, ჩაგრავდნენ უდანაშაულოებს, რომ ამიტომ „ხმალი“ ძალდატანების იარაღი უფრო გახდა. ილია თავის ამგვარ შეხედულებას ხმალზე ასე გადმოგვცემს: „რასაკვირველია, ხმალი მაშინ უფრო კარგია, როცა იგი ფარია და არა სატევარი. მაგრამ რასა იქ? ეს უბედური ქვეყანა ისე დაეწყო, რომ ხმალი უფრო სატევრობს, ვიდრე ფარობს“ [2].

ილიას აწუხებს, რომ ხმალი უფრო „სატევრობს“, ვიდრე ფარობს, რომ ხმლით უფრო სუსტებს იმორჩილებენ, ვიდრე იცავენ მათ და საკუთარ უფლებებს, ამიტომ ხმალი რომ მართლა ხმალსა ჰგავდეს, იგი მხოლოდ „ფარი უნდა იყოს“ და არა სატევარიც. ასეთია დიდი ჰუმანისტის განსაზღვრით ხმლის, როგორც სამშობლოს დასაცავად აღმართული იარაღის, კეთილშობილური ნამდვილი დანიშნულება.

---

[1] ილიას შეხედულებანი „გუთანისა და მიწის“ ურთიერთ დამოკიდებულებაზე უაღრესად საყურადღებო მოვლენაა აქ აღძრულ საკითხებთან დაკავშირებით; ამ საკითხს ჩვენ ვეხებით ცალკე სპეციალურ წერილში.

[2] ი. ჭავჭავაძე, ნაწერ. კრებ., ტ. VI, გვ. 165 (კურსივი ჩვენი).

მაგრამ „ხმალს“, ილიას აზრითვე, ასეთად (სატევრად და ფარად) ყოფნას, საუბედუროდ, უკარნახებს ქვეყნის უკეთმართობა, რომელიც სოციალურ დაპირისპირებაში, კლასობრივ ბრძოლაში აშკარავდება, თორემ ხმალი მხოლოდ ფარი უნდა იყოს. ილია პირდაპირ მოუწოდებს ქართველობას იქითკენ, რომ „ხმალი“ გამოყენებულ იქნეს მხოლოდ როგორც „ფარი“ გუთნისა, ე. ი. პატიოსანი და მშვიდობიანი შრომის მთელი ერის ინტერესების დასაცავად.

მაშასადამე, ილიას განსაზღვრით „ხმლის“ ჭეშმარიტი, სამართლიანი დანიშნულება მდგომარეობს ერისა და მისი მიწა-წყლის დაცვაში—გუთნისა და გუთნით ნაღვაწის დაცვაში. ეს არის ხმლის წმიდათა-წმიდა უმწიკვლო დანიშნულება. ამიტომ „ხმალი“ მშვიდობიანი და თავისუფალი მშრომელის უძლეველი და უძვირფასესი იარაღია.

ილიას აზრით, ერს „ერთ ხელში ხმალი უნდა ეჭიროს და მეორეში გუთანი“; აი საითკენ მოგვიწოდებს ილია. ხმლისა და გუთნისამგვარი განსაზღვრა, მათ მთლიანობასა და დაპირისპირებაში ამ სახით მოცემა, ილია ჭავჭავაძის სოციალ-ეკონომიური და ისტორიული შეხედულების გასაგებად საგულისხმო და საყურადღებო მოვლენაა.

მაგრამ, ილიას რწმენითვე, „ხმალს“ ქვეყნის უკეთმართობის გამო დაეკისრა მისი არაბუნებრივი მეორე დანიშნულებაც, რომლის შედეგადაც „ხმალი“ იარაღია დამორჩილების, ჩაგვრის, ძალდატანების და დაპყრობის, და ამის შედეგად მარტო „ფარი“ კი არაა, არამედ ამასთანავე უმეტესად „სატევარია“. ეს უკანასკნე-

ლი დაღუპვას უქადის თვით „ხმალს“, ზიანი მოაქვს „გუთნისთვის“ და ასევე მთელი ეროვნებისათვის.

მონგოლებმა, რომლებიც მარტოკა ხმლის ძალას მიენდვნენ, გუთანი დაივიწყეს და ამის გამო კიდეც დამარცხდნენ. ხოლო ევროპელები, რომლებიც უმრავლესად, მართალია, ხმლით მოსულნი არიან, ვინაიდან მათ ხმალს გუთანიც მიაშველეს, მკვიდრნი და ურყევი შეიქნენ, საუკუნოდ დამკვიდრდნენ.

ილია, „ხმალს“ განიხილავს რა ყოველმხრივ მიმართებაში „გუთანთან“, საქართველოს ეროვნული მთლიანობის კონცეფციიდან გამოსული, ცდილობს გაარკვიოს საქართველოში წოდებების (კლასების), სოციალ-ეკონომიური დანიშნულება.

„ხმლისა“ და „გუთნის“ ცნების ამგვარი გააზრება ეროვნული მთლიანობის ასპექტში არსებითად გვევლინება თავადაზნაურობისა და გლეხობის კლასობრივ ინტერესთა შერიგების ილიასეული თეორიის სახესხვაობად—მისი სხვა კუთხიდან განხილვის საყურადღებო ცდად. ამასთანავე ირკვევა, რომ ილია ხმლის ცნებაში, როგორც ძალმომრეობის იარაღში, გარკვეულ შინაარსსა სდებს და სათანადო როლს ანიჭებს მას საზოგადოებრივ განვითარებაში.

ძალდატანებას, ძალმომრეობას გარკვეული როლი გააჩნია ისტორიაში, მარქსიზმ-ლენინიზმს ამ საკითხზე გარკვეული მოძღვრება მოეპოვება, მაგრამ ამ მოძღვრების თვალსაზრისით ძალმომრეობას სავსებით განსხვავებული მნიშვნელობა ენიჭება ისტორიული პროცესისა და სოციალური ურთიერთობის სწორად გაგებისათვის, ვიდრე ამას წარმოადგენს ილია ჭავჭავაძე.

მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლები—მარქსი და ენგელსი, ეხებოდნენ რა ძალმომრეობის მნიშვნელობის შეფასებას, მისი როლისა და რაობის არსს საზოგადოებრივი განვითარების ისტორიაში, კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდნენ უმართებულო ბურჟუაზიულ ლაყბობას, ძალმომრეობის დიურინგისებურ გაგებას.

დიურინგი ცდილობდა დაემტკიცებინა, თითქოს „ძალმომრეობა ისტორიის საფუძველს წარმოადგენს“ [1]. დიურინგი კიდევ უფრო შორს მიდიოდა ძალმომრეობის ძალდატანების როლის განსაზღვრისას. ენგელსი ამაზე, წერს: „ბატონი დ ი უ რ ი ნ გ ი თანამედროვე საკუთრებას ძალმომრეობის საკუთრებას უწოდებს და მას ახასიათებს როგორც „იმ ბატონობის ფორმას, რომელიც დაფუძნებულია არა მარტო მოყვასისთვის საარსებო ბუნებრივი საშუალების წართმევისა, არამედ აგრეთვე, რაიცა ბევრად მეტს ნიშნავს, ადამიანის დამორჩილებაზე მონური შრომის შესასრულებლად“, ამრიგად, დიურინგი „საქმის ვითარებას ყირამალა ატრიალებს“ [2]—შენიშნავს ენგელსი.

ილიამ, როგორც დავრწმუნდით, თავისებურად იცის მნიშვნელობა და როლი ძალდატანებისა ისტორიაში და სათანადო განსაზღვრასაც აძლევს მას. ილიას აზრით, შიშველი ძალდატანება უნიადაგო და ხანმოკლეა, თუ იგი განმტკიცებული არაა „გუთნით“. ენგელსი თითქოს ამაზე წერს: „ძალმომრეობა ანაწილებს—რას?—ეკითხება იგი დიურინგს,—რაიმე უნდა იყოს გასანაწილებელი, წინააღმდეგ შემთხვევაში ყოვლისშემძლებელი ძალაც ვე-

[1] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, „ანტი-დიურინგი“, 1933 წ., გვ. 129.
[2] იქვე.

რაფერს გაანაწილებს... ძალას შეუძლია იგი წ ა ი ღ ო ს, მაგრამ მისი შ ე ქ მ ნ ა არ შეუძლია“ [1] — შენიშნავს იქვე ენგელსი.

მაგრამ ისმის საკითხი თვით ძალმომრეობის იარაღზე, ამ შემთხვევაში „ხმალზე“, როგორც საწარმოო ძალთა განვითარების გარკვეული დონის შედეგზე. ენგელსი წერს: „ხმლით აღჭურვილი რობინზონი პარასკევას იმონებს საიდამ აქვს მას ხმალი? თვით რობინზონადების ფანტასტიურ კუნძულებზე დღემდე ხმლები ხეებზე არ იზრდება“ [2].

ენგელსი აქვე განაგრძობს, რომ: „ისევე, როგორც რობინზონს შეეძლო ხმალი ეშოვა, ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ ერთ მშვენიერ დღეს პარასკევა გამოჩნდება გატენილი რევოლვერით შეიარაღებული და მაშინ მთელი ,,ძალმომრეობის“ ურთიერთობა შეტრიალდება: პარასკევა ბრძანებლობას იწყებს, ხოლო რობინზონი იძულებულია იმუშაოს... მაშასადამე,—განაგრძობს ენგელსი,—რევოლვერი იმარჯვებს ხმალზე... აქედან ნათელია, რომ ძალმომრეობა უბრალო ნებისყოფის აქტს კი არ წარმოადგენს, არამედ მეტად რეალურ წინაპირობებს მოითხოვს თავისი მოქმედებისთვის, სახელდობრ სამუშაო იარაღებს, რომელთაგანაც უფრო სრულქმნილი ნაკლებ სრულქმნილს სჯობნის. შემდეგ ეს სამუშაო იარაღები უნდა წარმოებულ იქნას, რაიცა ამავე დროს იმას ნიშნავს, რომ სრულქმნილი ძალმომრეობის იარაღის, ან მარტივად რომ ვთქვათ, თოფ-იარაღის მწარმოებელი ამარცხებს ნაკლებ სრულქმნილის მწარ-

---

[1] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, „ანტი-დიურინგი“, გვ. 179.
[2] იქვე, გვ. 133.

მოებელს; ერთი სიტყვით, ძალმომრეობის გამარჯვება დაფუძნებულია იარაღის წარმოებაზე, ხოლო ეს უკანასკნელი წარმოებაზე საზოგადოდ, მაშასადამე, ეკონომიურ ძალაზე"[1]. ძნელია ვიფიქროთ, რომ ილია არ სცნობდეს სამხედრო ტექნიკის განვითარების ფაქტს ისე, როგორც ამას თავისებურად წარმოიდგენს სოფლის მეურნეობის ტექნიკის განვითარების დარგში; ეს კარგად გამოირკვა „გუთნის" ცნების ორმაგი თვალსაზრისით (ილიასებურად) განსაზღვრისას; ილია „ხმალს" ანალოგიური თვალსაზრისით აქ არ განიხილავს, მაშასადამე ილია „ხმალს" ამ შემთხვევაშიაც განიხილავს მხოლოდ და მხოლოდ სოციალური, წოდებრივი მოვლენის სინონიმური მნიშვნელობით და მსგავსად „გუთნის" ცნებისა არა ორგვარი მნიშვნელობით, ე. ი. სოციალური და ტექნიკურ-ეკონომიური მნიშვნელობით, როგორც ამაში ზემოთ სათანადოდ დავრწმუნდით. მიუხედავად ამისა, ერთი კი უდავოა, რომ ილიასათვის გაურკვეველია საერთოდ საწარმოო ძალთა განვითარების მატერიალური საფუძვლები, ისევე-როგორც თვით საწარმოო ძალების განვითარების როლი დამნიშვნელობა საერთოდ ისტორიაში, ამიტომ შემთხვევითი არაა ის გარემოება, რომ ილია „ხმალს", როგორც ძალდატანების იარაღს, და საერთოდ ძალდატანების როლს ისტორიული პროცესის გარკვევისათვის სათანადოდ ვერ აფასებს და სწორად ვერ წარმოიდგენს.

---

[1] ფ. ენგელსი, „ანტი-დიურნგი", გვ. 133—134.

ილია ბევრად უსწრებს დიურინგს და მის მსგავს ბურჟუაზიულ მოაზროვნეებს ამ საკითხშიაც. თუ დიურინგი „ხმალს“, როგორც ძალდატანების იარაღს, სრულიად მოწყვეტით და გათიშვით განიხილავს საერთოდ ყოველგვარი საწარმოო იარაღისაგან, საზოგადოების ეკონომიური საფუძვლებისაგან, ილია „ხმალს“ მჭიდროდ და განუყოფლად უკავშირებს „გუთანს“, გუთნის გარეშე ხმალს ძალა ეკარგება, ილიას შეხედულებით, ამდენად „გუთანი“ საფუძველია და განმსაზღვრელიც, როგორც უმნიშვნელოვანესი ბაზა „ხმლისა“.

ილია ჭავჭავაძე სოციალ-ეკონომიური პრობლემების შედარებით სწორ გადაწყვეტას ახერხებდა კვლევა-ძიების თავისებურ მეთოდებზე დაყრდნობით. იგი კრიტიკულ-რეალისტური თვალთახედვით მიუდგება სოციალური მოვლენების ანალიზს და სოციოლოგიურ მეცნიერებათა ყველა დარგში კარგად დაეუფლა ისტორიულ კრიტიკასა და შედარებით მეთოდს. კიდევ მეტი, ილია „მაშინდელი ქართველი მკითხველისა და მკვლევართათვის ისტორიული კრიტიკისა და შედარებითი მეთოდის განმარტებას“ [1] არაერთგზის გვაძლევს, რადგან ამ მეთოდებმა მეტად უხეში გაყალბება განიცადა, მაგ., ნაროდნიკ ივ. ჯაბადარის ხელში; ილია ამაზედაც არ შეჩერებულა და „საქართველოს წარსულის შესასწავლად ამ ორი მეთოდის მარჯვედ და ნაყოფიერად გამოყენების რამდენიმე მაგალითიც უჩვენა“ [2] (კურსივი ავტორისაა). ამ მაგალითებზე ჩვენ თავის ადგილას უკვე შეჩერდით.

---

[1] იგ. ჯავახიშვილი, „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“, გვ. 13.
[2] იქვე.

ილია ჭავჭავაძე მხოლოდ თავისი ღრმა ინტუიციისა და დიდი ერუდიციის წყალობით მიხვდა, რომ „ხმალი", როგორც ძალდატანების იარაღი ისტორიაში და საერთოდ ძალდატანების როლი ისტორიულ განვითარებაში, განსაზღვრულია, რომ ძალდატანება გარკვეული მატერიალური ბაზისს გარეშე თავის აზრს კარგავს. ძალდატანება და მისი იარაღი „ხმალი" „გუთანს" უნდა უმადლოდეს.

ენგელსი წერს: „თოფისწამლის და ცეცხლისმსროლელი იარაღის შემოღება სრულიადაც ძალმომრეობის აქტი არ იყო, არამედ ინდუსტრიულ, ეკონომიურ პროგრესს წარმოადგენდა" [1].

მარქსიზმ-ლენინიზმს მოეპოვება ერთადერთი სწორი შეხედულება ძალდატანების როლსა და მნიშვნელობაზე ისტორიაში. ძალდატანებას დიდი მნიშვნელობა აქვს ისტორიულ განვითარებაში; ძალდატანება ისტორიაში რევოლუციონურ როლს ასრულებს. ამას გარკვევით მიუთითებენ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები. კ. მარქსი წერს: „ძალდატანება ბებია ქალია ყოველი ძველი საზოგადოებისა, როდესაც იგი ახლის მშობიარეა; ძალდატანება თვით ეკონომიური პოტენციაა" [2]. ენგელსი დიურინგს იმასაც უსაყვედურებდა, რომ დიურინგი ამ შემთხვევაშიც ყოველთვის უკიდურესობაში ექცეოდა. ენგელსი წერს „ბატონი დიურინგისთვის ძალმომრეობა აბსოლუტურ ბოროტებას წარმოადგენს. პირველი ძალმომრეობის აქ-

---

[1] ფ. ენგელსი, „ანტი-დიურინგი", გვ. 134.
[2] კ. მარქსი, „კაპიტალი", ტ. I, გვ. 693.

ტი მას ცოდვაში შთავარდნად მიაჩნია. მთელი მისი ნაწერი წარმოადგენს იერემიას გოდებას... რომ ისტორია... ყველა ბუნებრივი და საზოგადოებრივი კანონი სამარცხვინოდ გაყალბებულია ამ ეშმაკის იარაღით, ძალმომრეობითო“ [1]. ცნობილია, რომ არც ილია მიიჩნევს ძალმომრეობას ბედნიერებად, პირუკუ, მას ძალმომრეობა საერთოდ ზედმეტად მიაჩნია. ილია ხომ გარკვევით ამბობდა, რომ „ხმალი მაშინაა უფრო კარგი, როცა იგი „ფარია“ და არა „სატევარი“, მაგრამ რასა იქ?—წუხილით დასძენს ილია—, ეს უბედური ქვეყანა ისე დაეწყო, რომ ხმალი უფრო სატევრობს, ვიდრე ფარობს“ [2]. ძალდატანების როლის განსაზღვრისას ენგელსი დიურინგს ცალმხრივობას უსაყვედურებს. ენგელსი წერს: „ბატონი დიურინგი კრინტსაც არ სძრავს იმის შესახებ, რომ ძალმომრეობა სხვა როლსაც ასრულებს ისტორიაში, რევოლუციონურ როლს, რომ იგი, ბებია ქალია ყოველი ძველი საზოგადოებისა, რომელიც ორსულადაა ახლით, რომ იგი იარაღია, რომლის შემწეობითაც საზოგადოებრივი მოძრაობა გზას იკვლევს და გაქვავებულ მომაკვდავ პოლიტიკურ ფორმებს ამსხვრევს [3].

* *

ილია ჭავჭავაძეს სოფლის მეურნეობა მიაჩნდა უმთავრეს და განმსაზღვრელ დარგად სახალხო მეურნეობისა. ამიტომ, ბუნებრივია, მისი ყურადღების ცენტრიც მთლიანად ამ დარგისადმი და იქ აღმოცენებული სოციალური წინააღმდეგობების გადაწყვეტისადმი იყო მიპყრობილი.

[1] ფ. ენგელსი, „ანტი-დიურინგი“, გვ. 149.
[2] ი. ჭავჭავაძე, ნაწერ. კრებული, ტ. VI, გვ. 165.
[3] ფ. ენგელსი, „ანტი დიურინგი“, გვ. 149—150. ასევე იხილეთ მისივე: „Роль насилия в истории“,

ილია უფრო მოგვიანებით, რასაკვირველია, ამასთანავე კარგად ამჩნევდა კაპიტალიზმის განვითარების შედეგებს ჩვენში, მაგრამ 80-ან წლებამდე ილია მაინც იმ აზრისა დარჩა, რომ:

„ჩვენში ეკონომიური ძალღონე ჯერ კიდევ სოფელია და სოფლის მეურნეობა. ჩვენებური ქალაქები ამ მხრით არავითარ შემწეობას არ აძლევენ ჩვენს ქვეყანას, რადგან იგინი უფრო მჭამელნი არიან, ვიდრე მომცემნი რისიმე... დღეს გამრჯელი, მწარმოებელი და მომცემი ჩვენში მარტო სოფელია და მისი საეკონომიო მოქმედებაა ერთად-ერთი სახსარი ჩვენის ცხოვრებისა, თავის რჩენისა და გამოკვებისა. ამიტომაც ჩვენი სრული ყურადღება მარტო სოფელს უნდა თავს დასტრიალებდეს, მარტო სოფელს“.[1] ასეთი იყო ილიას მრწამსი გარკვეულ პერიოდამდე, რომელიც შემდეგში ერთგვარ ცვლილებას განიცდის და თითქო ახალ მიმართულებას დაადგება კიდეც. თუმცა ილიას ამავე განსაზღვრიდან ყურადღებას იპყრობს ავტორის ასეთი გამოთქმა: „ჯერ კიდევ სოფელია და სოფლის მეურნეობა“, მაშასადამე, ილიას სწამდა, რომ ადრე თუ გვიან კაპიტალიზმის განვითარების შედეგად საქართველოში ამგვარი დამოკიდებულება შეიცვლებოდა, სოფელსა და ქალაქს შორის, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის სხვაგვარი ურთიერთობა დამყარდებოდა, ისე რომ სოფელზე ქალაქი გაბატონდებოდა, სოფლის მეურნეობაზე კი მრეწველობა.

ილია ძველ საქართველოში, როგორც დავრწმუნდით, თავისებურად გააზრებული გუთნის (გლეხობის) და

[1] გაზ. „ივერია“, 1893 წ., № 4, მეთაური წერილი.

ხმლის (თავადაზნაურობის) გარკვეულ ურთიერთ დამოკიდებულებას ხედავდა. ახლებურად გაგებული და ახალ ურთიერთობით გაპირობებული „გუთანი“, ილიას აზრით, კვლავ რჩება, როგორც უმთავრესი ძარღვი ეროვნებისა, მხოლოდ „ხმალს“—თავადაზნაურობას, ახალი სოციალ-ეკონომიური პირობების გამო, ჩამოშორდა ის ფუნქციები, რომელიც მას წინათ გააჩნდა. ამრიგად, თუ ძველ საქართველოში თავადაზნაურობა გარკვეულ სოციალურ ფუნქციას ასრულებდა, დღეს ისინი საზოგადოების პარაზიტებად იქცნენ. ამიტომ თუ „აზნაურების არსებობა სრულიად გასაგები იყო ძველს საქართველოში,—თანამედროვე საქართველოში, რუსეთის მთავრობის ქვეშევრდომ საქართველოში, აზნაურთა არსებობა არამც თუ ანაქრონიზმს წარმოადგენს, არამედ კანონით მოწესრიგებული ძარცვა-გლეჯაა. ეს წოდება... მოვალე იყო დაეცვა ხალხი გარეშე მტრებისაგან, რომლებიც საქართველოს არ აკლდენ, ამიტომ ხალხი ხალისით არჩენდა აზნაურებს, როგორც მის დამცველ ჯარს... ახლა აზნაურების მოვალეობას გარეშე მტრებისაგან ხალხის დაცვას—რუსეთის მთავრობა და ჯარი ასრულებენ... მაგრამ მთავრობის სასარგებლოდ გაღებულ გადასახადთან ერთად, ხალხი მოვალეა ხარჯი აძლიოს თავად-აზნაურობასაც. რისთვის? რა სამსახურისათვის?“ კითხულობს ავტორი[1].

რასაკვირველია, თავისთავად ამ საყურადღებო განსაზღვრაში ყველაფერი რიგზე როდია; იგი მართალია მე-19 საუკუნეში უკვე დაცემის გზაზე დამდგარ თავადაზნაუ-

[1] ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. 1, გვ.164—165. ს. ხუნდაძის რედ., სტატია „ბლეხთა განთავისუფლება საქართველოში“.

რობის წინააღმდეგაა მიმართული, მაგრამ სინამდვილეში თავადაზნაურობის ისტორიული როლის იდეალიზაციასთან მაინც გვაქვს ჩვენ საქმე. აქ მიჩქმალულია ხალხის როლი სამშობლოს დაცვის საქმეში, იგი მთლიანად თავადაზნაურობაზეა დაკისრებული. მექანიკურ უკიდურესობამდეა გამიჯნული ერთმანეთისაგან ქვეყნის თავდაცვა და სახალხო მეურნეობა ისევე, როგორც მეტად თავისებურადაა გააზრებული სოციალ ეკონომიური ფუნქციები გლეხობისა და თავადაზნაურობის.

რასაკვირველია, მე-19 საუკუნეში საქართველოს რუსეთთან შეერთების დღიდან და განსაკუთრებით რეფორმის შემდეგ თავადაზნაურობის უკიდურესობამდე დაცემა მართლაც რომ საყოველთაოდ შესამჩნევი აშკარა ფაქტი იყო. დაცემის გზაზე დამდგარი თავადაზნაურობის გამოხსნის უიმედობა ქართული ინტელიგენციის მოწინავე ფენებისათვის თითქმის საბოლოოდ გამორკვეული მოვლენა იყო. მაგალითად, აკაკი წერეთელი ამის შესახებ წერდა: „ძველი დრო წავიდა და მას თან გაჰყვა ძველი გვარი თავადაზნაურობაც. ახლა სულ სხვა დრო დადგა, სხვა მოთხოვნილებით და თავადებიც სხვაგვარი გვესაჭიროება... ჩვენი ერი,—განაგრძობს აკაკი,—დღესაც მხოლოდ იმას სცემს თაყვანს და აღიარებს თავადად, ვინც დღევანდელ საქმეს თავში უდგია და ქვეყანას გულწრფელად ემსახურება. ამგვარი მოღვაწე, რომელ წრიდან და რომელ წოდებიდგანაც უნდა იყოს ქვეყნისათვის ერთია. ის აფასებს კაცურკაცობით და არა საისტორიო მოწმობით“ [1].

---

[1] „აკაკის კრებული“, 1900 წ., № 2, „თანამედროვე თავადი“.

კიდევ უფრო მკაცრ დამოკიდებულებას იჩენდნენ ამ მომაკვდავ კლასისადმი ი. გოგებაშვილი,[1] ნ. ნიკოლაძე,[2] გ. წერეთელი და „დროების“ სხვა მწერლები.

ილია ჭავჭავაძე ცდილობს განახლებული სოციალ-ეკონომიური ურთიერთობის შედეგად საზოგადოებრივ-წარმოებითი ურთიერთობის სფეროდან ფაქტიურად გარიყული და უკვე სოციალურ რუდემენტად გადაქცეული თავადაზნაურობა როგორმე შეუგუოს ამ ახალ ურთიერთობას, დააკისროს მას ამ ახალ ცხოვრებაში გარკვეული სოციალური შესაფერი ფუნქცია და ამით იხსნას ისინი უცილობელ განადგურებისაგან, გაღატაკებისა და ეკონომიურ დამონებისაგან. ეს ისეთი პერიოდია, როცა ილია უკვე კარგად ხედავს, რომ სოფელზე ქალაქი დღითი დღე ბატონდება, ძლიერდება ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტური ელემენტები. თავადაზნაურობას ხელიდან ეცლება მიწა, რომელიც ხელთ უვარდება ბურჟუაზიულ ვიგინდარა მევახშე და ვაჭრულ ელემენტებს. თავადაზნაურობის ამ მდგომარეობისაგან გამოსვლისა და თავის დაღწევისათვის ილია, ირკვევა, თავისებურ გზებს სახავდა. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ილია ჭავჭავაძის მიერ 1893 წელს გაზ. „ივერიაში“-ვე გამოქვეყნებული წერილების სერია „ივერიელის“ ფსევდონიმით, რომლის საერთო სათაურია—„მოვალეობა ჩვენი თავადაზნაურობისა“[3].

ამ წერილებში ილია გვევლინება ახალი პროგრამით, რომლის მიზანია თავადაზნაურობის დაღუპვისაგან გა-

---

[1] ი. გოგებაშვილი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 319—320.
[2] ნ. ნიკოლაძე, გაზ. „Обзор“, 1880 წ., № 496.
[3] გაზ. „ივერია“, 1893 წ., № 20, 22, 23 (მეთაური).

დარჩენა და იმათი დაყენება ახალი ცხოვრების გზაზე. ილია წერს: „ჩვენს თავადაზნაურობას უნდა კვლავ ეჭიროს ხელში პირველობა, მთავარი ადგილი, ცხადია, რომ სამრეწველოდ აღძრულს ახალსა და ნორჩს ძალღონეს მოთავეობა უნდა გაუწიოს, მძიმე სამრეწველო ურმის თავში თითონვე უნდა შეებას". ილია გარკვევით მიუთითებს, რომ „ჩვენში ჩნდება სრულიად ახალი დარგი მრეწველობისა, მაგრამ ერის ყოფაცხოვრებაც ისეთია, რომ საკუთრად თვითონ არ შეუძლიან ჯერჯერობით ხელი მოჰკიდოს დროთა შესაფერ საქმეების განხორციელებას. თაოსნობა და მეთაურობა ჩვეულებისამებრ უნდა იკისროს უფლებითა და უპირატესობით მოსილმა ნაწილმა ერისამ", ე. ი. თავად-აზნაურობამ.

ილია ამ საკითხთან დაკავშირებით ინგლისის მაგალითზე ჩერდება და წერს: „მარტო ინგლისის არისტოკრატია დაადგა უეჭველსა და მართალს გზას (იგულისხმება მრეწველობაში მონაწილეობის გზა. ა. ი.) და თუ სურს ქართველ თავადაზნაურობას არ უღალატოს თავის წოდების ანდერძს და უვნებლად გადურჩეს საისტორიო განვითარების დუღილს, მანაც მონაწილეობა უნდა მიიღოს სამრეწველო მოღვაწეობაში"—ხოლო, როცა—„თავადაზნაურობა ჩაიგდებს ხელში სამრეწველო განვითარებისა და წარმოების ღერძს... მის საპოლიტიკო სიბრძნეზეა დამოკიდებული, რაოდენად დიდხანსაც შეირჩენს ქვეყნის ცხოვრებაში როლს მეთაურ თაოსნისას და ხელმძღვანელისას" [1].

ი. ჭავჭავაძე ამავე პერიოდში იძულებულია უარყოს „ხმლის"—თავადაზნაურობის სოციალური ოდინდელი

[1] გაზ. „ივერია", 1893 წ. დასახელებული № №

დანიშნულება და ახალ ცხოვრებაზე ღრმად დაკვირვებული, ცდილობს შთააგონოს პირველყოველისა მცონარე თავადაზნაურობას, თანასწორობისა და შრომის სუფევის ყოვლის შემძლეობა. ილია წერს: „წავიდა ის დრო, დაჩლუნგდა ხმალი, გაუქმდა ვაჟკაცობა. ეხლა ხმალი თაროზე უნდა შევდვათ, აღარაფრის მაქნისია; ეხლა ან ადლი უნდა გვეჭიროს ხელში, ან გუთანი, ან ჩარხი ქარხნისა, ან მავთული მანქანისა. ეხლა ვაჟკაცობა ომისა კი არ უნდა, რომ სისხლსა ჰღვრიდეს; ვაჟკაცობა უნდა შრომისა, რომ ოფლი ჰღვაროს, კიდევ ვიტყვით, ქვეყანა ეხლა იმისია, ვინც ირჯება და ვინც იცის წესი და ხერხი გარჯისა, ვინც უფრო უფრთხილდება ნაშრომს, ვინც იზოგავს ნაღვაწს...“ [1]

აღნიშნულიდან ასევე ნათლად ჩანს, რომ ი. ჭავჭავაძე ჩვენი ქვეყნის ერთადერთ „ეკონომიურ ძალღონეს“ მარტო სოფლის მეურნეობაში აღარ ხედავს, ამიტომ ილიას „ყურადღების საგანიც“ თითქო ამიერიდან „მარტო სოფელი“ აღარ შეიძლება იყოს. მართალია ილიამ შეიგნო ეს ჭეშმარიტება და ამით თავი დააღწია ცალმხრივობას, მაგრამ მიუხედავად ამისა ქალაქი და მისი ეკონომიკის შესწავლა ი. ჭავჭავაძემ მაინც ვერ მოასწრო და ვერ შესძლო.

ამრიგად, ილია ჭავჭავაძე ქვეყნის ბურჟუაზიული განვითარების თავისებურ პროგრამას იძლევა. ილია ცდილობს თავადაზნაურობის ყურადღებისა და ინტერესების სოფლიდან ქალაქში გადმოტანას, ე. ი. გაბატონებული წოდების კაპიტალისტური წარმოების ფერხულში ჩათრევას, როგორც წარმოების ორგანიზატორები-

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, სრ. კრებ., ტ. VI, გვ. 12.

სას; რადგან ილიას აზრით ბოლოს და ბოლოს ინგლისის არისტოკრატიის მსგავსად ამ გზით შეუძლია შეინარჩუნოს ქართველმა თავადაზნაურობამ თავიანთი პრივილეგიური მდგომარეობა. ილია, ირკვევა, სხვათა შორის ამ გზითაც ცდილობდა დაღუპვის გზაზე დამდგარი თავადაზნაურობის გადარჩენას, მისი წოდებრივ-ეკონომიური პრივილეგიური მდგომარეობის შენარჩუნებას— კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების პირობებში; მაგრამ 90-იან წლებში ეს იყო უკვე დაგვიანებული და საერთოდ უიმედო მოწოდება, გარდა იმისა, რომ საქართველოს თავადაზნაურობას საამისო უნარი, ინტერესი და ცოდნა არ შესწევდა, რაც მთავარია, ამ დროს მუშათა კლასსა და მის პარტიას უკვე გააჩნია რევოლუციური გამანთავისუფლებელი პროგრამა. ეს პროგრამა მიზნად ისახავდა როგორც ბურჟუაზიისა და მემამულეების, ასევე ცარიზმის ბატონობის ერთიანად დამხობას.

ფ. ენგელსი ისეთი დიდი შემოქმედის შესახებ, როგორიც ბალზაკი იყო, გენიალურად შენიშნავს, როცა წერს: „ბალზაკი თავის პოლიტიკური შეხედულებით ლეგიტიმისტი იყო, მისი დიადი ნაწარმოები მაღალი საზოგადოების გამოუსწორებელი დაშლის გაუთავებელი ელეგიაა; მისი სიმპათიები გადაშენების გზაზე დამდგარი კლასის მხარეზეა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი სატირა არასოდეს არ ყოფილა უფრო მახვილი, მისი ირონია არასოდეს არ ყოფილა უფრო მწარე, ვიდრე მაშინ, როდესაც იგი აიძულებდა ემოქმედათ სწორედ იმ ადამიანებს, რომელთაც ის ყველაზე უფრო თანაუგრძნობდა, ე. ი. არისტოკრატებსა და არისტოკრატ ქალებს. და ადამიანები, რომლებზეც ის ყოველ-

თვის დაუფარავი აღტაცებით ლაპარაკობს, ესენი არიან მისი ულმობელი პოლიტიკური მოწინააღმდეგენი, რესპუბლიკელები, ქუჩის გმირები... ადამიანები, რომლებიც მაშინ (1830—1835 წ. წ.) ნამდვილად ხალხის მასების წარმომადგენელნი იყვნენ"[1]. ფ. ენგელსის ეს განსაზღვრა არაპირდაპირ თითქო შეეხება დიდ ილიას, მის სოციალურ მრწამს ზემოთ მოყვანილ კონცეფციის გააზრებასთან დაკავშირებით.

დ. ვაჭრობას ადევნებული ერის ისტორიული ბედი და ერისათვის ვაჭრობის მნიშვნელობა

ილია ჭავჭავაძე, ვაჭრობას ეროვნებასთან კავშირში ეხება; ვაჭრობას, მის როლს და დანიშნულებას ისტორიულის, აწმყოს თუ მყობადის თვალსაზრისით არკვევს და უმეტესად მხოლოდ იმის მიხედვით განიხილავს ვაჭრობის ავკარგიანობას, თუ რა გავლენა შეუძლია მოახდინოს მან ეროვნებაზე; ამიტომ ილია ჭავჭავაძის შეხედულებანი ვაჭრობაზე არსებითად აგრეთვე ილიას ეროვნული კონცეფციიდან გამომდინარეობენ.

ილიას აზრით, „ვაჭრობა, რასაკვირველია, საჭიროა ერის ცხოვრებისათვის, იმდენად, რამდენადაც იგი ეზიდება საქონელს იქიდამ, საცა მეტია, იქ, საცა უჭირთ და ამ გზით შლის სიმდიდრის მოფენას და მორიგებას ყველგან"[2]. ეს არის ძირითადი ფუნქცია ვაჭრობის, რაგინდ იდეალურადაც უნდა იყოს იგი დაყენებული. ილია გარკვევით ამბობს: „ვაჭრობა, წესიერადაც გაწყობილი, ამის მეტს სამსახურს ვერ გაუწევს ადამიან-

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, 1949 წ., გვ. 446—447.

[2] ი. ჭავჭავაძე, ნაწერ. კრებ., ტ. VI, გვ. 236.

სა“ [1]... ილ. ჭავჭავაძემ იცის, რომ ვაჭრობა არ ჰქმნის ღირებულებას და ზედმეტ ღირებულებას, ვაჭრობას მხოლოდ მისი გადატანა შეუძლია ერთი ადგილიდან მეორეზე. იგი წერს: „ვაჭრობა არ ჰქმნის სიმდიდრესა; მას მარტო ერთს ადგილიდამ მოჭარბებული სიმდიდრე გადააქვს მეორე ადგილას“ [2]. ილია ჭავჭავაძის ეს მოსაზრებანი ვაჭრობაზე უეჭველად ანგარიშგასაწევია, რადგან ილია ცდილობს ჩაწვდეს ვაჭრობის არსს, მის ნამდვილ ბუნებას. ჩვენ ქვემოთ დავრწმუნდებით, რომ ილია ეროვნული ფარგლებით იზღუდება ვაჭრობის საკითხების გარკვევისას, ხოლო ეს გარემოება მას ხელს უშლის იმისათვის, რომ ბოლომდე და თანამიმდევრად გაარკვიოს ვაჭრობა და მისი ძირითადი დამახასიათებელი თვისებები. ილია ჭავჭავაძისათვის გაურკვეველია ვაჭრობა ისტორიულ განვითარებაში, რომ ვაჭრობის არსი და დანიშნულება იცვლება საზოგადოებრივი ფორმაციების ცვლასთან ერთად. ილია კი ვაჭრობას განიხილავს ეროვნებასთან დაკავშირებით სტატიურობაში. ამიტომ ილიასათვის ვაჭრობაც, ისე როგორც ეროვნება, მუდმივი და გარდუვალი კატეგორიაა,—რომ ვაჭრობა, მისი ბუნება, მისი დანიშნულება, მუდამ ერთია, გარდუვალია, ხოლო ეს კი მასში მდგომარეობს, რომ „მოჭარბებული სიმდიდრე ერთი ადგილიდამ მეორე ადგილას გადააქვს“. არსებითად ილია განსაზღვრავს და გადმოსცემს ვაჭრობის არა მარადიულ ბუნებას და დანიშნულებას, როგორც ეს მას წარმოუდგენია, არამედ ვაჭრობის ფუნქციებს გარდამავალი პერიოდისას ფეოდალურ საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციიდან კა-

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ნაწერ. კრებ., ტ. VI, გვ. 236.
[2] იქვე.

პიტალისტურ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციაში. მარქსი წერს: „თავდაპირველად ვაჭრობა წინა პირობა იყო ამქრული და სოფლურ-ოჯახური მრეწველობისა და ფეოდალური მიწათმოქმედების გადასაქცევად კაპიტალისტურ საწარმოდ. იგი ავითარებს პროდუქტს საქონლად, ნაწილობრივ მით, რომ მას ბაზარს უქმნის, ნაწილობრივაც, მით, რომ მოეზიდება ახალ საქონლურ ეკვივალენტს, ხოლო წარმოებას ახალ ნედლ და დამხმარე მასალებს აწოდებს და ამგვარად დასაწყისს აძლევს წარმოების ახალ დარგებს, რომლებიც იმთავითვე დაფუძნებულია ვაჭრობაზე“ [1].

XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს სოციალ-ეკონომიური ცხოვრება სწორედ ასეთივე გარდამავალი პერიოდით ხასიათდება, ადგილი აქვს ფეოდალურ ურთიერთობათა დაშლას და მის ნანგრევებზე კაპიტალისტურ ურთიერთობათა აღმოცენებას. ვ ა ჭ რ ო ბ ა ა მ დ რ ო ს ძ ი რ ი თ ა დ ა დ გ ვ ე ვ ლ ი ნ ე ბ ა მ ხ ო ლ ო დ ს ა ვ ა ჭ რ ო კ ა პ ი ტ ა ლ ი ს რ ო ლ შ ი, რომელიც შლის არსებულ ურთიერთობას და გზას უკაფავს ახალს; იქმნება შინაური ბაზარი, პროდუქტი საქონლის სახეს ღებულობს, იგი (პროდუქტი) დაპირისპირებაში გვევლინება ახალ საქონლურ ეკვივალენტთან... ილიას არსებითად ამ პერიოდის ვაჭრობაზე და მის ბუნებაზე აქვს მსჯელობა, რომელსაც აზოგადოებს და ზეისტორიულ კატეგორიად მიიჩნევს.

ცნობილია, რომ ვაჭრობა უხსოვარი დროიდანვე ახასიათებდა უძველეს ხალხებსა და ტომებს. ფ. ენგელსი წერს: „ცივილიზაციის დამყარებამდე კლასების წარმო-

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, „კაპიტალი“, ტ. III, გვ. 293.

შობა მხოლოდ წარმოებასთან იყო დაკავშირებული; წარმოების მონაწილე ადამიანები იყოფოდნენ ხელმძღვანელებად და აღმასრულებლებად, ან მსხვილ და წვრილ მწარმოებლებად. აქ პირველად გამოდის კლასი, რომელიც არავითარ მონაწილეობას არ იღებს წარმოებაში, მაგრამ საერთოდ იპყრობს წარმოების მეთაურობას და მწარმოებლებს ეკონომიურად იმორჩილებს" [1]. ესენი ვაჭრები იყვნენ. ვაჭრობის როლი და ფუნქციები ვითარდებოდა და რთულდებოდა საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარებასა და გართულებასთან ერთად. პირველი მოვაჭრე ხალხების საქმიანობა უფრო საშუამავლო ხასიათისა იყო და აგრეთვე პირდაპირი თუ, არაპირდაპირი გზით მწარმოებელი ხალხების ძარცვას მოასწავებდა. მარქსი წერს: „ძველი დროის მოვაჭრე ხალხები არსებობდენ როგორც ეპიკურის ღმერთები— სამყაროს ინტერმუნდიებში ანუ სწორად, როგორც ებრაელები პოლონეთის საზოგადოების სვრეტებში. პირველი დამოუკიდებელი, მძლავრად განვითარებული საავაჭრო ქალაქებისა და მოვაჭრე ხალხების ვაჭრობა, როგორც წმინდა საშუამავლო ვაჭრობა მწარმოებელი ხალხების ბარბაროსობაზე იყო დამყარებული, რომელთა შორის ისინი შუამავლების როლს ასრულებდენ" [2]. საშუალო საუკუნეებში ვაჭრობა ახალი მეთოდებით შეიარაღებული გამოდის უშუალო მწარმოებელთა ძარცვისათვის, იგი იმორჩილებს ქალაქისა და სოფლის წვრილ ხელოსნებს, ზრდის თავის „ფუნქციებს", იგი ცდილობს მიმოქცევისა და წარმოების სფეროთა ხელში ჩაგდებას; ამ

---

[1] ფ. ენგელსი, „ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა", გვ. 198.
[2] კ. მარქსი, „კაპიტალი", ტ. III, გვ. 287.

პერიოდის ვაჭრობაზე მარქსი ამბობს: „საშუალო საუკუნეებში ვაჭარი მარტოოდენ „შემსყიდველია“... ამქრული ხელოსნების ან გლეხების მიერ წარმოებულ საქონელთა“[1].

ასეთი დამოკიდებულება უცვლელია საშუალო საუკუნეების მთელ მანძილზე, იგი იცვლება მხოლოდ კაპიტალისტური ურთიერთობის პერიოდში; ამის შესახებ მარქსი შემდეგს წერს: „კაპიტალისტური საზოგადოების წინასაფეხურებზე ვაჭრობა დაუფლებულია მრეწველობას“[2]; მაგრამ ასევე არ შეიძლება ვაჭრობა დარჩეს მუდამ, ახალი ვითარება სოციალ-ეკონომიური ცხოვრებისა მას (ვაჭრობას) უქადის ამ პრივილეგიურ მდგომარეობის წართმევას; ვაჭრობას კაპიტალისტური ურთიერთობის პირობებში არამცთუ არ შეუძლია დაუფლებული იყოს მრეწველობას, არამედ თვითონაც არ შეუძლია დამოუკიდებელი არსებობა, პირიქით, იგი (ვაჭრობა) თვითონვე ხდება დამოკიდებული მრეწველობაზე. ისტორიულად განვითარება დიდი მოვაჭრე ხალხებისაც ამ საერთო ბედისწერას დაემორჩილა, „ჰოლანდიის, როგორც გაბატონებული მოვაჭრე ნაციის, დაცემის ისტორია არის ისტორია სავაჭრო კაპიტალის დაქვემდებარებისა სამრეწველო კაპიტალისადმი“[3]; და განა მარტო ჰოლანდია შეიძლება დასახელებული იქნეს ასეთად? ეს კანონი ვრცელდება საშუალო საუკუნეების და მომდევნო პერიოდის მთელ მანძილზე, ვაჭრობით სახელგანთქმულ ყველა ქვეყნებზე, იმ ქვეყნებზე, რომლებმაც ალღო ვერ აუღეს ეპოქის ახალ ვითარებას და ვერ შოახერხეს სა-

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, „კაპიტალი“, ტ. III, გვ. 293.
[2] იქვე, გვ. 287.
[3] იქვე. გვ. 290.

ვაჭრო კაპიტალთან დაკავშირებით ქვეყნის შიგნით სამრეწველო კაპიტალის საფუძვლიანად დანერგვა, რადგან, როგორც მარქსი გვასწავლის, „ვაჭრობა კი არ ახდენს მრეწველობის რევოლუციას, არამედ მრეწველობა—მუდამ ვაჭრობის რევოლუციას“ [1]. ილიამ იცის, რომ ვაჭრობის საფუძველი წარმოებაა; წარმოებამ უნდა შექმნას, რომ ვაჭრობამ შექმნილი სიმდიდრე გაანაწილოს მომხმარებლებს შორის, გარეშე ამ ბაზისისა ვაჭრობა არარაობაა. მაგრამ ჩვენ დავრწმუნდით, თუ როგორ აქვს ილიას წარმოდგენილი წარმოება; წარმოება მას წარმოუდგენია (მსგავსად ფიზიოკრატებისა),—ძირითადად როგორც სასოფლო-სამეურნეო, სამიწათმოქმედო მოღვაწეობა ადამიანისა. ამიტომაა, რომ წარმოების გადამწყვეტ ფაქტორებად, როგორც დავრწმუნდით, ილია თავისებურად გაგებულ „გუთანს“ და „მიწას“ აყენებს, ამიტომ, მისი აზრით, ბედნიერია ის ერი, „რომელსაც ხელთ უპყრია გუთანი და მიწაზე ფეხი უდგას—და არაა ვაჭრობით გატაცებული“—იმიტომ, რომ „ვაჭრობა არ ჰქმნის სიმდიდრეს“ [2].

ილია არაა სიმპათიურად განწყობილი ვაჭრობისადმი. ცნობილია, რომ, არც ფიზიოკრატები, მათი ბრწყინვალე წარმომადგენლები—კენე, ტიურგო და სხვებიც—არ სწყალობდნენ ვაჭრობას, პირიქით, ცნობილია, რომ ისინი დაუნდობლად ებრძოდნენ მერკანტილისტურ ფრიტრედერულ იდეებს. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ფიზიოკრატები უარყოფდნენ საქონლის მიმოქცევას, პირიქით, „კენეს ეკონომიური ტაბულის“ მიზანია თვალსაჩინოდ დაგვანახოს როგორ მიმოიქცევა ამა თუ იმ

[1] კ. მარქსი, „კაპიტალი“, ტ. III, გვ. 290.
[2] ი. ჭავჭავაძე, ნაწერ. კრებ., ტ. VI, გვ. 237.

ქვეყნის (ნამდვილად საფრანგეთის) წლიური საერთო პროდუქტი ამ სამ კლასს შორის და როგორ ემსახურება იგი წლიურ რეპროდუქციას“ [1].

ცნობილია, რომ ფიზიოკრატები საზოგადოებას სამ კლასად ყოფდნენ. ენგელსის კლასიფიკაციით პირველს ეწოდებოდა „მოიჯარადრეები“, მეორეს— „მიწის მესაკუთრეები“ და მესამეს—„მრეწველობის მიმდევრები ანუ სტერილური (უნაყოფო) კლასი“. უკანასკნელი „სტერილურია“ იმიტომ, რომ, ფიზიოკრატების შეხედულებით, მწარმოებელი კლასის (ე. ი. რეალურად მიწათმოქმედებაში მომუშავე კლასის) „მიერ მოცემულ ნედლ მასალას მხოლოდ იმდენ ღირებულებას უმატებს, რამდენსაც იმავე კლასის მიერ მოცემული საარსებო საშუალებებიდან ნთქავს“ [2].

თუ ასე სასტიკად ეპყრობოდნენ ფიზიოკრატები მრეწველობის დარგში მომუშავე კლასს, ადვილი წარმოსადგენია მათი დამოკიდებულება ვაჭართა ფენებისადმი, როგორც მუქთახორებისადმი. ილია ასეთი სისასტიკით, როგორც ფიზიოკრატები, როდი ეპყრობა ვაჭრობას. იგი ბევრად უფრო ზომიერია და ვაჭრობას გარკვეულ დადებით როლს ანიჭებს ერის ცხოვრებაში. მაგრამ ილიას ფიზიოკრატებთან განსხვავებით არ შეუძლია არ მიუთითოს ვაჭრობის უაღრესად უარყოფით გავლენაზე სხვა თვალსაზრისით და არ აღიაროს ვაჭრობა, როგორც ერის მთლიანობის დამრღვეველი ფაქტორი.

ილიას აზრით, ვაჭრობა „ბუნებითად იმისთანა რამ არის, რომ ერთს ბინაზე არ აყენებს კაცს; საცა გამორჩომაა და ხეირი, იქ არის მისი მამული, იმისი

[1] ფ. ენგელსი, „ანტი-დიურინგი“, გვ. 205.
[2] იქვე, გვ. 250.

მიწა-წყალი"[1] ილიას აწუხებს, რომ ვაჭრობაზე დაყრდნობილი კაცი სამშობლოს ივიწყებს. მაგრამ ზოგჯერ განა მარტო ერთეულები მისდევენ ვაჭრობას? რასაკვირველია, არა. ხშირია, რომ მთელი ერი ვაჭრობაზეა დაყრდნობილი. რა მოელის მაშინ ერს, ხალხს მშობელ ქვეყანას? აქ, ილიას შეხედულებით, შეუძლებელია ორი აზრი არსებობდეს... ასეთი ქვეყანა, ერი, დასაღუპავადაა განწირული და მაგალითისათვის ებრაელებს ასახელებს. მოეგონოთ თვითონ ილია ჭავჭავაძეს: „მარტო ვაჭრობაზედ მიქცეული ერი დარღვეულია, გაქსუებული, გაფანტული. ამისთანანი არიან ებრაელნი და სხვანი, მარტო ვაჭრობაზე დანდობილნი და მიჩემებულნი. ამისთანა ერს აუცილებლად ბედად ის უწერია, რომ სხვის კედლად უნდა იყოს, სხვა ერს შეეხიზნოს, სხვისით იცხოვროს"[2].

ამ გარემოებას კი შეუძლებელია შეურიგდეს ილია ჭავჭავაძე; ამიტომ ილია გამომდინარე თავისი ეროვნული კონცეფციიდან, მისსავე ეკონომიურ ისტორიულ მოძღვრებაში ვერ პოულობს მკვიდრ ადგილს, რომელიც კი შეიძლებოდა მიჩნეული ყოფილიყო ვაჭრობის კატეგორიისათვის, ისე, როგორც მან ეს მოახერხა „მიწისა" და „გუთნის" მიმართ. ილიას აზრით, ისტორია, აწმყო და მომავალი ხომ იმ ერს ეკუთვნის, რომელსაც „გუთანზე ხელი უკიდია და მიწაზე ფეხი უდგას", ამიტომ როგორ შეიძლება ერმა თავის ძირითად საქმიანობად ვაჭრობა გაიხადოს, ხოლო თუ რომელიმე ერი ამას ვერ შეიგნებს, მაშინ ამისთანა ერის ეკონომიური

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწერების კრებ., ტ. VI, გვ. 236—37.
[2] იქვე, გვ. 236—37.

ყოფა-ცხოვრებაც იმ ერზე არის დამოკიდებული, რომელსაც შეჰკედლებია და რომელსაც ხელთ უპყრია მიწა და გუთანი, იმიტომ, რომ ვაჭრობა არ ჰქმნის სიმდიდრეს“ [1]. ვაჭრობა არამცთუ თვითონ არ ქმნის სიმდიდრეს, არამედ „ვაჭრობა არც ერის სიმდიდრის გაძლიერებაში არის თვითმომქმედი მონაწილე. მაშასადამე, იგი როგორც საპოლიტიკო, ისეც საეკონომიო საქმეებში, მუდამ სხვისი მაყურებელია, სხვის პირში შემცქერალი“ [2]. აი რა პასიური რამ მოვლენა ყოფილა ვაჭრობა, იგი ერის სიმდიდრის გაძლიერებაში ვერავითარ თვითმოქმედებას ვერ იჩენს, რომ არაფერი ვთქვათ ერის სიმდიდრის შექმნაში მის მონაწილეობაზე. ილია ჭავჭავაძე მოწამეა სავაჭრო კაპიტალიზმის მძლავრად განვითარებისა, სულერთია, ეს იქნებოდა სომხეთის უკვე გაძლიერებული სავაჭრო ბურჟუაზიული ფენები, თუ ახლად ფეხადგმული მსგავსი ელემენტები თვით ქართველობაში. ილია ხედავს, სავაჭრო კაპიტალი „როგორ იწვევს ძველი ურთიერთობის დაშლას, ადიდებს ფულის მიმოქცევას; იგი ხელთ იპყრობს არა მარტო წარმოების გარდამეტს, არამედ თანდათან ნთქავს თვით ამ წარმოებას და თავისაგან დამოკიდებულს ხდის წარმოების მთელ დარგებს“ [3]. ფაქტია, რომ ილია ამას ხედავს და განიცდის. ილია ამ მდგომარეობას, რასაკვირველია, ვერ ურიგდება, რადგან სხვა უკეთესობათა შორის, ცხოვრების ასე გარყვნისა და გათახსირებისათვის ვაჭრობისადმი ესოდენ დიდი ყურადღებისა და ადგილის დათმობას ერის ცხოვრებაში, წარმოიდ-

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. VI, გვ. 236—37.
[2] იქვე.
[3] კ. მარქსი, „კაპიტალი“, ტ. III, გვ. 288.

გენს ეროვნული ინტერესების დავიწყებად. ილია პირდაპირ მოუწოდებს ვაჭრობას აყოლილ ხალხებს და ერებს, რომ დროა შეიგნონ, რადგან მათ „ერთად ყოფნისათვის ნიადაგი არაა ქვეს და არა ხელსაყრელია, თუნდაც ჯიბეები ოქროთი ჰქონდეს გატენილი“[1].

ილიას შეხედულებით ჯიბეები ოქროთი რომ ჰქონდეთ გატენილი, მაინც ხელცარიელებად იწოდებიან ის ხალხები და ეროვნებანი, რომლებიც ვაჭრობით გატაცებულნი არიან და ივიწყებენ თავის მამულს, თავის მიწა-წყალს, ერს, საყვარელ სამშობლოს.

ი. ჭავჭავაძე ვაჭრობაზე ამგვარ თავის თეორიულ, რამდენადმე უარყოფით შეხედულების ჩამოყალიბების პერიოდში ნათლად ხედავდა, რომ ვაჭრები და სავაჭრო კაპიტალისტური ელემენტები საქართველოში დღითი დღე ძლიერდებოდნენ და ფაქტიურად ეს გარეწარი ვიგინდარები ბატონდებოდნენ როგორც „ხმალზე“, ასევე „გუთანზე“. ეს პროცესი განსაკუთრებით დაჩქარდა ბატონყმობის გაუქმების შემდეგ. მოსახლეობის სხვადასხვა ფენების ვერაგულად მოტყუებით და მშრომელი ხალხის სისხლითა და ოფლით გამდიდრებული ვაჭრული კაპიტალისტური ელემენტები ახერხებდნენ ხელში ჩაგდებას როგორც დიდი ფეოდალური მამულების მნიშვნელოვანი ნაწილისა, ასევე ეკონომიურად იმონებდნენ და სოფლად მევახშეობის ქსელის ფართოდ გაშლით თავიანთი ველური ექსპლოატაციის საგნად აქცევდნენ გლეხურ მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას.

სოფელში რეფორმის შემდეგ სავაჭრო კაპიტალის მძლავრად შეჭრა და იქ ამ ნიადაგზე შექმნილი ახალი

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწერ. კრებ., ტ. VI, გვ. 237.

ურთიერთობანი უაღრესად დიდ ცვლილებებს იწვევს,— ძლიერდება სავაჭრო მიწათმოქმედება, მკვიდრდება ფულადი მეურნეობა, მევახშეობა, ხდება უშუალო მწარმოებელთა დამონება, ფეოდალური მამულებისა და მათ— საკუთრების გასხვისება,—ეს კაპიტალისტური (ყოვლის შემძლე—ფულის მქონე) ელემენტები ბატონდებიან სოფლად. იწყება პროცესი გლეხური მოსახლეობის დიფერენციის, წარმოიშობა კულაკობა და სხვ. ილია ყოველივე ამას ნათლად ხედავდა. მხოლოდ იმისათვის, რომ აღაგმულიყო ეს კაპიტალისტური სავაჭრო-მყვლეფელი ელემენტები, ბოლო მოღებოდა მათ მიერ ხალხის აშკარა ძარცვა-გლეჯას,—ილია ჭავჭავაძე და მისი დასი მოითხოვდა სავაჭრო ამხანაგობის დაარსებას, რომლებიც ბრძოლას გამოუცხადებდა ჩარჩებსა და სპეკულიანტებს. ეს ამხანაგობა სათავეში ჩაუდგებოდა სასოფლო მეურნეობის ნაწარმ პროდუქტების უშუალო გასაღებას გადამყიდველთა გარეშე, სოფლად დეპოკასების დაარსებას და სხვ[1].

ილია თავგამოდებით იცავდა ეროვნულ სახალხო დოვლათს, ქართველ გლეხკაცობას უცხოურ ვაჭრულ კომბინატორულ ელემენტებისაგან. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ილიას წერილები მიმართული მეისნერის ცნობილი პროექტის წინააღმდეგ, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს ღვინოების მონოპოლიის ხელში ჩაგდებას.

ასეთია ი. ჭავჭავაძის შეხედულებანი ვაჭრობის მნიშვნელობა-დანიშნულებაზე ერისათვის და ის ღონისძიებანი, რომლითაც ამოიკვეთებოდა და ძირი გამოეთხრებოდა ეხლანდელ მყვლეფელ ვაჭრობის შეუწყნარებელ მოქმედებას უშუალო მწარმოებელთა მხეცური ძარცვისათვის.

[1] „ივერია", 1886 წ., № 16, გვ. 184.

დ ა ს კ ვ ნ ა

„ისტორიული დამსახურება ფასდება არა იმის მიხედვით, თუ რა არ მოუციათ ისტორიულ მოღვაწეებს თანამედროვე მოთხოვნილებასთან შედარებით, არამედ იმის მიხედვით, თუ რა ახალი მოგვცეს მათ წინამორბედებთან შედარებით“.

ვ. ი. ლენინი[1]

ი. ჭავჭავაძის შეხედულებანი საქართველოს ისტორიის პრობლემებზე მომცველია ქართული ეროვნული კულტურის თითქმის ყველა ძირითადი საკითხებისა. თვით ეს შეხედულებანი კი ხასიათდებიან ღრმა მებრძოლ მეცნიერულ პრინციპულობით, მოწინავე პროგრესულ იდეებით და უსაზღვრო პატრიოტიზმით. ი. ჭავჭავაძის ისტორიული შეხედულებანი—როგორც ჩვენ ამაში დავრწმუნდით—უშუალოდაა გადაჯაჭვული ქართული საზოგადოებრივი აზროვნების და ეროვნულ კულტურის განვითარების უმნიშვნელოვანეს მომენტებთან[2].

ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის მეცნიერულად შესწავლას უსაზღვროდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება,

---

[1] ვ. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. II, გვ. 122.

[2] ილიას, გარდა სპეციალურ ისტორიულ მეცნიერულ ნაშრომებისა, რომლებზეც ჩვენ ზემოთ გვქონდა მსჯელობა—მოეპოვება მრავალრიცხოვანი „შინაური მიმოხილვანი“, რომლებიც საქართველოს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიის ერთი შესანიშნავი წყაროა. ამ მიმოხილვებში გამოხატულია საქართველოს ეროვნულ-სახოგადოებ-

კომუნიზმის კულტურის წინსვლისა და განვითარების საქმეში. იგი უშუალოდ დაკავშირებულია სტალინური მოძღვრების—ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის აყვავება-გაფურჩქვნის დიად პროგრამასთან და აშკარად უპირისპირდება ბურჟუაზიულ კოსმოპოლიტიზმს (და ეროვნულ ნიჰილიზმს), რომელიც მიმართულია ნაციონალური დამოუკიდებლობის მოსპობისაკენ და თავისუფალი ხალხების იმპერიალისტურ-კოლონიურ დამონებისაკენ.

დიდი სტალინის ბრძნულ სიტყვაში, ფინეთის დელეგაციის მიღებისას გენიალურადაა განსაზღვრული ის ფაქტი „რომ ყოველ ერს—სულ ერთია დიდია ის თუ პატარა, გააჩნია თავისი თვისობრივი თავისებურებანი თავისი სპეციფიკა, რომელიც მხოლოდ მას ეკუთვნის და რომელიც სხვა ერებს არ გააჩნია. ეს თავისებურებანი წარმოადგენენ იმ წვლილს, რომელიც შეაქვს თითოეულ ერს მსოფლიო კულტურის საერთო საგანძურში და რითაც ავსებს და ამდიდრებს მას“ [1].

ილია ჭავჭავაძე თავის ნაშრომებში საქართველოს ისტორიის საკითხებზე მიზნად ისახავდა, სრული გ�plete-

---

რივი აზრი, მისი მოქმედებათა ავ-კარგი და მისწრაფებანი უკეთესი მომავლისაკენ. ილია შესანიშნავი ოსტატობით აყალიბებს ამ მიმართულებით ქართველი ხალხის მიერ როგორც წინ წადგმულ თვითეულ ნაბიჯს, ასევე სახავს ახალ ამოცანებს ეროვნულ საქმეთა წარმატებებისათვის. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა წერილი „მეცხრამეტე საუკუნე“ და მრავალი სხვა. თავისთავად ილიას უკვდავი მხატვრული ნაწარმოებებიც, ხომ ასევე საქართველოს მე-19 საუკუნის ისტორიის თავისებური წყაროა?

[1] იხ. გაზ. „პრავდა“, 13. IV. 1948 წ.

წრფელობით და დიდის კეთილსინდისიერებით, გამოერკვია ქართველი ერის ეს თვისობრივი თავისებურებანი და სპეციფიკა. დაეცვა ქართული ეროვნული კულტურა, საქართველოს გმირული ისტორია, ყველა ჯურის ფალსიფიკატორებისაგან და გამოემზეებია თვალნათლივ ის წვლილი, რომელიც ქართველმა ერმა შეიტანა მსოფლიო კულტურის საერთო საგანძურში. გარკვევით უნდა აღინიშნოს, რომ ილია ამ მიმართულებით ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების მაშინდელ საფეხურზე ახალი ეტაპის შემქმნელად გვევლინება.

საქართველოს ისტორიის პრობლემებზე ი. ჭავჭავაძის ნააზრევიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ერთი დამახასიათებელი მოვლენა, რომელსაც მკვლევარი გვერდს ვერ შეუვლის.

ილია ძველ საქართველოში ხედავს „ოქროს ხანას“ და ძველი საქართველოს ადათ-ჩვეულებანი, იურიდიულ-ეკონომიური და მაშინდელი ისტორიული ურთიერთობის დამახასიათებელი ყოფითი მოვლენები, რამდენადმე იდეალურად ესახება. საქართველოს წარსული დიდების ჩაუქრობელ ვარსკვლავად კი ილიას მე-12 საუკუნე—თამარ მეფისა და შოთა რუსთველის საუკუნე მიაჩნია. მართლაც და ცნობილია, რომ სწორედ ამ საუკუნეში აღწევს ფეოდალური საქართველო სახელმწიფოებრივ ძლიერების ზენიტს. მომდევნო საუკუნეებში კი ხუთასი წლის მანძილზე, მტრის ურიცხვ და უწყვეტ სისხლისმღვრელ შემოსევების შედეგად, საქართველოს წინანდელი დიდება ცეცხლითა და მახვილით ნადგურდებოდა. ქართველი ხალხი მონღოლებისა და თემურლენგის, ირანელების და თურქების ველურ ურდოებთან უთანასწორო ომებში სისხლისგან იცლებოდა და აუნაზღაურებელი

მსხვერპლის ფასად ძლივსლა ინარჩუნებდა საკუთარ სახელმწიფოებრივ და ეროვნულ დამოუკიდებლობას; ამ ომების შედეგად ერთიანი ქვეყანა სამეფო სამთავროებად დანაწილდა, მტერმა შესძლო და მოიტაცა საქართველოს მიწა-წყლის დიდი ნაწილი და სხვ. ამიტომ, ასეთს ვითარებაში ფეოდალურმა საქართველომ რაკი ველარ შესძლო წარსული დიდების რეალურად აღდგენა, მისი „უკან დაბრუნება", წარსული დიდების ეს „ოქროს საუკუნე" თაობიდან თაობას უმაღლეს იდეალად დაესახა და მუდამ საოცნებო, სანატრელ ხანად წარმოიდგინა.

საქართველოს ისტორიის ამ „ოქროს ხანის" იდეალიზაცია იგრძნობოდა არა მარტო დამოუკიდებელ ფეოდალურ საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე, არამედ ახალი თავისებურებებით გამოვლინდა საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, საქართველოში ცარიზმის კოლონიური ჩაგვრის პირობებში. დასტურდება, რომ ვერც ილია ჭავჭავაძე აცდა ამ გზას, ილია ძველ საქართველოს აიდეალებს. ეს ფაქტი დასტურდება ი. ჭავჭავაძის არა მარტო პუბლიცისტური წერილებით, არამედ მხატვრული პროზითა და პოეზიით. „აჩრდილში" ილია წერს:

„როცა ტანჯულა ეს ქვეყანა, ტანჯვად ეყოფა,
მიეცი ძალი დავრდომილსა კვლავ აღდგომისა,
სახელოვანი განუახლე წარსულთ დღეთ ყოფა,
მამა-პაპური სული, გული მოჰმადლე შვილსა!"

ანდა

„მეც წარტყვენილვარ—წარსულთ დღეთა შენთა ნატვრითა,
შენის აწმყოთა სული, გული დამწყლულებია,

ან კიდევ

მოჰმადლე ქართველს ქართვლის ნდობა და
სიყვარული.
და აღუდგინე მშვენიერი ესე მამული“ [1].

ილია კითხულობს:

„მითხარ,—სადღაა მამა-პაპური
მხნეობა, ხმალი, მკლავი ქველური.
სახელისათვის ამაყი თრთოლვა,
მამულის მტერთან მედგარი ბრძოლა?“
„ქართვლის დედა“.

„მამულის აღდგენა“, რასაკვირველია, საქართველოს ამ დიდი წარსულის მექანიკურ განმეორებად და გადმოტანად არ ჰქონდა ილიას წარმოდგენილი; ერის გმირული წარსული მაგალითებით ილია უშუალოდ საქართველოს აწმყოს ეხმაურებოდა და აძლიერებდა რევოლუციურ-გამანთავისუფლებელ ბრძოლებს ცარიზმის წინააღმდეგ.

ძირითადი და განმსაზღვრელი გეზი ილია ჭავჭავაძის ისტორიული შეხედულებებისა არის—რწმენა საქართველოს დიდ მომავალზე, საქართველოს მყობადის შექმნაზე, მის „წ ა რ ს უ ლ ზ ე დ ა რ დ ი ს მ ო კ ვ ლ ი თ“.

ილია მოხიბლული იყო საქართველოს მრავალსაუკუნოვანი გმირული ისტორიით. იგი ამ წარსულის უბადლო მცოდნე და უდიდესი პატივისმცემელი იყო. მიუხედავად ამისა ილია ჭავჭავაძემ ხელაღებით უარყო რომანტიკული გოდება საქართველოს იმ დიდებულ წარსულისადმი, რომლითაც მხოლოდ თავს ირთობდნენ ჩვენი რომანტიკოსები. ილიამ საქართველოს დიად მომავალს მიაპყრო მთელი თავისი გულისყური. ილია წერდა:

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრული კრებ., ტ. I, გვ. 138—139.

„მას ნულარ ვსტირით რაც დამარხულა,
რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა;
მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,
ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს.“
„ქართვლის დედა“.

ილიას გულს ვერ უტეხს საქართველოს მწარე აწმყო, იგი მაშინდელ მძიმე გარემოცვაში მომავლის მტკიცე რწმენით ხედავს დიდების დღით ახლად აღდგენილ საქართველოს.

„ჩემო კარგო ქვეყანავ რაზედ მოგიწყენია!..
აწმყო თუ არა გწყალობს, მომავალი ჩვენია,
თუმცა ძველნი დაგშორდნენ, ახალი ხომ შენია...
მათ ახალთ აღგიდგინონ შენ დიდების დღენია,
ჩემო თვალის სინათლევ, რაზედ მოგიწყენია?“...

ქართველმა განმანათლებლებმა და ნაციონალურ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილმა მოღვაწეებმა გააცოცხლეს ეროვნული ისტორიული გმირები:— „ამას განა მიტომ ჩავდივართ, რომ ის ძველი დრო გვენატრებოდეს, გვინდოდეს მისი დაბრუნება და მამულისათვის ქვაკუთხედად დადება,—წერდა აკაკი წერეთელი,—სრულიადაც არა; ჩვენ იმ გმირებს სამაგალითოდ ვაძლევთ დღევანდელ მაჩანჩალებს, რომ ამათაც იმ ძველებისაგან ისწავლონ, როგორ უნდა სამშობლოს სიყვარული და მისთვის თავდადება, რომ დღევანდელ დროს და ცხოვრების მოთხოვნილებას ისეთივე შესაფერი პასუხი გასცენ, როგორსაც ჩვენი წინაპრები აძლევდნენ, იმ ჩვენ დროს“.

ი. ჭავჭავაძის მეორე თანამებრძოლი ი. გოგებაშვილი წერდა:

„ძველებურის საქართველოს აღდგენა სიზრმადაც აღარავის ეჩვენება. უწინდელი საქართველო ჩვენში ყველას მიაჩნდა სამუდამოდ წარსულ დროდ, რომლის დაბრუნება ისევე შეუძლებელია, როგორც ჩავლილის წყლის უკუმოქცევა. ახალი საქართველო, რომელიც არის საგანი ჩვენის პატრიოტების მოქმედებისა და ნატვრისა მოქცეულ უნდა იქნას არა უკან... არამედ წინ“ [1].

ასეთია ქართველ განმანათლებელთა აზრი და ნათელი შეხედულებანი ძველი საქართველოს, უფრო სწორად საქართველოს ისტორიის დანიშნულებაზე ახალი საქართველოს გაძლიერების, წინსვლის და დაწინაურების საქმეში. ქართველი განმანათლებლების გულისყური საქართველოს მომავლისაკენ იყო მიპყრობილი.

ი. ჭავჭავაძე განახლების, წინსვლის და უკეთესი მომავლის ღრმა რწმენით იყო აღგზნებული. იგი წერდა:

„ცხოველს იმედს, რომელიც განგებას მოუვლინებია კაცობრიობისათვის, რომ ზედ დაერთოს ადამიანის გაუთავებელი ნდობა უკეთესობისა—შედგება ის ძალა, ის იდუმალი ხმა, რომელიც ყოველთვის ეძახის ადამიანს: წინ წადეგ! წინ წადეგ!... ნეტავი იმ ხალხს, რომელსაც არ დაუკარგავს ეგ იმედი განახლებისა და არ გაჭრობია უკეთესობის ნდობა!“ [2]

* * *

კვლევის მეთოდისათვის. ილია ჭავჭავაძე საქართველოს ისტორიის და ეკონომიური ისტორიული

---

[1] ი. გოგებაშვილი, რჩეული ნაწ., ტ. II, გვ. 113—114.

[2] ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. II, სახელგამი, 1941 წ., გვ.40.

(ისევე როგორც მათთან დაკავშირებული სხვა სოციალ-ეკონომიური) მოვლენების მეცნიერული კვლევა-ძიებისას ხელმძღვანელობდა კვლევა-ძიების გარკვეული მეთოდით. ილია რეალისტია. მისი კვლევის მეთოდი ამდენად სწორ საფუძვლებს ემყარება და შემოქმედებითი ხასიათისაა. იგი მოვლენის დედაარსით, მოვლენის არსებითაა დაინტერესებული და არა მისი (ამ მოვლენის) მხოლოდ ზედაპირულ გამოვლინებათა უბრალო ფორმებით.

სწორედ ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ილია, კრიტიკულ-რეალისტურ მეთოდს ემყარებოდა და ამ მეთოდით ხელმძღვანელობდა არსებითად. აღსანიშნავია, რომ ილია ჭავჭავაძე სოციალ-ეკონომიური მოვლენების კვლევისას ამასთანავე (და მასთან ერთად) საფუძვლიანად ხელმძღვანელობდა და მოხერხებულად იყენებდა შედარებით-ისტორიულ მეთოდს.

შედარებით-ისტორიული მეთოდი, მიუხედავად იმ სერიოზული ნაკლოვანებისა, რომელიც მას უდავოდ გააჩნია, მეცნიერული კვლევის უდავოდ მნიშვნელოვანი მონაპოვარი იყო თავის დროზე.

ილია ამ მეთოდის წყალობით ცდილობს მეცნიერულად ჩასწვდეს სინამდვილეს, მოვლენის არსს.—ქართველოლოგიის თითქმის ყველა ძირითადი საკითხები, როგორიცაა—ენის, ისტორიის, ეკონომიური და სოციალური პრობლემების მეცნიერული კვლევა,—ქართული ყოფითი და ისტორიული სინამდვილე სოციალური მეცნიერების თითქმის ყველა დარგიდან, რომელსაც კი შეეხო ილია, პირველმა განიხილა ისინი შედარებით-ისტორიული მეთოდის პრინციპებზე დაყრდნობით რაც შეიძლება ვრცლად და მსოფლიო ისტორიულ საერთო განვითარების სინათლეზე გამოტანით, იმათი ახლებურად

გააზრებას შეეცადა. ილიას დამსახურება ამ დარგში და ამ მიმართულებით მეტად საყურადღებოა და სპეციალური კვლევის საგანი შეიძლება იყოს.

როგორ იყენებს ილია შედარებით მეთოდს, როგორ ანზოგადოებს საქართველოს კონკრეტულ ისტორიულ ფაქტიურ მასალებს მსოფლიო ისტორიული განვითარების საერთო სინათლეზე და ამ გზით როგორ და რა გზებით აღწევს ისტორიული განვითარების საერთო მეცნიერულ კანონზომიერების მიგნება-გამოვლინებას,— საქართველოს სოციალ-ეკონომიურ ისტორიაში მეცნიერულ კანონზომიერების გამოვლინება დადგენას? ხომ არ ახდენს ილია განვითარების უკვე მიკვლეულ საერთო კანონების მექანიკურად გადმოტანას ქართულ ნიადაგზე და ამ კანონების ხელოვნურად დანერგვას ადგილობრივი სინამდვილის შეუსწავლელად და უკანასკნელისადმი ანგარიშ გაუწევლად? რასაკვირველია, არა! რომ ეს ასეა—ამაში ეხლავე დავრწმუნდებით. ილია წერს:— „ყველაზე უწინარეს კაცმა გონება უნდა მიაქციოს ადგილობრივს ვითარებას, რადგანაც ყოველს საგანს ამ შემთხვევაში თავის ადგილზევე აქვს თავისი სათავე, თავისი ძირი და თავისი გზა მსვლელობისა და განვითარებისა. ბაგრამ ძალიან შეცდება ის, ვინც მარტო ამას დაჯერდება და მარტო აქედან გამოიყვანს თავის დასკვნას“ [1].

მაშ რა გზას უნდა დაადგეს მკვლევარი, როგორ უნდა მოიქცეს ისტორიული ჭეშმარიტების აღსადგენად. ილიას აზრით ამასთანავე „აუცილებლად საჭიროა იგივე საგანი გამოიძიოს სხვა ქვეყნებშიაც, სხვა ქვეყნების ისტო-

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ნაწ. სრული კრებული, ტ. VIII, გვ.133.

რიაც მოიშველოს", ასე უნდა მოვიქცეთ იმიტომ, რომ „ბევრი, ძალიან ბევრიც, იმისთანა ნაშთია საზოგადოებრივის თუ ეკონომიურის წყობისა, რომელიც თუმცა არსებობს, მაგრამ მსვლელობის კვალი კი წაშლილი აქვს ჟამთა მდინარეობისაგან და ამის გამო მისი ვერც თავი გაიგება, ვერც ბოლო, თუ მარტო ადგილობრივს ვითარებას შეაჩერდა კაცი" [1].

სწორი გზა, რომელზედაც უნდა დაადგეს მკვლევარი, რომ მიზანს მიაღწიოს, ილიას რწმენით, კვლევა-ძიების შედარებით-ისტორიული მეთოდია და ამ მეთოდის საფუძველზე მიღწეული მეცნიერული მონაპოვარია სწორად გამოყენება. ილია წერს: ,,—ფილოლოგიამ და მითოლოგიამ ამ ბოლოს დროს ბევრი საკვირველი ჭეშმარიტება აღმოაჩინა მით, რომ სხვადასხვა ხალხთა ისტორიები შეადარა და ამ შედარებით გამოიკვლია ბევრი საგანი, რომელთაც ჟამთა სიბნელეში არც თავი უჩანდათ, არც ბოლო'' [2]. შედარებითი მეთოდი კვლევა-ძიების ჭეშმარიტი გზაა ილიას აზრით. ილია ამის შესახებ წერს: ,,ადამიანის გონებამ მიაგნო ერთს გვარს გზას კვლევისას, რომელსაც ,,შედარებითი მეთოდი'' ჰქვიან. ამ მეთოდმა, სიფრთხილითა და ცოდნით ხმარებულმა, ისეთი უტყუარობა, ისეთი ზედმიწევნილობა აღმოაჩინა, ისეთი სახელი დაიგდო, რომ არ არის მეცნიერება, რომელიც, საცა საჭიროა, ამ მეთოდს არა ხმარობდეს. ამ მეთოდით ბევრს წყვდიადსა და ბნელს ნათელი მოეფინა, ბევრი დაფარული გამომზევდა''—სწორედ ამიტომაა ილიას

---

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწ. სრული კრებული, ტ. VIII, გვ. 133.
[2] იქვე, გვ. 134.

აზრით—„შედარებითი მეთოდი ერთ-ერთი უდიდესი ძლევამოსილებაა გონებითად ჩვენის საუკუნისა“ [1].

აღნიშნულთან ერთად საყურადღებოა ისიც, რომ ილიამ შედარებით-ისტორიული მეთოდის თავისებური განსაზღვრაც კი სცადა. იგი წერს: „თითონ სიტყვა“ „შედარება“ ცოტად თუ ბევრად გვანმცნევს—რა უნდა ვიგულისხმოთ როცა ვამბობთ „შედარებითი მეთოდი“. შედარება იმ მოქმედების გონებისას ჰქვიან, როცა ორს ანუ რამოდენიმე საგანს ერთმანეთს წაუყენებს, დაუპირისპირებს, რომ აღმოაჩნდეს, რაში აქვთ მსგავსება, ერთნაირობა, და რაში სხვაობა და სხვანაირობა. შედარების საგნად შესაძლოა რამოდენიმე სხვადასხვანაირი შემთხვევაც იყოს ერთისა და იმავე მოვლენისა, ხოლო იმისთანა შემთხვევანი-კი, რომელშიაც გამოსაძიებელი მოვლენა თავს იჩენს ასე თუ ისე“. ილია თითქო უკმაყოფილოა თვით ამ მეთოდის სიდიადის ნაკლებ გამომსახველ ცნების—სიტყვა „შედარები“-სა და იქვე დასძენს: „ეს გვარი კვლევა, შედარება კი არ არის, სწორედ ის არის, რომ ერთი კვალში ჩაუდგეს რომელსამე საგანს, ანუ მოვლენას, რომ ან სათავიდამ ბოლომდე ჩამოჰყვეს, თუ სათავე ვიცით და ბოლო არა, და ან ბოლოდამ სათავემდე აჰყვეს, თუ ბოლო ვიცით და სათავე არა და ამისათვის კიბედ გაიხადოს ყოველივე შემთხვევა, ყოველივე დრო, ყოველივე ადგილი სადაც კი ან საგანს ან მოვლენას თავი გამოუჩენია“ [2].

ილია ჭავჭავაძის წარმოდგენით მეცნიერული სიფრთხილით მომარჯვებული შედარებით-ისტორიული მეთო-

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. II, გვ. 323.

[2] იქვე, გვ. 324.

დი ყოვლის შემძლეა მეცნიერული ისტორიული ჭეშმარიტების მისაგნებად. იგი წერს: „თუ ისტორიის წინად ყოფილ დროს ავიღებთ, ცხრა კლიტით დაკეტილი სალაროა და გასაღები ზღვაშია გადაგდებული. ადამიანის გონებამ მაინც იპოვა ეს გასაღები და ამ სალაროს კარი გაგვიღო ცოტად თუ ბევრად“. ილიას წარმოდგენით „ამ ცხრაკლიტულის გასაღები“ შედარებით-ისტორიული მეთოდია.

ილია უფრო აზუსტებს შედარებით-ისტორიული მეთოდის საგანს და უებრო ეფექტიურობას, როცა იგი წერს: „ეს გასაღები ზოგში იგი ამბებია, რაც ადამიანს დაუხსომებია ზღაპრულად. ეს ზღაპარ-ნარევნი ამბები, თქმულობანი, რა თქმა უნდა, მოწმად და საბუთად მოსატანნი არ არიან რომელისამე ყოფილის საქმისა. ამ მხრით იგინი ძალიან ცოტად დასაჯერნი და სანდო არიან, მაგრამ ხშირად ამისთანა ამბებში ვპოულობთ ბევრს მართალს აღწერას ზნე-ჩვეულებისას. სასაფლაონი და სამარხი ნაშთნი აკალდემებსა და კუბოებში ძველის-ძველის დროებისანი—ესენიც მეცნიერებამ გამოიყენა იმ ცხრა კლიტით დაკეტილის გასაღებად. თითონ ენა ადამიანისა, მისი სიტყვიერება, მთელი ხელთუქმნელი ისტორიაა ერისა ცალკე და კაცობრიობისა საზოგადოდ... რამდენადაც ზედმიწევნით გამოვიკვლევთ ენას, მითოლოგიას, ზნე-ჩვეულებას, სარწმუნოებას, არქეოლოგიურსა და ეთნოლოგიურს ნაშთსა და კვალსა, იმდენად ძლიერ ვრწმუნდებით, რომ აზრი დღევანდელის ველურის კაცისა იმ მდგომარეობაშია, როგორც პირველდაწყებითი სადედე შემდეგისა“ [1].

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. II, გვ. 322—323.

ზემოაღნიშნულიდან საკმაოდ ნათლად ჩანს და დასტურდება თუ როგორი შესანიშნავი სისავსითა და სრულყოფით ჰქონდა ილია ჭავჭავაძეს გააზრებული ამ მეთოდის დედაარსი, მისი რაობა, რომ ილია შესანიშნავად ჰფლობდა შედარებით-ისტორიულ მეთოდს. უდავოა და აღიარებული, რომ ილიამ ამ მეთოდის მოხდენილად გამოყენების არა ერთი და ორი მეტად ორიგინალური, ბრწყინვალე მაგალითი მოგვცა.

ივ. ჯაბადარის ხელში გაყალბებული შედარებით-ისტორიული მეთოდი ილიამ თავის უფლებებში აღადგინა და დაიცვა გაყალბებისაგან; კონკრეტულ ცოცხალ მაგალითებით, ისტორიულ და ლინგვისტიკურ მეცნიერებათა მონაპოვარზე დაყრდნობით, რამდენადაც კი ეს შეიძლებოდა იმ დროისათვის, როგორც დავრწმუნდით, ამ მეთოდის შედარებით სწორი განსაზღვრა მოგვცა.

ილიამ იცის, რომ ისტორიულ მეცნიერებას მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონდეს სხვა დამხმარე და მონათესავე მეცნიერებებთან, ილია წერს: „ფილოლოგია და ისტორია, მხარდამხარ დადიან, ერთმანეთს ჰშველიან, რადგანაც ცხოვრება ერისა გადაშლილია, გამომზეებულია მის ენაში... აქედან სჩანს, ენის გამოკვლევა რა დიდი ღონეა ადამიანის გონებისათვის და ფილოლოგია როგორც ენის მკვლევარი მეცნიერება, რა სამსახურს უწევს ისტორიასა მის წინა დროთა აღსადგენად და საცნობლად. ეს ღონე გამოიჩინა ფილოლოგიამ უფრო მაშინ, როცა ადამიანის გონებამ მიაგნო ერთგვარ გზას კვლევისას, რომელსაც შედარებითი მეთოდი ჰქვიან“ [1]. ილიამ

[1] „აი ისტორია“, გვ. 23.

შედარებით-ისტორიული მეთოდის შესანიშნავად მომარჯვეისა და გამოყენების მრავალი ნიმუში მოგვცა— როგორც საქართველოს ისტორიის მთელი რიგი ძირითადი პრობლემებიდან, ესევე საქართველოს ეკონომიური ისტორიის მრავალი საკითხის გარკვევისას. ილია ქართველოლოგიურ პრობლემების შესწავლის დროს შედარებისათვის მაქსიმალურად იყენებს მსოფლიოს მაშინდელ გამოჩენილ მეცნიერებას, როგორიც იყვნენ: ტეილორის, ვებერის, ლენორმანის, დე-ბუას, ფრიმანის, ჯონ. სტიუარტ-მილის, სპენსერის, როშერის და სხვა მრავალთა ნაშრომებს, უფარდებს იმათ დასკვნებს ადგილობრივ სინამდვილეს და კრიტიკული შედარებითი ძიებით გულდასმით ეძებს მსგავსებასა და სხვაობას ზოგადსა და სპეციფიურს საკვლევ სოციალურ-ეკონომიურ მოვლენაში.

ამ მხრივ მაგალითისათვის, სხვათა შორის, განსაკუთრებით საყურადღებოა ხიზნობის საკითხის შესწავლა საქართველოში ილია ჭავჭავაძის მიერ. ამ უკანასკნელზე აქ ვერ შევჩერდებით, ვინაიდან ამის შესახებ წინამდებარე ნაშრომში ცალკე თავია განკუთვნილი.

ეკონომიური მოვლენების კვლევისას, ილია ჭავჭავაძე ღრმად განიცდის გავლენას პოლიტიკური ეკონომიის ისტორიული სკოლისას, კერძოდ ამ სკოლის ისეთი წარმომადგენლებისას, როგორიც იყვნენ ლაველე[1], როშერი[2] და სხვ.

---

[1] ლაველე ემილ ლუი ვიკტორ. ბელგიელი მწერალი (1822 -1864 წ. წ.) იგი პროფესორია პოლიტიკური ეკონომიის.

[2] როშერი ვილგელმ-გეორგ ფრიდრიხი (1817—1894 წ.წ.) ცნობილი გერმანელი ეკონომისტი. ითვლება ერთ მეთაურთაგანად პოლიტიკურ ეკონომიაში ისტორიული სკოლისა. როშერის უმთავრესი ნაწარმოებია: „Sistem des Volksvirttschaft". ეკონომიურმა მეცნი-

ილია მეთოდოლოგიურად ბევრად წინ დგას ყველა თავის წინამორბედ და თანამედროვე ქართველ ისტორიკოსზე.

ილია ჭავჭავაძე მეთოდოლოგიურ თანმიმდევრობით უპირისპირდებოდა და დაუნდობელი მტერი იყო ფეოდალური სქოლასტიური აზროვნებისა და იდეალისტური ხუცური კლერიკალური აზროვნების. ილია და მისი დასი განახლებულ საქართველოს დემოკრატიულ-პროგრესიული მოღვაწეები იყვნენ. ილიას საქართველოს სოციალ-ეკონომიური ურთიერთობის ისტორიის მეცნიერულად შესწავლისას კვლევა-ძიების საკუთარი მეთოდი გააჩნდა. იგი შეიარაღებული იყო კრიტიკულ რეალისტური და შედარებითი ისტორიული მეთოდით, რომელიც უკაფავდა მას გზას სოციალური და ისტორიული მოვლენების საფუძვლიანად გარკვევაში.

ი. ჭავჭავაძე მტერია უმოქმედობისა და კონსერვატიულობის. იგი ისტორიული მოვლენების კვლევისას მარადიულ მოძრაობისა და უწყვეტი განვითარების მეთოდოლოგიურ პრინციპებიდან ამოდის. ილიას რწმენით არ არსებობს ერთხელ მიღებული, ხოლო სამუდამოდ უცვლელი, მარადიული, სოციალური და მორალური კატეგორიები. ილიას ღრმა რწმენით:

„რაც გუშინ ცოდვად აღიარებულია, დღეს ის მად-

ერებამ, როშერის მიხედვით, უნდა მოვეცეს გასაღები ხალხის სამეუნეო ცხოვრების კანონების განვითარებისა. რუსულ ენაზე თარგმნილია „სისტემის“ პირველი ორი ტომი: „საერთო თეორია“, მეორე ტომი,—„ეკონომია სოფლის მეურნეობისა და მოსოვებითი მრეწველობა“. პირველი ითარგმნა რუსულად 1860 წ., მეორე—1869 წ. ილია, უდავოა, ორივეს კარგად იცნობდა.

ლად მიგვაჩნია, რაც ერთს ქვეყანაში მადლად ჩაეთვლება ადამიანს, ის მეორეში ცოდვაა. რაც ერთ შემთხვევაში ცოდვაა მომაკვდინებელი, ის სახელოვანი საქმეა მეორეში“ [1].

ი. ჭავჭავაძის აზრით ისტორიაში საზოგადოებრივი ცხოვრება, საზოგადოება, ხალხი „დედაა ყოველივე საქმისა“ [2], მაგრამ თვით ხალხის მასები და მისი მოქმედება, მისი ცხოვრება ი. ჭავჭავაძეს წარმოდგენილი აქვს დაუსრულებელი წინსვლა-განახლების, უწყვეტი მოძრაობის და განვითარების სახით. ილია ამის შესახებ წერს:

„ცხოვრება რაც გუშინ იყო, ის დღეს აღარ არის... იგი იცვლება, მიდის წინ და მოაქვს განახლება ყოველისფერის. წესი, ჩვეულება, აზრი, გრძნობა, ენა, რომელიც მათი გამომეტყველია, ყოველიფერი იცვლება მის ძლიერ გავლენისაგან“ [3]. განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების ამ მოძრაობის, შეცვლის და განვითარების საფუძველი ი. ჭავჭავაძემ წარმოებითი ურთიერთობაში, ქვეყნის ეკონომიურ წყობაში დაინახა. ამ უაღრესად ღრმამეცნიერულ მეთოდოლოგიურ პრინციპებიდან ამოსვლით და ჩვენი ქვეყნის წარსულ ცხოვრებაზე ღრმა დაკვირვებით, ილიამ შესძლო სამშობლო ქვეყნის ისტორიული წარსულის ახალი კუთხით გაშუქება. ამის შესახებ აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი წერს: „ილ. ჭავჭავაძე საქართველოს ისტორიას მანამდე სრულებით უცნობი თვალსაზრისით მიუდგა... რომ

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწ. სრული კრებ., ტ. VII, გვ. 74.
[2] „საქართველოს მოამბე“, 1861 წ., № 1.
[3] ი. ჭავჭავაძე, „საქ. მოამბე“, 1863 წ., № 1.

მან პირველმა ქართველი ხალხის მრავალ საუკუნოვანი წარსულის ეკონომიური საფუძვლის გამორკვევის აუცილებლობა აღიარა“ (კურსივი ჩვენია. ა. ი.).

ი. ჭავჭავაძე ისტორიული მოვლენების საფუძველს ეკონომიურ წყობაში ხედავდა. იგი ყოველგვარ პოლიტიკურ წყობას და სხვა ზედნაშენების ახსნას მათ სიმტკიცეს თუ სისუსტეს ამ ეკონომიურ ბაზისზე ამყარებდა. მართალია, საზოგადოებრივი წყობის და განვითარების ისტორიის ახსნისათვის ილიამ ეკონომიური აგებულება, მისი სტრუქტურის საფუძვლების შესწავლა აღიარა, მაგრამ თვით ამ საზოგადოების სოციალური აგებულება, მისი კლასობრივი შედგენილობის გამორკვევა მან უგულებელჰყო და ჩვენი ისტორია წარმოადგინა მთლიან და განუყოფელ ერის, ხალხის ერთობლივი წარსული ცხოვრების მომთხრობელად. ილიას აზრით—„ისტორია არის მომთხრობელი იმისა, თუ რანი ვიყავით, რანი ვართ და შეიძლება ვიყოთ მომავალში“.

ი. ჭავჭავაძე ისტორიული მოვლენების და მოღვაწეების ნამოქმედართა მეცნიერულად ახსნისა და შეფასებისას მოითხოვს კონკრეტულ ისტორიულ მიდგომას და ისტორიული პერსპექტივის გათვალისწინებას. იგი წერს: „ყველა დროს თავისი ტკივილი აქვს და გაგება ამ ტკივილისა ხვედრია მარტო ჩინებულ კაცებისა, და ჭეშმარიტი მეისტორიე, ვითარცა გამკითხველი, ჯერ იმ დროების ქერქში უნდა ჩაჯდეს და მერე განიკითხოს თავისი დროების შვილნიცა“ [1].

მოტანილი ფაქტებიდან მთლიანად მტკიცდება, რომ

---

[1] ი. ჭავჭავაძე. თხზულებანი, ტ. II, გვ. 34

ი. ჭავჭავაძე ისტორიული მოვლენების კვლევა-ძიებისა და სოციალური მოვლენების ახსნისას მატერიალისტურ თვალსაზრისზე იდგა და შეურიგებელი მოწინააღმდეგე იყო ხუცური იდეალიზმისა; მიუხედავად ამისა დასტურდება, რომ ი. ჭავჭავაძე ისტორიის მატერიალისტურ გაგებამდე მაინც ვერ მივიდა.

მოტანილი ფაქტები (და მრავალი სხვაც) ასევე გვარწმუნებს, რომ ისტორიული პროცესების და მოვლენების ახსნა გამოკვლევისას ი. ჭავჭავაძე კვლევა-ძიების დიალექტიკურ მეთოდს ემყარებოდა. მან სოციალ-ეკონომიური ისტორიული მოვლენების მეცნიერული ახსნა, მხოლოდ დიალექტიკური მეთოდის მომარჯვების საფუძველზე შესძლო და ამის დამადასტურებელი უკვდავი ნიმუშები მოგვცა.

მიუხედავად ამისა, გარკვევით უნდა აღინიშნოს, რომ ი. ჭავჭავაძე ისტორიული მოვლენების კვლევისას მეთოდოლოგიურად ვერ ამაღლდა დიალექტიკური მატერიალიზმის პრინციპებისა და მატერიალისტური დიალექტიკის მოთხოვნათა დონემდე, ისევე როგორც იგი თანმიმდევრულად ვერ მივიდა ისტორიის მატერიალისტურ გაგებამდე. რასაკვირველია ამ ფაქტს თავისი ამხსნელი მიზეზები აქვს.

ლენინის განსაზღვრით მარქსამდე არსებული ისტორიული მეცნიერების მთავარი ნაკლი იყო: „ერთი—ის, რომ ისინი უკეთეს შემთხვევაში იხილავდნენ, მხოლოდ ადამიანის ისტორიული მოღვაწეობის იდეურ მოტივებს, მაგრამ არ იკვლევდნენ, რა იწვევს ამ მოტივებს, ვერ ხედავდნენ ობიექტურ კანონზომიერებას საზოგადოებრივი ურთიერთობის სისტემის განვითარებაში, ვერ ამჩნევდნენ ამ ურთიერთობის ფესვებს მატერიალური წარ-

მოების განვითარების დონეში; მეორე—ის, რომ წინანდელი თეორიები არ იკვლევდნენ სწორედ მოსახლეობის მ ა ს ე ბ ი ს მოქმედებებს... მარქსიზმმა გზა გვიჩვენა საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციების წარმოშობის, განვითარებისა და დაცემის პროცესის ყოვლისშემცველი და ყოველმხრივ შესწავლისაკენ... გზა გვიჩვენა ისტორიის მეცნიერული შესწავლისათვის, როგორც მთლიანი კანონზომიერი პროცესისა თავის უზარმაზარ მრავალმხრივობასა და წინააღმდეგობაში“ [1].

ი. ჭავჭავაძეს გააჩნია გარკვეული წარმოდგენა საზოგადოებრივ ეკონომიურ ფორმაციებზე, ისევე როგორც მასების მოქმედებისა და საზოგადოებრივი წარმოებითი ურთიერთობის საფუძვლების მნიშვნელობის შესახებ ისტორიაში. მიუხედავად ამისა ილიას მაინც ახასიათებს მარქსამდე არსებული ისტორიული მეცნიერების ზოგიერთი ნაკლოვანებები.

ი. სტალინის გენიალური განსაზღვრით „საზოგადოების განვითარება—აგრეთვე შეცნობადია, ხოლო მეცნიერების მონაცემები საზოგადოების განვითარების კანონების შესახებ—საწარმოო მონაცემებია, რომლებსაც ობიექტურ ჭეშმარიტებათა მნიშვნელობა აქვთ.

მაშასადამე, მეცნიერება საზოგადოების ისტორიის შესახებ, მიუხედავად საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა მთელი სირთულისა, შეიძლება გახდეს ისეთსავე ზუსტ მეცნიერებად, როგორიც არის, ვთქვათ, ბიოლოგია, მეცნიერებად, რომელსაც შეუძლია ისარგებლოს საზოგადოების განვითარების კანონებით პრაქტიკული გამოყენებისთვის“ [2].

[1] ვ. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ.,ტ. XVIII, გვ. 13—14.

[2] ი. ს ტ ა ლ ი ნ ი, საკ. კ. პ. (ბ) ისტორია, მოკლე კურსი, გვ. 148.

*

ი. ჭავჭავაძის ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობა ნახევარ საუკუნეზე მეტხანს გაგრძელდა. (1858—1905-იან წლებამდე) და უდიდესი გავლენა მოახდინა ქართული საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებაზე.

საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ეს პერიოდი უაღრესად დიდი და განსაკუთრებული მნიშვნელობის ხანაა, მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ გადავარდა ბატონყმობა და დაიწყო კაპიტალიზმის სწრაფი განვითარება, არამედ უკანასკნელის საფუძველზე გარდა იმისა, რომ ხდება საქართველოს ერად ჩამოყალიბება, დასაბამი ეძლევა ახალ მოწინავე იდეებს, პროგრესულ-დემოკრატიულ რევოლუციურ-გამანთავისუფლებელ მოძრაობას, მიმართულს ცარიზმის წინააღმდეგ და, რაც მთავარია, იწყება რევოლუციური მარქსიზმის ქართულ ნიადაგზე მკვიდრად დანერგვა.

ი. ჭავჭავაძის ხანგრძლივი მოღვაწეობის პერიოდი დაემთხვა საქართველოს ისტორიის ამ უაღრესად რთულ ეპოქას. იგი სამოღვაწეო ასპარეზზე ბატონყმობის დროს გამოვიდა და მოესწრო 1905 წლის რევოლუციას. ეპოქის ამ სირთულეს და მრავალფეროვნებას არ შეეძლო თავისი დაღი არ დაემჩნია ილიას ლიტერატურულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობის ერთიან პროგრამაზე, ილიას მსოფლმხედველობის განვითარებაზე...

ბატონყმობის პერიოდში, როცა საქართველოს ეროვნული ცხოვრება ნაკლებ იყო გააქტიურებული, ილიას ყურადღების ცენტრი უმეტესად სოციალური უკუღმართობის წინააღმდეგაა გამახვილებული. იგი ტიტანური

გამბედაობით იბრძვის ბატონყმური რეჟიმის წინააღმდეგ. მისი ამ დროინდელი მოღვაწეობის დევიზია ბატონყმობის სისტემის სამარცხვინო ბოძზე გაკვრა და ყმების განთავისუფლება.

1865-იან წლებიდან რეფორმის შემდეგ კაპიტალიზმის განვითარებასა და ეროვნული ცხოვრების გააქტიურებასთან ერთად, საქართველოს ერად ჩამოყალიბების პროცესის პარალელურად, ილიას საზოგადოებრივი და ლიტერატურული მოღვაწეობა უმთავრესად სოციალური მოვლენებიდან ეროვნულ სფეროში გადააქვს და უშუალოდ მეთაურობს საქართველოს ნაციონალურ-რევოლუციურ მოძრაობას, მიმართულს ცარიზმის კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ. ილია ამიერიდან ამ უკანასკნელს უმორჩილებს თავის სოციალურ პროგრამას. ილია (საკუთარი შეგნებულად) რამდენადმე ახდენს ერთგვარ გადახვევას იმისგან, რაც მას ბატონყმობის გაუქმებამდე ამოქმედებდა და აყენებს ეროვნული მთლიანობის და კლასთა მორიგების იდეას. რისთვის, რა მიზნებით?

ილიას რწმენით ბრძოლას ცარიზმის კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ საქართველოს ეროვნულ თავისუფლებისათვის იმ შემთხვევაში მოყვებოდა სასურველი შედეგები, თუ ამ ბრძოლაში მონაწილეობას მიიღებდა მთელი ქართველი ხალხი, მთელი ერი, განურჩევლად წოდებისა. აი ერთ-ერთი მოტივი იმისა, თუ რატომ ესაჭიროებოდა ილიას ქართველი ხალხის ერთიანობა და რატომ უარყოფდა იგი მისი ძალების დაქსაქსვას[1]. 1877 წ. ილია წერდა:

---

[1] ეს საკითხი სპეციალურადაა გარკვეული პ. რატიანის ნაშრომში „ი. ჭავჭავაძე, „ფილოსოფიური და სოციალ-პოლიტიკური შეხედულებანი", თბილისი, 1949 წ.

ნუ, ნუ, მაყვედრი, რომ ყოველს ჩვენგანს
ხელსა ვაწვდიდი მეგობრობისას,
რომ უარვყოფდი ჩემთ მოძმეთ შორის
სულის სიმდაბლეს, შხამსა მტრობისას...
მე კაცთ სიკეთის მხურვალე რწმენა
ჭირში თუ ლხინში წინ მიმიძღოდა
გული თრობილი მის წმინდა მადლით
ჭკუის ცივ თათბირს ეურჩებოდა.

ილია ჭავჭავაძე, უდავოა, დიდად განიცდიდა დიდი რუსი რევოლუციური დემოკრატების გავლენას. მაგრამ როცა ჩვენ ვლაპარაკობთ მათი იდეების ამ გავლენაზე, არ შეიძლება ანგარიში არ გავუწიოთ იმ ისტორიულ სინამდვილეს, რომ თავის დროზე და თავისთავად ამ პროგრესული იდეების მიმდევრობა გასული საუკუნის 90-იან და მითუმეტეს 900-იან წლებში, ე. ი. მას შემდეგ, რაც მარქსიზმი საყოველთაო გავრცელებას პოულობს რუსეთ-საქართველოში და სამოღვაწეო ასპარეზზე სოციალ-დემოკრატია გამოდის, რასაკვირველია, იდეურ ჩამორჩენილობას ნიშნავდა. ბელინსკისა და ჩერნიშევსკის იდეები უკვე დრომოჭმული იდეებია და ისინი ამ პერიოდისათვის ღლარ არიან მოწინავენი,—(ეგევე ითქმის მის მიმდევრებზედაც, ე. ი. ილია ჭავჭავაძეზეც), თუ ილიას მხოლოდ მარტო ასეთად მივიჩნევთ; მაგრამ აქ სხვა მოვლენებია გასათვალისწინებელი, ესაა ეროვნულ გამანთავისუფლებელი პროგრესული მოძრაობა—„ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობა საქართველოში“ („პრავდა“), რომელსაც ი. ჭავჭავაძე მეთაურობდა.

ბუნებრივია ი. ჭავჭავაძის ეროვნული შეხედულებანი სავსებით ორიგინალური მოვლენაა და ნაკლებად

შეეძლო განეცადა მას ამ სფეროში თავისი რუსი მასწავლებლების გავლენა. ამ ფაქტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ი. ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის გაგებასა და საქართველოში ეროვნული განმანთავისუფლებელი მოძრაობის ხასიათის გარკვევის საქმეში.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ქვაკუთხედი ეროვნული საკითხია. ილიას ღრმა რწმენით რაკი ერი არის ძირითადი და უმნიშვნელოვანესი სოციალური კატეგორია, ამიტომ ძირითადი სოციალური პრობლემები ეროვნული თვალსაზრისით უნდა განიხილებოდეს და წყდებოდეს. ამიტომაა, რომ ი. ჭავჭავაძის შემოქმედება—მხატვრული პროზა, პოეზია და პუბლიცისტიკა, მთლიანად გაჟღენთილია ეროვნული იდეებით. ი. ჭავჭავაძის შემოქმედებიდან ეროვნულმა საკითხმა ყველაზე უფრო ნათელი და პროგრამული გამოხატულება „მგზავრის წერილებში“ ჰპოვა, საუბარში მოხეურად თქმული,— „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“-ო შემდეგში იქცა ლოზუნგად, რომელზედაც ემყარებოდა ი. ჭავჭავაძის თაოსნობითვე გაჩაღებული რევოლუციურ-გამანთავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში. რასაკვირველია ამ გამანთავისუფლებელი ეროვნული მოძრაობით და ლოზუნგით როგორც ი. ჭავჭავაძე, ასევე მისი ყველა თანამებრძოლები, იბრძოდნენ რა ცარიზმის ჩაგვრის წინააღმდეგ, შორს იდგნენ იმ აზრისაგან, რომ საქართველო ოდესმე დიდ რუსეთს გამოყოფოდა. პირიქით, წინამდებარე ნაშრომის სათანადო ადგილას ჩვენ გარკვეული გვაქვს, რომ ი. ჭავჭავაძე საქართველოს დიად მომავალს მხოლოდ რუსეთთან განუყრელ და მჭიდრო ურთიერთობაში ხედავდა.

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული საკითხია ი. ჭავჭავაძის უკვდავი შემოქმედების ერთ-ერთი დედაბოძი,

თვით ერის ცნებისა და ერის რაობის, ისევე როგორც ქართველების ერად ჩამოყალიბების მეცნიერული განსაზღვრა და ახსნა ი. ჭავჭავაძემ ვერ შეძლო.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ქართველობის ერად ჩამოყალიბების მეცნიერული განსაზღვრა, ისევე როგორც ამ ისტორიული პროცესის სოციალ-ეკონომიური საფუძვლების გენიალური ახსნა, დაკავშირებულია დიდი სტალინის სახელთან.

ი. ჭავჭავაძეს ეროვნული საკითხი აინტერესებდა არა საერთოდ წმინდა თეორიული თვალსაზრისით, არამედ საქართველოს ეროვნულ-გამანთავისუფლებელი ბრძოლის პრაქტიკულ ამოცანებთან უშუალო მიმართებაში. ი. ჭავჭავაძეს, მიუხედავად ამისა, რამდენადმე მაინც მოეპოვება გარკვეული ხასიათის ზოგადი შეხედულება ერზე, ეროვნებაზე საერთოდ. ილიას ამ შეხედულებებს ჩვენ შეეხეთ ისტორიისა და ერის ურთიერთ დამოკიდებულების ზოგიერთ საკითხებთან დაკავშირებით.

ი. ჭავჭავაძის ეროვნული შეხედულებანი ამ შემთხვევაში ზოგიერთი გამონაკლისით თუ უსწორებს განმანათლებლების შეხედულებებს. ილია ერზე მსჯელობისას არსებითად უგულებელყოფს კლასებს და კლასთა ბრძოლას საქართველოს ისტორიაში. ლენინის განსაზღვრით „განმანათლებლები მოსახლეობის არც ერთ კლასს არ გამოყოფდნენ, როგორც განსაკუთრებული ყურადღების საგანს, ისინი ლაპარაკობდნენ არა მარტო ხალხზე საზოგადოდ, არამედ ერზეც კი საზოგადოდ“ [1].

მარქსიზმის მოძღვრებაში ნაციონალური პრობლემის

[1] ვ. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. II, გვ. 467.

გენიალური გადაწყვეტა და ამ მოძღვრების მოქმედების სახელმძღვანელოდ გადაქცევა ი. ს ტ ა ლ ი ნ ი ს სახელთანაა დაკავშირებული. ი. ს ტ ა ლ ი ნ მ ა „ჩამოაყალიბა საფუძვლები ბოლშევიკური მიდგომისა ნაციონალური საკითხის გადაჭრისადმი... დაასაბუთა მუშათა ინტერნაციონალური შეკავშირების ბოლშევიკური პრინციპები“ [1]. ი. ს ტ ა ლ ი ნ ი ს შრომები: „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი“, „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“, „ნაციონალური საკითხი და ლენინიზმი“ მარქსიზმის ოქროს ფონდია; ისინი თეორიულ მარქსისტულ ლიტერატურაში ახალ ეტაპს ჰქმნიან. ი. ს ტ ა ლ ი ნ ი ნაციონალურ საკითხს განიხილავს მუდამ გარკვეულ კონკრეტულ ისტორიულ პირობებთან განუყრელ კავშირში. ს ტ ა ლ ი ნ ი ს განსაზღვრით—„ნაციონალური საკითხი სხვადასხვა დროს სხვადასხვა ინტერესებს ემსახურება, სხვადასხვა ელფერს იღებს იმის მიხედვით, თუ რომელი კლასი და როდის წამოაყენებს მას“ [2]. სწორედ ამით აიხსნება ნაციონალური საკითხის სირთულე. ი. ს ტ ა ლ ი ნ ი ხაზგასმით მიუთითებს ამ ფაქტზე როცა იგი წერს: „თუ კი სადმე საჭიროა საკითხის დიალექტიკურად დაყენება, ეს საჭიროა სწორედ აქ, ნაციონალურ საკითხში“ [3].

ნაციონალური საკითხი მეფის რუსეთში განსაკუთრებით მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან, კაპიტალიზმის განვითარების შედეგად, უაღრესად გააქტიურდა, და მეტად ცხოველმყოფელი გახდა. მეფის რუსეთი, ცნო-

---

[1] ი. ს ტ ა ლ ი ნ ი, მოკლე ბიოგრაფია, თბილისი, 1947 წ., გვ. 53—54.

[2] ი. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზ., ტ. 2, გვ. 32.

[3] იქვე, გვ. 338.

ბილია, 50-ზე მეტ ეროვნებისა და ცალკე ტომის არარუს ხალხს ჩაგრავდა, იგი ამ „ხალხთა საპყრობილე“ იყო. კაპიტალიზმის განვითარებამ მეფის რუსეთში ნაციონალური მოძრაობა გააღვივა. დაიწყო სწრაფი პროცესი ამ ხალხების ბურჟუაზიულ ერებად ჩამოყალიბებისა. ცარიზმი გზას უღობავდა და ყველა საშუალებებით უპირისპირდებოდა ამ ბუნებრივ პროცესს. ამიტომ ცარიზმის უღელ ქვეშ მგმინავ უფრო მოწინავე ხალხებში ეს პროცესი გადაიზარდა ცარიზმის კოლონიალურ ჩაგვრის წინააღმდეგ მიმართულ ნაციონალურ-რევოლუციურ მოძრაობაში. კერძოდ საქართველოში ამ პროგრესულ-დემოკრატიულმა მოძრაობამ უაღრესად ფართო და მასიური ხასიათი მიიღო. ილია ჭავჭავაძე ამ გამანთავისუფლებელი პროგრესული მოძრაობის იდეურ და ორგანიზაციულ ბელადად მოგვევლინა.

ი. ს ტ ა ლ ი ნ ი თავის გენიალურ ნაშრომში: „როგორ მსმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი“?— ეისთვის დამახასიათებელ გენიალობით შუქს ჰფენს საქართველოს XIX და XX საუკუნის ისტორიის უაღრესად რთულ და ფრიად საყურადღებო პრობლემებს. ი. ს ტ ა ლ ი ნ ი ს ეს ნაშრომი კერძოდ ქართულ ისტორიოგრაფიაში წარმოადგენს ახალი ეტაპის შემქმნელ ჟმნიშვნელოვანეს სახელმძღვანელოს საქართველოში ნაციონალურ-გამანთავისუფლებელი და სოციალური მოძრაობის ისტორიის საკითხების სწორად გაგებისათვის ი. ს ტ ა ლ ი ნ ი ამ ნაშრომში გარკვევით მიუთითებს ნაციონალური მოძრაობის კლასობრივ შინაარსზე. სწორედ ამ თვალსაზრისიდან გამოდის ი. სტალინი, როცა ანსხვავებს თავადაზნაურობის, ბურჟუაზიის და პროლეტა-

რიატის ნაციონალურ საკითხს საერთოდ და კერძოდ საქართველოში მე-19 და მე-20 საუკუნის მანძილზე.

ი. ს ტ ა ლ ი ნ ი ს განსაზღვრით ნაციონალური მოძრაობა „თავისი არსებით ბურჟუაზიული მოძრაობაა“ [1]. ამდენად ფეოდალურ ნაციონალურ მოძრაობაზე და ნაციონალიზმზე მსჯელობა პირობითად შეიძლება იყოს. ი. ს ტ ა ლ ი ნ ი მიუთითებს რომ „ნაციონალური მოძრაობის შინაარსი, რა თქმა უნდა, არ შეიძლება ყველგან ერთნაირი იყოს“ [2]. ი. ს ტ ა ლ ი ნ ი ს მითითებით, „ნაციონალური მოძრაობის ძალა განიზომება იმით, თუ რ-მდენად მონაწილეობენ ამ მოძრაობაში ერის ფართო ფენები, პროლეტარიატი და გლეხობა“ [3].

თვითმპყრობელური რეჟიმისა და მისი კოლონიური ჩაგვრის სისტემის წინააღმდეგ მიმართული საქართველოს ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობა მე-19 საუკუნის 90-იან წლებამდე, ე. ი. მანამდე, ვიდრე პროლეტარიატი და მისი რევოლუციური პარტია ჩაუდგებოდა სათავეში ცარიზმისა და ბურჟუაზიის დამხობას, წარმოადგენდა გარკვეულ მასიურ მოძრაობას, რომელშიც ქართველი ერის სხვადასხვა ფენები მონაწილეობდნენ,—განსაკუთრებით ეს ითქმის გლეხობის შესახებ, რაც უმთავრესად კოლონიური ჩაგვრისა და აგრარული წინააღმდეგობებით იყო გამოწვეული.

ნაციონალურმა მოძრაობამ საქართველოში მეფის რუსეთთან შეერთების პირველ პერიოდიდანვე იჩინა თავი. იგი იყო ფეოდალურ-მონარქიული მოძრაობა ქართველი თავად-აზნაურობის მეთაურობით, რომელიც დაკარგული დიდების აღდგენას ისახავდა მიზნად და „უნდოდა

[1] ი. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზ., ტ. 2, გვ. 335.
[2] იქვე, გვ. 331.
[3] იქვე.

„საქართველოს“ სათავეში ქართველი მეფეები და თავად-აზნაურობა დაეყენებინა და, ამგვარად მათთვის გადაეცა ქართველი ხალხის ბედიღბალი“ [1]. ამ მოძრაობამ „ვერც ერთი შესამჩნევი კვალი ვერ დააჩნია ქართველობის ცხოვრებას. კაპიტალიზმის განვითარებამ და სოფლად გამწვავებულმა აგრარულმა ურთიერთობამ, ნიადაგი გამოაცალა „ფეოდალურ—მონარქიულ ნაციონალიზმს“ და ქართველ თავად აზნაურობას არა მარტო ხელი ააღებინა მონარქიულ-ფეოდალურ საქართველოს აღდგენაზე, არამედ სულ მალე ცარიზმის უერთგულეს მსახურად აქცია ისინი“ [2].

60-იან წლებიდან საქართველოში დაიწყო ნაციონალურ-განმანთავისუფლებელი უაღრესად პროგრესული-მოძრაობა დიდი რუსი რევოლუციური დემოკრატების მოწინავე იდეებზე აღზრდილ „თერგდალეულთა“ თაოსნობით. ქართველი ინტელიგენციის ამ მოწინავე ახალი თაობის საყოველთაოდ აღიარებული მეთაური ი. ჭავჭავაძე იყო. ამ თაობამ სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ბატონყმობას და ცარიზმის კოლონიური ჩაგვრის სისტემას. ისინი დემოკრატიზმსა და შრომის თავისუფლებას ქადაგებდნენ, თავგამოდებით იცავდნენ გლეხობის ინტერესებს და დაუღალავად იღწვოდნენ ქართველი ხალხის საყოველთაო კეთილდღეობისა და ყოველმხრივ დაწინაურებისათვის. ქართველმა განმანათლებლებმა ი. ჭავჭავაძის მეთაურობით ცარიზმის კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ მიმართული საქართველოს ეროვნულ-გამანთავისუფლებელ მოძრაობას არსებითად

---

[1] ი. სტალინი, თხზ., ტ. 1, გვ. 32.

[2] იქვე.

საფუძვლად დაუდვეს ნაციონალური თანასწორუფლებიანობისა და ხალხთა მეგობრობის დიადი იდეა. თერგდალეულები სწორედ ამ სავსებით მართებულ პოზიციებიდან უღრმესი პატრიოტული პრინციპულობით იცავდნენ ქართულ ეროვნულ კულტურას,— მშობლიურ ენას, მწერლობას, ისტორიას, როგორც რუსიფიკატორულ წარღვნისაგან, ასევე სხვადასხვა ჯურის ბურჟუაზიულ ცილისმწამებელთა და ნიჰილისტ ფალსიფიკატორებისაგან.

ამიტომ შემთხვევით მოვლენად არ უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ქართველი ინტელიგენციის ეს ახალი მოწინავე თაობა თავისი მოღვაწეობით არა მარტო იცავდა და, ამდიდრებდა დიდი ტრადიციების მქონე ქართულ ეროვნულ კულტურას, არამედ ნიადაგს სწმენდდა და პირობებს ამზადებდა იმ ისტორიული მოძრაობისათვის, რომელსაც მშრომელი ხალხისათვის ახალი თავისუფალი ცხოვრება უნდა შეექმნა.

კაპიტალიზმის განვითარებამ საქართველოში წამოაყენა ბურჟუაზიის ნაციონალური საკითხი, მაგრამ ბურჟუაზიულ-ნაციონალური მოძრაობა საქართველოში ისევე სუსტი იყო, როგორც თვით ნაციონალური ბურჟუაზია. საქართველოში ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მიმართულებიდან გამოირჩევა სოციალ-ფედერალიზმი, რომელსაც მასა არ გაყვა. ი. ს ტ ა ლ ი ნ მ ა გენიალური სიცხადით ნათელჰყო ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მოძრაობის არსი საქართველოში. ი. ს ტ ა ლ ი ნ ი მიუთითებს, რომ კლასობრივი შეჯახებებისა და ქართველი მარქსისტების დაურიდებელმა იერიშებმა, თავის დროზე „თავ-

ზარი დასცა ჩვენს ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს და ბრძოლის ველიდან გააძევა ისინი“ [1].

ეროვნულ-გამანთავისუფლებელი ბრძოლა საქართველოში დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო. კერძოდ კავკასიის ხალხთა ცხოვრებაში ამის მსგავსი მძლავრი მასობრივი მოძრაობა 900-იან წლებამდე, გლეხთა აჯანყებებთან ერთად არაფერი არსებობდა, ხოლო თვით გლეხური აჯანყებები შინაარს აძლევდა ამ მასიურ მოძრაობას. ეროვნულ-გამანთავისუფლებელმა მოძრაობამ ხალხი გამოაფხიზლა, აღაგზნო ეროვნულ თავისუფლებისთვის ბრძოლის სურვილით. ამ მოძრაობის სათავეში ჩადგომა ჩვენში ბურჟუაზიამ ვერ მოასწრო. ამ მოძრაობის პროგრესული ელემენტების გამგრძელებლად 90-იან წლებიდან პროლეტარიატი მოგვევლინა.

ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობა საქართველოს მსგავსად ადრიდანვე გაჩაღდა მაგ., პოლონეთში; პოლონეთში ამ. მოძრაობამ თავიდანვე უკიდურესი ხასიათი მიიღო, იგი დაეშვა ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ე ლ ი ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ზ მ ი ს ა და ს ე პ ა რ ა ტ ი ზ მ ი ს გზამდე. ამასთანავე ვინაიდან იქ მარქსიზმის დანერგვა სხვა პირობებში ხდებოდა, რევოლუციური მოძრაობის გაჩაღებამდე ნაციონალური ბურჟუაზია მოასწრებს გაძლიერებას, და მოძრაობას მთლიანად ბურჟუაზია დაეპატრონება, ამიტომ იგი მიიღებს ყოვლად რეაქციულ ხასიათს—ბ ურ ჟ უ ა ზ ი ე ლ ი ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ზ მ ი ს და ს ე პ ა რ ა ტ ი ზ მ ი ს ს ა ხ ი თ.

უდავოა, ანალოგიურ ხასიათს მიიღებდა ნაციონალური მოძრაობა საქართველოში და ამიერკავკასიაში, განსა-

---

[1] ი. ს ტ ა ლ ი ნ ი. თხზ., 1, გვ. 34.

კუთრებით 900-იან წლებიდან, რომ დიდი ს ტ ა ლ ი ნ ი ს მეთაურობით არ გაჩაღებულიყო უდიდესი რევოლუციური ბრძოლები და გაბედულად არ აღმართულიყო ინტერნაციონალიზმის უძლეველი დროშა.

ბურჟუაზიული ნაციონალიზმისა და ცარიზმის მტრული ზრახვების წინააღმდეგ დიდი ს ტ ა ლ ი ნ ი მოუწოდებდა ამიერკავკასიის ხალხებს: „...ფხიზლად! თქვენ, სომხებო, თათრებო, ქართველებო, რუსებო! ხელი გაუწოდეთ ერთმანეთს, მჭიდროდ დაირაზმეთ და მთავრობის ცდებზე—გაგთიშონ თქვენ—ერთსულოვნად უპასუხეთ: ძირს მეფის მთავრობა! გაუმარჯოს ხალხთა ძმობას!“ [1].

ამ დროშამ დაანგრია ნაციონალური განკერძოების კედლები და ბრძოლაში დაუკავშირა ერთმანეთს მუშები, ამიერიდან ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა დაუმორჩილდა საერთო რევოლუციურ მოძრაობას.

ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის გავლენით ცარიზმის წინააღმდეგ მიმართულმა კრიტიკამ ჩვენში ადრიდანვე იჩინა თავი. მე-19 საუკუნეში იმპერიის არც ერთ მხარეში არ ყოფილა გლეხთა იმდენი აჯანყებები, რამდენიც საქართველოში. გლეხთა ეს აჯანყებები სხვადასხვა დროს, მართალია, სხვადასხვა შინაარსს ატარებდნენ, მაგრამ სოციალურ მხარესთან ერთად ყოველთვის ეროვნულიც ახლდა თან (თავადაზნაურობაც ზოგჯერ გვერდში ედგა გლეხობას). გლეხთა ეს მოძრაობანი შინაარსს აძლევდა და აპირობებდა ეროვნულ გამათავისუფლებელ ბრძოლას.

ი. ჭავჭავაძის შეხედულებათა საფუძველზე შეუძლებელი იყო საქართველოში ეროვნული საკითხის სწორად

---

[1] ი. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზ., ტ. 1, გვ. 80.

გადაჭრა, ვინაიდან ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანისა და კაპიტალისტური კერძო საკუთრების ინსტიტუტის ხელუხლებლობის პირობებში შეუძლებელია ერთა თანასწორობა, პატარა ერების ეროვნული დამოუკიდებლობა და თავისუფლება ისევე, როგორც კლასობრივ საზოგადოებაში ანტაგონისტურად განწყობილი კლასების მშვიდობიანი გზით მორიგება. „ოქტომბრის გადატრიალებამ ბოლო მოუღო ძველ, ბურჟუაზიულ-გამათავისუფლებელ ნაციონალურ მოძრაობას და დასაწყისი მისცა ჩაგრულ ეროვნებათა მუშებისა და გლეხების ახალი, სოციალისტური მოძრაობის ერას, მოძრაობისა, რომელიც მიმართულია ყოველგვარ,—მაშასადამე, ნაციონალური ჩაგვრის წინააღმდეგ, „თავისი“ და სხვისი ბურჟუაზიის ძალაუფლების წინააღმდეგ, საერთოდ იმპერიალიზმის წინააღმდეგ“ [1].

---

[1] ი. სტალინი, თხზ., ტ. 4, გვ. 326.

დანართი

ჟანდარმთა სამმართველოს უცნობი საარქივო დოკუმენტები ი. ჭავჭავაძის შესახებ

1. ჟანდარმერიის თბილისის სამმართველოს თანამშრომლის ესიპოვის განმარტებიდან ი. ჭავჭავაძეზე საიდუმლო მეთვალყურეობის დაწესების მიზეზის შესახებ. № 7416.

По показанию Дегеева князь Илья Чавчавадзе и компания журналов „Иверия“ и „Имеди“ составляли группу либералов, желавших автономии Грузии в составе Империи и мечтавших о грузинском парламенте; к этой партии принадлежал привлекавшийся к дознанию, производившемуся генерал-майором Середько, Александр Палияшвили.

В виду вышеизложенного показания управляющий Тифлисским дворянским земельным банком князь Илья Чавчавадзе, по распоряжению Департамента полиции, был подчиненным в 1884 г. негласному надзору полиции в Тифлисе.

Колл. секр. Ешнов

მოსკოვის ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი (ЦГИА), ფონდი პოლიციის დეპარტამენტის III განყ. საქმისწარმოება № 1168, საქმე „О князе Ильи Григор. Чавчавадзе“, 1884 წ. ფურ. 1—2.

2. 1894 წლის მაისის 1. № 565. თბილისის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის გენერალ-მაიორ იანკოვსკის ფრიად საიდუმლო მოხსენება თბილისის სასულ. სემინარიის მოწაფეთა მღელვარებაში ი. ჭავჭავაძის თაოსნობით თბილისის სათავადაზნაურო სკოლის მასწავლებელთა როლის შესახებ.

Секретно

Указом Святейшаго Синода от 31-го января сего года за № 457-м, из Тифлисской Православной Духовной семинарии за бывшия в декабре минувшаго года безпорядки в стенах заведения, вызвавшие тогда же закрытие семинарии, было исключено 87 воспитанников, без права поступления в другия семинарии, с непременным условием, чтобы никто из исключенных не оставался на жительство в г. Тифлисе. Последняя мера не вполне могла быть приведена в исполнение, так как родители или ближайшие родственники некоторых исключенных проживают в Тифлисе.

В марте месяце настоящего года приезжал в Тифлис, для разследования причин бывших в семинарии безпорядков, товарищ обер-прокурора святейшаго Синода, тайный советник Саблер, который как мне известно по соглашению с экзархом Грузии предположил между прочим следующее:

1-е, В сентябре сего года возобновить учение в Тифлисской семинарии, кажется с ограниченным числом воспитанников.

2-е. В восполнение сказанного в этом же году или в будущем открыть вторую семинарию в Кутаисе, и

3-е. В виду того, что здание Тифлисской семинарии находится в бойком месте города, вблизи Караван-Сарая, городского сквера и многих духанов (винные погреба), ходатайствовать о приобретении или постройке нового для семинарии здания

на окраине города, с тем чтобы при семинарии был непременно построен дом, для обязательного общежития воспитанников.

В донесении своем от 7-го марта сего года за № 224-м я упоминал, что в семинарских волнениях немалую роль играли учителя Тифлисской дворянской (исключительно грузинской) школы.

Ныне, добытыя мною агентурным путем, заслуживающия вероятия сведения подтверждают, что влияние названной школы не ограничивается одною семинариею, но что руководители школы не чужды в деле общаго национального движения между грузинами. Главным же, так сказать руководителем пробуждающихся грузинофильских мечтаний безошибочно можно считать состоящаго под негласным надзором полиции князя Илью Чавчавадзе, управляющаго Тифлисским дворянским земельным банком (на средства банка содержится вышеназванная дворянская школа) и редактора грузинской газеты „Иверия".

Князь Чавчавадзе человек выдающагося ума и пользуется большим авторитетом между грузинами вообще, а между свободомыслящими в особенности.

Ходят слухи, что у него бывают по временам собрания интеллигентных грузин, на которых обсуждаются разные общественные и социальные вопросы Грузии.

Несомненно существуют и другия второстепенные личности, старающияся возбуждать молодежь

и прививать мысли о сепаратизме, но установить эти личности, пока не представлялось возможности. При этом не может надлежать сомнению, что эти просветители Грузии ведут сношение и с армянскими агитаторами.

В заключение, согласно предписания Департамента полиции от 19 марта сего года за № 1826, имею честь доложить, что закрытие Тифлисской духовной семинарии произвело на грузин впечатление удручающее, продолжающееся и по настоящее время и возбудило неудовольствие против русских вообще и противу экзарха особенно.

Армяне к закрытию семинарии относятся со злорадством, как к факту, возбудившему грузин против распоряжения властей, могущему повлиять на солидарность грузин с армянами в стремлениях к обособленности.

Большинство русских к семинарским безпорядкам отнеслось индеферентно.

Генерал-майор Янковский.

მოსკოვის ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი (ЦГИА), ფონდი პოლიციის დეპარტამენტის III განყოფილებისა, საქმისწარმოება № 1168, საქმე „О князе Ильи Григор. Чавчавадзе", 1884 წ. ფურც. 4—7.

3. ი. ჭავჭავაძეზე პოლიციის დეპარტამენტის საიდუმლო მეთვალყურეობის რამდენიმე დოკუმენტი.

В департамент полиции.

Состоящий под негласным надзором в С.-Петербурге.

фамилия—Чавчавадзе
имя—Илья
отчество—Григорьев
Звание—князь, председатель правления Тифлисского земельного банка; выбыл 22 сего сентября в Москву. О выезде сообщено г. Московскому обер-полицмейстеру от сего сентября за № 9403.

№ 9522 28 сентября 1891 г.
С.-Петербургскаго
градоначальника.

Совершенно секретно.

В департамент полиции.

Состоящий под негласным надзором в С.-Петербурге фамилия—Чавчавадзе; имя—Илья, отчество—Григорьев; звание—князь.
Выбыл 22 сентября 1891 г. в г. Тифлис.

О выезде сообщено Тифлисскому Губ. жандармскому Управлению ноября 5 дня 1891 г. за № 11051.
№ 16141 5 ноября 1891 г.

С.-Петербургскаго градоначальника 4737.

მოსკოვის ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი (ЦГИА), ფონდი პოლიციის დეპარტამენტის III განყოფილებისა, საქმისწარმოება № 1168, საქმე „О князе Ильи Григор. Чавчавадзе". ამ საქმეში დაცულია მრავალი მსგავსი საბუთი ი. ჭავჭავაძისადმი პოლიციის მეთვალყურეობის შესახებ. ჩვენ იქედან მხოლოდ ეს ორი საბუთი მოვიყვანეთ აქ მაგალითისათვის. დოკუმენტები იბეჭდება უცვლელად.

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა . V

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი

ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია . 1
ხალხი — ისტორიის შემოქმედი 3
საქართველოს ისტორიისათვის საჭირო წყაროების მოპოვებისა და სამეცნიერო მიზნებით მათი გამოყენების მეთოდები 6
ისტორიის მნიშვნელობა ერისათვის 17
ილია ჭავჭავაძე ისტორიაში პიროვნების როლისა და ქართველ ისტორიულ პიროვნებათა შესახებ 29
პოემა „დიმიტრი თავდადებული" და ისტორიული სინამდვილის რეალისტურად გააზრება 42
პოემის ისტორიულ-სიუჟეტური ჩონჩხის გამო 44
ილია საქართველოს გაერთიანების ისტორიული მნიშვნელობის შესახებ 57
ილია სამხრეთ საქართველოსა და ოსმალ დამპყრობელთაგან მისი გამოხსნის პირობების შესახებ 66
ილია საქართველოს რუსეთთან შეერთების მნიშვნელობისა და მასთან მეგობრული ურთიერთობის შესახებ 86

თ ა ვ ი მ ე ო რ ე

ილია ჭავჭავაძის ბრძოლა საქართველოს ისტორიის ფალსიფიკატორთა წინააღმდეგ 101
ქართველი მოღვაწეები ეროვნული კულტურის დაცვის სადარაჯოზე 118
საქართველოს ისტორიის გაყალბების ცდები რეაქციის პერიოდში 130
კატკოვის გამოლაშქრების გამო . . . 134
ბურჟუაზიული ნაციონალიზმი და ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობა საქართველოში 140
ილია—ბურჟუაზიული ნაციონალიზმის მოწინააღმდეგე და ხალხთა მეგობრობის დაუღალავი ქადაგი . . . 156
ბურჟუაზიული ნაციონალიზმის გალაშქრება სომეხ-ქართველთა მეგობრულ-კულტურული ურთიერთობის წინააღმდეგ. 173

სომხეთის და საქართველოს პროგრესული მოღვაწეები ბურჟუაზიული ნაციონალიზმის მტრები იყვნენ 176
ილია ჩაგრული ერების მოსარჩლე იყო და ხალხთა ინტერნაციონალურ მეგობრობას ქადაგებდა 189
ილია ჭავჭავაძის ბრძოლა საქართველოს ისტორიის ნიჰილისტ გამყალბებელთა წინააღმდეგ . . . 199
კრიტიკული დამოკიდებულება ეროვნულ-კულტურულ მემკვიდრეობისადმი და ბრძოლა ნიჰილისტურ-უარმყოფელობის წინააღმდეგ 201
ილია ჭავჭავაძე „სანდალას წიგნის გამო“ 206
ბრძოლა ხალხოსნური ისტორიოგრაფიის წინააღმდეგ (ივ. ჯაბადარის „Письма о Грузии“ და ილია ჭავჭავაძის პასუხი—„აი ისტორია“) . 215

თავი მესამე

ი. ჭავჭავაძე და საქართველოს ეკონომიური ისტორია . 252
ძველი საქართველოს ეკონომიური წყობა ილია ჭავჭავაძის შეხედულებით 252
ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულება კერძო საკუთრების ინსტიტუტისადმი 266
ილიას აზრი მიწაზე კერძო საკუთრების ნიადაგზე აღმოცენებულ სოციალურ წინააღმდეგობათა აღმოფხვრის გზების შესახებ 300
ილია ჭავჭავაძე და სათემო მიწათმფლობელობის პრობლემა საქართველოში 304
ილიას შეხედულებით ბატონყმური ურთიერთობის დამკვიდრება სათემო მიწების დატაცების შედეგად მოხდა . . . 311
ა. ილია სათემო (სახასო) მიწების გადანაწილების პრინციპების შესახებ 320
ბ. მიწების სამართლიანი გადანაწილებისა და „საკომლოს“ ცნების ისტორიულ-ეკონომიური შინაარსი 332
ილია მიწის მესაკუთრე გლეხობის გამრავლების შესახებ 345
ილია ჭავჭავაძის შეხედულებანი ხიზნობაზე 364
ა. ილია ხიზნობის წარმოშობის ისტორიული პირობების შესახებ 366

ბ. ხიზნობის არსი და მისი თანამედროვე მნიშვნელობა ილიას წარმოდგენით 377
გ. დავა ხიზნობის საკითხის გადაწყვეტისათვის და ილია ჭავჭავაძე 382
საქართველოს ეროვნული ჩაგვრისა და აგრარული წინააღმდეგობების იურიდიული ღონისძიებებით მოსპობის გზების შესახებ 395
ილია საქართველოს საზოგადოებრივ წოდებათა და კლასთა ურთიერთ დამოკიდებულებისა და სოციალური დანიშნულების შესახებ 416
ა. ილიას შეხედულებანი კლასებზე და კლასთა ბრძოლაზე საქართველოს ისტორიაში 416
ბ. „გუთნის", „ხმლის" და „ოქროს" სოციალური შინაარსი, ურთიერთდამოკიდებულება და დანიშნულება . 427
გ. ძალმომრეობის როლი ისტორიაში და „ხმლის" სამართლიანი დანიშნულება 435
დ. ვაჭრობას ადევნებული ერის ისტორიული ბედი და ერისათვის ვაჭრობის მნიშვნელობა 452
დასკვნა 463
დანართი . 495

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით
*
რედაქტორი ლ. ასათიანი
ტექრედაქტორი ლ. სანაძე
კორექტორი ც. იანქოშვილი
კონტრ.-კორექტორები { თ. იოსელიანი, ო. გიორგაძე
გამომშვები კ. ნინუა
გადაეცა წარმოებას 27.3.50. ხელმოწ. დასაბეჭდად 8.10.51.
ქაღალდ. ზომა 70×108. ქაღალდ. ფურც. 8. საბეჭდ. ფურც 22,0.
საავტ. ფურც. 18,62. საღრ.-საგამომც. ფურც. 19,3.
შეკვ. № 175. უე 05011. ტირაჟი 5000.
ფასი 16 მან.
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა
თბილისი, ა. წერეთლის ქ., 3/5